

გაბრიელ გარსია მარკესი

პატრიარქის შემოდგომა

ესპანურიდან თარგმნა ელზა ახვლედიანმა

არ შეეცდებით, თუ ვიტყვით, რომ ნობელის პრემიის ლაურეატ, კოლუმბიელი მწერალი გაბრიელ გარსია მარკესი, თანამედროვე ესპანურენოვან მწერალთა შორის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო ფიგურაა. იგი ჩვენში შედარებით ნაკლებად გავრცელებული მიმდინარეობის — მაგიური რეალიზმის მიმდევარია. ეს ლიტერატორთა აზრით, თორემ თვით მარკესი ამ განსაზღვრების წინააღმდეგია. — მე არ ვცნობ ტერმინს „მაგიური რეალიზმი“, — განაცხადა მარკესმა იტალიური ჟურნალის „ეპოკა“ კორესპონდენტთან საუბარში, — მე უბრალოდ რეალისტი ვარ. საქმე იმაშია, რომ კარიბის ზღვის აუზის მოსახლეობა მხიარულებით და გულღიაობით ვართ ცნობილი, მაგრამ, სინამდვილეში, ერთობ გულჩათხრობილი მწუხარე ხალხი ვართ. სწორედ ამ ხალხზე მოგვითხრობს წინამდებარე წიგნში.

მთარგმნელი

*

ერთი კვირის თავზე სვავები პრემიდენტის სასახლის აივნებს შეესივნენ, ფანჯრებზე აკრული ცხაურები ნაკუწებად აქციეს, ჩახუთულ ოთახებში შეჩერებული დრო-ჟამი ფრთების ფართქუნით შეარხიეს და უკვე ორშაბათ დილას, გამთენიისას, ქალაქი საუკუნოვანი ლეთარგიული ძილიდან გამოიყვანა დიდი მიცვალებულისა და ჩამპალი დიდებულების მხრიდან სუსტად მქროლავმა ბრიზმა. ჩვენც მხოლოდ მერეღა გავბედეთ იქ შესვლა. კედლებდაფხავებული ციხესიმაგრის ბრძოლით აღება არ დაგვჭირვებია, როგორც გვირჩევდნენ მეტისმეტად გულადნი, არც დიდა ჭიშკარი შეგვიჩვენებია ძელებით, როგორც გვთავაზობდნენ ახლობლები, ხელის მიკარებაზევე გაიღო ის ჯავშნიანი შიდა კარიც, ოდესღაც, ამ ციხესიმაგრის ზეობის წლებში, უილიამ დეი-

მპერის ყუმბარებსაც რომ უძლებდა. ასე გვეგონა, სხვა სივრცეში, სხვა ეპოქაში შევაბიჯეთ. სანაგვედ ქცეულ უზარმაზარ სახელისუფლო ბუნ-
აგში სიჩუმეც კი ძველი იყო და დაბინდულ შუქზე საგნებიც მოჩვენებე-
ბს ჰგავდნენ. პირველ პატიოში, სადაც მოძალებულ ნარშავას ქვაფე-
ნილი თითქმის ამოეყარა, დაფეთებულ ჯარისკაცებს ყველაფერი თავ-
დაყირა მიეტოვებინათ, თოფ-იარაღიც უპატრონოდ მიეყარათ კარად-
ებში. გრძელ ფიცრულ მაგიდაზე ჩამორიგებულ მათლაფებზე ლპებო-
და პანიკის გამო შეწყვეტილი საკვირაო სადილის ნარჩენები. ჩვენ ვნ-
ახეთ ჩაწყვდიადებული, პირქუში შენობა, სადაც ოდესღაც სამოქალა-
ქო სამსახურები იყო განთავსებული, ახლა იქაურობა თეთრ შხამიან
სოკოებს, უღიმღამო ცხოვრებასავით გაწელილ, დაუმთავრებელ საქ-
მეთა საქაღალდეებსა და ამ საქაღალდეებიდან თავამოყოფილ უფერ-
ულ მყრალ ყვავილებს დაეფარა. შუა პატიოში ემბაზი იდგა, რომელში-
იც, როგორც ამბობდნენ, სასახლის ბინადართა სულ ცოტა ხუთი თა-
ობა მონათლულა თურმე. ეზოს განაპირას მდგარი ერთ დროს ვიცე-
მეფეთა საჯინბო ახლა ეტლების სადგომად ქცეულიყო. ფარვანებისა
და ჩრჩილების ღრუბლის მიღმა ძლივს გავარჩიეთ დიდი ხმაურის
დროინდელი ორადგილიანი კარეტა, ჟამიანობის დროინდელი ფურ-
გონი, სხვადასხვა ფენისა და წარმომავლობის მიცვალებულთათვის
განკუთვნილი პროგრესის დროინდელი კატაფალკები და მშვიდობის
პირველი საუკუნის სომნამბულური ლიმუზინი. ეს ყველაფერი დროშის
ფერებად გადაეღებათ და თუმცა მტვერსა და აბლაბუდას დაეფარა, მა-
ინც მშვენივრად იყო შემონახული. რკინის მესერის გაყოლებამვე ვარ-
დები ჰყვაოდნენ, თითქოს მთვარის მტვერი დაფრქვევიათო, ვერცხლ-
ისფერი გადასდიოდათ. ვარდების ჩრდილში, ამ სასახლის ზეობის წლ-
ებში, კეთროვანებს ეძინათ. მოუვლელ, უზომოდ გაბარდულ ბუჩქებს
ლამის მთელი სივრცე ამოეფსოთ, ჰაერი გაეჯერებინა მათ სურნელს,
მაგრამ ბაღის სიღრმიდან, ბაზილიკის მხრიდან წამოსულ სკორეს,
საქონლისა და ჯარისკაცების შარდის მძაფრ სუნს მაინც ვერ უმკლავ-
დებოდა. ადრე, ვიდრე ამ ბაზილიკაში ბოსელსა და ფერმას გამართავ-
დნენ, ჯარისკაცები მის კედლებს კარგა ხანს იყენებდნენ მოსასაქმე-
ბლად. სულისშემხუთველ ვარდების ბუჩქნარს რომ გავცდით, დავინ-
ახეთ ნაირ-ნაირი ქოთნის ყვავილით მოფენილი თაღოვანი ვერანდა.
იმდენი საკერავი მანქანა და ხარახურა ვნახეთ მიყრილ-მოყრილი,
რომ, ჩვენი ვარაუდით, აქ ალბათ სულ ცოტა ათასამდე ქალი მაინც
ცხოვრობდა ამდენივე უდღეურ ნაშიერთან ერთად. ჩვენ ვნახეთ იავ-
არქმნილი სამზარეულო, ვნახეთ ვარცლებში ჩამპალი საცვლები, ვნ-
ახეთ ქალებისა და ჯარისკაცების საერთო ფეხსალაგთან გაწელილი
ბინძური წუმპე, ეზოს განაპირა კუთხეში ვნახეთ ბაბილონური ტირიფე-

ბი, რომლებიც მცირე აზიიდან ჩამოეტანათ უზარმაზარი კასრებით თავის მიწიანად, ნაჟურიანად და წვიმიანად. ტირიფებს რომ გავცდით, მივადექით დიდ და ნაღვლიან სასახლეს, რომლის ჟალუზებმორღვეულ ფანჯრებში სვავები დათარეშობდნენ. გვეგონა, კარის შემტვრევა მოგვიჩვენდა, მაგრამ თითქოს ჩვენს ხმას დაემორჩილაო, თავისით გაიღო. შესვლისთანავე ქვის კიბეს ავუყევით ზემო სართულისკენ. კიბეზე, როგორც საოპერო თეატრში, ფარდაგი ეფინა, აწ უკვე ძროხების ფლოქვებით გათელილი. თითქმის ყველგან შევიხედეთ, ჰოლიდან დაწყებული მინგრეულ-მონგრეული საძინებლებით, კაბინეტებით თუ სასტუმრო დარბაზებით დამთავრებული. სადაც შევდიოდით, ყველგან ძროხები გვხვდებოდნენ, მშვიდად დაბორილობდნენ ოთახებში და ღეჭავდნენ ხავერდის ფარდებსა და ატლასის გადასაფარებლებს, ფლოქვებით თელავდნენ ფუნასა და ნამსხვრევებში არეულ წმინდანთა ხატებსა და მხედართმთავართა პორტრეტებს. ჩვენ ვნახეთ ძროხების შეჭმული სასადილო ოთახი, ვნახეთ მათი ზმუილით შეურაცხყოფილი დიდი საკონცერტო დარბაზი, ვნახეთ მათი ფლოქვებით ნაფოტებად ქცეული დომინოს სათამაშო პატარა მაგიდები, ბილიარდის მაგიდების ხასხასა მწვანე საფარი კი ისე გულდაგულ ამოეღეჭათ, მინდორში ეგონათ ალბათ თავი. ვნახეთ კუთხეში მიგდებული ქარის მანქანა. მისი მბრუნავი ფრთებიდან ოთხივე კუთხით უბერავდა ნიავი, რაც აგრერიგად აკლდათ გამქრალი ზღვის გამო ნოსტალგიამოძალეებულ, უზღვოდ დარჩენილ სასახლის ბინადართ. ვნახეთ წინა კვირის მერე ჯერაც ისევ ნაჭერგადაფარებული ლამის ყველგან მიკიდულ-მოკიდული ჩიტებით სავსე გალიები. უამრავი ფანჯრიდან მოჩანდა ქალაქი, გაწოლილი მძინარე მხეცი, რომელმაც ჯერაც არ უწყოდა, რა ისტორიული ორშაბათი დილა თენდებოდა. ქალაქს მიღმა უკიდევანო ვაკეზე, სადაც ოდესღაც ზღვა ფშვინავდა, ახლა ლამის ჰორიზონტამდე გადაჭიმულიყო ქვიშიანი უდაბნო თავისი კრატერებით, მთვარის ფერფლივით მიმობნეული ხეშეში ბორცვებით. აკრძალული ზონიდან, სადაც სულ ცოტა ხნის წინ ერთ-ორ კაცს თუ ჰქონდა შესვლის უფლება, ჩვენამდე მოაღწია დამძლარი სვავების მძიმე ქშენამ, ჩვენც მათივე ფრთების ფართქუნით მოდენილი სიმყრალის სუნს მივყევით და მივადექით სააუდიენციო დარბაზს, სადაც კვლავ გადავაწყდით ძროხებს, ამჯერად მკვდრებს. მატლებდასეული მათი ძვალტყავა უკანა კიდურები მრავლად ირეკლებოდა სარკეებში. დარბაზს კიდევ ერთი ოთახი ემიჯნებოდა, შევადეთ კარი და აღმოვჩნდით კაბინეტში. სწორედ აქ ვნახეთ იგი. ფეხზე კრაგები ეცვა, ტანზე უნიშნო სამხედრო უნიფორმა, მარცხენა ფეხზე ოქროს დეზი ჰქონდა მიმაგრებული. იატაკზე პირქვე იწვა ამქვეყნად ყველა მოკვდავზე, ზღვისა და ხმელეთის უძველეს ცხოველებზე უხ-

ნესი კაცი. მოკვეცილი მარჯვენა ხელი ბალიშივით ამოედო თავქვეშ. ასე სჩვეოდა ძილი მთელი თავისი ხანგრძლივი ცხოვრების ხანგრძლივ ღამეებში. მიცვალებული ამოსაცნობად გადმოვაბრუნეთ, მაგრამ სვავეებს ისე დაეკორტნათ მისი სახე, რას ამოვიცნობდით, თანაც ჩვენ ხომ არასოდეს გვინახავს იგი და თუმცა მისი პროფილი ამოტვიფრული იყო მონეტების ორივე მხარეს, გამოსახული იყო საფოსტო მარკებზე, წამლებზე, ბანდაჟებზე და ავგარობებზე, თუმცა მისი ლითოგრაფიული პორტრეტი დროშითა და დრავონით მკერდზე ყველგან და ყოველთვის გვხვდებოდა თვალში, ვიცოდით, რომ ეს იყო ძველი ასლების ასლები და რომ ჯერ კიდევ კომეტის წელიწადსაც კი არავის სჯეროდა ამ სურათების ნამდვილობა, ჯერ კიდევ მაშინ ჩვენს მშობლებს თავიანთი მშობლებისაგან გაეგონათ მისი ამბავი, იმათ კიდევ თავიანთი მშობლებისაგან და ჩვენც ლამის დაბადებიდანვე გვიჩინებდნენ, ის ცოცხალია და ხელისუფალთა სასახლეში ცხოვრობსო. ვიღაცას დაუნახავს თურმე, ფიესტის ღამეს როგორ აინთო სასახლეში მრგვალი ლამპიონები. ეგ რა არისო, ირწმუნებოდა მეორე, ნამდვილად დავინახე პრეზიდენტის კარეტაში წამიერად გაელვებული ნაღვლიანი თვალები, გაცრეცილი ტუჩები და საეკლესიო სამოსელივით მოსირმული ფარდიდან გამოყოფილი იდუმალი ხელი, რომელსაც დამშვიდობების ნიშნად უქნევდა თითქმის უკაცრიელ ქუჩასო. იმასაც ამბობდნენ, ამას წინათ ერთი უსინათლო მაწანწალა შეუპყრიათ ქუჩაში, ხუთ სენტავოდ კითხულობდა თურმე მივიწყებული პოეტის რუბენ დარიოს“ ლექსებს, მაგრამ მალევე გაუშვიათ გახარებული და ბედნიერი, პირადად პრეზიდენტს გაუმართა პოეზიის საღამო და ოქროს მონეტითაც დაასაჩუქრეს. მაწანწალას, რა თქმა უნდა, პრეზიდენტი არ უნახავს, ჯერ ერთი, ბრმა იყო და რას ნახავდა, მეორეც, ყვითელი ციებ-ცხელების მერე ის საერთოდ არც ერთ მოკვდავს არ უნახავს, და მაინც თავში გვექონდა ჩაჭედილი, რომ ის აქ იყო, რომ დედამიწა ბრუნავს და სიცოცხლე გრძელდება, ცხოვრება თავის გზით მიდის, ფოსტა მოდის და მუნიციპალური სასულე ორკესტრიც, სადაც გარდაცვლილ მუსიკოსებს სხვა ბებერი მუსიკოსები ცვლიდნენ, შაბათობით სულელურ ვალსებს უკრავს მტვრიანი პალმების ხეივანში დე არმას მოედნის ფარნების ნაღვლიან შუქზე. მაშინაც კი, როცა სასახლიდან აღარც ადამიანთა ხმები გამოდიოდა და აღარც ჩიტების გალობა, განსაკუთრებით ამ ბოლო ხანებში, როცა თითქოს სამუდამოდ დაიხშო ჯავშნიანი კარი, ჩვენ მაინც ასე ვიცოდით, რომ იქ ვიღაც იყო. ზღვისკენ გაჭრილი ფანჯრიდან, როგორც გემის ილუმინატორიდან, შუქი გამოკრთოდა ხოლმე. ისიც თქვეს, ვიღაცას თავზე ხელი აუღია, სასახლესთან ახლოს მისულა და კედლებს მიღმა უცნაური კაკაკუკი და რომელიღაც დიდი ცხოვ-

ელის ქშენა გაუგონიაო. იანვრის ერთ საღამოს კი სასახლის აივანზე მართლაც დავინახეთ ძროხა, რომელიც მონუსხულივით შესცქეროდა მზის ჩასვლას. ეს რასა ჰგავს, ეს რა თავისაგდებაა, ეს რა მძღნერი ქვეყანაა, ძროხას რა უნდა სამშობლოს აივანზე, ვის მოსწრებია ძროხა კიბეზე ადი-ჩადიოდეს, თანაც სასახლის ქვის კიბეზე და თანაც ფარდაგდაგებულზე. ისე დავიბენით, ვეღარ გავარკვიეთ, მართლა დავინახეთ ეს დაწყევლილი ძროხა პრეზიდენტის სასახლის აივანზე თუ საღამოხანს დე არმას მოედანზე შეკრებისას მოგვეჩვენა. ამ აივანზე ხომ უკვე რამდენი წელიწადია არავის არავინ და არაფერი დაუნახავს ამ საბედისწერო პარასკევ დილაამდე, ანუ სვავების პირველ გამოჩენამდე. ღარიბთა საავადმყოფოს სახურავის ბინადარმა ლეშიჭამია ფრთოსნებმა შორიდანვე იკრეს მკვდრის სუნი და ერთმანეთის მიყოლებით გამოეშურნენ ლამის ჰორიზონტის ხაზიდან, სადაც ამჟერად ქვიშის ზღვა გაწოლილიყო. გუნდ-გუნდად, ყოფილი ზღვის ტალღებივით მოადგაფუნებდნენ ფრთებს სასახლისაკენ, თითქმის მთელი დღე დასტრიალებდნენ თავზე, მერე კი ერთმა წითელკისერამ, გვირგვინივით რომ ადგა მოტიტვლებულ თავზე შერჩენილი ერთადერთი ფრთა, ეტყობა, წინამძღოლმა, რაღაც ანიშნა თავისიანებს და სწორედ ამ უსიტყვო ბრძანებას მოჰყვა მინების მსხვრევა, დიდი მიცვალებულის სიმყრალე და უპატრონო სახლივით მიტოვებულ სასახლის ფანჯრებში სვავების თარეში. ჩვენც მერეღა გავბედეთ შევსულიყავით ამ უკაცრიელ ტაძარში. შევედით და ვიხილეთ წარსული დიდებულების ნანგრევებიც და სვავების მიერ დაკორტნილი მისი გვამიც. ნასათუთევ ხელის არათითზე პრეზიდენტის ბეჭედი ეკეთა, მთელი სხეული დაფარული ჰქონდა ნამცეცა ლიქენებითა და ზღვის ჭიაღუებით, განსაკუთრებით მრავლად მოსდებოდნენ ილღიებში და საზარდულთან. ერთადერთი ადგილი, რომელიც დაუკორტნავი გადარჩენოდა, ბრეზენტის ბანდაჟში საგულდაგულოდ ჩამალული, ხარის თირკმელებივით უზარმაზარი და ჩამოსიებული თიაქარიანი სათესლეები იყო. თუმცა ეს ყველაფერი საკუთარი თვალით ვიხილეთ, დაჯერებით მაინც ვერ დავიჯერო მისი სიკვდილი. აკი ერთხელაც უპოვიათ იგი მკვდარი ამავე კაბინეტში, ასევე ჩაცმული და ასევე მარტოსული. როგორც თქვეს, ძილში გაპარულიყო, ბუნებრივი სიკვდილით აღსრულებულიყო, სწორედ იმ სიკვდილით, ძალზე დიდი ხნის წინათ ერთმა ნათელმხილველმა ქალმა რომ ამოუკითხა წყლით სავსე თასში. იმ ხანებში, როცა მისი შემოდგომა ის იყო დგებოდა და როცა იგი პირველად ნახეს მკვდარი, ხალხს ჯერ კიდევ შესწევდა იმდენი ძალა, პრეზიდენტს, თავის საძინებელში საგულდაგულოდ გამოკვტილსაც კი, სიკვდილის შიში გამუდმებით ჰქონოდა და მაინც კვლავ ისე მართავდა ქვეყანას, თითქოს დარწმუნებული იყო

თავის უკვდავებაში. მალე სასახლეცა და მისი ეზოგარემოც ლამის ბაზრად აქცია. კაცი გვერდს ვერ აუვლიდა ფეხშიშველა დენშიჩკებს, რომლებიც ტვირთის სიმძიმისაგან წელში გაწყვეტილ სახედრებს, ბოსტნეულითა და ქათმებით სავსე კალათებს დერეფანშივე ხსნიდნენ ზურგიდან. დიდი სიფრთხილე მართებდა კაცს, ზედ არ გადაევლო კიბის საფეხურებზე მთვლემარე დედაკაცებისათვის, მშვიერი ბავშვებით ხელში მოთმინებით რომ ელოდებოდნენ ოფიციალურ მოწყალებას, ან არ ამოწეულიყო ლარნაკებიდან გადმოშვებულ წყალში, რომელსაც მისი საყვარლები ჰაიჰარად ასხამდნენ ზემოდან, როცა წინა დღის ყვავილებს ახლით ცვლიდნენ. ქალები იატაკს რეცხავდნენ, აივნებზე გამოფენილ ხალიჩებს ბერტყავდნენ და საბერტყის რიტმს აყოლილნი უიმედო სიყვარულზე მღეროდნენ. ამ ხმებს ერთვოდა ხმამაღალი გინება, რომლითაც მარადიული ჩინოვნიკები ერთმანეთს ამკობდნენ. საწერი მაგიდების უჯრებში კვერცხის დასადებად მოყუჩებულ კრუხებსაც გინებით უქშევდნენ. ფეხსალაგებში ჯარისკაცები და მეძავი ქალები ხორხოცებდნენ. სხდომათა დარბაზში ფრინველთა გნასს ერთვოდა უპატრონო ძაღლების ღრენა-ყეფა, კაცი ვერ გაიგებდა ამ ფართოდ კარმოღებულ სასახლეში ვინ ვინ იყო ან სად იყო. ამ წარმოუდგენელ ზიმზიმსა და ჯგლეფთაში ვერავინ დაადგენდა ვინ იყო ან სად იყო მთლად უფროსი ანუ აქაურობის პატრონი. მთლად უფროსი კი არათუ მონაწილეობდა ამ არეულობაში, არამედ თავად გახლდათ მისი წამომწყებიც და წარმმართველიც. აინთებოდა თუ არა მისი საძინებლის ფანჯრებში შუქი, ეს კი მამლის ყვილს გვარიანად უსწრებდა, პრეზიდენტის გვარდიის მესაყვირე ახალი დღის დადგომას ამცნობდა მახლობელ კონდეს ყაზარმას, რომელიც თავის მხრივ სიგნალს გადასცემდა სან ხერონიმოს ბაზას, ის კიდევ პორტის ციხესიმაგრეს, რომელიც ექვსჯერ იმეორებდა სიგნალს და ასე და ამგვარად იღვიძებდა ჯერ ქალაქი, შემდეგ მთელი ქვეყანა. ის კი ამ დროს იჯდა თავის პორტატიულ უნიტაზზე და გულისგამაწვრილებლად აზუზუნებულ ყურებზე ხელუბაფარებული ფიქრიანად გასცქეროდა ტოპაზისფრად მოლივლივე ზღვაში მოცურავე გემების სინათლეებს. იმ სანუკვარ, კეთილმოსაგონარ წლებში ზღვა ჯერ კიდევ ჩანდა მისი ფანჯრებიდან. მას შემდეგ, რაც მან საპრეზიდენტო სახლში დაიდო ბინა, თითქმის ყოველდღე დადიოდა ფერმაში და ძროხების წველას ადევნებდა თვალს, მერე საკუთარი ხელით ანაწილებდა რძეს და სამი სამთავრობო ფორნით გზავნიდა ქალაქის ყაზარმებში. ფერმიდან დაბრუნებულს წინასწარ გათვლილი საქმე აღარაფერი ჰქონდა, ახალი დღის ქარს იყო მინდობილი, საითაც დაუბერავდა, იქით გაქანდებოდა. მანამდე კი სამზარეულოში შეივლიდა, შავ ყავასა და მანიოკის ღვებელს მიირთმევდა, თან გულდასმით უსმენდა მსახ-

ურთა ლაქლაქს. ამ სახლში ყველაზე მეტად მსახურებთან პოულობდა საერთო ენას, ყველაზე მეტად მათგან შესხმულ ქება-დიდებას აფასებდა, ყველაზე იოლადაც მათ გულისნადებს ხვდებოდა. ცხრა საათიდან თერთმეტ საათამდე სამკურნალო ბალახებით გაზავებულ თბილ წყალში ნებივრობდა. გრანიტის აბაზანა საკუთრივ მისთვის დაედგათ პატიოში, ნუშის ხეების ჩრდილში. აბაზანა სიმხნევესა და გაბედულებას მატებდა, დილას თუ საღამოს ყოველგვარი დაბრკოლების გადალახვაში ეხმარებოდა. ოკუპაციის წლებში, როცა საზღვაო დესანტი კალიასავით მოედო იქაურობას, იგი სადესანტო ჯარების სარდალთან ერთად იკეტებოდა კაბინეტში და წყვეტდა სამშობლოს ბედს. რაკი იმ ხანებში წერა-კითხვა არ იცოდა, ათასნაირ კანონსა და დადგენილებას ცერა თითის ანაბეჭდით ამტკიცებდა, მაგრამ როცა იგი მარტო დატოვეს თავისი სამშობლოსა და ძალაუფლების ამარა, გადაწყვიტა, ტვინი აღარ ეჭყლიტა დაწერილი კანონებით და ქვეყანა ალაღბებდებე ემართა. მეკლდეურის სიფრთხილითა და თავისი ასაკისათვის შეუფერებელი სიმკვირცხლით მიიწევდა სახელისუფლო მწვერვალისაკენ, ყველგან და ყოველთვის საჭირო კაცი ხდებოდა. მუდამ ჯგროდ დასდევდნენ კეთროვნები, უსინათლოები, ხეიბრები. ამ საცოდავებს სჯეროდათ, რომ მხოლოდ მისი ხელიდან ნაწყალობევე მარილს შეეძლო მათი განკურნება. მუდამ გარს ეხვივნენ დიპლომაიანი პოლიტიკოსებიც, თავხედი, გაიძვერა ადამიანები რაღას არ მიაწერდნენ მის სახელს, მიწისძვრების, მზისა თუ მთვარის დაბნელების, ნაკიანი წელიწადის და, საერთოდ, ღმერთის მიერ დაშვებული შეცდომების კორეხიდორი შენა ხარო, ეპირფერებოდნენ. ისიც იფერებდა, სპილოსავით დააბოტებდა მთელ სახლში და გზადაგზა, სიარულ-სიარულში წყვეტდა სახელმწიფო თუ შინაურ საქმეებს. მისი გადაწყვეტილებები მისი ბრძანებებივით მარტივი იყო. ეს კარი აქედან მოხსენით და იქით გადაიტანეთ. ბრძანება მაშინვე სრულდებოდა ახლა ისევე აქეთ გადმოიტანეთ, ესეც უსიტყვოდ და მყისვე სრულდებოდა. კოშკის საათი თორმეტზე კი ნუ ჩამოჰკრავს თორმეტჯერ, ორზე ჩამოჰკრავს, ასე უფრო ხანგრძლივი მოგვეჩვენება სიცოცხლე. ვინ გაბედავდა ურჩობას. როცა ირგვლივ ყოველივე სიესტის სამარისებურ მდუმარებაში იძირებოდა, იგი ამ დროს თავისი ქალების სამყოფელს აფარებდა თავს, მისთვის სულერთი იყო რომელს დაითრევდა, წამსვე ეძგერებოდა, არც თვითონ იხდიდა ტანზე, არც ქალს ხდიდა, კარსაც არ კეტავდა, მაშინვე იწყებდა თავის საქმეს. მთელ სახლში ისმოდა მისი ქშენა, ძაღლივით წკმუტუნი, ოქროს დეგების გახშირებული წკარუნი და ყვირილი გამწარებული ქალისა, რომელიც ამ სასიყვარულო წუთებშიც კი მხოლოდ იმას ცდილობდა, როგორმე დამალვოდა თავისი უდღეური შვილების ბინძურ მზერას. —

ახლავე მოშორდით აქაურობას, ეზოში გადით და ითამაშეთ, რა თქვენი საქმეა ამის ცქერაო. სამაგიეროდ ამ დროს სამშობლოს ცაზე თითქოს ანგელოზმა გადაიფრინაო, ირგვლივ ყოველივე ყუჩდებოდა და ლამის სუნთქვას იკრავდა. მთელ ქვეყანას ტუჩთან მიჰქონდა ხელი, ჩუმად, გენერალი სასიყვარულო განცხრომაშიაო. მაგრამ ყველა როდი იჯერებდა, რომ გენერალს შეეძლო საქვეყნო საქმეებს მომწყდარიყო და თუნდაც წამიერად მაინც მოეთქვა სული. ის ხომ ერთდროულად ყველგან იყო, საღამოს შვიდ საათზე რომ დომინოს თამაშობდა, ზუსტად ამ დროს ანთებული ნაკელით მოსკიტებს დევნიდა სხდომათა დარბაზიდან. დანამდვილებით ვერავინ ვერაფერს იტყოდა მანამ, სანამ სასახლის ყველა ფანჯარაში არ ჩაქრებოდა შუქი, არ გაჩხაკუნდებოდა მისი საძინებელი ოთახის სამი ბოქლომი, სამი გასაღები და სამი ურდული, სანამ არ გაიგონებდნენ მისი დაღლილი, მოშვებული სხეულის ზღართანს ქვის იატაკზე და ბებერი ბავშვის აჩქარებულ სუნთქვას, რომელიც ზღვის მიმოქცევას აყოლილი ხან ზომიერი იყო, ხანაც წყვეტილი და ღრმა, და მაშინ ღამეული ქარის არფები ყურებში ჩამდგარ ჭრიჭინების კრუალს უხშობდნენ. ქაფმოდებული ტალღები ზედ ვვლებოდა ვიცე-მეფეთა და ბუკანერთა ძველი ქალაქის ქუჩებს, სასახლეში ფანჯრებიდან აღწევდა და, როგორც აგვისტოს ერთ საშინელ საღამოს, ახლაც სარკეებზე ლოკოკინებს ტოვებდა, სხდომათა დარბაზს ზვიგენებს უთმობდა, თვითონ კი სულ მაღლა და მაღლა, ისტორიამდელი ოკეანის თითქმის უმაღლეს ნიშნულამდე მიიწევდა და სივრცესა და დროს ფარავდა. ამ დროს კი მხოლოდ ის ერთი ტივტივებდა პირქვე თავის სიმბრისეულ მთვარიან ზღვაში, მხოლოდ ის ერთი, ერთადერთი დამხრჩვალ კაცი, რომელსაც ჯარისკაცის უხეში ტილოს უნიფორმა და ოქროსდებებიანი კრავები ეცვა და მარჯვენა ხელი ბალიშივით ედო ლოყის ქვეშ. იმ შორეულ წლებში კი, როცა თირკმელები სტანჯავდა და როცა პირველი სიკვდილიც ამ სატანჯველს მოჰყვა, მაშინაც კი საოცარი უნარი გააჩნდა, ერთდროულად ყოფილიყო ყველგან, კიბეზე რომ ადიოდა, იმავდროულად ჩადიოდა კიდევ, ზღვას რომ მოკადოებელი გასცქეროდა, იმავე წუთებში რომელიმე ქალთან იცხრობდა ვნებას. ეს სულაც არ გახლდათ მისი რაიმე განსაკუთრებული თვისება, როგორც ირწმუნებოდნენ მლიქვნელები, არც საერთო ჰალუცინაცია იყო, როგორც ამბობდნენ მისი მტრები, უბრალოდ, მას ჰყავდა ორეული, თავისი ალი და კვალი, ძალივით ერთგული პატრისიო არაგონესი. იგი არავის უძებნია საგანგებოდ, შემთხვევით წააწყდნენ. ჩემო გენერალო, ზუსტად თქვენნაირი კარეტი დადის ინდიელთა სოფლებში, პრეზიდენტად ასაღებს თავს. მართლა ძალიან გგავთ, ჩემო გენერალო, ვინც კარეტაში შეჭვრეტა მოასწრო, ყველა ირწმუნება, ჩვენი გენ-

ერალივით ნაღვლიანი გამოხედვა და გაცრეცილი ტუჩები აქვსო, აბრეშუმის ხელთათმანიც აცვია და გზადაგზა სამკურნალო მარილსაც ურიგებს სნეულებსო. კარეტას ორი ვითომ ოფიცერი დაჰყვება ცხენით, მარილში ფულს ახდევინებენ ხალხს. ხედავთ, რა სინდისგარეცხილები და უტიფრები არიან, ჩემო გენერალო. მაგრამ გენერალმა ცრუპენტელა კაცის დასჯა როდი მოითხოვა, პირიქით, აქ მომგვარეთ, სასახლეშიო, ბრძანა, ეცადეთ არავინ დაგინახოთ, იმ კაცსაც ტომარა ჩამოაცვით თავზე, ხომ შეიძლება მე ვეგონო ვინმესო. მართლაც მოჰგვარეს და მართლაც ისე დიდი იყო მსგავსება, რომ პრეზიდენტმა შეურაცხყოფილად იგრძნო თავი. დალახვროს ეშმაკმა, ნუთუ ეს მე ვარ, მაგრამ არც მთლად ასე იყო საქმე, იმ კაცს ხმა არ უგავდა პრეზიდენტისას, იმ ხანებში ჯერ კიდევ არ ჰქონდა შეთვისებული მისი მბრძანებლური კილო. თუ ეს კაცი მე ვარ, თქვა მან, აბა სცადოს და ჩემს ხმაზე გასცეს ბრძანებები. ამოდო გაირჯება, ჯერ არავინ დაბადებულა ამის გამკეთებელი. და თუ მან ამ გაიძვერა კაცის დახვრეტა არ ბრძანა, განა იმიტომ, რომ განიზრახა საკუთარ ორეულად ექცია იგი, რაც ცოტა მოგვიანებით აღასრულა კიდევ, არ ბრძანა იმიტომ, რომ შეეშინდა, ამ კაცის ხელისგულზე გავლებულმა ბედ-იღბლის ხაზმა ჩემს ბედ-იღბალზეც არ იმოქმედოს ცუდადო. მაგრამ როცა პატრისიო არაგონესმა ექვსჯერ მოიგერია თავდასხმა, მაშინ კი საბოლოოდ დარწმუნდა თავისი შიშის უსაფუძვლობაში. მართლა ძალიან ჰგავდა პატრისიო არაგონესი პრეზიდენტს, განსაკუთრებით სიარულით. მას ხომ იქამდე ურტყეს ხის ჩაქუჩი ფეხისგულეებში, ვიდრე პრეზიდენტივით ბრტყელტერფა არ გახადეს, ვიდრე მასავით ფლატუნა სიარული არ მიიჩვიეს, ყურებმაც კი მასავით დაუწყო ზუზუნი, თიაქარიც მასავით ახსენებდა თავს, განსაკუთრებით. ზამთრობით, გათენებულზე. ოქროს დეგების შეკვრასაც დიდ დროს ანდომებდა, თასმები და ბალთებიც ვითომ ერთმანეთში ებლანდებოდა, ამას განგებ სჩადიოდა, აუდიენციიანზე გული არ მიუჩქაროდა, ბუზღუნებდა, ღმერთმა დასწყევლოს ამის მომგონი და უვიცი ფლამანდიელი მჭედლეიცო. როცა მინის მბერავად მუშაობდა მამამისთან, ერთი ლაზღანდარა კაცი იყო, ახლა პირქუში და მუნჯი გამხდარიყო, სამაგიეროდ მოსაუბრეს თვალს თვალში უყრიდა, იქ ამოვიკითხავ შენს გულისნაღებსო, შეკითხვაზე შეკითხვითვე პასუხობდა, თქვენ როგორ ფიქრობთო, ეს თაღლითი კაცი, სულ ცოტა ხნის წინ ვითომ სასწაულმოქმედ მარილს რომ ურიგებდა ხალხს და თანაც არცთუ უანგაროდ, ახლა საქმიანი და წუწურაქი გამხდარიყო. ქალებსაც უბოდიშოდ ექცეოდა, წუთს არ კარგავდა, ხან ერთს დაახტებოდა ზედ, ხან მეორეს. ტანგაუხდელს ეძინა იატაკზე, პირქვე, უბალიშოდ. მან უარი თქვა საკუთარ პატივმოყვარეობაზე, სურვილებზე, უარი თქვა საკ-

უთარ თავზე, უარი თქვა იმ ხელობაზე, დაბადებიდანვე რომ ეწერა შუბლზე, მინის მბერავობაზე. ეს ყველაფერი გაცვალა რისკზე, იმ რისკზე, რომელიც მუდამ თან სდევს უმაღლეს ხელისუფალთა ცხოვრებას. პატრისიო არაგონესი რისკავდა, როცა პირველი ქვის დადების ცერემონიალზე მიდიოდა იქ, სადაც მეორე ქვა არც არასოდეს დაიდებოდა. რისკავდა, როცა სადღაც რაღაცის საზეიმო გახსნაზე მიდიოდა ლენტის გასაჭრელად, თანაც პირდაპირ მტრის ხახაში, მოწინააღმდეგე მხარის შუაგულში, ესწრებოდა სილამაზის კონკურსებს, რათა ეფემერული და მიუწვდომელი სილამაზის დედოფლისათვის გამარჯვებულის გვირგვინი დაედგა თავზე. სხვაგვარად მათთან მიკარებაც კი სასტიკად ეკრძალებოდა. ბოლოს და ბოლოს იგი შეეგუა თავის დაწყევლილ ბედს, შეეგუა სხვისი ცხოვრებით ცხოვრებას. ეს ნაბიჯი სიხარბის გამო არ გადაუდგამს, არც რაღაც რწმენისთვის უარუყვია საკუთარი თავი, უბრალოდ, სხვა გზა არ ჰქონდა, მარადიული მატყუარას თანამდებობა, თვეში ორმოცდაათი პესო და შანსი იმისა, რომ არ იყო მეფე, მაგრამ მეფესავით უნდა ეცხოვრა. მას ხომ ეს ყველაფერი, რომ იტყვიან, აჩუქეს სიკვდილით დასჯის სანაცვლოდ, მასაც მეტი რა უნდოდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ კიდევ უნდოდა რაღაც. ერთხელ, ღამით, პატრონი შემთხვევით გადააწყდა სანაპიროზე ჟასმინის სურნელოვან ბუჩქთან მიმჯდარ დანალვლიანებულ თავის ორეულს და გულითადად ჰკითხა, რა მოგივიდა, პატრისიო, სადილობისას ვინმემ ხომ არ სცადა შენი მოწამვლა, ან ვინმემ ხომ არ გაგთვალაო. უარესი მჭირს, ჩემო გენერალო, უთხრა პატრისიო არაგონესმა, შაბათს კარნავალის დედოფალს გვირგვინი დავადგი თავზე და პირველი ვალსიც ვეცეკვე, ახლა კი ვერაფრით მიპოვია ის კარი, საიდანაც შევძლებდი ამ მოგონების გაძევებას. აღარ ვიცი, რა გზას ვეწიო, ასეთი ლამაზი ქალი დედამიწის ზურგზე არ დადის, ნეტავი ერთი განახათო. პრეზიდენტმა შვებით ამოისუნთქა, ქალი ნდომებია, მე კი რა არ ვიფიქრეო, და შესთავაზა, მოვიტაცოთ ეგ შენი მზეთუნახავიო. თვითონაც ბევრჯერ მოქცევია ასე ვითომ უკარება ქალებს, რომლებიც მერე და მერე, წლების მანძილზე დიდად კმაყოფილნი ცხოვრობდნენ მასთან ერთად. ძალით ჩაგიგორებ საწოლში ოთხი ჯარისკაცი ხელ-ფეხს გაუკავებს, შენ კი ამასობაში მიდი და დიდი ჩამჩით მიირთვი რამდენიც გენებოს. მაგისტანები გვინახავს, ჯერ ვითომ არ უნდათ, თავს იფასებენ, ინაზებებიან, მერე კი გეხვეწებიან, დამპალი ვაშლივით არ მოგვისროლოო. მაგრამ პატრისიომ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, არა, ჩემო გენერალო, მე მეტი მინდა, მე მინდა იმ ქალს ვუყვარდე, მინდა სასურველი მამაკაცი ვიყო მისთვის, უმშვენიერესი ქალია, ჩემო გენერალო, თავადვე დარწმუნდებით, როცა პირადად გაიცნობთ. პრეზიდენტმა გაიფიქრა, ეს თუ ცოტა არ დავა-

მშვიდე, ცუდადაა მისი საქმეო, და ამ სატანჯველიდან თავის დაღწევის ერთგვარი ფორმულა შესთავაზა. ღამითო, უთხრა პატრიისოს, ჩემი ქალების სამყოფელში შეიპარე და რამდენიც გინდა ისიამოვნე, ოღონდ ერთი პირობით, ჩემსავით მოიქეცი, რჩევა და ტანზე გახდა არ დამიწყეო იქ, მოახტი პირველსავე ქალს და იმოქმედე სწრაფად. პატრიისო არაგონესმაც კეთილსინდისიერად შეტოპა სხვისი სიყვარულის ჭაობში. რატომღაც ეგონა, საკუთარ ვნებას უშველიდა, ჩაიხშობდა, მაგრამ მართლაც ისე შეტოპა, რომ ზოგჯერ ავიწყდებოდა კიდევ სესხის პირობები, — მოძრაობდა ნელა, თითქოს გემოს ატანსო, ალერსთან მწყრალად მყოფ ქალებსაც კი უღვიძებდა სურვილს, აიძულებდა სიამოვნებისაგან ეკვნესათ და თანაც გაოცებულებს ეკისკისათ სიბნელეში, ეს რა ონავარი და დაუდებარი ყოფილხართ გენერალო, თანაც ამ ასაკში, საკვირველია პირდაპირ. სწორედ მას შემდეგ ვერც პრეზიდენტი, ვერც პატრიისო და ვერც ქალები ვერ იტყოდნენ ზუსტად, ვინ ვისი შვილი იყო ან ვინ ვისი მამა. ყველა სიკეთესთან ერთად პრეზიდენტსაც და პატრიისოსაც უდღეური შვილები ებადებოდათ. პატრიისო არაგონესმა მოიპოვა ყველაზე შინაური, საჭირო და პატივსაცემი, ყველაზე საყვარელი და იქნებ ყველაზე საშიში კაცის სახელი სასახლეში. სამაგიეროდ პრეზიდენტმა მოითქვა სული, უამრავი თავისუფალი დრო ებოძა პატრიისოს წყალობით. როგორც ოდესღაც, ძალიან დიდი ხნის წინათ, თავისი სამსახურებრივი კარიერის დასაწყისში, პრეზიდენტი ახლაც დიდ დროს ახარჯავდა შეიარაღებულ ძალებს. ჩვენ გვეგონა, პრეზიდენტს არმია მიაჩნდა თავის საიმედო დასაყრდენად და იმიტომაც ფიქრობდა მასზე ამდენს, მაგრამ აღმოჩნდა პირიქით. საქმე ის არის, რომ პრეზიდენტი სწორედ იქიდან ელოდებოდა საფრთხეს და იმიტომაც ადევნებდა თვალს სამხედროების ყოველ ნაბიჯს. ყაზარმებში დადიოდა, ოფიცრებს ცალცალკე აქებებდა, ამან ეს თქვა, იმან ის თქვაო. ყველა ერთმანეთს გადაკიდა, ოღონდ ერთად არ ყოფილიყვნენ და ზოგს სად ამწესებდა სამუშაოდ და ზოგს სად, ყველანაირად ცდილობდა შეთქმულების საყრდენი შეესუსტებინა. ყაზარმებს ისეთი ვაზნებით ამარაგებდა, ათიდან რვა რომ ფუჭი და უვარგისი იყო, ღენტში ნახევარზე მეტი სილა ერია, სამაგიეროდ სასახლის სარდაფები იყო იარაღით გამოტენილი, გასაღებები მხოლოდ მას ჰქონდა, თანაც თითო-თითო. სარდაფების გაღებისას ყოველი შემთხვევისთვის, უფრო მეტად დაცვის მიზნით, საკუთარი აჩრდილივით დაჰყვებოდა განუყრელი მეგობარი, საკადრო არტილერიისტი გენერალი როდრიგო დე აგილარი, რომელიც ერთდროულად თავდაცვის მინისტრიც იყო, პრეზიდენტის გვარდიის მეთაურიც და ეროვნული უშიშროების სამსახურის უფროსიც, მცირერიცხოვან მოკვდავთაგან მხოლოდ მას ჰქონდა მოგ-

ების უფლება პრეზიდენტთან დომინოს თამაშისას. აქ არც არაფერი იყო გასაკვირი, როდრიგო დე აგილარმა ხომ მარჯვენა ხელი მაშინ დაკარგა, როცა განაღმვისას დინამიტი აუფეთქდა იმ ადგილას, სადაც სულ რაღაც ორიოდ წამში პრეზიდენტის კარეტას უნდა ჩაეველო. ასე რომ, როდრიგო დე აგილარისა და პატრისიო არაგონესის წყალობით პრეზიდენტი ისე არხეინად გრძნობდა თავს, რომ საერთოდ გაუქრა თავდაცვის ინსტინქტი და ხალხშიც ხშირ-ხშირად იწყო გასვლა. ქალაქში მხოლოდ ერთი ადიუტანტის თანხლებით და ჩვეულებრივი, უღერბო, ფარდებგადაწეული კარეტით დადიოდა. უკვე მერამდენედ ავლებდა თვალს მოოქროსფერო ქვით ნაგებ დიდებულ ტაძარს, რომელიც მისივე დეკრეტით მსოფლიოს ულამაზეს ტაძრად იქნა გამოცხადებული, თვალს ავლებდა ძილის დროინდელ პორტალებით მორთულ აგურის ძველისძველ შენობებს, ზღვისკენპირშექცეულ მზესუმზირებს, ათვალიერებდა ვიცე-მეფეთა კვარტალის ქუჩებს, სადაც სანთლების ნამწვის სუნი იდგა. აივნებზე ხედავდა მიხაკებისა და იაჟუჟუნების ქოთნებშუა ჩამჯდარ, მაქმანის ქსოვაში გართულ ფერგამკრთალ ქალიშვილებს, რომლებსაც უბიწოება ეხატათ სახეზე. ბისკაელ ქალთა მონასტრიდან ყოველდღე ზუსტად სამ საათზე მოესმოდა კლავიკორდზე შესრულებული ის სავარჯიშოები, უხსოვარ დროში კომეტის პირველი ჩავლის აღსანიშნავ ზეიმზე რომ უკრავდნენ. ერთხელაც სავაჭრო კვარტალის ბაბილონურ ხალხმრავლობაში გაერია. შმაგი მუსიკით დაყრუებული შესცქეროდა დროშებივით გამოფენილ ლატარიის ბილეთებს, გუარაპოთი დატვირთულ ორთვალეებს, იგუანას კვერცხების მთას, გამოსუნებულ თურქულ ძველმანებს, ურჩობისათვის მშობლების მიერ მკაცრად დასჯილ მორიელად ქცეულ ქალს. უკაცო ქალების უბადრუკ ქუჩაზეც ჩაიარა. მოსაღამოვებულზე ეს ქალები ლამის შიშვლები გამოდიოდნენ ერთი-ორი ნაჭერი თევზის საყიდლად და მემწვანნილეთთან სალაყბოდ. ამასობაში კი მათი საცვლები შრებოდა რიკულებიან ხის აივნებზე. ქუჩის ბოლოში რომ გავიდა, დამპალი ნიჟარების სუნი ეცა, ვარხვების გუნდი თეთრად ანათებდა შორიდან, ცოტა იქით, ზედ ზღვის უბეში უწესრიგოდ მიმოფანტულიყვნენ ზანგების ჭრელაჭრულა ქოხმახები და აგერ ისიც, პორტი, ო, პორტი, დამპალი ფიცრებისგან შეკოწიწებული ნავსადგომი, იქვე ქვეითთა ძველი ჯავშნოსანი, უფრო გრძელი და უფრო პირქუში, ვიდრე სიმართლე. უცებ კარეტამ, ცოტას გაწყდა, ბორბლებში არ მოიყოლა მტვრითავი ზანგი ქალი. იგი განზე გახტა, რათა გზა მიეცა ის-ის იყო რატომღაც შემობრუნებული კარეტისათვის. და სწორედ ამ დროს ქალმა ბერიკაცს მოჰკრა თვალი კარეტაში და მოეჩვენა, თავად სიკვდილი ვიხილეო. ბერიკაცი მსოფლიო სევდით სავსე თვალებით შესცქეროდა ნავსადგო-

მს. ის არის, შესძახა აღტაცებულმა ქალმა, გაუმარჯოს მაჩოს. გაუმარჯოს, გაუმარჯოს, ტავერნებიდან, სამიკიტნოებიდან დაბარებულებივით გამოცვივდნენ კაცები, ქალები, პატარა ბიჭები. ზოგმა იმარჯვა და ცხენებს აღვირში წვდა. კარეტას გარს შემოეხვივნენ, ყველანი ცდილობდნენ ხელი ჩამოერთმიათ ქვეყნის პირველი კაცისათვის. მთელი ეს აგზნებული, ატაცებული ბრბო რაღაც ისე ბუნებრივად, ისე სწრაფად შეგროვდა, რომ მან ძლივს მოასწრო ადიუტანტისათვის ხელი აეკრა რევოლვერზე. რისა გეშინიათ, ლეიტენანტო, რას ერჩით ამ ხალხს, მე მათ ვუყვარვარ. ბერიკაცი მეტისმეტად ააღელვა სიყვარულის ასეთმა გამოვლინებამ. მომდევნო დღეებშიც სიხარულის ყიჟინით ხვდებოდნენ მის გამოჩენას. გენერალმა როდრიგო დე ავილარმა ძლივს დაითანხმა ქალაქში ღია კარეტით აღარ გასულიყო. რა მოხდა ასეთი, გენერალო, ჩვენი ქვეყნის პატრიოტებმა ერთხელ მაინც მიხილონ თავით ფეხებამდეო. ვერც კი მიხვდა, მხოლოდ პორტში რომ შეხვდა ხალხი ნამდვილი პატრიოტული აღტყინებით, დანარჩენი შეხვედრები კი მისივე უშიშროების სამსახურის მიერ იყო მოწყობილი მისსავე საამებლად, თანაც უსაფრთხოდ, ყოველგვარი რისკის გარეშე. თავისი შემოდგომის წინა დღეებში ისე აუჩუყა გული მის მიმართ გამოჩენილმა საყოველთაო სიყვარულმა, რომ წლობით კარჩაკეტილი ცხოვრების შემდეგ უცბად განიზრახა, დედაქალაქიდან გასულიყო და ქვეყნის შორეული კუთხეები მოენახულებინა. სასწრაფოდ გასცა ბრძანება, ჩიხიდან გამოეყვანათ ეროვნული დროშის ფერებად გადაღებული ძველისძველი მატარებელი. მალე ეს მატარებელი კატასავით მიიზღაზნებოდა ნაღვლით დამძიმებული, უზარმაზარი სამეფოს კარნიზებზე, ორქიდებისა და ამაზონური ბალზამინების ბუჩქებში, აფრთხოდა მაიმუნებს, სამოთხის ჩიტებს და რელსებზე მთვლემარე ლეოპარდებს. ასე გადასერა მან მთელი ქვეყანა და მიადგა მიკარგულ, დათოვლილ სოფლებს, თავის მშობლიურ მხარეს. სადგურებზე სამგლოვიარო მუსიკით ხვდებოდნენ, ზარებიც სამგლოვიაროდ რეკდნენ, მრავლად გამოფენილ ტრანსპარანტებზე მას მოიხსენიებდნენ როგორც წმ. სამების მარჯვნივ მჯდომ უსახელო მოციქულს. მატარებელთან ძალით მორეკილი ინდიელები ცდილობდნენ წამით მაინც შეეველოთ თვალი სამთავრობო ვაგონის იმქვეყნიურ ბინდს მიღმა ჩაყუჩული ხელისუფალისთვის, მაგრამ ვინც ვაგონთან ახლოს მისვლა და მტვრიან ფანჯარაში შეხედვა მოახერხა, მხოლოდ გაკვირვებულ, გადმოკარკლულ თვალებს, მოცახცახე ტუჩებს და მისალმების ნიშნად გამოშვერილ გაურკვეველ ხელისგულს შეასწრო თვალი. ერთ-ერთი პირადი მცველი ამაოდ ცდილობდა ფანჯრიდან მის გამორიდებას. ფრთხილად, გენერალო, თქვენ სჭირდებით სამშობლოს. ნუ ღელავთ, პოლკოვნიკო. ამ ხალხს მე

ვუყვარვარ. შემდეგ იგი მატარებლიდან ხის ბორბლიან სამდინარო გემზე გადაჯდა და განაგრძო გზა. ბორბლის ფრთები, თითქოს პიანინოს კლავიშებია და ვალსს უკრავსო, ფართო, ნარნარ წრეებს ტოვებდა წყლის ზედაპირზე. გემი ტაატით მიიწევდა გარდენიების მოტკბო სურნელსა და ეკვატორულ შენაკადებში ჩამპალ სალამანდრებს შორის, გვერდს უვლიდა ისტორიამდელ ხვლიკების ჩონჩხებსა და ღვთისგან მივიწყებულ კუნძულებს, სადაც სირინოზები სტუმრობდნენ მხოლოდ. ჩამავალ მზის შუქზე შორეთი ცეცხლის ალში გახვეულ დიდ, გამქრალ ქალაქებივით გიზგიზებდა. ამასობაში კი ნაპირს მომსკდარი მთელი სოფელი გაოცებული შესქცეროდა ეროვნულ დროშისფერებად გადაღებულ გემს, პრეზიდენტის კაიუტის ილუმინატორიდან მისალმების ნიშნად გამოშვებული ხელი კი არავის დაუნახავს. სამაგიეროდ თავისი კაიუტიდან ის ხედავდა, დროშების ნაცვლად მალანგის ტოტებს რომ იქნევდა ხალხი ჰაერში. ზოგი მდინარეშიც კი შევიდა, ვინ თხას მოათრევდა, ვინ სპილოს ფეხივით ვებერთელა ნიამის ბოლქვებს, ვინ პრეზიდენტის საკადრის ქათმებით სავსე კალათას. იგი ყოველივე ამის შემხედვარე გულაჩუყებული ბუტბუტებდა ეკლესიასავით შუქმიძქრალ თავის კაიუტაში. კაპიტანო, შეხედეთ, როგორ მოგვდევენ, შეხედეთ, როგორ ვუყვარვარ ყველას. დეკემბერში, კარიბის ქვეყნებში გაზაფხულის დადგომისას, იგი თავისი კარეტით მიემართებოდა ციცაბო კლდის თავზე წამომართული შენობისაკენ, სადაც მთელი საღამო დომინოს ეთამაშებოდა კონტინენტის სხვა ქვეყნების ყოფილ დიქტატორებს, სხვა სამშობლოების ან დამხობილ მამებს, რომლებსაც უთვალავი წლის წინათ უბოძა თავშესაფარი. ისინიც მისი სტუმართმოყვარეობის ჩრდილქვეშ შეყუჟულნი ნელ-ნელა ნებდებოდნენ სიბერეს. ტერასებზე ჩარიგებულ სავარძლებში ჩაფლული ცოცხალი ლეშები თავს ინუგეშებდნენ, ერთ მშვენიერ დღეს ქიმერული ხომალდი უსათუოდ მოგვაკითხავს და კვლავ ხელისუფლებაში დაგვაბრუნებსო. ეს სახლი პრეზიდენტმა ზღვისპირა კლდის თავზე მაშინ ააგო, როცა სტუმრები მომრავლდნენ, თუმცა რა ერთი და რა ასი, მისთვის ყველა ერთი იყო. ერთ დღეს მაინც დილაუთენია ბევრი მოადგა სასახლეს. საპარადო მუნდირები სინქარეში პირდაპირ საშინაო პიჟამოებზე ჩაცვათ, თან წამოეღოთ ხაზინიდან მოპარული ფული და ორდენებით, გაზეთებიდან ამონაჭრებითა და სურათებით გაძეძგილი ჩანთები. მასპინძელს პირველსავე აუდიენციაზე უჩვენებდნენ სურათებს, როგორც რწმუნების სიგელს. აი, ნახეთ, გენერალიო, აქ ჯერ ისევ ლეიტენანტის ჩინი მაქვს. ეს სურათი პრეზიდენტად არჩევის დღეს გადამიღეს, ეს კი ჩემი პრეზიდენტობის მეთექვსმეტე წლისთავზეა გადაღებულიო. აი, ეს ნახეთ, გენერალო. მაგრამ გენერალმა მოსულებს პოლიტიკური თავშესაფარი ისე

უბოძა, სულაც არ დაინტერესებულა არც მათი წარმომავლობით და არც მათი რწმუნების სიგელებით. ერთადერთი საბუთი, რომელსაც შეუძლია დამხობილი პრეზიდენტის პიროვნება დამიდასტუროს, გარდაცვალების ცნობა გახლავთო, ამბობდა ის და გაბებრებული ისმენდა მათ უაზრო ლაქლაქს, დროებით გესტუმრეთ, ჩემო გენერალო, სულ ცოტა ხნით, ვიდრე ჩემი ხალხი ვკლავ მიხმობსო. მაგრამ მასპინძელმა მშვენივრად იცოდა, ეს იყო პოლიტიკური თავშესაფრის მისაღებად საჭირო გაცვეთილი ფორმულა, რახარუხა სიტყვები და მეტი არაფერი. ყველა ერთნაირად რატრატებს, პირველად მოსულიც და ბოლოს მოსულიც, დამხობილიც და დამამხობელიც. ამ უტვიზოებს ლობიოს ჭამა ეგონათ პოლიტიკოსობა, ის კი არ იცოდნენ, თუ დაეცი, მორჩა, გათავებულია შენი საქმე, ახლა კი თავს იტყუებენ სულელური ილუზიებით. ახალმოსულებს პირველი ორი-სამი თვე თავის სასახლეში აბინავებდა და მანამ ეთამაშებოდა დომინოს, სანამ ბოლო სენტავოს არ წავლევდა. ჯიბე რომ გამომიფხიკა, ჩემო ბატონო, მერე ზღვისკენ გაჭრილ ფანჯარასთან ხელკავით მიმიყვანა და გამიბა გულითადი საუბარი, ისაო, ეს ცხოვრება ხანმოკლეაო. ერთი ბოლო აქვსო, მაგრამ რაკი ვაცის გული გაუმაძღარია, ხომ ხედავთ აგერ იმ დიდ სახლს ზედ კლდის თავზე, ტრანსატლანტიკურ გემს რომ ჰგავს მთის წვერზე შერჩენილს, იქაო თქვენ გელოდებათ ნათელი ვაიუტა, გემრიელი კერძები და უამრავი თავისუფალი დრო, რათა თქვენსავით ბედკრულ ადამიანებთან ერთად დაისვენოთ მშვენიერ ტერასაზე, რომელიც პირდაპირ ზღვას გადასცქერისო. დეკემბერში, საღამოობით მასაც უყვარდა ტერასაზე გასვლა, მაგრამ ამ იმპოტენტებთან მაინცდამაინც დომინოს სათამაშოდ კი არა, უბრალოდ, სურდა ამ დამყაყებელი, ბეხლენი ადამიანების დანახვაზე განეცადა იდუმალი სიხარული და უპირატესობა იმის გამო, რომ თვითონ ერთ-ერთი ამათგანი არ იყო. ამიტომაც გადაწყვიტა, კვლავ ბოლომდე გამოეწურა ცხოვრება, ტკბილი ოცნებები სინამდვილედ ექცია და ცოდვილი სურვილები დაეკმაყოფილებინა, ამიტომაც ეძებდა დამყოლ მულატ ქალებს, დილაუთენია რომ იწყებდნენ ოთახების დაგვა-დალაგებას, ეძებდა და ადვილადაც პოულობდა თმის საცხისა და საერთო საძინებელი ოთახის საძაგელი სუნის წყალობით. ჩაუსაფრდებოდა რომელიმე მათგანს, სადმე კარს უკან მიიმწყვდევდა და ისე დაჩინჩლავდა, როგორც მამალი დედალს, თან სიბნელეში ესმოდა ქალის კრიახი, ეს რა ყოჩალი ყოფილხარ, ჩემო გენერალო, ამ ხნისა და ასეთი ყოჩალი, საკვირველია პირდაპირ. მაგრამ არც ეს წამიერი სიყვარული ამშვიდებდა, პირიქით, სევდით ევსებოდა გული და მის გასაქარვებლად სადღაც მოფარებულში მიყუჟული მღეროდა, იანვრის შუქმფინარე მთვარევე, შენს სარკმელთან, როგორც ეშაფოტზე, ვდგავ-

არ სევდიანი. ისე სჯეროდა, ხალხს ვუყვარვარო, რომ გაზაფხულობით თავის ჰამაკს დედამისის ბენდისიონ ალვარადოს სახლის ეზოში ჰკიდებდა და ტამარინდების ჩრდილში ატარებდა სიესტებს პირადი დაცვის გარეშე. ესიზმრებოდა საძინებელი ოთახის კედლებისფერ წყალში უთავბოლოდ მორიალე თევზები. სამშობლო ყველაზე კარგი გამოგონებაა, დედა, ოხრავდა იგი, თუმცა ნაკლებად ელოდებოდა მის პასუხს. დედა იყო ერთადერთი ადამიანი ვისაც შეეძლო პირში მიეხალა მისთვის, იღლიაში საძაგელი სუნი აგდისო. სიესტის მერე იგი სახლში ბრუნდებოდა დამშვიდებული და მთელი ქვეყნის მიმართ კეთილად განწყობილი. ბრუნდებოდა კარიბული გაზაფხულისა და ბალბების სურნელით მთვრალი. ასეთ წუთებში იგი მზად იყო შერიგებოდა პაპის ნუნცს და ასეც აკეთებდა. ნუნციც სადამოლობით არაოფიციალურად სტუმრობდა მას, ფინჯან შოკოლადსა და ნამცხვარს მიირთმევდა, თან ცდილობდა სულიერი საუბრით კვლავ ქრისტეს სარწმუნოებისკენ მოექცია მასპინძელი, ის კი სიცილით კვდებოდა, თუ ასეთი ყოვლისშემძლეა ეგ თქვენი ღმერთი, თხოვეთ ჩემ მაგიერ, მომაშოროს ის ჭრიჭინა, ყურში რომ მყავს შემძვრალიო. მერე ცხრა ღიღზე გაკრულ ხვანჯარსაც იხსნიდა, გადმოულაგებდა თავის უზარმაზარ თიაქარს და ეუბნებოდა, უთხარით თქვენს ღმერთს, ეს ქმნილება დამიჩუტოსო. მაგრამ პაპის ნუნცი თავისაზე იდგა, ამქვეყნად ყოველივე ღვთის ნებააო. ის კი კვლავ იცინოდა, ტყუილად ირჯებით, მამაო, ნეტავ რაღად უნდა მომაქციოთ, ისედაც იმას ვაკეთებ, რაც თქვენა გსურთ, და ასე სიცილსიცილსა და საუბარში ათენდებოდათ თავზე და მასპინძელიც კარამდე აცილებდა თავის სტუმარს. მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს მის უშფოთველობას მოულოდნელად მოელო ბოლო და ეს მოხდა პარამოს ერთ სოფელში, მამლების ბრძოლისას. ერთმა ღონიერმა, გაშმაგებულმა მამალმა ასევე გაშმაგებული და აზარტში შესული მაყურებლის თვალწინ თავის მეტოქეს თავი წააცალა და ვიდრე მთვრალი მუსიკოსები ტაშს აგრიანებდნენ გამარჯვებულის საპატივცემულოდ, იქამდე კორტნა, ვიდრე მთლად არ შემოეჭამა. პრეზიდენტს გულმა რეჩხი უყო, ნამდვილად მიმანიშნეს, შენც ასეთი დღე გელისო. ეს ისე აშკარად იგრძნო, რომ თავის მხლებელს ჩუმად უბრძანა, ბუკს რომ უბერავს, ის კაცი დააპატიმრეთო. მუსიკოსს იარაღიც აღმოაჩნდა და იქამდე აწამეს, ვიდრე არ აღიარა, როცა ხალხის გასასვლელისკენ გაემართებოდა, დრო უნდა მეხელთა და პრეზიდენტი მომეკლაო. მაშინვე მიხვდით, თქვა პრეზიდენტმა, მიხვდით, ჩემთვის რომ უნდა ესროლა, ყველას თვალებში შევცქეროდი, ყველა თვალებში შემომცქეროდა, ეგ კი თვალებს ვერ მისწორებდა, ერთხელაც არ შემოუხედავს ჩემთვის, რა ეგონა მაგ საცოდავ რქიან რქაზე დამკვრელს, ვერ შევამჩნევდი თუ რა. მაგრამ

ამ პრეზიდენტი ძალიან კარგად ხვდებოდა, ამით რომ არ დამთავრდებოდა მისი შფოთი და შიში, სასახლეშიც კი ვერ გრძნობდა თავს მშვიდად და უშიშრად. ყველაფერი წესრიგშია, ჩემო გენერალო, არავითარი საფუძველი არ არსებობს შიშისაო, გულდაჯერებით არწმუნებდა უშიშროების სამსახურის წარმომადგენელი, მაგრამ პრეზიდენტს იმ ზომამდე აწვალებდა მამლების ბრძოლის დროს გაჩენილი წინათგრძნობა, რომ ცოტას გაწყდა, ადგილი არ გაუცვალა პატრისიო არაგონესს. თავის კერძს აჭმევდა, თაფლს თავისი კოვზით სთავაზობდა, თუ მოწამლულია, ბოლოს და ბოლოს ორივენი მოვკვდებით და ეგ იქნებაო, თავს იმშვიდებდა აფორიაქებული. ორივენი მდევარდადევნებულებივით დაბორიანობდნენ მივიწყებულ, ცარიელ ოთახებში, ცდილობდნენ მხოლოდ ხალიჩებზე ევლოთ, ვერავინ გაიგონოს ჩვენი ნაბიჯების, სპილოს ნაბიჯების ხმაო. ერთად დაცურავდნენ დარბაზებში ფანჯრებიდან შემოღვრილ მწვანე შუქში, რომელიც ყოველ ნახევარ წუთში ინთებოდა სადღაც შორს, უსასრულობაში. შუქთან ერთად ფანჯრებიდან აღწევდა დამწვარი ნაკელის კვამლი და მიძინებულ ზღვაში ღამეული გემების ნაღვლიანი გუგუნი. უმაქნის, უძლურ საყვარლებივით სექტემბრის მომთენთავ დღეებს მერცხლების დათვლაშიც ატარებდნენ. მთელ ქვეყნიერებას მოწყვეტილ პრეზიდენტს აზრადაც არ მოსდიოდა, რომ მისი ყოველგვარი ცდა, ერთდროულად ყოფილიყო ყველგან, აქაც და იქაც, ხალხში ეჭვს ბადებდა, არსებობს კი იგი საერთოდ, იქნებ სულაც ლეთარგიულ ძილშია ჩაძირულიო. და თუმცა პირადი დაცვა გაუძლიერეს, თუმცა სასახლეში აგრე იოლად ვერც ვერავინ შევიდოდა და ვერც ვერავინ გამოვიდოდა, ამბობდნენ, თითქოს ვიღაცამ მაინც მოახერხა სასახლეში შეღწევა. მკვდარი ჩიტებით სავსე გალიები უნახავს, ძროხებიც უნახავს თურმე, პირდაპირ წმინდა ემბაზიდან სვამდნენ წყალს, უნახავს ვარდის ბუჩქებში მიძინებული კეთროვნები და ხეიბრები. რაკი ხალხში ხმა დაირხა, ჩვენი ხელისუფალი ზუსტად ისე მომკვდარა, როგორც დიდი ხნის წინათ ერთმა ნათელმხილველმა ამოუკითხა წყლიან თასში, ძილში გაიპარებო, ქვეყანამ ისე განაბა სული, თითქოს შუადღის მერე კვლავ დილის მობრუნების მომსწრენი უნდა გამხდარიყვნენ, მაგრამ იმასაც ამბობდნენ, მაღალჩინოსნები არ ჩქარობენ მისი სიკვდილის გამოცხადებას, რადგან ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაერივნენო. ის კი თუმცა არად აგდებდა ამ ხმებს, მაინც გრძნობდა, რომ მის ცხოვრებაში სულ მალე რაღაც მნიშვნელოვანი უნდა მომხდარიყო. უკდა დომინოს დაუმთავრებელ პარტიას და საცოდავ გენერალ როდრიგო დე აგილარს ტვინს უბურღავდა შეკითხვებით, როგორ არის საქმეები, მეგობარო, აგილარი კი პასუხობდა, ყველაფერი ჩვენს კონტროლს ექვემდებარება, ჩემო გენერა-

ლო, სამშობლოში სიმშვიდეაო, მაგრამ პრეზიდენტს წინათგრძნობა არ ასვენებდა, ავის მომასწავებელ ნიშნებს ხედავდა ნაკელით დანთებულ ნაღვლიან ცეცხლის ენებშიც კი. ძველ, ჩალუსკუმებულ ჭაში იხედებოდა, იქნებ მის ფსკერზე ამოვიკითხო ჩემი ბედ-იღბალიო, მაგრამ ამაოდ, ვერაფერს ხედავდა და გარბოდა დედასთან, ბენდისიონ ალვარადოსთან, რათა იქ, ეზოში ტამარინდების ჩრდილში სული მოეთქვა სიცხისაგან შეწუხებულს. დედამისი, ბებრუხანა, მაგრამ სულით ძლიერი ქალი, შვილის გვერდით იჯდა თავის ძველ სარწეველა სავარძელში და სიმინდს მუჭა-მუჭა უყრიდა აქოთქოთებულ ქათმებსა და ფარშავანგებს. თეთრ ჩალის სავარძელში ჩაფლული პრეზიდენტი მარათი ინიავებდა დასიცხულ სახეს და სევდიანი, მშვიერი თვალებით შესცქეროდა ჯიშთან მულატ ქალებს, რომლებიც მოწიწებით სთავაზობდნენ შეფერადებულ ხილის წვენებს, მიირთვით, გაგრილდით, ჩემო გენერალო. ის კი შესცქეროდა მათ, ოხრავდა და ფიქრებში დედას შესჩიოდა, დედა-ჩემო ბენდისიონ ალვარადო რომ იცოდე რა უძლური ვარ ქვეყანას ველარ ვუვლი დავილაღე მინდა მოვშორდე აქაურობას ამ წვალებას მაგრამ სად წავიდე არ ვიცი. დედა ვერ ხვდებოდა შვილის ოხვრისა და ხვაშიადის ნამდვილ მიზეზს, ეგონა, ამ ქალების გამო ოხრავდა მისი შვილი, ის კი შელამებულზე გულდამძიმებული ბრუნდებოდა სასახლეში, სამარქაფო კარით შედიოდა დერეფანში, იქიდან კი ფეხაკრეფით მიიპარებოდა თავის ოთახისკენ, თან ყარაულების ფეხის ხმას აყურადებდა. პატრონს მოჰკრავდნენ თუ არა თვალს, ყარაულები ერთმანეთს არ აცლიდნენ ლაპარაკს, ყველაფერი წესრიგშია, ჩემო გენერალო, სრული სიმშვიდეაო. მაგრამ მან იცოდა, როგორც ყოველთვის, ახლაც ატყუებდნენ, იცოდა, არაფერი იყო მართალი ამ კრიზისულ დროში, სახელი და დიდება აღარაფრად უღირდა, განსაკუთრებით იმ ავბედითი მამლების ბრძოლის შემდეგ აღარ სურდა ხელისუფლობა. ღამით იატაკზე პირქვე დაგდებულს, უძილობისგან ილაჯგაწყვეტილს დოლების შორეული ბრაგაბრუგი და სტვირის ხმა ესმოდა. სადღაც ღარიბულ ქორწილზე მხიარულებას მისცემოდა ხალხი, მისი სიკვდილის დღესაც ალბათ ასე იმხიარულებენ. ესმოდა ღამის ორ საათზე კაპიტნის უნებართვოდ ზღვაში გასული რომელიღაც საეჭვო გემის ძილისპირულივით გუგუნი, ესმოდა, რა შარიშურით იშლებოდნენ ვარდის კოკრები განთიადის შესაგებებლად. ეს ყოველივე ესმოდა და ოფლად იღვრებოდა, სული ეხუთებოდა, რადგან პირველყოფილი ინსტინქტი წამითაც არ ასვენებდა, იმ საღამოს მოახლოებას უწინასწარმეტყველებდა, ერთხელ დედასთან სტუმრობის შემდეგ სასახლეში რომ ბრუნდებოდა და გზად ხალხის ბრბოს გადააწყდა. ფანჯრები ზოგან პირთამდე გაეღოთ, ზოგან ჩქარ-ჩქარა კეტავდნენ. ამ უჩვეულო გამოცოც-

ხლებით შემკრთალი მერცხლები ერთმანეთს აწყდებოდნენ დეკემბრის გამჭვირვალე ლურჯ ცაში. სასწრაფოდ გადასწია კარეტის ფარდა, რათა უკეთ დაენახა, რა ხდებოდა ქუჩებში. აი, რა მტანჯავდა, დედა, აი, რა არ მასვენებდა. რალაცნაირი ველური შვება იგრძნო ფერადი ბუშტების დანახვაზე, წითელი, მწვანე, ყვითელი ბუშტები ბროლივით ბზინავდნენ დღის ოთხი საათის შუქიან ცაზე. ბუშტები დაფეთებულ მერცხლების გუნდს შეერივნენ და ყველა ერთბაშად დასკდა უხმაუროდ. დასკდა და ჰაერშიც ბზრიალ-ბზრიალით წამოვიდა ათასობით ფურცელი და ქალაქს დაეფინა ქარიშხლიან ამინდში ჩამოცვენილი ფოთლებით. მეეტლემ დრო იხელთა და როგორც იქნა ბრბოს თავი დააღწია. არადა, არც არავის მიუქცევია ყურადღება ამ კარეტისთვის. ვერავინ იცნო პრეზიდენტის კარეტა. საამისოდ არავის ეცალა. უნდა გენახათ, ჩემო გენერალო, რა ზედახორა იღვა, ხალხი პირდაპირ ჰაერშივე იჭერდა საჰაერო ბუშტებიდან გამოცვენილ პროკლამაციებს. აივნებზე ხმამაღლა კითხულობდნენ, ქუჩებში კი გაჰყვიროდნენ, ძირს ტირანია, სიკვდილი ტირანს. გაუმარჯოს ყოველთა ერთობას საუკუნოვანი დესპოტიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, კმარა სისხლი, კმარა ნგრევაო. სასახლეში დაბრუნებულს ცუდი ამბავი დაახვედრეს, გენერალი პატრისიო არაგონესი მოწამლული ისრით დაჭრეს და კვდებაო. ორიოდე წლის წინ ერთ ნაღვლიან საღამოს მან პატრისიო არაგონესს შესთავაზა, მოდი, ჩვენი სიცოცხლე კარასა და სელიოზე გავათამაშოთო, თუ მონეტა კარაზე დაჯდება, შენ მოკვდები, თუ სელიოზე, მეო. მაგრამ პატრისიო არაგონესმა შეახსენა, თქვენი პროფილი, ჩემო გენერალო, მონეტის ორივე მხარეს არის გამოსახული და რა აზრი აქვს კარა-სელიოსო. მაშინ დომინო ვითამაშოთ ნიძღავზე, ოცი პარტიიდან ვინც მეტს მოიგებს, ცოცხალიც ის დარჩესო. თანახმა ვარ, ჩემო გენერალო, ოღონდ ერთი პირობით, უფლება მომეცით, მოგიგოთო. ეს უფლება პატრისიომ მიიღო და თამაშიც დაიწყო. გათამაშდა ერთი, ორი, ოცი პარტია და ოცივე პატრისიო არაგონესმა მოიგო სასტიკ, ხელჩართულ ბრძოლაში. თუ აქამდე პარტიას პარტიაზე აგებდა, ახლა, რაკილა მოგების უფლება დართეს, ოცივე მოიგო. პატრისიო არაგონესმა სახეზე მომსკდარი ოფლი სახელოთი მოიწმინდა და ხვნეშით თქვა, ვწუხვარ, ჩემო გენერალო, რომ მოგიგეთ, მაგრამ რა ვქნა, სიკვდილი არ მინდა. მაშინ მან თავი მოუყარა დომინოს ქვებს, გულმოდგინედ ჩაალაგა ხის პატარა ყუთში და თითქოს გაკვეთილს ხსნისო, სკოლის მასწავლებლივით წამღერებით თქვა, არც მე მინდა, ჩემო პატრისიო, სიკვდილი, მით უმეტეს, დომინოს მაგიდაზე. სიკვდილმა იცის, როდის და სად მომაკითხოს. ჯერ კიდევ ჩემი ეპოქის დასაწყისში ერთმა ნათელმხილველმა აკი მიწინასწარმეტყველა, ძილში გაიპარებო, და საერთოდაც,

დედაჩემმა ბენდისიონ ალვარადომ იმიტომ კი არ გამაჩინა ამ ქვეყანაზე, რომ მთელი ცხოვრება იმაზე ვიჭყლიტო ტვინი, იმ ნათელმხილველმა ქალმა ნეტავ რა ამომიკითხა წყლით სავსე თასში-თქო, არამედ იმიტომ, რომ ვმბრძანებლობდე. შენ კი კარგად დაიმახსოვრე, მე მე ვარ და არა შენ და ღმერთს მადლობა უთხარი, რომ ხუმრობით დაგენიძლავე. რა იცოდა მაშინ, რომ ეს სულაც არ იყო ხუმრობა, რომ სულ მალე მათ შორის ერთ-ერთს მართლა მოუწევდა სიკვდილი და აი, ეს დღეც დადგა, პატრისიო არაგონესი კვდებოდა. ოთახში შესვლისას პრეზიდენტი რომაელივით ხელაწევით მიესალმა თავის ორეულს, ღმერთი იყოს შენი შემწე, მაჩო, დიდი პატივია სამშობლოსათვის სიკვდილი. ვიდრე მომაკვდავი ატონიაში იყო, არ მოშორებია მის საწოლს, საკუთარი ხელით ასმევდა საძაგელ წამლებს, პატრისიო არაგონესიცი იფერებდა ამ პატივს. იოტისოდენა მადლიერებასაც არ ამჟღავნებდა. ერთხელაც, ის იყო გადაყლაპა კოვზით მიწოდებული წამალი, რომ მოხსნა გუდას პირი და რაც ჰქონდა სათქმელი, უკლებლივ გადმოაღაგა. დიდი ხნით როდი გტოვებთ, ჩემო გენერალო, ამ ბინძურ ქვეყანაში, გული მეუბნება, მალე შევხვდებით ერთმანეთს იმქვეყნიურ ქვესკნელში, მე შხამით დაგრეხილ-დაკვანძული, თქვენ საკუთარი თავით ხელში. უკვე გხედავთ კიდევ, რა უხერხულად გიჭირავთ საკუთარი თავი, არ იცით სად წაიღოთ, სად მიიწებოთ. მაპატიეთ გულახდილობა, ჩემო გენერალო, მე ახლა სიკვდილის პირას ვარ და რასაც ვამბობ, სიმართლეს ვამბობ, არასოდეს მყვარებიხართ ჩემო გენერალო. რატომღაც თქვენ ჩაიბეჭდეთ თავში, რომ მიყვარდით არადა, ყოველთვის მძულდით. მძულდით იმ დღიდან, რა დღიდანაც დამაკარგვინეთ თავისუფლება. იმ დღიდან ყოველთვის ვნატრობდი თქვენს სიკვდილს, სულერთი იყო, როგორ მოკვდებოდით, უცბად თუ ტანჯვით, ოღონდ მომკვდარიყავით, ოღონდ თქვენი სიცოცხლე ჩემი დამახინჯებული სიცოცხლის სამსხვერპლობზე მიგეტანათ. რაღას არ მიკეთებდნენ, თქვენ რომ სრულად დაგმსგავსებოდით, ხის ჩაქუჩს იქამდე მიბაგუნებდნენ ფეხის გულებზე, ვიდრე თქვენსავით ბრტყელტერფა არ გამხადეს, ვიდრე თქვენსავით მთვარეულივით სიარულს არ მიმაჩვიეს, საკვერცხეები სადგისით გამიხვრიტეს თქვენსავით თიაქარი რომ ჩამომსიებოდა. მაიძულეს სკიპიდარი დამეღია, რათა მარტო წერა-კითხვა კი არა, თუ რამ ვიცოდი, ყველაფერი დამვიწყნოდა და თქვენსავით ბნელი და უვიცი გავმხდარიყავი. საცოდავმა დედაჩემმა კი რა არ იღონა, ჩემთვის განათლება რომ მოეცა. პირადად თქვენ მაიძულეხდით შემესრულებინა თქვენი ოფიციალური მოვალეობები არა იმიტომ, რომ არ გეცალათ და სხვა უფრო მნიშვნელოვანი საქვეყნო საქმეები გქონდათ გასაკეთებელი, როგორც გჩვეოდათ ხოლმე თქმა, არამედ იმიტ-

ომ, რომ გეშინოდათ ქუჩაში გასვლა. ისე, კაცმა რომ თქვას, ყველაზე გულოვან ვაჟკაცსაც შეეშინებოდა, მისთვის რომ სილამაზის კონკურსზე წასვლა და რომელიმე გამარჯვებული ბობისთვის თავზე დედოფლის გვირგვინის დადგმა დაევალებინათ. მე კი მივდიოდი, თუმცა ყოველ კუთხე-კუნჭულში სიკვდილი იყო ჩასაფრებული. სმენად ქცეული პრეზიდენტი მოწოლილ რისხვას ძლივს იკავებდა, პატრისიო არაგონესის თავხედობასა და უტიფრობაზე მეტად მისი უმადურობა აცოფებდა. და ამას შენ მეუბნები, შენ, ვისაც აქ მეფესავით გაცხოვრებდი, ვისაც ყველაფერი მოგეცი, საკუთარი ქალებიც კი დაგიტმე. მოეშვით ამ ქალებზე ლაპარაკს, ჩემო გენერალო, სჯობს საერთოდ არ გქონდეს კაცობა, ვიდრე ამ საცოდავ ქალებს ეძგერო და დასადაღავი პირუტყვივით წამოაქციო. პირუტყვი ხტის და ზმუის მაინცა, ესენი კი ვითომც არაფერიო, მოგიშვერენ გაძვალტყავებულ უკანალს, თან კარტოფილს ფცქვნიან ან მეზობელ ქალს გასძახიან, ცეცხლზე ბრინჯის ფაფა მიდგას და ვიდრე ამ საქმეს მოვათავებდე, მიმიხედე, არ მიმეწვასო. მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ ამას სიყვარული დაარქვათ. თქვენ რა იცით, რა არის სიყვარული. მაშინ კი მართლა გაცეცხლდა პრეზიდენტი. გაჩუმდი, თორემ არ ვიცი რას გიზამ. ვერაფერსაც ვერ მიზამთ, ჩემო გენერალო. მომკლავთ, მე ხომ უკვე მომკლეს. სჯობს დაფიქრდეთ და სიმართლეს თვალეებში შეხედოთ, გაიგოთ ის, რასაც ყველა ფიქრობს, თქმით კი მხოლოდ იმას გეუბნებიან, რისი მოსმენაც თქვენ გასურთ, პირში გელაქუცებიან, ზურგში კი ტყვიას გიმიზნებენ. მაღლობა მე უნდა მითხრათ სიმართლის თქმისთვის, ჩემო გენერალო, ერთადერთი კაცი ვარ, ვისაც თქვენ ებრალებით. არც არის გასაკვირი, მე ხომ თქვენი ორეული ვარ, თქვენი ალი და კვალი, ამიტომ მოვალეც ვარ წვრილად მოგახსენოთ ყველაფერი, რასაც მთელი ქვეყანა ლაპარაკობს. ეგ არ არისო კანონიერი პრეზიდენტი, ეგა ინგლისელებმა დასვეს პრეზიდენტის სავარძელშიო, მერე გრინგოებიც წაეხმარნენ თავიანთი ჯავშნოსნებიდან შიგადაშიგ გამოტყორცნილი კვერცხებითო. მე ხომ ვხედავდი, შიშით თავგზაარეული ხოჭოსავით როგორ წრიალებდით, როგორ ეხეთქებოდით აქეთ-იქით. ერთხელაც გრინგოებმა შემოგიტვალეს, მივდივართ, გტოვებთ ამ შენს ბინძურ ბორდელში, ვნახავთ, უჩვენოდ რისი გამკეთებელი ხარო. და თუ მაშინ არ გადმობრძანდით მაგ სავარძლიდან და არც ახლა აპირებთ გადმობრძანებას, იმიტომ კი არა, რომ არ გინდათ, ძალიანაც კარგად გინდათ, მაგრამ გეშინიათ, იცით, ქუჩაში რომ გამოჩნდეთ ჩვეულებრივი მოკვდავივით, ადამიანები ძალღებავით დაგესევნიან და დაგგლეჯენ სანტა მარია დელ ალტარში გამართული ხოცვა-ჟლეტისთვის, პატიმრები ცოცხლები რომ ჩაუყარეთ ნიანგებს წყლით სავსე ორმოში, იმისათვის, ადამიანე-

ბს ცოცხლად რომ გააძვრეთ ტყავი და მერე ამ უბედურთა ოჯახებს დაუგზავნეთ, აქაოდა, ვინც ჭკუით არ იქნება, ყველას ასე მოუვაო, იმისათვის. პატრისიო არაგონესმა დაგუბებულ ბოდმას გზა მისცა, მოგონებათა უძირო ჭიდან ქაჩა და ქაჩა საზარელი ამბების კრიალოსანი და ისე მარცვლავდა, თითქოს სათითაოდ აღუვლენდა ლოცვას ვაციჭამია რეჟიმის მსხვერპლთ. უცებ გაჩუმდა, ძლიერმა ტკივილმა შეურყია გულ-მუცელი, გულისცემა თითქოს შეუჩერდაო, მაგრამ მალე დაუბრუნდა ცნობიერება. ჩემო გენერალო ნუ გაუშვებთ ამ შანსს ხელიდან, მოკვდით ჩემთან ერთად, თქვენთვის ახლა ყველაზე დიდი ხსნა სიკვდილია, მე ხომ ვიცი, მე ხომ თქვენა ვარ, თუმცა ღმერთია მოწამე, არც არასოდეს მინატრია, პატარა სურვილიც არ მქონია დიდების მოხვეჭისა, გმირად გახდომისა, მოხდა კი პირიქით, მე ხომ ვიცი, რა ცხოვრებაც გაქვთ, ჩემი ცხოვრება კიდევ რაღაცას ჰგავს, მთლად არ წავმბდარვარ, რადგან, მიუხედავად ყველაფრისა სულის სიღრმეში მე მაინც იმ უბრალო მინის მბერავად დავრჩი, თავის მამასთან ერთად ბოთლებს რომ აკეთებდა. ნუ გეშინიათ, ჩემო გენერალო, სიკვდილი არც ისე ძნელი ყოფილა, როგორც ამბობენ. პატრისიო არაგონესმა ეს სიტყვები ისე დამაჯერებლად, ისე გულახდილად წარმოთქვა, პრეზიდენტი არც გაბრაზებულა, არც შედავებია, კვლავ მასთან დარჩა, სიკვდილის კლანჭებში მბორგავს ხელს აშველებდა, საწოლიდან არ გადმოვარდესო. უცებ ტკივილისა და სირცხვილისაგან აბღავლებულმა პატრისიო არაგონესმა ორივე ხელი წაივლო მუცელზე, ღმერთო ჩემო, ჩემო გენერალო, ჩავიჯვი. პრეზიდენტმა გაიფიქრა, ალბათ გადაკრულად მიმანიშნებს, სიკვდილის წინამე შიშს ვაღიარებო, მაგრამ პატრისიო არაგონესი თითქოს მიუხვდაო, შებღავლა, გადაკრულად კი არა, მართლა ჩავიჯვიო. მაშინ კი შეუძახა პრეზიდენტმა, გემუდარები, მაგას ნუ იზამ, ცოტაც მოითმინე, სამშობლოს გენერლები ასე არ კვდებიანო, მაგრამ უკვე გვიან იყო. პატრიოტული გრძნობებისგან და კუჭისგანაც დაცლილი არაგონესი საკუთარ ცრემლსა და განავალშივე ამოქვარქნილი უსულოდ დაასკდა იატაკს. პრეზიდენტმა იქვე, სხდომათა დარბაზის გვერდით ოთახში საკუთარი ხელით განბანა მიცვალებული, ლამის მთელი საპონი შეაღია, რათა ჩამოერეცხა მისთვის სამარცხვინო სიკვდილის სუნი. ტანსაცმელი გაიძრო და მიცვალებულს ჩააცვა, ბანდაჟი, ჩექმა და მარცხენა ქუსლზე ოქროს დების მიმაგრებაც არ დავიწყნია. თავად დედიშობილა დარჩენილს მწუხარება აღბეჭდვოდა სახეზე. ამიერიდან სრული მარტოობა ელოდა, მასავით მარტოსული აღარავინ ეგულებოდა მთელს ქვეყანაზე. ეს კია, დაბნევით არ დაბნეულა, საგულდაგულოდ მოასუფთავა იქაურობა, თან ცდილობდა გაეხსენებინა შორეულ წარსულში მისთვის ნაწინასწარმეტყველავი სიკვდილის ყო-

ველი წვრილმანი, რათა იმის მიხედვით დაეწვინა მიცვალებული. სიკვდილი დაძინებულს გეწვევაო, უნიშნო უნიფორმა გეცმევაო, პირქვე დაწოლილს ხელი ბალიშივით გექნება სახის ქვეშ დაღებულო, ერთი სიტყვით, დამლაგებელი ქალი რომ შემოვა და მიცვალებულს დახედავს, იტყვის, ჩვენი პრეზიდენტი ძილში გაპარულა, როგორც მკითხავმა უთხრაო. რაკი მან ადრეც, წლების წინათაც გაითამაშა სიკვდილი, რეჟიმის მექვიდრეებს ამჯერადაც არ გაუხმაურებიათ მაშინვე ეს სამწუხარო ამბავი, რაღაცას ელოდნენ, რაღაცას საიდუმლოდ იძიებდნენ, ერთიორჯერ ისიც კი თქვეს, არ მომკვდარაო და ამის დასტურად დედამისს, ბენდისიონ ალვარადოს პირდაპირ სავაჭრო ცენტრში უხმეს, აქაოდა, ხომ ხედავთ, ხალხნო, დედამისს შავები არ აცვია, მაშასადამე, პრეზიდენტი ცოცხალიაო. ტიკინასავით ჭრელაჭრულებში გამომაწყვეს, სენიორ, ძალით მაყიდვინეს თუთიყუმის ფრთებით გაწყობილი ქუდი და ძალითვე დამაკოსეს თავზე, ყველამ დაინახოს, რა ბედნიერი ხართო. მე მათ ვეუბნები, რა დროს მაღაზიებში სირბილია, ის მიცვალებული მართლა ჩემი შვილია და მატირეთ-მეთქი, მაგრამ რას ამბობთო, აბა, გაიღიმეთო და მიღებდნენ და მიღებდნენ სურათებს, თანაც სამხედროები მარწმუნებდნენ, სამშობლოს ასე სჭირდებაო. ამ დროს კი თავად ის დედიშობილა იჯდა თავის სამალავში და უკვირდა, ჩემი სიკვდილის მერე რატომ არაფერი შეიცვალა ქვეყანაზეო. ვითომ არც მოვმკვდარვარ. მზე ისევ ამოდის და ისევ ჩადის ძველებურადო. კვირა რატომ არის ისევ კვირა იქნებ შენ მითხრა დედა რატომ ცხელა ისევე როგორც ჩემს სიცოცხლეში ცხელოდაო. ასეთ საგონებელში იყო ჩავარდნილი, რომ უცებ პორტის ციხესიმაგრიდან ქვემეხის გასროლამ შეარხია ჰაერი, მას მოჰყვა ეკლესიის ზარების სამგლოვიარო გუგუნე და მალე სასახლესაც მიაწყდა ბრბო, რომელიც ამ იშვიათ, საგანგებო ამბავს ერთიანად გამოეთხიზლებინა საუკუნოვანი მარაგმული ძილიდან. მან ოდნავ გამოალო თავისი სამალავის კარი და დაინახა სხდომათა დარბაზში დასვენებული ანთებულ სანთლებში ჩაფლული საკუთარი გვამი. საცოდავი ისე მოერთოთ და მოეკაზმათ, ნებისმიერი ქრისტიანი პაპი რომ ინატრებდა. სადღა იყო მამაცი სამხედრო ჩინოსანი. შესცქეროდა მიცვალებულის პუდრშეფრქვეულ სახეს, შეღებილ ტუჩებს, მედლებითა და ორდენებით დაჯავშნულ მკერდზე დასვენებულ ნებისმიერი ქალიშვილის სიფრიფანა ხელებს, ქვეყნიერების უპირველესი გენერლისათვის საგანგებოდ შეკერილ მუნდირს, მის სამხრეებზე აბრჭყვიალებულ ათობით მზეს, იქვე დასვენებულ ხმალს, ბანქოს მეფის ხმალივით უმაქნისსა და უბადრუკს და ლამის გული გასკდომოდა სირცხვილისა და სიბრაზისგან. სწორედ ეს ხმალი ამცრობდა და სიდიადეს უკარგავდა მისი უსაზღვრო ძალაუფლების ყველა სიმბოლოს და

აფერმკრთალებდა სამგლოვიარო ცერემონიალს, მისთვის მიგებულ მხედრულ პატივს. არადა, ეს ხმალი სწორედაც რომ შეეფერებოდა კუბოში მწოლ ჩვეულებრივი ზომა-წონის, ქალივით ნაზ მიცვალებულს. ღმერთმა დასწყევლოს, ნუთუ ეს მე ვარ, ამბობდა გაცოფებული და უწყვეტ ნაკადად მომწყდარ და მის კუბოსთან აჩოჩქოლებულ ხალხს თვალს არ აშორებდა. სულ რაღაც ერთი წამით დაივიწყა, რომ ეს ყველაფერი ბნელი ზრახვებით ნაკარნახევი ფარსი იყო და შეურაცხყოფილად, დამცირებულად იგრძნო თავი სიკვდილის დაუნდობლობის გამო, სიკვდილის მიერ ხელისუფალის არად ჩაგდების გამო. მან დაინახა ცხოვრება უმისოდ და გული სიბრაღულით აევსო, ამ უმწეო ხალხმა ჩემი სახით ვარგი პატრონი დაკარგაო. დაინახა ისინიც, ვინც, ეტყობოდათ, მხოლოდ იმის დასამუსტებლად მოსულიყვნენ, მართლა ის იყო მკვდარი თუ სხვა. მან დაინახა ფედერალური ომების მონაწილე ბერიკაცი, რომელიც კუბოსთან შედგა და მხედრულად გაიჯვიმა. დაინახა შავსამკლავურიანი კაცი, რომელმაც ბეჭედზე აკოცა მიცვალებულს, ერთმა მოსწავლე გოგონამ კი კუბოზე მოწიწებით დადო ყვავილი. ეს ადამიანები მან განსაკუთრებულად ჩაიბეჭდა გონებაში. განსაკუთრებულად დაიმახსოვრა თევზით მოვაჭრე ქალიც, რომელმაც თევზით სავსე კალათა იატაკზე დადგა და გათხაპნილ მიცვალებულს აქვითინებული ისე ჩაეფსკვნა, ძლივს ააგლიჯეს. ღმერთო, რაღა გვეშველება ახლა, ის მოკვდა ისაა მკვდარი ისაა მკვდარიო, ამის გაგონებაზე ხალხი აფუსფუსდა, აჩურჩულდა, მართლა ის მომკვდარა, ამჯერად არ მოვუტყუებივართო მალე ჩურჩული ხმამალალ გადაძახილში გადაიზარდა და დე არმას მოედანზე ატორტმანებული ხალხის ყურთასმენას მისწვდა. ახლა იქაც აღრიალდა ბრბო, მართლა ის მომკვდარაო, და უცებ შეწყდა ზარების სამგლოვიარო გუგუნი და მის ნაცვლად, ხარება დღისა და წმ. ოთხშაბათის მსგავსად, დაუფარავი სინარულით აწკრი-ალდნენ ყველა ტაძრისა თუ ეკლესიის ზარები. ატკაცუნდნენ სააღდ-გომო პეტარდები, ცა შუშხუნებით მოიფინა და თავისუფლების მაუწყებელი დოლებიც აბრაგუნდნენ. მან დაინახა, როგორ შეცვივდნენ სასახლეში დაცვის უმოქმედობით წაქეზებული მეამბოხეები, ხელკეტებით როგორ გაყარეს კუბოსთან შექუჩებული ხალხი, იატაკზე როგორ მოი-სროლეს თევზით მოვაჭრე ქალი. დაინახა, როგორ მიცვივდნენ მიცვა-ლებულს, რვა კაცმა როგორ გამოსტაცა იგი უკვდავებისა და ყვავილ-თა მარადიულ საუფლოს, ფეხებში წაავლეს ხელი და ასე ჩაათრიეს კი-ბეზე. დანარჩენებმა დრო იხელთეს და დაერივნენ იქაურობას, ანგრ-ევდნენ ყველაფერს, რისი დანგრევაც შეიძლებოდა სიმდიდრითა და უბედურებით სავსე ამ სამოთხეში. ანგრევდნენ ქვის ფილებით მოპი-რკეთებულ დორიულ კაპიტელებს, ანაკუწებდნენ ხავერდის ფარდებს,

გობელენებს, რომლებზეც გამოსახული იყვნენ უიმედობის გონდოლებში მთვლემარე, მიბნედილი ქალები, ეპისკოპოსთა და შორეული წარსულის სამხედრო ჩინოსანთა უზარმაზარ პორტრეტებს, ფშვნიდნენ ალებასტრის პალმის ტოტებით მოგვირგვინებულ ბაბილონურ სვეტებს, ფანჯრებიდან გადაყარეს გალიები ჩიტებიანად, ვიცე-ხელმწიფის ტახტი, როიალი, ერთი სიტყვით, ისეთი სიშმაგით დაერივნენ იქაურობას, თითქოს სურდათ სამარადღუამოდ გაესწორებინათ მიწასთან იარაღიანი ხალხის ეს საძულველი ბუნაგი და გაესწორებინათ ისე, რომ მომავალ თაობებს ვერასოდეს გაეგოთ, რა დაწყევლილი ფესვებიდანაც იყვნენ წარმოშობილნი. იგი სასწრაფოდ მივარდა ფანჯარას, ახლა იქიდან სურდა დაენახა, რა ხდებოდა ჟალუზებს მიღმა ქუჩაში. ო, დედაჩემო ერთ წაშში მე უფრო მეტი უმადურება და სივერაგე დავინახე ვიდრე მთელი ცხოვრება ვხედავდი ლამის გაჩენის დღიდან რის გამოც ბევრჯერ სდენიათ ცრემლი ჩემს თვალებს. მან დაინახა, რა გახარებული ტოვებდნენ სასახლეს მისი დაქვრივებული ქალები, როგორ მიდენიდნენ მისი ფერმის ძროხებს, მიათრევდნენ სახაზინო ავეჯს. ო, დედაჩემო, შენი სკებიდან ამოღებული თაფლით სავსე ქილებიც არ დავიწყენიათ. მან დაინახა, რა მხიარულად ურახუნებდნენ მისი უდღეური შვილები ქვაბების თავსახურებს, აწკრიალებდნენ ბროლის ჭურჭელს და ეკლესიების სატრაპეზო სუფრის დანა-ჩანგალს, თან ხმამაღლა გაჰყვიროდნენ, მამაჩემი მოკვდა, გაუმარჯოს თავისუფლებასო. მან დაინახა, როგორ წვავდნენ მის სურათებსა და ლითოგრაფიებს დე არმას მოედანზე გაჩაღებულ კოცონზე. მან დაინახა, როგორ მიათრევდნენ მის სხეულს, გზადაგზა ნაკვალევით როგორ რჩებოდა ეპოლეტები, ჰუსარული დოლომანის ღილები, ოქრომკვდით მოსირმული მუნდირის ნაკუწები, ბანქოს ხმლის ფოჩები და ქვეყნიერების მეუფის ან უკვე მტვერში ამოგანგლული, დაბინდული ათივე მზე. შეხედე ერთი, დედა, რას მიშვებიან, ბუტბუტებდა იგი და ისე იგრიხებოდა, თითქოს საკუთრივ მის სხეულს ეპყრობოდნენ ასე უდიერად, თითქოს პირადად მას აფურთხებდნენ სახეში და აივნებიდანაც პირადად მას ასხამდნენ თავზე ავადმყოფთა ლამის ქოთნების სიბინძურეს. უცებ შიშმა აიტანა, ხომ შეიძლება ამკუწონ და ჩემი სიკვდილის საკარნავალო პიროტექნიკის გრიალში ძაღლებსა და ორბებს მიმაგდონ საჯიჯნადო. როცა ირგვლივ ყოველივე მიწყნარდა, როცა ამ კატაკლიზმმა გადაიარა, თავის სამალავში გამოკეტილს კარგა ხანს ესმოდა შორიდან მოღწეული მუსიკის ხმები, თუმცა კი ამინდი უქარო იდგა. სამალავში ადგილს ვეღარ პოულობდა, აქეთიქით ეხლებოდა, მოსკიტებს ხელისგულით სრესდა, მაგრამ იმ აბეზარ კუტკალიას კი მის ყურებში რომ დაედო ბინა და არ ასვენებდა, ვერაფერს უხერხებდა. კვლავ ფანჯარაში გაიხედა, ჰორიზ-

ონტს ცეცხლი ეკიდა. შუქურას მწვანე შუქი ყოველ ნახევარ წუთში ატანდა ჟალუზებში და იქაურობას ვეფხვის ტყავივით ხატავდა. მის ყურთასმენას მისწვდა ბუნებრივი, ჩვეული სუნთქვა ყოველდღიურობისა და რაკილა მისი სიკვდილი აღარ წარმოადგენდა გამორჩეულ, განსაკუთრებულ შემთხვევას, ცხოვრებაც ნელ-ნელა უბრუნდებოდა თავის კალაპოტს. მისი სიკვდილი ჩვეულებრივ სიკვდილად იქცა, გაფერმკრთალდა და წარსულის ათასობით უჩინო მოკვდავთა სიკვდილს დაემსგავსა, რეალობის მარადიული ქარბორბალა მას ყოვლისმიტევებისა და დავიწყების მიწისკენ, არავის მიწისკენ მიაქანებდა. მაშინ კი შეუძახა სიკვდილს, ჯანდაბას შენი თავი, ფეხები არ მომჭამო ერთბაშად, და სამალავიდანაც გამოვიდა, ჩემმა საათმა ჩამორეკა, დროა გამოვჩნდეთ. ფეხების ფლატუნით გაიარა აოხრებული, ბინდბუნდში ჩაძირული, მომაკვდავ ყვავილთა და ჩამოღვენილი სანთლების სუნით გაჟღენთილი დარბაზები. მოჩვენებას ჰგავდა წარსულის ნანგრევებში მობორიალეს. მინისტრთა საბჭოს სხდომათა დარბაზის კარი შეაღო. დარბაზი ერთიანად გაებურა კვამლს. იმ მხრიდან, სადაც კაკლის ხის მაგიდა იდგა, ჩახრინწული ხმები ისმოდა. კვამლის ბადეში ძლივს გააჩნია სახეები, მაგიდას სწორედ ისინი უსხდნენ, ვისაც ელოდა. აქ იყვნენ ლიბერალები, რომლებმაც იყიდეს ეს ომი. მაგიდას უსხდნენ არქიეპისკოპოსი, ელჩი შნოტნერი, რამდენიმე გენერალი და სამიც მინისტრი. ძალიან კარგი, ყველანი ერთდროულად გაებნენ მახეში. შევკავშირდეთო, მოუწოდებდნენ ერთმანეთს, გავერთიანდეთ საუკუნოვანი დესპოტიზმის წინააღმდეგ ბრძოლაშიო, თან დროსაც არ კარგავდნენ, დაეტაცებინათ და გაენაწილებინათ მისი ქონება და ისე იყვნენ გართული ამ საქმით, რომ ვერავინ შეამჩნია მკვდრეთით აღმდგარი პრეზიდენტი. მაშინ მან მხოლოდ ერთხელ დაჰკრა ხელი მაგიდას და შესძახა, ასე ხომ. ამის თქმა და სულ რაღაც ერთ წამში დარბაზში მხოლოდ სიგარეტის ნამწვავებით სავსე საფერფლეები, ყავის ფინჯნები და იატაკზე უწესრიგოდ მიყრილ-მოყრილი სკამები დარჩა და კიდევ, მისი მეგობარი გენერალი როდრიგო დე აგილარი. საველე ფორმიანმა ტანჩია გენერალმა აუღელვებლად გაფანტა კვამლი ერთადერთი ხელით, რათა ენიშნებინა თავისი პატრონისათვის, იატაკზე დაწექით, ახლა ატყდება თუ ატყდება ბათქაბუთქიო. ძლივს მოასწრეს იატაკზე დაწოლა, რომ სასახლის წინ შრაპნელების სასიკვდილო როკვაც დაიწყო. დაიწყო სისხლიანი ზეიმი გვარდიელებისა, რომლებიც განსაკუთრებული მონდომებით ასრულებდნენ პატრონის დავალებას, ტყვიამფრქვევის ჯერით მოცელეს ისინი, ვინც მთავარი კარიდან ცდილობდა გაქცევას, ჩიტებივით ჰაერშივე დახოცეს ისინი, ვინც ფანჯრებიდან ხტებოდა, ხოლო ვინც მოახერხა და ახლომახლო სახლებს შეაფარა თავი, ფოსფო-

როვანი ყუმბარებით აიძულეს, გარეთ გამოლოლებულიყვნენ. დაჭრილებს თავი მოუყარეს და რაკი პრეზიდენტმა ბრძანა, დასჯასა და სიკვდილს გადარჩენილებს სამშობლოს მოღალატის სამარცხვინო სახელიც ეყოფათ მთელი ცხოვრება სატანჯველადო, გვარდიელებმა ცოცხლები გაუშვეს. გენერალ როდრიგო დე აგილარის შორიახლოს იატაკზე პირქვე გაწოლილ პრეზიდენტს ყოველ აფეთქებაზე შუშის ნამსხვრევები და ჭერიდან ჩამოცვენილი ბათქაში ეყრებოდა ზურგზე. ესეც ასე, მეგობარო, მლოცველივით ბუტბუტებდა იატაკს გაკრული ხელისუფალი. ესეც ასე ამიერიდან მხოლოდ მე ვიუფროსებ ვერც ერთი ძალი ველარ შემომბედავს შემოყეფებას ხვალ დილით შევამოწმებ რა გადაურჩა ამ ბათქაბუთქს სკამები თუ დაიმტვრა არა უშავს უბრალოს ვიყიდით იათფასიანს ჭილოფსაც ვიყიდით და კედელზე ხვრელებს ავაფარებთ თეფშებს და კოვზებს ყაზარმებიდან წამოვიღებთ ჯარისკაცებს და ოფიცრებს გავყრი არ მჭირდებიან მაგათ მარტო რძე დაალევიანე მეტი არათფერი უნდათ. პატივისცემა ვერ შეიშვნეს ჩასაფრებულები არიან როდის გამოგდონ კვანტი მარტო გვარდიას დავიტოვებ იქ პატიოსანი გულადი ბიჭები არიან მინისტრთა საბჭოსაც დავშლი ვის რა ჯანდაბად უნდა ამდენი მინისტრი ერთი კარგი ჯანმრთელობის მინისტრიც კმარა და ერთიც ისეთი კაცი გვინდა ლამაზად წერა რომ ეხერხება ვინ იცის რისი ჩაწერა მოგვიწევს ყაზარმებსა და სამინისტროებს საცხოვრებელ ბინებად გამოვიყენებთ ფულს ავიღებთ სასახლის აღდგენას მოვახმართ ახლა ფული უფრო გვჭირდება ვიდრე ხალხი ორი მოახლე გვეყოფა ერთი საჭმელზე და დალაგებაზე იზრუნებს მეორე გარეცხავს და დააუთოებს პირადად მე ძროხებსა და ქათმებს მოვუვლი მორჩა ველარც ბოზები ირბენენ ჯარისკაცების ფეხსალაგებში კეთროვანებსაც მეტისმეტად გაუტკბათ ვარდის ბუჩქებში ძილი არც ყოვლის მცოდნე მეცნიერები მჭირდება და არც ყოვლის დამნახავი პოლიტიკოსები ბოლოს და ბოლოს ეს არის პრეზიდენტის სასახლე და არა ბინძური ბორდელი როგორც გრინგოებს უთქვამთ თურმე თუ დაუჯერებთ პატრისიო არაგონესს საქმეს ერთიც გავართმევ თავს არავინ მჭირდება თუნდაც კომეტის მეორე გამოჩენამდე და მეათემდეც რადგან სიკვდილს აღარ ვაპირებ თუ ძალიან უნდათ თვითონ მოკვდნენ. თითქოს ქადაგად დავარდაო, ხმამაღლა და სხაპასხუპით ლაპარაკობდა. ომის დროიდან შემორჩა ჩვევად ხმამაღლა ფიქრი, საკუთარ შიშს აფრთხობდა. ამ წუთშიც ისე ხმამაღლა ფიქრობდა, არც ესმოდა აფეთქებათა ხმები, თუმცა სასახლე კი ზანზარებდა. მეორე დღის გეგმას აწყობდა, მომავალი ასწლეულის ერთ საღამოს რა უნდა გაეკეთებინა, იმასაც გეგმავდა. ქუჩაში საკონტროლო გასროლა რომ გაისმა, გენერალი როდრიგო დე აგილარი ფანჯარასთან მიხობდა, წამოიწია და ვილაცას

უბრძანა, ნაგვის ფორნებით გაიტანეთ გვამებიო, დარბაზიდან გასვლისას კი მობრუნდა, ღამე მშვიდობისა, გენერალო. ღამე მშვიდობისა, მეგობარო, უპასუხა მანაც, დიდი მადლობა, და პირქვე დაწოლილი დარჩა მინისტრთა საბჭოს სხდომათა დარბაზის შავი მარმარილოს იატაკზე. მოხრილი მარჯვენა ხელი თავქვემ ბალიშივით დაიდო, სახე შიგ ჩარგო და სულ რაღაც ერთ წამში ჩაეძინა ახლა უფრო მეტად მარტოსულს, ვიდრე ოდესმე. ნანინასავით ჩაესმოდა თავის საწყალობელი შემოდგომის გაყვითლებული ფოთლების შრიალი. შემოდგომა კი სწორედ იმ ხოცვა-ჟლეტის ღამემ მოუტანა ოხშივარადენილ სისხლის გუბებში მეწამულისფრად აალებულ მთვარეებთან ერთად. მეორე დღის გეგმა ჩაეფუშა, გასაკეთებელი აღარაფერი იყო, ჯარმა თვითონ შეწყვიტა არსებობა, ჯარისკაცები აქეთ-იქით მიმოიფანტნენ, ერთი მუჭა ოფიცრობა კი, დედაქალაქისა და ქვეყნის სხვა ექვს ყაზარმაში სისხლის უკანასკნელ წვეთამდე რომ იბრძოდა, პრეზიდენტის გვარდიელებმა მოხალისე მოქალაქეების დახმარებით ერთიანად ამოწყვიტეს. ცოცხლად დარჩენილმა მინისტრებმა საზღვარგარეთ გაქცევით უშველეს თავს. მხოლოდ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი დარჩა, მისი პირადი ექიმი და კიდევ ერთი ვაცი, რომელიც ცნობილი იყო თავისი ლამაზი კალიგრაფიით. პრეზიდენტს არც ერთი სახელმწიფოსთვის არ მიუმართავს ინვესტიციების თხოვნით, რადგან არაფერი ჰქონდა შესაძენი და საყიდელი. მოულოდნელად გამოჩენილმა კეთილისმყოფელებმა სახელმწიფო ხაზინას აუარება ოქროს საქორწილო ბეჭედი და სამკაული ჩააბარეს. იაფფასიანი ტყავის სკამების ყიდვამ აღარ მოუწიათ, არც ჭილოფები უყიდიათ თავისმომჭრელი დაკრძალვის დღეს გამონგრეულ კედლებზე ასაფარებლად, კარგა ხნით ადრე, ვიდრე ქვეყანა საბოლოოდ და სრულიად დამშვიდდებოდა, ვიდრე ცხოვრება თავის კალაპოტში ჩადგებოდა, სასახლე აღდგენილ იქნა. იგი უფრო დიდებული და თვალისმომჭრელი სანახავი გახდა, გალიებში კვლავ აწივჯივდნენ ჩიტები, გუაკამაიურ თუთიყუშებს თვლა არ ჰქონდა, სამეფო თუთიყუშები გაუთავებლად მღეროდნენ „ესპანეთისთვის და არა პორტუგალიისთვის“. ორი მოკრძალებული მოახლე ქალის წყალობით ირგვლივ ყველაფერი ისე ბზინავდა, როგორც საბრძოლო გემზე. ფანჯრებში იღვრებოდა სახოტბო მუსიკა, პეტარდების ტკაცუნი და ბარების საზეიმო გუგუნო, სულ ახლახან ზუსტად ასევე აღინიშნა მისი სიკვდილი, ახლა კი სიკვდილის გაგრძელებას, მის უკვდავებას უკმევდნენ გუნდრუკს. ზიმზიმებდა სახალხო გამოსვლებისთვის მუდამ მზად მყოფი დე არმას მოედანი, ისმოდა პრეზიდენტისა და ხალხის ერთიანობის სადიდებელი შეძახილები, მოათრევდნენ უზარმაზარ ტრანსპარანტებს, ღმერთო, დაიფარე შენი რჩეული, რომელიც მესამე დღეს აღსდგა

მკვდრეთით. ერთი სიტყვით, ცხოვრება უსასრულო გეიმად იქცა, უწინდელივით აღარ სჭირდებოდა ხელოვნურად გაღვივება, ყველაფერი თავისთავად ხდებოდა, ლაგდებოდა, ქვეყანა წინ მიიწევდა, სადავები მხოლოდ პრეზიდენტს ეპყრა ხელთ, რაც უნდოდა, იმას აკეთებდა, არავინ ეურჩებოდა არც სიტყვით, არც საქმით, თითქოს მტრებმაც კი მიატოვეს დიდების მწვერვალზე მარტო მყოფი. რას გაიხარებდა მისი ერთგული ორეული გენერალი როდრიგო დე აგილარი, ცოცხალი რომ ყოფილიყო, თავისი სამსახურით ალბათ კმაყოფილი იქნებოდა, ჰოდა, პრეზიდენტიც იყო კმაყოფილი, ამიტომაც ბრძანა, მოედანზე გამოეყვანათ ის გვარდიელები, რომლებმაც უწესრიგობისა და ნგრევის აღსაკვეცად განსაკუთრებული მონღომება და სიმკაცრე გამოიჩინეს. ყველას რომ ოფიცრობა ჩამოურიგა, მიხვდა, ჯარის აღდგენა მაინც მოუწევდა, უხელქვეითო, უჯარისკაცო ოფიცრები რისი მაქნისიაო, თუმცა გამოცდილებით ისიც იცოდა, რომ აღდგენილი ჯარი ადრე თუ გვიან კბენას დაუწყებდა თავის მარჩენალს და პატრონს. და მაინც რიგით გვარდიელებს ოფიცრებად აწინაურებდა, მკერდზე თითს ადებდა და დაუფიქრებლად არიგებდა ჩინს, შენ გენერალი იქნები, შენ მაიორი, შენ პოლკოვნიკი, მოიცა, მგონი ამერია, ჰო, შენ გენერალი, დანარჩენები კი ლეიტენანტები იქნებითო, ესეც შენი არმია, ჩემო ძმაო. მან ის ხალხიც არ დაივიწყა, ვისაც ნამდვილად დაწყვიტა გული მისმა სიკვდილმა, მადლიერების გრძნობით აღვსილმა ბრძანა ის მოხუცი მოეყვანათ, მის კუბოსთან დამწუხრებული რომ იდგა და ის კაციც ბეჭედზე რომ აკოცა მიცვალებულს, სასწრაფოდ მიჰგვარეს და მანაც მშვიდობის მედლით დააჯილდოვა ორივე. არც ის თევზით მოვაჭრე ქალი დავიწყნია, მის ცხედარს ცხარე ცრემლით რომ დასტიროდა. ამ ქალს თოთხმეტი შვილი ჰყოლია თურმე და პრეზიდენტმაც ყველაზე საოცნებო რამ, დიდი სახლი აჩუქა. ის მოსწავლე გოგონაც მიუყვანეს, კუბოზე რომ ყვავილი დაუდო. მანაც სასწრაფოდ მიათხოვა ერთ მეზღვაურს და ამით გოგონას სანუკვარ ოცნებასაც შეასხა ფრთები. მაგრამ თვითონ ვერ დაიმშვიდა აფორიაქებული სული, საჩუქრების ჩამორიგებამ ვერ უშველა, მანამდე ვერ მოისვენა, სანამ სან ხერონიმოს ყაზარმის ეზოში არ დაინახა ხელფეხშებორკილი ის მეამბოხეები, სასახლეზე რომ მიიტანეს იერიში, შიშიც და სიძულვილიც მეხსიერებას სიფხიზლეს მატებენ და მანაც შეუბრალებელი სიზუსტით ამოიცნო ყოველი მათგანი, ამოიცნო და ჯგუფებად დაყო ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის მიხედვით. შენ იერიშს მეთაურობდი, აქეთ დადექი, თქვენ იატაკზე მოისროლეთ თევზით მოვაჭრე ქალი, აქეთ დადექით, თქვენ შეურაცხვეავით მიცვალებული, კიბეზე ჩაათრიეთ, ტალახში ამოსვარეთ, აქეთ დადექით, დანარჩენები იქით დადექით. მისთვის დასჯა სულაც არ იყო

მთავარი, მისთვის მთავარი იყო თავად დარწმუნებულიყო, რომ ხალხ-
მა კი არ შეუტია სასახლეს, ხალხმა კი არ შეურაცხველი მიცვალებული,
ხალხის გულისწყრომის სტიქიური გამოვლინება კი არ იყო მთელი ეს
არეულობა, არამედ მხოლოდ და მხოლოდ დაქირავებულთა ველური
შემოტევა. ამიტომაც გადაწყვიტა თვითონ დაეკითხა ტყვეები. დაკით-
ხვისას ყველანაირად ცდილობდა ამ საცოდავებს ეღიარებინათ თავი-
ანთი დაქირავებულობა და ამით გაემართლებინათ მისთვის სასურვე-
ლი ილუზიები. მაგრამ რომ დარწმუნდა, ამაოდ გაისარჯა, ბრძანა,
ფეხებზე ხელებმიბმული დამნაშავეები თუთიყუშებივით დაეკიდათ
თავდაყირა რამდენიმე საათი. რაკი ამანაც არ გაჭრა, ბრძანა, ერთ-
ერთი ჩაეგდოთ ორმოში, სხვებს კი ეცქირათ, ნიანგები როგორ გლეჯ-
დნენ მათ ამხანაგს. როცა არც ამან გაჭრა, ბრძანა, სათითაოდ გამოე-
ყვანათ და ყველას თვალწინ გაეძროთ მათთვის ტყავი. ნაზი, მოყვითა-
ლო ტყავი მშობიარის საშოდან გადმომსკდარ პლაცენტასავით თახთ-
ახებდა, ცხელ წებოვან სისხლში ამოთხვრილი სხეული კი ყაბარმის
ეზოს ქვის ფილებზე ხტოდა და იგრიხებოდა. მაშინ კი გატყდნენ კერპე-
ბი, დაგვიქირავეს, ოთხას-ოთხას პესოს შეგვპირდნენ მიცვალებულის
წაბილწვაში, სასტიკ უარზე ვიდექით, რაცა გვწამს, იმას ფულის გამო
ვერ ვულალატებთ-თქო, პრეზიდენტის საწინააღმდეგო არაფერი გვაქ-
ვს, მით უმეტეს მიცვალებულის-თქო, მაგრამ ერთ-ერთ საიდუმლო შე-
ხვედრაზე ვიღაც ორი გენერალი მოვიდა და მუქარით გვაიძულეს დავ-
თანხმებულიყავით. გეფიცებით, ჩემო გენერალო, მხოლოდ ამიტომ
დავეთანხმეთ. მან შვებით ამოისუნთქა, ბრძანა, ამ საწყალ, მოტყუებ-
ულ ბიჭებს კარგად აჭამეთ, გამოაძინეთ, დილით კი ნიანგებს ჩაუგდეთ
ორმოშიო. სასახლისაკენ მიმავალი გრძნობდა, როგორ უთავისუფლ-
დებოდა სული მღრღნელი ეჭვისაგან და კმაყოფილი ბუტბუტებდა, ხომ
დავარწმუნე ყველა, რომ ხალხი აქ არაფერ შუაშია, ხალხს მე ვუყვარ-
ვარ. შიშის კოცონი, ოდესღაც პატრისიო არაგონესმა რომ დაუნთო
გულში, ახლა ნელ-ნელა ინავლებოდა. ფეხებით ზედ შემდგარმა უკა-
ნასკნელი ალიც ჩააქრო და დაიფიცა, ამ ქვეყანაში ამიერიდან აღარ-
ავინ მოკვდებოდა წამებით. მართლაც, მაშინვე დახოცეს ნიანგები,
დაანგრიეს საგანგებო საკნები, სადაც, მართალია, ხალხს არ კლავდნ-
ენ, მაგრამ ცემით კი ძვალსა და რბილს უერთიანებდნენ. გამოცხადდა
საყოველთაო ამნისტიაც. თითქოს ჯადოსნური კვერთხი შეეხო, გო-
ნება უცებ გაუნათდა, ამ ქვეყანაში მთელი უბედურების თავიცა და ბო-
ლოც ის არის, რომ ხალხს ბევრი დრო აქვს ფიქრისთვისო. ბევრი იმტ-
ვრია თავი, რა მოვიგონო ისეთი, რომ ხალხმა ფიქრისთვის ველარ
მოიცალოსო, და პოეტების შეჯიბრი განაახლა მარტის თვეში, ყოველ-
წლიური სილამაზის კონკურსებიც აღადგინა და კარიბის ქვეყნებში

ყველაზე დიდი სტადიონიც ააგო, ჩვენს გუნდს კი დევიზად დაუსახა, სიკვდილი ან გამარჯვება. მისი ბრძანებით ყველა პროვინციაში გაიხსნა ხვეტის შემსწავლელი უფასო სკოლები. პრეზიდენტის ბრუნვის პასუხად ამ სკოლების მოსწავლე გოგონები ფანატიკური თავგამოდებით მართო სახლებს კი არა, ქუჩებსა და გზა-შარებსაც მოედვნენ. საბოლოოდ იმდენი ნაგავი დაგროვდა, სად წაეღოთ, არ იცოდნენ, ერთი პროვინციიდან მეორეში გადაჰქონდათ, ან პირიქით, თან ყოველ წაღება-წამოღებას სამშობლოს დროშების ფრიალი და უზარმაზარი ლოზუნგები ახლდა, ღმერთო, შენ დაიფარე უფაქიზესი კაცი, რომელიც ერის სისუფთავეზე ბრუნავს. ის კი ამ დროს ბაღში დააბოტებდა თავისი უზარმაზარი ფეხებით და ფიქრებში ათასნაირ საქმეს იგონებდა ხალხის სამუშაო ფერხულში ჩასაბმელად. უკან დასდევდნენ ბრძელები, კეთროვნები, ხეიბრები და სასწაულმოქმედ მარილს თხოვდნენ განსაკურნავად. ისიც ხან მარილს არიგებდა, ხანაც ეზოში მდგარ ემბაზში ნათლავდა ოდესღაც თავის მიერვე მონათლულთა შვილებს და ყველას თავის სახელს არქმევდა. მლიქვნელები ენას არ აჩერებდნენ, ერთადერთი ხარო, ელაქუცებოდნენ. რაღაცით ის მართლა იყო ერთადერთი, ორეული აღარ ჰყავდა და თვითონ უწევდა საკუთარი თავის ორეულობა ამ გაბაზრებულ სასახლეში. აქაოდა, პრეზიდენტის დედა ბენდისიონ აღვარადო ერთ დროს ჩიტების მოშენებას მისდევდაო, დღე არ გავიდოდა, ფრინველებით გამოვსებული გალიები არ მოეზიდათ. ზოგს მეტისმეტი მლიქვნელობისგან მოჰქონდა, ზოგსაც სამამსახრაოდ. ბოლოს ისე გაივსო იქაურობა, ახალი გალიის ჩამოსაკიდი ადგილი აღარსად იყო. ჩიტების გარდა სახელმწიფოს სხვა საზრუნავიც ბლომად ჰქონდა, ასეთ შემთხვევებში სასახლეში ერთდროულად წყვეტდნენ ყველა საქმეს და პატიოსა თუ კაბინეტებშიც იმდენი ხალხი ირეოდა, კაცი ვერ გაიგებდა, ვინ მთხოვნელი იყო, ვინ მოხელე. სიხალვათისთვის შიდა კედლები მოანგრის, ზღვისკენ უამრავი ფანჯარა გაჭრეს თვალის გასახარადაც და იმადაც, რომ სათხოვნელად მოსულ ხალხს დარბაზიდან დარბაზში შესვლა-გამოსვლისას შემოდგომის ქარიან ზღვაში მიკარგული იალქნებდაბერილ ნავში ჰგონებოდა თავი. სასახლის ფანჯრებში ათადან და ბაბადან თარეშობდა მარტის ქარი, მაგრამ ამჯერად რატომღაც ყველანი ერთხმად ირწმუნებოდნენ, ჩემო გენერალო, ეს მშვიდობის ქარიაო. ყურებში ჩაბუდებულ შემაწუხებელ ხმაურზეც ეუბნებოდნენ, მშვიდობის ქარიაო. პირადმა ექიმმაც ასე უთხრა, ჩემო გენერალო, ეს მშვიდობა ხმაურობს თქვენს ყურებშიო. იმ დღიდან, რა დღესაც ის პირველად ნახეს ჯერ მკვდარი და მერე მკვდრეთით აღმდგარი, ყველანი ერთხმად აღიარებდნენ, მიწაზეც და ცაზეც საყოველთაო სიმშვიდემ დაისადგურაო. მანაც დაიჯერა თავისი უკვდა-

ვება და დეკემბერში კვლავ ეწვია კლდეზე შემდგარ სახლს, რათა დამტკბარიყო ყოფილ დიქტატორთა უბედურების ცქერით, ერთ ბედქვემ მყოფთა იძულებითი ძმური კავშირით ამ თავშესაფარში. მის დანახვაზე დიქტატორებს ლაპარაკის საღერღელი ეშლებოდათ, უკვე მერამდენედ ისმენდა ერთი და იგივეს. ვთქვათ, ეს დომინოს ქვა მე ვარ, ეს კი ყეყეჩი კონსერვატორია; ვერაფრით მოვურიგდით ერთმანეთს, ესეც არ იყოს, მე არაფერი ვიცოდი პაპებისა და მასონების საიდუმლო ალიანსის თაობაზე. ნეტავი ამდენს არ ლაქლაქებდეს ეს გადაღძუებული ბერიკაცი, ვერა ხვდება, წვნიანი რომ უცივდება. ახლა მეორე გადაღძუებული იწყებდა ახსნას, ვთქვათ, ეს საშაქრე პრეზიდენტის სასახლეა, ქარი რომ არაა, მტრის ქვემეხიდან გამოსროლილი ყუმბარა ოთხასი მეტრით დაშორებულ სასახლემდე ვერ მოაღწევდა, და თუ ახლა ამ გასაცოდავებულ ყოფაში ვარ, ეს სულ რაღაც ოთხმოცი-ოთხმოცდარი სანტიმეტრის ბრალია, ბედი არ გინდა. იმედგადაწურულიც ბევრი იყო მათ შორის, სხვის კარზე მათხოვრული ყოფით დაბეჩავებულები გაფაციცებული ელოდებოდნენ თავიანთი ქვეყნის გემის გამოჩენას, რომელსაც კვამლის ფერსა და გასაცოდავებულ გუგუნზე ცნობდნენ. მეორე დილით კი გამთოშავ წვიმასა თუ ქარში პორტისკენ მიცუხცუხებდნენ, რათა სანაგვე ყუთებიდან ამოექექათ მეზღვაურების გადაყრილი ნაგავგახვეული გაზეთები. მერე ბრუნდებოდნენ თავშესაფარში, სხდებოდნენ და კითხულობდნენ თავიდან ბოლომდე, მარცხნიდან მარჯვნივ და მარჯვნიდან მარცხნივაც. კითხულობდნენ, ვინ მოკვდა, ვინ დაქორწინდა, ვინ ვინ დაპატიჟა ან სულაც ვინ ვინ არ დაპატიჟა თავის დაბადების დღეზე და ამ ამბების მეშვეობით ცდილობდნენ ამოეცნოთ, რა ვითარება იყო მათ ქვეყნებში. სასწაულის მოლოდინში ნამდვილად იყვნენ, ცალ-ცალკე ყველას სჯეროდა, რომ მის ცხოვრებას სრულიად შეცვლიდა ერთი შავად მოქრუშული ღრუბელი, რომელიც აპოკალიფსურ გრიგალს დაატეხდა თავს მის სამშობლოს, დაანგრევდა კაშხალებს, კალაპოტიდან გადმოიყვანდა მდინარეებს დატბორავდა მიწებებს, ყანებს, ქალაქებს, დაიწყებოდა შიმშილობა, ქვეყანაში გაჩნდებოდა შავი ჭირი და აი, სწორედ ამ დროს ხალხი საშველად უხმობდა იმ ადამიანს, ვინც ქვეყნიდან გააძევა, იმ ადამიანს, ვისაც ძალუძს ქვეყანას ააცილოს სრული განადგურება და ანარქია. აი, ნახავთ ასე თუ არ მოხდება. მაგრამ ამ დიადი წუთების მოლოდინში ცხოვრება თავისას ითხოვდა და ბებრებიც ყოფით წვრილმანებს ვერსად ემალებოდნენ. განზე გაიხმობდნენ ხოლმე რომელიმე შედარებით ახალგაზრდა ლტოლვილს და სთხოვდნენ, თუ არ შეწუხდებით, ძაფი გამიყარეთ ნემსში, შარვალი გამეხა, უნდა დავკემსო, ხომ არ გადავაგდებ, ეს შარვალი ხსოვნასავით ძვირფასია ჩემთვის, სულიერად მავსებს. უცხო თვალთ-

აგან მოფარებულები საცვლებსაც ირეცხავდნენ და ახლად მოსულთა ჰაინჰარად გადაყრილ ნახმარ, პირდაბლაგვებულ საპარსებსაც ჩუმ-ჩუმად აგროვებდნენ, ჭამითაც თავ-თავიანთ ოთახებში გამოკეტილები ჭამდნენ, რათა არავის შეემჩნია მათი უკბილო უძლურება, არავის ენახა ბებრული სიძაბუნის შეუკავებლობის ნიშანი, სამარცხვინოდ ჩასვრილი შარვალი. ერთ — ხუთშაბათ დღეს ერთ-ერთმა იმათგანმა, რომელიც, ცოტა არ იყოს, საკმაოზე მეტხანს შემორჩა სააქაოს, სული განუტევა. მიცვალებულს ერთადერთი შემორჩენილი პერანგი ჩავაცვით, მკერდზე ჩინ-მედლები დავაბნით, თავისი ქვეყნის დროშაში გავახვიეთ, თავისი ქვეყნის ჰიმნიც ვუმღერეთ და გადავულოცეთ სამარადისო დავიწყების საუფლოს, კლდის ფერხთით გაწოლილ ზღვის ფსკერს, საითკენაც გამეტებით მიაქანებდა ერთადერთი ბალასტი, მისივე ნატანჯი, ეროზიამოდებული გული. ამ საცოდავს არაფერი დარჩენია დედამიწაზე ერთი ცარიელი ადგილის გარდა, უიმედობის ტერასაზე გამოდგმული სკამის გარდა. ჩვენც ამ სკამზე ვსხდებით, ჩემო გენერალო, ვთამაშობთ და სანაძლეოზე ჩამოვდივართ მის არარსებულ ნივთებს. ვინ იფიქრებდა, ჩემო გენერალო, ასეთი დიდებული ცხოვრების მერე ასეთ უბადრუკ სიკვდილს თუ არგუნებდა ბედი. ერთ სხვა შორეულზე შორეული დეკემბრის თვეში, სწორედ ამ თავშესაფრის გახსნის დღეს, პრემიდენტმა ტერასიდან დაინახა მძივებივით ასხმული ანტილის კუნძულები, იფიქრა, ნამდვილად მეჩვენებო, მაგრამ ვიღაცამ თითო ზღვის ვიტრინაზეც ანიშნა. მან დაინახა კეთილსურნელოვანი ვულკანი კუნძულ მარტინიკაზე. ხედავთ ხომ, ჩემო გენერალო. მან დაინახა ჭლექიანების სანატორიუმი, დაინახა გოლიათი ზანგი, რომელსაც მაქმანებით გაწყობილი კვართი ეცვა, ტაძრის თაღქვეშ იდგა და გუბერნატორთა ცოლებს გარდენიებს სთავაზობდა საყიდლად. მან დაინახა პარამარიბოს ჯოჯოხეთურად აფუთფუთებული ბაზარი. ხედავთ ხომ, ჩემო გენერალო. დაინახა ზღვაში ჩამავალ ფეხსალაგების მიწებს გამოყოლილი და სანაპირო კაფე-ბარების მაგიდებზე მობორიალე კიბორჩხალები. დაინახა ბრილიანტით კბილებდაპლომბილი გავასქელი ზანგი დედაბრები, რომლებიც წვნიანივით ბლანტ წვიმას არად აგდებდნენ, არხეინად ისხდნენ და ინდიელთა ნიღბებს თუ ათასნაირ სამკურნალო ბალახს ყიდდნენ. დაინახა ტანაგუარენას პლაჟზე მთვლემარე ხორცსავსე მატრონები — მზეზე ოქროსფრად დაფერილი ძროხები. დაინახა გუაირელი უსინათლო ნათელმხილველი, რომელიც ორ რეალად უკრავდა ერთსიმშემორჩენილ ვიოლინოზე, რათა სამუდამოდ განედევნა სიკვდილი — ინდაური. მან დაინახა პაპანაქება სიცხე ტრინიდადზე, დაინახა უკულმა წინ მიმავალი მანქანები და მწვანე სამოსიანი ინდუსებიც პირდაპირ ქუჩაში, ზედ თავიანთი ფარდულების

წინ ჩაცუცქულები რომ იცლიდნენ კუჭს. დაინახა ჰაიტის საშინელება, გაქუცული ლურჯი ძაღლები, დაინახა გამთენიისას ჯორშებმულ ფორნებში როგორ ჩაყარეს ქუჩებში მიფანტულ-მოფანტული გვამები, დაინახა კურასაოს ბენზინსაცავი, რომლის კედელზე მიეხატათ ტიტა ნიშნად იმისა, რომ ჰოლანდია კვლავ აქ არის, დაინახა სახურავწაწვეტებული, ქარის წისქვილებივით სახლები. ასეთი დაფერდებული სახურავები ჭკვიანური მოგონებაა დიდთოვლობის დროს, დაინახა საოკეანო გემი, რომელიც თავისუფლად დაცურავდა ქალაქის ცენტრიდან ხან ერთ, ხანაც მეორე სასტუმრომდე, დაინახა კარტახენა დე ინდიას ქვით შემორაგული ფარეხები, ჯაჭვით შემოკავებული ზღვის უბე, განათებული აივნები, გამომწყვდეული, მოწყენილობისგან მთქნარებად ქცეული საადლოუმო, ვიცე-მეფეთა დროინდელ საკვებზე მეოცნებე ცხენები. მძღნერის სუნია, ჩემო გენერალო. მართლაც რა უსაზღვროა ქვეყანა, მაგრამ ამავედროულად ვერაგიც. თუ ამჟამინდელ დეკემბრის თვეში პრეზიდენტმა ინება და კლდეზე წამომდგარ თავშესაფარს ესტუმრა, იმიტომ კი არ შეიწუხა თავი, რომ იქ თავშეფარებულებისთვის ორიოდ თბილი სიტყვა ეთქვა, ისინი ხომ ისე ეზიზღებოდა, როგორც საკუთარი ორეული უბედურებათა სარკეში, არამედ იმიტომ, რომ არ გამორჩენოდა ის ზღაპრული წამი, როცა დეკემბრის საოცრად შუქიან და გამჭვირვალე ჰაერში კვლავაც შეძლებოდა ეხილა მძივებივით ასხმული ანტილის კუნძულები ბარბადოსიდან ვერაკრუსამდე. ჰოდა, რა დროს დომინოა, ტერასაზე გავიდა, რათა კიდევ ერთხელ დამტკბარიყო ზღვის უბეში მთვლემარე ნიანგებივით გაწოლილი, მთვარის შუქით განათებული კუნძულების ცქერით. მას გაახსენდა ის ისტორიული ოქტომბრის პარასკევი დღე, როდესაც დილაუთენია გამოვიდა თავისი საძინებლიდან და თვალებს არ დაუჯერა, სასახლის თითქმის ყველა ბინადარს 37 წითელი ჩაჩი ეხურა თავზე. წითელი ჩაჩები ეხურათ მის საყვარლებსაც, რომლებიც ოთახებს გვიდნენ და გალიებში წყალს უცვლიდნენ ჩიტებს, წითელი ჩაჩები ეხურათ მწველავებსაც და ყარაულებსაც, კიბეზე ჩამომსხდარ ხეიბრებსაც და ვარდის ბუჩქებში მობორიალე კეთროვნებსაც. ვერაფრით გაეგო, რა მოხდა ამ ერთ ღამეში, მის ძილში. რატომ ეხურა წითელი ჩაჩი ყველას, სასახლეშიც და მთელ ქალაქშიც, ან ეს რა საჩხარუნოები ეჭირათ ხელში. როგორც იქნა, გამოჩნდა ამბის მომტანი კაცი. უცხოელები გვესტუმრნენ რამდენიმე გემით, ჩემო გენერალო. ისე, მთლად უცხოელებიც არ უნდა იყვნენ. ესპანურად ლაპარაკობენ, მაგრამ ჩვენს ესპანურს რაღაც არ ჰგავს. El Mar-ის ნაცვლად La Mar-ს ამბობენ, სიტყვებს თავისებურად გამოთქვამენ, ამახინჯებენ. ნავებით რომ მივუახლოვდით, მაშინვე ანძებზე აცვივდნენ და ისეთი გადაძახება-გადმოძახება ატეხეს, ყურთასმენა აღარ იყო.

ერთმანეთს ჩვენზე ანიშნებდნენ, ნახეთ, რა ტანადები არიან, რა ლამაზები, რა გრუზა თმა აქვთ, ცხენის ფაფარს მიუგავთო. მერე ეტყობა, იფიქრეს, თაკარა მზის შიშით საღებავი აქვთ ტანზე წასმულიო და თუთიყუშებივით აქოთქოთდნენ, კანარიელებივით არც თეთრები არიან, არც შავები, ღმერთმა უწყის, ვინ არიანო. დაგვცინოდნენ ვერაფრით გაგვეგო, რატომ დაგვცინოდნენ, ჩემო გენერალო, ჩვენთვის ხომ ბუნებრივია ეს ფერი, ჩვენ ხომ ასეთები გვშობეს ჩვენმა დედებმა. დასაციანი თვითონ იყვნენ, პაპანაქება სიცხეში ბანქოს ვალეტებივით ჩამოეხვავებინათ ტანზე სამოსი. თმა ქალებივით ჰქონდათ დავარცხნილი. ისე, ქალები არ ერიათ, არ დაგვინახავს. გვიყვიროდნენ, რატომ ვერ იგებთ ჩვენს ქრისტიანულ ლაპარაკსო. არადა, სწორედ ისინი ვერ იგებდნენ ჩვენს ლაპარაკს. მერე თვითონაც გამოემართნენ ჩვენსკენ ნავებით. გაუკვირდათ, თევზის ძვლის წვეტიანი ბარჯები რომ დაგვინახეს ხელში. თუ რამ გაგვაჩნდა, სახელდახელოდ გაგვიცვალეს წითელ ჩაჩებში, შუშის მძივებსა თუ თუნუქის საჩხარუნოებში. ჩვენც მადლობის ნიშნად მაშინვე ჩამოვიკონწიალეთ ყელზე მძივები. საჩხარუნოები ერთი მარავედიც არ ღირდა, თეფშები, პატარა სარკეები და ზღვისიქითა მხარის ათასნაირი ხარახურა მოაყოლეს თან. ჩემო გენერალო, როცა დავრწმუნდით, ბოროტი განზრახვით არ იყვნენ მოსული და არც სულელები ჩანდნენ, ნელ-ნელა, მათდა შეუმჩნევლად მივაყენეთ ნაპირს და სწორედ აქ მოხდა, რაც მოხდა. ისეთი აურზაური და ჯგულეთა შეიქნა, ძალღი პატრონს ვერ იცნობდა. ყველას, ვისაც არ ეზბარებოდა, პაჭაპუჭებში გადასაცვლელად მოჰყავდა თუთიყუშები, მოჰქონდათ თუთუნი, შოკოლადი, იგუანას კვერცხი. ის კი არადა, ერთი ჩვენიანი ძლივს გადაურჩა ძველებურ ხავერდის ჟილეტში გადაცვლას, უცხოელები ამბობდნენ, ევროპაში უნდა წავიყვანოთ საჩვენებლადო. წარმოგიდგენიათ, ჩემო გენერალო, რა ხდება. გენერალი დაბნეული იდგა. რაღაც უჩვეული და უცნაური რომ ხდება, ეს ცხადია, მაგრამ ძალუძს კი მას ამოხსნას იგი. თავგზაარეული დაბრუნდა სასახლეში და თავის საძინებელს მიაშურა იმ იმედით, რომ ხვალ დილას ნათელს მოჰფენდა იმ აბდაუბდას, რაც ახლა მოისმინა. ზღვისკენ გაჭრილი ფანჯარა გამოალო, ნაპირთან კვლავ ტორტმანებდა დიდი ხნის წინათ საზღვაო დესანტის მიერ მიტოვებული ჯავშნოსანი გემი, ოდნავ მოშორებით კი, თავისდა გასაოცრად, დაინახა მოქრუშულ ზღვაში ღუზაზე მდგარი სამი კარაველა.

როდესაც იგი კვლავ მკვდარი და სახედაკორტნილი ვიპოვეთ და თანაც ვიპოვეთ იმავე კაბინეტში, იმავე პოზაში და იმავე ტანსაცმელში, როგორც არაერთხელ უნახავთ თურმე, იმ ხანებში ჩვენ არც ისეთი ხნიერები ვიყავით, მის წინა სიკვდილს მოვსწრებოდით ან რაიმე გვხსომებოდა ამის თაობაზე, მაგრამ ცოდნით ნამდვილად ვიცოდით, რომ არც ერთი მისი სიკვდილი არ გამართლებულა. რაღას არ ამბობდნენ მასზე, რაღას არ უგონებდნენ, მაგრამ ბოლოს ყველაფერი ნაბოღვარი გამომდგარა. ამბობდნენ, აუდიენციებზე უცებ რაღაც მოუვლიდა, სავარძლიდან ვარდებოდა და პირზე დუჟმორეული იკრუნჩხებოდა იატაკზე. ამბობდნენ, ღმერთმა ბილწსიტყვაობისთვის დასაჯა. ლაპარაკის უნარი წაართვა, მართო პირს აღებდა, ლაპარაკით კი მის მაგივრად თეჯირს ამოფარებული მუცელმოგვი ლაპარაკობდაო. ამბობდნენ, მეტისმეტი სიგარყენილისგან მთელი სხეული თევზივით დაქერცლილი ჰქონდაო. ცივ ამინდში თიაქარი ისე უსივდებოდი, სიარული უჭირდა, სულ დედის გინებ-გინებით დააბოტებდაო, მერე როგორღაც მოუფიქრებიათ და ორთოპედიული ურიკა გაუკეთებიათ, დაასვენებდა თურმე ზედ თავის ჩამოსიებულ უზარმაზარ საოხრეს და ნაბიჯ-ნაბიჯ დადიოდაო. იმასაც ამბობდნენ, ვიღაცას დაუნახავს, სასახლის უკანა ეზოში შუალამისას სამხედრო ფურგონში როგორ შეუდგამთ ხავერდგადაფარებული ოქროს ვენზელებიანი კუბო და ისიც დაუნახავთ, წვიმების ბაღში რა გულსაკლავად ქვითინებდა ლეტისია ნასარენო. მაგრამ რაც უფრო დამაჯერებელი ხდებოდა მისი სიკვდილის შესახებ გავრცელებული ხმები, მით უფრო დიდი იყო იმედგაცრუება, როცა ბულოს და ბოლოს აღმოჩნდებოდა, რომ ის თურმე ცოცხალია, საღსალამათია, უწინდებურზე მტკიცედ მართავს ქვეყანას და, რაც მთავარია, შესწევს ძალა, თავის ნებაზე შეუცვალოს დინება ჩვენს ცხოვრებას. არადა, რა ძნელი გამოსაცნობი ის იყო. სხვას ვის ექნებოდა თითზე წამოცმული პრეზიდენტის ბეჭედი, ან ასეთი დიდი, ბრტყელი ტერფები და, რაც მთავარია, საყოველთაოდ ცნობილი ჩამოსიებული თიაქარი, რომელიც სასწაულებრივად გადარჩენოდა სვაგების ნისკარტს. მაგრამ ამ დროს ყოველთვის გამოჩნდებოდა ვიღაც და მოჰყვებოდა იმის მტკიცებას, მახსოვს, ერთხელაც იპოვეს ერთი მკვდარი კაცი ზუსტად ასეთივე ნიშნებით. ამიტომ გადავწყვიტეთ, საგულდაგულოდ გადაგვეჩხრიკა მთელი სასახლე და ერთხელ და სამუდამოდ დაგვედგინა, ზუსტად ის იყო თუ არა მკვდარი. მაგრამ ამაოდ, ვერც დავადასტურეთ და ვერც გავფანტეთ ეჭვი. დედამისის, ბენდისიონ ალვარადოს შესახებ ჩვენ მხოლოდ გადმოცემით ვიცოდით, რომ საგანგებო დეკრეტის ძალით წმინდანად იყო შერაცხული. ამ ქალის საძინებელში ვიპოვეთ უამრავი დამსხვრეული გალია, ჩიტების ჩონჩხები, ფუნით მოთხვრილი ჩალის სავარძე-

ლი, აკვარელის საღებავები და აუარება ფუნჯი, რომელთა მეშვეობითაც ბენდისიონ ალვარადო პარამოელ ვაჭრუკანა დედაკაცებთან ერთად ჩიტებს ჭრელაჭრულად აფერადებდა და მერე ბაზარში მოლაღურებად ასალებდა. აქვე ვნახეთ უზარმაზარ კასრში ჩარგული ბარამბოს ბუნჩი, რომელიც მოუვლელობისაგან, წესით და რიგითო, აქამდე უნდა გამხმარიყო, მაგრამ პირიქით, სასწაულებრივად მოსდებოდა კედლებს, კედლებზე დაკიდული პორტრეტები უკანა მხრიდან ზედ თვალების ადგილას გამოეხვრიტა და იქიდან თავდაღწეული ახლა ეზოსკენ მიიწევდა სხვა მცენარეებთან შესაერთებლად. აქაც ვერ წავაწყდით ვერავითარ კვალს იმ კაცისას, ვისი სიკვდილიც გვეჭვებოდა. ლეტისია ნასარენოს საძინებელიც გადავაქოთეთ. ლეტისია მეტნაკლებად გვახსოვდა არა იმიტომ, რომ არცთუ შორეულ წარსულში დედოფლობდა, არამედ იმიტომ, რომ არც ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება არ ტარდებოდა მისი ხმაურიანი მონაწილეობის გარეშე. საძინებელში ჩვენ ვნახეთ დიდებული სარეცელი სიყვარულისა, მაქმანიანი ბალდახინის ქვეშ გამართული უზარმაზარი საწოლი, რომელზეც ახლა კრუსები ქოთქოთებდნენ. ზანდუკებში ვნახეთ ჩრჩილის შეჭმული და მტვრად ქცეული ცისფერი მელიის კუდის საყელოები, ხაბარდა კაბების მავთულის კარკასები, დაცრეცილი პელერინები, ბრიუსელური მაქმანის ლიფები, მამაკაცის საშინაო ფლოსტებიც და ოქროს თასმით გაწყობილი მაღალქუსლიანი ფეხსაცმელიც. ვნახეთ ფეტრის იებით მორთული გრძელი კაბა, რომლითაც ლეტისია წვეულებებზე იწონებდა თავს. ვნახეთ პირველი ქალბატონის შავი ტაფტის ლენტებით გაწყობილი სამგლოვიარო სამოსი, რომელსაც რამდენჯერმე დაქვრივებისას იცვამდა ხოლმე ქმრის ბრწყინვალე დაკრძალვების დროს. ერთერთ ზანდუკში ვნახეთ მორჩილის უხეში ტილოს კაბა, სწორედ ის კაბა, რომელიც ლეტისიას ეცვა მოტაცების დღეს. იგი ბროლის ჭურჭლეულის ყუთში ჩაკუჭეს და ასე ჩამოიყვანეს ამ მხარეში. ლეტისიამ მოუხერხებელი მგზავრობით განცდილი უსიამოვნება მალე თავისდა სასიკეთოდ აინაზღაურა, საკმაოდ მოხერხებულად მოკალათდა პრეზიდენტის ცოლის სავარძელში. ვერც მის საძინებელში აღმოვაჩინეთ კვალი კი არა, პატარა ნიშანიც კი იმისა, რომ ლეტისიას ვერაგული მოტაცება სიყვარულით იყო ნაკარნახევი. ვერაფერი აღმოვაჩინეთ ისეთი, რაც დაგვარწმუნებდა ლეტისიასადმი მის სიყვარულში. ის კი არადა, თითქოს არც არასდროს შემოედგა ფეხი ამ საძინებელში. იმ საძინებელში კი, სადაც პრეზიდენტმა თავისი ცხოვრების ბოლო წლები გაატარა, იდგა ფაქიზად გაწყობილი ჯარისკაცური საწოლი და პორტატიული მოსასაქმებელი ასეთ მოსასაქმებლებს მეძველმანეები იმ სახლებში პოულობდნენ, სადაც ოდესღაც საზღვაო ქვეითები ცხოვრობდნენ. რკ-

ინის ყუთში აღმოვაჩინეთ ოთხმოცდათორმეტი ორდენი და ერთიც უნიშნო სამხედრო მუნდირი, ზუსტად ისეთი, როგორიც სახედაკორტნილ მკვდარს ეცვა. ამ მუნდირს ექვს ადგილას აჩნდა მსხვილკალიბრიანი ტყვიების კიდევებშეტრუსული კვალი. ერთი ტყვია ზურგში მოხვედროდა და გულში გამოსვლოდა, ამის მნახველებმა ლამის დავიჯერეთ მასზე შეთხზული ლეგენდები, ტყვია არ ეკარებოდაო, მუხანათურად ზურგში ნასროლი ტყვია ვერაფერს ვნებდა, პირისპირ ნასროლსაც ისე ისხლეტდა, ტყვია მსროლელს უბრუნდებოდაო. იმასაც ამბობდნენ, მისი მოკვლა მხოლოდ ერთგულ კაცს შეეძლო, ვისაც მისთვის სიკეთე სურდა, იმას შეეძლო. სამხედრო მუნდირები მიცვალებულისთვის, მართალია, პატარა ზომისა მოგვეჩვენა, მაგრამ ეჭვი არ არის, ორივე მისი იყო. არადა, პატარაობიდანვე გვესმოდა, რომ ის თურმე ას წლამდე იზრდებოდა სიმაღლეში, ას ორმოცდაათი წლისას მესამედ ამოჭრა კბილებმა, სვავეების დაკორტნილი მიცვალებული კი საშუალო სიმაღლისა იყო და ჯანმრთელი, სარძევე კბილებივით წვრილი და ბლაგვი კბილები ჰქონდა. კანზე მოყვითალო ბებრული პიგმენტები მოჰფენოდა, ღაბაბი ნაკვეცბად ეფინა, ეტყობა, სიცოცხლეში სიმსუქნე ტანჯავდა. ჩვეულებრივი სიმაღლის კაცი იყო, გებუნებრივი არაფერი გააჩნდა გარდა დიდი თიაქარიანი კვერცხებისა, უზარმაზარი, ბრტყელი, თითქმის ოთხკუთხა ტერფებისა და უჩვეულოდ მაგარი, არწივის კლანჭებივით დაგრეხილი ფრჩხილებისა. ჰო, კიდევ დიდი ჰქონდა ამოცარიელებული გუგები, საიდანაც ოდესღაც, ან უკვე ამოკორტნილი, ნაღველიანი თვალები იმზირებოდნენ, ყოველ შემთხვევაში, მუნდირების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, იგი არ უნდა ყოფილიყო ისეთი გოლიათური აღნაგობის პატრიარქი, როგორსაც ისტორიკოსები ხატავდნენ, სასახლიდან იმიტომ არ გამოდიოდა, კარებში ვერ ეტეოდაო. ბავშვებს და მერცხლებს აღმერთებდა, ცხოველების ენა ესმოდა, სტიქიურ მოვლენებს წინასწარ ჭვრეტდა, სხვის აზრებს თვალებში კითხულობდა, სასწაულმოქმედი მარილით კეთროვნებს წყლულებს უქრობდა და ხეობრებს ფეხს ადგმევინებდაო. რაც შეეხება მის წარმომავლობას, არანაირი საბუთი ამის შესახებ აღარ არსებობდა, დროთა განმავლობაში მიკარგ-მოკარგულა თურმე. ხალხის ვარაუდით იგი მთიელი უნდა ყოფილიყო, რასაც ასაბუთებდნენ მთიელთათვის დამახასიათებელი ლტოლვით ძალაუფლებისაკენ. მის მთიელობას ისიც ადასტურებდა, რომ ქვეყანას მეტისმეტად მკაცრად მართავდა. მუდამ მოქუფრულს ბოროტი სიხარულით მხოლოდ მაშინ გაუნათდა სახე. როცა ჩვენი ზღვა უცხოელებს მიჰყიდა, ჩვენ კი სიცოცხლე მოგვისაჯა, თუ ამას სიცოცხლე ჰქვია, მთვარის უსიცოცხლო, მჩხვლეთავი მტვერივით ქვიშით დაფარულ ამ უკიდევანო, უდაბურ ველზე, სადაც ყოველი დაისი გაურკვეველ

ტკივილს გვიბუდებდა სულში. რაც შეეხება მის პირად ცხოვრებას, ითქვა, რომ უთვალავ საყვარელთან, უფრო ზუსტად, თანამცხოვრებ ქალთან, რაკი სიყვარულისა მას არა გაეგებოდა რა, შეძენია ასევე უთვალავი შვილი, ალბათ ხუთი ათასზე მეტი. ეს ბავშვები, უკლებლივ ყველანი, უდღეურები დაბადებულან, მისი სახელი არც ერთისთვის დაურქმევიათ, მისი გვარი არც ერთისთვის მიუციათ, მხოლოდ ერთი ბავშვი ცნეს ამის ღირსად, ეს ბავშვი მას ლეტისია ნასარენომ გაუჩინა. ახალშობილს ამქვეყნად მოვლენისთანავე დივიზიის გენერლობა უბოძეს, რაც შეეხება დანარჩენ შვილებს, ე. წ. მათი მამის აზრით, შვილისთვის დედაც კმარაო. ეს მოსაზრება პირადად მასაც ეხებოდა, რადგან სხვა ცნობილი დესპოტებივით ისიც არ იცნობდა საკუთარ მამას და ერთადერთ მშობლად თავის დედიკოს, ბენდისიონ ალვარადოს მიიჩნევდა. ამ ქალს სახელმძღვანელოებში ლამის ქალწულ მარიამთან აიგივებდნენ, მძინარეს უბიწოდ ჩაესახა ბავშვი, რომელიც განგების ძალით მესიად მოევლინა ქვეყანასო. ძალაუფლების მწვერვალზე ასულმა შვილმა საგანგებო დეკრეტი გამოსცა, რომლის ძალითაც ბენდისიონ ალვარადო სამშობლოს მატრიარქად გამოცხადდა, და გამოცხადდა სრულიად მარტივი მიზეზის გამო, იგი ერთადერთია და ბოლოს და ბოლოს ჩემი დედააო. ბენდისიონ ალვარადო უცნაური, მეტისმეტად უბრალო, შეიძლება ითქვას, მდაბიო ქალი იყო. არავინ იცოდა მისი წარმომავლობა. სასახლის ფანატიკოსებს იგი თვალში არ მოსდიოდათ, განსაკუთრებით რეჟიმის დასაწყისში ვერ ეგუებოდნენ იმას, რომ ქვეყნის პირველი პირის დედას ავი თვალისგან დასაცავად ქაფურის ფოთლების ავგარობი უკონწილებდა ყელზე, არც ის მოსწონდათ, ხიზილალის თითოეულ მარცვალს რომ წვალებით არჭობდა ჩანგალს და ისე მიირთმევდა. ლაკის ფეხსაცმელი ეცვა, დაბორკილივით კი დადიოდა, მუსიკოსებისთვის განკუთვნილ ვერანდაზე სკები დადგა, სახელმწიფო დაწესებულებებში ქათმები გაუშვა, უსახურ ჩიტებს საღებავებით აფერადებდა, სასახლის აივანზე, რომელსაც ტრიბუნის დანიშნულება ჰქონდა, სარეცხს ჰფენდა. ერთ დიპლომატიურ მიღებაზე წუწუნი დაუწყია, სენიორ, დავილალე ღმერთის თხოვნა-მუდარით, თავი დაანებონ ჩემს შვილს, რა ჯანდაბად უნდა პრეზიდენტობა, გინდა პრეზიდენტის სასახლეში გიცხოვრია და გინდა ოცდაოთხი საათი შუქმინათებული მჯდარხარ. ეს სიტყვები მართლაც რომ უბრალოებითა და ბუნებრივობით იყო აღსავსე. ეროვნული ზეიმის დღეს ასევე უბრალოდ, უბოდიშოდ გაარღვია საპატიო ყარაულის რიგი და ბოთლებით სავსე კალათით ხელში გაემართა პრეზიდენტის ლიმუზინისაკენ. ქუხდა ტაში და საზეიმო მუსიკა, ირგვლივ ყვავილების ზღვა ლივლივებდა, პრეზიდენტის ლიმუზინი ის იყო საზეიმო მსვლელობას თავში უნდა

ჩადგომოდა, რომ ბენდისიონ ალვარადომ ბოთლებიანი კალათა მანქანის ფანჯარაში შეჰყო და შვილს დაუყვირა, გზად მაინც იქით მიდიხარ, მაღაზიაში შეიარე და ეს ცარიელი ბოთლები ჩააბარეო. საბრალო დედა. სრულიად არა გაეგება რა ამ წუთების სიდიადისა და ისტორიული მნიშვნელობისა, არაფერი გაეგება პოლიტიკისა, რაც გამოამჟღავნა კიდევ ადმირალ ჰიგინსის მეთაურობით ამერიკული საზღვაო დესანტის გადმოსხმის აღსანიშნავ ბანკეტზეც. დედამ შვილი აქ პირველად იხილა საზვიამო მუნდირში გამოწყვდილი, ოქროს ჩინ-მედლებითა და აბრეშუმის ხელთათმანით დამშვენებული, რომელიც სიკვდილამდე არც მოუშორებია ხელიდან. დედამ სიამაყე ვერ დაფარა, და მთელი დიპლომატიური კორპუსის გასაგონად შესძახა, სენიორებო, რომ მცოდნოდა ჩემი შვილი რესპუბლიკის პრეზიდენტი გახდებოდა, სკოლაში მაინც ვატარებდი და წერა-კითხვას ვასწავლიდიო. საქვეყნოდ მოჭრა თავი შვილს. ამის მერე იყო სწორედ რომ გარეუბანში თერთმეტოთახიან დიდებულ სახლში გადაიყვანეს საცხოვრებლად, მისმა შვილმა ეს შენობა იმ ღირსსახსოვარ ღამეს მოიგო ბარში, როცა ფედერაციის მომხრე ბელადებმა გაიმარჯვეს და თავიანთი მოწინააღმდეგეების, გაქცეული კონსერვატორების სახლები დაინაწილეს. მაგრამ ბენდისიონ ალვარადოს თვალში არ მოუვიდა იმპერიის დროინდელი კედლებმონახატული დარბაზები, პაპის ცოლი ხომ არ ვარ, აქ ვიცხოვროო, და ერთ მიკარგულ გრილ ოთახში გადაბარგდა თავის ერთგულ ექვს ფეხშიშველა მოახლესთან ერთად. არც საკერავი მანქანა დავიწყნია და არც ჩიტები. საკუჭნაოსავით გრილსა და სანახევროდ ბნელ ოთახში მოსკიტებიც ნაკლებად აწუხებდნენ. საღამოობით ერთადერთ ფანჯარასთან ჯდებოდა, ტამარინდის სურნელს ისუნთქავდა და ვიდრე დარბაზებში ქათმები დაწკაპუნობდნენ და სასახლის მცველი ჯარისკაცებიც მოახლე გოგოებს სიბნელეში უსაფრდებოდნენ, იგი ან კერავდა, ან ნაცრისფერ, უსახურ ჩიტებს ჭრელაჭრულად აფერადებდა. შვილის მძიმე ხვედრის გამო ხშირად წუწუნებდა, დამეტანჯა ბიჭი, საზღვაო ქვეითებს ჰყავთ გამომწყვდეული სასახლეში, არც დედა ჰყავს გვერდით, არც მზრუნველი ცოლი, შუალამეს რომ რამე წამოტკივდეს ან უძილობამ შეაწუხოს, ვინ მოუვლის, ვინ მოეფერება. ღირს კი რესპუბლიკის პრეზიდენტობა და თვეში მათხოვრული სამასი პესო იმად, რომ ჯანმრთელობა შესწირო ამ უმადურ, დაწყევლილ სამსახურსო, საბრალო ბიჭი. დედამ ძალიან კარგად იცოდა, რასაც ამბობდა, როცა მთელი ქალაქი სიესტის ჭაობში იყო ჩაძირული, შვილი სწორედ მაშინ აკითხავდა თითქმის ყოველდღე. მოჰქონდა მისი საყვარელი დაშაქრული ხილი და გულს იოხებდა საკუთარ გასაჭირზე ლაპარაკით, საზღვაო ქვეითებისთვის არაფერს წარმოვადგენ, ერთი გამოგონილი პრ-

ეზიდენტი ვარო. ხომ არ გგონია, ეს ხილი ვინმემ მომართვა, მოპარულია, ლანგარზე დალაგებულ ხილზე ვითომ ხელსახოცი მივარდება შემთხვევით, ასაღებად ვიხრები და ხელსახოცს ხილსაც ზედ მივაცოლებ ხოლმეო. ეს წყეული, წუწურაქი ოკუპანტები სადილის ნარჩენებსაც კი ინიშნავენ თავიანთ დავთრებში. ამას წინათ ჯავშნოსანის მეთაურმა ვიღაცები მოათრია სასახლეში, მგონი, მიწის ასტრონომები თუ რაღაც ამდაგვარი. საღმის ღირსადაც არ გამხადეს, მოსვლისთანავე შეუდგნენ ოთახების გადაზომვა-გადმოზომვას, ზედ ჩემს თავზე ჭიმავენენ საზომს, რაღაცას ანგარიშობდნენ, ინგლისურად მიყვიროდნენ, თარჯიმანი მითარგმნიდა, იქით გაიწი, ფეხებში ნუ გვებლანდებიო, მეც ვიწეოდი, აქეთ გამოდი, შუქზე გვეფარებითო, მეც გამოვდიოდი, აღარ ვიცოდი, რა მექნა, აქეთ-იქით ვეხეთქებოდი, საკუთარ სახლში არ მაყენებდნენ, ყველაფერს ზომავენდნენ, აივნების განათებასაც კი. ეს კიდევ არაფერი, დედა, ამ თავხედებმა ორად ორი შემორჩენილი ქალიც გამიგდეს სასახლიდან, ადმირალს უთქვამს, რა პრეზიდენტის შესაფერისი ეგენი არიანო. დედის გული ხვდებოდა, რისთვისაც მოდიოდა მისი შვილი, უქალობა სჭირდა და იმისთვის. დედას რომ დაემშვიდობებოდა, მეჩქარება, უნდა წავიდეო, სასახლეში წასვლის მაგიერ ცარიელ ოთახებს მალულად დაივლიდა და სადაც მოახლეს წააწყდებოდა, წამში ეძგერებოდა. ბენდისიონ ალვარადოც მაშინვე ჩიტებს ააფორიაქებდა გალიებში, იჟიჟივით, ფრთები აფართქუნეთო, აქაოდა, არავინ გაიგონოს ჩაბნელებული ოთახიდან გამომავალი ჩემი შვილის, უმწეო მამაკაცის სამარცხვინო ხვნეშაო. მიყურადებულ ბენდისიონ ალვარადოს ესმოდა, როგორ ცდილობდა მისი შვილი ქალის დაყოლიებას, ის კი როგორ ემუქრებოდა, თავი დამანებეთ, თორემ დედათქვენს ვეტყვიო. შვილის სიბრალულით გულდათუთქული დედა ისევ თავის უბედურ ჩიტებს უქშევდა, აჟიჟივდით, აფართქუნდითო. ის კი ამ დროს არც ქალს ხდიდა ტანთ, არც თვითონ იხდიდა, ფაციფუცით აკეთებდა თავის საქმეს, ძალღივით წკმუტუნებდა და უპასუხოდ დარჩენილ ვნებას ლოყაზე ჩამოგორებული მარტოობის ცრემლით იგრილებდა. ამასობაში კი მოახლე გოგოსთან მისი ფხაკურით დაფეთებული ქათმები აკანკალებულები ედებოდნენ ოთახებს, თავს აფარებდნენ გრილ კუთხე-კუნჭულებს. საწყალი ჩემი ბიჭი, რა სიყვარულობანა აუტყდა ამ გაგანია სიცხეში, თანაც დღის სამ საათზე, ისეთი პაპანაქებაა, ჰაერი გამდნარ შუშას ჰვავს. მართლაც რომ საწყალი და სხვის ხელებში შემყურე იყო მანამ, სანამ ქვეყანაში ჭირი არ გაჩნდა და უცხოურმა დესანტმა არ დატოვა აქაურობა სახელშეკრულებო ვადაზე ბევრად უფრო ადრე. შეშინებულმა გრინგოებმა ფიცარ-ფიცარ დაშალეს და დიდ ყუთებში ჩაალაგეს თავიანთი კოტეჯები, მიწას ააგლიჯეს ხელოვ-

ნური ლურჯი მოლი და ფარდაგივით დაახვიეს, დაცალეს მუშამბის ცისტერნები, რომლებშიც სამშობლოდან გამოგზავნილ გამოხდილ წყალს იმარაგებდნენ, აბა, ჩვენი ბინძური მდინარეების წყალს ხომ არ დაღვედნენ. თეთრად შეფეთქილი ლაზარეთებიც დაანგრის და ყაზარმებიც ააფეთქეს, რა საჭიროა, ყველამ იცოდეს, როგორ და რა გეგმით არის აშენებულო. მხოლოდ ძველისძველი ჯავშნოსანი გადაურჩა აფეთქებას, ივნისის ღამეებში გემბანზე მოჩვენებასავით მობორიალე ადმირალი შიშის ზარს სცემდა ყველას. ხოლო ვიდრე საზღვაო ქვეითები თავიანთ საჰაერო მატარებელს დატვირთავდნენ პორტატიული ომების დროს საჭირო თავიანთი ასაწყობ-დასაშლელი სამოთხითა და ავლადიდებით, მანამდე პრეზიდენტი დააჯილდოვეს მედლით კეთილი მეზობლობისთვის, მერე კი ღამის მთელი ქვეყნის გასაგონად უთხრეს, გტოვებთ ამ შენს ბინძურ ბორდელში და უჩვენოდ რასაც გააკეთებ, იმასაც ვნახავთო. წავიდნენ, დედა, წავიდნენ, ჯანდაბამდის გზაც ჰქონიათ. თავის ცხოვრებაში პირველად აუყვა სახელისუფლებო კიბეს როგორც ქვეყნის სრული ბატონ-პატრონი და არა როგორც ოკუპანტების უღელში შებმული ხარი, სხვის ნაკარნახევ ბრძანებებს კი არა, საკუთარ ბრძანებებს იძლეოდა ცოცხლად და ხალისიანად, პირადად სცემდა პასუხებს შეკითხვებზე, პირადად იღებდა მთხოვნელებს. თუ შეიძლება, მამლების ბრძოლა აღვადგინოთო, სთხოვდნენ, კი ბატონო, თანახმა ვარო, პასუხობდა. შეიძლება, ფრანები ისევ გავუშვათო, რა თქმა უნდა, შეიძლებაო. ოკუპანტების მიერ აკრძალული ყველა ხალხური გასართობი აღადგინა და ხელ-ნელა, როცა დარწმუნდა, ხელისუფალი და ხელისშემშლელი აღარავინ მყავსო, ისე შევიდა ყველაფრის შეცვლისა თუ აღდგენის ეშხში, რომ ეროვნულ დროშაზეც კი მოუნაცვლა ადგილები ფერად ზოლებს, ზემოთა ზოლი ქვემოთ ჩამოატანინა, ქვემოთა ზემოთ. სახელმწიფო ღერბზეც მისი ბრძანებით ფრიგული თავსაბურავი ძლეული დრაკონის გამოსახულებით შეცვალეს. დედა, როგორც იქნა, ჯაჭვზე დაბმული ძაღლები აღარა ვართ, აშვებულები ვართ, ზოგი ჭირი მართლაც მარგებელი ყოფილა და გაუმარჯოს შავ ჭირს. ბენდისიონ აღვარადოს რა დაავიწყებდა ოკუპაციის ავად მოსაგონარ დღეებს, სამარცხვინო მონობას, რა დაავიწყებდა თუნდაც ოკუპაციამდელ უბადრუკ ყოფას. განსაკუთრებული გულისტკივილით იგონებდა იმ ხანებს, როცა ყოველმხრივ დაუცველები აღმოჩნდნენ და მათ სიცოცხლეს საფრთხე დაემუქრა. ეს სულ ახლახან იყო, როცა მისმა შვილმა პატრისიო არაგონესის წყალობით საკუთარი სიკვდილის ფარსი გაითამაშა, როცა გამხეცებული ბრბო სასახლეში შეიჭრა და ყველაფერი დაღეწა, როცა მისი შვილი მკვდრეთით აღსდგა და ამბოხება სისხლში ჩაახრჩო, ყოველივე ამის შემდგომ კი კეთილდღეობის

ჭაობში ჩაეფლო. სწორედ იმ ხანებში იყო, ლაპარაკის საღერღელაშ-
ლილი ბენდისიონ აღვარადო თუკი ვინმეს მოიგდებდა ხელში, უსათუ-
ოდ მოჰყვებოდა ხოლმე წუწუნს, ნეტავ რა ჯანდაბად მინდა პრეზიდენ-
ტის დედობა, ამ საკერავი მანქანის გარდა არაფერი მაბადია, ჩემი შვი-
ლიც არაფრის მქონეა. სენიორ, თქვენ მას ხშირად ხედავთ კარეტაში,
ხედავთ, რა დიდის ამბით მიაცილებენ მეჩირაღდნეები, ის კი არ იცით,
რომ სინამდვილეში მას დასამარხი ადგილიც კი ვერ უყვია სასაფლ-
აოზე, რათა სამშობლოს კეთილდღეობისთვის დამაშვრალი კაცი მშვი-
დად ჩაწვეს მიწაში. მაგრამ დროთა განმავლობაში ბენდისიონ აღვ-
არადომ უკლო შვილის უბედურ ხვედრზე წუწუნს, რადგან შვილი აღარ
მირბოდა მასთან დარდების გასაზიარებლად, აღარ ელაპარაკებოდა
სასახლის ჭორსა თუ მართალზე. დესანტის წასვლის მერე საბრალო
ბიჭი ძალიან შეიცვალა, ხანდახან თავისზე ხნოვანი ეჩვენებოდა შვი-
ლი, ერთი-ორჯერ შეამჩნია კიდევ, ბებრულად, არეულად რომ ლაპ-
არაკობდა. სიტყვებს ძლივს უყრიდა თავს, აზრი გაწყვეტილი მძივივით
ეფანტებოდა, რეალობას ეთიშებოდა, ერთი-ორჯერ დორბლიც გადმო-
უვიდა პირიდან, ასეთ წუთებში ბენდისიონ აღვარადოს ეჩვენებოდა,
რომ ამ ბერიკაცის დედა კი არა, ქალიშვილი იყო. განსაკუთრებით
ერთ დღეს იგრძნო ეს განსხვავება. შვილი ესტუმრა ქალაქის პარკე-
ბითა და მუყაოს ყუთებით ხელდამძიმებული. ვიდრე დედა მაკრატელს
ეძებდა, შვილმა კბილებით დახსნა ყველა ზონარი, მუყაოს ყუთების
გახსნისას ხომ ლამის ფრჩხილები დაიმტვრია. მერე პარკებიც და ყუთ-
ებიც მაგიდაზე გადმოაპირქევა. უკვირდა, ნეტავ დედაჩემი რატომ არ
იზიარებს ამ საზეიმო განწყობილებასო. ნახე, დედა, რა მოგიტანე, ნა-
ხე, ეს ცოცხალი სირინოზია აკვარიუმში. ეს დასაქოქი ანგელოზია,
ადამიანის ზომისაა, აი, ამ გასაღებით დაქოქავ და ისიც მანზალაკების
წკრილით იფრენს ოთახში. ეს ოკეანის ნიჟარაა, ხედავ, რამოდენაა,
ყურთან მიიდე, ოკეანის ხმაურის ნაცვლად ჩვენი ეროვნული ჰიმნი ის-
მის. ხომ მოგწონს, დედა, ხომ კარგია, მდიდარი რომ ხარ. მაგრამ დე-
და არ იზიარებდა შვილის სიხარულს, იჯდა და მდუმარედ კვნეტდა
ჩიტების გასაფერადებელ ფუნჯებს. შვილის სიბრალულით გულმოკ-
ლულს წარსული ედგა თვალწინ. მასზე უკეთ არავინ იცოდა, რის ფა-
სად შეინარჩუნა მისმა შვილმა ის სავარძელი, რომელზეც ახლა იჯდა.
ახლანდელი დრო სხვა არის, სენიორ, ახლა ძალაუფლება ხილვადი
მატერიაა, შეიგრძნობ კიდევ, ერთი სიტყვით შუშის ბურთულასავით
გიდევს ხელის გულზე, როგორც ჩემს შვილს უყვარს ხოლმე თქმა. წი-
ნათ კი ძალაუფლება თევზივით სხლტებოდა ხელიდან და უღვთოდ და
უკანონოდ დაცურავდა სასახლეში, რომელიც მაშინ ნამდვილ საგიჟე-
თს წარმოადგენდა. ამ საგიჟეთში მის შვილს ჯგროდ დასდევდნენ ის

ხარბი, გაუმძაღარი ადამიანები, ფედერალური ომის დროს რომ დაეხმარნენ უძლიერესი დიქტატორის გენერლისა და პოეტის ლაუტარო მუნიოსის დამხობაში, მაგრამ გაწეული სამსახურის სანაცვლოდ მოითხოვეს ქვეყნიდან გაძევებული ძველი ფეოდალების ადგილ-მამულები და პირუტყვი მთელი ქვეყანა ავტონომიურ პროვინციებად დაჰყვეს და დაინაწილეს, პრეზიდენტს კი გამოუცხადეს, ჩემო გენერალო, სწორედ ეს არის ფედერაცია, სწორედ ამიტომაც გავიღეთ სისხლი საკუთარი ვენებიდანო, და გახდნენ კიდევ ამ პროვინციების ერთპიროვნული მეფეები, ჰქონდათ საკუთარი კანონები, საკუთარი ხელმოწერით დამოწმებული საკუთარი ფულის ნიშნები საკუთარი დღესასწაულები, ანუ თავიანთ დაბადების დღეს ეროვნულ დღესასწაულად აცხადებდნენ, თავს იწონებდნენ ოქროსა და ვერცხლის სირმებით ამოქარგული მუნღირებით, ბრილიანტის თვლებით მოოჭვილი ხანჯლებითა და ხმლებით, ფარშავანგის ბუმბულით გაწყობილი სამკუთხა ქუდებით. ეს მორთულობა ვიცე-მეფეთა ეპოქის დროინდელი ძველი ლითოგრაფიებიდან გადმოეღოთ. ნამდვილი ტლუ ხალხი იყო, სენიორ, გაუთლელი, სასახლეში მთავარი შესასვლელიდან შემოჯლიგინდებოდნენ ხოლმე მოურიდებლად, დაუპატიჟებლად. სამშობლო თუ ყველასია, ჩემო გენერალო, ეს სასახლეც ყველასია, ტყუილად ხომ არ მივდიოდით სიკვდილთან პირისპირ შესახვედრად. სასახლეში სტუმრობისას თან ახლდათ თავიანთი ქალები, ლამის მთელი ჰარამხანა, მოჰყავდათ აურაცხელი საკლავი საკუთარი სტომაქის ამოსაყორად. აბა, როგორ, მშვიდობა რომ დავამყარეთ, ჭამაც ხომ გვინდაო, და საწყალ ხალხს ძარცვავდნენ, საქონელს ართმევდნენ, ქალების გარდა პირადი მცველებიც ახლდათ. ეს იყო დაქირავებულ ბარბაროსთა ხროვა, ნამდვილი მხეცები, ჩექმის მაგივრობას ფეხსახვევი უწევდათ, ქრისტიანული ლაპარაკისა არაფერი გაეგებოდათ. სამაგიეროდ ბრწყინვალედ ფლობდნენ ყველანაირ თაღლითობას ზარისა და ბანქოს თამაშისას, ოსტატურად ხმარობდნენ ყველანაირ საბრძოლო იარაღს. ამ ტლუ, დაუპატიჟებელი სტუმრების გაუთავებელმა შემოსევებმა პრეზიდენტის სასახლე ბოშათა ბანაკს დაამსგავსა, სენიორ. ისე ყარდა იქაურობა, გეგონებოდა, მდინარეებმა ყველანაირი სიბინძურე გამოირიყეს ნაპირზეო. გენერალური შტაბის ოფიცრებმა თავთავიანთ სახლებში გაზიდეს ავეჯი, არადა, ეს ავეჯი ხომ რესპუბლიკის საკუთრება გახლდათ, სენიორ. დომინოს თამაშისას სამთავრობო პრივილეგიებს ჩამოდიოდნენ, ყურადღებას არ აქცევდნენ ბენდისიონ ალვარადოს ბუზლუნს. ქალი წელებზე ფეხს იდგამდა, ეგებ როგორმე ცოტა მაინც მოვაწესრიგო ეს ამყრალელებული, ნაგვით ამოვსებული თავლაო. იგი ერთადერთი იყო, ვინც ამჩნევდა, ფედერალისტების ლიბერალური მოძრაობა სნებასავით

როგორ ედებოდა ყველას, როგორ ლპებოდა ირგვლივ ყველაფერი. ამოდ ცდილობდა ცოცხით გაეყარა სასახლიდან ეს თავხედები და უსაქმურები. ბანქოს თამაშისას უმაღლეს სახელმწიფო თანამდებობებს ჩამოდიოდნენ, პედერასტები პიანიზოს უკან ჩალიჩობდნენ, ვილაცვილაცები პირდაპირ ალებასტრის ამფორებში იცარიელებდნენ კუჭს. რას სჩადით. სენიორ, უნიტაზი ან ღამის ქოთანნი ხომ არ გგონიათ, ეს ზღვის ფსკერიდან ამოღებული უძველესი ამფორაა. მაგრამ ვინ უგდებდა ყურს, პასუხად ხორხოცებდნენ, აბა, რა ეგონათ მდიდრებს, ხომ გაეყარეთ აქედან, ახლა რასაც გვინდა, იმას ვიზამთ, და კვლავ ბილწავდნენ უძვირფასეს ამფორებს. ისეთი გაუთლელეები იყვნენ, არც კაცის რიდი ჰქონდათ და არც ღმერთის. გენერალ ადრიანო გუსმანის მოთოკვაც კი ვერავინ შეძლო. პრეზიდენტად ჩემი არჩევის ათი წლის თავის აღსანიშნავ წვეულებაზე ისე გამოთვრა, არავინ რომ არ ელოდა. არადა, მოწესრიგებული კი გამოცხადდა, თეთრი ტილოს მუნდირი ეცვა, წინა დღით ოფიცრის პატიოსანი სიტყვა მომცა, უიარაღოდ მოვალე და მართლაც უიარაღოდ მოვიდა. სამოქალაქო ტანსაცმელში გადაცმული უცხოური ლეგიონიდან გადმობირებული ფრანგი პირადი მცველები ახლდნენ, საჩუქრებით ხელდამშვენებულები. გენერალს ელჩებისა და მინისტრების ცოლებისთვის ეყიდა და როგორც ნამდვილ კაბალიეროს შეჰფერის და როგორც ვერსალის სასახლეში იყო მიღებული, ჯერ ქმრებისაგან აიღო ნებართვა და შემდეგ პირადად დაურიგა ქალბატონებს. ამის შემდეგ დარბაზის კუთხეში მიუჯდა მაგიდას და იქიდან შესცქეროდა მოცეკვავეებს. მოწონების ნიშნად აქნევდა თავს, კარგად ცეკვავენ ეს ევროპელი ფრანტებიო. იჯდა თავისთვის მარტო, თითქოს ყველასგან მივიწყებული და გარიყული, მაგრამ დავინახე, ერთი მცველი შამპანურს უსხამდა ჭიქაში, ისიც ჭიქას ჭიქაზე ცლიდა და ბოლოს ისე გაიტიკნა, ისე აღაჟღაჟდა და გაოფლიანდა, დედა, რომ მუნდირი შეიხსნა და სლოკინ-ბოყინით გააყრუა იქაურობა, ხოლო როცა მოცეკვავეებმა ცოტა ხნით შეისვენეს, ბანცალ-ბანცალით წამოდგა, მთლად გამოლენჩებულმა და გათიშულმა ხვანჯარი შეიხსნა, თავისი შლანგი ამოიღო და მთვრალი კაცის ამჟავებული შარდი მიუშვა ელჩებისა და მინისტრთა ცოლებისაკენ, მათი კალთებაწეული კაბებისაკენ, ოქრო-ვერცხლით მოსირმულ კორსეტებისაკენ, სირაქლემას ფრთების მარაოებისაკენ. წარმოუდგენელი ამბავი დატრიალდა, დედა, გუსმანი კი ვითომ არაფერიო, თავის საქმეს განაგრძობდა და თან მღეროდა, ვარ უიმედოდ შეყვარებული, შენს ბალ-ედემში ვარდებსა ვრწყავ, ო, მშვენიერო ვარდებო. ვერავინ გაბედა მასთან ახლოს მისვლა, რათა კინწისკვრით გაეგდოთ სასახლიდან, მეც ვერ გავბედე, დედა, თუმცა ძალაუფლება მე მეტი მაქვს, ვიდრე რომელიმე მათგანს

ცალკე, მაგრამ ბევრად ნაკლები, ვიდრე ორ შეთქმულს. ეს ასე იყო, მაგრამ მიხვედრით ვერავინ ხვდებოდა, რომ პრეზიდენტის, ამ ქვასავით მაგარი კაცის თვალს არაფერი გამოეპარებოდა, ყველაფერს ხედავდა, იცოდა, ვინ როდის რას ფიქრობდა, სამაგიეროდ არავინ იცოდა, თვითონ ის რას ფიქრობდა, რას მოიმოქმედებდა, არავინ იცოდა, მისი გარეგნული სიმშვიდის უკან ცივი ანგარება, რაღაცის მოლოდინი და უდიდესი მოთმინება რომ იმალებოდა, რათა შემდეგ ერთბაშად ამომსკდარიყო და წაელეკა ყველაფერი. ამიტომაც ედგა თვალეში უსაზღვრო სევდა, ამიტომაც ჰქონდა მოკუმული უსისხლო ტუჩები. ხმლის ვადაზე ჩაჭიდებული ქალური ხელი ოდნავადაც არ შეტოკებია იმ საშინელ შუადღეს, როცა მოახსენეს, ჩემო გენერალო, არმიის მეთაური ნარსისო ლოპესი არყით ისე გამოთვრა, რომ ფეხსალაგში ერთ დრაგუნთა ოფიცერს კაი გამოცდილი კახპასავით აეკიდა და არ მოეშვა, მოდი ჩემთან, ჩემო სიყვარულო, დაემუქრა კიდევ, ეს ბრძანებაც არისო. მერე, როცა გამოფხიზლდა, ოთხზე იდგა ამყრალებულ ფეხსალაგში თავჩარგული. შეურაცხოფილმა და ტკივილისგან ატირებულმა ეს თავისი კობტაპრუწა დრაგუნი ჰაერში ასწია და სხდომათა დარბაზში შუბით პეპელასავით მიაკრა გაბაფხულის ფერებად აჭრელებულ გობელენზე. სამი დღე ეკიდა ის უბედური, ვერავინ გაბედა გვამის ჩამოხსნა. პრეზიდენტის გულს სულაც არ მიკარებია ეს ამბავი, თავისი სადარდებელი გასჩენოდა, ყოფილი თანამებრძოლები მე ნუ მომიწყობენ შეთქმულებას და თვითონ თუ უნდათ, ერთმანეთი დაუჭამიათ, გული მეუბნება სულ მალე ასეც მოხდებაო. მართლაც, ერთ დღეს ახალი ამბავი მოახსენეს, ჩემო გენერალო, გენერალი ხესუსიტო სანჩესი თავისივე მცველებმა მოკლეს, ცოფიანმა კატამ უკბინა თურმე და თვითონაც გაცოფებულა. საწყალი კაცი. ერთხელაც, ის იყო დომინოს პარტიას ამთავრებდა, რომ ამბავი მოუტანეს, გენერალი ლოტარიო სერენო ცხენით შესულა მდინარეში გაღმა ნაპირზე გასასვლელად. შუა მდინარეში ცხენი უცაბედად მომკვდარა, გენერალმა კი გონს მოსვლა ვერც მოასწრო, ისე წავიდა ფსკერისკენო. საწყალი კაცი. ჩემო გენერალო, კიდევ მოხდა ერთი ამბავი. გენერალმა ნარსისო ლოპესმა ვერ გადაიტანა თავისი პედერასტობა, დინამიტი შეიკვება უკან და თავი აიფეთქა, ნაფლეთებად იქცა თურმე. საწყალი კაცი. ერთი სიტყვით, მისი ყოფილი თანამებრძოლები იმ ქვეყანაში მიიბარგებოდნენ, ეს კი სინანულით ამბობდა, საწყალი კაციო. ნამდვილად ურწმუნო და ცოდვილი უნდა ყოფილიყავი, ამ გენერლების უეცარი სიკვდილი პრეზიდენტისთვის დაგებრალეზინა. მთავრობამ სათითაოდ ყველაზე გამოაცხადა ოფიციალურად, სამსახურებრივი მოვალეობის აღსრულებისას დაიღუპაო. სამივე დიდი პატივით დაკრძალეს ეროვნულ გმირთა პან-

თონში, რადგან უგმირო ქვეყანა იგივეა, რაც უკარო სახლიო, ხშირად უთქვამს მას. როცა ექვსი გენერალია შემორჩა ქვეყანას, ექვსივე სასახლეში მიიპატიჟა თავის დაბადების დღეზე. იმ ექვსიდან ყველაზე საშიში და ვერაგი ხასინტო ალგარაბია იყო, სენიორ, დენტშერეულ ხის სპირტს სვამდა, საკუთარ დედას შვილი გაუჩინა იმ წყეულმა. მართლაც, ექვსივე მოვიდა, სენიორ, საბანკეტო დარბაზში მოიყარეს თავი, უიარალონი იყვნენ, შეთანხმებისამებრ, მაგრამ პირადი მცველები მაინც იახლეს და ყოველი შემთხვევისთვის ოთახებში, მთელ შენობაში დაანაწილეს. ძვირფასი საჩუქრებით ხელდამშვენებული გენერლები არც ლამაზ-ლამაზ სიტყვებს იშურებდნენ მასპინძლისთვის, ერთადერთი ხართ ჩვენ შორის, ვინც გაისარჯეთ და თავი მოგვიყარეთ. მართლაც, მის მოპატიჟებაზე ლეგენდარული გენერალი სატურნო სანტოსიც კი გამოძვრა თავის ბუნაგიდან. ეს ნაღდი პარამოელი ინდიელი, კახპის შვილი და დაუნდობელი კაცი მუდამ ფეხშიშველი დადიოდა. ნამდვილ მამაკაცებს სუნთქვა არ შეგვიძლია, თუ მიწა არ შევიგრძენითო ამბობდა ის. ახლაც ფეხშიშველი მოვიდა, უცნაური ცხოველებით მოხატული პონჩო ჩამოეცვა მხრებზე, როგორც სჩვეოდა, უმცველებოდ იყო და განუყრელი მაჩეთე წამოეღო თან. ჩაბარებით არავის ჩააბარა, ეს საბრძოლო იარაღი კი არა, შრომის იარაღიაო. გაწვრთნილი არწივი მაჩუქა, დედა, პატიოსან, ნაღდ კაცურ ბრძოლაში გამოგადგებაო. არფაც მოიტანა. მის ღვთიურ ხმას რამდენჯერ ჩაუყუჩებია დამანგრეველი გრიგალი და გადაურჩენია მოსავალი. სატურნო სანტოსმა ისეთი გზნებით წამოიწყო სიმღერა, ისეთი გატაცებით და შთაგონებით უკრავდა, რომ ომის დროინდელი საშინელი ღამეები გაგვახსენდა, ომის დაწყების დღე და ომის სუნი გაგვახსენდა, დედა, და ეს გახსენება ქეციანი ძაღლის ფხანას ჰგავდა. სატურნო სანტოსი თავისი სიმღერით სულში ჩაგვიძვრა, აგვაფორიაქა და ჩვენც ავყევით, ყველანი ერთხმად ვმღეროდით საბრძოლო ოქროს ნავზე, რომელიც სადღაც შორს მიგვაცურებდა — თვალცრემლიანი დავბრუნდი ხიდიდან. სტუმრებმა მოილხინეს, დედა, მღეროდნენ, ჭამდნენ და სვამდნენ, მაგიდიდან სწრაფად გაქრა ქლიავით ამოვსებული მოხარშული ინდაური, ნახევარი შემწვარი ბურვავი, ყველას თავისი ბოთლი ედგა წინ და ყველა თავისი ბოთლიდან სვამდა საკუთარ სასმელს, ყველა, გარდა გენერალ სატურნო სანტოსისა და პრეზიდენტისა. საერთოდაც, ერთი წვეთი ლიქიორი რა არის, ისიც კი არ გაუსინჯავთ ცხოვრებაში, არც პაპიროსი მოუწევიათ, ჭამითაც იმდენს ჭამდნენ, მშვივრები არ ყოფილიყვნენ. საბრძოლო სიმღერების შემდეგ გენერალ-

ებმა პრეზიდენტს მეფე დავითის დილის ფსალმუნები უმღერეს, თვალაცრემლებულებმა უმღერეს ის ძველი მისალოცი სიმღერაც, რომელსაც აქაურები მღეროდნენ იმ ხანამდე, ვიდრე კონსულმა ჰანემანმა პრეზიდენტს არ მიართვა უიშვიათესი საჩუქარი, ახლად მოგონილი ფონოგრაფი უზარმაზარი ცილინდრით მილითა და ერთხელ და სამუდამოდ ჩაწერილი Happy Birthday-ით. სანახევროდ ძილმორეული და სანახევროდ მკვდარი სტუმრები მაინც განაგრძობდნენ სიმღერას და სმას, ეპირთერებოდნენ თავიანთ მეგობარ ნაღვლიან ბერიკაცს, რომელიც, საათმა თორმეტჯერ ჩამოჰკრა თუ არა, წამოდგა და ლამპით ხელში ყაზარმული წესით შემოიარა ოთახები, და ვიდრე თავის საძინებელს მიაშურებდა, კვლავ სასტუმრო დარბაზში დაბრუნდა. უგონოდ მთვრალი გენერლები იატაკზე ეყარნენ — ერთმანეთს ჩახვეულები. ყველას ეძინა გარდა სატურნო სანტოსისა. ხუთი გენერლის ძილს ხუთი მცველი დარაჯობდა. მეექვსე გენერალს სატურნო სანტოსს მცველი არ ჰყავდა და არც არავინ დარაჯობდა მის ძილს. მცველები თვალს არ აცილებდნენ ერთმანეთს, მართალია, გენერლებს ძმურად ჩახვეულებს ეძინათ, მაგრამ ისინი ძილშიც არ ენდობოდნენ ერთმანეთს და ზუსტად ისე ეშინოდათ ერთმანეთისა, როგორც ყოველ მათგანს პრეზიდენტისა, ხოლო თავად პრეზიდენტს ყველასი ცალ-ცალკე. მით უმეტეს, ორი ერთმანეთს ჩახუტებულისა უფრო შეეშინდებოდა, რადგან ორი კაცი უკვე შეთქმულებას ნიშნავს მისთვის. მასპინძელი თავის სტუმრებს უკანასკნელად ხედავდა, ერთხელ კიდევ გადაავლო თვალი მძინარეთ და თავისი საძინებლისკენ გასწია, ლამპა კაუჭზე დაკიდა, კარი სამ ბოქლომზე, სამ გასაღებზე, სამ ურდულზე დაკეტა, იატაკზე პირქვე დაეგდო და ის იყო მარჯვენა ხელი ბალიშივით დაიდო და სახე შიგ ჩარგო, რომ სასახლე შეაზანზარა მცველების ერთდროულმა გასროლამ, ერთი, ესეც ასე, არავითარი ხმაური, არავითარი კვნესა, კიდევ ერთი, ესეც ასე, მორჩა, დამთავრდა ღონისძიება, ირგვლივ დასადგურებული მღუმარება დენთის კვამლში ჩაიძირა. დილით რომ გაიღვიძა, საბოლოოდ დარწმუნდა, აღარავინ და აღარაფერი ემუქრებოდა მის ძალაუფლებას და ერთადერთობას. მცველები სისხლის გუბეში დატოპავდნენ, წმენდნენ და ასუფთავებდნენ წუხანდელი მეგობრული ნადიმის დარბაზს. ბენდისიონ აღვარადო შეძრწუნებული შესცქეროდა კედელს, საიდანაც სისხლი მოჟონავდა. ნაცარიც მოაყარეს, კირითაც შეფეთქეს, მაგრამ ამაოდ, კედლიდან ოფლივით ჟონავდა სისხლი. სისხლი სდიოდათ ხალიჩებსაც, თუმცა წამდაუწუმ წურავდნენ ბეწრებივით, სდიოდათ კედლებს დერეფნებში, ოთახებში. წმენდნენ, აშრობდნენ, ის კი გაუთავებლად დიოდა და დიოდა. ამაო იყო ყოველგვარი ცდა, წაეშალათ ომს გადარჩენილი უკანასკნელ გმირთა და-

ხოცვის კვალი. მოსახლეობას ოფიციალურად აუწყეს, ჩვენი სახელოვანი გენერლები ტვინნაღრძობმა პირადმა მცველებმა მოკლესო. მიცვალებულები ეროვნულ დროშებში გაახვიეს და დიდი პატივით დაკრძალეს გმირთა პანთეონში. თავად ეპისკოპოსმა გადაუხადა მათ პანაშვიდი. რაც შეეხება პირად მცველებს, სასახლიდან არც ერთი არ გასულა ცოცხალი, არც ერთი, ჩემო გენერალო, გენერალი სატურნო სანტოსის გარდა, ტყვიაგაუმტარმა ნაკურთხმა ავგაროზმა გადაარჩინა. მოგვეხსენებათ, ინდიელები გრძნეული ხალხია, სენიორ, სანტოსმაც ბევრი საიდუმლო შეითვისა თავისი ტომისგან, რადაც მოისურვებდა, იმად შეეძლო ქცეულიყო, კუდ, ჭექა-ქუხილად, გუბედ. რაკი იაგუარებზე საგანგებოდ დაგეშილმა ძაღლებმაც კი ვერ მიაგნეს სანტოსის კვალს, პრეზიდენტს სხვა რა გზა ჰქონდა, უნდა ერწმუნა ეს ყველაფერი. მკითხავი ირწმუნებოდა, ცოცხალიაო. ჩემო გენერალო, ხომ ხედავთ ამ ჯვრის პაპას, სწორედ ეგ არის თქვენი სანტოსიო. რადაც არ უნდა დაჯდეს, უნდა იპოვონ. სანტოსი ერთადერთი თვითმხილველია ყოველივე იმისა, რაც მოხდა და როგორც მოხდა იმ ღამეს. ეძებდნენ დღისით თუ ღამით, ეძებდნენ წლების მანძილზე, ეძებდნენ მანამ, სანამ ერთხელ პრეზიდენტმა თავისი ვაგონის ფანჯრიდან არ დაინახა ტვირთაკიდებული ქალები, კაცები, ბავშვები. ომის დროს არაერთხელ შესწრებია ასეთ სურათს, მთელი სოფელი აიყრებოდა და პირუტყვთან ერთად ფედერალისტების ჯარს მიჰყვებოდა უკან. მაგრამ ამჯერად ხალხი ჯარს კი არა, ერთ სახეგაცრეცილ, დაღლილ, ჩამოძონძილ კაცს მიჰყვებოდა უკან. მოდიოდნენ კოკისპირულ წვიმაში, სნეულებს ჰამაკებით მიაკონწიალებდნენ. ჩემო გენერალო, ეს კაცი თავის თავს მესიას უწოდებს, ამიტომაც მიჰყვება ხალხი. პრეზიდენტმა შუბლში შემოიკრა ხელი, დალახვროს ეშმაკმა, ეს ხომ სატურნო სანტოსია. მართლაც ის იყო, მართლაც მესიად ასალებდა თავს და ქადაგებით გაჰქონდა თავი. ხანდახან თავის ჯადოსნურ არფაზეც უკრავდა და ხალხიც ხან რას უწყალობებდა და ხან რას. ჰო, ეს სანტოსი იყო, მათხოვარი, პირქუში, ჩამოძონძილ პონჩოსა და გაქუცულ ფეტრის შლაპაში, მაგრამ მიუხედავად ასეთი გარეგნობისა ის მაინც საშიში იყო და ასე ადვილად ვერ მოკიდებდა ხელს. იმ ღამეს, როცა პრეზიდენტის სამი ყველაზე ყოჩაღი და გაბედული მცველი მის დაჭერას ლამობდა, მაჩეტეს ერთი მოქნევით წააცალა თავები სამივეს. ამის გახსენებაზე მან ბრძანა, მატარებელი გაეჩერებინათ ამ სასაფლაოსავით პირქუში პარამოს შუაგულში, მესიის გარშემო შეკრებილი ხალხის მახლობლად. როგორც კი ეროვნული დროშის ფერებად შეღებილი ვაგონიდან პრეზიდენტის მცველები გამოცვივდნენ ჩახმახშემართული თოფებით ხელში, ხალხი შეშინებული მიმოიფანტა აქეთ-იქით. მხოლოდ სატურნო სანტოსს არ მოუცვლია

ფეხი, გახევებული იდგა თავის მისტიკურ არფასთან, ხელში მანეტე ჩა-
ებლუჯა და თვალეხი პრეზიდენტის ვაგონისათვის მიეციებინა. ვაგონის
კიბეზე უიარალო და უნიშნო მუნდირიანი ბერიკაცი იდგა. თითქოს საუ-
კუნე არ გვენახოს ერთმანეთი, ჩემო გენერალო. სანტოსი თვალეხს არ
უჯერებდა, როგორ დაბერებულა, დაჩანჩაკებულა, დაღლილი, შორ-
ეული და მართოსული ჩანს. ეტყობა, ღვიძლი აწუხებს, სახეზე ყვითელი
ფერი ადევს, თვალეხი ეცრემლება. და მაინც ეს დაუძღურებული ბე-
რიკაცი ირგვლივ ძალაუფლებების ემანაციას აფრქვევდა, იმ ერთპირ-
ოვნული ძალაუფლებისას, კარგა ხნის წინ ძალაუფლების სხვა მსურვე-
ლთა დახოცვის შემდეგ რომ ჩაიგდო ხელში. გენერალი სატურნო
სანტოსი სიკვდილისთვის მოემზადა სულ რაღაც წამში გადაწყვიტა,
თავისით დანებებოდა. სულერთია, ძალაუფლებისთვის გაგიჟებული
ეს ბერიკაცი არ მოასვენებს, ქვესკნელშიც იპოვის, მაგრამ სანტოსის
გასაოცრად პრეზიდენტმა თევზივით ხელი გაუწოდა, ღმერთმა დაგლ-
ოცოს, მანო, სამშობლოს ღირსეულო შვილო. პრეზიდენტმა იცოდა,
თუ გინდა მოწინააღმდეგე გატეხო, მეგობრად და კეთილისმყოფელად
უნდა მოაჩვენო თავი. ეს არის მტრის დამარცხების ერთადერთი იარ-
აღიო. მართლაც, სატურნო სანტოსი პრეზიდენტის ფერხითით დაემხო
და მის ნატერფალს ემთხვია მიწაზე. ჩემო გენერალო, ნება მომეცით,
ერთგულად გემსახუროთ მანამ, სანამ აი, ამ მანეტეს შეუძლია იმღერ-
ოს ჩემს ხელებში. პრეზიდენტმა იგი შეიწყალა და თავის გუარდაესპა-
ლდად დანიშნა, ოღონდ იცოდე, ზურგს უკან არასოდეს დამიდგე. დომ-
ინოს თამაშისას მეწყვილეობაც უხდა გამიწიო. მართლაც, დომინოს
თამაშისას ოთხი ხელით არაერთხელ გაუფცქვნიათ პირწმინდად არა-
ერთი ჩამოგდებული დიქტატორი. პრეზიდენტი ახალ მცველს ყველგან
დაატარებდა თავისი კარეით, დაჰყავდა დიპლომატიურ შეხვედრებ-
ზე. წვეულებებზე. ისიც, როგორც სჩვეოდა, ფეხშიშველი დაჰყვებოდა,
ნადირივით ყარდა, ძაღლებიც კი გაურბოდნენ, ელჩების ცოლებს ხომ
საერთოდ გული მისდიოდათ მის სუნზე. რაკი დროც არეული იყო და
ქვეყანაც, პრეზიდენტს კოშმარული სიზმრები ტანჯავდა, სიზმარში ხა-
ლხის პირისპირ მართო დარჩენისა სიკვდილივით ეშინოდა და სატურ-
ნო სანტოსს უბრძანა, ჩემი ოთახის კართან დაიძინეო. ისიც საძინებე-
ლი ოთახის კართან იატაკზე მიეგდებოდა და ეძინა, პრეზიდენტს კი
გული საგულეს ჰქონდა, რაკი ვიღაცის ცოცხალ სულს იქვე, სულ ახ-
ლოს ეძინა და სიზმარში მართო აღარ იქნებოდა. წლების მანძილზე
გვერდიდან არ მოუშორებია მცველი. მართალია, ბოლომდე არ ენდო-
ბოდა, ახლოს არ უშვებდა, მაგრამ გვერდით კი ნამდვილად ჰყავდა
მანამდე, ვიდრე სატურნო სანტოსი შარდის სიმჟავემ არ შეაწუხა და არ
წაერთვა მანეტეს ამღერების უნარი. ჩემო გენერალო, მომკალით, სხ-

ვას ნუ მოაკვლევინებთ ჩემს თავს, მხოლოდ თქვენ გაქვთ ამის უფლება. მაგრამ პრეზიდენტმა კარგი პენსია დაუნიშნა, ერთგულებისათვის მედალიც დაჰკიდა და მშობლიურ მხარეში, საქონელპარიების ერთ მიყრუებულ მთის სოფელში გაუშვა სასიკვდილოდ. ცრემლიც კი გაუკრთა თვალებში, როცა გენერალმა სანტოსმა გამომშვიდობებისას ქვითინი ვერ შეიკავა და ნაღვლიანად შეჰკადრა პრეზიდენტს, ხომ ხედავთ, ჩემო გენერალო, ზოგჯერ მაჩოებიც დედლები ვხდებითო. ბენდისიონ ალვარადომ ძალიან კარგად იცოდა, რის ფასად შერჩა მის შვილს პრეზიდენტის სავარძელი, ძალიან კარგად იცოდა შვილის ბავშვური გატაცების მიზეზიც, მისი ხელგაშლილობა, ფანტავა ფულისა, რომელიც ძალაუფლებამ მოუტანა. უბრალოდ, წარსულის ანაზღაურება სურდა, სიბერეში ყიდულობდა იმას, რაც ბავშვობაში აკლდა. დედამისი კი ამ დროს თავის გულს ასკდებოდა, ჩემი შვილის გულუბრყვილობით ბევრი სარგებლობს და გრინგოების უაზრო, უმაქნის ნივთებს ძალით და თანაც ძვირად ჩრიან ხელშიო. ბენდისიონ ალვარადომ იცოდა, გროშიც რომ არ ღირდა ეს ნივთები, ყოველ შემთხვევაში, მის ჩიტებზე მეტი არაა. თუმცა ჩიტების დახატვა არც ისე იოლი საქმე იყო, ნიჭსა და ეშმაკობას მოითხოვდა, ერთ ჩიტში ოთხ პესოზე მეტს მაინც არაავინ იძლეოდა. შენი სათამაშოების საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, ეუბნებოდა იგი შვილს, მაგრამ იქნებ მომავალზეც გეფიქრა, სულაც არ მინდა სამოწყალოდ ხელგაწვდილი გიხილო რომელიმე ეკლესიის კართან, ღმერთმა ნუ ქნას, მაგრამ ხომ შეიძლება, ერთ მშვენიერ დღეს მაგ რბილი სავარძლიდან გადმოგაგდონ, მაშინ რას იზამ. სიმღერა რომ გეხერხებოდეს, ან არქიეპისკოპოსი იყო, ან სულაც მემბლგაური, მაშინ კიდევ არა უშავს, როგორმე გაიტანდი თავს, მაგრამ შენ ხომ, ჰა, დიდი-დიდი გენერალი ხარ და მარტო ბრძანებების გაცემა გეხერხება, შენს ადგილზე სამთავრობო ხარჯებიდან ცოტაოდენ ფულს მოვიტოვებდი და მიწაში ჩაფლავდი საიმედოდ. სხვა პრეზიდენტებივით შენც რომ ამოგკრავენ პანდურს, გამოგადგებოდა. არ ამოუკრავთ პანდური ვინმესთვის თუ რა. რამდენს შეაქცია ზურგი სამშობლომ, რამდენი დაივიწყა, დროდადრო მშობლიური გემის გუგუნსაც კი ღვთის წყალობად იღებენ, და იმასაც ჯერდებიან ის საცოდავები. ხომ არ დაგავიწყდა სახლი კლდეზე, ხომ არ დაგავიწყდა, ვინ ცხოვრობს იქ, ჰოდა, თუ არ დაგავიწყდა, მაშინ ისიც გახსოვდეს, რომ როცა იმ ხალხს უყურებ, სარკეში იყურები, იცოდე. მაგრამ შვილი დედის ლაპარაკს აინუნშიც არ აგდებდა, მაგიური სიტყვებით ამშვიდებდა, ნურაფრისა გეშინია, დედა, ხალხს მე ვუყვარვარ. ბენდისიონ ალვარადომ ღრმა მოხუცებულობამდე იცოცხლა და მთელი ეს ხანი სიღარიბეზე წუწუნებდა, მოახლეებს ლანძღავდა, ბაზარში უყაირათოდ ხარჯავთ ფულსო,

ზოგჯერ სადილობეც ამბობდა უარს, ოღონდ ფული არ დახარჯულიყო ზედმეტად. არადა, სიმართლის თქმასაც ვერავინ უბედავდა, თქვენ ხომ ერთ-ერთი უმდიდრესი ქალი ხართ დედამიწის ზურგზე. სახელმწიფოს ხარჯზე არმად ნაშოვნ სიმდიდრეს მისი შვილი დედის სახელზე აფორმებდა. ქალმა არც იცოდა, უკიდევანო მიწების, აურაცხელი პირუტყვის, ტრამვაის ხაზების, ფოსტა-ტელეგრაფისა და ეროვნული წყლების მფლობელი რომ იყო. იგი ისე მოკვდა, არ იცოდა, ჩვენს ტერიტორიულ წყლებში შემოსული ყოველი გემი სავალდებულო ბაჟს რომ იხდიდა მის სახელზე. არ იცოდა, რომ მისი შვილი არც ისე ბავშვურად მიაძიტი იყო, როგორც ეჩვენებოდა, სათამაშოები ვითომ დედისთვის მიჰქონდა საჩუქრად, სინამდვილეში თვითონ ერთობოდა. არ იცოდა, ჯერ კიდევ დიდი ხნის წინ საქონლის დაკვლისთვის დაწესებული გადასახადის მთელი თანხა მისი შვილის ჯიბეში რომ მიდიოდა. არ იცოდა, მისი შვილი თანაპარტიელებისგან კარგა დიდ გასამრჯელოს და ძვირფას საჩუქრებს რომ იღებდა. ეს კიდევ არაფერი, ლატარიის გათამაშების წესებს თვითონ ადგენდა და უმართლებდა კიდევ. ეს იმ ამბების მერე ხდებოდა, სენიორ, საკუთარი სიკვდილი რომ გაითამაშა, — დიდი ხმაურის წლებში. ისე, სიტყვამ მოიტანა, სენიორ, და დღემდე — არავის შეუწუხებია თავი, ხალხისთვის აეხსნა, რა მოხდა მაშინ, რატომ მოიხსენიებენ იმ წლებს ხმაურის წლებად. ბევრს ჰგონია ერთ-ერთი წმ. მარტვილის ხსენების ღამეს მთელი ქვეყანა რომ მიწისქვეშა ჯოჯობეთურმა გუგუნმა შეაზანზარა, იმიტომ იხსენიებენ ასე. სინამდვილეში კი საქმე ასე იყო, იმ ხანებში წარმოუდგენელი ხმაურით იწყებოდა ყოველნაირი მშენებლობა, საძირკველს ჩაუყრიდნენ ვითომ რომელიმე შენობას და მაშინვე ატეხავდნენ ხმაურს, მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს მშენებლობას ვიწყებთო. აშენებით არაფერი აშენებულა, სენიორ, ხმაური კი ზომამე მეტი იყო ყოველთვის. იმ ხანებში პრეზიდენტს ჩვევად ჰქონდა, სახელმწიფო საბჭო მაინცდამაინც სიესტის საათებში და სასახლეში კი არა, მაინცდამაინც დედამისის ქალაქგარეთა სახლში მოეწვია. იწვა არხეინად ტამარინდების ჩრდილში გაკიდულ ჰამაკში, სახეს სომბრეროთი იხიავებდა და თვალდახუჭული უსმენდა ჰამაკის გარშემო შემოჯარულ, პომადით ულვაშგადაგლესილ, ცელულოიდის საყელოიან მაუდის სერთუკებში გამომწყვდეულ, ოფლად გაღვრილ ენაფხანია მინისტრებს. ახლა, ამ წუთას, ძილს არაფერი ერჩივნა, მაგრამ იძულებული იყო ეფხიზლა, ჩემთვის რაიმე სასარგებლო არ გამომეპაროსო. ეზოში მამლები ფრთების ფართხუნით დასდევდნენ აკრიახებულ დედლებს, ჭრიჭინებსაც დაუღლეულად გაჰქონდათ ჭრიჭინი და ამ ფართქუნში, კრიახსა და ჭრიჭინში იკარგებოდა ენად გაკრეფილ მინისტრთა ხმები. სადღაც იქვე გრამოფონიც იკლავდა თავს, სუსანა,

მოდის ჩემთან, სუსანა. ჰამაკში ნებივრად გაშხლართული ყურს უგდებდა ჰაერში გაბნეულ ხმებს და თვლემდა. მინისტრები ლაქლაქს წყვეტდნენ, ჩუმად, გენერალს ჩაეძინა, მაგრამ იგი სადღაც ყელიდან წამოსულ ხვრინვას უცებ გუდავდა და თვალგაუხელოდ ხაოდა, განაგრძეთ, ყეყეჩებო, მე გისმენთ, და ისინიც განაგრძობდნენ. ამასობაში დასიცხული პრეზიდენტი როგორღაც უსხლტებოდა სიესტის აბლაბუდასა და მომთენთავ თვლემას და რაკი საბოლოო სიტყვა მას უნდა ეთქვა, ისიც ამბობდა, ბევრი სისულელე იყბედეთ, მხოლოდ ერთმა, ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა თქვა რაღაც საქმიანი, ახლა დაიშალეთ, მორჩა ბაზარი. ამის მერე თავის პირად თანაშემწეებს იბარებდა და ერთ ხელში თეფშით და მეორეში კოვზით ბოლთას სცემდა თუ კიბებზე ადიჩადიოდა, დროს არ კარგავდა, სახელმწიფო საქმეებს წყვეტდა, ხოლო თუ არ წყვეტდა, ასეთ შემთხვევაში ბუმბუნს იწყებდა, რაც გინდათ, ის გააკეთეთ, მაინც მე ვარ აქ უფროსიო. მისთვის უკვე სულერთი იყო, უყვარდათ იგი თუ არ უყვარდათ, ფეხებზე მკიდიაო, ამბობდა, საზოგადოებრივ თავყრილობებზე დაიწყო სიარული. თუ აქამდე საერთოდ არ ჩნდებოდა ხალხში, ან სანახევროდ ჩნდებოდა, ახლა მთელი ტანით, თავით-ფეხამდე ენახვებოდა ყველას. ხან რისა და ხან რის საზეიმო გახსნაზე პირადად ჭრიდა ლენტს. უნდა ითქვას, ასე არ გაურისკავს შედარებით მშვიდობიან დღეებშიც კი. ყურებზე ხახვი არ დამატრანო, ამბობდა. გაუთავებლად ეთამაშებოდა დომინოს თავის ძვირფას თანამემამულეებს გენერალ როდრიგო დე ავილარს და ჯანმრთელობის დაცვის მინისტრს. მხოლოდ ეს ორი პიროვნება იყო მასთან დაახლოებული, მხოლოდ ამ ორს შეეძლო გაეხედა და ეთხოვა მისთვის რომელიმე პატიმრისა თუ სიკვდილმისჯილის შეწყალება. მხოლოდ ამ ორმა გახედა ეთხოვა, აუდიენციაზე მიეღო უბრალო ხალხის წრიდან გამოსული ქალიშვილი, სილამაზის დედოფალი. ეს იყო საოცარი ყვავილი, აღმოცენებული სილარიბის წუმპეში, ანუ მოჩხუბარი ძაღლების უბანში. აქაური ძაღლები ლამის დილიდან დილამდე ეჩხუბებოდნენ და უღრენდნენ ერთმანეთს. იმიტომაც შეერქვა ამ კვარტალს ეს სახელი. ეროვნული გვარდიის პატრულს ამ უბანში ცხვირის შეყოფაც კი ეშინოდა. ძაღლების ხროვა მაშინვე ეცემოდა და ტანსაცმელს აფლეთდა. მანქანებს ხომ წამში შლიდნენ ნაწილებად. რამდენჯერ მომხდარა, გზააბნეული სახედრები ერთი ქუჩიდან რომ შესულან, მეორედან ცარიელი ძვლების ტომარასავით გამოსულან. ამ დაწყევლილ უბანში, ჩემო გენერალო, მდიდართა შვილებს ხოცავდნენ და შემწვარს ჭამდნენ, მათი ხორცისგან ძეხვეულსაც ამზადებდნენ და ბაზარში ყიდდნენ. ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ სწორედ ამ უბანში დაიბადა, გაიზარდა და ცხოვრობს საბედისწერო მანუელა სანჩესი, ამ ნაგავსაყრელზე ამოსული

კალენდულა. მისი სილამაზე ჩვენი სამშობლოს საოცრებაა, ჩემო გენერალო. ბოლოს და ბოლოს მასაც სძლია ცნობისწადილმა და, თუ ასეთი ლამაზია, როგორც თქვენ ამბობთ, მივიღებ კიდევ და შესაძლოა, პირველი ვალსიც ვეცეკვო, მერე გაზეთებშიც დაწერენ ამის თაობაზე, უბრალო ხალხს უყვარს ასეთი რამეები, ბრძანა მან. მაგრამ მანუელა სანჩესთან . შეხვედრის შემდეგ, საღამოხანს, დომინოს თამაშისას პრეზიდენტმა გენერალ როდრიგო დე აგილარს უსაყვედურა, თქვენი ნაქები ღარიბთა დედოფალი არ ღირდა იმად, ვალსი მეცეკვა მასთან, ამ უბნის სხვა მანუელა სანჩესებისგან არაფრით გამოირჩევა, ჩაუცვამს არშიებიანი მუსლინის კაბა, თავზე ყალბთვლებიანი მოოქროვილი გვირგვინი დაუდგამს და მართლა დედოფალი ჰგონია თავი. თავისი დედიკოსი ისე ეშინია და დედიკოც ისე დაჰფოფინებს, თითქოს სუფთა ოქროსი ჰყავდეს შვილი, მაგრამ ჯანდაბას მაგათი თავი, წყლისა და შუქის გაყვანა მთხოვა მოჩხუბარი ძაღლების კვარტალში და მეც შევპირდი, გავაკეთებ-მეთქი, თან გავაფრთხილე, სათხოვნელად ჩემთან ამის მეტად აღარ მოხვიდე-მეთქი. ტვინი წაიღეს, არ მიყვარს ღარიბებთან ლაპარაკი. დომინოს თამაში მიატოვა და ოთახიდან გასვლისას კარი მოიჯახუნა. როცა საათმა რვაჯერ ჩამორეკა, თავის ძროხებს მიაკითხა — ფერმაში, ბალახი დაუყარა, მსახურს უბრძანა სასახლეში წაეღო ნაკელი, თვითონ კი სავახშმოდ გაეშურა. თეფშზე უკვე გაემზადებინათ მოთუშული ხორცი ლობიოს, ბრინჯის და ჭადრის ფოთლების სალათასთან ერთად, ისიც, როგორც სჩვეოდა, თეფშით ხელში ჭამაჭამით შეუდგა თავის საქმეს, შემოიარა სასახლე, გადაითვალა ყარაულები, დაათვალიერა საგუშაგოები ჭიშკრიდან საძინებლებამდე, თოთხმეტი საგუშაგო უნდა ყოფილიყო, თოთხმეტი იყო. პირადი დაცვაც შეამოწმა, პირველ პატიოში დომინოს თამაშობდნენ, კეთროვნებსაც ვარდის ბუჩქებში ეძინათ უკვე, ხეიბრებიც თვლემდნენ კიბეებზე, და როცა საათმა ცხრაჯერ ჩამორეკა, თეფში გაღებული ფანჯრის რაფაზე დატოვა, თვითონ კი სიბნელეს მისცა თავი, თავის ქალებს მიაკითხა ბარაკში. ერთ საწოლზე სამ ქალს ეძინა თავ-თავიანთ უდღეურ შვილებთან ერთად. კაცი ძლივს აბობლდა სუნდაკრულ ხორცის მასაზე, განზე გასწია ორი თავი, ექვსი ფეხი და სამი მკლავი. იმ სამიდან ერთერთს ისე დააცხრა, არც უკითხავს, რომელი ხარო. ქალს არც გაუღვიძია, და საერთოდაც, არც არავის გაუღვიძია ამ საწოლზე, მხოლოდ მოშორებით მდგარი საწოლიდან მოისმა ნამძინარევი ხმა, გენერალო, ასე ნუ ქშინავთ, ბავშვებს შეეშინდებათ. სასახლეში დაბრუნებისას ოცდასამივე ფანჯრის საკეტები შეამოწმა, მოსკიტების დასახოცად დერეფანში ყოველ ხუთ მეტრში გამხმარ ნაკელს მოუკიდა ცეცხლი. მხრჩოლავი კვამლის ჩასუნთქვაზე ვილაცის ბავშვობა ახსენდებოდა ყოველთვის,

ვერ გაერკვია, ვისი. თავისი რომ ყოფილიყო, მართლ კვამლის ჩასუნთქვისას რატომ გაახსენდებოდა და სულ რაღაც წამში, ამოსუნთქვისას რატომ დაავიწყდებოდა. ისევ სასახლეში დაბრუნდა, ყველა ოთახში ჩააქრო შუქი, მძინარე ჩიტები დაითვალა, ორმოცდარვა იყო. გალიებს ნაჭერი გადააფარა, ახლა ლამპით ხელში დაიარა მთელი სასახლე, თოთხმეტჯერ დაინახა თავისი ორეული თოთხმეტ სარკეში, დაინახა გათოთხმეტებული ერთი გენერალი ანთებული ლამპით ხელში. საათმა ათჯერ დარეკა, სასახლეში ყველაფერი წესრიგში იყო. იმ ოთახშიც შეიხედა, სადაც გვარდიელებს ეძინათ, და შუქი ჩააქრო. ღამე მშვიდობისა, სენიორებო. მერე პირველ სართულზე ყველა კაბინეტში, ყველა დარბაზში, ყველა ფეხსალაგში, ფარდებს უკან და მაგიდის ქვეშაც შეიხედა. არავინ იყო. ჰიბიდან გასაღებების ასხმულა ამოიღო. ზეპირად იცოდა, რომელი გასაღები რომელი ოთახისა იყო, სიბნელეშიც კი ცნობდა ხელის შევლებით. ყველა კაბინეტი ჩაკეტა. მეორე სართულზეც დაათვალიერა ყველა კუთხე-კუნჭული. იქაც საგულდაგულოდ ჩაკეტა ყველა ოთახი. ბოლოს, თავის საძინებელს რომ მიაღწია, თაფლიანი ქილა გამოიღო სამალავიდან და ძილის წინ ორი კოვზი თაფლით ჩაიკოკლოზინა ყელი. თაფლმა დედა გაახსენა, ბენდისიონ ალვარადო. წარმოიდგინა, როგორ ეძინა დედამისს იქ, ყვავილებსა და ბალახის სურნელით პირთამდე სავსე განმარტოებულ სახლში, ცხადად დაინახა დედის უღონოდ გადმოკიდებული, თითქოს მიცვალებულის უსიცოცხლო ხელი, ის სასწაულმოქმედი ხელი, რომელიც უსახურ, უფერულ ჩიტებს მოლაღურებად აქცევდა. ღამე მშვიდობისა, დედა, დაიხურჩულა მან და გაიგონა, იქ, განმარტოებულ სახლში როგორ უპასუხა მძინარე დედამ, ღამე მშვიდობისა, შვილო. საძინებლის კართან სწრაფად დაკიდა ანთებული ლამპა, ღამით არასოდეს აქრობდა, არც სხვას აძლევდა ჩაქრობის უფლებას, ხომ შეიძლება ღამით გაქცევამ მოუწიოს, სიბნელეში ხომ არ იბოდიანებს. თერთმეტ საათზე ერთხელ კიდევ ჩამოიარა ოთახები, ამჯერად სიბნელეში, ვინმეს არ ეგონოს მძინავს და არ შემოიპაროს სასახლეშიო. უხმაუროდ, ფრთხილად მიაბიჯებდა, მოძრავი შუქურას მწვანე შუქზე დროდადრო ელავდა მისი ოქროს დეგები, რომლებიც ვარსკვლავისებურ მტვრის მანათობელ კვალს ტოვებდნენ ჰაერში. შუქურას შუქზე დაინახა, ზემეურად მძინარე კეთროვანი როგორ მიიკვლევდა გზას სიბნელეში, ხელი არ წაუშველებია, თავისი სიფხიბლის შუქით გაუნათა გზა ვარდის ბუჩქისკენ. მან ერთხელ კიდევ გადათვალა ყარაულები და თავისი საძინებლისკენ გაემურა ფანჯარებიანი გრძელი დერეფნით. ყოველ ფანჯარაში აპრილის კარბის ზღვა ჩანდა, ოცდასამჯერ გამოჩნდა ზღვა და თუმცა იგი არც ერთ ფანჯარასთან არ შეჩერებულა, მაინც ხედავდა, ზღვა იყო ისეთი, როგორიც უნ-

და ყოფილიყო აპრილში, ოქროდაფენილი ჭაობივით. ტაძრის საათმა თორმეტჯერ ჩამოჰკრა, ბოლო ჩამოკვრისას ყოვლისწამლევკავი შიში დაეუფლა, სადაც შიგნიდან, სულაც თიაქარიდან მოიზღაზნებოდა ეს შიში, ყურებს სტვენა-ზუილი უხშობდა. გაყუჩულიყო მთელი ქვეყანა, სამშობლო მხოლოდ ის იყო ახლა. კარი სასწრაფოდ ჩაკეტა სამ ბოქლომზე, სამ გასაღებზე, სამ ურდულზე. თავის პორტატიულ უნიტაბს ეცა და ორი, ოთხი, შვიდი მტანჯველი წვეთი მოშარდა, მერე იატაკზე დაეგდო პირქვე და წამსვე უსიზმრო ძილს მისცა თავი. სამს აკლდა თხუთმეტი წუთი მთლად ოფლში გაწუწულს რომ გამოეღვიძა. საშინელი შეგრძნება ჰქონდა, მძინარეს ვილაც უყურებდა. კი მაგრამ, როგორ შემოაღწია ჩაკეტილ-ჩარაზულ ოთახში. რომელი ხარ, იკითხა მან. არავინ გამოეპასუხა. თვალები დახუჭა, იქნებ დამეძინოსო, მაგრამ კვლავ იგრძნო, ვილაც უყურებდა, თვალი გაახილა და დაინახა, ფუი ეშმაკს, მანუელა სანჩესი. როგორ, საიდან. სრულიად უბრალოდ, კედლიდან შემოსულა, არც გასაღები დასჭირვებია და არც ბოქლომი. მშვიდად დადიოდა ოთახში ჩემი მშფოთვარე ღამის მანუელა სანჩესი. მუსლინის კაბა ეცვა, ხელში ნაკვერჩხალოვით მოგიბგიზე ვარდი ეჭირა. მის სუნთქვას ძირტკბილას სუნი დაჰკრავდა. მითხარი, რომ ეს სიზმარია, მითხარი, რომ ეს შენ არა ხარ, რომ ეს ძირტკბილას დამარეტიანებელი მარაბში შენი სუნთქვა არ არის. მაგრამ ის იყო, მანუელა სანჩესი იყო, ვარდიც მისი იყო, სუნთქვაც მისი იყო და ამ ყველაფერს ისე აევსო და დაემორჩილებინა საძინებელი ოთახი, როგორც სალი კლდე იმორჩილებს და ათვინიერებს აბორგებული ზღვის უძველეს ძალას. ჩემი ბედისწერის მანუელა სანჩეს, რატომ არ მაწერიხარ ხელის გულზე, ყავის ნალექში რატომ ვერ ამოიკითხა მკითხავმა, ან ჩემი სიკვდილის წყლიან თასში ერთხელ მაინც რატომ ვერ დაგინახა ნათელმხილველმა. ჰოდა, წადი ახლა აქედან, თავი დამანებე, მასუნთქე ჩემი ჰაერი, მაცალე ძილი, ნუ წაართმევ სიბნელეს ჩემს ოთახს, სადაც ჯერ არც ერთ ქალს არ შემოუდგამს ფეხი და ვერც შემოადგამს ჩააქრე-მეთქი შენი ვარდი, ევედრებოდა კაცი და თან კედელზე ხელის ფათურით თვითონ ეძებდა ჩამრთველს, მაგრამ ყველგან ხვდებოდა თავისი სიგიჟის მანუელა სანჩესს. ეშმაკმა წაგიღოს, რატომ უნდა გპოულობდე, თუკი არ დამიკარგინხარ. რა გინდა ჩემგან, სახლი გინდა, შენი იყოს, ეს ქვეყანაც შენი იყოს თავის ღრაკონიანად, ღონდ შუქი ამანთებინე, ჩემი ღამის მორიელო, ჩემი თიაქარის მანუელა სანჩეს, შე ნაბუშარო, ყვიროდა ძილგამტყდარი კაცი. დარწმუნებული იყო, შუქს თუ აანთებდა, ეშველებოდა, მანუელა სანჩესის ჯადოსაგან თავს დაიხსნიდა. მომაშორეთ ეს ქალი, ღუბა დაჰკიდეთ კისერზე და წყალში გადაუძახეთ, რათა აღარავინ დაიტანჯოს მისი ვარდის გიბგიზით. ამ სიტყვებს ახლა უკ-

ვე დერეფანში გაჰყვიროდა მთელ ხმაზე, ფეხი უცურდებოდა სიბნელის ნაკვლებზე, თან შიშნარევ გაოცებას ვერ ფარავდა, რა ხდება დილის რვა საათია და ამ დამპალ სახლში ჯერაც ყველას სძინავს. რქიანებო გაიღვიძეთ-მეთქი, რა ძილქუში დაგემართათ. ამ დახილზე წამში აინთო შუქი ოთახებში. აღრიალდა გათენების მაუწყებელი სასახლის საგუმ-აგოს საყვირი, რომელსაც ჯერ პორტის ციხესიმაგრე გამოეხმაურა, მერე კი რიგრიგობით სან ხერონიმოს ბაზა და ქვეყნის თითქმის ყველა ყაზარმა. დაიწყო საყოველთაო გამოღვიძება. ძილგამოყოლილი ჯარისკაცები დაფეთებული მივარდნენ პირამიდებად აყუდებულ თოფებს და საცოდავი ჩხაკუნი აუტეხეს. ვარდებმა დილის პირველ ცვარ-ნამს ორი საათით დაასწრეს და გაიფურჩქნენ ცაზე ჯერ კიდევ კაშკაშებდნენ ვარსკვლავები, სასახლის ძილგამტყდარი ქალები კი უკვე ხალიჩებს ბერტყავდნენ აივნებზე, გალიებში საკენკი დაუყარეს ჯერაც მძინარე ჩიტებს, ლარნაკებში ცოცხლად შემონახული წინა დღის ყვავილები ახლით შეცვალეს, კალატონებმა სასწრაფოდ გამართეს ფანჯრებიანი კედელი, თითოეულ ფანჯარაზე ოქროსფერი ქალაქის მზე მიაწებეს, აქაოდა, გათენდაო. ამან კი საბოლოოდ აურიო თავგზა მზესუმზირებს. ცაზე ჯერ ისევ ღამე იყო, სასახლეშიც ჯერ ისევ ოცდახუთი რიცხვის კვირა დღე იყო, ორშაბათის დილა ჯერ არ დაჰყვნოდა აპრილის ზღვას, სამრეცხაოების მეპატრონე ჩინელები კი უკვე ხმამაღალი დახილით აღვიძებდნენ თავიანთ მსახურებს და ჯიკავ-ჯიკავით აგდებდნენ კლიენტებთან ჭუჭყიანი თეთრეულის წამოსაღებად. უსინათლო ნათელმხილველები სამკითხაოდ ემზადებოდნენ. ცბიერი ჩინოვნიკები თავიანთი მაგიდის უჯრებში ნაპოვნ გუშინდელ კვერცხებს ორშაბათ დილით დადებულად ასაღებდნენ და ვიდრე გაკვირვებული, დაფეთებული ადამიანები სასწრაფოდ მოწვეულ სახელმწიფო საბჭოზე იყრიდნენ თავს სხდომათა დარბაზში და ვიდრე სასახლის ძაღლები ჩვეულებისამებრ უღრენდნენ ერთმანეთს მაგიდის ქვეშ, ის დარბაზისკენ მიემართებოდა ნაადრევად დამდგარი დღის შუქით თვალაჭრელებული, უკან მისდევდნენ ფარისეულები, განთიადის შემოქმედი, დრო-ჟამის განმგებელი და ქვეყნიერების შუქურა შენ ხარო, ეპირფერებოდნენ. გენერალური შტაბის ერთმა ოფიცერმა ველარ მოითმინა და ვესტიბულში მხედრულად მისალმების შემდეგ კრძალვით შეჰკადრა, ჩემო გენერალო, ახლა დილის რვა საათი კი არა, მხოლოდ და მხოლოდ დილის ოთხის ხუთი წუთიაო. განრისხებულმა ხელისუფალმა ოფიცერს სილა შემოჰკრა სახეში და ლამის მთელი ქვეყნის გასაგონად უღრიალა, რვა საათია, რეგვენო, რვა საათიამეთქი, ღმერთმა ასე ბრძანა. ნაშუალამევს დედამისს მიაკითხა საგარეუბნო სახლში. რაო, ჰკითხა დედამ, სახე რად ჩამოგტირის, ბზიკმა ხომ არ გიკბინა, გულზე რად მიგიჭერია ხე-

ლი. შვილმა არაფერი უპასუხა, ჩალის სავარძელში ჩაეშვა და გულზე ხელის მონაცვლება ვერ მოასწრო, რომ დედამ ზედ ცხვირწინ დაუტრიალა ჩიტების მოსახატავი ფუნჯი შენ რა, მართლა „ქრისტეს გულზე“ გამოსახული მაცხოვარი ხომ არ გგონია თავი მაგ ნაღვლიანი თვალებითა და გულზე მიდებული ხელით. შვილმა ხელი ჩამოუშვა, დედა კი არა, მძღნერია. სავარძლიდან წამოდგა და ოთახიდან გასვლისას კარი მაგრად გაიჯახუნა. სასახლეში დაბრუნებისთანავე, როგორც სჩვეოდა, სართულებს მოედო, ხელები ჯიბეში ეწყო, იქით არ გამეცნენ, სადაც არაფერი ესაქმებათო. მინებზე აკრულ ვერცხლისფერი ქალაქის ვარსკვლავებსა და ფანჯრებზე გარედან დაკიდულ თითბრის მთვარეებს დღის სამი საათის ნაცვლად ამჯერად საღამოს რვა საათის ილუზია უნდა შეექმნათ. პრეზიდენტმა ფანჯრიდან დაინახა ეზოში მოყურყუტე ერთიანად გალუმპული ყარაულები, ნაღვლიანი ზღვა და წვიმად მოსული მანუელა სანჩესი, რომელიც მის ქალაქში ცხოვრობდა და მისი არ იყო, თვალი შეავლო უსიამოვნოდ ცარიელ დარბაზს, მაგიდებზე უკუღმა შემოდგმულ სკამებს და გააჟრჟოლა, მარტოობის სულის შემსუთველი სიძიძიე დაეუფლა, რადგან იცოდა, წინ კიდევ არაერთი ეფემერული უმანუელა-სანჩესო ჩაწყვდიადებული ღამე ელოდებოდა. ეშმაკმა დალახვროს, ამოიოხრა მან, გული ისე მტკივა, თითქოს მართლა წაერთმიოთ ის, რაც სინამდვილეში არც მქონია. შერცხვა საკუთარი თავისა. ტანზე მოიფათურა ხელი, გულისკენ უნდა წაეღო, მაგრამ გადაიფიქრა, შარვალში ჩაიყო და წვიმის შხაპუნში მიწყნარებული საკვერცხეები ჩაბღუჯა. ძველებურად უზარმაზარი, ძველებურად მძიძე იყო მისი თიაქარი, ტკივილიც ძველებური ჩაყურულიყო მასში, მაგრამ ახლა რატომღაც შემაწუხებელი მოეჩვენა, თითქოს საკუთარი გული მოემწყვდიოს ხელში, თითქოს ხელის გულზე ედო ჯერაც ცოცხალი, მფეთქავი. მხოლოდ ახლაღა მიხვდა, თურმე რა მართალს ეუბნებოდნენ სხვადასხვა დროს სხვადასხვა ადამიანები, გული, ჩემო გენერალო, მესამე საკვერცხეო. ჯანდაბაში წასულა ყველა, ფანჯარას მოშორდა, მისაღებ ოთახში ბოლთის ცემას მოჰყვა, მერე სხდომათა დარბაზისაკენ გაემართა. ფლატუნით, მძიძედ მიმავალს სახეზე ეხატა მარადიული პრეზიდენტობისათვის განწირული კაცის იერი, იმ კაცის იერი, სახელი და დიდება თევზის ფხასავით რომ გაჩხეროდა სულში. დარბაზში შესვლისთანავე დაჯდა და სმენად იქცა, მაგრამ, როგორც ყოველთვის, ახლაც არაფერი ესმოდა, არც არაფერი გაეგებოდა. განსაკუთრებით ფისკალურ ეკონომიკაზე მოხსენება ჰგვრიდა ძილს. უეცრად რალაც მოხდა ჰაერში, ფინანსთა მინისტრმა სიტყვა გაწყვიტა. ყველანი პრეზიდენტს შეაჩერდნენ, ნეტავ ისეთი რა მოხდა მის თვალშეუვალ ჯავშანს მიღმა, ეტყობა, შემოტეულმა ტკვილმა დააწყვიტა ნა-

კერები. თავად მან ცხადად დაინახა საკუთარი თავი, გადაფიტრებული და გასაცოდავებული მართო იჯდა კაკლის ხის მაგიდის ბოლოში და ლამის მართლა გამსკდარიყო გულზე, ეს როგორ მომივიდა, როგორ აღმოვჩნდი მარადიული პრეზიდენტისათვის ასეთ შეუფერებელ მდგომარეობაში, რა ჯანდაბამ მათაცვებინა გულზე ხელით. მისი სიცოცხლე ინავლებოდა ჯანდაცვის მინისტრის იუველირივით მოწკურულ თვალ-ებში ჩაყინულ ნაკვერჩხლებზე. ექიმი ჯიბის საათის ოქროს ძეწკვს ათამაშებდა ხელში და თავის ძმასა და მეგობარს შიგნეულში უფათურებდა თვალებს. ეტყობა, გულმა დაარტყა, თქვა ვიღაცამ ხმადაბლა. მაშინ მან სირინობისებრი ხელი მოიშორა გულიდან და რისხვისგან გაქვავებული დაასვენა კაკლის ხის მაგიდაზე. სახეზე ფერმოსულმა საკუთარი ავტორიტეტის დამადასტურებელი სიტყვები ტყვიასავით დაუშინა იქ მყოფთ, ძალიან გინდათ, გულმა დამარტყას, მაგრამ ტყუილად ელოდებით, რატომ გაჩუმდით, გაგრიებო, განაგრძეთ. მათაც განაგრძეს, მაგრამ თვითონვე არ ესმოდათ თავიანთი ლაპარაკი, ყველა ერთ ფიქრს შეეპყრო, რაკი პრეზიდენტი ძალიანაა განრისხებული, მაშასადამე, რაღაც დაემართა, მაგრამ რა, ვერაფრით აეხსნათ. აწრი-ალდნენ, ერთმანეთში აჩურჩულდნენ, შეხედეთ, ისეა გაბრაზებული, გული ხელით უჭირავს, ლამის ყველა ნაკერი დაუსკდეს. მერე აგორდა ჭორი და მთელ სასახლეს მოედო, პრეზიდენტს თურმე ჯანდაცვის მინისტრი დაუბარებია თავისთან, ისიც რომ მისულა, პრეზიდენტს კაკლის ხის მაგიდაზე დაუდევს მისი შერცხვენის მთავარი დამნაშავე მარჯვენა ხელი და მინისტრისთვის უბრძანებია, მომჭერიო, თან თურმე ბო-ღმა ახრჩობდა, თვალცრემლიანსა და დამცირებულს რომ ხედავდნენ მისი ხელქვეითები. გადარეულა თურმე მინისტრი, რას ამბობთ, ჩემო გენერალო, რომც დამხვრიტოთ, მაგას არ ვიზამ, სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ თქვენს მკლავს მეტი ფასი და მნიშვნელობა აქვს, ვიდრე მეო. ერთი სიტყვით, ჭორს ჭორი ემატებოდა, ადიდებულ მდინარესავით კალაპოტიდან გადმოდიოდა და ქუჩებსა და გზაჯვარედინებს ედებოდა. ის კი ამ დროს უთენია მიდიოდა ფერმაში, ყაზარმებს საკუთარი ხელით უნაწილებდა რძეს და შესცქეროდა ცას, რომელსაც მანუელა სანჩესის სამშაბათის ფერფლისფერი ალიონი ნელ-ნელა ეფინებოდა. მისი ბრძანებით ვარდის ბუჩქებიდან აყარეს კეთროვნები, მათმა სიმყრალემ მანუელა სანჩესის ვარდის სურნელი არ წაბილწო-სო. სადმე მოფარებულში თავს რომ დაიგულეებდა, მღეროდა, პირველ ვალსს შენთან ვიცეკვებ, დედოფალო, რათა არასოდეს დამივიწყო, მღეროდა, და თუ დამივიწყებ, დაიმახსოვრე, სიკვდილი გელის. დარდის გასაქარვებლად თავის ქალებს აკითხავდა და მათი უბადრუკი ოთახების ჭაობში იძირებოდა. მთელი თავისი ხანგრძლივი ცხოვრება ერ-

თი უგრძობელი მუდამ მოჩქარე საცვარელი იყო, ახლა კი ნამდვილ მამაკაცად ქცეულიყო. უწინდებურად აღარ ჩქარობდა, თვითონაც ტკბებოდა და სხვასაც ატკბობდა, ქალები სიამით ოხრავდნენ და სიბნელეში ტკარცალებდნენ გაკვირვებულები, მეტისმეტი მოგდით, გენერალო, ძალიან იხარჯებით, თანაც ამ ხნისა. მაგრამ მან კარგად იცოდა, რომ თავს იტყუებდა, რომ უღმობლად ახლოვდებოდა ის დღე, როცა იგი საკუთარი ფეხით მიადგებოდა მანუელა სანჩესს და შესთხოვდა, ღვთის გულისთვის, შემიყვარეო, მანამდე კი ქალიშვილის სასახლე უნდა ეპოვნა საშინელებათა სამეფოს ნაგავსაყრელზე, მოჩხუბარი ძაღლების უბანში. და მართლაც, ზაფხულის ერთ პაპანაქება დღეს გაეშურა იგი მოჩხუბარი ძაღლების უბნისკენ. სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილს პირადი დაცვა არ ახლდა. მგზავრობაც ჩვეულებრივი, ძველი მანქანით გადაწყვიტა, მანქანა ტკაცატკუცითა და მყრალი გამონაბოლქვით ავსებდა სიესტის ლეთარგიაში ჩაძირულ ქალაქს. აზიურ სავაჭრო რიგს რის ვაივაგლახით რომ გასცდა, დაინახა თავისი დამღუპველი მანუელა სანჩესის ზღვა და მარტოსული ვარხვი ჰორიზონტზე. დაინახა ძველისძველი ტრამვაები, რომლებითაც მანუელა სანჩესი მგზავრობდა ხოლმე და ბრძანა, ფანჯრებდაბურული ახალი ყვითელი ფერის ტრამვაები გაეშვათ ამ ხაზზე, თანაც ყოველ ტრამვაიში ხავერდგადაკრული სავარძელი დაედგათ საგანგებოდ მანუელა სანჩესისთვის. დაინახა ცარიელი პლაჟები, სადაც მანუელა სანჩესი კვირაობით დადიოდა და ბრძანა, პლაჟზე დაედგათ გასახდელები და აღემართათ ამინდის დროშა, რათა მისი ფერის მიხედვით მისახვედრი ყოფილიყო ყველასათვის, შეიძლებოდა თუ არა იმ დღეს ბანაობა. ბრძანა, საკუთრივ მანუელა სანჩესისთვის ბადურით შემოეღობათ პატარა ადგილი პლაჟზე. სანაპიროს გასწვრივ მან დაინახა მისი წყალობით გამდიდრებული თოთხმეტი ოჯახის სააგარაკო სახლები მარმარილოს ტერასებითა და იდუმალი მდელოებით. განსაკუთრებით განცალკევებით მდგარი ლამაზიანებიანი და ებოში მბრუნავმადრევენებიანი ერთი უშველებელი სახლი მოუვიდა თვალში და ინატრა, მინდა აქ ცხოვრობდე და მე მელოდებოდე. ის იყო მანქანის უკანა სავარძელზე თვალგახელილს ჩაეძინა, რომ ზღვიდან მონაბერი ბრიზის სუნთქვა გაქრა და უეცრად მანქანაში შემოიჭრა მოჩხუბარი ძაღლების უბნის ჯოჯოხეთური ღრიანცელი. ძნელად თუ ვინმე დაიჯერებდა, რაც მან იქ იხილა. შეძრწუნებულმა შესძახა, ო, დედაჩემო ბენდისიონ ალვარადო, ერთი დაგანახა, სად ვარ. მიშველეთ. მაგრამ ამ საგიჟეთში მას ვერავინ ცნობდა, ყურადღებას არავინ აქცევდა მის ნაღვლიან თვალებს, სიფრიფანა ტუჩებს, გულზე დასვენებულ ხელს, ყურიდან ყურში უშვებდნენ ტილოს ხალათსა და უბრალო ქუდში გამოწყობილი გადაღძუებული ბერიკაც-

ის დუდლუნს, ძალდადაც არავინ აგდებდა ამ გამოფიტულ პაპის პაპას, რომელსაც თავი გამოეყო მანქანიდან და ყველას ეკითხებოდა, სენიორა, ხომ ვერ მეტყვიით სად ცხოვრობს ჩემი შერცხვენი მანუელა სანჩესი, ღარიბთა დედოფალი, რომელსაც ვარდი უნთია ხელში. გამვლელ-გამომვლელს ყველას ეკითხებოდა და თან დაბნეული ფიქრობდა, ნეტავ როგორ ცხოვრობ აქ ამ სატანისებრ ეშვებ და თვალეზრასისხლიანებული ძაღლების გვერდით მუდამ რომ უღრენენ ერთმანეთს ნეტავ რა გაძლებინებს ამ კომპარში სადაც სასიკვდილოდ დაკბენილი ძაღლები საზარლად ყმუიან და ბინძურ გუბებში ჩამჭდარნი ილოკავენ ჭრილობებს სად როგორ მოვიხელთო შენი ტკბილი სუნთქვა სუნთქვა ძირტკბილასი დუქნებიდან კინწისკვრით გამორეკილი მთვრალეების ღრიანცელში ჩემი ცხოვრების დამდაღავო შე ნაბუშარო როგორ გიპოვო მარანგუანგოსა და ბურუნდანგას გორდოლობოსა და მანტა დე ბანდერას ამ დაუსრულებელ ქარიშხალში ხალხით გაჭედვილ დუქნებში იმ გულისამრევ ძეხვის სუნში ხურდა ფულსაც რომ აშავებს ეშმაკმა წაგიღოს როგორ გიპოვო ზანგი ადამისა და ხუანსიტო ტრუკუპეის ნაბოდვარ სამოთხეში როგორ ვიპოვო შენი სახლი ამდენ უსახურ კედლებდამსკდარ ქოხმახში რომლებსაც ეპისკოპოსის სამოსივით მუქლილისფერი ფრიბები თუთიყუშივით მწვანე ფერის შუშები და ცისფერჩარჩოიანი ფანჯრები აქვს როგორ ვიპოვო შენს ხელში ანთებული ვარდი ნეტავ რა დროა ახლა შენს საათზე აი ამ წუთში და ამ ჯოჯობეთში სადაც მდაბიოთა ბრბო არად აგდებს ჩემს ბრძანებებს ახლა ხომ დღის სამი საათია და არა გუშინდელი საღამოს რვა საათი თუმცა რა გასაკვირია ამ ჯოჯობეთში ვაცს დღე და ღამე რომ აერიოს როგორ გიპოვო ამდენ ქალში ცარიელ ოთახებში გაკიდულ ჰამაკებში რომ ჩაზვინულან და კაბის კალთით ინიავებენ დასიცხულ ლაჯებს. ასეთი ფიქრებით გაწამებული წამდაუწუმ ჰყოფდა თავს მანქანის სარკმლიდან და ყველას ეკითხებოდა, ხომ არ იცით სად ცხოვრობს ჩემი სასოწარკვეთის მანუელა სანჩესი, ბრილიანტის თვლებით გაწყობილი ქათვის კაბა აცვია და თავზე ჩემი ნაჩუქარი ოქროს დიადემა ადგას, პირადად მივართვი კორონაციის ერთი წლისთავზეო. სენიორ, მე ვიცი, თქვენ ვისაც ეძებთ, ხმაურში ძლივს გამოარჩია ვიღაცის ხმა, იმ გავასქელ ძუკნას ეძებთ, დიდი ვინმე რომ ჰგონია თავი, აგერ იქ ცხოვრობს, იმ სახლში. აქ ყველა სახლი ერთმანეთს ჰგავს, ყველა ჭყეტელაა. ზღურბლთან ძაღლის ქაქში, ეტყობა, ვიღაცას სულ ახლახანს ჩაუდგამს ფეხი სახლში შესვლისას. რა უბადრუკი ქოხია, ნუთუ ეს იმ ქალიშვილის სახლია, პრეზიდენტთან აუდიენციის დროს ვიცემეფის სავარძელში რომ იჯდა, და მაინც, ეს მისი სახლი იყო. დედაჩემო, ჩემო სულისდგმავ, ბენდისიონ ალვარადო, მომეცი ძალა, ფეხი შევდგა ამ სახლში. მაგრამ შესვლ-

ამდე ათჯერ მაინც შემოიარა მთელი უბანი, მერე ცოტა მოითქვა სული, ძალაც მოიკრიბა და კარზე სამჯერ დააკაკუნა. სამივე კაკუნი სამჯერ წაკითხულ ლოცვას ჰგავდა. წინკარის გავარვარებულ ჩრდილში იდგა და ელოდა. ვერაფრით გაეგო, საიდან მოდიოდა ეს მყრალი სუნი, ან ხვატისგან ასდიოდა ჰაერს ან თავად მის ღელვას. როგორც იქნა, გამოვიდა მანუელა სანჩესის დედა და სტუმარი შეიპატიჟა მიძინებული სახლის ერთ მოზრდილ ოთახში, სადაც გვარიანად გრილოდა და გაფუჭებული თევზის სუნიც იდგა. სახლი შიგნით უფრო დიდი აღმოჩნდა, ვიდრე გარედან ჩანდა. სანამ დედა თავის ქალიშვილს გააღვიძებდა, სიესტის საათს დაურღვევდა, კაცი იჯდა ტყავგადაკრულ სკამზე და თავისი უიმედობის ოთახს ათვალიერებდა. კედელი წვიმას ჩამოერეცხა, ტყავგადაქუცული დივანი ჩავარდნილიყო, კუთხეში სიმებდაწყვეტილი, კლავიშებჩავარდნილი პიანინო იდგა. დასწყევლოს ღმერთმა, ამდენი იმიტომ ვეწამე, რომ ეს უბადრუკობა მეხილა. მანუელა სანჩესის დედა ხელსაქმის კალათით ხელში დაბრუნდა ოთახში. ტაბურეტზე ჩამოჯდა და მაქმანის ქსოვას მოჰყვა, მისი ქალიშვილი კი ამასობაში სარკის წინ ეწყობოდა; რადგან მაინც სტუმარი ეთქმოდა ამ დაუპატიჟებელ ბეხრეკ კაცს, რომელიც დაბნეული იჯდა და ბუტბუტებდა, სადა ხარ ჩემი უბედურების მანუელა სანჩეს მოვედი შენთან მაგრამ ვერ გხედავ ამ მათხოვრულ სახლში ვერ ვგრძნობ შენს სურნელოვან სუნთქვას მხოლოდ დამპალი ნასუფრალის სუნი მცემს ცხვირში სად არის შენი ვარდი სად არის შენი სიყვარული დამიხსენი ამ ძალღუერი ყოფისგან. ასე ბუტბუტებდა და ოხრავდა, რომ უცებ შიდა კარის ზღურბლზე გამოჩნდა მანუელა სანჩესი სწორედ ისეთი, როგორიც წარმოედგინა ბერიკაცს თავის სიზმრებში და ამაღდროულად არც მთლად ისეთი. ერთი სიტყვით, ერთი სიზმრის ხატება არეკლილი მეორე სიზმრის სარკეში და თუმცა ქალიშვილს უბრალო ჩითის კაბა და ძველი ფეხსაცმელი ეცვა, თმაც ნაჩქარევად დაემაგრებინა სავარცხლით, მაინც გამორჩეულად ლამაზი და ღირსეული ჩანდა, ვარდიც უბრდღვიალებდა ხელში. მოხუცს ლამის თვალები დაუბნელდა, მუხლებაკანკალებული ძლივს წამოიმართა ქედის მოსადრეკად, ქალი ამაყად თავაწეული მიესალმა, ღმერთი იყო თქვენი მფარველი, თქვენო ბრწყინვალეებავ, მერე დივანზე ჩამოჯდა მოშორებით, რათა ვერ მიწვდენოდა ავხორცობის მყრალი სუნი, სტუმარს რომ ასდიოდა. ბერიკაცს ჯიქურ შევაჩერდი თვალებში, სენიორ, ნამდვილ ღამურას ჰგავდა, მე დავინახე უსიცოცხლო ტუჩები, დავინახე გაყინული, უმოძრაო თვალები, ასე მეგონა, წყლიდან შემომჩერებოდნენ, სენიორ, მე დავინახე მიწისფერი, ქოსა, ჩვარივით სახის კანი, მაგრამ ხელები კი ნამდვილად გლუვი, უნაოჭო ჰქონდა პრეზიდენტის ბეჭდიანი მარჯვენა ხელი გამოსაჩენად, თვალში საცემად და-

ედო მუხლზე. თეთრი ტილოს ხალათი სარზე ჩამოცმულივით ეკიდა ტანზე, უზარმაზარი საკუბოვე ფეხსაცმელი ეცვა, სენიორ. მე ვკითხულობდი მის აზრებს, ვგრძნობდი ამქვეყნად ყველაზე უხნესი, უსაშინელესი და შეუბრალებელი ბერიკაცის იდუმალ ძალას, ის კი ამ დროს ქუდით იზიარებდა სახეს და მდუმარედ შემომცქეროდა ცხოვრების გაღმა ნაპირიდან. ღმერთო ჩემო, ნამდვილი მუმიანა, გავიფიქრე შეწუხებულმა და ცივად ვკითხე, რით შემიძლია გემსახუროთ, თქვენო ბრწყინვალე ბავშვ-მეთქი. მან დიდის ამბით მიპასუხა, მოვედი, რათა კვლავაც სტუმრობის ნება გთხოვოთ. მაგრამ ამ სტუმრობებს ბერიკაცისთვის არ მოუტანია სიმშვიდე, თვიდან თვემდე თითქმის ყოველდღე აკითხავდა ქალიშვილს სახლში და თანაც ყოველთვის სიესტის მკვდარ საათებში, როგორც თავის დედასთან დადიოდა ხოლმე სტუმრად. ეს დრო მან საგანგებოდ შეარჩია ეროვნული უშიშროების თანამშრომლებისთვის თვალის ასახვევად. დაე, ეგონოთ, ვითომ დედაჩემთან მივდივარ ქალაქგარეთო. მაგრამ მხოლოდ მან არ იცოდა ის, რაც მთელმა ქვეყანამ იცოდა, გენერალ როდრიგო დე აგილარის კარაბინერები კუდში დასდევდნენ, მის ყოველ ნაბიჯს სახურავზე გაწოლილები უთვალთვალეობდნენ, ქუჩებში საგანგებოდ ქმნიდნენ ჯოჯოხეთურ არეულობას, მერე კი მუჯლუგუნებითა და კონდახის ცემით წმენდნენ ქუჩებს ხალხისაგან. იმ ქუჩაზე, სადაც პრეზიდენტს უნდა გაევილო, ორიდან ხუთ საათამდე ყოველგვარი მოძრაობა წყდებოდა. კარაბინერებს ნაბრძანები ჰქონდათ გაუფრთხილებლად ესროლათ ყველასთვის, ვინც კი ამ საათებში გაბედავდა და ცხვირის გამოყოფას შეეცდებოდა თუნდაც აივანზე. არადა, იყვნენ ადამიანები, რომლებსაც დიდად არ აწვალვდათ ცნობისმოყვარეობა, მაგრამ როგორღაც ახერხებდნენ თვალის მიედევნებინათ უსახურ მანქანად გადაკეთებულ-გადაღებილ პრეზიდენტის ლიმიზინისთვის. ბევრმა ისიც მოახერხა დაენახა წამიერად გაელვებული უბრალო თეთრი ტილოს ხალათში გამოკრული აცეტებული ბერიკაცი, არაერთი თეთრად გათენებული ღამის კვალდამჩნეული, ფერგამკრთალი სახე მარტოსული კაცისა, რომელსაც ბევრჯერ უღვრია ცხარე ცრემლი, მაგრამ ახლა უკვე აღარ აინტერესებდა რას იტყოდა ხალხი გულზე ხელმიდებული თავისი პრეზიდენტის დანახვაზე. ცხადად ეტყობოდა, რა სულიერი ბრძოლა უწევდა საკუთარ თავთან, რა უძლური იყო საკუთარი სურვილების წინაშე. იგი ჰგავდა მსხვერპლად შესაწირავ ცხვარს, რომელსაც რიტუალის აღსასრულებლად უკაცრიელ ქუჩებში მიათრევდნენ, ირგვლივ კი ისეთი პაპანაქება დგას, ჰაერი გამდნარ შუშას ჰგავს და ყველა და ყველაფერი სიესტის მკვდარ საათშია ჩაძირული. მერე და მერე იმდენს ლაპარაკობდა თავის უჩვეულო, უცნაურ ავადმყოფურ უძლურებაზე, რომ ეჭვი აღარ-

ავის ეპარებოდა, სიესტის საათებს იგი დედასთან კი არა, მანუელა სანჩესის გრილსა და მყუდრო სამყოფელში რომ ატარებდა. მანუელას დედა კუთხეში იჯდა და თავის მაქმანს ქსოვდა, სტუმრისა და ქალიშვილის საუბარში არ ერეოდა. კაცმა რომ თქვას, ეს მოხუცი არაფერს აშავებს, უცნაური საჩუქრები მოაქვს მხოლოდ, რაც ასე უკლავდა გულს ბენდისიონ ალვარადოს. ქალიშვილს მაგნიტის საიდუმლოება გააცნო, ერთხელ მთის ბროლის პრესპაპიეც მოუტანა, თუ სინათლეზე გახედავდი, გეგონებოდა, თოვლიანი ქარბუქი ტრიალებსო შიგნით. უსასრულოდ მოჭქონდა ასტრონომიისა და სააფთიაქო ხელსაწყოები, პიროგრაფიურები, მანომეტრები, მეტრონომები, ჰიროსკოპები, ყიდულობდა და ყიდულობდა მიუხედავად დედამისის ბენდისიონ ალვარადოს წინააღმდეგობისა და საკუთარი რკინისებური სიძუნწისა, ყიდულობდა მხოლოდ და მხოლოდ მანუელა სანჩესთან სათამაშოდ და გასართობად. ყურზე მიადებდა პატრიოტულ სათამაშოს — ზღვის ნიჟარას და ზღვის ხმაურის ნაცვლად რეჟიმის სადიდებელ სამხედრო ჰიმნებს ასმენინებდა. ოთახის თერმომეტრთან ანთებული ასანთი მიჭქონდა, აქაოდა, ნახე, როგორ ადის-ჩამოდის ჩემი იდუმალი ფიქრებით გატანჯული ვერცხლისწყალიო. თხოვნით არაფერს თხოვდა ქალიშვილს, ოდნავადაც არ ამჟღავნებდა თავის ზრახვებს, ცდილობდა დუმილით მოენუსხა იგი, თავისი უაზრო საჩუქრებით ეთქვა ის, რასაც ვერ გამოთქვამდა, ცდილობდა ყველაზე ინტიმური სურვილები გამოეხატა თავისი უსაზღვრო ძალაუფლების ხილული, ხელშესახები სიმბოლოებით. ერთხელაც, მანუელა სანჩესის დაბადების დღეს, სთხოვა, ფანჯარა გააღო. მეც გავაღე ფანჯარა, სენიორ, და კინაღამ გული გამიჩერდა, საღლა იყო ჩემი უბადრუკი მოჩხუბარი ძაღლების კვარტალი. მის ნაცვლად დავინახე თეთრად შეღებილი ხის სახლები, აყვავილებული ტერასები, ლურჯი მდელოები, მბრუნავი შადრევნები, ფარშევანგები. ქროდა დებინსექციური ცივი ქარი. ეს იყო ოკუპანტი ოფიცრების ყოფილი რეზიდენციების სამარცხვინო ასლი, რომელიც წამომართეს ღამით, თანაც უხმაუროდ, ძაღლების დახოცვის მერე. ხალხი საკუთარი სახლებიდან გამოყარეს, უფლება არ გაქვთ დედოფლის მეობლები იყოთო, და სხვა ნაგავსაყრელზე გაასახლეს, აქ კი ღამღამობით მუშაობდნენ, აშენებდნენ და ასე გაჩნდა ახალი კვარტალი მანუელა სანჩესის კვარტალი. ეს ყველაფერი იმიტომ გაკეთდა, მანუელა სანჩეს, რომ საკუთარი ფანჯრიდან იხილო საკუთარი დაბადების დღე, შეხედე, დედოფალო, დიდხანს სიცოცხლესა და ბედნიერებას გისურვებ. ძალიან უნდოდა ბერიკაცს თავისი ყოვლისშემძლეობით გაეკვირვებინა ქალიშვილი, თავისი ძალაუფლებით მოეხიბლა, მისი ერთობ თავაზიანი, მაგრამ შეუვალი სიმტკიცე შეერყია. თქვენო ბრწყინვალებაჲ, ასე

ძალიან ნუ მეხუტებით, აქ ხომ დედაჩემია, ჩემი პატიოსნების გასაღები მის ხელშია. კაცს სურვილი წვავდა, სიბრაზე ახრჩობდა, ბებრულად, სვენებ-სვენებით წრუპავდა მასპინძლის მიერ შემოთავაზებულ გუან-აბანას წვენს, საფეთქლები დასკდომამე ჰქონდა, მაგრამ ბებრული უძლურება რომ დაეფარა, ტკივილს ითმენდა. არ მინდა სიბრაღის გამო ვუყვარდე, მინდა სიყვარულის გამო ვუყვარდე, და თუმცა ქალიშვილი იქვე იყო, მის გვერდით, ის მაინც მარტოობისთვის გაეწირა ღმერთს. ერთი სურვილია აწვალედა, ვიდრე კაცისოდენა დასაქოქი ანგელოზი მისი სიკვდილის მაუწყებელი ზანზალაკების წკარუნით ჯერ კიდევ არ შემოფრენილა ოთახში და არ უთქვამს, შეხვედრის დრო ამოიწურაო, და ეს კი მართლაც სიკვდილის ტოლფასია მისთვის, როგორმე უნდა მოასწროს და თავისი ოცნების მანუელა სანჩესის სუნთქვით გაჯერებული ჰაერი მაინც ჩაისუნთქოს. მის გვერდით ყოფნის წუთები რომ გაეხანგრძლივებინა, კოლოფებში სათამაშოების ჩალაგებას მიჰყო ხელი, ამ ნესტიან, ზღვის მარილით გაჟღენთილ ჰაერზე მატლებმა მტვრად არ აქციონო. ერთი წუთი კიდევ მაცალე, დედოფალო, სათამაშოები ჩავალაგო, მაგრამ წუთიც მიიწურა, უნდა წავიდეს, უნდა დატოვოს აქაურობა ხვალამდე, ხვალამდე კი მთელი ცხოვრებაა, აი ახლა სულ ერთი წამი სჭირდება, წამზე ნაკლები, რათა ერთხელ კიდევ შეავლოს თვალი ამ უკარება, მიუწვდომელ ქალიშვილს, რომელიც ზანზალაკებიანი ანგელოზის შემოფრენისთანავე უკვე დამტკნარი ვარდით ხელში ყოველთვის მოუთმენლად ელოდებოდა ხოლმე მოხუცი თაყვანისმცემლის წასვლას. ბოლოს და ბოლოს ისიც მიდიოდა, ჩრდილივით მიიპარებოდა მიმწუხრის ბინდბუნდში. სირცხვილის შიშს შეეპყრო, ვაითუ სასაცილოდ ამიგდონო. მან არ იცოდა, რომ კარგა ხანი იყო ყველანი დასცინოდნენ, რომ ყოველ კუთხე-კუნჭულში მის სიყვარულზე ლაპარაკობდნენ, სიმღერაც კი შეთხზეს, მარტო მას არ ჰქონდა მოსმენილი ეს სიმღერა, სამაგიეროდ მთელმა ქვეყანამ იცოდა, თუთიყუშებიც კი ხმის ჩახლენამდე გაჰყვიროდნენ ეზოებში. ქალებო, გზა მიეცით ატირებულ გენერალს, გულს ხელით იჭერს, მწვანე ფერი ადევს სახეზე, სიყვარულისგან არის ავად, სძინავს და ისე მართავს ქვეყანას, ღია ჭრილობებს ვერ მოუარა. ეს სიმღერა შინაურ თუთიყუშებს გარეულებმა ასწავლეს, მერე კატკატებმა და ჯაფარებმა აიტაცეს და სწორედ მათი წყალობით გასცდა დედაქალაქს და მთელ ქვეყანას მოედო. ეროვნული უშიშროების სამსახურის ჩინოსნების დანახვაზე ხალხი აქეთ-იქით იფანტებოდა, მაგრამ სიმღერას მაინც არ ეშვებოდნენ. მალე ახალი კუპლეთიც მიუმატეს. აგერ მოდის გენერალი, სიყვარული აბოდებს, პირიდან ქაქს აკანონებს, უკნიდან კი კანონებს. იგონებდნენ და უმატებდნენ, იგონებდნენ და უმატებდნენ. თუთიყუშებიც კი იგონებ-

დნენ და თავგზას ურევდნენ უშიშროების საცოდავ თანამშრომლებს, რომლებიც სიმღერის განადგურებას ცდილობდნენ ძირშივე. საომრად მომართული სამხედრო პატრული ჭიშკრებს ამტვრევდა, პათიოებში იჭრებოდა და მიჯრით ესროდა ქვეყნის ძლიერების დამანგრეველ თუთიყუშებს, ან გალიებიდან გამოჰყავდათ და ცოცხლად უგდებდნენ ძაღლებს შესაჭმელად. საალყო მდგომარეობაც კი გამოცხადდა ქვეყნისთვის დამღუპველი სიმღერის ამოსაძირკვავად. არავის არ უნდა დაენახა ის, რაც ყველამ ისედაც იცოდა, არ უნდა დაენახათ, პრეზიდენტი ქურდულად როგორ მიიპარებოდა ჩაბნელებულ დერეფანში სამარქაფო გასასვლელიდან. ხვალამდე, ოთხ საათამდე, დედოფალო, ხვალამდე. ხვალ კი იმავე დროს, იმავე საათებში აკითხავდა უაზრო სათამაშოებით დახუნძლული. ბოლოს და ბოლოს იმდენი სათამაშო დაგროვდა, რომ მანუელა სანჩესი იძულებული გახდა მიეერთებინა მახლობელი სახლი, მოენგრია შიდა კედლები და გაეკეთებინა ერთი უზარმაზარი უსახური საწყობი. მთებად ეწყო ყველა დროის ყველანაირი საათი, ნაირ-ნაირი გრამოფონები დაწყებული უძველესი პრიმიტიული ცილინდრულიდან, დამთავრებული უახლეს, ნიკელის მემბრანისანამდე, უამრავი ხელის საკერავი მანქანა, პედალები, ძრავები, გალვანომეტრები, მუსიკალური ბარდახშები, ჰომეოპათიური აფთიაქი, ოპტიკური აპარატები, გამხმარი პეპლების კოლექცია, აზიური მცენარეების ჰერბარიუმი, ფიზიოთერაპიული და სხეულის გამაჯანსაღებელი ლაბორატორიები, ასტრონომიისა და ფიზიკის ხელსაწყოები, ასევე უთვალავი თოჯინა, რომელთაც შიდა მექანიზმის წყალობით შეედლოთ ადამიანებისთვის მიებაძათ. ამ უზარმაზარი საწყობის უმეტეს ნაწილში კაციშვილს არ დაუდგამს ფეხი, ამ ხარახურისთვისაც არავის დაუკარებია ხელი, დახვევითაც არავის დაუხვეტავს იქაურობა, ვის რაში სჭირდებოდა, მით უმეტეს მანუელა სანჩესს, ვისთვისაც კარგა ხანია ყველაფერი სულერთი გახდა. უბედურების მეტი ჩემთვის არაფერი მოუტანია იმ შავად გათენებულ შაბათ დღეს, როცა კარნავალზე გამარჯვებულის გვირგვინი დამადგეს თავზე, იმ საღამოს მერე ყველამ მიმატოვა. მართლაც, მისი ყოფილი თაყვანისმცემლები ერთმანეთის მიყოლებით დაიხოცნენ, ზოგს გულმა უმტყუნა, ზოგს რაღაც უცნაური სნება შეეყარა, უკვალოდ გაქრნენ მეგობარი გოგონებიც, მანუელა სანჩესი სახლიდან აღარ გადიოდა, მისთვის უცხო იყო ეს გადაკეთებულ-გადმოკეთებული კვარტალი. ბედისწერის ხაფანგსა და უსაზღვრო ძალაუფლების მქონე საზიზღარი ბენლექის ვნების ტყვეობაში გაბლანდულ ქალიშვილს გამბედაობა არ ჰყოფნიდა არა ეთქვა, ვერც კის ამბობდა, ძალა არ ჰყოფნიდა, ის გადაღძუებული ბერიკაცი კი არა და არ შორდებოდა თავისი დამამცირებელი სიყვარულით, რაღაც ღვთიუ-

რი ნეტარებით შესცქეროდა და ერთიანად გაოფლილი თეთრ სომბრეროს იფრიალებდა. საკუთარი სხეულიდან გამოცალკევებულს ჰგავდა ასეთ წუთებში და ქალიშვილსაც ზოგჯერ ეჭვი იპყრობდა, იქნებ სინამდვილე კი არა, მოჩვენებააო. ხედავდა, ბერიკაცი როგორ დაფრატუნობდა ოთახიდან ოთახში. საღამო ხანს კი, როცა ჭრიჭინობლების სპილენძისებრი კრუალი ჩამოწოლილ ბინდს უფრო ამძიმებდა, ხედავდა, ჩალის სავარძელში ჩაფლული როგორ სვამდა ხილის წვენს და როგორ იძირებოდა ძილის ბურანში. ქალიშვილი თვალს არ აცილებდა, წამდაუწუმ ხტებოდა სკამიდან, ჭიქა ხელიდან არ გაუვარდესო. ფრთხილად, თქვენო აღმატებულებავ. ისიც მაშინვე ახელდა თვალს და შეცბუნებული ლულულულებდა, სულაც არ მეძინა, დედოფალო, გამორჩეული საჩუქარი უნდა მოგართვა, ციური საჩუქარი, ამაღამ თერთმეტ საათსა და ნულ ექვს წუთზე ეს საჩუქარი მხოლოდ შენთვის გამოჩნდება ცაზე, მხოლოდ შენთვის. ეს იყო კომეტა, რომელიც გვიახლოვდებოდა. ჩვენთვის კომეტის ჩავლა ოცნებების მსხვრევასა და დიდ იმედგაცრუებას ნიშნავდა. ეს დღე ჩვენი უიღბლობის დღე იყო საერთოდ, რადგან უხსოვარი დროიდან ხალხში გავრცელებული აზრით, გენერლის სიცოცხლე ჩვეულებრივი მიწიერი დროის მდინარებას არ ექვემდებარებოდა, იგი ციური სხეულის მოძრაობაზე იყო დამყარებული და იცოცხლებდა მანამ, სანამ არ დაინახავდა ჩავლილ კომეტას. ასე ეწერა მას დაბადებიდანვე, მაგრამ კომეტის მეორე გამოჩენას მოესწრებაო, ეს არ თქმულა და ვერც მოესწრება, რაც არ უნდა ამტკიცონ მლიქვნელებმა. ასე რომ, ამ კომეტის გავლას ველოდებით როგორც ჩვენი აღორძინების წამს, როგორც უმშვენიერეს ციურ მოვლენას, რომელიც ას წელიწადში ერთხელ ხდება ნოემბრის ღამეს და რომლისთვისაც ვემზადებით მთელი არსებით. განზრახული გვაქვს მოვაწყოთ სადღესასწაულო ფეიერვერკი, საგანგებოდ ამ დღისთვის შევექმნათ ხალისიანი მუსიკა, ზუსტად თერთმეტ საათზე ზუსტად თერთმეტჯერ საზეიმოდ ავაგუგუნოთ ზარები არა იმიტომ, რომ ვაქოთ და ვადიდოთ იგი, არამედ ყველას ვაუწყოთ მისი დასასრულის დასაწყისი. ამ ღირსშესანიშნავ მოვლენას თვითონ იგი მანუელა სანჩესის სახლის სახურავზე ელოდებოდა. დედა-შვილს შორის ჩამჯდარი ხმამაღლა ოხრავდა, რათა შიშით დაზაფრული მისი გულის ცემა ქალების ყურს არ მისწვდენოდა. ავი წინათგრძნობით შეპყრობილი შესცქეროდა მოლოდინით გაყუჩებულ ცას, გვერდით კი, იქვე, სულ ახლოს მანუელა სანჩესი ეჯდა და პირველად გრძნობდა მის ღამეულ ლალ სუნთქვას, მისი სხეულის ამაფორიაქებელ სურნელს. და აი, ჰორიზონტის ხაზიდან დოლების ბრაგუნიც მოესმა, მოახლოებული უბედურების თავიდან აცილებას ამ გზით ცდილობდა ხალხი. მოესმა საშინელების მაუწყებელი იდუმალი

არსების წინაშე მუხლდაჩოქილი ადამიანების მიწისქვეშა ვულკანივით დრტვინვა და ყრუ გუგუნი. ამ არსებისთვის პრეზიდენტი არარაობა იყო, მტვერი იყო, ხოლო მისი ვითომდა უსაზღვრო ძალაუფლება, არაფერი, რადგან თავად იყო ჭეშმარიტად მარადიული. პრეზიდენტმა ახლალა იგრძნო პირველად წელთა სიმრავლე და სიმძიმე, იგრძნო, რომ თურმე ისიც მოკვდავი ყოფილა, და სწორედ ამ დროს დაინახა კომეტაც. აი, ისიც, დედოფალო. სადღაც ცის სიღრმიდან, უძირო კოსმოსური სივრციდან მოისწრაფოდა სამყაროზე ძველი, ლამის ნახევარი ცისოდენა, მწუხარე ცეცხლოვანი მედუბა, რომლის ტრაექტორიის ყოველი მტკაველი მილიონობით კილომეტრით აახლოვებდა მას მშობლიურ სათავეებთან, და მართლაც, არშეხად დაჭრილ ვერცხლის ქაღალდს თითქოს ქარმა დაუბერაო, ყველამ გაიგონა კომეტის შრიალი. ყველამ დაინახა მისი ნალვლიანი სახე, ცრემლიანი თვალები, კოსმოსური ქარიშხლებისგან დაფლეთილ-დაწეწილი გველის კუდებივით თმა, მოქროდა შრიალით და უკან ტოვებდა ვარსკვლავთა მოციმციმე მტვერს, მეტეორიტებს, დანაცრულ მთვარეთა ბელტებს. უხსოვარ დროში, როცა დროის ათვლა არც იყო დაწყებული, ციდან ჩამოცვენილი ბელტები ოკეანურ კრატერებს ქმნიდნენ. შეხედე, დედოფალო, კარგად შეხედე, ჩურჩულით თქვა მან, ის ხომ ასი წლის მერე გამოჩნდება კვლავ. შიშით ატანილმა მანუელა სანჩესმა პირჯვარი გადაიწერა. ის არასოდეს ყოფილა ასეთი მშვენიერი, კომეტის ფოსფორისებურ შუქს გაენათებინა მისი სახე, ვარსკვლავთა მტვერდაფრქვეული ვარსკვლავივით ბრწყინავდა. ო, დედაჩემო, ბენდისიონ ალვარადო, სწორედ მაშინ მოხდა მოსახდენი როცა მანუელა სანჩესმა საკუთარი თვალით იხილა მარადისობის უფსკრული, შიშით ზარდაცემულმა არ წავიქცე, იქნებ რამეს ჩავეჭიდო, ჰაერში გაიქნია ხელები და ერთად ერთი დასაყრდენი, რომელსაც იგი შემთხვევით წააწყდა და თავისდა უნებურად ჩააფრინდა, აღმოჩნდა პრეზიდენტისბეჭდიანი, ძალაუფლების ნელ ცეცხლზე გამოძწვარი, უსიამოდ ნაპატივები მტაცებლის ხელი. ჩვენში ცოტა თუ შეაკრთო ამ ბიბლიურმა საოცრებამ, ცეცხლოვანმა მედუბამ, სამაგიეროდ ციური სხეულები დააფრთხო, ქვეყანას ვარსკვლავები დააწვიმა და ვარსკვლავთა მანათობელი მტვერი დააფრქვია. ჩვენ უფრო ის გვადარდებდა, რა მოჰყვებოდა ყოველივე ამას. ყველაზე ურწმუნოებიც კი დარწმუნებული ვიყავით, რაღაც უნდა მომხდარიყო, უსათუოდ რაღაც შეიცვლებოდა, გამორჩეული სიკვდილის მოწმენი გავხდებოდით, ქრისტიანობას საძირკველი შეერყეოდა და დაიწყებოდა მესამე აღთქმის ერა. დიდი ცვლილებებისა და სასწაულების ამალ მოლოდინში თითქმის დილაამდე დავყავით ქუჩებში, დილით კი ჩვენჩვენი სახლებისკენ წავლასლასდით დაღლილები და ამალ ლოდინითა და უძილობით გატან-

ჯულები. ქუჩები მოფენილი იყო ვარსკვლავთა მტვრითა და ნამსხვრევებით. მეუბოვე ქალები უკვე ხვეტდნენ კომეტის ჩავლის მერე დატოვებულ ამ ციურ ნაგავს. ჩვენ არ შევმცდარვართ, რაღაცა მაინც მოხდა, ჩვენ გავხდით უდიდესი ისტორიული სიცრუის მსხვერპლნი, რამეთუ ოფიციალურად იქნა გამოცხადებული, კომეტის კეთილად გავლარეჟიმის გამარჯვებაა ბოროტ ძალაზეო. ეს ციური მოვლენა იმ მიზნისათვისაც გამოიყენეს, რათა წერტილი დაესვათ პრეზიდენტის უცნაურ სნეულებებზე ლაპარაკისთვის. როგორ შეიძლება ავად იყოს ის კაცი, ვისაც ხელეწიფება მართოს ციური სნეულებიც კი. გამოქვეყნებულ იქნა ხალხისადმი მისი სადღესასწაულო მიმართვაც, გადაწყვიტე არ გადავდგე და ვემსახურო ჩემს სამშობლოს კომეტის მეორე გამოჩენამდეო. იქუხა მუსიკამ, გეცა ააჭრელა ფერადმა შუშხუნებმა, არადა, სწორედ ამ მუსიკითა და შუშხუნებით გვსურდა აღგვენიშნა მისი სიკვდილი, მისი რეჟიმის დასასრული. თავად ბერიკაცი არც მუსიკას უსმენდა, არც დე არმას მოედანზე თავშეყრილ ხალხს და არც ტრანსპარანტებს კითხულობდა. სამარადისო დიდება ხალხის მხსნელს. დაე, იცოცხლოს ას წელიწადს და შთამომავლობას უამბოს ჩვენზე. ბრძენკაცისთვის ეს ყველაფერი სულერთი იყო. სახელმწიფო საქმეებს გულს ველარ უდებდა, ჩინოვნიკებს გადააბარა ყველაფერი, ველარც აზროვნებდა, ვერაფრით დაევიწყებინა მის ხელს ჩაჭიდებული მანუელა სანჩესის ხელის სიმხურვალე. ოღონდ კიდევ ერთხელ განეცადა ეს ბედნიერი წამი და დედამიწა თუნდაც თავდაყირა დამდგარიყო, ყველა და ყველაფერი ნაცართუტად ქცეულიყო. ამ მწველი სურვილით შეჰყრობილმა ასტრონომებს სთხოვა, იქნებ პიროტექნიკური კომეტა, მფრინავი ვარსკვლავი, ცეცხლოვანი ციური დრაკონი გამოიგონოთ, სულერთია რა, ოღონდ ისეთი შთამბეჭდავი უნდა იყოს, მშვენიერ ყმაწვილ ქალს თავბრუ რომ დაესხას სამყაროს მარადიულობის წინაშეო. მაგრამ ერთადერთი, რის გაკეთებასაც მეცნიერები შეჰპირდნენ, მზის სრული დაბნელება იყო. ჩემო გენერალო, ეს მოხდება მომავალი კვირის ოთხშაბათს, დღის ოთხ საათზე. სხვა რა გზა ჰქონდა, დაეთანხმა. დაბნელება მართლაც შთამბეჭდავი გამოვიდა, დღისით-მზისით უცებ დაღამდა, აკიაფდნენ ვარსკვლავები, ყვავილებმა პირი შეიკრეს, ქათმები შეიბუნდნენ, ცხოველები აწრიალდნენ, ის კი იჯდა მანუელა სანჩესის გვერდით და ისრუტავდა მის საღამოსეულ ჰაეროვან სუნთქვას, რომელიც ნელინელ ღამისეულ იდუმალებას იძენდა, ისრუტავდა სურნელს ვარდისას, რომელიც ერთბაშად ჩამოწოლილი სიბნელით მოტყუებული ნელინელ ჭკნებოდა ქალიშვილის ხელში. ეს დაბნელება შენია, დედოფალო, მხოლოდ შენი, მაგრამ მანუელა სანჩესს არაფერი უპასუხნია, არც მის ხელს შეხებია, სუნთქვაც კი შეიკრა, ისეთი არარეალური გახდა, ბერ-

იკაცმა ველარ მოითმინა და ხელი გაიშვირა, რათა სიბნელეში შეხებოდა ქალიშვილის ხელს, მაგრამ ამაოდ. იმ ადგილას, სადაც მანუელა სანჩესი ეგულებოდა და სადაც ჯერ კიდევ შერჩენილიყო მისი სურნელი, სიცარიელე დახვდა. ქალიშვილი გამქრალიყო. კაცი ხელების ფათურით მოჰყვა მის ძებნას. ამ უზარმაზარ სახლში ხან რას აწყდებოდა და ხან რას, სიბნელეში მთვარეულივით დაბორიალობდა და გაცეცხლებული ყვიროდა, სად ხარ ჩემი უბედურების მანუელა სანჩეს. გეძებ და ვერ მიპოვნისხარ შენთვის საჩუქრად მორთმეულ დაბნელების ღამეს. სად არის შენი უმადური ხელი ან შენი ვარდი. ბერიკაცი უცნობ წყალქვეშეთში გზააბნეული მყვინთავივით დაცურავდა სიბნელეში. ხან პრეისტორიულ ლანგუსტებს — გალვანომეტრებს აწყდებოდა, ხან განსაცვიფრებელ მარჯანს — მუსიკალურ საათებს, ხან ზღაპრულ კიბორჩხალებს — საილუმინოზო საგნებს, მაგრამ მანუელა სანჩესს კი ვერასად პოულობდა, ველარც მის ძირტკბილასავით სურნელოვან სუნთქვას გრძნობდა, ერთმანეთის მიყოლებით ქრებოდნენ ეფემერული ღამის ჩრდილები და მის გონებაში ნელ-ნელა აღწევდა შეუბრალებელი სინამდვილის სხივი. განთიადისას, რომელიც საღამოს ექვს საათზე შემობრძანდა ამ სახლში, ღმერთზე უხნესი მოეჩვენა თავი და ისეთი უჩვეულო კაეშანი შემოაწვა გულზე, ისე მარტოსულად იგრძნო თავი ამ უზარმაზარ გამოცარიელებულ სახლში, რომ მასავით უბედური ძე ხორციელი არ ეგულებოდა დედამიწის ზურგზე. მზის დაბნელების იდუმალებაში ჩემო სამუდამოდ დაკარგულ დედოფალო, ამიერიდან უშენოდ მარტობა მელის. ამ ამბის შემდეგ მან კიდევ დიდხანს, მრავალი წელი იპრეზიდენტა, მაგრამ ვერა და ვერ იპოვა თავისი სიკვდილის მანუელა სანჩესი იმ სახლის ლაბირინთებში, საწყობად რომ იყო ქცეული. ჩემო გენერალო, მზის დაბნელებისას იგი თითქოს აორთქლდაო, ეუბნებოდნენ. ვიღაცას პუერტო-რიკოში უნახავს დიდ კარნავალზე, სახელი გადაურქმევია, ელენას ეძახდნენ, ვიღაცებს დანით აუკუწავთ, მაგრამ სხვა აღმოჩნდა. მონტეროს საპატივცემულოდ გამართულ ზეიმზე რუმბას რომ ცეკვავდა, მაშინ უნახავს ვიღაცას, მაგრამ ისიც ტყუილი გამოდგა. არაკატაკას ბაზრობაზეც უნახავთ, პანამური დაირების თანხლებით გზნებით ცეკვავდაო. მაგრამ ისიც სხვა აღმოჩნდა. ჩემო გენერალო, ნამდვილად ეშმამ აცდუნა და წაიყვანა თავისთან და თუ ბერიკაცი მაშინ არ მოკვდა, იმიტომ კი არა, რომ არ ეყო საამისოდ გამბედაობა, ან სიმტკიცე, არამედ იმიტომ რომ იცოდა, სიყვარულის გამო სიკვდილი არ ეწერა ბედად. ეს მან კარგად იცოდა იმ უხსოვარი დროიდან, ჯერ კიდევ თავისი ძალაუფლების, იმპერიის დასაწყისში ნათელმხილველს რომ მიაკითხა წყალზე სამკითხაოდ. მისი აზრით, ჯადოსნურ, შელოცვილ წყალს მეტი შეეძლო, ვიდრე მის ხელის გულს,

ბანქოს ან ყავის ნალექს, მხოლოდ პირველყოფილი წყლების სარკვეში შეიძლება ამოიკითხოს კაცმა თავისი ბედ-იღბლის იდუმალეზანი და მართლაც, იმ სარკვეში მან დაინახა საკუთარი თავი ბუნებრივი სიკვდილით აღსრულებული, პირქვე იწვა, როგორც სჩვეოდა დაბადებიდანვე, მოკვცილი მარჯვენა ხელი ბალიშივით დაედო სახის ქვეშ, უბრალო საველე ფორმა ეცვა, უჩინმედლებო, ფეხებზე კრავები შემოევკრა, მარცხენა ფეხზე ოქროს დებები უბრწყინავდა. გაურკვეველი ასაკისა იყო, სადღაც ალბათ 107-სა და 232 წლებს შორის.

*

ასე ვიპოვეთ იგი მკვდარი თავისი შემოდგომის დასაწყისში, უფრო სწორად, იგი კი არა, პატრისიო არავონესი. ასე ვიპოვეთ იგი მკვდარი წლების შემდეგაც, მაგრამ უკვე აღარავის სჯეროდა, მართლა ის იყო მკვდარი თუ სხვა, მართლა მისი იყო სვავებისგან დაკორტნილი და მატლებისგან შეჭმული გვამი თუ სხვისი. ძნელად თუ ვინმე დაიჯერებდა, რომ ეს გახრწნილ-დაღვლარტნილი ხელი ის ხელი იყო, გული რომ ეჭირა ხოლმე, ან ეს გვამი იმ კაცისა იყო, სასოწარკვეთილი რომ ათენ-ალამებდა ხმაურის დროინდელ წლებში ერთი არაჩვეულებრივი ქალიშვილის მხრიდან მისდამი გამოჩენილი გულგრილობის გამო. ერთი სიტყვით, ვერა და ვერ დავადგინეთ მიცვალებულის ვინაობა. რა თქმა უნდა, აქ არც არაფერია გასაკვირი. როცა იგი თავისი დიდების ბენიტიში იმყოფებოდა, მაშინაც კი არავის სჯეროდა მისი რეალური არსებობა. მისი პირადი მსახურებიც კი ვერ იტყოდნენ, სინამდვილეში რამდენი წლისა იყო მათი პატრონი. ნივთების ლატარიაში მონაწილეობისას ოთხმოცი წლისას ჰგავდა, აუდიენციებზე სამოცისას, ოფიციალურ დღესასწაულებზე ორმოცზე ნაკლებისას. ელჩი პალმერსტონი, ერთ-ერთი ბოლო დიპლომატთაგანი, ვინც მას რწმუნების სიგელი გადასცა, თავის მემუარებში, რომელიც აკრძალული იყო ჩვენს ქვეყანაში, წერდა, ძნელი წარმოსადგენია, ამ კაცზე უხნესი კაცი იყოს სადმე, ძნელი წარმოსადგენია, ამ უწესრიგობასა და ქაოსზე უარესი იყოს სადმე. გაჭირვებით დავაბიჯებდი ამ ე. წ. სასახლეში ქალაღდის გროვებზე, ვფრთხილობდი ფეხი არ ჩამეკრა ფუნაში ან დერეფნებში მთვლემარე ძაღლების სალაფავში. ვინმესთვის რომ რამე გეკითხა, პასუხის გამცემი არავინ იყო, შემთხვევით გადავაწყდი კეთროვნებსა და ხეიბრებს. სააუდიენციო დარბაზი იმათმა მიმასწავლეს. გობელენებზე გამოსახულ პურის თავთავებს ქათმები მისეოდნენ ამოსაკენკად. ერთი ძროხა რომელიღაც ეპისკოპოსის სურათს მიდგომოდა და მის ჩა-

მოგლევას ლამობდა, რა თქმა უნდა, შესატყვისად. რაც შეეხება პრემი-დენტს, მიუხედავად, ყრუ იყო. მე ერთს ვეკითხებოდი, ის მეორეს მპასუხობდა, წუხდა, ჩემი ჩიტები აღარ მღერიათ, არადა, ისე ჟიჟივებდნენ, უსიერ ტყეში მეგონა თავი. უცებ მან შეწყვიტა რწმუნების სიგელის გადაცემის ცერემონიალი, სახე გაუნათდა, მომრგვალებული ხელის გული ყურთან მიიღო და მანიშნა ფანჯრისკენ, რომლის მიღმაც ოდესღაც ზღვა დგაფუნობდა, ახლა კი ქვიშიანი ვაკე გადაჭიმულიყო. მერე რაც ძალა და ღონე ჰქონდა, დამიყვირა, გესმით ფლოქვების თქარუნი, ჩემო ძვირფასო სტეტსონ, რატომღაც სტეტსონად მომნათლა, ჯორები გარბიან აქედან, ზღვა ბრუნდება. ძნელი დასაჯერებელია, რომ ამ ბენჩეკ ვაცს ოდესღაც მესიად მოიხსენიებდნენ, რომ თავისი რეჟიმის პირველ წლებში უშიშრად გადიოდა ხალხში, თანაც იქ, სადაც არ ელოდნენ და თანაც დაცვის გარეშე. ერთი ფეხშიშველი გუახირო ახლდა მხოლოდ, რომლის ერთადერთი იარაღი მაჩეტე იყო. ეს ე. წ. მესია მავანთ და მავანთ თითის მიშვერით ურიგებდა დეპუტატობასა და სენატორობას. სოფელ-სოფელ ჩამოვლისას გლეხებს მოსავალზე, საქონელზე, ოჯახზე ეკითხებოდა. უმეტესწილად სოფლის მოედანზე უყვარდა ხალხთან საუბარი, თვითონ იჭდა სარწეველა სავარძელში ხის ჩრდილში და სახეს ინიავებდა უბრალო სომბრეროთი, რომელსაც ამ ბოლო დროს იხურავდა ხოლმე, და თუმცა გარედან მაცქერალს ეგონებოდა, სიცხისაგან შეწუხებული უგულისყუროდ უსმენს მოსაუბრესო, სინამდვილეში სოფლელი ქალებისა და კაცების უკლებლივ ყველა სიტყვას იმახსოვრებდა და, რაც მთავარია, ყველას გვარ-სახელით მიმართავდა. მართო სოფლის კი არა, მთელი ქვეყნის მოსახლეობის გვარ-სახელს, უამრავ ციფრს და ერის ყველა გასაჭირსა თუ სატკივარს ინახავდა თავში. ახლაც ისე მიხმო თავისთან, თვალი არც გაუხელია, მოდი აქ, ხასინტა მორალეს, მითხარი ერთი, ის ყმაწვილი როგორ არის, შარშან ძალით რომ დავალევიან საფალარათო ზეთი. ხუან პრიმიტო, მერე მე მომმართა, როგორ არის შენი საჯიშე ხარი, ხომ უშველა ჩემმა შელოცვამ, ჭირსაც გადავარჩინე და ყურებშიც გაუქრა მატლები, ხომ ასეა. მეც გამომელაპარაკა, აბა, მათილდე პერალტა, მადლობა შენზეა, გაქცეული ქმარი დაგიბრუნე, აგერ არის შენი ქმარი, თოკმობ-მული მოგიყვანე, თან მკაცრად გავაფრთხილე, თუ კიდევ გაბედავ და ცოლს მიატოვებ, იცოდე, ჩინურ ხუნდებს დაგადებ ფეხებზე და იმ ხუნდებიანად დაგალპობ-მეთქი. ასევე მარტივად და სწრაფად წყვეტდა იგი საქვეყნო საქმეებსაც. საქმის გარჩევას არაფრით არ გადადებდა. განაჩენი მაშინვე გამოჰქონდა. ერთხელ ყასაბს უბრძანა, ქურდ ხაზინადარს ახლავე სახალხოდ მოკვეთე მკლავიო. ყველაფერში ცხვირს ჰყოფდა, ყოვლისმცოდნეობას იჩემებდა. გასინჯავდა ვინმეს ბოსტანში

მოწეულ ჰამიდორს, ჩაფიქრდებოდა და მერე დიდის ამბით გამოუცხადებდა თანმხლებ აგრონომებს, მიწას ნაკელი აკლია, თანაც მამალი ვირის, თვითონ მივადევნებ თვალს, სახელმწიფოს ხარჯზე მოგამარაგონ ნაკელითო. ერთხელ ფანჯარაში მომადახა სიცილით, ეი, ლორენცო ლოპეს, ოცი წლის წინათ საკერავი მანქანა რომ გაჩუქე, როგორ მუშაობსო. მე ვუთხარი, დიდი ხანია თქვენი ჭირი წაიღო, ხომ იცით ქვეყნად მარადიული არავინ და არაფერია, არც ადამიანები და არც ნივთები-მეთქი. მან კი მიპასუხა, შენ არაფერი გაგეგება, ჩემო ლორენცო, სამყაროა მარადიულიო, და სახლში შემოვიდა, დაფახფახებულ საკერავ მანქანას მიუჯდა და ხელი მიჰყო მის აწყობას, ზეთიც ჩაასხა, ისე გაერთო, სულ გადაავიწყდა ქუჩაში მომლოდინე ამაღლა. მძიმედ ქშინავდა, ცხვირს ხარივით ათუხთუხებდა, თავიან-ფეხიანად ამოითხვარა ზეთში, მაგრამ იმდენი იფხაკურა, მანქანა მაინც შეაკეთა სულ რაღაც სამ საათში. ასეთი იყო იგი იმ წლებში, როცა ერთნაირად მიჰქონდა გულთან უბრალო, ყოფითი თუ სახელმწიფო მნიშვნელობის საქმეები, ერთნაირი სიმტკიცითა და შეუვალობით წყვეტდა მათ. იმ ხანებში მას მართლა სწამდა, რომ ადამიანებს შეიძლება აჩუქო ბედნიერება, სიკვდილი კი გააცურო სალდათური მოხერხებულობით. ვინ დაიჯერებდა, რომ ეს ბეხრეკი კაცი ოდესღაც იმოდენა ძალაუფლებას ფლობდა, რომ თუ ვინმეს ჰკითხავდა, რომელი საათიაო, მაშინვე უპასუხებდნენ, თქვენ რომელიც გაგეხარდებათ, ჩემო გენერალოო. და მართლაც, დღეს ღამედ აცხადებდა, ან პირიქით. სადღესასწაულო დღეებიც თავის ნებაზე გადაჰქონდ-გადმოჰქონდა. კალენდარს ისე ადგენდა, რომ მისი ჩასვლა რომელიმე კუთხეში მაინცდამაინც რომელიმე დღესასწაულს დამთხვეოდა და იგივე დღესასწაული სხვაგანაც არ გამორჩენოდა. ფეხშიშველი ინდიელი ყველგან და ყოველთვის ახლდა თან საკუთარი აჩრდილივით. თან ახლდნენ სახენამომტირალი სენატორებიც, რომლებიც დიდებული მოჩხუბარი მამლებით საგსე ხის გალიებს მოათრევდნენ. როგორც წესი, ლამის ყველა სოფელში ტარდებოდა მამლების ბრძოლა. ის ხმამაღლა ენიძლავებოდა მაყურებელს. თუ რომელიმე მამალი მოუვიდოდა თვალში, ფსონსაც მაშინვე ჩამოდიოდა მის სახელზე, მისი უცნაური ხარხარი დოლების ბრაგუნს ჰგავდა, მთელი გალიერა ძაგძაგებდა, აღარც მუსიკა ისმოდა და აღარც შუშხუნების ტკაცატკუცი, რადგან ჩვენც მასთან ერთად ვხარხარებდით, თუ გაჩუმდებოდა, ჩვენც უნდა გაჩუმებულიყავით. აგზნებული და გახარებული უკრავდა ტაშს, როცა მისი მამლები ჩვენს მამლებს ამარცხებდნენ. რა იცოდა მან, რომ ჩვენს მამლებს საგანგებოდ ვწვრთნიდით მის მამლებთან დასამარცხებლად. აქამდე არც უმტყუნიათ მამლებს ჩვენთვის, მაგრამ ერთხელ მოხდა ისე, რომ დიონისიო იგუ-

არანის უძლიერესმა მამალმა სიცოცხლეს გამოასალმა უმაღლესი ხელისუფალის მამალი. გალიერაში სიჩუმე ჩამოვარდა, სული განაბა ყველამ, მაგრამ ის წამოდგა, დიონისიოსთან მივიდა და ხელი ჩამოართვა, ყოჩაღ, მართლა მაჩო ყოფილხარო. ისეთ კარგ გუნებაზე იყო, მადლობაც უთხრა, ძალიან მასიამოვნეთ, მძაფრი წუთები განმაცდევინეთ შენ და შენმა ჭრელმა მამალმა, იქნებ მომყიდო. სიამოვნებით, ჩემო გენერალო, მოკრძალებით უპასუხა დიონისიომ, რომელიც ამის შემდეგ ტაშით, მუსიკითა და პეტარდების ბათქაბუთქით მიაცილეს სახლამდე, იმ ღამესვე თავის საძინებელში ჩაიკეტა, მთელი ბოთლი შინნახადი ლერწმის რომი გამოცალა, ჰამაკის თოკს მარყუქი გაუკეთა და თავი ჩამოიხრჩო. საბრალო დიონისიო იგუარანი. ამ დროს კი თავად გენერალი ბაიბურშიც არ იყო, მისი ზარბეიმური სტუმრობის მერე რა უბედურებაც ატყდებოდა ოჯახებს თავზე, არ იცოდა, „არასასურველ“ ადამიანთა გვამებს რომ ტოვებდა თავის სისხლიან ნაკვალევზე, ვერც იმას მიხვდა, თავისდა უნებურად რა საშინელი განაჩენი გამოუტანა საკუთარ თანამოაზრეებს, რომელთა გვარებიც შეცდომით მოიხსენია თავის არაკეთილისმყოფელთა გვარებთან ერთად. თავწახრილი შემსრულებელი ბევრი ჰყავდა და მათაც ეს საბედისწერო შეცდომა უდანაშაულო ადამიანთა დასასჯელი ბრძანების მანიშნებლად მიიღეს, სიცოცხლე გაუმწარეს საცოდავებს. ის კი სოფლიდან სოფელში, ქალაქიდან ქალაქში დადიოდა, როგორც სჩვეოდა, არმადილიოსავით ადგამდა ფეხებს, ოფლის სუნად ყარდა, უბოდიშოდ შედიოდა სახლებში, სამზარეულოებში. ერთი შეხედვით თითქოსდა უწყინარი მოგზაურის შთაბეჭდილებას ტოვებდა, მაგრამ მის დანახვაზე მაინც შიშით გული უსკდებოდა ყველას. ხაპით იღებდა წყალს თიხის ჭურჭლიდან, პირდაპირ ქვაბში ჰყოფდა ხელს, ხორცის ნაჭრებს ხარბად ჭამდა. უსიამოდ შინაურულად იქცეოდა, არ იცოდა, რომ მისი სტუმრობის დამლა ამიერიდან სამუდამო უბედურებად დაედებოდა ამ სახლს. მისი უბრალოება და შინაურულობა პოლიტიკური ანგარიშიანობით როდი იყო გამოწვეული, არც საყოველთაო სიყვარულისა და აღიარების მოხვეჭაზე იტკიებდა თავს, უბრალოდ, მართლა შინაურული კაცი იყო ბუნებით. ძალაუფლების უფსკრულს ჯერ კიდევ არ დაელო პირი მის წინაშე, როგორც ეს მოგვიანებით, მისი მაძღარი შემოდგომის ხანს მოხდა. იგი ჯერ კიდევ სადღაც შიგნით თუხთუხებდა, ძალას იკრებდა და ერთ დღესაც ჩვენ თვალწინ ამოხეთქა პირველქმნილი სიღრმეებიდან. მანამდე კი, ვიდრე ეს მოხდებოდა, ძალაუფლება კი არ განაგებდა მას, იგი განაგებდა ძალაუფლებას. საკმარისი იყო, თითოთ ენიშნებინა იმ ხეზე, რომელსაც ნაყოფი უნდა მოესხა, რომ მაშინვე იხუნძლებოდა ნაყოფით, ან თითი მიეშვირა საქონელზე, რომელიც უნდა გამრავლებული-

ყო, რომ მაშინვე მრავლდებოდა, ანდა იმ ადამიანებზე მიენიშნებინა, რომელთაც წარმატება თავთავიანთ საქმეებში ჰაერივით სჭირდებოდათ, რომ კიდევ აღწევდნენ სასურველ შედეგს. მას შეეძლო წვიმა შეეწყვიტა იქ, სადაც მოსავალს კარგი პირი უჩანდა, ან პირიქით, მოეყვანა იქ, სადაც მიწა გამხმარი და გამომშრალი იყო. ყველაფერი საკუთარი თვალთ მატებს ნანახი, სენიორ, სხვის ნათქვამს არ გეუბნებით. ლეგენდა ჩვენს პრეზიდენტზე მანამდე შეიქმნა, ვიდრე სრულ ძალაუფლებას მიაღწევდა, ყოველ შემთხვევაში, თვითონ დაიჯერა, რომ მიაღწია. ლეგენდა ჯერ კიდევ იმ წლებში შეიქმნა, როცა მას ღრმად სხამდა წინასწარმეტყველებისა და სიზმრებისა, როცა მას შეეძლო, სადმე გამგზავრება მხოლოდ იმიტომ გადაედო, რომ რომელიღაც ჩიტმა სტვენით გადაუფრინა თავზე, შეეძლო ხალხის წინაშე აღარ გამოსულიყო დათქმულ შეკრებაზე მხოლოდ იმიტომ, რომ დედამისმა ბენდისონ ალვარადომ ქათმის კვერცხში ორი გული აღმოაჩინა, ეს კი ცუდი ნიშანი იყო. ერთხელ მან არ იახლა თავისი ამაღლა, სენატორები და დეპუტატები, რომლებიც, როგორც წესი, მის მაგიერ გამოდიოდნენ სიტყვით, რადგან თვითონ ვერ ბედავდა, არც ეხერხებოდა ხალხის წინაშე სიტყვით გამოსვლა, უარი თქვა თავის ამაღლაზე იმიტომ, რომ წინა ღამეს საშინელი სიზმარი ნახა, ვითომ სადღაც უზარმაზარ სახლში იყო, გარს ეხვივნენ ნაცრისფერ სერთუკებში გამოწყობილი სახეგაცრეცილი კაცები ხორცის საჭრელი დანებით ხელში. როგორ არ ცდილობდა თავი დაეღწია მათგან, ვერ ახერხებდა, მისი სახის დასასერად და თვალების ამოსათხრელად მომარჯვებულ პირალესილ დანებს აწყდებოდა ყველგან. სახეგაცრეცილი, მდუმარე, უცნაურად მომღიმარი მკვლელებით გარშემორტყმული, კუთხეში მომწყვდეულ მხეცს ჰგავდა. ნეტავ ვინ დაართყამს ბოლოს დანას, ვინ დაასრულებს მსხვერპლშეწირვის რიტუალს, პირველი ვინ დაღვეს მის სისხლს. შიშის გრძნობაც გაქრობოდა და განრისხების უნარიც. რალაცნაირი სიმსუბუქე შეუდგა ტანში, ნელ-ნელა მჩატდებოდა, მის სხეულს სიცოცხლე ტოვებდა, მალე სრულიად უწონადო გახდა, სულში ისეთი სიმშვიდე ჩაეღვარა, გაიღიმა კიდევ, თავის მკვლელებს და თავის ხვედრს გაუღიმა, ბოლოს ერთმა, რომელიც ვითომ მისი ვაჟიშვილი იყო, ზედ საზარდულში ატაკა დანა, და როცა იქიდან ბოლო ჰაერმა დატოვა სხეული, ისღა მოახერხა, სისხლიანი პონჩო აეფარებინა სახეზე, ვისაც ცოცხალი არ ვუნახივარ, ნურც მკვდარს მნახავსო და იატაკს დაენარცხა სიკვდილის კლანჭებში მოქცეული. სიზმარი ისეთი ცხადი მოეჩვენა, რომ ვიდრე ჯანდაცვის მინისტრს არ უამბო, ვერ მოისვენა. ისიც მიხვდა, რა უფორიაქებდა სულს მის მეგობარს და უთხრა, ჩემო გენერალო, ასეთი სიკვდილი ერთხელ უკვე მოხდა კაცობრიობის ისტორიაშიო და წაუკ-

ითხა პატარა ნაწყვეტი გენერალ ლაუტარო მუნიოსის სქელტანიანი, ფურცლებშერუჯული წიგნიდან. ზუსტად ჩემს სიზმარში ნანახს ჰგავდა, დედა. მართლაც ისე ჰგავდა, რომ, როცა უსმენდა, ყველაფერი გაიხსენა, რაც გამოღვიძებულს დავიწყებული ჰქონდა. ვიდრე კლავდნენ, პრეზიდენტის სასახლის ყველა ფანჯარა ერთბაშად გაიღო, თუმცა ნიავიც კი არ ქროდა, და რაც ყველაზე საგულისხმოა, სიზმარში იმდენი ჭრილობა მიაყენეს დანით, რამდენი ფანჯარაც იყო ცხადში. ოცდასამი. იმ კვირაშივე სენატსა და უმაღლეს სასამართლოს თავს დაესხნენ შეიარაღებული ძალების უგერგილობით გათამამებული ყაჩაღები. მთლიანად დაარბიეს სენატის შენობა, ჩვენი დიდებული მოღვაწეების უწმიდესი სახლი. სასახლის აივნიდან ჩანდა, გვიან ღამემდე როგორ მძვინვარებდა ხანძარი, მაგრამ პრეზიდენტის გულს არც მიჰკარებია, სენატის შენობიდან ქვა ქვაზეც რომ არაფერი დარჩა. დაგვირდა, დამნაშავეებს ვიპოვით და სამაგალითოდ დავსჯითო, მაგრამ დამნაშავეები დღესაც დაუსჯელნი დადიან, იმასაც დაგვირდა, შენობას პირვანდელი სახით აღვადგენთო, თუმცა დაპირება დაპირებად დარჩა. რაც შეეხება სენატორებსა და სასამართლოს მოხელეებს, არც უცდია ის კომმარული სიზმარი დაემალა მათთვის, პირიქით, გაეხარდა კიდევ, თავისი საქციელის გასამართლებელი შემთხვევა რომ მიეცა, სიზმარი თავად კარნახობდა, თავიდან მოეცილებინა კანონმდებლები და დაეშალა მოძველებული რესპუბლიკური სასამართლო. დეპუტატებისა და მოსამართლეების მხარში დგომა აღარ სჭირდებოდა, მათი დამოწმების გარეშეც ღრმად იყო დარწმუნებული თავისი ძალაუფლების კანონიერებაში. უბოძა მათ ჯილდოები, აღიარება, სიმდიდრე და ელჩებად გაამწესა შორეულ მდიდარ ქვეყნებში, თავისთან კი ერთგულ აჩრდილად დაიტოვა მაჩეტეთი შეიარაღებული ფეხშიშველი ინდიელი, რომელიც წამითაც არ ტოვებდა მარტო, პირველი ის სინჯავდა პრეზიდენტის საჭმელსა და წყალს, თვალს ადევნებდა, პრეზიდენტს ვინმე არ მიახლოვებოდა დადგენილ მანძილზე უფრო ახლოს. ეს ინდიელი, სენიორ, ჩემი სახლის კართან იდგა, სანამ პრეზიდენტი ჩემთან იყო. ხალხი ჩემზე ჭორობდა, პრეზიდენტის საყვარელიაო. რის საყვარელი, სენიორ, წლების მანძილზე თვეში ორჯერ მოდიოდა კარტზე სამკითხაოდ. ეს ის წლები იყო, როცა ის თავს ჯერ კიდევ უბრალო მოკვდავად მიიჩნევდა, როცა ეჭვები აწუხებდა, როცა ჯერ კიდევ გააჩნდა იმის გამბედაობა, გულახდილად ელიარებინა, შეუმცდარი არც მე ვარო. ეს ის წლები იყო, როცა კარტისა უფრო სჯეროდა, ვიდრე საკუთარი ველური ინსტინქტებისა, ჩემთან ყოველთვის შიშს მოჰყავდა, რაღაცის თუ ვიღაცის შიშს. შიშისაგან დაბერებული, სწორედ ასეთი იყო, პირველად რომ მესტუმრა, მდუმარედ გამომიწოდა თავისი მრგვალი, გომბემოს

მუცელივით გადატკეცილი ხელის გული, ასეთი ხელი არასოდეს მინახავს მთელი ჩემი ხანგრძლივი სიცოცხლის, ნათელმხილველის სიცოცხლის მანძილზე. ორივე ხელი მაგიდაზე დააწყო და მუდარით და სასოწარკვეთით შემომაჩერდა. მე დავინახე მისი მტანჯველი შიში და საკუთარი თავისადმი უნდობლობა, მე დავინახე იმედებისა და ოცნებებისაგან დაცლილი კაცი და გამაოცა მისმა ხელებმა კი არა, არამედ მისმა უსაზღვრო ნაღველმა და მარტოობამ. შემეცოდა ეჭვებით გაწვალელებული მოხუცი და გადავწყვიტე მემკითხავა, მაგრამ ამაოდ, მისი ბედილბალი უჩინარი აღმოჩნდა ჩემთვის. ბევრი ვეცადე, მაგრამ ვერაფერი ამოვიკითხე მის ხელის გულზე. როგორც კი კარტს შეავლებდა ხელს, გამიჭრიდა, ქაღალდი გუბის წყალივით მუქდებოდა, ყავა მის ფინჯანში მღვრიე სითხედ იქცეოდა. ამაოდ ვეცადე, პირადად მასზე რამე შემეტყო, სამაგიეროდ მის გარშემო მყოფთა ბედ-ილბალი დღესავით ნათელი იყო ჩვენთვის, მკითხავებისთვის. ერთხელ დედამისი ბენდისიონ ალვარადო ისე ცხადად დავინახე, ძალზე მოხუცი და თითქმის თვალდაშრეტილი როგორ აფერადებდა ჩიტებს, რომ პრეზიდენტსაც კი ვაჩვენე. საბრალო დედა, თქვა მან. მეორე ჯერზე ჩვენი ქალაქი ამოუვიდა კარტში, ციკლონგადავლილი, დანგრეული ქალაქი, თანაც ისეთი მძვინვარე ციკლონისა, რომ ქალის სახელი, მას რომ ერქვა, ნამდვილად სასაცილოდ ჟღერდა. ერთხელაც მწვანენილბიანი კაცი ამოუვიდა დაშნით ხელში, მაშინვე იკითხა შეშინებულმა, ეს კაცი ამჟამად სად არისო, კარტმაც უპასუხა, უფრო ხშირად სამშაბათობით არის პრეზიდენტის ახლოს, კვირის სხვა დღეებში ნაკლებადო. აჰა, თქვა მან. რა ფერის თვალები აქვს ამ კაცსო. კარტმა უპასუხა, თუ სინათლეზე შეხედავ, ერთი თვალი გუარაპოს ფერისაა, ღვინის ფერი, მეორე მუქი. აჰა, თქვა ისევ მან. ამ კაცს გულში რა უდევს, იქნებ მითხრაო. მეც ვარჩიე მეთქვა ის, რაც კარტში ამოუვიდა, მწვანე ნიღაბი ღალატსა და ვერავობას ნიშნავს-მეთქი, აჰა, შეჭყვირა გახარებულმა, ვიცი, ვინც არისო. ეს კაცი აღმოჩნდა პოლკოვნიკი ნარსისო მირავალი, მისი უახლოესი თანამემწე. არ გასული ორი დღე, რომ მირავალმა თავი მოიკლა, ყურში დაიხალა ტყვია, პატარა წერილიც კი არ დაუტოვებია. აი, ასე, მკითხავების ნათქვამის მიხედვით განაგებდა იგი ადამიანებისა და სამშობლოს ბედს, სახელმწიფოს ისტორიულ აწმყოსა და მომავალს იმ დრომდე, სანამ ყური არ მოჰკრა საგულისხმო ამბავს, ერთი ნათელმხილველი გამოჩნდა, ჩვეულებრივ წყალზე მკითხაობს, ჩაიხედავს თურმე წყლიან თასში და გეტყვის, როდის და რა ვითარებაში მოკვდებიო. კრინტი არავისთან დაუძრავს, მალულად გასხია ამ მკითხავის საძებნელად, თან, რა თქმა უნდა, თავისი მანქანიანი მფარველი ანგელოზი იახლა. ისეთი ბილიკებითა და ხრამებით იარეს, მხოლოდ

ჯორი თუ გაივლიდა. ბოლოს, როგორც იქნა, მიადგნენ ქობს, სადაც ნათელმხილველი ცხოვრობდა შვილთაშვილთან და მის სამ შვილთან ერთად. ერთი თვის წინ დაქვრივებული ქალი მეოთხე შვილს ელოდებოდა. დედაბერი ბნელი ოთახის ერთ კუთხეში გაბმულ ჰამაკში იჯდა უმოძრაოდ, თითქმის ბრმა. ხელი წყლიანი თასის ზემოთ გააჩერეო, უთხრა მოსულს, ასეც მოიქცა და სიბნელეც მაშინვე გაიფანტა, წყალი თასის ფსკერიდან განათდა და კაცმაც საკუთარი თავი დაინახა წყალში. იატაკზე პირქვე იწვა, უნიშნო საველე ფორმა ეცვა, მარცხენა ფეხის კრაგზე ოქროს დეზი ჰქონდა მიმაგრებული. როცა ჰკითხა, სად არის ეს ადგილი, სად ვწევარ იატაკზეო, მისდა გასაოცრად ბრმა დედაბერმა განათებულ წყალს ჩახედა და უთხრა, ამ ოთახზე ცოტა დიდი ოთახია. საწერ მაგიდას, ვენტილატორს, ზღვისკენ გაჭრილ ფანჯარას, თეთრ კედლებს, კედლებზე ცხენების სურათებს და დრაკონამოქარგულ დროშას ვხედავო. აჰა, ძლივს ამოთქვა სტუმარმა, ეცნო თავისი ოთახი სხდომათა დარბაზის გვერდით. ბარემ ისიც მითხარი, მომკლავენ თუ ავადმყოფობით მოვკვდები. არც ერთი, არც მეორე. ბუნებრივი სიკვდილით მოკვდები, დაძინებული, უტანჯველად. აჰა, თქვა პრეზიდენტმა და მღელვარებისგან სულშეგუბებულმა ჩურჩულით ჰკითხა, იქნებ ისიც მითხრა, როდის მოვკვდები. მშვიდად იძინე, უპასუხა დედაბერმა, ჩემ ხნამდე — ას შვიდ წლამდე ხომ მიაღწევ, მერე კიდევ ას ოცდახუთ წელს იცოცხლებო. აჰა. თქვა მან და სნეული დედაბერი ჰამაკშივე მოკლა, თავისი კრაგების თასით ისე მოგუდა, თითქოს ამ საქმეში დიდად გაწაფული ყოფილიყო. ერთი კვნესაც არ დასცდენია საბრალო ქალს. აქამდე პირადად მას საკუთარი ხელით არც კაცი მოუკლავს და არც ნადირი, არც ომში და არც მშვიდობიანობის ჟამს. საბრალო დედაბერი ერთადერთი სულიერი იყო, ვინც მან საკუთარი ხელით მოკლა მხოლოდ იმიტომ, რომ არავის სცოდნოდა, როდის, როგორ და სად მოკვდებოდა პრეზიდენტი. საკუთარი არაკაცობის გახსენება სულაც არ უშფოთებდა სულს შემოდგომის ღამეებში ჩაძირულს, პირიქით, სიამოვნებითაც კი იგონებდა ამ შემთხვევას, თავს იწონებდა, ბოჯჯერ საჭიროა შეუბრალებელი იყოო. მაგრამ მას შემდეგ, რაც მანუელა სანჩესი თვალსა და ხელს შუა გაუქრა მზის დაბნელებისას ჩამოწოლილ მრუმეში, ხშირად ამუნათებდა თავს წარსულში თავისი გულქვაობისთვის და ცდილობდა ამოეძირკვა ის მტანჯველი შეგრძნებაც, დამცირებულსა და გამასხარავებულს შხამიანი ნესტარივით რომ ჩასობოდა სხეულში. ხეების ჩრდილში გაბმულ ჰამაკში ჩაწოლილი უსმენდა ფოთლებში აწკრიალებულ ქარის ბანზალაკებს და ზიზღით იხსენებდა მისი ძილისა და მოსვენების დამკარგავ მანუელა სანჩესს. ამასობაში კი შეიარაღებული ძალები ქალიშვილს ეძებდნენ ყველგან, მიწაზე, ცა-

ში, წყალში, უსიცოცხლო უდაბნოში, გვარჯილის საბადოებზეც კი. ამ-
აოდ. მიწამ უყო პირი თუ ცამ, მის კვალს ვერსად მიაგნეს. სად ეშმაკებ-
ში ხარ, ოხრავდა გულგასიებული, რა ისეთ ადგილას დაიძალე, რომ
ჩემი ხელი ვერ გწვდება, თორემ გაჩვენებდი, რასაც ნიშნავს ძალაუფ-
ლება. სული წვეთწვეთობით ევსებოდა სიძულვილით, მკერდზე დასვე-
ნებული სომბრერო რისხვით ანთებულ გულის ცემაზე ზემოთ-ქვემოთ
ადი-ჩადიოდა. აინუნშიც არ აგდებდა დედის, ბენდისიონ ალვარადოს
ქოთქოთს, რა გჭირს, იმ დაბნელების შემდეგ რა დაგეტაკა ასეთი, ხმას
რომ არ იღებო. თავგაბებრებული დგებოდა ჰამაკიდან და გინებ-გინ-
ებით ტოვებდა იქაურობას, დედა კი არა, მძღნერია, მიდიოდა და მია-
თრევდა სპილოს ფეხებს. დამცირებული, თავმოყვარეობაშელახული,
გულში ღრმად დაჭრილი მუდამდღე ვიღაც უხილავს უზიარებდა თავის
ხვაშიადს, ნუთუ ჩემს თავს ხდება ეს ამბავი, ნუთუ ისე გამოვშტერდი,
რომ აღარ ვიცი, როგორ მოვიქცე, როგორ ვიცხოვრო, ნუთუ წინანდ-
ელივით აღარ შემიძლია ვიყო საკუთარი თავის ბატონ-პატრონი, ნუთუ
ყველაფერი იმის ბრალია, რომ იმ გომბიოს სახლში დედამისის ნებარ-
თვით შევედი და არა ისე უბოდიშოდ და უნებართვოდ როგორც ერთ
დროს შევედი ფრანსისკა ლინეროს გრილსა და მყუდრო სახლში ლოს
სანტოს იგუერონესში. იმ ხანებში მას ჯერ კიდევ არ ჰყავდა ორეული
პატრისიო არაგონესი და პირადად უწევდა საკუთარი ძალაუფლების
გამომბეურება. მასხოვს, სენიორ, ისე შემოვიდა ჩემს სახლში, ჭიშკარ-
ზე ჩაქუჩი არც დაურახუნებია, უნდოდა და შემოვიდა, მორჩა და გათავ-
და. შემოვიდა და საათმაც ზუსტად მეთერთმეტეჯერ ჩამოჰკრა. ვიდრე
ოთახში შემოვიდოდა, პატიოდან მესმოდა საათის რეკვას აყოლილი
მისი დეგების წკარუნი, დაფხვნილი აგურის მოფენილ ბილიკზე მისი
სპილოსავით ნაბიჯების ხმა. დანახვით არ დამინახავს, მაგრამ შიშმა
მანამდე ამიტანა, სანამ არასასურველი სტუმარი შიდა ტერასაზე გამო-
ჩნდებოდა. მოოქროსფერო გერანებში წყლის ბულა ხმიანობდა, სა-
ათისა არ იყოს, ისიც გვამცნობდა, რომ უკვე თერთმეტი იყო. მღეროდა
გვინეოს სურნელით თავბრუდახვეული მოლალური. დამწიფებული
გვინეოს აკიდოები ტერასაზე ჩარდახქვეშ გვექონდა დაკიდული. იმ საბ-
ედისწერო აგვისტოს სამშაბათ დღეს მზის სხივები მხიარულად დასთ-
ამაშებდნენ თაფლივით ტკბილ გვინეოს, ხასხასა ფოთლებს და თავ-
დაყირა დაკიდულ ირემს. ირემი ჩემმა ქმარმა პონსიო დასამ სწორედ
იმ დილით მოკლა და თავდაყირა დაკიდა, სისხლისგან რომ დაწრეტი-
ლიყო. სტუმარმაც სწორედ მაშინ შემოდგა ფეხი ტერასაზე. უფრო საშ-
ინელსა და პირქუშს კოშმარულ სიზმარშიც ვერ ნახავდა კაცი, ჭაობის
ტლაპოში ამოთხვრილი ჩექმები და ოფლით გაზინტლული ხაკისფერი
ქურთუკი ეცვა. ქამარში იარაღი არ ჰქონდა გარჯობილი, სამაგიეროდ

მის გვერდით იდგა მაჩეტემომარჯვებული ფეხშიშველა ინდიელი, ვისი შეუბრალებელი თვალებიც ცხადად მეტყველებდნენ საბედისწერო გარდაუვალობაზე. სტუმარმა, თითქოს ძილბურანშიაო, ქალური ხელი გაიწოდა აკიდოსაკენ. ერთი გვინეო მოგლიჯა და ხარბად შესანსლა, კიდევ მოგლიჯა და შეჭამა, კიდევ, კიდევ. ყბა უთახთახებდა, პირი ჭაობივით უბუყბუყებდა, გვინეოს გემოს ატანდა და თან მომხიბვლელ ფრანსისკა ლოპესს თვალებით ჭამდა. ქალი დაბნეული იდგა. ახალგათხოვილს უცხო კაცი რომ ასეთი ხარბი თვალებით უცქერდა, უხერხულობისაგან არ იცოდა რა ექნა. მიხვედრით კი ნამდვილად მიხვდა, ეს კაცი მასთან იყო მოსული თავისი სურვილის დასაკმაყოფილებლად და თუ თვითონ არ გადაიფიქრებდა, სხვაფრივ ვერავინ შეაცვლევინებდა ამ განზრახვას, ხოლო რომ არ გადაიფიქრებდა, ეს აშკარად ეტყობოდა. შიშისგან გახევებულს ქმარი მომიჯდა გვერდით, მესმოდა მისი დამძიმებული სუნთქვა, ისიც შეშინებული იყო რაღაც ცუდის მოლოდინში. გაქვავებული ვისხედით ხელჩაჭიდებულები და გულებითაც გადაჯაჭვულნი, ზუსტად ისე, სენიორ, ღია ბარათებზე რომ ხატავენ მტრედებთან ერთად. ჩვენი გულები ერთი გულივით ცემდა, ჯადო ბერიკაცი კი იქვე იდგა ორ ნაბიჯზე და ჭამდა და ჭამდა გვინეოს, ნარჩენებს მხარზემოდან ისროდა და მომშტერებოდა. როცა მთელი აკიდო გაცალა, თავის ფეხშიშველ ინდიელს რაღაც ანიშნა, ჩემს ქმარს კი უთხრა, გაყევი ჩემს მეგობარს, შენთან საქმე აქვსო. შიშით გული კი მელეოდა, მაგრამ მაინც შევეუძახე თავს, თუ გინდა ცოცხალი დარჩე, ამ ბებრეკს ყველაფრის უფლება უნდა მისცე, ყველაფრის რასაც კი მოისურვებს, აი, აგერ, პირდაპირ ამ მაგიდაზე დავუდებ ჩემს სხეულს, თუ უნდა-მეთქი, უფრო მეტიც, სენიორ, თვითონ დავეხმარე, კაბა გაეძრო ჩემთვის, მაქმანებში გაიბლანდა საცოდავად, უცებ თათის ერთი მოქნევით შემომათხბრიწა ქვედა საცვალი და უხერხულად დამიწყო ჯაჯგური. წმინდალ სამებავ, გავიფიქრე მე, დღეს რომ არ დამიბანია, რა სირცხვილია, ვერ მოვიცალე, გადავყევი ამ ირემს. ბოლოს და ბოლოს მან მიიღო ის, რაც სურდა, მაგრამ ისე სწრაფად და უგემურად გააკეთა, მიხრწნილი ბებერი ან ცხვირმოუხოცავი ღლაპი რომ გააკეთებდა, მოულოდნელად ატირდა, შარდვით თბილი ცრემლი გადმოსცვივდა. ისეთი მარტოსული და მიუსაფარი ჩანდა, რომ მარტო ის კი არა, ყველა მამაკაცი შემეცოდა და თითის წვერებით შევეხე თმაზე მოსაფერებლად, ნუნაღვლობთ, გენერალო, ცხოვრება ჯერ კიდევ წინა გაქვთ-მეთქი. ვიდრე აქ ეს ამბავი ხდებოდა, ფეხშიშველა ინდიელმა პონსიო დასა ბაღში გაიყვანა და მოფარებულ ადგილას მაჩეტეთი გამოასალმა სიცოცხლეს. მოკლულის ნაკუწები ღორებმა დაიტაცეს. საბრალო პონსიო მიწას ისე მიაბარეს, გვამი ვერც კი შეაკოწიწეს. სხვა გზა არ ჰქონდა,

პონსიო უნდა მოეკლა, თორემ მტრად გადაეკიდებოდა, სიცოცხლეს გაუმწარებდა. ჰოდა, ადგა და მოაკვლევინა. წარსულის მოგონებამ სული დაუმძიმა, ბოღმა ახრჩობდა, მისი ძალაუფლება ისეთი წყალწყალა აღმოჩნდა, ვერაფერი მოუხერხა მზის დაბნელების დროინდელ დაწყევლილ ჯადოს. დაბოღმილი და გულგასიებული უჯდა ხოლმე დომინოს მაგიდას თავისი ძვირფასი, მუდამ მშვიდი მეგობრის, გენერალ როდრიგო დე ავილარის პირისპირ. თანამებრძოლთაგან ის იყო ერთადერთი, ვისაც ენდობოდა, უფრო სწორად, ვისაც თავისი სიცოცხლე მიანდო მას შემდეგ, რაც მანეტეიან ფენშიშველა მფარველი ანგელოზის სახსრებს ნიკრისის ქარმა შეუტია. შეჭყურებდა ძვირფას მეგობარს და ათასნაირი უკეთური აზრი უტრიალებდა თავში. იქნებ სულაც ეს კაცია მისი უბედურების თავიდათავი იქნებ მეტისმეტად ენდობა, მეტისმეტი უფლებები მიანიჭა. ეგ არ იყო ჩემი ვირად ქცევა რომ მოინდომა, განა ეს ჩემი ძვირფასი მეგობარი არ ცდილობდა მოღვაწე კაუდილიოს! ყველა ნიშან-თვისება ჰაიჰარად თმასავით ჩამოეპარსა ჩემთვის და ვექციე სასახლის ინვალიდად, ვისი ბრძანებებიც შეგიძლია ერთ ყურში შეუშვა და მეორედან გამოუშვა განა მან არ მოიფიქრა ეს სახიფათო ორეულობანას თამაში განა ის არ მაიძულებს ვილაცის ზურგს ამოვეფარო საკუთარი ხალხის წინაშე გამოსვლა მეშინოდეს თუნდაც პირადი დაცვის მთელი არმია მეხვიოს გარს არადა იმ კეთილმოსაგონარ ძველ დროში ერთი ფენშიშველი ინდიელი თავისი მანეტეით მიკვლევდა გზას ხალხის ტალღაში ჩამოგვეცალეთ ბრიყვებო მბრძანებელი მოდის და არც არაფერი ხდებოდა ცუდი თუმცა მაშინ ჯერ კიდევ არ შეგვეძლო ამ ხალხის ტალღაში და ტამის გრიალში ამოგვეცნო ვინ იყო ჭეშმარიტი პატრიოტი ვინ მოღალატე და ყაჩაღი ეს ახლა ვიცით თორემ მაშინ რა ვიცოდით რომ ვინც ყველაზე ხმამაღლა გაჰყვირის გაუმარჯოს მანოს გაუმარჯოს გენერალს სწორედ იმისგან უნდა ელოდო მუხანათობას მაშინ ერთი ფენშიშველი ინდიელი არ ეპუებოდა ხალხის უზარმაზარ ტალღას ამ ჩემს ძვირფას მეგობარს კი ჯარი არ ჰყოფნის ის სასიკვდილე დედოფალი მომიძებნოს. რომ ახსენდებოდა, როგორ გაეპარა მანუელა სანჩესი, როგორ აღმოჩნდა იგი მისი ბებრული ავხორცობის ღობის მიღმა, გაცოფებული იატაკზე ფანტავდა დომინოს ქვებს, თამაშს წყვეტდა და გინებით იკლებდა იქაურობას. ერთხელაც ასეთი შემოტევის დროს როგორღაც ბეჩავად იგრძნო თავი, გაიფიქრა, ადრე თუ გვიან ამქვეყნად ყველაფერი პოულობს თავის ადგილს, მე რაღას დამემართა, ასე რომ ვბორგავ და მოუსვენრად ვარო. სულმეხუთულმა აღმოაჩინა, რომ პერანგი გასაწური გახდომოდა ოფლისაგან, გაუკვირდა, არც ისე ცხელაო. ზღვის შლამის სუნში ლემის სუნი გამოარჩია, თიაქარმაც შეახსენა თავი ნესტიან პა-

პანაქებაში, ვერაფრით გაეგო, რა ხდებოდა მის თავს. ალბათ უჭაერობის ბრალიაო, დაასკვნა მან, მაგრამ მთლად დარწმუნებულოც არ იყო, რაღაც ტანჯავდა და აწვალებდა. ფანჯარასთან მივიდა, ნეტავ რა ანათებს ასე უცნაურად, ან რატომ ჩამკვდარა ქალაქი, მხოლოდ სვავები ჩანან, დამფრთხალი ტოვებენ თავიანთ სამყოფელს, ღარიბთა საავადმყოფოს სახურავს. მაგრამ აგერ ერთი სულიერი მაინც გამოჩნდა ქალაქში, დე არმას მოედანზე ბრმა კაცი იდგა და თითქოს გრძნობდა ფანჯარასთან მომდგარი ბერიკაცის შეშფოთებულ მზერას, ჯოხის ქნევით რაღაცას ანიშნებდა ჩქარ-ჩქარა, რაღაცას უყვიროდა კიდევ. ესეც ავის მომასწავებლად ენიშნა. უძლურობის შეგრძნება არ ტოვებდა, ცოტაც და რაღაც მოხდებოდა, მაგრამ ერთხელაც კიდევ დაიმშვიდა თავი, ალბათ უჭაერობის ბრალიაო. დაწვა და მაშინვე ჩაეძინა, თუმცა ისე ფხიზლად ეძინა, ფანჯრის მინებზე წვიმის წკაპუნის ესმოდა, რაღაცამ მაინც გაჟონა ძილბურანის ფილტრში და მიაღწია მის გონებას. შეშინებულმა გამოიღვიძა, რომელი ხარ. არაფერ იყო, მის გულს გაჰქონდა ბაგაბუგი რაღაც უჩვეულოს მოლოდინით შემკრთალს. გამთენიის ხანი იდგა, მაგრამ მამლების ყვილი არ ისმოდა და მან უცებ იგრძნო, ვიდრე ეძინა, სიმშვიდისა და სიმყუდროვის ხომალდმა იგი მიატოვა და რომელიღაც ბურუსით მოცულ ნავსადგომში მიიმალა. ცისა და ხმელეთის ბინადარნი, ფრინველები და ცხოველები, რომლებსაც სიკვდილის წინათგრძნობა კარგად აქვთ განვითარებული და შეუცდომლად, უფრო ზუსტად შეუძლიათ მოსალოდნელი კატაკლიზმის ამოცნობა, ვიდრე ადამიანთა მიერ შექმნილ მეცნიერებას, გასუსულიყვნენ რაღაც საშინელის მოლოდინში. ჰაერი ჩაიხუთა, დრო შეჩერდა, ბერიკაცი წამოდგა, იგრძნო, ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე როგორ უსივდებოდა გული, ყურის აპკები დასკდომამზე ჰქონდა და უცებ ცხვირიდან რაღაც მასა გადმოუსკდა, გასისხლიანებული ხალათის დანახვამზე კი გაიფიქრა, ეს სიკვდილია. არა, გენერალო, ეს ციკლონია, უპასუხეს მას. მაშინ კი მიხვდა, რომ ციკლონი უახლოვდებოდათ, ყველაზე დამანგრეველი იმ ციკლონთა შორის, ოდესღაც ერთიანი კარიბის სამეფო ცალკეულ კუნძულებად რომ მიფანტ-მოფანტა. ეს იყო საიდუმლო კატასტროფა, რომლის მოახლოებაც თავისი პირველყოფილი ინსტინქტით მან უფრო ადრე იგრძნო, ვიდრე ძაღლებსა და ქათმებს ააფორიაქებდა. ადამიანებისთვის ციკლონი ისე სწრაფად და მოულოდნელად მოვარდა, რომ არეულობაში ძლივს მოასწრეს მისთვის ქალის სახელი შეერქმიათ. თავგზააბნეული ოფიცრები დაზაფრულები გარბი-გამორბოდნენ, ეს დასასრულია, გენერალო, ქვეყანა მოუსავლეთში მიექანება. მან მაშინვე გასცა ბრძანება, საგულდაგულოდ ჩაეკეტათ კარ-ფანჯრები, ყარაულები დერეფნებში დაებათ, ძროხები და ქათმები პირველ სართ-

ულზე შეერევათ, ყველაფერი, რისი დაჭედებაც შეიძლებოდა, ადგილზე დაეჭედათ. მთელი ქვეყანა, დაწყებული დე არმას მოედნიდან, დამთავრებული შიშის მარწუხებში მოქცეული ამ მწუხარების სამეფოს ყველაზე მივარდნილ სოფლამდე, ჰგავდა ქარიშხლის წინ ღუზაზე მდგარ ჩასაძირად განწირულ ერთ დიდ ხომალდს. პანიკის შემთხვევაში ნაბრძანები იყო სროლა, ჯერ ორი გამაფრთხილებელი გასროლა ჰაერში, ხოლო თუ საჭირო გახდებოდა, მესამე გასროლა უკვე სასიკვდილო იქნებოდა, მაგრამ ციკლონმა ყველაფერი ჩალეკა, ერთი უძძლავრესი დარტყმით შუაზე გადახლიჩა ფოლადის ტიშკარი, მთავარი შესასვლელი ნაფოტებად აქცია, ძროხები ჰაერში აიტაცა. პრეზიდენტი ველარ ამროვნებდა, ეს რა ხდება, კოკისპირული წვიმა ღრიალით დააცხრა თავზე, ჰორიზონტალურად წვიმდა, ყუმბარებივით სკდებოდნენ აივნები, ნაპირზე ენარცხებოდნენ ზღვის სელვადან ამოყრილი ცხოველები, მაგრამ პრეზიდენტს ეს საშინელი კატაკლიზმი შიშს აღარ ჰგვრიდა, პირიქით, ამ წარღვნასა და ქაოსში გულღრძობისა და ბოროტი სიხარულის სასიამოვნო გემოს გრძნობდა. სადა ხარ, ჩემო ბედის წყევლავ და ვაებავ მანუელა სანჩეს, სად დაემალე ჩემს აბობოქრებულ შურისძიებას. როცა გაავებული ციკლონი როგორც იქნა წყნარმა შტილმა შეცვალა, სახელმწიფო საბჭოს იავარქმნილი სხდომათა დარბაზიდან გამოცურა ნიჩბებიანმა ბარკასმა, რომელზეც ის იჯდა თავის უახლოეს თანაშემწეებთან ერთად. ბარკასმა ჩაუარა კარეტების ფარეხს და დე არმას მოედანზე შეცურდა. გაჭირვებით მიიკვლევდა გზას წყლიდან თავამოყოფილი პალმების კენწეროებსა და მიგრეხილ-მოგრეხილი ფარნების წვეტებს შორის. დე არმას მოედნიდან ბარკასმა ტაძრის მკვდარ წყლებში შეაღწია და სწორედ აქ, ზედ ტაძრის გუმბათქვეშ ჩაგუბებულ წყალში გენერალს უეცრად წამით გაუნათდა გონება, მიხვდა, იგი არასდროს ყოფილა და არც არასდროს იქნება ყოვლისშემძლე ხელისუფალი, რამეთუ არის თურმე რაღაც, რაც მას არ ემორჩილება. ამ აღმოჩენამ გუნება მოუშხამა და ვიდრე ტაძრის მკვდარ წყალში დავცურავდით, არც გამოკეთებია. ბარკასი ხან ტაძრის კედლებს ეხეთქებოდა, ხან ჩასქელებულ წყვდიადში იკარგებოდა, ხანაც გზას მიიკვლევდა ფერადი ვიტრაჟებიდან შემოპარულ შუქზე, რომელიც საკურთხევლის ზურმუხტითა და ოქროთი შემკულ ჩუქურთმებსაც სწვდებოდა და იქაურობას წამიწამ ანათებდა. ანათებდნენ ცოცხლად დამარხულ ვიცე-მეფეთა და გულაცრუებისგან აღსრულებულ არქივისკოპოსთა საფლავის ქვები, ანათებდა ზღვების და ოკეანეების ადმირალის ჯერჯერობით ცარიელი აკლდამის გრანიტი, რაზეც ამოტვიფრული იყო სამი კარაველა. ეს აკლდამა პრეზიდენტმა წინასწარ აავო ადმირალისთვის, თუკი ის, რა თქმა უნდა, მოისურვებდა თავისი ძვლების ჩვენი

ძვლების გვერდით დასვენებას. საკურთხეველთან გასასვლელი არხი ვიპოვეთ, მივყევით და ტაძრის პატიოში გავედით. პატიო განათებულ აკვარიუმს ჰგავდა, რომლის შორენკეცით მოპირკეთებულ ფსკერზე ზღვის თევზები დასრიალებდნენ ტუბეროზებსა და მზესუმზირებს შორის, პატიოდან ბარკასი განცალკევებით მდგარი პირქუში შენობისაკენ, ბისკაელ ქალთა მონასტრისაკენ გაემართა. ბარკასზე მსხდომთ საზარელი სურათი გადაეშალათ თვალწინ. ცარიელი სენაკები წყალს დაეტბორა, სამუსიკო დარბაზი აუზად და კლავიკორდის სადრეიფო ადგილად ქცეულიყო. თავად ღვთისმოსავი ქალები, მორჩილები, სასადილო ოთახში გრძელ მაგიდასთან როგორც ისხდნენ, ისევე დამხრჩვალნიყვნენ. მონასტრიდან აივნის კართთ გავაღწიეთ გარეთ და ყველამ დავინახეთ, იქ სადაც ქალაქი იყო, ლაჟვარდი ცის ქვეშ უზარმაზარი ტბა გაწოლილიყო. ეს მსოფლიო წარღვნა ალბათ იმიტომ მოუვლინა ღმერთმა ქვეყანას რომ მე გავეთავისუფლებინე მანუელა სანჩესზე მტანჯველი ფიქრისაგან დალახვროს ეშმაკმა ეს რა ბარბაროსული მეთოდები აქვს მამაზეციერს ჩვენთან შედარებით, გაიფიქრა მან და კმაყოფილებით ჩააცქერდა ჩამუქებულ ტბას, რომელშიც დასამარებულიყო მთელი ქალაქი. უკიდევანო წყლიანი სივრცე დამხრჩვალ ქათმებს გადაევსო. თავი ამოეყოთ მონასტრის გუმბათს, შუქურას, ვიცემეფეთა სასახლეების მზიან ტერასებს. ძველი პორტის რაიონში, სადაც ოდესღაც მონებით ვაჭრობდნენ, მიმოფანტულ კუნძულებზე ციკლონს თავდაღწეული ადამიანები დაბანაკებულიყვნენ. ისინი უნდობლად შესცქეროდნენ ეროვნული დროშის ფერებით მოხატულ ბარკასს, რომელიც მდოვრედ მიიკვლევდა გზას სარგასოს ზღვის მოწითალო-მოყავისფრო წყალმცენარეებივით მოფენილ დამხრჩვალ ქათმებში. უეცრად დავინახეთ ნაცნობი ნაღვლიანი თვალები, უსიცოცხლო ტუჩები და იდუმალი ხელი, რომელიც პირჯვარს სახავდა ჰაერში, წვიმავ, გადაიღე, მზეო, გამოანათე. და მან სიცოცხლე დაუბრუნა დამხრჩვალ ქათმებს, წყალს უბრძანა დაწეულიყო და წყალმაც დაიწია. ზანზალაკები მხიარულად აწკრილდნენ, სადღესასწაულო ფეიერვერკმა ტკაცატკუცით გააყრუა მიდამო, დე არმას მოედანზე თავი მოიყარა ხალხმა, რათა ზარზეიმით აღენიშნათ აღდგენითი სამუშაოების დაწყების აღსანიშნავი პირველი ქვის ჩადება და ემღერათ სადიდებელი იმ კაცი-სა, ვინც უკუაქცია ქარიშხალი-ურჩხული, ამ დროს პრეზიდენტს ვიღაცამ ხელი ჩაავლო და აივნისკენ უბიძგა, ხალხს შენი გამამხნევებელი სიტყვების გაგონება სურსო. უარი არ გაუვიდა. მისი გამოჩენა აივანზე და ხალხის შეძახილი, გაუმარჯოს მანოს, ერთი იყო. ამ შეძახილმა ქარიშხალივით დაუარა გულ-მუცელში, თავისი რეჟიმის პირველი დღეებიდანვე ნაცნობი იყო მისთვის ეს შეგრძნება, რაღაცნაირი უსუსური

და დაუცველი ჩანდა, როდესაც მთელი ქალაქის პირისპირ იდგა. ახლაც გაუსხლტა თავში შეუბრალებელი სიმართლე, ვერც ვერასოდეს ბედავდა და ვერც ვერასოდეს გაბედავს აუთრთოლებლად, აი, ასე, მთელი ტანით გამოჩნდეს იმ უფსკრულის პირას, რომლის სახელიც ხალხია. ქვემოთ, დე არმას მოედანზე მდგომებმა, როგორც ყოველთვის, ახლაც მხოლოდ რაღაც ეფემერულს მოვკარით თვალი, პრეზიდენტმა აივნიდან დალოცა ხალხი და გაქრა, მაგრამ ჩვენთვის ეს წამიერი გაელვებაც კმაროდა, რომ იმედიანად ვყოფილიყავით. ის ჩვენთან იყო, ის დარაჯად ედგა ჩვენს ძილსაც და ჩვენს სიფხიზლესაც მაშინაც კი, როცა საგარეუბნო სახლის ეზოში, ისტორიული ტამარინდების ჩრდილქვეშ სარწეველა სავარძელში იჯდა და ლიმონათს წრუპავდა. დედამისი ბენდისიონ ალვარადო კი ამ დროს სიმინდს ანიავებდა გულამოცლილ გოგრაში. პრეზიდენტი თვალდახუჭული უსმენდა სიმინდის მარცვლების რაკარუსს. დღის სამ საათზე, როცა გახურებული ჰაერი თრთის და ირგვლივ ყველაფერს ბული ასდის, ის კვლავ სარწეველა სავარძელში იჯდა და ბულის მარმაშის მიღმა შესცქეროდა მოფუსფუსე დედას. ბენდისიონ ალვარადომ იქვე მობორიალე კვამლისფერი ქათამი დაიჭირა, ამოიღლიავა და შესაშური სინაზით მოუგრიხა კისერი, თან შვილის დაყოლიებას ცდილობდა, თვალეში შემომხედე, ბევრს ფიქრობ, ცუდად ჭამ, ჭლექიანს დაემსგავსე, დარჩი ამ საღამოს ჩემთან, ქათამს მოგიხარშავ, გემოზე გავახშმებ. ქალის იღლიაში მომწყვდეული კისერმოგრეხილი ქათამი საცოდავად აფხარკალებდა ფეხებს. კარგი, დედა, დავრჩები, დაყაბულდა შვილი. დაბინდებამდე იჯდა სარწეველა სავარძელში და ჩვენს ყოფაზე დაფიქრებულს ცხვირში საამოდ უღიტილებდა ქვაბში მოჩუხჩუხე ქათმის წვნიანის მადისაღმძვრელი სუნი. ეს კაცი იყო ჩვენი მიწიერი არსებობის ერთადერთი იმედი, რა უაზრო იქნებოდა ცხოვრება უამრწმენოდ, ის აქ არის, ჩვენს გვერდითაა, მას ვერაფერს დააკლებს ვერც შავი ჭირი, ვერც ციკლონი და ვერც მანუელა სანჩესის მხრიდან გამასხარავება. დროც უძღურია მის წინაშე, ერთი სიტყვით, მესიად იყო მოვლენილი, ჩვენს კეთილდღეობაზე ფიქრობდა, ვიცოდით, ჩვენს საზიანოდ არაფერს მოიმოქმედებდა, აკი ამიტომაც უძლებდა ცხოვრებისეულ სიძნელეებს, ბედის ტრიალს. მან იცოდა, ჩვენ რა გვინდოდა, ჩვენს ყოფას ინაწილებდა. მხოლოდ გულადობამ ან განსაკუთრებულმა გონიერებამ როდი გააძლებინა აქამდე, მან იცოდა, ჩვენ რა გვსურდა, რა გვჭირდებოდა და რა არ გვჭირდებოდა, ჩვენ მაგიერ და ჩვენზე უკეთ იცოდა ყველაფერი. მე ვიყავი იქ, დედა, როგორც იქნა, მივალწიე იქამდე. მართლაც მოინახულა ის ადგილი ჩვენი ქვეყნის შორეულ აღმოსავლეთ საზღვარზე, იმ ისტორიულ ქვაბზე იჯდა, რომელზეც ამოკვეთილი იყო იმ ჯარისკაცის გვარსა-

ხელი და თარიღები, ვინც უკანასკნელი დაილუპა აქ აღმოსავლეთ სა-
ნაპიროზე სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლა-
ში. იგი ქვაზე იჯდა და გასცქეროდა საზღვრის გაღმა მხარეს, სხვა ქვე-
ყნის მიწას, პირქუშ ქალაქს, სადაც მუდამ ცივად ცრის და ჩაჭვარტლუ-
ლი ბურუსია. დაინახა ქუჩაში მორიხინე ტრამვაები, ტრამვაებში გემო-
ვნებით ჩაცმული ადამიანები, დაინახა სამგლოვიარო პროცესია, კა-
ტაფალკის უკან კარეტების გრძელი მწკრივი. კარეტებში შებმულ თე-
თრ პერშერთონებს ლამაზფრთიანი ჩაღმები უმშვენებდათ თავს. ტაძრ-
ის კართან გაზეთებწაფარებულ ბავშვებს ეძინათ. პრეზიდენტი გაოც-
ებას ვერ ფარავდა, დაღაბვროს ეშმაკმა, ეს რა უცნაური ხალხია, პოე-
ტებს ჰგვანან. არა, ჩემო გენერალო, რის პოეტები, ესენი გოდოები არ-
იან, იქაური ხელისუფალნი, უთხრა ვილაცამ. ამ მოგზაურობიდან ამ-
აღლებული გუნება-განწყობილებით დაბრუნდა, სიხარულით ატაცებ-
ულმა აღმოაჩინა, რომ არაფერი შეედრება სიდამპლემეპარულ გუაი-
აბას სურნელს, მშობლიური სოფელ-ქალაქების ხმაურიან ბაზრებს,
ვერაფერი შეცვლის იმ ტკივილიან ნაღველს, სალამოს მიმწუხრს რომ
იპყრობს ხოლმე ადამიანს აქ, ამ უბადრუკ ქვეყანაში, რომელსაც ის
არასოდეს მიატოვებს და არ მიატოვებს არა იმიტომ, რომ სავარძლის
დაკარგვისა ეშინია, როგორც მისი მტრები ირწმუნებიან, არამედ იმი-
ტომ, დედაჩემო, რომ ადამიანი ხეა თავის ტყეში, ნადირია თავის ტყე-
ში, ნადირი, რომელიც თავის ბუნაგიდან მხოლოდ საჭმლისათვის
გამოდის, მომაკვდავის აღსარების გულაბდილობით არწმუნებდა საკ-
უთარ თავს, რასაც ვამბობ, სრული სიმართლეაო. ერთხელ, სიესტის
ძილბურანში მყოფს გაახსენდა, შორეული აგვისტოს ხუთშაბათის საღ-
ამოს როგორ აღიარა, ძალაუფლების სიყვარულს თავისი საზღვარი
აქვს და რომ იგი ბევრს არ ნატრობს, მხოლოდ თავისი ქვეყნის მართვა
სურს და მეტი არაფერი. ასეც უთხრა თავისუფლებისთვის მებრძოლ
ერთ ახალგაზრდა უცხოელს, რომელიც მან თავისი კაბინეტის სული-
სშემხუთველ ნახევრად სიბნელეში მიიღო. ეს იყო მორცხვი, პატივმ-
ოყვარე ყმაწვილი კაცი და რაც პირველი შეხედვისთანავე ეტყობოდა,
მარტოობისათვის განწირული. არიან ადამიანები, რომლებსაც აკვნ-
იდანვე დაჰყვებათ ხოლმე მარტოობის ნიშანი. ახალგაზრდა კაცი უძრ-
ავად იდგა კართან, სიბნელეს თვალს აჩვევდა. სიცხეში გლიცინიები
განსაკუთრებულად აფრქვევდნენ სურნელს. ჯერ ვერ ხედავდა სავარძ-
ელში მჯდომ ბერიკაცს, რომელსაც დამუშტული ხელი ცარიელ მაგი-
დაზე ედო, ხოლო როცა ნახევრად სიბნელეს ნელ-ნელა შეაჩვია თვ-
ალი, ბერიკაცი ისეთი ჩვეულებრივი, ისეთი უფერული ეჩვენა, სულ არ
ჰგავდა ოფიციალურ სურათებზე გამოსახულ პრეზიდენტს. კაბინეტში
დაცვა არ ჩანდა, თვითონაც უიარაღოდ იყო, გაოფლილი პერანგი ეც-

ვა. ჩვეულებრივი მოკვდავივით მიეკრა საფეთქლებზე თავის ტკივილის საწინააღმდეგო საღბის ფოთლები. მოგვიანებით მივხვდი, რომ სწორედ ეს ლამის დაჟანგული ბერიკაცი იყო ჩვენი ბავშვობის დროინდელი კერპი, ჩვენი ნათელი იდეალების ცოცხალი განსახიერება. ახალგაზრდა ვაცი მაგიდას მიუახლოვდა და საქმიანი ვაცის მჟღერი ხმით წარუდგა მასპინძელს, მანაც ჩამოართვა თავისი ნაზი, ეპისკოპოსის ხელივით მოშვებულ-მოდუნებული ხელი. სმენად ქცეული მოხუცი გაკვირვებას ვერ მალავდა, ისეთი აღფრთოვანებითა და მგზნებარებით ლაპარაკობდა ახალგაზრდა უცხოელი საყოველთაო ზღაპრულ ბედნიერებაზე. სიტყვის დასასრულს პოლიტიკური მხარდაჭერა და იარაღი ითხოვა. თქვენო ბრწყინვალეებავ, ულმობელ ომში ერთხელ და სამუდამოდ უნდა დავამხოთ კონსერვატორთა რეჟიმი ალიასკიდან პატაგონიამდე. გენერალი გააღიზიანა სტუმრის მგზნებარებამ. კი მაგრამ, ეშმაკსაც წაუღიხარ, ცხვირს რატომ ჰყოფ ამ საქმეში, რისთვის იკლავ თავს, რაზეც უცხოელმა წინანდელზე არანაკლები მგზნებარებით უპასუხა, რისთვის და, ჩემი სამშობლოსათვის, თქვენო ბრწყინვალეებავ, სამშობლოსათვის სიკვდილი ხომ უმაღლესი ბედნიერებაა. მასპინძელმა ნაღვლიანად გაუღიმა, ნუ სულელობ, ყმაწვილო, სიცოცხლე — აი, ეს არის სამშობლო. მაგიდაზე დასვენებული მომუშტული ხელი გაშალა და შუშის ბურთულა დაანახა, ამას ხომ ხედავ, ყმაწვილო, ეს ბურთულა ან არის ან არ არის, მაგრამ ვისაც აქვს, იმას აქვს, ასეა სამშობლოც. წამოდგა და სტუმარს კარისკენ უბიძგა, ზურგზე ხელის ტყაპუნით მიაცილა კარამდე. — არაფერს შეჰპირებია, თავისი ადიუტანტი კი გააფრთხილა, ამ ყმაწვილს — ხელი არ ახლოთ, არც უთვალთვალოთ, ტყუილად დრო არ დაკარგოთ, სისხლი უდუღს ძარღვებშიო. ეს სიტყვები კარგა ხანია არ გვსმენია მისგან, ციკლონის გადავლამდე არ დასცდენია. ციკლონის გადავლის მერე კი გამოცხადდა ამნისტია პოლიტპატიმრებისათვის, გასახლებულებსაც მიეცათ სამშობლოში დაბრუნების ნება, რა თქმა უნდა, გარდა ინტელექტუალებისა, მაგათ არც არასოდეს დავაბრუნებ, მამლაყინწობენ სისხლი უდუღთ ძარღვებში, ვერაფერში გამოიყენებ, თუ გამოიყენებ და, გარწმუნებთ, პოლიტიკოსებზე და მღვდლებზე უარესები არიან. დანარჩენებს შეუძლიათ დაბრუნდნენ. ქვეყანა ერთად უნდა ავაშენოთ. ძალაუფლება კვლავინდებურად მას ეპყრა ხელთ, ჯარიც მას ემორჩილებოდა უსიტყვოდ, განსაკუთრებით მაშინ, როცა სტიქიის მიერ დაზარალებულთათვის უცხოეთიდან გამოგზავნილი სურსათი, მედიკამენტები და სხვა საჭირო ნივთები უმაღლეს მთავარსარდლობაში გაანაწილა. მინისტრები არასოდეს ყოფილან ასეთი მორჩილები, აბა, რას იზამდნენ, კვირა დღეებში ოჯახებთან ერთად პლაჟებზე გაშლილ წითელი ჯვრის საველე

ჰოსპიტალთან ტრიალებდნენ. საგარეო ვაჭრობის სამინისტრო ცდილობდა ჯანდაცვის სამინისტროსთვის საზღვარგარეთიდან მიღებული სისხლის პლაზმა და ტონობით რძის ფხვნილი მიეყიდა, ჯანდაცვის სამინისტრო კი თავის მხრივ ღარიბთა საავადმყოფოებს ევაჭრებოდა. გენშტაბის ოფიცრები თავიანთ ამბიციებს საზოგადოებრივ მშენებლობებზე სანარდო სამუშაოთი იკმაყოფილებდნენ აღდგენითი პროგრამის ჩარჩოებში, ელჩმა უორენმა ამ სამუშაოთა შესასრულებელი თანხა სესხად გამოუყო ქვეყანას ჩვენს ტერიტორიულ წყლებში თევზჭერის განუსაზღვრელი უფლების სანაცვლოდ. ჯანდაბას მაგათი თავი, ამბობდა პრეზიდენტი და ხშირად იხსენებდა თავის საუბარს იმ ახალგაზრდა მეოცნებესთან, ვის შესახებაც აღარავის არაფერი სმენია. ხელის გულზე დადებული ფერადი შუშის ბურთულა რომ უჩვენა, ისიც ბევრჯერ გაიხსენა. ეს ბურთულა იმას აქვს, ვისაც აქვსო, უთხრა მაშინ იმ ყმაწვილ კაცს. პრეზიდენტი მთელი არსებით ჩაერთო ქალაქის აღდგენით სამუშაოებში. მისი სურვილითა და განკარგულებით ქალაქი პირვანდელი სახით უნდა აღმდგარიყო, რაკი ასე სურდა, თვალის უნდა მიედევნებინა სამუშაოებისათვის, არაფერი გამოჰპარვოდა, აქ, ამ ადგილას მკვდრებით უნდა აღდგეს ის ქალაქი, მომავალში მის სახელს დიდებით რომ მოიხსენიებს. როგორც იმ შორეულზე შორეულ წლებში, ხელისუფლებაში თავისი მოსვლის პირველ ხანებში სჩვეოდა, ახლაც ერთპიროვნულად წყვეტდა ყველა საკითხს, არავის არაფერს ეკითხებოდა. სომბრეროჩამოფხატული, რეზინის ჩექმებით დააბოტებდა წარღვნის მერე შლამითა და ტალახით გადავსებულ ქუჩებში და... ეს სახლები აქედან მოაშორეთ, სხვაგან გადაიტანეთო, კარნახობდა ინჟინრებს. იმათაც გადაჰქონდათ. ამ კოშკს ორი მეტრი კიდევ მოუმატეთ სიმაღლეში, საოკეანო გემებს კარგად დავინახავთო, უმატებდნენ. ეს მდინარე აღმა გაუშვითო, უარის თქმას ვინ გაბედავდა. ერთი სიტყვით, ამ საქმით გართულს აღარც მელანქოლია უმძიმებდა სულს და აღარც სხვა დარდი, სახელმწიფოში თუ იყო სხვა საქმე გასაკეთებელი, აღარც ახსოვდა, მაგრამ ერთხელ თითქოს კედელს შუბლით დაეჯახაო, საიდანღაც ბავშვები ამოუტივტივდნენ სადარდებლად. გენერალო, რა ვუყოთ ბავშვებს, მოულოდნელად ჰკითხა ადიუტანტმა, ვისაც სულაც არ ევალებოდა ამ შეკითხვის დასმა, მაგრამ შეკითხვა უკვე დასმული იყო და პრეზიდენტიც უმაღლ დაეშვა მიწაზე. რომელ ბავშვებზე მეკითხებით, ეშმაკმა წაგილოთ, და მას გაუმიხილეს ის, რასაც კარგა ხანი უმაღავდნენ. ჩემო გენერალო, იმ ბავშვებზე გეკითხებით, ლატარიის გათამაშების დროს თოფრაკებიდან დანომრილ ბურთულებს რომ იღებდნენ. სამხედროებს ჰყავთ დამწყვდეული. თავი მოგვეჭრებოდა, ჩემო გენერალო, მთელ ქვეყანას მოსდებდნენ, ყველა გათამა-

შებაზე მაინცდამაინც თქვენი ბილეთი რატომაც იგებდა. გამწარებული მშობლები დღედაღამ დაეძებენ თავიანთ შვილებს, თქვენი ხელი ურევია მათ გაქრობაში, გვეუბნებიან, ტყუილია, ოპოზიცია გვიგონებს-თქო, ჩვენც ვეუბნებით, მაგრამ არ სჯერათ. ამას წინათ ერთ-ერთი ყაზარმის აღებაც კი დააპირეს, ნაღმმტყორცნებით მოვიგერიეთ, ნამდვილი სასაკლავო მოვაწყვეთ, ჩემო გენერალო. ბავშვები პორტის ციხესიმაგრეში არიან დამწყვდეულები, რა თქმა უნდა, არაფერს ვაკლებთ და მადლობა ღმერთს, ჯანმრთელადაც არიან, მაგრამ ორი ათასამდე ბავშვმა მოიყარა თავი და უკვე აღარ ვიცით, როგორ მოვიქცეთ. ლატარიის „ჩაწყობის“ ეს ყოვლად მარტივი, გენიალურად მარტივი იდეა ბილიარდის დანომრილი ბურთულების დანახვისთანავე წარმოიშვა თავისთავად და მის განსახორციელებლად მაშინვე გამოცხადდა კიდევ საერთო-ეროვნული ლატარია, მიუხედავად პაპანაქება სიცხისა, დე არმას მოედანი ჯერ კიდევ შუადღემდე გაივსო გულანწყებული და მოგების იმედით ატაცებული ხალხით. მადლიერების გამომხატველ შეძახილებსა და ტრანსპარანტებს თვლა არ ჰქონდა. ხალხი დიდხანს სიცოცხლეს უსურვებდა იმ დიდსულოვან კაცს, ვინც ლატარიის მოწყობა და მათთვის ბედნიერების განაწილება ითავა. მოვიდნენ მუსიკოსები და მუშაითები, იყო ღვინო და ფრიტანგა. ამუშავდა წარღვნამდელი სათამაშო რულეტი და ლატარია — თავგუნიათი და პატარა ყუთში ჩალაგებული ქალაღის ნაგლეჯზე დაწერილი ბედ-იღბლით. ეს ანაქრონისტული, ან უკვე გამქრალი დროისა და სამყაროს თამაშობები მოკრძალებულად ცდილობდნენ დიდი ფორტუნის ჩრდილქვეშ ცოტა მაინც მოეთბოთ ხელი, ილუზიების ნამცეცებით დაკმაყოფილებულიყვნენ. დღის სამ საათზე ფიცარნაგზე სამი ბავშვი აიყვანეს, ასე, შვიდირვა წლისები. ხალხმა თავად ამოარჩია ისინი, აქაოდა, არავის დაბრა-ლდეს ლატარიის უპატიოსნო წარმართვაო. თითოეულს სხვადასხვა ფერის თოფრაკი მისცეს. თითოეულ თოფრაკში ნულიდან ცხრის ჩათვლით დანომრილი ბურთულა ეყარა, რაც შემოწმებული იყო საგანგებოდ მოწვეული მოწმეების მიერ. ყურადღება, ბატონებო და ქალბატონებო. ხალხმა სული განაბა, ბავშვებს თვალეები აუხვიეს. თითოეული ბავშვი თოფრაკიდან ამოიღებს თითო ბურთულას. პირველად ლურჯთოფრაკიანი ამოიღებს, მერე წითელთოფრაკიანი. ბოლოს ყვითლიანი. ბავშვებმა რიგრიგობით ჩაყვეს ხელი თოფრაკებში. მიურ-მოურიეს და ის ბურთულა ამოიღეს, რომელიც სხვა ბურთულებთან შედარებით უფრო ცივი იყო. წინასწარ იყვნენ გაფრთხილებულები, ცივი ბურთულა ამოეღოთ. ამგვარად, ყოველ გათამაშებაზე ბავშვები თავთავიანთი თოფრაკებიდან იღებდნენ ბურთულებს, უჩვენებდნენ ხალხს, ხმამაღლა აცხადებდნენ ნომერს და სამივე ნომერი ბურთულები-

სა, გათამაშებამდე ცინულში რომ ედოთ, სასწაულებრივად ემთხვეოდა პრეზიდენტის ბილეთის ნომერს. მაგრამ ჩვენ ერთი რამ ვერ გავითვალისწინეთ, ჩემო გენერალო, ბავშვებს შეეძლოთ ვინმესთან დასცდნოდათ ეს საიდუმლო. ამიტომაც გადაწყვიტეთ დაგვემწყვდია ისინი. ჯერ ის სამი ბავშვი გამოვკეტეთ, მერე ოთხი, ხუთი, ოცი, ახლა კი იმდენი არიან, აღარ ვიცით, სად წავიყვანოთ ან როდემდე ვმალოთ. პრეზიდენტმა ძაფის ბოლოს ჩაავლო ხელი, მოქაჩა და მთელი გორგალიც გამოაყოლა თან. აღმოჩნდა, რომ ეროვნული ლატარიის თაღლითობაში ჩათრეული იყვნენ არა მარტო სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო ძალების მაღალჩინოსნები, არამედ პირველი სამი ბავშვის მშობლებიც. სწორედ მშობლების თანხმობით მონაწილეობდნენ ბავშვები გათამაშებაში, სწორედ მშობლები დაეხმარნენ ლატარიის მომწყობთ პატარებისათვის ესწავლებინათ, რომელი ბურთულა ამოელოთ, მაგრამ მომდევნო გათამაშებებზე უკვე ძალითა და მუქარით აწყყავდათ ბავშვები ფიცარნაგზე ახლა უკვე მშობლებიც დაფეთდნენ. ხმა დაირხა, ფიცარნაგზე ასული ბავშვები გვინახავს, მაგრამ ჩამოსული არაო. საგანგებო დანიშნულების საჯარისო ნაწილები ხალხს სახლებში უვარდებოდნენ ღამლამობით, რათა ბავშვები ძალით წაეყვანათ ლატარიის გათამაშებაზე მონაწილეობის მისაღებად, მაგრამ მშობლებმა ჭკუა ისწავლეს და გადაძალეს შვილები. დიპლომატები აუდიენციას ითხოვდნენ პრეზიდენტთან, რათა შუამავლობა შეეთავაზებინათ წამოჭრილი კონფლიქტის მოგვარების საქმეში, მაგრამ ჩინოვნიკებისაგან ისეთ აბსურდულ მიზეზებს ისმენდნენ პრეზიდენტის მოუცლელობის თაობაზე, რომ გოაცებული ტოვებდნენ სასახლეს. ნაირ-ნაირ ლეგენდებს თხზავდნენ, ჩვენს პრეზიდენტს მუცელში ბაყაყები ჩაუსახლდნენ და მოსვენებას არ აძლევდნენ. უძილობა აწუხებს, იგუანასავით მთელ ხერხემალზე ძვლოვანი სავარცხელი გამოეზარდა და ზებეურად ძინავს, ვერ წვებაო. ერთი საპროტესტო დეპეშაც კი არ უჩვენებიათ მისთვის, არადა, დედამიწის ყოველი კუთხიდან მოდიოდა დეპეშებიცა და მოთხოვნებიც ბავშვების განთავისუფლების თაობაზე. რომის პაპმაც კი გამოუგზავნა სამოციქულო წერილი, რომელშიც დიდ წუხილს გამოხატავდა უდანაშაულო, უმანკო სულების მწარე ხვედრის გამო. არც ეს წერილი უჩვენებიათ მისთვის. ჩემო გენერალო, ციხეები ამბოხებულ მშობლებს ვეღარ იტევს, ორშაბათის ლატარიისთვის ერთი ბავშვიც კი ვერ ჩავიგდეთ ხელში. პრეზიდენტი მხოლოდ მაშინ მიხვდა, ავად ხახადადებულ უფსკრულის პირას რომ აღმოჩნდა, როცა სასახლის პატიოში ერთ ადგილას შექუჩებული ის უბედური ბავშვები იხილა. თითქოს სასაკლაოზე მიერეკებიანო, მიწისქვეშეთიდან დაფეთებულ თხებივით ამოჰყავდათ, თვეობით გაგრძელებული საშინელი ღამის შემდეგ

დღის შუეით დაბრმავებულები აქეთ-იქით აწყდებოდნენ, ბევრი იყვნენ და მაინც ერთ სხეულს შეადგენდნენ. პრემიდენტმაც ასე აღიქვა, არა ცალ-ცალკე, არამედ როგორც ერთი უზარმაზარი, უფორმო და მრავალსახა ცხოველი, ჭუჭყიანი და გაუბედურებული, მიწისქვეშა წყალივით აბუებუებული. ამ მრავალსახა ცხოველს ახლა აქ ასე უცებ ვერ მოკლავ, ამდენ სიცოცხლეს ასე ერთბაშად ვერ მოსპობ, დედამიწას შეძრავს ეს საშინელება. ჯანდაბას მაგათი თავი, რალაც უნდა მოიფიქროს. სასწრაფოდ მოიწვია სამხედროები. წამში ეახლა თოთხმეტი ჩინოსანი. მუდამ აუღელვებელნი და სასტიკნი ახლა კარგად ცახცახებენ, საკუთარი ტყავის გადარჩენაზე ფიქრობენ, თვალებით გაბურდა თოთხმეტივე და მიხვდა, თვითონ მარტო იყო, ისინი — ერთად, და მაინც ნირშეუცვლელად, რკინისებური ხმით მიმართა შეკრებილო, როგორც არასდროს ისე გეჭირდება ახლა ერთიანობა, რათა არ შეიღახოს პატიოსანი კაცისა და შეიარაღებული ძალების სახელი. მე არასოდეს შემპარვია ეჭვი თქვენს ერთგულებაში, ესა თქვა და მომუშტული ხელი მძიმედ დადო მაგიდაზე, რათა დიახაც რომ ეჭვშეპარული თრთოლვა დაეფარა. სენიორებო, გიბრძანებთ, ჩვეული მონდომებით განაგრძოთ თქვენზე დაკისრებული მოვალეობის შესრულება, საგანგაშო არაფერია, ყველაფერზე მე ვაგებ პასუხს. სხდომა დამთავრებულია. სულ მალე ბავშვები დახურული მანქანებით ქვეყნის ყველაზე მივარდნილ მხარეში გააქანეს, რასაც უმაღლვე მოჰყვა პრემიდენტის ოფიციალური განცხადება, მავანი რომ ირწმუნებიან, ბავშვები სამხედროებს ჰყავთ დამწყვდეულიო სრული სიცრუეა. მთავრობა ბავშვების დამწყვდევის უფლებას არავის მისცემს, მით უმეტეს, რომ ქვეყანას საერთოდ არ ჰყავს პატიმარი, ციხეები ცარიელია, მასობრივ დაპატიმრებებზე ჭორებს ღვარძლიანი რენეგატები გვივრცელებენ, ამოდ ცდილობენ აამღვრიონ ხალხის პატრიოტული სული, ვისაც სიმართლის გაგება სურს, მობრძანდეს, ჩვენი ქვეყნის კარი ყველასათვის ღიაა. მართლაც, ამ მოწოდების პასუხად ქვეყანაში ჩამოვიდა ეროვნებათა საბჭოს წარმომადგენლობითი კომისია, ყველა კუთხე-კუნჭული მოათვალიერეს, ყველა საიდუმლო ხვრელში შეჰყვეს ცხვირი, მეტისმეტი გულმოდგინებით დაჰკითხეს ყველა, ვინც თვითონ შეარჩიეს, ბენდისიონ აღვარადოც კი არ გამოჩინიათ. ვინ არიან ეს სპირიტისტებივით ჩაცმული ყვეჩნები, სახლში შემომივარდნენ, ორი ათას ბავშვს ჩემს საწოლქვეშ ეძებდნენ, ხელსაქმის კალათაშიც ჩაიხედეს და ფუნჯების ქილაშიც, ვაი მაგათ პატრონს. კომისიამ ბოლოს და ბოლოს ოფიციალურად გამოაცხადა, ციხეები ცარიელია, ქვეყანაში სიმშვიდეა, წესრიგია და ვერავითარი საბუთი იმისა, რომ აქ ირღვეოდა ან ირღვევა ადამიანთა უფლებები ან ჰუმანიზმის პრინციპები, ჩვენ ვერ აღმოვაჩ-

ინეთ. მშვიდად იძინეთ, გენერალო, და წავიდნენ. მხრებიდან ტვირთ-
მოსხნილი პრეზიდენტი ფანჯარასთან იდგა და ამოქარგული ცხვირს-
ახოცის ქნევით ემშვიდობებოდა გემით მიმავალ კომისიის წევრებს,
მშვიდ ზღვასა და ბედნიერ მგზავრობას გისურვებთ, ბრიყვებო. გულბ-
ეც მოეშვა, ესეც ასე, ეს საქმეც ჩათარცხა. მაგრამ გენერალმა როდრი-
გო დე აგილარმა შეახსენა, არაფერიც არ ჩათარცხულა, ჩემო გენერა-
ლო, გეტყობათ, ბავშვები დაგავიწყდათ. უსიამო შეგრძნება დაეუფლა,
ისლა მოიფიქრა, ჯერჯერობით თავი შეეკავებინა საბოლოო გადაწყვე-
ტილების მიღებისგან, მანამდე კი ბრძანა, ბავშვები გამოეყვანათ ტყ-
ვიდან და იმ პროვინციაში გაეგზავნათ, სადაც გამუდმებით წვიმს და ქა-
რი არ იცის. ქარს შეუძლია ბავშვების ძახილი ჰაერში მიფანტ-მოფანტ-
ოს და ადამიანთა ყურთასმენას მიაწვდინოს. ისეთი ადგილი მოძებნ-
ეთ, სადაც მარადიული სინესტეა და ცხოველები ცოცხლად ლპებიან,
სადაც სიტყვებსაც კი ნესტი ედებათ, სადაც ხეებს შორის სლიპინა ცხ-
რაფეხები დაცოცავენ. ბრძანა, ანდების აშმორებულ, ნისლით ამოვს-
ებულ გამოქვაბულებში დაემაღლათ ისინი და, საერთოდ, ხშირად ეცვ-
ალათ მათი ადგილსამყოფელი, რათა ვაციშვილს ვერ მიეგნო პატარ-
ებისთვის. მერე ალბათ რაღაცას მოიფიქრებს და საბოლოო გადაწყვე-
ტილებასაც მაშინ მიიღებს. წითელი ჯვრის აეროპლანიდან რომ ვერ
დაენახათ, ბავშვები რამდენიმე დღე ბრინჯის ყანაში ყელამდე წყალში
იდგნენ თურმე. ციება შეჰყრიათ საბრალოებს და მანაც მაშინვე ქინა-
ქინა და თბილი საბნები გაუგზავნა. ხოლო როცა ბავშვებს ქუნთრუშაც
შეეყარათ, ბრძანა, დღისით მზის თვალისმომჭრელი ბრიალი და ლა-
მით ვარსკვლავების ციალი წითელი შუქით დაებინდათ. აეროპლანი-
დან პესტიციდიც გადმოაფრქვიეს ხის ტკიპებმა ბავშვები არ შეაწუხო-
ნო. პატარებს თავზე ხან კანფეტები აწვიმდათ, ხანაც ნაღებიანი ნაყინი
ათოვდათ. ვიდრე რამეს მოვიფიქრებდე, მინდა, ბავშვებმა გაიხარო-
ნო, თქვა მან. საკუთარი ქველმოქმედებით მოგვრილმა სიმშვიდემ
ნელ-ნელა დაუბინდა მეხსიერება და ბავშვებიც ასევე ნელ-ნელა მიე-
ცნენ დავიწყებას. პრეზიდენტი უძილო ღამეებისა და ერთფეროვანი
დღეების ჭაობში ჩაიძირა. იგი არაფერს შეუშფოთებია ერთ საღამომ-
დე. იმ საღამოს საათმა ცხრაჯერ რომ ჩამოკრა, პრეზიდენტმა ფანჯრის
რაფებზე მთვლემარე ქათმებს აუქშია და საქათმეში შეყარა. ის იყო ქა-
ნდარებზე შემომსხდარი ქათმების დათვლას მიჰყვა, რომ საქათმეში
მეფრინველე მულატი ქალი შევიდა და მთელი დღის განმავლობაში
დადებული კვერცხების აკრება დაიწყო. ვაცს უცებ წლობით დაუხარჯა-
ვი გზნება შემოენთო, კაბის შარიშურმაც ააღელვა და ქალს მიუახლ-
ოვდა. ფრთხილად, გენერალო, ჩურჩულით უთხრა ერთიანად აცახც-
ახებულმა ქალმა, კვერცხები არ დამიტეხოთ. ეშმაკსაც წაუღია კვერც-

ხები, წაიბუტბუტა მან და რაღაც გაურკვეველი წინათგრძნობით ატან-
ილმა ხელის ერთი დაკვრით იატაკზე წააქცია ქალი, ჩვეულებისამებრ,
არც უცდია კაბა გაეძრო მისთვის, არც თვითონ გაუძვრია შარვალი.
რაღაც განსაკუთრებული უნდა მოხდეს ამ სამშაბათ დღეს, ოღონდ რა,
ჯერ არ იცის. მწვანე სკინტლზე ფეხი აუცდა, თავი ვერ შეიკავა და გა-
დაეშვა კიდევ ილუზიებისა და მოჩვენებითი თავდავიწყების მოჩვენებ-
ითვე უფსკრულში, გადაეშვა სულისშემხუთველ ოფლის ნიაღვარსა და
ღონიერი ქალის ხვნეშაში. მიფრინავდა დავიწყების ხრამის ფსკერისკ-
ენ და ცას მოწყვეტილი ვარსკვლავის მანათობელი კუდივით უკან მი-
სდევდა ოქროს დებების ბრჭყვიალ-წკრიალი, მოჩქარე კაცის მყრალი
ქოშინი და ძალღვივთ წკმუტუნნი. ასე მიფრინავდა იგი ტკბობის საშინ-
ელებით შეპყრობილი, სიკვდილთან წამიერად შესაყრელად ელვისა
და უხმო ჭექა-ქუხილის თანხლებით, ასე უსასრულოდ და უშედეგოდ
დაფრინავდა იგი იქამდე, ვიდრე კვლავ არ აღმოჩნდა უფსკრულის ძი-
რში სკინტლით მოფენილ მიწაზე, სადაც ქათმების უძილო თვლემა და
დატეხილ კვერცხებში კაბაამოსვრილი მულატი ქალი დახვდა. ხომ
გეუბნებოდით, გენერალო, კვერცხებს დამიტეხავთ-მეთქი. უსიყვარუ-
ლო სიყვარულით კიდევ ერთხელ გაბებრებულმა, დაუკმაყოფილებ-
ელმა და გაბოროტებულმა კაცმა შეუღრინა, დაითვალე რამდენი გა-
ტყდა, ხელფასიდან დაგიქვითავ. ათ საათზე ფერმაში შეიარა, ძროხებს
სათითაოდ დააკრეჩინა კბილები, ღრძილები დაუთვალაიერა, ფერმიდ-
ან გამოსულმა იმ დაფახფახებულ ბარაკს ჩაუარა, სადაც მისი ქალები
ცხოვრობდნენ, ერთ კარმოლიავებულ ოთახში იატაკზე გართხმული
ფეხებგაჩაჩხული და ტკივილებისგან სახედამანჭული ქალი დაინახა.
ბებიაქალს ის იყო მისი საშოდან ყელზე ჭიპლარშემოხვეული ბავშვი
გამოეყვანა. ბიჭია, ჩემო გენერალო, რა დავარქვათ. რაც გინდათ, ის
დაარქვით. თერთმეტ საათზე, ჩვეულებისამებრ, გადაითვალა ყარაუ-
ლები, საკეტები შეამოწმა, ჩიტების გალიებს ნაჭერი გადაათარა და
შუქი ყველგან ჩააქრო. თორმეტ საათზე ქვეყანას ეძინა, ირგვლივ სი-
მშვიდვე სუფევდა, ის კი ჯერ ისევ თავისი საძინებლისკენ მიემართებო-
და ჩაბნელებული დერეფნით, დროდადრო წამიერად თუ შემოანათებ-
და შუქურას მწვანე სხივი. საძინებლის კართან ლამპა ჩამოკიდა, ხომ
შეიძლება გაქცევამ მოუწიოს მალულად. სამ გასაღებზე, სამ ბოქლომ-
ზე, სამ ურდულზე ჩაკეტა კარი და თავის პორტატიულ უნიტაზზე მოკ-
ალათდა. როცა ბოლომდე გამოწურა ის მცირეოდენი შარდიც, რაც
გააჩნდა, ფერება დაუწყო თავის თიაქარიან გულქვა ბავშვს, იქამდე
ეფერა, ვიდრე არ დაძაგრა, ვიდრე ხელზე არ მიადინა, ვიდრე არ ჩაუყ-
უნდა ტკივილი, მაგრამ საიდანღაც უცებ მოვარდნილმა შიშმა გაუახ-
ლა ტკივილი, ელვასავით დაუარა მთელს ტანში. შორეული უდაბნოდ-

ან, გვარჯილის საბადოების მხრიდან, ქარმა ფანჯარაში ქვიშასავით შემოყარა სიმღერის ხმები, ეჭვი არ იყო, ბავშვები მღეროდნენ, გულ-იდან ამოხეთქილი ხმით უხმოებდნენ საომრად წასულ რაინდს, სად არის ჩვენი მხსნელი, ავიდეთ კოშკზე, იქნებ იქიდან თვალი მოვკრათ, იქნებ ბრუნდება, ო, იგი არ ჩანს, მაგრამ არა, იგი დაბრუნდა, სამწუხაროდ, ხავერდგადაკრულ კუბოში მწოლი. პრეზიდენტმა ვერა და ვერ დაიძინა, იქნებ ვარსკვლავები მღერიან, მე კი ბავშვები მგონიაო, მაგრამ სიმართლეს სად წაუვიდოდა, ნამდვილად ბავშვები მღეროდნენ. გაცოფებული წამოიჭრა, ჯანდაბას მაგათი თავი, კმარა, ან მე, ან ისინი, რა თქმა უნდა არჩევანი თავის სასარგებლოდ გადაწყვიტა. ჯერ კიდევ გათენებამდე გასცა ბრძანება, ბავშვები ცემენტით დატვირთული ბარუებით სიმღერ-სიმღერით გაეყვანათ ქვეყნის ტერიტორიული წყლებიდან. ასეც მოიქცნენ, გაიყვანეს და ააფეთქეს. სიმღერაში გართული ბავშვები ისე წავიდნენ ფსკერისკენ, ვერც კი მოასწრეს გაეგოთ, რა მოხდა. როდესაც სამმა ოფიცერმა პრეზიდენტს მოახსენა, გენერალო, თქვენი ბრძანება შესრულებულიაო. პრეზიდენტმა ჯერ ორი ჩინით დააწინაურა ისინი, ერთგულებისათვის მედლებიც კი უბოძა, ხოლო შემდეგ ბრძანა, სამივე დაეხვრიტათ როგორც ჩვეულებრივი დამნაშავეები, რადგან არის ბრძანება, რომელიც შეიძლება გაიცეს, მაგრამ არ შეიძლება შესრულდეს საბრალლო ბავშვები. მთელი თავისი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე პრეზიდენტი არაერთხელ დარწმუნდა, რომ ამქვეყნად ყველაზე საშიში მტერი შინაური მტერი იყო. ის ადამიანები, რომლებიც მისი სრული ნდობით სარგებლობდნენ, ვინც მას ერთგულები ეგონა და ვინც მან ოდესღაც აღაზღვა, რათა საიმედო დასაყრდენი ჰყოლოდა მთავრობაში, ზოგი ადრე და ზოგიც გვიან იწყებდა თავისი მარჩენალი ხელის მოჭრას. ასეთ უმადურებს იგი ასწრებდა და ტორის ერთი დაკვრით ანადგურებდა, სამაგიეროდ არარაობიდან, დავიწყების ბურუსიდან გამოჰყავდა სხვები, აწინაურებდა, თანამდებობებს ჰაინჰარად, მკერდზე თითის დადებით ურიგებდა, შენტვის კაპიტნობა მიბოძებია, შენტვის მაიორობა, შენტვის პოლკოვნიკობა, შენტვის გენერლობა, დანარჩენებისთვის ლეიტენანტობაო. პირველ ხანებში თვალს ადევნებდა, როგორ სუქდებოდნენ მისი აღზევებულები, ლამის მუნდირები დასკდომოდათ ტანზე, მერე ცოტა ხნით ეკარგებოდნენ თვალთახედვიდან და მხოლოდ ისეთ შემთხვევებში ამოტივტივდებოდნენ, როგორიც იმ ორი ათასი ბავშვის თავსდამტყდარი საზარელი ამბავი იყო, და ისიც ხვდებოდა, რომ ერთი კაცი კი არა, ლამის მთელი არმია ატყუებდა, თვალში ნაცარს აყრიდა. გულნამცეცები არიან, მარტო რძის ულუფის მომატებაზე ფიქრობენ, სხვა არაფერი ადარდებთ, საქმე საქმეზე რომ მიდგება, შიშით ლამის იმ თეფშზე დაიცალონ კუჭი, რო-

მელზედაც ეს წუთია ჭამდნენ, არადა, ჩემი შექმნილები, ჩემი ნეკნიდან შექმნილები მაინც არ იყვნენ ეს ძალღისშვილები, მე მოვუპოვე მათ პური არსობისა, მე მოვუპოვე მათ სახელიცა და დიდებაც. ეს მართლაც ასე იყო, მაგრამ ძილი და მოსვენება მაინც დაკარგა, ყველგან ღალატი ელანდებოდა, ქვეშევრდომთ თავს უქონავდა, ცდილობდა დაეკმაყოფილებინა მათი ამბიციები, იძულებული იყო ყურად ელო მათი მოთხოვნები. ყველაზე საშიშებს გვერდიდან არ იცილებდა, ასე უფრო იოლია მათი თვალის დევნებაო, ზოგსაც საზღვრისპირა გარნიზონებში ამწესებდა, მაგრამ ეჭვის ჭიას ვერა და ვერ იშორებდა, განა სწორედ ამ ოფიცრების გამო არ დათანხმდა, ქვეყანაში გრინგოების საზღვაო ქვეითი რაზმი გადმოესვათ ყვითელი ციებ-ცხელების წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლისათვის კი არა, როგორც ოფიციალურ კომუნიკეში აღნიშნა ელჩმა ტომპსონმა, ან იმიტომ კი არა, რომ ხალხის რისხვისა ეშინოდა, როგორც ქვეყნიდან გაძევებული პოლიტიკოსები ირწმუნებოდნენ შხამიანად, არამედ იმიტომ, რომ მე მსურდა ჩემი ოფიცრებისთვის წესრიგი ესწავლებინათ, დედა, იმათმა კი რა ასწავლეს, ფეხშიშველი ჯარისკაცი ვის გაუგონიაო, ასწავლეს ტუალეტის ქალაღდისა და პრეზერვატივის ხმარება, მე კი მასწავლეს, როგორ უნდა წავკიდო ერთმანეთს სხვადასხვა სამხედრო დაჯგუფებები ისე, რომ თვითონ არსად გამოვჩნდე და არც არაფერი დამიშავდეს. გრინგოებმა რაღა არ შეგვიკოწიწეს, ეს ეროვნული უშიშროების სამმართველოო, ის გამოძიებათა სააგენტოო, ეს საყოველთაო წესრიგის დაცვის ეროვნული დეპარტამენტიო, მოკლედ, იმდენი ჯანდაბა მოიგონეს, სახელებს ვერ ვიმახსოვრებ. სამაგიეროდ წარმატებულად იყენებდა ამ სამსახურებს ერთმანეთის დაბეზღებასა და სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადამტერებაში. დღეს რომ ერთს აქეზებდა მეორის წინააღმდეგ, გითვალთვალებენო, ხვალ მეორეს უსხამდა ცეცხლზე ნავთს, თქვენზე ასე და ასე ამბობენო. მისი ბრძანებით, არასაიმედო ყაზარმებს ქვიშაგარეულ ტყვია-წამალსაც უგზავნიდნენ. ბოლოს და ბოლოს ისე აურ-დაურია ყველა და ყველაფერი ერთმანეთში, რომ ვერავინ მიმხვდარიყო რა ჰქონდა ჩაფიქრებული ამ დესპოტ ბერიკაცს. ერთხელაც მოახსენეს, ჩემო გენერალო, ამა და ამ ყაზარმაში ამბოხებამ იფეთქაო. მაშინვე გაქანდა იქით, პირზე დუჰმორეული აღრიალდა, ახლავე გაეთრიეთ აქედან, რქიანებო, ბრიყვებო, მე ხელისუფალი ვარ. აქოშინებული დაათრევდა ფეხებს დაბნეული ოფიცრების წინ, სულ ახლახან სროლაში რომ ვარჯიშობდნენ სამიზნედ დაყენებულ მის სურათებზე. ის კი ისე ღრიალებდა, აჰყარეთ იარაღიო და ისეთი სიმტკიცე უჩანდა ხმაში, რომ ოფიცრებს არ დასჭირვებიათ სხვისი დახმარება, თვითონ დაჰყარეს იარაღი. ახლავე გაიხადეთ ეგ ფორმა, თქვენ ხომ კაცები არ ხა-

რო, და ოფიცრებმაც ფაცხაფუცხით გაიხადეს უნიფორმა. ჩემო გენერალო, სან ხერონიმოს ბაზაც აბუნტდა. ახლა იქით გაქანდა, მთავარი ჭიშკრით შევიდა ეზოში, ბებრულად ადგამდა უზარმაზარ ავადმყოფ ფეხებს. მთავარსარდლის დანახვაზე მხედრულად გაჯგიმულ გვარდიელებს ჩაუარა. შტაბში მარტო შევიდა, უიარალოდ, მაგრამ ისეთ ხმაზე აყვირდა, შიშის ფეთება შეუყენა სამხედრო ჩინოსნებს. ახლავე დაეყარეთ იატაკზე, ხელისუფალი მობრძანდა, პირქვე დაემხეთ-მეთქი, დამპლებო, და თვრამეტივე ოფიცერი მორჩილად დაემხო იატაკზე, მერე კი ამ უბედურებს ზღვისპირა სოფლებში დაათრევდნენ და აიძულებდნენ მიწა ეჯამათ. ყველამ უნდა დაინახოს, რას ნიშნავს ოფიცერს რომ მუნდირს გახდიან. ნაბიჭვრებო, ღრიალებდნენ ჯარისკაცებიც ათუხთუხებულ ყაზარმებში და ოფიცრების ოხტში ამოდოდნენ, ისინიც ითხოვდნენ ამბოხების მოთავეებისათვის ზურგში მიეჭვდათ ტყვია. ასეც გააკეთეს, შემდეგ კი გვამები ფეხებით დაკიდეს პაპანაქება სიცხეში, ერთხელ და სამუდამოდ შეიგნოს ყველამ, ვინც ღმერთს შეაფურთხებს, ეს დღე მოელის. აი, ასე, არამზადები. მაგრამ სისხლიან წმენდას მისთვის სიმშვიდე არ მოუტანია, შეთქმულების სნებამ, მას რომ ალაგმული ეგონა, კვლავ გამოჰყო თავისი საცეცები, ფესვებივით მოედო სასახლის დერეფნებს და შეუპოვრობით გამორჩეულ პრივილეგირებულ ოფიცრებს ამოფარებული, გადამწყვეტი დარტყმისათვის ნელ-ნელა იკრებდა ძალას. იგი იძულებული იყო ოფიცრებისთვის საკენკივით დაეყარა თავისი ძალაუფლების რალაც ნამცეცები მაინც, ნდობა გამოეთქვა მათთვის, თუმცა უმეტესად საკუთარი სურვილის წინააღმდეგ სწადიოდა ამას, სხვა გზა არ ჰქონდა, იცოდა, ოფიცრობა წარმოადგენდა მის მთავარ საყრდენს, მთელი უბედურება კი ის იყო, რომ მათ გვერდით თანაარსებობაც არ შეეძლო, არ შეეძლო ის ჰაერი ესუნთქა, რომელსაც ისინი სუნთქავდნენ, მაგრამ მარადიული სიცოცხლისთვის განწირულს ყველაფერი უნდა მოეთმინა. არამზადები, ეს ხომ უსამართლობაა. ეჭვის ჭია შეუჩნდა და აღარ ასვენებდა, თავისი ძვირფასი მეგობრის გენერალ როდრიგო დე აგილარის პატრიოტობა და ერთგულება ეჭვის სასწორზე შეაგდო. მტკივნეულად განიცდიდა ამ ეჭვს. კაბინეტში შემომაკითხა, სახეზე მკვდრის ფერი ედო, მკითხა, მართალია, მთელი ქვეყანა რასაც ლაპარაკობს თქვენზე, ორი ათასი ბავშვი ზღვაში ჩააძირვინაო. პრეზიდენტს არც კი ათრთოლებია ხმა, ჩემო მეგობარო, ეგა ჭორიკანა რენეგატების მოგონილია, ღვთის წყალობით, ბავშვები კარგად არიან, ყოველდამ მესმის მათი სიმღერა სადღაც იქიდან, და ხელი გაურკვეველი მიმართულებით გაიქნია. მეორე დღეს ელჩი ევანსიც კი გააოგნა თავისი აუღელვებელი პასუხით, არ მესმის, რომელ ბავშვებზე მეკითხებით, თქვენმა წარმომადგენელმა

ეროვნებათა საბჭოში აკი საჯაროდ განაცხადა, ბავშვები საღსალამათ-
ნი არიან და სკოლაშიც დადიანო, მეტი რაღა გინდათ, ბოლოს და ბო-
ლოს აღარ უნდა დამთავრდეს ამ გაუგებრობაზე ლაპარაკი. მაგრამ
გაუგებრობა არ დამთავრებულა, უსიამოვნება მაინც არ აცდა. ჩემო
გენერალო, გაიღვიძეთ, ორ გარნიზონში ამბოხებამ იფეთქა და აჯანყ-
დნენ კონდეს ყაზარმაშიც, რომელიც აქედან ხელის გაწვდენაზეა. აჯა-
წყებას გენერალი ბონივენტა ბარბოსა უდგას სათავეში. ხედავთ, რო-
გორ გალაღდა ეგ გაიძვერა, ათასხუთასი კაცი ჰყავს კბილებამდე შე-
იარაღებული კონტრაბანდული იარაღით, რომელიც ოპოზიციურად
განწყობილმა საელჩოებმა მიაწოდეს, ასე რომ, ჩემო გენერალო, დრო
აღარ ითმენს, კაცმა არ იცის, რა უბედურებას გვიმზადებენ. წინათ პო-
ლიტიკური ვულკანის ამდაგვარი ამოფრქვევა ბრძოლის ჟინსა და
რისკიანობას მატებდა პრეზიდენტს, მაგრამ ახლა მასზე უკეთ ვინ უწ-
ყოდა, რას ნიშნავდა წელთა სიმრავლე. ახლა მხოლოდ ერთი საბრუ-
ნავილა ჰქონდა, როგორმე დაედლია სხეულში იდუმალად შემოპარუ-
ლი რღვევა. ზამთრის ღამეებში ხელში მოიგდებდა ხოლმე თავის ჩა-
მოსიებულ, თიაქარიან კვერცხებს და ვიდრე ალერსითა და ღიღინ-
ღიღინით, დაიძინე, ჩემო ცის ნათელო, არ მიაყურებდა ამ გულქვა,
შეუბრალებელ ბავშვს, რომელსაც მბურღავი ტკივილის მეტი არაფერი
მოჰქონდა თავისი პატრონისათვის, მანამდე თვითონაც არ იძინებდა.
ღამღამობით თავის განუყრელ პორტატიულ უნიტაზზე უშედეგო ჯდომა
მართლაც რომ გაუსაძლის ტანჯვად ექცა, სულში ისე წვეთ-წვეთობით
ელვენთებოდა სისხლი, თითქოს ობმოდებულ ფილტრში იწურებაო,
მაგრამ რა დროს ეს არის, მთავარია გაერკვეს, ვინ ვინ არის, ხომ შე-
იძლება ერთ მშვენიერ დღეს ფეხი გადაუბრუნდეს, ხომ უნდა იცოდეს,
ვის ენდოს ამ საშინელ შავბნელ, უბადრუკ სასახლეში, რომელსაც მი-
სი ნება რომ იყოს, კარგა ხნის წინ სიამოვნებით გაცვლიდა ინდიელთა
ქობზე შორეულზე შორეულ სოფელში, სადაც არავის ეცოდინებოდა,
რომ ის ქვეყნის შეუსვლელი, წლებით დამძიმებული პრეზიდენტი იყო.
უსასრულოდ გაჭიმული წლების სათვალავი კი თვითონაც არეული ჰქ-
ონდა და მაინც როდესაც გენერალმა როდრიგო დე აგილარმა პრეზ-
იდენტს შუამავლობა შესთავაზა მასა და მეამბოხეებს შორის გონივ-
რული კომპრომისის მისაღწევად, თავისდა მოულოდნელად პირისპირ
შეეჩნება არა გამოყეყეჩებულ ბერიკაცს, რომელსაც აუდიენციებზე ეძ-
ინა ხოლმე, არამედ ძველებურად შემართულ ბიზონს, რომელმაც ეგ-
რევე მიახალა, ჩემი ფეხები გამოგივათ, გენერალო, არ გადავდგები.
როცა აგილარმა შეჰბედა, საქმე ის კი არ არის, თქვენ გადადგებით თუ
არ გადადგებით, საქმე ის არის, ჩემო გენერალო, რომ ყველანი ჩვენ
წინააღმდეგ გამოდიან, ეკლესიაც კი ეგრე გეგონოს, ეკლესია იმის მხ-

არგბეა, ვისაც ძალაუფლება უპყრია ხელთო, უპასუხა. როდრიგო დე აგილარმა კიდევ სცადა მისი დაყოლიება, შუამავლობა აუცილებელია, ჩემო გენერალო, თუნდაც იმიტომ, რომ ჩვენი გენერლები აგერ უკვე ორმოცდარვა საათია ბჭობენ და კაცმა არ იცის, რას მოიმოქმედებენო. მან კი უპასუხა, გაუშვი, ილაყბონ, ვნახავთ, რა კურდღელსაც დაიჭერენ, როცა გაიგებენ ვინ მეტს უხდის მათ. კი მაგრამ, ჩემო გენერალო, სამოქალაქო ოპოზიციის მოთავეები სრულიად აშკარად მართავენ მიტინგებს ქუჩაში, ხმას აუწია დე აგილარმა. მით უკეთესი, უპასუხა მან, ბრძანებას გავცემ, დე არმას მოედნის ლამპიონებზე ჩამოახრჩონ სათითაოდ. ყველას დავანახებ, ვინ არის ამ ქვეყნის მმართველი. ეს შეუძლებელია, ჩემო გენერალო, ხალხი მათ მხარეზეა. ტყუილია ეგ, ხალხი ჩემს მხარეზეა, ასე რომ, მკვდარს თუ გამიტანენ აქედან, თორემ ცოცხალს ვერაფერს დამაკლებენ. და მან მაგიდას დაჰკრა დამუშტული ქალური ხელი. ასე სჩვეოდა ყოველთვის, როცა კი საბოლოო გადაწყვეტილებას იღებდა. გენერალი როდრიგო დე აგილარი უბოდნიშოდ მიატოვა და თავის საძინებლისკენ გაემართა, მანამდე ეძინა, სანამ ძროხების წველის დრო არ დადგა. ალიონზე საძინებლიდან გასულს კი სხდომათა დარბაზი შუშის ნამსხვრევებითა და ქვებით სავსე დახვდა, ეტყობა, კონდეს ყაზარმიდან მემამბოხეებმა კატაპულტის საშუალებით დასცხეს ქვები სასახლის ფანჯრებს, მერე ცეცხლმოკიდებული საჭაერო ბუშტებიც მიაყოლეს ჩამსხვრეულ ფანჯარებში. მთელი ღამე თვალი არ მოგვიხუჭავს, ჩემო გენერალო, ზოგი წყლით, ზოგიც ფარდაგებით ვაქრობდით ცეცხლს. რომ გენახათ, ჩემო გენერალო, არ დაიჯერებდით, ერთ ადგილზე რომ ჩავაქრობდით, მეორე ადგილზე სწორედ იქ ჩნდებოდა ხანძარი, სადაც ნაკლებად ველოდით. იგი დიდად არ შეუშფოთებია ამ ამბავს ხომ გითხარით, ყურადღებას ნუ მიაქცევთ-მეთქი, ფერფლით მოფენილ დერეფნებში, დანაფლეთებულ ხალიჩებსა და ფარდაგებზე დაათრევდა თავის მკვდრის ფეხებს და ეტყობოდა, სადღაც ფრენდა მისი ფიქრი. კი მაგრამ, ისინი არ ცხრებიან, ჩემო გენერალო, ასე შემოგვითვალეს, ცეცხლმოკიდებული ბუშტები გაფრთხილება იყო, მალე ყუმბარებს გამოგიგზავნითო. რით ვერ გაგაგებინეთ, ნუ მიაქცევთ-მეთქი ყურადღებას, ხმას აუწია მან და ბალისკენ გასწია. მიალაჯებდა ხეივანში და უსმენდა, განთიადის მდუმარებაში შრიალით როგორ იფურჩქნებოდნენ ვარდის კოკრები, გრძნობდა, ზღვის ქარი როგორ უღვიძებდა მამლის სურვილს. როგორ მოვიქცეთ, ჩემო გენერალო. დასწყევლოს ღმერთმა, რამდენჯერ უნდა გითხრათ, ყურადღებას ნუ მიაქცევთ-მეთქი. დილის ჩვეულებას არც ახლა უღალატა, ფერმაში წავიდა, ძროხების წველას თვალი მიადევნა, მერე კი, როგორც ყოველთვის ყოველ ალიონზე, კონდეს ყაზარმაში ექვსი კასრი რძ-

ით დატვირთული ჯორშებმული ფორანი გაგზავნა. მეფორნეც, როგორც ყოველთვის, იგივე იყო. მართალია, თქვენ იმ ხელს კბენთ, რომელიც გაჭმევთ და გასმევთ, მაგრამ ჩემმა გენერალმა მაინც გამოგიგზავნათ რძე. ეს სიტყვები მეფორნემ ისეთი გულწრფელობით, ისეთი სიალალოთ წარმოთქვა, რომ გენერალმა ბონივენტა ბარბოსამ ბრძანა მიეღოთ რძე, მაგრამ ერთი პირობით, ჯერ მეფორნემ დალიოს, ხომ შეიძლება მოწამლული იყოსო. რკინის ჭიშკარი გააღეს, ათას ხუთასი გვარდიელი ყაზარმის აივნებიდან გაფაციცებით ადევნებდა თვალს ფორანს, რომელიც კენჭებით მოკირწყლულ შუა ეზოში შეჩერდა. დაინახეს, ფორანზე როგორ აძვრა გენერალ ბარბოსას დენშიჩიკი დოქითა და ჩამჩით ხელში, დაინახეს, როგორ მოხსნა ერთ კასრს თავი, დაინახეს როგორ აიტაცა ჰაერში ცეცხლოვანი აფეთქების ეფემერულმა ტალღამ და მეტი აღარც არაფერი დაუნახავთ და ველარც დაინახავენ ან და მარადის, უკუნითი უკუნისამდე, ფერფლადქცეულნი ჩაიკარგნენ ამოფრქვეული ვულკანივით ცაში ავარდნილი ყვითელი პირქუში შენობის ნანგრევებში. ექვსმა კასრმა დენთმა თავისი საქმე გააკეთა, მთელი ყაზარმა მიწასთან გაასწორა. ამ ადგილას ყვავილიც კი აღარასოდეს ამოვა მერე. ესეც ასე, შვებით ამოისუნთქა მან, როცა აფეთქების ტალღამ სასახლემდეც მიაღწია და შეაბარბაცა. მარტო კონდეს ყაზარმა კი არაა, მახლობელი ოთხი სახლიც დაინგრა. ქალაქშიც და გარეუბნებშიც, თითქმის ყველა სახლში დაიმსხვრა ქორწილებში ნაჩუქარი ჭურჭლეულიც, რომელიც შუშის კარადებს ამშვენებდა. ესეც ასე, შვებით ამოისუნთქა მან, როცა პორტის ციხე-სიმაგრედან ნაგვის ფორნებით გაიტანეს თვრამეტი ოფიცრის გვამი. ტყვია-წამალი რომ დაეზოგათ, ეს საცოდავები ორ რიგად დააყენეს და ისე დახვრიტეს. ესეც ასე, შვებით ამოისუნთქა მან. როცა როდრიგო დე აგილარი გამოეჭიმა და მოახსენა, ჩემო გენერალო, ციხეები პოლიტიკური მოწინააღმდეგეებით გადაიჭედაო. ესეც ასე, შვებით ამოისუნთქა მან, როცა მხიარულად აწკრიალდნენ ზარები, ფერადი მაშხალები შეესივნენ ცას, შესრულდა კიდევ ას წელიწადს სიმშვიდისა და სიკეთის ბურჯის, პირველი კაცის სადიდებელი ჰიმნი. ესეც ასე, როგორც იქნა, ბოლო მოეღო არეულობას. გამარჯვებით გათამამებულმა ისე დაიჯერა საკუთარი უძლეველობა, რომ სრულიად გადაავიწყდა საკუთარი უსაფრთხოება. ერთ სისხამ დილით ფერმიდან სასახლეში რომ ბრუნდებოდა, მოულოდნელად კეთროვანი გადმოუხტა ვარდის ბუჩქიდან. შიშის ელდამ წამით დაუბინდა გონება, მხოლოდ მაშინ გამოერკვა, როცა ოქტომბრის წვიმის მტრედისფერ ბადეში ყორანივით შავმა რევოლვერმა გაიელვა, როცა აკანკალებული თითით ჩახმახის გამოკვრას აპირებდა. პრეზიდენტმა მკერდი წინ წამოსწია, მკლავები გადაშალა, აბა, ყოჩაღად, ბრიყვო,

ყოჩაღად-მეთქი. დარწმუნებული იყო, ასე აღსასრული არ ელოდა, არა, ეს იმ სიკვდილს არ ჰგავდა, ოდესღაც, ძალიან დიდი ხნის წინათ ნათელმხილველმა რომ უწინასწარმეტყველა. არა, ეს სიკვდილი სულაც არ ჰგავდა კამკამა პირველქმნილ წყალში ამოკითხულ სიკვდილს. მესროლე, რაღას უცდი, მესროლე-მეთქი თუ ხარ ვაცი, მთელ ხმაზე ყვიროდა იგი. კეთროვანი შეცბა, თვალეში მარტოსული ვარსკვლავი ჩაუქრა, ტუჩის კუთხეები ჩამოეშვა და კანკალმა აიტანა, წამიც და, უროსავით მუშტი მოხვდა ყურში, მიწაზე წაქცეულსაც წიხლები დააყარეს. ყვირილზე მცველები აქეთ გამოქცეულიყვნენ, რა მოხდა, გენერალო. იმავე წამს გაისმა ხუთი გასროლა, ხუთი ლურჯი ნაპერწკალი გასხლტა ბაღში, კეთროვანმა მუსცელში დაიხალა რევოლვერი, რათა კაციჭამია გვარდიელებს ცოცხალი არ ჩავარდნოდა ხელში. მან კი სისხლის გუბეში მცურავ დაკრუნჩხულ გვამს გადაალაჯა და ხმის ჩახლენამდე ყვირილით, რომელმაც გადაფარა სასახლის ბინადართა შეშფოთებული შეძახილები, ბრძანა, გვამი აექნათ და გამოეშროთ, დამარილებული თავი სხვათა ჭკუის სასწავლებლად დე არმას მოედანზე გამოედოთ, მარჯვენა ფეხი აღმოსავლეთით, სანტა მარია დელ ალტართან გამოეკიდათ, მარცხენა ფეხი დასავლეთით, უდაბნოში, გვარჯილის საბადოებზე, ერთი ხელი ზეგანზე, მეორე სელვაში, ღორის ქონში შემწვარი გვამის ნაწილები ქვეყნის ყველა მხარეში, ამ ბინძური ბორდელის ყველა განედსა თუ მიუვალ, სახიფათო ადგილებში, მზესა და ქარში გამოეფინათ მანამ, სანამ ცარიელი ძვლები არ დარჩებოდა. ყველამ უნდა გაიგოს, რა ელის იმას, ვინც თავის მამაზე აღმართავს ხელს. ამ ბრძანების გაცემის შემდეგაც ვერ დაშოშმინდა, რისხვისაგან გამწვანებული შეძვრა ვარდის ბუჩქში და იქიდან ადევნებდა თვალს, მისი გვარდიელები კეთროვნებს ხიშტებზე როგორ აგებდნენ მატლებივით. სასახლეში დაბრუნებული, კიბეზე ასვლისას მუჯლუგუნებით აღვიძებდა ხეიბრებს. ბოზიშვილებო, უმადურებო, თავი ასწიეთ, შემომხედეთ, თუ იცით, ვისი წყალობით მოვევლინეთ ამ ქვეყანას თუ იცით, ვინ დააორსულა თქვენი დედები, თუ იცით-მეთქი, ძაღლისშვილებო დერეფანშიც მთელ ხმაზე გაჰყვიროდა, გზა მომეციო, წყეულებო, ხელისუფალი მოდის. უკან მისდევდნენ შიშით დაზაფრული ჩინოვნიკები, უკვდავი ხარო, ელაქუცებოდნენ, ის კი მიალაჯებდა და უკან ტოვებდა ლავასავით გავარვარებულ ხვნეშას. ელვასავით გადაუარა სახელმწიფო საბჭოს სხდომათა დარბაზს, იქიდან პირდაპირ თავის საძინებელში შევარდა, სამ ბოქლომზე, სამ გასაღებზე, სამ ურდულზე ჩაკეტა კარი და ჩასვრილი შარვლის გახდას მოჰყვა. იხდიდა ფრთხილად, თითის წვერებით, რათა არ ამოქვარქნილიყო საკუთარ განავალში. და მაინც ვერც ახლა მოიპოვა სულის სიმშვიდე, იმ კეთროვანს რომელ-

ილაც ჩინოვნიკმა ჩაუდო ხელში იარაღი. შფოთავდა, გრძნობდა, მტერი სულ ახლოს იყო, ხელის გაწვდენაზე, თანაც ისეთი ახლობელი რომ თავფლიანი ქილები სად მაქვს დამალული, ალბათ ისიც იცისო. ნამდვილად ჭუჭრუტანაში უთვალთვალეებს, კედლებს მისი ყურები აქვთ გამობმული, ჩემი სურათებივით, ალბათ, ყოველ წუთსა და ყოველ ნაბიჯზე მხედება სასახლეში, მისი არსებობა იგრძნობა იანვრის ქარების ქროლვასა და ცხელი ღამეების ჟასმინის სურნელშიც. ის უძილობაა, კომმარია, მოუშორებელი ჭირია, ის სასახლის ყველა კუთხე-კუნჭულში ფუთფუთებს, სიბნელეში ბორიალობს უხილავი, საზარელი აჩრდილივით, მაგრამ ერთ საღამოს დომინოს თამაშისას ამ კომმარულმა აჩრდილმა მოულოდნელად მატერიალური სახე მიიღო. დიახ, ეს მისი ხელია, დომინოს ქვას რომ დებს მაგიდაზე. შინაგანმა ხმამ უკარნახა, სწორედ ეს არის მოღალატის ხელიო. ეშმაკმა დალახვროს, აქამდე როგორ ვერ მიხვდა, არაფერი შეიმჩნია, თვალეები ასწია და მაგიდის თავზე დაკიდულ ლამპის შუქზე პირისპირ შეეჩეხა თავისი განუყრელი მეგობრის არტილერიის გენერალ როდრიგო დე ავილარის ლამაზ, მეტყველ თვალეებს. შეუძლებელია, როდრიგო ხომ ჩემი მარჯვენა ხელია, მეგობრობას მეფიცება, მაგრამ არა, ვერ მომატყუებს, თავს მაჩვენებს მეგობრად. ეჭვმა გონება აუძღვრია. სულ რაღაც ერთ წამში ყველაფერი თავდაყირა დაინახა. თურმე ატყუებდნენ, რატომ ვერ მივხვდი, ამდენი წელი ვითომ გვერდით მედგა ძვირფასი მეგობარი, ახლობელი ადამიანი და თურმე მედროვე პოლიტიკოსების სამსახურში კი ყოფილა. მაგრამ ნეტავ ვის უბრაზდება, საკუთარი მიზნების მისაღწევად განა თვითონ არ გამოათრია ბნელ-ბნელი სოროებიდან ეს პოლიტიკოსები, განა მან არ აღაზვეა ისინი, განა მან არ ჩასვა ეს გაიძვერები ოქროში ფედერალური ომის მერე, განა მან არ მიანიჭა მათ განუზომელი უფლებები, განა მისი ხელშეწყობით არ გამდიდრდნენ და გაბულუქდნენ ისე, რომ საცოდავ არისტოკრატიას არც დაესიზმრება ასეთი ყოფა, თუმცა სადღაა ახლა არისტოკრატია, ლიბერალურმა ქარებმა გაფანტეს ისინი კიდით კიდემდე, ამ ნაბიჯვარებმა კი მეტისმეტი მოინდომეს, ღვთის რჩეულის ადგილს, ჩემს ადგილს ეპოტინებიან და თავიანთი მზაკვრული მიზნების განსახორციელებლად ისეთ ადამიანს ირჩევენ, ვისაც მე სრულიად ვენდობი და საქვეყნო საქმეების გამო ხშირად ვხვდები. ასეთი დაახლოებული პირი კი გენერალი როდრიგო დე ავილარია. ყველა ვანონსა და დადგენილებას იგი ჯერ გეპირად აყალიბებდა, სათანადო შენიშვნების დართვის შემდეგ ქალაღებზე გადაჰქონდა და სწორედ ეს ქალაღები და სხვა საბუთები შეჰქონდა მასთან ხელმოსაწერად. ისიც მურწასმულ ცერა თითს აჭერდა საბუთის ბოლოში და ბეჭედსაც არტყამდა. მაშინ ეს ბეჭედი სეიფში ინახე-

ბოდა, სეიფს კი მის გარდა ვერავინ გააღებდა, შიფრი მხოლოდ მან იცოდა. რაღა გიჭირთ, გამოსახოცი ქალაღი ბლომად გაქვთ, სიცილით ეუბნებოდა დე აგილარს ხელმოწერილი საბუთების დაბრუნებისას. მაშ ასე, გენერალმა დე აგილარმა მოახერხა შეექმნა სხვა სახელისუფლო სისტემა, შეექმნა საკუთარი სახელმწიფო ისე მძლავრსა და უზრუნველყოფილ სახელმწიფოში, როგორც ჩემია. ეტყობა, ეცოტავა, მეტი მოინდომა და კონდეს ყაზარმაც გადაიბირა, ამიბუნტა. ამ საქმეში ელჩი ნორტონი, თავისი ფარიკაობის მასწავლებელი დაეხმარა. ორივენი ერთად დაეთრეოდნენ ჰოლანდიელ ბოზებთან სწორედ ამ ნორტონმა მიაწოდა კონტრაბანდული იარაღი, ნორვეგიული თევზის კასრებით შემოაპარა, ისარგებლა იმით, რომ დიპლომატებს საზღვარზე არ ჩხრეკენ, ბაჟსაც არ ახდევინებენ. ღმერთო ჩემო, ვიღას უნდა ენდო, როგორ მეპირფერებოდა დომინოს თამაშის დროს, შენს სახელმწიფოზე უფრო მეგობრული და სამართლიანი სახელმწიფო ჯერ არ მინახავსო. არადა, ნამდვილად მაგათმა ჩაუდეს ხელში იმ კეთროვანს რევოლვერი, თუმცა სულაც არ იყო ის კაცი კეთროვანი, მოისყიდეს ვიღაცა ხუთი ათას პესოდ. კუპიურები წინასწარ გაუჭრიათ შუაზე, ერთი ნახევარი თავდამსხმელის სახლში იპოვეს ჩხრეკისას და აღმოჩნდა, რომ კუპიურების მეორე ნახევარი ჩემი მოკვლის მერე უნდა გადაეცა მკვლელისათვის ჩემს ძვირფას მეგობარს გენერალ როდრიგო დე აგილარს. ხომ წარმოგიდგენია, დედა, რა მწარეა, ასეთ ამბავს რომ შეიტყობ. თავდასხმა ხომ ჩაუფლავდათ, მაინც არ იშლიან თავისას, ახლა უსისხლოდ უნდათ მომიშორონ. ჭორებს მიგონებენ. დე აგილარი შინაურებს ალაპარაკებს ჩემზე, ხალხში კი თვითონ ავრცელებს, ისაო, ღამით არ ძინავსო, ლარნაკებს, ეროვნული გმირებისა და არქივისკოპოსების სურათებს ელაპარაკებაო, ძროხებს თერმომეტრს ურჭობს უკან ტემპერატურის გასაზომად და სიცხის დასაწევ აბებსაც აყლაპებსო. ვითომ მე გავეცი ბრძანება, აკლდამა აეშენებინათ ადმირალისათვის, რომელიც თურმე მხოლოდ ჩემს ავადმყოფურ წარმოსახვაში არსებობს, არადა, საკუთარი თვალით დავინახე ჩემი ფანჯრიდან ღუზაზე მდგარი სამი კარაველა. დე აგილარი და მისი დამქაშები ჩემს მამხილებელ საბუთებს აგროვებენ, თითქოს მთელი ხაზინა გამოვაცარიელე, რაღაც წარმოუდგენელი; ეშმაკური ხელსაწყოები ვიყიდე და მერე, ოღონდ კი სილამაზის დედოფლის გული მომეგო, თურმე ასტრონომები ვაიძულე, ამ ხელსაწყოებით დაერღვიათ მზის სისტემა. თურმე ნუ იტყვი და ეს დედოფალიც ჩემი ბოდვების ნაყოფია, თურმე მე, გამოთავყვანებულმა ბებერმა, ვბრძანე, ცემენტით დატვირთული ბარჯებით ორი ათასი ბავშვი გაეყვანათ ზღვაში და აეფეთქებინათ. წარმოგიდგენია, დედა, რა ხალხთან მაქვს საქმე, რა გათახსირებულე-

ბი არიან. ამასობაში გენერალმა როდრიგო დე აგილარმა შეაგროვა ყველა აუცილებელი საბუთი და გვარდიის შტაბში ოფიცრებთან მოლაპარაკება გამართა იმის თაობაზე, თუ რა გზით და როგორ მოეთავსებინათ პრეზიდენტი ცნობილ მოხელეთა თავშესაფარში. ეს სახლი ზედ კლდის თავზე იდგა და იქ ყოფილი დიქტატორები ცხოვრობდნენ. მოილაპარაკეს და გადაწყვიტეს, ამა წლის პირველ მარტს პირადი დაცვის წევრების მფარველი ანგელოზის დღეს, რომელიც ტრადიციულად ყოველ წელს აღინიშნებოდა ხოლმე დიდი ზარ-ზეიმით, დაამხონ პრეზიდენტი. ე. ი. სამი დღის შემდეგ, ჩემო გენერალო. სახეზე კუნთიც არ შერხევია, არაფერზე დასტყობია, მის საწინააღმდეგო შეთქმულებაზე ყველაფერი რომ იცოდა, გულლიად შეხვდა ძვირფას სტუმრებს, თავისი დაცვის ოფიცრებს. სუფრასთან მიიწვია, აპერიტივი შესთავაზა, ვიდრე გენერალი დე აგილარი მობრძანდება და მთავარ სადღეგრძელოს იტყვის, თითო ჭიქა გადავკრათო. მშვიდად ებაასებოდა სტუმრებს, ხუმრობდა, ოფიცრები კი ხშირ-ხშირად დაჰყურებდნენ საათებს, ყურთან მიჰქონდათ, ქოქავდნენ, სადაცაა თორმეტი გახდება, გენერალი როდრიგო დე აგილარი კი არ ჩანს. საშინლად ჩამოცხა დარბაზში, ჰაერი დაიხუთა, მაგრამ ეს იყო გასაოცარი კეთილსურნელოვანი უჰაერობა, იდგა გლადიოლუსების, ტიტებისა და ვარდების სურნელი, და მაინც სუნთქვა ჭირდა, ვილაცამ ფანჯარა გააღო, ყველამ მოვითქვით სული, კვლავ საათებს დავხედეთ, ღია ფანჯარაში შემოიჭრა მსუბუქი ბრიზი და სადღესასწაულო კერძების მადისაღმძვრელი სუნი. მასპინძლის გარდა ყველანი ოფლში ვცურავდით, თვალს ვერ ვუსწორებდით ამ გადაღძუებულ პირუტყვს. თვალებს დაუხუჭავად ახამხამებდა, თითქოს სადღაც საკუთარი სივრციდან, გარდასულ წელთა სიღრმიდან შემოგვცქეროდა ბებერი მხეცი. თქვენ გაგიმარჯოთ, დაბინდული ჭიქა ასხია მასპინძელმა. მთელი საღამო ჭიქას ჭიქაზე უჭახუნებდა ყველას, პირთან მიჰქონდა, მაგრამ არ სვამდა. უცებ ჩამოვარდნილი სიჩუმე საათის გუგუნმა გაჰკვეთა, გენერალი დე აგილარი კი არა და არ ჩანდა. ვილაცამ წამოდგომა დააპირა, მაგრამ გამანადგურებელმა და იმავდროულად თავაზიანმა მზერამ ადგილზე მიაღურსმა, თუ შეიძლება, დაბრძანდით. ყველანი მიხვდნენ, ოდნავი შერხევა და ცუდად წავიდოდა საქმე, შერხევა კი არა, მისი ნებართვის გარეშე სუნთქვაც კი იკრძალებოდა. საათმა მეთორმეტეჯერ რომ ჩამოჰკრა, კარზე ფარდა გადაიწია და გამოჩნდა ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე, დივიზიის გენერალი როდრიგო დე აგილარი მთელი ტანით ვერცხლის ლანგარზე დადებული, სალათისა და დაფნის ფოთლებით მორთული, შებრაწული და პირში ოხრახუშგაჩრილი. ლანგარი მაგიდაზე დადგეს და მორჩილი ოფიციანტებიც მაშინვე შეუდგნენ მის დაჭრას. როცა თავბარდაცემულ სტ-

უმრებს სათითაოდ ჩამოურიგეს თავდაცვის მინისტრის ნიგვზითა და მწვანელით შეზავებული ხორცის ნაჭრები, ჰაერი გაჰყვითა წვეულების დაწყების მაუწყებელმა ბრძანებამ, აბა, მიირთვით, სენიორებო.

*

ცხოვრებაში, იმდენ წყალქვეშა კლდეს, იმდენ მიწიერ უბედურებასა თუ ციურ ცეცხლოვან ბურთულებს გადაურჩა, რომ დღეს უკვე აღარავის სჯეროდა, ოდესმე თუ ახდებოდა ნათელმხილველის წინასწარმეტყველება და ბოლოს და ბოლოს ის მოკვდებოდა. მისი სიკვდილი მართლაც ძნელად დასაჯერებელი იყო და ვიდრე ნაპოვნი გვამის გაპატიოსნებასა და დამარხვაზე მსჯელობდნენ ჩვენც კი, ვისაც ნაკლებად გჯეროდა მისი უკვდავებისა, თავს არ ვუტყდებოდით, თორემ მომავლის შიში, ცოტა არ იყოს, ჩვენც შემოგვეპარა. თუ ეს მიცვალებული მართლა ის არის, მაშინ ნაწინასწარმეტყველების მეორე ნაწილიც უნდა აღსრულდეს. მისი სიკვდილის დღეს ჭაობებიდან გადმოსკდება შლამი, სისხლის წვიმები აავსებენ მდინარეებს, კრუხები ხუთკუთხა კვერცხებს დადებენ, დედამიწაზე გამეფდება მდუმარება და წყვდიადი, ერთი სიტყვით, დადგება ქვეყნიერების დასასრული. მისი სიკვდილის დაჯერება ძნელი იყო იმიტომაც, რომ ჯერ კიდევ შემორჩენილ ორიოდ გაზეთში ძველებური თავგამოდებით წერდნენ მის უკვდავებაზე, აზვიადებდნენ მის ისტორიულ დამსახურებას ქვეყნისა და ხალხის წინაშე და თავიანთ ნააზრევს არქივებში მოპოვებული დოკუმენტებით ამაგრებდნენ. თითქოს დრო-ჟამი შეჩერდაო. მისი ერთი და იგივე სურათი მუდამდღე იბეჭდებოდა გაზეთების პირველ გვერდზე. ერთი და იგივე მუნდირი ეცვა, სამხრეებზე ამოქარგული ჰქონდა იმ კეთილად მოსაგონარი წლებიდან სამახსოვროდ შემორჩენილი ხუთი ნალვლიანი მზე. ეს იყო ღირსეული, საქმის წყურვილით სახეანთებული ჯანიანი კაცი, თუმცა მის ასაკზე უკვე ველარაფერს ვამბობდით, სათვალავი კარგა ხანია არეული გვექონდა, გაზეთები სხვა სურათებსაც ბეჭდავდნენ ყოველდღე. ხან დიდი ხნის წინათ გახსნილ ძეგლებს ხსნიდა, ხანაც რეალურად არარსებულ კომუნალურ დაწესებულებებს. ერთ სურათზე გადაღებული იყო წინა დღით ჩატარებულ საზეიმო სხდომის თავმჯდომარეობისას, სინამდვილეში ეს სხდომა წინა დღეს კი არა, გასული საუკუნისა იყო. ძალიანაც კარგად ვიცოდით, გაზეთები რომ ცრუობდნენ. ლეტისია ნასარენოს საზარელი სიკვდილის შემდეგ ხომ ის სხდომაზე კი არა, საერთოდ, არსად აღარ გამოჩენილა. მარტოდმარტო ცხოვრობდა უკაცრიელ სასახლეში, სახელმწიფო საქმეები კი უხსოვა-

რდროინდელი უსაზღვრო ძალაუფლების აქამდე მოღწეული ინერციით მიედინებოდა. ვიცოდით, რომ ის განდევილივით ცხოვრობდა ამ ლამის წაფერდებულ, იავარქმნილ შენობაში, რომლის ფანჯრებიდანაც გულდამძიმებულები შევეყურებდით პირქუში მიმწუხრის დადგომას. თავისი ილუზიების – ტახტზე მოკალათებული ალბათ ისიც ასევე შეჰყურებდა ამ სურათს წლების მანძილზე. ჩვენ ვნახეთ, შუქურას სხივი ზღაპრულ მწვანე ტალღასავით როგორ ევლებოდა დანგრეულ პალატებს, დავინახეთ მბჟუტავი ლამპები სამინისტროების დამსხვრეულ მშემიკრულ ფართო შუშებს მიღმა. სამინისტროთა შენობები დატაკებს დაეპროთ მას შემდეგ, რაც მრავლიდან ერთ-ერთმა ციკლონმა პორტის შემოგარენში ბორცვებზე შეფენილ ქოხმახებს გადაუარა და აქეთ-იქით მიჰყარმოჰყარა. დავინახეთ ქვემოთ გადაშლილი კვამლის თხელ მარმაშში. გახვეული ქალაქი. დავინახეთ მოუხელთებელი ჰორიზონტი, რომელიც დროდადრო მაშინ გამოჩნდებოდა, როცა ვაკებზე მიმოფანტულ ფერფლოვან კრატერებს ცაზე გაკვესებული ელვის მკრთალი შუქი გადაურბენდა ხოლმე. ამ უკიდევანო ვაკებზე ერთ დროს ან გაყიდული ზღვა შრიალებდა. ეს პირველი ღამე იყო უმისოდ და ჩვენც მთელი სიგრძე-სიგანით დავინახეთ მისი უზარმაზარი იმპერია ციებიანი ტბებითა და მდინარეთა ჩამყაყებულ დელტებში ჩაფლული უჰაერო სოფლებით, ჩვენ ვნახეთ სიხარბის მავთული, რომელიც ერთმანეთისაგან ჰყოფდა მის კუთვნილ პროვინციებს. მინდვრებს მოსდებოდნენ უახლესი ჯიშის ძროხები, რომლებსაც დაბადებიდანვე თანდაყოლილ ლაქასავით აჩნდათ პრეზიდენტის დამლა. სულ ახლახან გვჯეროდა, რომ ის დიდხანს იცოცხლებდა, კომეტის მეორე კი არა, მესამე გამოჩენამდე კი, და ეს გვახსენებდა ხვალინდელი ბედნიერი დღის რწმენით. თუმცა ცოტას კი ვქილივობდით მის ხნოვანებაზე. ქცევითაც და გარეგნობითაც ხან კუს ვამსგავსებდით, ხან სპილოს. დუქნებში ანეკდოტებს ვყვებოდით და სიცილით ვიხოცებოდით. ერთხელ თურმე სახელმწიფო საბჭოს წევრებისათვის ვილაცას ამბავი მიუტანია, პრეზიდენტი მოკვდაო. დაფეთებული მინისტრები ერთმანეთს ეკითხებოდნენ თურმე, ვინ წავა და ვინ შეატყობინებს მას ამ ამბავსო. ხა, ხა, ხა. მაგრამ იმ ხანებში უკვე აღარც აინტერესებდა, რას ლაპარაკობდნენ მასზე. რაკი მესხიერების კიდობანში წარსული ცხოვრებიდან აღარაფერი დარჩენოდა ერთი-ორი ნაგლეჯის გარდა. რომც დაინტერესებულიყო, მაინც ვერ მიხვდებოდა, მართალს ამბობდნენ თუ ტყუილს. ყველასაგან მიტოვებული და სარკიდან მზირალი გამოსახულებასავით ყრუ დაფრატუნობდა იგი პირქუშ ოთახებში თავისი ბრტყელტერფა ფეხებით. ერთხელ მოეჩვენა, სერთუკსა და გახამებულ პერანგში გამოწყობილმა ვილაც კაცმა, თითქოს რაღაცას ანიშნებსო, თეთრი ცხვირსახოცი

დაუქნია, მანაც მშვიდობითო, წაილულლულა. ეს თავისთავად უცნაური და გაურკვეველი ცხვირსახოცის ფრიალი ლამის რიტუალად დამკვიდრდა სასახლეში. მსახურებსა თუ ყარაულებს, კეთროვნებსაც კი, სადაც არ უნდა ყოფილიყვნენ, სასახლის დერეფნებსა თუ ბაღში, ევალეობდათ მის დანახვამზე წამომდგარიყვნენ და ცხვირსახოცი დაექნიათ, მშვიდობით, ჩემო გენერალო. მაგრამ მოხუცს მათი ხმა არ ესმოდა და, საერთოდაც, აღარაფერი ესმოდა ლეტისია ნასარენოს სიკვდილის დღიდან. სწორედ იმ დღეს შეამჩნია, რომ მის ჩიტებს ხმა შესუსტებოდათ, ეტყობა, მეტისმეტი სტვენა-ჭიკჭიკისგან მოუვიდათ, იქნებ ისევ ამღერდნენ ხმამაღლაო, ნისკარტში პიპეტით კანტორინას აწვეთებდა. თვითონ უმღეროდა გარდასულ, უხსოვარი დროის სიმღერებს, იანვრის დიდებულო მზეო, უმღეროდა და ვერ ხვდებოდა, ჩიტებს კი არ ეკარგებოდათ ხმა, თვითონ აკლდებოდა ყურს, ერთ დღეს კი ყურებში ერთბაშად შეუწყდა გუგუნი, ჯერ როგორღაც დანაწევრდა, მერე თანდათან მიიღია და გადაიქცა კირნარევი ჰაერად, რომელშიც ძლივს აღწევდა ძალაუფლების ნისლში გზაარეული ილუზიური ხომალდების ნაღვლიანი გუგუნი. ახლა უკვე სადღაც შიგნიდან, სულის სიღრმიდან სწვდებოდა მის ყურთასმენას წარმოსახვითი ქარების ხმაური და ჩიტების ჟრიაბული და ეს სულის ჩიტები უფრო მეტად ეფონებოდა გულზე, ვიდრე დუმილის ქვესკნელში მიკარგული რეალური ჩიტები. მხოლოდ ერთ-ორ კაცს თუ ჰქონდა სამთავრობო რეზიდენციაში შესვლის უფლება და ისინიც პრეზიდენტს უმეტესწილად საჩუქველად სავარძელში მთვლემარეს ხედავდნენ. შუადღის სიცხისაგან შეწუხებული, ხალათგადაღეღილი, უჩექმოდ და მეწამულისფერი წინდების ამარა იჯდა და თვლემდა. რომის პაპმა გამოუგზავნა თავისი სანაქებო მქსოველების ნახელავი თორმეტი წყვილი ასეთი წინდა, სამშობლოს დროშის ფერებად აჭრელებული ხმალიც იქვე ესვენა. ძილბურანში ჩაძირული ბერიკაცი ხედავდა, მახლობელი კოლეჯის ცნობისმოყვარე მოსწავლე გოგონები როგორ მოძვრებოდნენ, უკვე მერამდენედ, არცთუ საიმედოდ დაცულ ღობეზე, რათა თვალი შეეფლოთ უძილო თვლემამში წასულ, ფერგაცრეცილ, საფეთქელზე ბალახმიდებულ უძრავად მჯდომი ბეხლექისათვის. ყვავილთა ჩრდილები ყვითელ ლაქებად დაჰფენოდა ტანზე და იაგუარს ჰგავდა, გუბის ფსკერზე განცხრომით გაწოლილ მანტარაიასავით — წყლის ეშმაკივით დაელო პირი. ბებერო ჩერჩეტო, აბრაზებდნენ გოგონები, ის კი პაპანაქება სიცხის მოცახცახე ბადის მიღმა შესცქეროდა მათ, უღიმოდა და უქნევდა ხელს, ამჯერად უხელთათმნოს. ხმა კი არც გოგონებისა ესმოდა, არც ჭრიჭინებისა და, საერთოდ, აღარც არაფრისა, მხოლოდ სუნს გრძნობდა, მქროლავი ბრიზის მიერ მოდენილი შლამისა და ამყრალებული კრევეტების სუნს, გრ-

ძნობდა, ქათმები როგორ უკენკავდნენ ფეხებს, სააქაოში მხოლოდ მაშინ ბრუნდებოდა, როცა ყველაზე ძვირფასი მოგონება, ძველი და ფერგადასული ერთიორი ნაგლეჯი წარსულისა, შეურხევდა გონებას. ეს მოგონებები აცოცხლებდა მას, თუმცა სახელმწიფო საქმეებს კარგა ხნის ჩამოშორებული იყო, ოდინდელი ძალაუფლების ღრუბლები მაინც არ ეშვებოდნენ და ისიც ამ ღრუბლებში დაფრინავდა უაზროდ და ამჩატებული, ამ მოგონებების წყალობით ერკინებოდა ღრმა სიბერის ქარის სასიკვდილო ქროლვას, საღამოობით უკაცრიელ, გაუდაბურებულ სასახლეში დაბორილობდა ან მდუმარებაში ჩაყურსულ კაბინეტს აფარებდა ხოლმე თავს. აქ იგი ძველისძველი დავთრიდან გლეჯდა ნაწერ ფურცელს, ახევდა სუფთა კიდეს და ამ ზოლივით ჩამონახევზე ლამაზად გადაჰქონდა ის, რაც წარსულიდან ამოუტივტივდებოდა გონებაში და რაც მას სიკვდილისგან იცავდა. ერთ საღამოს მან დაწერა, ჩემი სახელია საკარიასი. შუქურას წამით გაელვებულ შუქზე რამდენჯერმე წაიკითხა თავისი სახელი ხმამაღლა, ერთხელ, ორჯერ, ათჯერ, ბოლოს ისეთი შორეული და უცხო მოეჩვენა, რომ გაბრაზებულმა ნაკუწებად აქცია ქალაღდი, რა ჩემ ფეხებად მინდა სახელი, მე მე ვარ. სხვა ზოლივით ჩამონახევი ქალაღდი აიღო და დაწერა, ასი წელი მაშინ შემისრულდა, როცა კომეტა მეორედ გამოჩნდა. თუმცა მთლად დარწმუნებული არც იყო, სიმართლეს წერდა თუ არა, სათვალავი უკვე არეული ჰქონდა, როდის და რამდენჯერ მოესწრო კომეტის გამოჩენას. ისევ დაწერა, დიდება ბრძოლის ველზე დაჭრილ და დაღუპულ მეომრებს. ეს ჩანაწერი იმ ეპოქის გახსენებას წარმოადგენდა, რომელზეც ყველაფრის დაწერა შეეძლო. მერე მუყაოს ნაგლეჯზე დაწერა, აკრძალულია უხამსი, უღირსი საქმის კეთება, და ფეხსალავის კარზე მიაკრა. ერთი-ორი დღის წინ სრულიად შემთხვევით გადააწყდა ერთ ოფიცერს, რომელსაც ფეხსალავის კარი ღიად დარჩენოდა, ჩაცუცქული მასტურბაციით იყო გართული. მერე ბერიკაცი ისევ წაფლატუნდა სამუშაო ოთახისკენ და რათა არასოდეს დავიწყებოდა, ქალაღდის ზოლზე დაწერა ის, რაც ახსოვდა, ლეტისია ნასარენო, ჩემი ერთადერთი და კანონიერი ცოლი. კარგა ბებერი იყო, ამ ქალმა რომ წერა-კითხვა ასწავლა. ახლა, მოგონებების მორევში შესული, ცდილობდა მეხსიერებაში აღედგინა ქალის სახე, ცდილობდა წარმოედგინა იგი საზოგადოებაში, ეროვნული დროშის ფერებად მოხატული აბრეშუმის ქოლგით ხელში, ან როგორც ქვეყნის პირველი ქალბატონი, რომელსაც ყელზე მელიის ბეწვი შემოეხვია, მაგრამ შიშველი უფრო ახსენდებოდა, მოსკიტების თხელი ბადის ქვეშ შუადღის პაპანაქების თეთრ შუქში გახვეული მისი შიშველი სხეული. მთელი სისრულით წარმოუდგა თვალწინ ის წუთები, ვნება და ნეტარება. ქალის ლბილ სხეულს ვენტელატორ-

იდან მონაბერი ზუზუნა სიგრილე დაჰკრავდა. ახლაც ვგრძნობ შენს მოცახცახე ძუძუებს, ახლაც მცემს შენი სუნი, ძუკნა ძაღლის სუნი, მძაფრი სუნი ახალგაზრდული ველური ხელებისა, რომლებსაც შეეძლოთ აეჭრათ რძე, დაეუანგათ ოქრო, დაეჭვნოთ ყვავილები, სამაგიეროდ დიდებული იყო სიყვარულის სარეცელზე. ქალმა შეძლო მიუღწევლისთვის მიეღწია. გაიძრე ეგ ჩექმები, ჰოლანდიურ ზეწრებს დამისვრი. და ისიც იძრობდა, მოიხსენი ეგ შენი აღკაზმულობა, ლამის გულში ჩამერჭვოს ბაღთები, და ისიც იხსნიდა, მოიშორე ეგ ხმალი, გაიხადე ბანდაჟი, წინდები და საერთოდ, ყველაფერი, ჩემო სიცოცხლე, თორემ ვერა გგრძნობ, და ისიც იხდიდა ყველაფერს, მხოლოდ შენთვისო, ეუბნებოდა ქალს და მართლაც, სხვა ქალთან არც არასოდეს გაუხდია და არც აღარასოდეს გაიხდის ლეტისია ნასარენოს შემდეგ. ჩემი ერთადერთი და ჭეშმარიტი სიყვარული, ოხრავდა იგი და ამ თავის ოხვრას აღბეჭდავდა წარღვნამდელ მოხსენებებიდან ამოხეულ გაყვითლებულ ქალადღებზე, რომლებსაც პაპიროსივით ახვევდა და თუ სადმე მიგდებული ადგილი და პატარა ხვრელი ეგულებოდა სასახლეში, იქ მალავდა, მხოლოდ მას უნდა სცოდნოდა და უნდა მოეძებნა კიდევ ეს ადგილები, რათა გაეხსენებინა თავისი ვინაობა და გაეხსენებინა მაშინ, როცა სრულიად აღარაფრის გახსენება აღარ შეეძლებოდა, ეს ჩანაწერები არავის უპოვია, სამუდამოდ ჩაკვდნენ ხვრელებში. როცა ლეტისია ნასარენოს სახება ბერიკაცის გულმავიწყობის სადინარებს გაჰყვა ცურვით და მიიკარგა, ერთადერთი მოგონებალა შემორჩა უცვლელად, მოგონება დედაზე, ბენდისიონ ალვარადოზე, მის უკანასკნელ დღეებზე იქ, ქალაქგარეთა სახლში, ამწვანებულ პატიოში. ქალი სარწეველა სავარძელში იჯდა, მუხლებზე სიმიინდის მარცვლებით სავსე თასი ედო და ქათმებს განკვებ უხმობდა ხმამაღლა, შვილი არ მიხვდეს რომ ვკვდებიო. ბერიკაცმა გაიხსენა, რამდენჯერ სწვევია დედას ქალაქგარეთა სახლში. ჩაწვებოდა ხეთა ჩრდილში გაკიდულ ჰამაკში და თუმცა დედას ტკივილები ტანჯავდა, მაინც მიჰქონდა შვილთან ხილის წვენი, არ შემამჩნიოს, ფეხზე ძლივს რომ ვდგავარო. გაიხსენა დედა, რომელიც ზებეურად ლპებოდა თურმე და შვილს კი არ გაუმხილა მანამ, სანამ მტანჯველი ტკივილი ადამიანური გაძლების ყოველგვარ ზღვარს არ გადასცდა. ერთ დღეს სთხოვა შვილს, ნახე ერთი ჩემი ზურგი, თითქოს ცეცხლი მიკიდიო, პერანგი გაიძრო და შვილისაკენ ზურგმექცეული დადგა. საშინელების დანახვაზე ენა ჩაუვარდა შვილს, დედამისს მთელი ზურგი მყრალი, ჩირქოვანი წყლულებით ჰქონდა მოფენილი, წყლულებში კი მატლები დაფუთფუთებდნენ. ცუდი დრო იყო, ჩემო გენერალო, ცუდი. პატარა სახელმწიფო საიდუმლო რა არის, ისიც კი მთელმა ქვეყანამ იცოდა, ერთი ბრძანება რა არის, ისიც კი არ სრულდე-

ბოდა მაშინვე. ასე იყო მას შემდეგ, საბეიმო სუფრაზე საფირმო კერძი, შემწვარი გენერალი როდრიგო დე აგილარი რომ შემოდგეს, მაგრამ მაშინ პრეზიდენტს ეს ვითარება სულაც არ ადარდებდა. რა დროს სახელმწიფო საქმეებია, როცა დედამისი ბენდისიონ ალვარადო ნელ-ნელა იფერფლება ავადმყოფობის ცეცხლზე შვილის ოთახის გვერდით, სადაც აზიურ სნეულებებში ასე თუ ისე ჩახედული ექიმების რჩევით გადმოიყვანეს ქალაქგარეთა სახლიდან. ექიმებმა დაადგინეს, სენიორას არც ჭლექი ჭირს, არც კეთრი და არც რომელიმე აღმოსავლური სნეულება, ინდიელი ჯადოქრების გათვალუღია და ისევ ისინი თუ უშველიანო. შვილი მიხვდა, სიკვდილი გარდუვალი იყო და გადაწყვიტა დარჩენილი დღეები დედის გვერდით გაეტარებინა, ჩაიკეტა მის ოთახში და დედასავით ევლებოდა თავს. მზად იყო თვითონ დამპალიყო, ოღონდ კი არავის ენახა, დედამისს ცოცხლად როგორ ჭამდნენ მატლები. მისი ბრძანებით სასახლეში გადმოიყვანეს დედამისის ქათმები, ფარშევანგები, შეღებილ-გადაღებილი ჩიტები. ოღონდ კი დედას არ ედარდა თავის სოფლურ სახლზე და ფრთოსნებს ყველაფრის ნება ეძლეოდათ. შვილი საძინებელში საკუთარი ხელით წვაავდა სურნელოვან ხის ტოტებს, რათა ცხვირში არავის სცემოდა დამპალი ხორცის საშინელი სუნი. საკუთარი ხელით უსვამდა ახალ მალამოს ადრე წასმული მალამოებისგან ალაგ-ალაგ გაწითლებულ, გაყვითლებულ, გალურჯებულ ტანზე, ვილაცამ საიდანდაც თურქული ბალზამი მოუტანა. ჯანდაცვის მინისტრი, ვისაც პანიკურად ეშინოდა ჯადოქრობისა, არ ურჩევდა ამ ბალზამის გამოყენებას. ჯანდაბას მაგის თავი, კარგი იქნებოდა, ერთად მოვკვდარიყავით მე და შენ, დედა. მაგრამ ბენდისიონ ალვარადომ კარგად უწყოდა, რომ მხოლოდ ის ერთი კვდებოდა და ჩქარობდა შვილისათვის გაეცხადებინა საკუთარი წარსულის საიდუმლოებანი, რომელთა საფლავში ჩატანას სულაც არ აპირებდა. უამბო, მშობიარობის შემდეგ როგორ დაუგდეს ღორებს მომყოლი. ბევრჯერ ვცადე, უამრავ ყმაწვილკაცში ამომეცნო და დამედგინა, რომელი იყო მამაშენი, მაგრამ ამაოდ. ისიც უამბო, ფეხზე მდგომელას ჩამესახე, ქუდიც კი არ მომიხდია, რადგან ვჩქარობდი, მოლურჯო-მოფოლაღისფრო ბუზები გულს მიწყალებდნენ, ტავერნის საკუჭნაოში შინნახად ლუდის კასრებთან ირეოდნენ და საშველს არ მაძლევდნენო. უამბო, ნაადრევად რომ დაიბადა აგვისტოს ერთ დილას დედათა მონასტრის თაღოვან ჭიშკართან ნემსიწვერების მელანქოლიურ შუქზე. მარჯვენა საკვერცხე კარგა მოზრდილი ლეღვისოდენა გქონდა, გაუთავებლად ტიროდი, თან გაგდიოდა და გაგდიოდა, სუნთქვისას სტვირი გიტიროდა მკერდშიო. ბაზრობის დღეებში მოედანზე მიჰყავდა შვილი, შემოხსნიდა მონასტერში ნაჩუქარ სახვევებს და გამვლელ-გამომვლელს ყველას შეს-

თხოვდა, იქნებ ვინმემ იცით თიაქარის წამალი, კარგი და იაფიო. ურჩიეს, ბავშვი სუსტი ჩანს და თაფლი არგებსო. დედას ამშვიდებდნენ, რაც უწერია, ვერსად გაექცევაო. ნუ გეშინია, ბიჭი ყველა საქმისთვის გამოდგება გარდა სასულე ინსტრუმენტზე დაკვრისაო. ერთი მოხეტიალე მკითხავი კი ძაღზე გაოცდა, ამ ბავშვს ხელის გულზე ხაზი არ აქვს, ეს კი იმას ნიშნავს, მეფობა ელისო. ხომ ხედავ, შვილო, მკითხავი არ შემცდარა. შვილი ემუდარებოდა, დაიძინე, გეყოფა ლაპარაკი, ნულარ აწუხებ მაგ შენს წარსულსო, მაგრამ გულში კი ფიქრობდა, დედაჩემის ნაამბობი მომაკვდავის ბოდვაა, სულაც არ ემთხვევა სამშობლოს უკვე დაწერილ ისტორიასო. ემუდარებოდა, დაიძინეო და თავით ფეხებამდე ხვევდა ზეწარში. მისი ბრძანებით შეკერეს უამრავი თხელი და რბილი ზეწარი, რათა ავადმყოფს უარესად არ დასკდომოდა წყლულები, გვერდზე აწვენდა გულზე ხელმიდებულს და მანამდე უმღეროდა ნანას, სანამ არ დააძინებდა. დაივიწყე მძიმე წარსული, დედა, რაც არ უნდა თქვან, მე მაინც მე ვარ. იძინე მშვიდად. იგი ყოველნაირად ცდილობდა სასახლის კედლებს არ გასცდენოდა ქვეყნის მატრიარქის ცოცხლად ლპობის ამბავი. მთავრობა ცრუ ბიულეტენებს აქვეყნებდა მისი ავადმყოფობის თაობაზე. ხალხმრავალ ადგილებში მაცნეები ხმის ჩახლეჩამდე კი კითხულობდნენ ამ ბიულეტენებს, მაგრამ სენიორას რაც ნამდვილად სჭირდა, უკვე ყველამ იცოდა მაცნეებისვე გრძელი ენის წყალობით, ცრუ ბიულეტენებს ჩაიკითხავდნენ თუ არა, მაშინვე მიაყოლებდნენ სინამდვილესაც, ავადმყოფის ოთახიდან ისეთი მყრალი სუნი გამოდის, კეთროვნებიც ვერ უძლებენო. ხალხი რომ ამბობს, ახლად დაკლული ცხვრის სისხლში ბანენო, ნამდვილად ასეაო. ზეწარების გამოხარშვას და რეცხვას ვერ აუდიან, ჩირქის ფუფხს კი მაინც ვერაფრით შველიანო. იმასაც ამბობდნენ, ჩვენს პრეზიდენტს წინათ რა დიდი გასაჭირიც არ უნდა ჰქონოდა, თავის ქალებს მაინც აკითხავდა, ახლა კი აღარც ფერმაში დადის და აღარც ქალებთანო. მომაკვდავის საზიარებლად არქივპისკოპოსი ეახლა საკუთარი ფეხით, მაგრამ მან უარით გაისტუმრა, ჭორებს ნუ აჰყვებით, მამაო, აქ არავინ კვდება. დედასთან ერთად სადილობდა, ერთი თეფშიდან ერთი კოვზით ჭამდნენ, არად აგდებდა ოთახში დამდგარ მყრალ სუნს, ძილის წინ კეთილშობილი ჯიშის ძაღლის ქონზე დამზადებული საპნით ბანდა. გული უკვდებოდა, დედის დანაბარებს რომ ისმენდა. ჩემი სიკვდილის მერე ჩემს ფრინველ-საქონელს უპატრონეო. ღმერთი არ გაგიწყრეთ, ფარშევანგებს კუდი არ დააგლიჯოთ სომბრეროების მოსართავადო. კარგი, დედა, ჰპირდებოდა შვილი და მალამოს უსვამდა სხეულზე. დღესასწაულებზე ძალით ნუ ამღერებთ ჩიტებს. კარგი, დედა, ჰპირდებოდა შვილი და ზეწარში ახვევდა. ჭექა-ქუხილის დროს კრუხები საბუდრებში არ დატ-

ოვოთ, ხვლიკებს გამოჩეკენ. კარგი, დედა, დაიძინე, ეუბნებოდა შვილი და გულზე ხელებს უკრებდა. დაწყნარდი, დაიძინე, შუბლზე კოცნიდა. თვითონ, როგორც სჩვეოდა, პირქვე წვებოდა იატაკზე, დარაჯობდა სნეულის ძილს, სნეულის უსასრულო ბოდვას, რომელიც, რაც უფრო ახლოვდებოდა აღსასრული, მით უფრო აზრიანი ხდებოდა. რომ არა ეს მძიმე, ტანჯვით სავსე ღამეები, ალბათ ვერ გადაიტანდა იმ სიმწარეს, ორშაბათ დილას რომ დაატყდა თავს. უეცრად გამოაღვიძა საზარელმა სიჩუმემ, გამოაღვიძა სიკვდილმა, რომელიც მის მშობელ დედას, ბენდისიონ ალვარადოს ალიონზე, მამლის პირველსავე ყვირლზე ესტუმრა. მიცვალებულს ზეწარი შემოხსნა და ალიონის ნაცრისფერ შუქზე მან დაინახა ზეწარზე დარჩენილი დედამისის გულზე ხელდასვენებული სხეულის ანაბეჭდი, რომელიც გასაოცრად გლუვი და მკვრივი იყო, სიბერისა და წყლულებისა აღარაფერი ეტყობოდა. თითქოს ზეთით დაუხატავთო ზუსტად ასეთივე კვალი ემჩნეოდა ზეწრის მეორე მხარესაც და მყრალი სუნის ნაცვლად ასდიოდა ნაზი, ცოცხალი ყვავილების კეთილსურნელება, რომელსაც ოთახიც აევსო. რამდენი არ რეცხეს ზეწარი, რამდენი არ ხარშეს, მაგრამ ნაბეჭდი ვერა და ვერ მოაშორეს ვერც წაღმა და ვერც უკუღმა პირიდან, თითქოს შეერწყაო, უხრწნელ გამოსახულებად იქცა უხრწნელ ქსოვილზე. შვილი მაშინ, იმ მძიმე წუთებში ვერ ჩასწვდა ამ საოცრების არსს, სიკვდილზე განრისხებულმა დედის საძინებელი დატოვა და გასვლისას კარი ისე გაიჯახუნა, ზარბაზნის გასროლასავით გაისმა მთელს სასახლეში. ეკლესიამაც არ დააყოვნა და მაშინვე ააგუგუნა სამგლოვიარო ზარები. ასი დღე შესვენებლივ აგუგუნებდნენ ზარებს მთელი ქვეყნის ეკლესიები. პირველსავე გუგუნზე შედრკა ხალხი, მაშასადამე, პრეზიდენტი ჯერ კიდევ ფლობს ძალაუფლებას. დედის სიკვდილი მოლბობის ნაცვლად გულს უფრო მეტად გაუქვავებს და გაუმკაცრებს ყოველგვარი გონიერებისა და ადამიანური ღირსების გამოვლინების მიმართ. მისი დაუვიწყარი უძვირფასესი დედა ბენდისიონ ალვარადო აღესრულა ოცდასამ თებერვალს, ორშაბათ დღეს განთიადისას. ბენდისიონ ალვარადოს სიკვდილის შემდეგ ქვეყნისათვის დაიწყო ახალი, მშფოთვარე, ბურუსით მოცული საუკუნე. ჩვენ შორის არავინ იყო ისეთი ხნიერი, ამ სენიორას სიკვდილს მოსწრებოდა, სამაგიეროდ ჩვენამდე მოღწეული ხმების მეშვეობით ვიცოდით მისი დაკრძალვის ამბავი, ისიც ვიცოდით, რომ დედის სიკვდილმა ძალიან გამოცვალა, ობლობა შეიფერა, ჩაკეტილი ცხოვრობდა სასახლეში, გარეთ აღარ გამოდიოდა, ძილიც არავის დაუფრთხია მისთვის ასდღიანი გლოვისას და მერეც. არც თვითონ ენახვებოდა სხვას და ვერც სხვა ბედავდა მისი მყუდროება დაერღვია ამ მწუხარების სავანეში, ამ ნაღვლიან სასახლეში, სადაც სამუდამოდ გა-

ყინულიყო სამგლოვიარო გუგუნი ზარებისა, სადაც საათი მხოლოდ ერთ დროს უჩვენებდა, ბენდისიონ ალვარადოს სიკვდილის დროს, სადაც ყველა ოხრავდა და ვიშვიშებდა. ყარაულები, როგორც რეჟიმის პირველ წლებში, ახლაც ფეხშიშველი დადიოდნენ. მხოლოდ ქათმებს ჰქონდათ მიცემული სრული თავისუფლება ამ აკრძალვებით პირთამდე სავსე სახლში, რომლის უჩინმაჩინივით მობორიალე მონარქს სიკვდილის წინაშე უძღურებისა და დიდი მწუხარების გამო გული სისხლისგან ეწრიტებოდა, დედამისს, უსაყვარლესსა და უძვირფასეს ბენდისიონ ალვარადოს მიასვენებდნენ მის მშობლიურ პარამოსა და ქვეყნის ყველაზე შორეულსა და მივარდნილ კუთხეებშიც, რათა ყველას შეძლებოდა უკანასკნელი პატივი მიეგო მიცვალებულისთვის. რაკი სიცოცხლეში ბედმა არ დაინდო და დაღპობა არგუნა, სიკვდილში ცოტა მაინც რომ გამართლებოდა, ნახერხითა და ყინულით ამოვსებულ კუბოში ჩაასვენეს. ზარზევით მიცურავდა კუბო სამგლოვიარო პროცესიის მხრებზე, ყველგან გამოეფინათ შავარშიიანი დროშები. პარამოს რკინიგზის ბაქანზე, როგორც ოდესღაც პრეზიდენტის მატარებელს, ახლაც იგივე ხალხი დახვდა იმავე სამგლოვიარო მუსიკით. კუბო იმ მონასტერში შეასვენეს, რომლის თაღოვან ჭიშკართან ერთმა ჩიტებით მოვაჭრე ქალმა დიდი ხნის წინათ, ყველა დროის დასაწყისში, ქვეყანას მოუვლინა არავისი შვილი, რომელიც შემდეგ მეფე გახდა. წმინდათაწმინდა ჭიშკარი კვლავ გაიღო ასი წლის შემდეგ. ცხენოსანი ჯარისკაცები ინდიელთა სოფლებს შეესივნენ და ხალხი ცხვრის ფარასავით მირეკეს მონასტერთან, ხელკეტებით აიძულეს, ტაძარში შესულიყვნენ. იქ კი, შიგნით, ხალხი თითქოს მონუსხა ვიტრაჟებზე გაყინულმა მზეებმა, მეწამულისფერ სამოსელში გამოწყობილი ცხრა ეპისკოპოსი სულის მოსახსენიებელ პანაშვიდს იხდიდა, გუნდი სულთათანას გალობდა, კედლებს მიღმა კი აწვიმდათ ნაცნობ ნემსიწვერებს. მონასტრის მორჩილი დები ღვინოს, ღორის ნეკნებს, ნაკურთხ წყალს ყიდდნენ. ვაჭრობა გაჩაღებულიყო პატიოებში, ქვის თალებქვეშ. სოფლის ტავერნებში უკრავდა მუსიკა, იყო ცეკვა და შუშხუნები. დადგა მარადიული კვირა დღე, დადგა ხანგრძლივი, წლობით გაგრძელებული დღესასწაული, რომელიც მარადიულ ბურუსში ჩაძირულ იმ იდუმალ ბილიკებს მიუყვებოდა, ბენდისიონ ალვარადო სიცოცხლეში ფედერალური პოხონდრიით შეპყრობილ შვილს რომ მისდევდა უკან. ომშიც ფარად ედგა მუდამ. ერთხელ ჯორებშებმულ სამხედრო ფორანს გადასათელად არ დაანება ციებცხელების შეტევით მიწაზე დაკრუნხული შვილი. რჩევა-დარიგებებით ხომ გულს უწყალებდა, პარამოელებს მეტი სიფრთხილე გვმართებს ქალაქებშიო, ეუბნებოდა, მით უმეტეს, ამოუცნობი, ვერაგი ზღვის სანაპირო ქალაქებშიო. ეშინოდა ვიცე-მეფეთა ძეგლებ-

ისაც კი, ეშინოდა კიბორჩხალებისა, ჩვილების ცრემლებს სვამენო, შიშით დაიზაფრა, დიდებული მთავრობას სახლი რომ ნახა პირველად. არადა, რას წარმოიდგენდა მაშინ, დიდზე დიდი ხნის წინათ, ერთ წვიმიან ღამეს მონასტრის თაღოვან ჭიშკართან სამშობიარო შეტევისას, რომ სწორედ ამ სახლში მოუწევდა სიკვდილი. ახლა კი ამ მარტოობის სახლში იატაკზე პირქვე დამსობილი მისი ვაჟი უძღლური სიშმაგით შეპყრობილი ოხრადა, ეშმაკმა დალახვროს, სად წახვედი, დედა, სად დამეკარგე, სად გაიხლართე ლელქაშში, ვინ მოგაშორებს სახეზე დასეულ პეპლებს. ამ დროს კი სამგლოვიარო პროცესია ჭაობის სიმყრალით გაჯერებულ ჰაერში მხრებით მიაცურებდა დედამისის ბენდისიონ ალვარადოს ჭადრის ტოტებისგან შეკრულ ბაღდახინს, რათა უკანასკნელი პატივის მისაგებლად მთელი ქვეყანა შემოეტარებინათ კიდით კიდემდე. კუბო ყველგან შეჭქონდათ, უდაბნოში, გვარჯილის საბადოებზე, ინდიელთა სოფლებში, სოფლის სკოლებში, სოფლების განაპირა ქოხმახებსა თუ შეძლებულთა სახლებში, შუაში, საჩინო ადგილებზე დგამდნენ, თავთან კი უხსოვარ დროს, ახალგაზრდობაში გადაღებულ მის სურათს დებდნენ. სურათიდან იმზირებოდა ლამაზი, თვალვებობიანი, მორთულ-მოკაზმული ყმაწვილი ქალი. ძალიანაც არ უნდოდა თურმე, მაგრამ სურათის გადაღებისას ძალით დაუდგამთ თავზე დიადემა, ძალითვე გაუკეთებიათ ძველებური მაქმანის საყელო, გამოუპრანჭავთ, პუდრიც შეუფრქვევიათ და თავის ცხოვრებაში პირველად და უკანასკნელად ტუჩებიც გაუთხუპნიათ ძალით. ხელში აბრეშუმის ტიტა შეაჩეჩეს. სენიორა, სწორად არ გიჭირავთ ყვავილი, ყვავილიანი ხელი კალთაზე დაიდეთ თავისუფლად, დაუძაბავად ევროპელ მონარქთა ვენეციელმა ფოტოგრაფმა სწორედ ასეთ პოზაში გადაუღო სურათი ქვეყნის პირველ ქალბატონს და სწორედ ეს სურათი გახლდათ თვალსაჩინო საბუთი იმისა, რომ კუბოში სწორედ ბენდისიონ ალვარადო იწვა და თუკი ვინმე დაეჭვდებოდა, შეეძლო სურათზე გამოსახული ყმაწვილი ქალი და მიცვალებული ერთმანეთისთვის შეედარებინა. მსგავსება მართლაც გასაოცარი იყო, კოსმეტოლოგებმა თავიანთი საქმე იცოდნენ, მიცვალებულის გარეგნობას ყოველდღიურად ადევნებდნენ თვალს. საჭიროების შემთხვევაში სახეზე კრემსა და პარაფინს უსვამდნენ, წვიმიან დღეებში თვალების ღრმულებიდან ობს აცილებდნენ, სამხედრო მკერავები კაბას ისე უახლებდნენ, თითქოს გუშინ შეეკერათ, ფორთოხლის ყვავილის გვირგვინებს ცოცხლად ინახავდნენ, წმ. ქალწულის ფატაც, რომელიც სიცოცხლეში არ ღირსებია, ქათქათა თეთრი უნდა ყოფილიყო. აბა, ერთი ვინმემ გაბედოს ამ კერპთაყვანისმცემელთა ბორდელში და თქვას, რომ სურათზე გამოსახული ქალი შენ არ ხარ, დედა, აბა, ვინმემ გაბედოს დაეჭვება ან საერთოდ,

დავიწყება იმისა, ვინ განაგებს ყველას და ყველაფერს აქაც და ყველგან, დაჭაობებულ ტყეებში გაბნეულ უღარიბეს სოფლებშიც კი. ერთხელ შუალამისას დავიწყებისთვის განწირულ ამ მხარეშიც გამოჩნდა ძველისძველი, ხის ბორბლიანი განახიხებელი გემი. ხალხი ნაპირს მიაწყდა, დოლებს აბრაგუნებდნენ, ძველი კეთილი დრო დაგვიბრუნდაო. გაუმარჯოს მაჩოს, ყვიროდნენ, დალოცვილი იყოს ის კაცი, ვინც სიმართლის სახელით მოდისო, და პირდაპირ წყალში ცვიოდნენ ხორაგეულითა თუ ხილით ხელდამშვენებული გაჭირვებით მიტოპავდნენ გემისაკენ, ხის მოაჯირებს ეჭიდებოდნენ და გემბანზე რის ვაივაგლახით ძვრებოდნენ. ყველას სურდა თავისი მოკრძალებული ძღვენი მიერთმია იმ ყოვლისშემძლე უხილავი ადამიანისთვის. ვინც დომინოს ქვებით წყვეტდა სამშობლოს ბელ-იღბალს. მაგრამ გემზე გაჭირვებით ამძვრალეები მაშინვე კუბოსთან მიჰყავდათ და ისინიც ადგილზევე ხევდებოდნენ გაოგნებულები პრეზიდენტის სასადაილო კაიუტის სარკვებში მრავლად არეკლილი ქვამარილითა და ყინულით გარშემოწყობილი კუბოებისა და ჭერზე წარღვნამდელი დიდფარფლებიანი ვენტილატორის დანახვაზე. ეს ძველისძველი გასართობი გემი თვეობით დაცურავდა ეკვატორულ სიგანედებს და ეფემერულ კუნძულებს შორის, ბოლოს კი უიმედოდ ჩაიხერგა კომმარტა საუფლოში, სადაც გარდენიებს ეკითხებოდათ ჭკუა და იგუანები კი დაფრინავდნენ. სწორედ აქ, ქვეყნის დასასრულს, დაჯდა გემი მეჩენზე, ბორბალი ოქროსფერ ქვიშაში ჩაერჭო, დაიმსხვრა და გემიც ნახევრად გადაფერდდა წყალში. ყინული ნელ-ნელა დადნა, მარილიც დადნა, მიცვალებულიც გასივდა და ნახერხის სალაფავში ატივტივდა. სწორედ მაშინ მოხდა სასწაული, ჩემო გენერალო, დედათქვენმა თვალები გაახილა. ისეთი ფერის თვალები ჰქონდა, აკონიტოს ყვავილს რომ აქვს იანვარში, როგორც მთვარის ქვას აქვს, ჩემო გენერალო. ურწმუნოებმაც კი საკუთარი თვალთ იხილეს, როგორ დაიორთქლა კუბოს შუშის სახურავი, სენიორას როგორ დაასხდა სახეზე ოფლის წვეთები. რომ გაიღიმა, ისიც დაინახეს. ვერ წარმოიდგენთ, ჩემო გენერალო, რა ამბავი დატრიალდა. ჯორებმა ჩოჩრების მოგება დაიწყეს. გვარჯილაზე ყვავილებმა იხარეს, ყრუ-მუნჯები სიხარულით ხტოდნენ საკუთარი ხმის გაგონებაზე, სასწაული, სასწაული, სასწაულიო, ყვიროდნენ. ხალხსაც მეტი რა უნდოდა, კუბოს ეცნენ, შუშის სახურავი ჩამსხვრიეს, მიცვალებული ლამის ნაკუნებად აქციეს. ყველას უნდოდა, თუნდაც პატარა ნაგლეჯი მაინც შეხვედროდა რელიკვიად. იძულებული გავხდით გრენადერების ბატალიონი გამოგვეძახა, ჩემო გენერალო, ძლივს უმკლავდებოდნენ კარიბის ზღვაში თესლივით მიმოფანტული კუნძულებიდან წამოსული ხალხის ტალღას. საიდან აღარ მოდიოდნენ, ჩემო გენერალო. ქვეყნის ყველა-

ზე მივარდნილ მხარესაც მისწვდენოდა საოცარი ამბავი, სენიორა ბენდისიონ ალვარადოს სულს ღმერთისგან ებოძა უნარი, წინ აღდგომოდა ბუნების კანონებსო. ჰოდა, ჩემო გენერალო, ყიდვა-გაყიდვა გაჩაღდა, ყიდდნენ დედათქვენის სუდარიდან გამორღვეულ ძაფებს, ავგაროზებად ყიდდნენ სუდარისვე ნაჭრებს, კუბოდან მწვეთავ წყალს, მის წმიდათაწმიდა სურათ-ხატებს, ხალხი ემატებოდა და ემატებოდა, გზად ყველაფერს ანადგურებდა ველური ხარების ფლოქეებით. მიწა ისე გუგუნებდა, თითქოს იძვრისო. ახლაც შეგიძლიათ ეს გუგუნი გაიგონოთ, თუ კარგად მიუგდებთ ყურს, აბა, სცადეთ, ჩემო გენერალო, და მანაც ამჯერად ნაკლებად მოზუზუნე ყურთან მიიღო ხელი. ო, დედაჩემო, ბენდისიონ ალვარადო. გაბმული გუგუნი მოესმა, ფანჯარასთან მივიდა და დაინახა ატორტმანებული უზარმაზარი მასა, რომელსაც ჰორიზონტამდე ამოევსო სივრცე. დაინახა ანთებული სანთლების ზღვა, რომელიც ქალაქისკენ მოიწვევდა ახალ დღესავით, ოღონდ სხივიან შუადღეზე უფრო სხივიანი და შუქმფინარე. ეს — დედამისი, ბენდისიონ ალვარადო ბრუნდებოდა ქალაქში, რომლისაც, როგორც ყველა პარამოელს, სიკვდილივით ეშინოდა. ასე შემოვიდა იგი ქალაქში პირველადაც, ხალხის მხრებზე დაბრძანებული, მაგრამ მაშინ ომი იყო, ირგვლივ ომის უმი ხორცის სუნი ტრიალებდა, ახლა კი ქვეყნად აღარაფრის და აღარავისი ეშინოდა, რადგან მისმა შვილმა ბრძანება გასცა, სასკოლო სახელმძღვანელოებიდან და, საერთოდ, ისტორიიდან ამოეგლიჯათ ის ფურცლები, სადაც ვიცე-მეფეები იყვნენ მოხსენიებულები და დაენგრიათ მათი ძეგლებიც. ისინი ძილს მიფრთხობდნენ, დედა. ბენდისიონ ალვარადო ბრუნდებოდა ქალაქში მშვიდობიანი ხალხის მხრებით, კუბოს გარეშე, შიშის გარეშე, ღია ცის ქვეშ, პეპლებით აფარფატებულ ჰაერში, ოქროულობაში ჩამალული, რომელსაც გულუხვად სწირავდნენ ყველგან — ღრმად დამწუხრებული სამეფოს გზებზე, ტყეებში, მთასა თუ ბარში ხანგრძლივი სამკლოვიარო მსვლელობისას. მიცვალებულს ზედ ეყარა ან უკვე განკურნებულ ხეიბართა ნაჩუქარი ოქროს ყავარჯნები, ზღვაში დახრჩობას გადარჩენილთა ოქროს ვარსკვლავები, ახალშობილთა ოქროს გამოსახულებები, რომლებსაც ის ქალები სწირავდნენ მიცვალებულს, კარგა დიდხანს რომ არ უჩნდებოდათ შვილები, მაგრამ რაღაც სასწაულით ორსულობას ორსულობა მიაყოლეს და თანაც ისე სწრაფად ეწყებოდათ სამშობიარო შეტევები, რომ მახლობელ ქუჩამდე მისვლას ძლივს ასწრებდნენ. დედათქვენი შუაგულ ხალხში იყო, ჩემო გენერალო, ისევე როგორც ომის წლებში იყო იმ ადამიანთა აბობოქრებული ზღვის შუაგულში, ბიბლიურ გადასახლებულთა მსგავსად უსასრულოდ რომ დაეხეტებიან ნავსაყუდელის ძებნაში, იმ ნავსაყუდელისა, სადაც ბოლოს და ბოლოს

შეძლებდნენ თავიანთი ჯამ-ჭურჭლისა და საქონლის დაბინავებას, სადაც გაატარებდნენ სიცოცხლის უკანასკნელ წლებს, მართალია, სულის გადარჩენის დიდი იმედი არ ექნებოდათ, მაგრამ ბენდისიონ ალვარადოს ლოცვა საიქიოდანაც მისწვდებოდათ და სასოებასაც მოჰგვრიდათ. დედის ლოცვას შვილისთვის ბევრჯერ აუცდენია დამიზნებული ტყვია, განსაკუთრებით მაშინ, როცა შუბლზე წითელნაჭერგადაკრული გადაეშვებოდა ხოლმე შუაგულ ბრძოლაში ყვირილით, გაუმარჯოს ლიბერალურ პარტიას, გაუმარჯოს გამარჯვებულ ფედერალისტებს, ძირს მძღნერის გოდრები. მაგრამ ფედერალისტური იდეები იმდენად არ აწუხებდა, რამდენადაც პარამოელი ანუ მთიელი კაცის პირველყოფილი ცნობისწადილი, ენახა და შეეცნო ზღვა. ღატაკთა ბრბომ, რომელიც დედათქვენს მოასვენებდა, ქალაქი ლამის წალეკოს, ჩემო გენერალო. ეს ადამიანები ყველაზე უმართავნი და შეუსმენლები არიან იმათ შორისაც კი, ვინც ფედერალური ომის დროს არაერთი ზიანი მოუტანა ქვეყანას. ეს ბრბო პანიკაზე საშინელებაა, მსგავსს არაფერს მოვსწრებივარ მთელი თქვენი ხანგრძლივი მმართველობის წლებში, ჩემო გენერალო. შეხედეთ ერთი, რა ხდება. მანაც შეხედა და დარწმუნდა, რომ მართლაც რაღაცა ხდებოდა, პირქუშმა, ფერგამკრთალმა, მკლავზე შავნაჭერშემოხვეულმა სამგლოვიარო ბურუსიდან ნელ-ნელა იწყო გამოსვლა. უკვე მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, პაპის ნუნცთა დასაბუთებული დასკვნებისა და მტკიცებულებების საფუძველზე მიეღწია თავისი ძვირფასი დედიკოს ბენდისიონ ალვარადოს კანონიზაციისთვის, წმინდანად შერაცხვისათვის. ამ მიზნით მან რომში მიავლინა გამორჩეულად განათლებული მინისტრები, ხოლო თვითონ კი პაპის ნუნცი მოიპატიჟა სასახლეში ნამცხვარსა და ჭიქა შოკოლადზე. სტუმარს შინაურულად დახვდა, უპერანგოდ, ყვავილთა ჩეროში გაკიდულ ჰამაკში ნებიერად ჩამჯდარი თეთრი სომბრეროთი ინიავებდა დასიცხულ სახეს. ნუნცი მასპინძლის პირისპირ დაჯდა სარწეველა სავარძელში ცხელი შოკოლადიანი ფინჯნით ხელში. საკვირაო სუტანა ეცვა, ლავანდის სუნს აფრქვევდა, არად აგდებდა სულისშემხუთველ სიცხესა და მტვერს, არც პრეზიდენტის აწ გარდაცვლილი დედის ჩიტების სკინტლს, ყვავილების ჩარდახიდან რომ ცვიოდა მზის სხივებთან ერთად, შოკოლადს წრუპავდა და მორცხვი პატარძალივით მიირთმევდა ნამცხვარს, ცდილობდა გაეჭიანურებინა დრო, რაც შეიძლება გვიან დამდგარიყო ის წამი, როცა მოუწევდა ბოლო ყლუპის სიმწარის შეგრძნება და საუბრის დაწყება. იგი იჯდა იმ სავარძელში, რომელზეც მასპინძელი არავის სვამდა, მხოლოდ თქვენ გითმობთ, მამაო. ძალიან დიდ ხნის წინ, იმ კეთილმოსაგონარ წლებში, ბალბის ყვავილობის ერთ მშვენიერ დღეს ამავე სავარძელში იჯდა სხვა ნუნცი, გულუბრყვი-

ლო მოხუცი კაცი, რომელიც ამაოდ ცდილობდა ქრისტეს რწმენისკენ მოექცია თავისი მასპინძელი, ამაოდ უხსნიდა თომა აკვინელის სქოლასტიკურ შეგონებებს. ამჯერად მე მოგიწვიეთ მოსაქცევად. რა არ ხდება ცხოვრებაში, ახლა მე მწამს, თვალდაუხამხამებლად გაიმეორა, ახლა მე მწამს. სინამდვილეში არც არაფერი სწამდა, არც ღმერთი და არც ეშმაკი, მხოლოდ ერთი რამ სწამდა ღრმად, დედამისს ყველანაირი უფლება ჰქონდა წმინდანად შერაცხულიყო პირად კეთილდღეობაზე უარის თქმის, სხვათათვის თავგანწირვის, უსაზღვრო სიკეთისა და სამაგალითო ზნეობის გამო. მაგრამ როცა დედის წმინდანობაზე ლაპარაკობდა, მას არ უხსენებია ხალხში მოარული ხმები, პოლარული ვარსკვლავი თითქოს სამგლოვიარო პროცესიის მიმართულებით მოძრაობდა, კარადებში ჩაკეტილი საკრავები თავისით იწყებდნენ დაკვრას მიცვალებულის ჩატარებისას. წმინდანობის უტყუარ საბუთად ასახელებდნენ იმ ზეწარს, რომელშიც თვითონ გაახვია მომაკვდავი დედა და ახლა იალქანივით შლიდა, რათა ნუნცს საკუთარი თვალით ეხილა ის, რაც იხილა — ჯანმრთელი ყმაწვილი ქალის სხეულის მოხაზულობა და არა იმ წყლულებიანი დედაბრისა, რომელმაც ამ ზეწარზე დალია სული. ის იწვა გვერდულად, გულზე ხელმიდებული. შვილმა თითები ალერსით გადაუსვა ანაბეჭდს, ოფლის სინოტივე შეიგრძნო, ყვავილთა ნაზი სურნელება შეისუნთქა, რაღაც უცნაურად აქოთქოთებულ ჩიტების ჟღურტულს მიუგდო ყური. ხომ ხედავთ, მამაო ჩიტებიც კი ცნობენ მას, წალმა-უკუღმა უფრიალებდა ზენარს ცხვირწინ, მაგრამ ნუნცს ფხიზელი, დაკვირვებული თვალი ჰქონდა, დიდი მხატვრების ფუნჯით შესრულებულ ტილოებზე ვულკანური ფერფლის ნამცეციც კი არ გამოეპარებოდა, ფერთა ინტენსივობასა თუ სურათის ნაპრალებში შეეძლო ამოეკითხა მხატვრის ხასიათი და რწმენისადმი მისი მერყევი დამოკიდებულებაც კი. ნეტარებას ჰგვრიდა სამყაროს მშვენიერების შეგრძნება და ალტაცებაში მოჰყავდა დედამიწის სიმრგვალეს ბუნების ტაძარში, სადაც ირეალური ქალაქის განმარტოებულ სამლოცველოს ცა ეხურა გუმბათად და სადაც დრო კი არ მიდიოდა, — მიცურავდა. მღვდელმა, როგორც იქნა, ზეწარს თვალი მოწყვიტა და ტკბილად და ამაღროულად მტკიცედ წარმოთქვა, ამ ტილოზე აღბეჭდილი სხეული არამც და არამც არ წარმოადგენს ღვთისნიერ სასწაულს თქვენო აღმატებულებავ, ეს არის მხატვრის ნახელავი. თანაც საკმაოდ გამოცდილისა როგორც მხატვრობის, ასევე სიცრუის ხელოვნებაში. ამ მხატვარმა ბოროტად გამოიყენა თქვენი უსაზღვრო დიდსულოვნება და ყმაწვილი ქალის სხეული მოხაზა. ეს არ არის ზეთის საღებავები, თვითნაკვეთი საღებავია და კარ-ფანჯრების შესათითხნად გამოდგება მხოლოდ. ჩვეულებრივ სკიპიდარზე, ბუნებრივ ფისსა და თაბაშირზეა დამზა-

დებული. აი ეს სინოტივე ტილოზე კი, თქვენ რომ გარწმუნებენ, დედათქვენის ოფლიაო, არ დაიჯეროთ, ოლიფაა. ძალიან ვწუხვარ, თქვენო აღმატებულებავ. ჭეშმარიტად შეწუხებულ ნუნცს, სიტყვა აღარ უთქვამს გაქვავებული ბერიკაცისთვის, რომელიც ჰამაკიდან თვალის დაუხამხამებლად შემოსცქეროდა, ერთხელაც არ ჩარევია ლაპარაკში, რაღაცნაირი ამიური სიჯიუტით ჩაძირულიყო ჩასქელებულ მდუმარებაში, ტუჩების მოძრაობითაც კი არ გამოუხატავს პროტესტი. მან ხომ საკუთარი თვალთ იხილა სასწაული ზეწარზე. მე ხომ საკუთარი ხელით გაგახვიე ამ ზეწარში, დედა, მე მოწამე გავხდი სასწაულისა, როცა დილაუთენია შენი სიკვდილის მდუმარებამ დამცა თავზარი, ასე მეგონა, ირგვლივ ყველა და ყველაფერი ზღვის ფსკერზე ჩაინთქა-მეთქი. ეშმაკმა დალახვროს. მე ხომ სასწაულის მოწმე გავხდი. მაგრამ ნუნცისთვის არაფერი უთქვამს, იგუანასავით ისე დაახამხამა თვალი ორჯერ, ქუთუთო არ შეურხევია სტუმარს მოწყალედ გაუღიმა და ამოიოხრა, კარგი, მამაო, იყოს თქვენებურად, მაგრამ დაიმახსოვრეთ, ეგ სიტყვები ტვირთივით სატარებელი გაგიხდებათ მთელი ცხოვრება, კიდევ გიმეორებთ, რათა სიკვდილამდე არ დაგავიწყდეთ, ეგ სიტყვები ტვირთივით სატარებელი გაგიხდებათ-მეთქი მთელი ცხოვრება, ოღონდ მე არაფერ შუაში ვიქნები, მამაო. მთელი კვირა საჭმელადაც კი არ გადმოსულა ჰამაკიდან, მთელი კვირა რაღაც ცუდის მოლოდინში გაყურსულიყო ქვეყანა. ის იჯდა ჰამაკში და მხრებზე ჩამომსხდარ ჩიტებს იგერიებდა, ფოთლებში აჭიატებული მზის სხივებიც ჩიტები ეგონა და იმათაც იგერიებდა, მთელი კვირა არავინ მიუღია, არავისთვის არაფერი დაუვალვია, ფანატიკოსებმა კი საზოგადოებრივი წესრიგის დამცველთა სრული უმოქმედობით ისარგებლეს, ნუნცების რეზიდენციაში შეცვივდნენ, პირწმინდად გაძარცვეს ისტორიულ რელიკვიათა მუზეუმი, თავზე დააცხრნენ სიესტის დროს აუზში მობანავე ნუნცს, ამოათრიეს, ქუჩაში შიშველი გაიყვანეს, დააჩოქეს და ზედ დააქაქეს, ჩემო გენერალო. იგი არც შერხეულა ჰამაკში, კუნთიც არ შერხევია სახეზე, არც არაფერი უთქვამს, როცა ვირზე შესმული საბრალო ნუნცი სავაჭრო ცენტრისკენ წააჩიქჩიქეს. აივნებიდან ბინძურ წყალს ასხამდნენ თავზე, უყვიროდნენ, ეი, შე მუცელგაბერილო მის ვატიკანო, მიდი, შობე. მხოლოდ მაშინ წამოდგა ჰამაკიდან, როცა ამბავი მოუტანეს, ცოცხალ-მკვდარი ნუნცი ბაზრის სანაგვეზე დააგდესო. სხდომათა დარბაზისკენ მიმავალი ჩიტებს ბუზებივით იგერიებდა და ხელებს ისე იქნევდა, თითქოს სამგლოვიარო ბადეს იშორებსო სახიდან, თუმცა შავი სამკლავური ჯერ კიდევ არ მოეხსნა. უძილობისგან გამობლექტილი თვალები იქ მყოფთ მოავლო და ბრძანა, შეჰკარით ტივი, ზედ ნუნცი დასვით, მიეცით სამი დღის საჭმელ-სასმელი და დატოვეთ შუა ზღვაში იმ

ადგილას, სადაც ევროპიდან მომავალმა გემებმა უნდა ჩაიარონ, მთელმა ქვეყანამ უნდა გაიგოს, როგორ ისჯებიან ის უცხოელები, რომლებიც ჩვენი სამშობლოს უმადლეს სიწმიდეს ხელყოფენ, პაპმა კი ერთხელ და სამუდამოდ კარგად ჩაიბეჭდოს თავში, რომ ის თავის რომშია პაპი თავისი ბეჭდითა და ოქროს ტახტრევნით, აქ კი მე ვარ, მე. თავს გავიდნენ ეგ მუდრეგები, ეგ კაბიანი მძღნერები. მუქარიანი გაფრთხილება დროული აღმოჩნდა. გადაწყდა, წლის ბოლომდე, ვადაზე ადრე განეხილათ ბენდისიონ ალვარადოს კანონიზაციის საკითხი. უკლებლივ ყველას შეეძლო ენახა საკათედრო ტაძარში საჩინო ადგილზე დასვენებული მისი უხრწნელი სხეული. ქორო სადიდებელ ჰიმნს მღეროდა. ვატიკანთან გამოცხადებული საომარი მოქმედება შეწყდა, დე არმას მოედანზე შეკრებილი ხალხის შეძახილები იქაურობას აყრუებდა, გაუმარჯოს მშვიდობას, გაუმარჯოს ღმერთს. ამ დროს კი მან სასწრაფოდ მოიწვია სარიტუალო კონგრეგაციის აუდიტორი და პოსტულადორი მონსენიორ დემეტრიო ალდოუსი, ცნობილი როგორც ერთრეელი. იგი ჩამოსული იყო საგანგებო მისიით — ძირისძირობამდე შეესწავლა ბენდისიონ ალვარადოს ცხოვრება, შეესწავლა ისე, რომ ყველა დაერწმუნებია მის წმინდანობაში. მამაო, აქ დარჩებით მანამდე, სანამდეც მოისურვებთ. ერთრეელის ხელი თავის ხელში შეაყოვნა და მაშინვე ნდობით განიმსჯვალა მის მიმართ, ამ შავკანიან აბისინიელს ამქვეყნად ყველაფერზე მეტად სიცოცხლე უყვარდა. მიირთმევდა იგუანის კვერცხს, გიჟდებოდა მამლების ბრძოლაზე, მულატ ქალებზე და ცეცხლოვან ცეკვებზე. ჩემო გენერალო, ამეებზე ხომ არც ჩვენ ვამბობთ უარს. პრეზიდენტის ბრძანებით ამ ეშმაკის მსახური კანონიკის წინაშე უნდა გაღებულიყო ყველა ჩარაბული კარი, არავის არაფერში არ უნდა შეეშალა ხელი მისთვის, დაე, თავად დარწმუნდეს, რომ მწუხარებისგან თავგზააბნეულ ამ სამეფოში არაფერია დაფარული ადამიანის თვალისათვის, არაფერია ისეთი, რასაც შეუძლია ეჭვქვეშ დააყენოს ბენდისიონ ალვარადოს წმინდანობა, რაიც ბენაარის მიერ იყო უკვე განჭვრეტილი. მთელი ქვეყანა თქვენს განკარგულებაშია, მამაო. ჯარისკაცებმა ყველაფერი მიაღაგ-მოაღაგეს ნუნცის რეზიდენციაში. იქ უკვე უამრავი ან განკურნებული კეთროვანი იყრიდა თავს, წყლულები გაქრობოდათ და ახალი, გლუვი, სუფთა კანი უპრიალებდათ. წმ. ვიტოს ყოფილი პაციენტები ურწმუნო თომებს უჩვენებდნენ, რა სხარტად უყრიდნენ ძაფს ნემსის ყუნწში. აქ მოსულიყვნენ ისინიც, ვინც რულეტის თამაშით დააღწია თავი სიღარიბეს. ირწმუნებოდნენ, ბენდისიონ ალვარადო დაგვეხმარა, სიზმარში გამოგვეცხადა და ნომრები გვიკარნახაო. ნუნცის რეზიდენციის წინ მოსულიყვნენ ისინიც, ვინც უგზო-უკვლოდ დაკარგულებს ეძებდნენ, ისინიც, ვისაც უკვე ეპოვა თავი-

სი ახლობელი ზღვაში დამხრჩვალნი, მოსულიყვნენ ისინი, ვინც სულ ცოტა ხნის წინ უპოვარი იყო, ახლა კი თავზე საყრელი ჰქონდა ყველაფერი, ერთი სიტყვით, მთელი ეს უსასრულო რიგი მიიწევდა წინ და ინთქმებოდა ჩახუთულ კაბინეტში. კედლებზე ეკიდა არკებუბები, რომლებითაც ოდესღაც კანიბალებს ხოცავდნენ, ეკიდა სერ უოლტერ რეილიჯის მიერ გათხრებისას ნაპოვნი პრეისტორიული კუს ბაკანი, და რაც მთავარია, სწორედ ამ სულისშემხუთველ ოთახში იღებდა დაულალავი ერთთრეელი ადამიანთა ამ უსასრულო რიგს. იგი მოთმინებით უსმენდა ყველას, არავის არაფერს ეკითხებოდა, ოფლად გახვითქული არად აგდებდა უამრავი ადამიანის სუნს და ქაჩავდა და ქაჩავდა თავის იაფფასიან სიგარას, თუმცა ოთახში უმისოდაც ჭირდა სუნთქვა. სიტყვასიტყვით იწერდა ბენდისიონ ალვარადოს წმინდანობის მოწმეთა ჩვენებებს, მერე ხელს აწერიებდა, ზოგი გვარს და სახელს აწერდა, ზოგს ჯვარი გამოჰყავდა, ზოგიც, ჩემო გენერალო, თქვენსავით ცერა თითის ანაბეჭდს ტოვებდა. ერთი სიტყვით, ვისაც როგორ შეეძლო, ისე აწერდა ხელს. ერთნი რომ გადიოდნენ ოთახიდან, მაშინვე მეორენი შედიოდნენ, ისინი თითქმის არ განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. ოთახში შესვლისას ყველაფერი თავიდან იწყებოდა. იცით რა, მამაო, მე ჭლექი მჭირდა, ერთთრეელიც სიტყვა სიტყვით იწერდა, მე ჭლექი მჭირდა, ახლა კი ნახეთ, როგორ ვმღერი. მე იმპოტენტი ვიყავი, მამაო, ახლა კი ნახეთ, როგორა მაქვს მომართული ჩემი იარაღი, ასე დავდივარ მთელი დღე. მე იმპოტენტი ვიყავი, წერდა ერთთრეელი მარადიული მეღნით, ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ამ მეღნით ნაწერს ვერავინ შეცვლიდა და ვერც ჩაასწორებდა კაცობრიობის ისტორიის დასასრულამდე. მუცელში ცოცხალი ცხოველი მეჯდა, მამაო. ცოცხალი ცხოველი მეჯდა, წერდა ერთთრეელი და გამოსაფხიზლებლად მაგარ ყავას სვამდა, თან სიგარას სიგარაზე ეწეოდა. ეს დაულლეელი, გაოფლილი, მენიჩხესავით მკერდმოღეღილი მღვდელი ნამდვილი მაჩოა, ჩემო გენერალო. დიახ, სენიორ, ნამდვილი მაჩოა, ბევრი როდია ასეთი, იყო გენერლის პასუხი. ერთთრეელი შესვენების გარეშე მუშაობდა, დრო რომ არ დაეკარგა, საღამომდე არაფერს ჭამდა, საღამოს კი დაიბანდა თუ არა, თავის დაკემსილ სუტანას იცვამდა და გარბოდა პორტის დუქანში, სადაც გრძელ ფიცრულ მაგიდასთან ჯდებოდა პორტის მტვირთავებთან ერთად და გამგელელებული, უკოვზოდ, ინდიელივით პირდაპირ თეფშიდან ხვრეპდა სალაფავს, თევზსაც ხელით გლეჯდა და ძვლებს თავისი სატანური, სიბნელეში მანათობელი კბილებით თქვავდა. ჩემო გენერალო, ნეტავი დაგენახათ ადამიანთა ნალექში, ბინძურიალქნიან ნავებზე მომუშავე მატროსებსა და მტვირთავებში ჩამჯდარი ეს ჩვენი მღვდელი. ქლიავითა და მწვანე გვინეოს ნაყოფით დატვირთულ ამ ნა-

ვებს მთლად ნორჩი კახპა გოგოებიც გადაჰყავდათ დედამიწის ზურგზე ყველაზე თვალწარმტაც და ყველაზე ნაღვლიან კუნძულებზე, კურას-აოზე შუშის სასტუმროებში სამუშაოდ — გუანტანამოზე და სანტიაგო დე ლოს კაბალიეროსზე. მამაო, ჩვენც რამდენჯერ დაგვთენებია ამ კუნძულებზე ოცნებებში წასულთ, გაიხსენეთ, რა სხვანაირები ვხდებოდით, როცა ნავები შორდებოდნენ ნაპირს, გაიხსენეთ მკითხავი თუთიყუში მათილდე არენალესის სახლში, გაიხსენეთ მათლაფებზე მობორიალე ზღვის კიბორჩხალები, ზვიგენტა ქარი, დოლების შორეული ბრაგუნი, გაიხსენეთ მთელი ცხოვრება, მამაო, მურტალი ცხოვრება, ბიჭებო, როგორც თქვენ ხმარობთ ჩვენებურ გამოთქმას, თანაც ისე, თითქოს მოჩხუბარი ძაღლების უბანში იყოთ დაბადებული და გაზრდილი. მართლაც, ეს ერთრეელი ბურთსაც დასდევს პლაჟზე, ჩემო გენერალო, აქაურებზე უკეთ შეისწავლა აკორდეონზე დაკვრა, უკეთ მღერის კიდევ, შეისწავლა მეზღვაურთა ხატოვანი გამოთქმები, ყველას გადააჭარბა დედის გინებაში, იგინება ლათინურადაც, მატროსებთან ერთად ღრეობს ბაზრის დუქნებში. ახლა ერთს ეჩხუბება, ღმერთი აუგად რატომ მოიხსენიეო, ხელჩართული ბრძოლაა, ჩემო გენერალო, როგორ მოვიქცეთ. პრეზიდენტმაც ბრძანა, არც როგორ, ნუ გააშველებთ, წრე შემოარტყით. მღვდელმა გაიმარჯვა, ჩემო გენერალო, ასეც ვიცოდი, თქვა მან. მაგრამ მღვდელი არც ისეთი უბრალო ვინმე გახლდათ, როგორიც ეგონათ. იმ ბობოქარ ღამეებში მან უფრო მეტის გაგება მოახერხა, ვიდრე ნუნცის რეზიდენციაში მომქანცველი მუშაობისას. იმ ღამეებში მან უფრო მეტი გაიგო, ვიდრე ქალაქგარეთა პირქუშ სახლში, სადაც ერთ წვიმიან ღამით შეიპარა. თუმცა მას ეგონა, რომ შეიპარა, რომ პრეზიდენტის უშიშროების სამსახურის გაცურება შეძლო. ყველა კუთხე-კუნჭული დაათვალიერა მთლად გალუმპულმა. გარეთ კოკისპირულ წვიმაში არ დასველებულა ისე, როგორც ამ სახლში. ჭერიდან თავსხმა მოდიოდა და ერთრეელი ისე აიტანა შიშმა, რომ იგრძნო, როგორ ეწეოდა თავისკენ სიმხდალის ჭაობი და ბენდისიონ ალვარადოს დიდებული საძინებლები, სადაც შხამიანი ყვავილები ამოსულიყვნენ. ეს საძინებლები ბენდისიონ ალვარადომ თავის მოახლეებს აჩუქა. კეთილი ქალი იყო, მამაო, მორიდებულიც. მოახლეებს ბატისტის ზეწრებს უფენდა, თვითონ ყაბარმულ საწოლზე დაფენილ ჭილოფზე იწვა. მოახლეებს თავის საგარეო კაბების ჩაცმის ნებას რთავდა, ნებას რთავდა დენშიკვებთან ერთად ებანავათ დედიშობილებს ლომის თათებიან ვეებერთელა თუჯის აბაზანაში, სურნელოვან, ფერადქაფიან წყალში. მოახლეები დედოფლებივით ცხოვრობდნენ, ქვეყნის პირველი ქალბატონი კი მუხლჩაუხრელად შრომობდა, ჩიტებს აფერადებდა, შეშის ღუმელზე ბოსტნეულის წვნიანს ამზადებდა, მეზობლებისთვის

სამკურნალო ბალახს აგროვებდა. ღამე არ იყო, ვინმეს არ გაეღვიძებია, სენიორა, ჩემს ნათლიმამას თვალი აცაბაცა გაურბის, ისიც ეპასოტეს ნაყენს უზიარებდა. სენიორა, ვკვდები, მაგრამ არავინ კვდებოდა, რადგან მეზობლების ჯანმრთელობის საქმე საიმედოდ ეპყრა ხელთ. სიცოცხლეშივე წმინდანი გახლდათ, მამაო, სხვათა უწმინდურობისაგან დასაცავად საკუთარი ზნეკეთილობა შემოირტყა გალავანივით, საკუთარი სამყარო შეიქმნა მისთვის უცხო და მიუღებელ ამ მდიდრულ, ცოდვიან სასახლეში, სადაც მას შემდეგ, რაც იგი ძალით წაიყვანეს პრეზიდენტის სასახლეში, უღმერთოდ ჩამოდის წვიმა ჭერიდან და გულისმომკვლელად კაკუნობს პიანინოს კლავიშებზე თუ მდიდრული სასტუმრო ოთახის თეთრად მოქათქათე მაგიდაზე, რომელთანაც ბენდისიონ ალვარადო არასოდეს მჯდარა. ასე ამბობდა, გინდა ამ მაგიდაზე გიჭამია და გინდა საკურთხეველი წაგიბილწავსო. თავად განსაჯეთ, მამაო, განა ეს სიტყვები წმინდანის საფერი სიტყვები არ არის, განა ამ სიტყვებში წინათგრძნობის მარცვალი არ დევს. მაგრამ მიუხედავად ბენდისიონ ალვარადოს მეზობლების ასეთი მხურვალე თანადგომისა და მხარდაჭერისა, შავკანიან ეშმას დიდი ფიქრი არ დასჭირვებია იმის დასადგენად, რომ ქალაქგარეთა სახლის დიასახლისი თავმდაბალი კი არ იყო, უბრალოდ, მისთვის უცხო გარემოს ვერ ეგუებოდა, ეშინოდა მისი, ვერაფრით გაეგო, ვის რაში სჭირდებოდა ეს აბანოზის ხის ნეპტუნები, აბორიგენტა დემონების ნამსხვრევები და სამხედრო ფორმაში გამოწყობილი ანგელოზები, რომლებსაც ამოევსოთ გუშინდელი საცეკვაო დარბაზების სიციარიელე. მაგრამ ერთრეელმა ხელჩასაჭიდი აქ ვერაფერი ნახა, ვერ ნახა ის ერთი სამსახა ღმერთიც, აბისინიის მცხუნვარე ველებიდან რომ გამოაგზავნა ამ მხარეში სიმართლის საპოვნელად. რაც არ არის, რას იპოვიდა, ჩემო გენერალო. მონსინიორ ალდოუსი ქალაქელებისგან გაგონილს არ დასჯერდა და ჯორით გაეშურა ყინულოვანი ზეგანის სოფლებისკენ, იქნებ იქ მოვიძიო ბენდისიონ ალვარადოს წმინდანობის დამადასტურებელი რაიმე სარწმუნო საბუთიო. იქ, ზეგანზე, ჯერ კიდევ არ იციან, ეს ქალბატონი ძალაუფლების შარავანდედით რომ არის მოსილი, იქნებ იქ ისევ ისეთი, დიდი ხნის წინანდელი ბენდისიონი ახსოვთო. ბურუსიდან ამოზრდილი, ყაჩაღის პონჩოში გახვეული, უზარმაზარჩექმებიანი სატანის ჩრდილის დანახვაზე კაჩაკოები დაფეთებული გარბოდნენ, მერე გოცებისგან თვალეზაჭყეტილები ჩერდებოდნენ და ცნობისმოყვარეობით შესცქეროდნენ უცხო კაცს. ასეთი ფერის ადამიანი ძეხორციელს არ უნახავს აქ. ერთრეელი ყველას ეუბნებოდა, ნუ გეშინიათ, ხელით შემეხეთ და დარწმუნდებით, გუდრონისა რომ არა ვარო. გასამხიარულეზად კბილებსაც უჩვენებდა, ნახეთ როგორ ელავენ სიბნელეშიო.

ყველს ხელით ტეხდა, ჩიჩასაც საერთო ხაპით სვამდა. ამ ხერხით ცდილობდა ხალხის გულის მონადირებასა და ნდობის მოპოვებას. დადიოდა სოფლის უდიდეს დუქნებში, ესაუბრებოდა იქაურებს, იმათაც ყურმოკრულად გაეგონათ, რომ თურმე რომელიღაც სხვა დროში, სხვა ეპოქის დასაწყისში ყოფილა ერთი ქალი, ჩიტებს აფერადებდა და ყიდდა. ძლივს დადიოდა თურმე უამრავი გალიით დამძიმებული. გალიები სავსე ჰქონია უსახელო და უსახური ბარტყებით, მოოქროსფერო ტუკანებით, ფარშევანგივით კუდმოხატული გუაჩარაკებით. პანაშვიდით ნაღვლიან საკვირაო ბაზრობაზე მიათრევდა, იქნებ ამ ტეტიებს მაინც შევატყუო ჩემი ჭრელატრულა ჩიტებიო. აგერ იქ ჯდებოდა თურმე ცეცხლთან და მოთმინებით ელოდებოდა, იქნებ ვინმე გამოჩნდეს, დუქნის საკუჭნაოში შემიპატიჟოს და ლუდის რუმბებზე დამაგროსო. ამას იმიტომ აკეთებდა, რომ შიოდა, მამაო, პურის ფული არ ჰქონდა. არც ისეთი ტეტიები იყვნენ ზეგანელები ფული გადაეყარათ მის გათხაპნილ ჩიტებში, წვიმის პირველსავე წვეთებზე რომ სცილდებოდათ საღებავი და ფარშევანგივით მოხატული კუდებიც ერთიმეორეს მიყოლებით რომ ძვრებოდათ. ამ საქმეს ქალი თავისი გულუბრყვილობით მისდევდა, ის იყო ჩიტების წმ. ბენდისიონი, მამაო, ზეგანის ბენდისიონი ან რაც გინდათ ის დაარქვით. არავინ იცოდა მისი ნამდვილი სახელი, ან როდის, ან ვინ შეარქვა მას ბენდისიონ ალვარადო. ჩვენებური სახელი არ არის, უფრო ზღვისპირელებისა უნდა იყოს, მამაო, ხედავთ, ესეც კი გამოიძია ამ ეშმაკის მოციქულმა, ბევრი რამ დაყნოსა და ამოხსნა კიდევ, თუმცა პრეზიდენტის უშიშროების სამსახურის საიდუმლო აგენტები ფეხდაფეხ დასდევდნენ და სიმართლის დასაფარავად რაღას არ იგონებდნენ. ტყუილების აბლაბუდაში ხვევდნენ, ათასნაირად უშლიდნენ ხელს, დაბრკოლებებს უქმნიდნენ. ჩემო გენერალო, იქნებ დროა მის ჯორს ფეხი დაუცდეს უფსკრულის პირას. არამც და არამც, ბრძანა მან, განაგრძეთ თვალთვალი, ოღონდ პირადად მას ხელი არ ახლოთ, ვიმეორებ, პირადად მას ხელი არ ახლოთ, მიეცით მოქმედების სრული თავისუფლება, შეუქმენით ყველანაირი პირობა თავისი მისიის შესასრულებლად. მე გიბრძანებთ ამას, ასეთია ჩემი უმაღლესი სურვილი, შეასრულეთ. ამ ბრძანებას კი იძლეოდა, მაგრამ იცოდა, რისკზე მიდიოდა, საფრთხეს უქმნიდა მითს საკუთარ დედაზე, მითს ბენდისიონ ალვარადოზე. ერთთრეელი ჯიუტად ცდილობდა ტაბუდადებული იმ შორეული დღეებიდან ამოეტივტივებინა დედამისის ნამდვილი სახე, როცა ის სურვილებით აღსავსე ყმაწვილი ქალი იყო, როცა ის ფეხშიშველი და ჩამოძონძილი დადიოდა, როცა ის ლუკმაპურს თავისი მუცლის ქვემოთა ნაწილის მეშვეობით შოულობდა, მაგრამ ისეთი ლამაზი იყო, მამაო და ისეთი გულუბრყვილო, რომ უსახურზე უსახურ თუ-

თიყუშს ჯიშიანი მამლის ბოლოებს აწებებდა და გუაკამაიად ასაღებდა. ჭირიან, გაქუცულ ქათმებს ინდაურის ბოლოებს მარაოსავით გაშლილს უმაგრებდა კურტუმოზე და მუშტარს არწმუნებდა, სამოთხის ჩიტოაო. რა თქმა უნდა, არავინ უჯერებდა, თავს არავინ ისულელებდა, ჩიტების მართოსული გამყიდველი ქალის ანკესს არავინ ეგებოდა. ის თავისას მაინც არ იშლიდა, თუმცა საკვირაო ბაზრობების ორომტრიალში მისი ჩურჩული არავის ესმოდა, ვინც ერთს იყიდის, დანარჩენებს ვაჩუქებ. ზეგანელებს ახსოვდათ ეს შერევილი ღარიბი ქალი, მაგრამ ვინ იყო და რას წარმოადგენდა, ვერა და ვერ დაადგინეს. იმ მონასტრის არქივში, სადაც ის მოინათლა, არავითარი ჩანაწერი არ აღმოჩნდა მისი დაბადების შესახებ, სამაგიეროდ მისი ვაჟის დაბადების მოწმობა აღმოჩნდა, თანაც სამი. აღმოჩნდა, რომ სამი სახელი ჰქონია, რომ სამჯერ ჩასახულა სხვადასხვა ვითარებაში და სამივეჯერ დღენაკლული დაბადებულა. ჩვენმა ისტორიკოსებმა ისურვეს ასე, რათა საიდუმლოდ შეენახათ პრეზიდენტის დედის ნამდვილი წარმომავლობა, მაგრამ ერთრეელმა თითქმის მიაღწია საიდუმლომდე, ის იყო სინამდვილისთვის ფარდა უნდა აეხადა, რომ თოფიც გავარდა. ჩემო გენერალო, გასროლის ექომ კორდილიერებს გრუხუნით გადაუარა, კლდიდან კლდეს შეეჯახა შემზარავი ყროყინი უფსკრულში გადაჩეხილი ჯორისა, რომელიც მარადიული თოვლით დაფარულ კლდეთა შვერილებს ეხეთქებოდა, ოღონდ უკვე სხვა კლიმატურ ზონაში. საბრალო ცხოველმა ყროყინით ჩაუქროლა მყინვარებს, სადაც სანაოსნო დიდი წყალი იღებს სათავეს, ჩაუქროლა მთის კალთებს, სადაც ბოტანიკის შემსწავლელი სამეცნიერო ექსპედიციის წევრები ინდიელებზე შემსხდარნი მცენარეებს აგროვებდნენ თავიანთი იდუმალი ჰერბარიუმებისათვის, ჩაუქროლა ველური მაგნოლიით მოფენილ მთიან პლატოს, სადაც ყოვლად უწყინარი, სამაგალითო ჩვევების ხორცგემრიელი და უხვმატყლიანი ცხვრის ფარა გაშლილიყო, ჩაუქროლა სნეული ადამიანებით დასახლებულ ბობოქარ მდინარისპირა მცხუნვარე ვაკე ადგილს, საიდანაც საღამოსეულ ნიავს მოჰქონდა ვაკაოს პლანტაციიდან მოღალატურად მოკლული მართოსული ბერიკაცის მყრალი სუნი. ვაკაოს დიდ, მკვრივ ფოთლებში წითლად მოჩანდა ყვავილი და მარცვალი, რომლისგანაც ძირითადად მზადდება შოკოლადი, ჩაუქროლა უმოძრაო მზეს, მწველ მტვერს, საზამთროებს, ნესვებს, ატლანტიკოს დეპარტამენტის საძოვრებზე მოფენილ ძვალტყავა, ნაღვლიან ძროხებს, ჩაუქროლა ორასი მილის მონაკვეთზე ერთადერთ საქველმოქმედო სკოლას, მაგრამ ყველაფერს საზღვარი აქვს და ბოლოს და ბოლოს, ისიც, ჯერ კიდევ ცოცხალი, გუანაბაოს მწიფე ნაყოფივით გასკდა უფსკრულის ძირში. გვინეოს ბუჩქებში ვაკებები დაფრთხნენ, ჯორმა მძიმედ ამოიხვნეშა. წყ-

ეულები, გადააგდეს, ჩემო გენერალო. ვეფხვზე სანადირო თოფით მოკლეს ანიმა სოლას ხეობაში. კი მაგრამ, როგორ გაბედეს ნაბიჭვრებმა, მე ხომ ვბრძანე, ხელი არ ახლოთ-მეთქი, მე ხომ ტელეგრამები დავუგზავნე ყველას კატეგორიული მოთხოვნით, მაგათ ვუჩვენებ სეირს, გავაგებინებ ვინ ვინ არის. ცოფებს ყრიდა გაცეცხლებული, მაგრამ მისი გაცეცხლება რომელიმე აგენტის ურჩობით კი არა, უფრო სხვა რაღაცის ეჭვით იყო გამოწვეული, რაღაცას უმაღავდნენ, დარწმუნებული იყო, რაღაც მნიშვნელოვანს უმაღავდნენ, რაკი გაბედეს და მისი ელვა ბრძანებები არად ჩააგდეს. როცა ვინმე ეახლებოდა რაიმე ამბის მოსახსენებლად, თვალეში შესცქეროდა, მოსულის სუნთქვაზეც იყო მიყურადებული, რადგან ვარგად უწყოდა, ტყუილის თქმას მხოლოდ ის ბედავს, ვინც სიმართლე იცის, ამიტომაც დღედაღამ იმის ცდაში იყო, როგორმე ამოეხსნა უმაღლესი ჩინის სამხედრო პირთა ჩანაფიქრი, ცდილობდა ამოეცნო, რომელი ღალატობდა. შენ ხარ მოღალატე, არარსებობიდან რომ გამოგათრიე. შენ ხარ მოღალატე, ჩემი წყალობით ახლა რომ ოქროს საწოლში ნებივრობ, ოდესღაც კი მიწაზე ეგდე. იქნებ შენ ხარ, სიცოცხლე რომ შეგინარჩუნე, ან იქნებ შენ, ყველაზე მეტს რომ გიხდი სხვებთან შედარებით, უღირსი დედის შვილებო, რომელი ხართ-მეთქი, გეკითხებით. იცოდა, მათ შორის რომელიღაცამ არად ჩააგდო მისი ხელმოწერილი ტელეგრამა, რომელიც მარტო ხელმოწერით კი არა, გამდნარ ლუქზე დასმული საკუთრივ მისი ბეჭდით იყო დამოწმებული. იგი პირადად ჩაუდგა სათავეში სამაშველო ღონისძიებას. ვბრძანებ, ორმოცდარვა საათის განმავლობაში მოძებნოთ დემეტრიო ალდოუსი და აქ მომგვაროთ ცოცხალი. თუ მკვდარს იპოვით, ცოცხალი მომგვარეთ, თუ საერთოდ ვერ იპოვით, სულერთია, მაინც მომგვარეთ ბრძანება ისე არაორაზროვანი და საშინელი იყო თავისთავად, რომ ძებნისთვის მიცემულ საჭირო ვადაზე ადრე ამცნეს მართალი ამბავი, ჩემო გენერალო, უფსკრულში იპოვეს ბუჩქებში, ჭრილობები შეხორცებია იქაური ოქროს ყვავილების წყალობით. ცოცხალი კი არა, ჩვენზე უფრო ცოცხალია, ჩემო გენერალო, და ისიც დედათქვენის ბენდისიონ ალვარადოს ჯადოქრული ძალის წყალობით, რომელმაც ამ ყვავილებს სამკურნალო თვისებები შესძინა. დედათქვენმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა თავისი უსაზღვრო სიკეთე და სიწმინდე და, რაც მთავარია, დაუმტკიცა იმ ადამიანს, ვინც ცდილობდა ჭუჭყი მოეცხო მისი ხსოვნისთვის. ეს ვაცი სარებზე დამაგრებულ ჰამაკში ჩააწვინეს და ინდიელთა ბილიკებით ჩამოიყვანეს მთიდან გრენადერების ესკორტის თანხლებით. წინ კი ცხენზე ამხედრებული ალგუასილი მიუძღოდათ. თითქოს სადღესასწაულო წირვააო, გახარებული აწკრიალებდა პატარა ზარს და ქვეყანას ამცნობდა, ხალხო, უმაღ-

ლესი ხელისუფალის ბრძანება შესრულებულია, დემეტრიოს ალდოუსი ცოცხალი მოგვყავსო. მართლაც, იგი მიიყვანეს სასახლეში და ჯანდაცვის მინისტრის პირადი პასუხისმგებლობით დააბინავეს საპატიო სტუმრებისთვის განკუთვნილ საძინებელში. სწორედ ამ საძინებელში დაუსვა მან წერტილი თავის მისიას, მოამზადა შვიდი 350-350 გვერდიანი საშინელი ტომი და ყოველი ტომის ყოველი გვერდით მარჯვენა მინდორზე წააწერა: მე, დემეტრიო ალდოუსი, განგების ნებით სარიტუალო კონგრეგაციის აუდიტორი და რწმენის პოსტულადორი, ა/წ აპრილის თოთხმეტს ქვეყნად სიმართლის აღმადლებისა და უფლისა ჩვენისა სახელით, ხელის მოწერთაც და ბეჭდითაც ვადასტურებ, რომ აქ რაც წერია, არის სიმართლე, სრული სიმართლე, მხოლოდ სიმართლე და სხვა არაფერი სიმართლის გარდა. თქვენო უმაღლესობავ, აი ისიც. მართლაც ბიბლიასავით შთამბეჭდავ ამ შვიდ ტომში, თითოეული ლუქის ბეჭდით რომ იყო დამოწმებული, ისეთი შეულამაზებელი, ისეთი უღმობელი სიმართლე იყო, რომ ამ ქვასავით მაგარ ბერიკაცს მხოლოდ თავზეხელაღებული, უპატივმოყვარეო და უანგარო კაცი თუ გაუბედავდა. ბერიკაცი კი იჯდა თივის ჩალის სავარძელში, პაპანაქება სიცხის აღმურს სომბრეროთი ინიავებდა და თვალდაუხამხამებლად ისმენდა ამ სიმართლეს. ყოველ სამარცხვინო მხილებისას ჩუმად ხვნიშოდა. აჰა, როცა სინამდვილე მეტისმეტად იყო გამოაშკარავებული, ოდნავ გასაგონად ურთავდა თავის აჰა-ს და თან სომბრეროთი იგერიებდა ნასუფრალით მოზიდულ აპრილის ბუმბებს. სიმართლე ხან მწარე იყო, ხანაც მწველი, გავარჯარებული ნაკვერცხალივით, რომელიც სულში ჩაყურსული სიბნელის გაფანტვას ლამობდა თითქოს. ეს ყველაფერი ფარსია, თქვენო აღმატებულებავ, კომედიია. აჰა, მართლაც ასე იყო. განა თვითონ, თავისდა უნებურად არ დადგა ეს სპექტაკლი. როცა საქვეყნოდ გამოფინა ყინულებიან კუბოში ჩასვენებული მშობელი დედა, აქაოდა, მორჩით ჭორაობას, ბენდისიონ აღვარადლო ცოცხლად ლპებაო, ან თუნდაც მაშინ, როცა მოახსენეს, ჩემო გენერალო, დედა-თქვენი სიკვდილის მერეც სასწაულებს ახდენსო და მანაც მიცვალებული მთელი ქვეყანა, ეს უწმინდანო ქვეყანა, კიდით კიდემდე მოატარა უამრავი ხალხის თანხლებით. მინდოდა ყველას გაეგო, რომ შენ წმინდანი იყავი, წლების მანძილზე დამცირებული ყოფის შემდეგ, არაერთი უმადური სიყვარულის შემდეგ წმინდანობის ღირსი ნამდვილად იყავი ჩიტების გაფერადებაში განვლილი, უმიზნოდ განვლილი შენი ახალგაზრდული წლების გამო, დედა. რას ვიფიქრებდი, რომ სამგლოვიარო პროცესიას ხალხის მოსატყუებლად გამოიყენებდნენ. არადა, თავიდანვე ახლდა ამ პროცესიას სიცრუე. ვითომდა წყალმანკიანი ავადმყოფები პირდაპირ ხალხის თვალწინ იკურნებოდნენ, წყლებისგან იცლენ-

ბოდნენ. რა თქმა უნდა, მოსყიდულები იყვნენ. ერთ კაცს ორასი პესო ჩაუჯიბეს, მკვდრებით რომ აღმდგარიყო. ისიც საფლავიდან მთლად დაძონძილი ამოძვრა, პირი მიწით ჰქონდა გამოტენილი, ფორთხვა-ფორთხვით მიჰყვა პროცესიას. ერთ ბოშა ქალს ოთხმოცი პესო მისცეს იმისათვის, ვითომ იმშობიარა და ორთავიანი სიმახინჯე დაბადა. ასე იმიტომ დავისაჯეო, რომ ქვეყანას მოვდე, მართლა ხომ არ გგონიათ, რომ სასწაულები ხდება, თვითონ ხელისუფლება იგონებს-მეთქი. ერთი კაციც ვერ იპოვეს, მოუსყიდველი არ ყოფილიყო. რაც ყველაზე ყურადსაღებია, ეს ყველაფერი სულაც არ გახლდათ მიცვალებულის წინაშე ლაქუცი, როგორც გამოძიების დასაწყისში ეგონა დემეტრიო ალდოუსს. არა, თქვენო უდიდებულესობავ, ეს იყო თქვენი თანამებრძოლების ბინძური თაღლითობა, ეს იყო ყველაზე სკანდალური და მკრეხელური თაღლითობა, როგორიც კი ოდესმე გამოჩეკილა თქვენს ფრთებ ქვეშ, რამეთუ ისინი, რომლებიც ამ სასწაულებს თხზავდნენ და თვითმხილველებს ფულით ყიდულობდნენ, თქვენი რეჟიმის თავგამოდებული მომხრეები არიან. დედათქვენის საპატარძლო კაბის ნაკუწებს სუვენირებად ყიდდნენ. აჰა. მის სურათს ხატებად და ავგაროზებად ასაღებდნენ. აჰა. კუბოდან რომ დამდნარი ყინული წვეთავდა, იმასაც ყიდდნენ აჰა. ჰყიდდნენ ზეწრებს, რომლებზეც გვერდზე მწოლიარე, გულზე ხელმიდებული დედათქვენის სხეული იყო მოხაზული. ყოველივე ამას დიდი გასავალი ჰქონდა ინდუსთა ბაზრობებზე. აჰა. ტაძრის მთავარ საკურთხეველში მდგარ კუბოსთან უწყვეტ ნაკადად ჩავლილი ხალხი უღმერთოდ მოატყუეს, თქვენო ბრწყინვალეობავ. მიცვალებული არ გაიხრწნა იმიტომ კი არა, რომ წმინდანი იყო, როგორც ხალხს ჩასძახოდნენ და თქვენი გულის მოგებისაც ცდილობდნენ, არამედ იმიტომ, რომ ჩვეულებრივი ფიტული იყო, ისეთივე წესით დამუშავებული და გაკეთებული, რა წესითაც სამეცნიერო მუზეუმებში გამოფენილ ცხოველებს აკეთებენ. თავად უნდა დავრწმუნებულიყავი ყველაფერში, დედა. გავხსენი თუ არა შუშის სარკოფაგი სამგლოვიარო ბაფთები ჩემს სუნთქვაზევე გაიფანტნენ ჰაერში ფორთოხლის ყვავილის გვირგვინი რომ მოგხსენი თავიდან შემზარა ოდესღაც ცხენის ფაფარივით უხეში თმა თითქმის ძირიანად ამოეწიწვანათ სუვენირებისთვის ხელში ავიყვანე დედა და ხელში ავიყვანე შენი გამომშრალი ნაწილები ნაკუწებად ქცეულ ფატასთან ერთად გამოფხეკილ გოგრაზე მჩატე იყავი დედა ძველი სკივრის სუნი აგდიოდა მესმოდა ციებაშეყრილივით როგორ გითუხთუხებდა შიგნით რაღაც ჯერ სული მეგონა მერე მივხვდი ჩრჩილი იყო შენს შიგნეულის მისდგომოდა საცეცებით დიდხანს არ მომიწია შენი ხელით ტარება ნაწილებად დაიშალე ბედნიერი დედის სხეული ნაწილებად დაიშალა გულზე ხელმიდებულს მშვიდად რომ გეძინა ახ-

ლა მხოლოდ მტვერი და ნაზი გარსი დარჩა შენგან ფერფლის ღრუბელი დარჩა შუშის თვალები კი ეკლესიის ფილაქანზე გადმოცვივდნენ და რწყილებივით მოჰყვნენ ხტუნვას ჩამავალი მზის მეწამულისფრად ჩაძირულ ეკლესიაში შენ არაფრად იქეცი დედა დაშლილ-დაფერფლილ მატერიად იქეცი. ალგვასილებმა ნიხბებით ახვეტეს და კუბოში ჩაყარეს ეს ყველაფერი. ამის დამნახავი ქვასავით გულმაგარი, იდუმალი ტირანი არც შერხეულა, იგუანის უმოძრაო თვალები არაფერს გამოხატავდნენ არც მაშინ, როცა ეს მოხდა და არც მაშინ, როცა იგი პირისპირ აღმოჩნდა იმ ერთადერთი კაცის წინაშე, ვინც გაბედა სიმართლის სარკის წინ დაეყენებინა პრეზიდენტი. ქუჩაში ყურადღება რომ არ მიექციათ, ისინი ჩვეულებრივ უღერბო კარეტაში ისხდნენ და ფარდის ფოჩებიდან ადევნებდნენ თვალს პაპანაქება სიცხეში თაღოვან ალყაფში შეფარებულ ლატაკთა ურდოებს. ამ ალყაფთან ადრე თუ შხამიანი ყვავილები, მომთენთავი ხილი ან პატარა წიგნები იყიდებოდა საშინელ მკვლელობებსა და უიღბლო სიყვარულზე, ახლა ლამის ყოველდღე გამოჰქონდათ გასაყიდად დედამისის ბენდისიონ ალვარადოს კაბის ნაკუწები და სხეულის ნარჩენები. მონსენიორ დემეტრიო ალდოუსი თითქოს სათქმელს მიუხვდაო, აზიმზიმებულ ხალხს თვალი მოაშორა და ჩურჩულით უთხრა, ჩემ მიერ ჩატარებულ გამოძიებას დადებითი მხარეც აქვს, დავრწმუნდი, რომ იმ უპოვარ ხალხს საკუთარი სიცოცხლესავით უყვარს თქვენი უმაღლესობა. მართლაც, თუ დემეტრიო ალდოუსი პრეზიდენტის სასახლეში ხელისუფლების მიერ აღმევებულთა ვერაგობას, ანგარებასა და პირმოთნეობას წააწყდა, სამაგიეროდ გარეთ დარწმუნდა, რომ ლატაკი ხალხი არაფერს ელოდა მისგან, საერთოდ, არავისგან არაფერს ელოდა, არავის იმედი არ ჰქონდა, მაგრამ, უბრალოდ, აღმერთებდა იმას, ვინც მასზე მაღლა იდგა. თქვენო უდიდებულესობავ, ისეთი ჭეშმარიტი, ღვთიური სიყვარულით უყვარხართ, ღმერთსაც კი შეეშურდება. მაგრამ მის უდიდებულესობას ხარბიც არ შერხევია ამ აღიარებულ სიყვარულზე, თუმცა სხვა დროს გული სიამით შეეკუმშებოდა ალბათ. ახლა კი მოთოკილი აღელვებით სუნთქვაშეკრულმა გაიფიქრა, ძალიანაც გინდოდათ არავის ვყვარებოდი მამაო განსაკუთრებით ახლა რომ წაბრძანდებით და თქვენი ცრუ სამყაროს ოქროს გუმბათქვეშ ჩემი შერცხვენითა და ჩემი ვარამით მიეცემით ტკბობას მე კი აქ დავრჩები მართლ თქვენი აღმოჩენილი სიყვარულით მხრებდამძიმებული დავრჩები მოსიყვარულე მზრუნველი დედის გარეშე ცოცხალი რომ მყავდეს ხელს წამაშველებდა ამ ტვირთის ზიდვაში დავრჩები მართოსული ამ ქვეყანაში რომელიც მე არ ამომირჩევია ჩემი ნებით მივიღე ისეთი როგორიც თავად ნახეთ მივიღე ისეთი როგორიც იყო ათადან და ბაბადან ირეალურობისკენ მიდ-

რეკილი მძღნერის სუნად ამყრალებული უისტორიო მხოლოდ სიცოცხლეზე მოფიქრალი ადამიანებით ეს ის სამშობლოა რომელიც ძალით მომახვიეს თავს არავის უკითხავს მინდოდა თუ არ მინდოდა უფროსობა მამაო ეს არის ქვეყანა სადაც პრეზიდენტის კარეტაში მზეზე ორმოცი გრადუსია ჩრდილში ოთხმოცდათვრამეტი პროცენტი ტენიანობა ეს არის ქვეყანა სადაც ლამის დაგახრჩოს მტვერმა სადაც არავინაა ისეთი დომინოს პარტია მოგიგოს და სადაც მართლა არავის არაფერი დაეჯერება თე შეგიძლიათ შეძვერით ჩემს ტყავში მამაო. ჩუმად ამოიოხრა, ოღონდ შესამჩნევად დაახამხამა იგუანის თვალები და დემეტრიო აღდოუსს სთხოვა, ეს ჩვენი დღევანდელი გულახდილი და მკაცრი საუბარი ჩვენ შორის დარჩესო. მამაო, თქვენ არაფერი გითქვამთ ჩემთვის და მეც არ ვიცი სიმართლე, შევთანხმდით რა თქმა უნდა, შევთანხმდით, თქვენო უმაღლესობავ, თქვენ არაფერი იცით, მეც კაცურად გპირდებით, სიტყვა არავისთან დამცდება. ამის შემდეგ ბენდისონ ალვარადოს წმინდანობის დამადასტურებელ საბუთების არქონის გამო შეწყდა ამ საკითხზე ყოველგვარი საუბარი და მოლაპარაკება. მთავრობის ოფიციალური თანხმობით რომმაც გამოაქვეყნა თავისი ვერდიქტი. პრეზიდენტმა განკარგულება გასცა, შესაბამისმა სამსახურებმა არ დაუშვან საპროტესტო გამოსვლების მცდელობაც კი და ყველას მოუწოდა დაეცვათ საზოგადოებრივი წესრიგი. მაგრამ წესრიგის დამცველთა ძალისხმევა — ქვეყანაში სიმშვიდე ყოფილიყო — ამო გამოდგა. მლოცველთა ურდოებმა საკათედრო ტაძარს კარი ჩამოხსნეს და დე არმას მოედანზე კოცონები დაანთეს, იმავდროულად ნუნცთა რეზიდენციას ქვები დაუშინეს და ფერადი ვიტრაჟები ნამსხვრევებად აქციეს თავის ანგელოზიან-გლადიატორებიანად. ჩემო გენერალო, ანგრევენ, მაგრამ ის არც შერხეულა თავის ჰამაკში. ბისკაელ ქალთა მონასტერს ალყა შემოარტყეს, ჩემო გენერალო, შიმშილით სურთ ამოხოცონ. ძარცვავენ ეკლესიებს, მისიონერთა სახლებს, ანადგურებენ ყველაფერს, რასაც სულიერებასთან აქვს კავშირი. არც ახლა შერხეულა ცოცხალი ყვავილების ჩარდახქვეშ გაკიდულ ჰამაკში, მაგრამ როცა უკლებლივ ყველა მაღალჩინოსანმა სამხედრომ აღიარა თავისი უძლურება სახალხო მღელვარების ჩახშობის საქმეში, მაშინ კი ეკადრა ჰამაკიდან გადმობრძანება, სწრაფად გაეშურა კაბინეტისკენ, სადაც ფიქრისა და განსჯის რამდენიმე თვე ისე გავიდა, არც შესულა. შევიდა და აიღო კიდევ მთელი პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე — ერთპიროვნულად გამოეხატა ხალხის ნება საგანგებო დეკრეტით, რომელსაც, მართალია, საკუთრივ მან შთაბერა სული, მაგრამ მაინც ერთგვარი შიშითა და რისკით გამოაქვეყნა, ძალოვანი სამსახურები არ გაუფრთხილებია და არც თავისი მინისტრებისთვის უთხოვია რჩევა. დე-

კრეტის პირველსავე მუხლში თავისუფალი და სუვერენული ქვეყნის მოსახლეობის უმაღლესი ნების თანახმად ბენდისიონ აღვარადო საერო წმინდანად ცხადდებოდა. მას მიენიჭა ერის მფარველის, სნეულთა მკურნალისა და ჩიტების ოსტატის ტიტული. მისი დაბადების დღე ეროვნულ დღესასწაულად გამოცხადდა. მეორე მუხლში იგი ომს უცხადებდა ვატიკანს სამართლებრივი და საერთაშორისო კონვენციების მიერ დადგენილ ნორმებში, აქედან გამომდინარე ყველა შედეგით. მესამე მუხლში მოითხოვდა დაუყოვნებლივ, გაეძევინათ ქვეყნიდან არქიეპისკოპოსი, ყველა ეპისკოპოსი, სამოციქულოების პრეფექტები, მღვდლები, მონაზვნები და საერთოდ, სასულიერო წოდების ყველა პირი ან ის ხალხი, ვინც რაღაცით მაინც იყო დაკავშირებული ეკლესიასთან, აქაურები და უცხოელებიც. მათ სასტიკად ეკრძალებოდათ არა მარტო ქვეყნის ტერიტორიაზე ყოფნა, არამედ ტერიტორიულ წყლებში ორმოცდაათ მილზე მოახლოებაც კი სულერთია რა საქმეც არ უნდა ჰქონოდათ მათ და ბოლოს, მეორე მუხლში იგი აკანონებდა საეკლესიო ქონების, ტაძრების, მონასტრების, სკოლების, მიწების, შაქრის ქარხნების, ფაბრიკებისა და სახელოსნოების ექსპროპრიაციას, ეს ყველაფერი მას ეკუთვნოდა, მაგრამ ეკლესიის სახელზე იყო რეგისტრირებული, ამიერიდან კი ცხადდებოდა წმ. ბენდისიონ აღვარადოსა და მისი ჩიტების ქონებად სიკვდილის მერე წინამდებარე დეკრეტის გამოქვეყნებისთანავე. დეკრეტი უმაღლესმა ხელისუფალმა ბეჭდით დაამოწმა, დაემორჩილეთ და შეასრულეთ. ბენდისიონ აღვარადოს საერო წმინდანად აღიარებას პეტარდების ბათქაბუთქი, ზარების რეკვა და საზეიმო სიმღერები მოჰყვა, რაც დიდად არ მიკარებია მის გულს, პირადად ადევნებდა თვალს დეკრეტის შესრულებას, არავის არაფერს ანდობდა, აღარ სურდა გამხდარიყო სიცრუის მსხვერპლი, კვლავ მოიგდო ხელში სახელმწიფოს მართვის სადავეები, კვლავ ჩაეჭიდა ქვასავით ღვედებს აბრეშუმის ხელთათმანიანი ხელებით. ისევე როგორც იმ დიად წლებში, როცა მას კიბეზე აჩერებდნენ და თხოვდნენ ქალაქის ქუჩებში დოღის გამართვას, ისიც უსრულებდა მათ თხოვნას, თხოვდნენ ფეხებზე ტომარაწამოცმულ სირბილში შეჯიბრების გამართვის ნებას, ისიც რთავდა ნებას. იყო დრო, როცა იგი ღარიბთა ქოხმახებში შედიოდა და კრუხის ვვერცხებზე დასმას თუ ხარის დაკოდვას ასწავლიდა ხალხს, ახლაც ზუსტად ასევე ჩაერთო საქმიანობაში. საეკლესიო ქონების ინვენტარიზაციის აქტს არა მარტო მოაწერა ხელი, არა მარტო ზედმიწევნით გაეცნო, არამედ პირადად ხემძღვანელობდა ექსპროპრიაციის მიმდინარეობას, რათა არ გამოპარვოდა სურვილსა და ამ სურვილის შესრულებას შორის გაჩენილი თუნდაც პატარა ხვრელი, ამოწმებდა, რამდენად ესადაგებოდა ქალაქდების სიმართლე

რეალური ცხოვრების სიმართლეს, ამოწმებდა, თვალს ადევნებდა საეკლესიო თემების განდევნის პროცესს. მათ ბრალად ედებოდათ უკანასკნელი მეფის აღურიცხავი განძის გატანის მცდელობა ორმაგძირიანი ჩემოდნებითა და ეშმაკური კორსაჟებით. ეს განძი, როგორც ამბობდნენ, სადღაც ღარიბთა სასაფლაოზე იყო ჩაფლული და მიუხედავად მრავალი წლის ძებნისა, ფედერალური ომის მესვეურებმა ვერაფრით ვერ მიაგნეს მას. ამიტომაც პრეზიდენტის ბრძანებით, ქვეყნიდან გასვლისას ყველა სასულიერო პირს მხოლოდ ერთი ხელი საცვლის ნაღების უფლება ეძლეოდა და, რაც მთავარია, გემზე ყველანი დედიშობილა უნდა ასულიყვნენ. ასეც მოხდა, სოფლის მღვდლებს, რომლებსაც დიდად არ ანაღვლებდათ თავიანთი სიშიშველე, ოღონდ კი მალე დამთავრებულყო მათი გასახლება, უკან მისდევდნენ ციებით ჯანგატეხილი მისიონერი სამხარეო პრეფექტები და მელოტი ეპისკოპოსები, მათ უკან ჩამწკრივებულიყვნენ მორცხვი, მორჩილი დები, ასევე ტლანქი მისიონერი ქალები, — რომლებსაც ბუნების მოთოკვა შეეძლოთ საკუთარ ნებაზე, მაგალითად, შეეძლოთ უდაბნოში ბოსტნის გაშენება — და ოდესღაც კლავიკორდზე დამკვრელი, ახლა კი სამონაზვნო ორდენის ნაზხელება და უკარება ტანადი ბისკაელი ქალები. ყველას, ქალებსაც და კაცებსაც კანის მიხედვით ასხვავებდნენ ერთმანეთისაგან, კანზე ეხატათ კლასობრივი წარმომავლობა, სოციალური მდგომარეობა და საქმიანობა. მათი უსასრულოდ გაჭიმული რიგი მიემართებოდა საბაჟოს უზარმაზარი შენობისკენ კაკაოს თოფრაკებსა და გამხმარი თევზით სავსე ყუთებს შორის და ჰგავდა დამფრთხალი ცხვრის ფარას. ვენტილატორის სიგრილეში ქვისგან გამოთლილი ბერიკაცის წინ ჩავლისას ქალები ხელებით იფარავდნენ მკერდს და მორცხვად იმალებოდნენ ერთმანეთის ზურგს უკან. ბერიკაცი უმოძრაო თვალებით შესქცეროდა შიშველი ქალების უწესრიგო სვლას, შესცქეროდა სრულიად უგრძობლად და შესცქეროდა იქამდე, ვიდრე ყველანი არ ავიდნენ გემზე. წავიდნენ, ჩემო გენერალო. პრეზიდენტმა უცებ აღმოაჩინა, რომ შიშველი ქალების უსასრულო რიგიდან მესხიერებაში შემორჩა ერთი ქალი, დამფრთხალი დებიდან თვალის ერთი შევლებისთანავე გამოარჩია ერთი, თუმცა გამოსარჩევი და განსაკუთრებული არაფერი ჰქონდა. ტანდაბალი იყო, ჯანმაგარი ჩანდა, მსუქანი ბარძაყები, დიდებული ძუძუები და უხეში ხელები ჰქონდა. სექსის მიმართ ეტყობოდა მკაცრი იყო. თმა ბალის სასხლავი მაკრატელით შეეკრიჭა, მეჩხერი კბილები ცულის პირივით ბასრი უჩანდა. ცხვირპაჭუა და ბრტყელტერფა ერთი ჩვეულებრივი, არაფრით გამორჩეული ქალი იყო, მაგრამ მან რატომღაც მაშინვე დაადგა თვალი, მაშინვე იგრძნო, რომ ამ შიშველი ქალებიდან მხოლოდ ის იყო მისთვის სასურველი. ისე ჩაუარა, ზედაც

არ შეუხედავს ბერიკაცისთვის, სამაგიეროდ რომელიღაც ტყის ნადირის სულის ამაფორიაქებელი სუნი დაუტოვა. ბერიკაცს სუნთქვა შეეკრა, შეუმჩნევლად გააყოლა თვალი, რათა ერთხელ კიდევ დაენახა ის ქალი და უცებ, როცა სიის ამოკითხვისას ოფიცერმა ხმამაღლა დაიძახა ნასარენო ლეტისია და იმ ქალსაც კაცის ხმით უპასუხა, აქ ვარო, ეს სახელი და აქ ვარ ბერიკაცის სულსა და გონებაში დამკვიდრდა სამუდამოდ, სამარის კარამდე. ასე შევიდა მის ცხოვრებაში ის ქალი, ვინც იმ დრომდე ახსოვდა, ვიდრე მისი უკანასკნელი ნაღვლიანი ფიქრები ნელ-ნელა არ მიინაგლა მეხსიერების ლაბირინთებში. ახლა თითქმის მეხსიერებადაკარგულმა აღადგინა ქალის ხატი და ქალაღდის ბოლბე ჩაწერა, ჩემი სულის ლეტისია, ნახე, რას დავემსგავსე უშენოდ. ქალადრი საგულდაგულოდ შეჩურთა სამალავში თაფლიანი ქილების გვერდით და კითხულობდა მაშინ, როცა რწმუნდებოდა, არავინ მხედავსო. რამდენჯერაც წაიკითხავდა, იმდენჯერვე შეჩურთავდა სამალავში და იმდენჯერვე განიცდიდა იმ წამს, ერთ სხივნათელ დაუვიწყარ წვიმიან დღეს რომ განიცადა. ეს დღე კი იმით იყო აღსანიშნავი, რომ აცნობეს ლეტისია ნასარენო სამშობლოში დავაბრუნეთო. გაუკვირდა, მე არავისთვის არაფერი მიბრძანებია, როგორ მიხვდნენო. მიხვდნენ კი ძალიან უბრალოდ. ჰორიზონტისკენ პირშექცეულ ნაცრისფერ სატვირთო გემს რომ შესცქეროდა, მან ჩურჩულით წარმოთქვა, ლეტისია ნასარენო, მერეც, რომ არ დავიწყნოდა ეს სახელი, ხმამაღლა გაიმეორა, ლეტისია ნასარენო, და უშიშროების სამსახურისთვისაც სწორედ ეს აღმოჩნდა საკმარისი, რათა ლეტისია მოეტაცებინათ იამაიკის ერთერთი მონასტრიდან და ჩამოეყვანათ სამშობლოში. პირაკრული და გიჟის პერანგში გახვეული ქალი ხის ყუთში ჩაჩურთეს, ყუთი დალუქეს და კუპრით წააწერეს, ფრთხილად, შუშაა. ყუთს ახლდა ლიცენზია, რომლითაც ნება ეძლეოდათ ქვეყანაში შეუფერხებლად შეეტანათ ორი ათას რვაასი უძვირფასესი ბროლის ბოკალი სასახლის სარდაფში შემონახული საპრეზიდენტო შამპანურისათვის. ყუთი ნახშირით სავსე გემის ტრიუმში დადგეს და ტრიუმიდანვე მიაბრძანეს სასახლეში ძილის აბებით გაჭყეპილი ქალი. ღრმად ჩაძინებული და მთლად დედისობილა ჩააწვინეს საპატიო სტუმრებისთვის განკუთვნილ კაპიტელებიან საწოლში. სწორედ ასეთს იხსენებდა ბერიკაცი მერე და მერე, შიშველს, სხივიანი დღის სამ საათზე, მოსკიტების ბადის ქვეშ. ლეტისია ნასარენოს ისევე ეძინა როგორც სხვადასხვა დროს სძინებია აქ ასობით სხვა ქალს, რომლებიც მის დაუკითხავად მოჰყავდათ სასახლეში და რომლებსაც ის ლუმინალის ლეთარგიაში ჩაძირულთ ისაკუთრებდა, მაგრამ დამარცხების სირცხვილსა და სიმწარეს მაინც ვერსად ემალებოდა და სწორედ ეს ტანჯავდა ბერიკაცს. მაგრამ ახლა ლეტისია

ნასარენოსთვის ხელიც არ დაუკარებია, რალაც ბავშვური გაცემებით შესცქეროდა, აკვირდებოდა, ეს ის შიშველი ქალია, საბაჟოზე რომ გამოვარჩიე თუ სხვა არისო. გამოცვლილი ეჩვენა. თმა დაუხვევიათ, ინტიმური ადგილი გაუპარსავთ, ფრჩხილები წითლად შეუღებავთ ხელფეხზე, ტუჩებიც პომადით გაუთხაპნიათ, ლოყები შეუფერადებიათ, წამწამები დაუწებებიათ. ერთი სიტყვით, მთელი სხეული კეთილსურნელებას აფრქვევდა, სადღაც გამქრალიყო ტყის ნადირის იღუმალი, მომნუსხავი სუნი. ამ ყვეფიანმა ყველაფერი გააფუჭეს, მეტისმეტი მოინდომეს, კოსმეტიკური სქელი ფენის ქვეშ ქალი აღარ ჩანდა შიშველი. კაცი თვალს არ აშორებდა, იგი ნელ-ნელა გამოდიოდა ძილის ბურან-იდან, ხედავდა, იღვიძებდა, ხედავდა, ქალი მას ხედავდა. დედა, ნამდვილად ის არის, ჩემი უღონობის ლეტისია ნასარენოა. საბოლოოდ გამოფხიზლებული ქალი შიშისაგან გაშრა, კვამლისფერი ბადის მიღმა თითქოს ქვისგან გამოთლილი ბერიკაცი იდგა და მდუმარედ შემოსცქეროდა. ქალმა არ იცოდა, რომ ეს ბერიკაცი მიუხედავად თავისი საარაკო ასაკისა და ძალაუფლებისა, მასზე მეტად ჩანდა შეშინებული. კაცმა უფრო მეტად იგრძნო მარტოობა, სასოწარკვეთა და უსუსურობა, ვიდრე მაშინ, როცა პირველად სცადა ქალის შეცნობა. ახლა უფრო დაბნეული ჩანდა, ვიდრე მაშინ, როცა მამაკაცი გახდა, როცა ჯარისკაცების ერთ მეძავ ქალს მალულად უთვალთვალებდა, შეღამებულზე მთლად დედიშობილა რომ ბანაობდა მდინარეში. რიგიანად არც დაუნახავს ის დიაცი, ესმოდა მხოლოდ ცხენივით ფრუტუნი, წყლის დგაფუნი და ამის მიხედვით ვარაუდობდა ქალის სხეულის სიძლიერესა და სიმკვრივეს. სიბნელეში გრძნობდა, როგორ ხარობდა ქალის სხეული წყალში, თვითონ კი შიშით დადამბლავებული იდგა. მართალია, სამი სამოქალაქო ომი უკვე გამოვლილი ჰქონდა არტილერიის ლეიტენანტის ჩინით, მაგრამ ჯერ ისევ უბიწო ყმაწვილი იყო. და იმის შიშით, კვლავ უბიწო არ დავრჩეო, ყველა სხვა შიში გადალახა და წყალში გადაეშვა მთელი თავისი აღკაბმულობიანად, ღვედებით, გეტრებით, ჩანთით, მანეტეთი და თოფით. ისეთი ხმაური აუტეხა წყალს, ისე ფართხუნობდა თავისსავე აბგარ-აბჯარსა და ამოუხსნელ შიშში გახლართული, რომ ქალმა იფიქრა, ალბათ რომელიმე ჯარისკაცი ცხენით გადის მდინარეშიო. მაგრამ რომ დაინახა, ცხენოსანი კი არა, ერთი გასაცოდავებული და შეშინებული ყმაწვილი კაცი იყო, გულმოწყალედ გაუწოდა ხელი დაბნეულობის წყვდიადში ჩაძირულს. მაგრად ჩამეჭიდე მხრებში, დინებამ არ წაგიღოს, ჩაცუცქული ნუ ხარ, მაგრად დადექი, მშვიდად ისუნთქე, თორემ დაიხრჩობიო, დედაშვილურად არიგებდა ჭკუას და ისიც ბავშვივით მიხდობოდა ქალს. დედაჩემო, ბენდისიონ ალვარადო, როგორ ახერხებენ ქალები, ყველაფერს წამში აუღონ ალღო,

ემშაკმა დალახვროს, როგორ ახერხებენ ქალები კაცობას, ფიქრობდა ყელამდე წყალში ჩამდგარი ყმაწვილი. ამასობაში კი ქალი მას ათავისუფლებდა ყველა იმ საომარი აღჭურვილობისგან, რაც განკუთვნილი იყო სახმელეთო ბრძოლებისათვის, მაგრამ სრულიად ზედმეტი და გამოუსადეგარი იყო ახლა აქ, წყალთან უძნელეს ბრძოლაში. ყელამდე წყალში ჩამდგარი, შიშით ზარდაცემული ყმაწვილი ქალის სხეულის იმედადღა იყო. როგორც იქნა გაუხსნა ქამარი, ღილები. ვერ წარმოიდგენთ რა მომივიდა, როცა ხელი მომიხვდა უზარმაზარ ტესტიკულზე, რომელიც გომბემოსავით ტივტივებდა ჩაწყვდიადებულ წყალში. შეშინებულმა ქალმა მაშინვე გაუშვა ხელი, ახლავე წადი დედაშენთან, იქნებ ვინმეზე გაცვალოს, ასეთი არაფრად ვარგიხარ. სწორედ ის შიშის ზაფრა დაეუფლა ახლაც ლეტისია ნასარენოს შიშველი სხეულის დანახვაზე, ოღონდ უფრო ძლიერი და მტანჯველი, გრძნობდა, გამბედაობა არ ეყოფოდა გადაშვებულებიყო ლეტისია ნასარენოს იდუმალი წყლების მდინარებაში მანამ, სანამ თავად ლეტისია არ გამოიჩინდა გულმოწყალებას, და ამ გულმოწყალების მოლოდინში საკუთარი ხელით უსწორებდა საბანს, გრამოფონს ფირფიტის გაცვეთამდე უკრავდა, განსაკუთრებით ხშირად ატრიალებდა სიმღერას უბედურ დელგადინაზე, რომელიც საკუთარ მამას შეჰყვარებოდა. ბერიკაცის ბრძანებით ლეტისიას საძინებელში ხშირად ცვლიდნენ ნაჭრის ყვავილებს, რადგან ცოცხალი ყვავილები ქალის ხელის მიკარებაზევე ჭკნებოდნენ. კაცი მზად იყო შეესრულებინა ლეტისიას ყველა ახირება, მაგრამ საძინებლიდან გასვლის უფლებას მაინც არ აძლევდა, ქალი მანამ იქნება გამოკეტილ ოთახში, სანამ არ მიხვდება, რომ მას სხვა გზა არ აქვს, სურს თუ არ სურს, ამ ბერიკაცის საყვარელი უნდა გახდეს, თანაც ყოველმხრივ უზრუნველყოფილი. შიშისაგან თავდახსნილი ქალი ამას საკმაოდ სწრაფად და კარგად მიხვდა, ბოდიშობანა გვერდით გადადო და ბრძანებების გაცემა დაიწყო. გენერალო, ფანჯარა გააღეთ, ვიხუთები. ისიც აღებდა. დახურეთ, მთვარის შუქი პირდაპირ სახეში მცემს. ისიც ხურავდა. ქვეყნის ხელისუფალი ისე ემორჩილებოდა ქალის ყოველნაირ ბრძანებას, თითქოს სასიყვარულო სურვილს უსრულებსო, მაგრამ მორჩილებასთან ერთად საკუთარი თავის რწმენაც ნელ-ნელა ემატებოდა და ბოლოს და ბოლოს ერთ სხივიან და წვიმიან დღეს გაბედა, ბადეში შეძვრა, ქალს ჩაცმული მიუწვა ლოგინში და გაირინდა, ქალი არ გაულვიძებია. არაერთი ღამე გაატარა ასე ქალის გვერდით, მაგრამ მაინც მარტომ. ისუნთქავდა მისი სხეულის იდუმალ სუნს, ტყის ნადირის სუნს, უსმენდა მის ცხელ სუნთქვას. ერთხელაც ქალს გამოელვია და გვერდით მწოლარე კაცი რომ დაინახა, შეშინებულმა უყვირა, წადით აქედან, გენერალო. ისიც თავაზიანად წამოდგა,

მაგრამ როგორც კი ქალს ჩაეძინა, მაშინვე დაბრუნდა და ისევ მიუწვა გვერდით. თითქმის მთელი წელიწადი ტკბებოდა ასე, თითსაც არ აკარებდა ოთახში გამოკეტილ ქალს. ბოლოს და ბოლოს ქალიც მიეჩვია ამ ყოფას, თუმცა ჯერაც ვერ გაეგო, საით იყო მიმართული სულის დინება ამ უცნაური ბერიკაცისა, რომელმაც უარი თქვა ძალისმიერ ტკბობასა და ამქვეყნიურ სიამებზე და მხოლოდ მისი სხეულის ცქერით კმაყოფილდებოდა. მაგრამ დადგა კიდევ ერთი ნათელი, წვიმიანი დღე და უცნაურმა ბერიკაცმა გადაწყვიტა იერიში მიეტანა ლეტისიაზე და როგორც ოდესღაც მდინარეში, სადაც ჯარისკაცების კახპა დიაცი ბანაობდა, ყველაფრიანად, რაც ზედ ეცვა და ეკეთა, ქამარი, ხმალი, უნიშნო უნიფორმის ჯიბეში გასაღებების ასხმულა თუ ოქროს დეგებიანი ჩექმები, ეგრევე დააცხრა ქალს, რომელსაც, რა თქმა უნდა, მაშინვე გამოეღვიძა და დაფეთებულმა სცადა მასზე აბობლებული ბებერი ცხენის გადაგდება, მაგრამ ცხენი ისე გაუძალიანდა, ლეტისია მიხვდა, ასე ვერაფერს გააწყობდა, დრო უნდა მოეგო. მოიხსენით ეგ თქვენი აღკაბმულობა, გენერალო, მკერდი დამისერა. მოიხსნა. გასაღებები ამოიღეთ ჯიბიდან, ლამის თქვამის გამიხვრიტოს. ამოიღო. ყველა მოთხოვნა შეუსრულა, თუმცა სამი თვე მაინც დაჭირდა, ქამრიდან ხმლის მოხსნას რომ დათანხმებოდა. ეგ თქვენი ქამარღვედები სულს მიხუთავენ, გენერალო. ერთი თვეც მუნდირის გახდაზე ემუდარა, სულს მიხუთავენ-მეთქი, გენერალო. ეს იყო ხანგრძლივი მძიმე ბრძოლა. ქალი დროის გაყვანას ცდილობდა, არც ბერიკაცის განაწყენება სურდა, ის ხომ ყველაფერზე ეთანხმებოდა, ყველაფერს უსრულებდა. ერთხელ კი ორივესთვის მოულოდნელად მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო ბოლოს და ბოლოს. ლეტისია ნასარენოს მოტაცებიდან მესამე წლისთავზე მოხდა გარდაუვალი კატაკლიზმი. ღამით ვაცმა თბილი ხელისგულები — რომლებზეც ბედის ხაზს ამაოდ დაუწყებდით ძებნას — ქალური მორჩილების რომელიღაც ამოუხსნელ, იდუმალ სიმს შეახო და ლეტისიასაც თავისდა გასაოცრად მთლად გაოფლილსა და სიკვდილის ცახცახით ატანილს გაეღვიძა. არც უცდია გადაეგდო მასზე დამხობილი ნადირი, პირიქით, მუდარით შესძახა, სწრაფად გაიძრე ფეხზე, ჰოლანდიური ზეწრები არ დამისვარო. მანაც გაჭირვებით გაიძრო. შარვალის მიაყოლე, ბანდაჟიც, სწრაფად, ჩემო სიცოცხლე, ჩაცმულს ვერა გგრძნობ. ბერიკაცი ვერ მიხვდა, როგორ და რანაირად აღმოჩნდა იგი იმ ფორმაში, რა ფორმაშიც დედამისმა მოავლინა ამ ქვეყანას მონასტრის თაღქვეშ ბაბუაწვერების მელანქოლიურ შუქზე. როგორც კი ეს იგრძნო, ბიზონის ძალა მოეცა, მარადიული, აკვიატებული შიში გაუქრა, ერთი დარტყმით დაანგრია წარსული და პირქვე ჩაემხო დუმილის უფსკრულში, სადაც მხოლოდ ლეტისია ნასარენოს კბილების კრაჭუნი ისმო-

და, თითქოს გემის ანძები ჭრიალებენო. ლეტისია ნასარენო. აქ ვარ. ქალი ორივე ხელით ჩამაფრინდა თმაში, რათა მარტო ის არ ჩაძირულიყო მორევში. მაგრამ კაცმა მაინც მიატოვა იმ მორევში, თვითონაც მარტო დარჩა წყვილიადში, საკუთარ თავს ეძებდა საკუთარ მლაშე ცრემლში, საკუთარ დორბლში ჩამბალი, საკუთარი შეძრულობით შეძრული. დედაჩემო, ბენდისიონ აღვარადო, როგორ ვიცხოვრე ამდენი წელი უამქარიშხლოდ. ტიროდა სადღაც შიგნით ტკბილ-მწარე გრძნობებით გაოგნებული, ძალას აცლიდა ლამის ნაწლავებში გამჭდარი გამოთქმელი შვება, ვერაფრით გაეგო, რატომ დაუფლებოდა აგონია მთელ მის სხეულს, რატომ გრძნობდა თავს ყელგამოღადრულ ნადირად, ვერაფრით აეხსნა, რა იყო ის ცხელი და მყრალი მასა, რომელიც აბინძურებდა ქათქათა ზეწარს და შუშასავით გამჭვირვალე ჰაერს მოსკიტების ბადის ქვეშ. სად გაქრა სხივნათელი წვიმიანი დღე. ეს ხომ მძღნერია, გენერალო, თქვენი მძღნერი.

*

აქოთებული ძროხები დაღამებამდე გამოვზიდეთ სასახლიდან. იქაურობა მივალაგ-მოვალაგეთ, მითიურ ქაოსს როგორღაც ბოლო მოვუღეთ, მაგრამ ყოველგვარი ცდა იმისა, რომ მიცვალებული ოდნავ მაინც მიგვემსგავსებინა თავისი ლეგენდისათვის, ამაო გამოდგა. თევზის საწმენდი დანით ავაფხიკეთ მთელ ტანზე სქლად დადებული შლამი, ზუსტად ისეთი, ჩაძირულ ხომალდებს რომ ედებათ ხოლმე ზღვის ფსკერზე. კუპრის საცხი წავუსვით, ქვამარილის ხსნარში გავბანეთ, ჩამპალი ადგილები დავუფარეთ, ორბების მიერ ამოკორტნილი ღრმულები გახამებული ქერელის ძენძითა და პარაფინის პატარ-პატარა ნატეხებით ამოვუვსეთ, შუშის თვალები ჩავუსვით, ფერადი საღებუნებით ლოყებს სიცოცხლის ფერი დავუბრუნეთ, ტუჩებიც პომადით წავუთხიპნეთ, მაგრამ მიუხედავად ჩვენი დიდი მცდელობისა ვერა და ვერ შევძინეთ მის სახეს ხელისუფალის მბრძანებლური იერი, ურომლისოდაც აზრიც და ფასიც ეკარგებოდა მიცვალებულის საქვეყნოდ გამოდგმას. ამ დროს კი სხდომათა დარბაზში დიდი გამოცოცხლება სუფევდა, ისმოდა მოწოდებები საყოველთაო გაერთიანებისა და დესპოტიზმის ყოველგვარი გადმონაშთის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ, არც ის ავიწყდებოდათ, პრეზიდენტის ჯერ კიდევ გუშინდელი კუთვნილი ქონება რომ უნდა გაეყოთ ერთმანეთში. თუმცა მის სიკვდილს არ ახმაურებდნენ, მაინც სასწაულებრივად სწრაფად მოედო იგი მთელ ქვეყანას. მაშინვე დაბრუნდნენ სამშობლოში ლიბერალებიც და კონსერვატორებიც. ხანგრძ-

ლივი განშორების შემდეგ შეხვედრის კოცონთან გულგამთბარებს სრულიად დავიწყნოდათ სამსახურებრივი ამბიციები და ურთიერთწყენა. დაბრუნდნენ ოდესღაც უფროსობას ჩვეული და ამჟამად გადაჩვეული გენერლები, დაბრუნდა სამი მინისტრი და არქიეპისკოპოსიც. ამ ადამიანებს პრეზიდენტი არ ენდობოდა, იშვიათად იწვევდა კაკლის ხის გრძელ მაგიდასთან საათათბიროდ, ახლა კი მოუწვევლად შემოსხდომოდნენ სწორედ ამ მაგიდას და ძალამოცემულები დიდხანს ბჭობდნენ, როგორ გამოეცხადებინათ პრეზიდენტის სიკვდილი ისე, რომ თავიდან აეცილებინათ ხალხის მღელვარება და ქუჩებში სტიქიური გამოსვლები. ბოლოს და ბოლოს გადაწყვიტეს გამოექვეყნებინათ ორი ბიულეტენი, ნომერი ერთი და ნომერი ორი. ნომერი ერთი ბიულეტენი იუწყებოდა, რომ პრეზიდენტი შეუძლოდ იყო და მონაწილეობას ვერ მიიღებდა რიგ ოფიციალურ ცერემონიასა თუ წინასწარ შეთანხმებულ შეხვედრაში. ნომერი ორი ბიულეტენი კი ხალხს ამცნობდა, მისი აღმატებულება თავისი პრივატული სახლიდან ვერ გამოდის ასაკობრივი უძლურების გამო., აგვისტოს ერთ სამშაბათ დღეს კი, როცა აღისფერი განთიადი შემოდოდა, სრულიად მოულოდნელად, ყოველგვარი გამოცხადების გარეშე ტაძრის ზარებმა ხალხს ამცნო დიდი ვაცის სიკვდილი, თუმცა დარწმუნებით მაინც ვერავინ ამბობდა, მართლა ის მოკვდა თუ სხვა. ამ სუნდაკრულმა მიცვალებულმა საგონებელში ჩაგვაგდო. არ ვიცოდით, სად გვეძებნა მისი შემცვლელი. ის ხომ ერთადერთი იყო ამქვეყნად. ბებრული ეგოიზმით შეპყრობილს სულაც არ ანაღვლებდა ვინ მოვიდოდა მის მერე ქვეყნის სათავეში, გაგონებაც არ სურდა ამისა, ყოველნაირად გაურბოდა მომავალზე საუბარს. როცა მთავრობა შუშის ახალ, მზიან შენობებში გადაბარგდა, იგი მართლ დარჩა თავისი ძალაუფლების უკაცრიელ სამყოფელში. მთვარეულივით დაბორილობდა მკვდარ ძროხებს შორის. მხოლოდ ბრმები, კეთროვნები და ხეიბრები შემორჩენოდა საუფროსოდ, ვარდის ბუჩქებში მიწოლილები უფრო სიბერისგან ღაფავდნენ სულს, ვიდრე სნეულებისგან. როცა ვეუბნებოდით, დროა თქვენს შემცვლელზე იფიქროთ-თქო, სიტყვას ჯიუტად გვიგდებდა ბანზე და ბრძნულად გვპასუხობდა, თქვენ მართლ შემცვლელზე ფიქრობთ, ქვეყნის ბედი არ გაღელვებთ, რად უნდა ამას ბევრი ლაპარაკი, ყველაფერი გარკვეულია სიკვდილივით, ბოლოს და ბოლოს როცა მოკვდები, პოლიტიკოსები არ დააყოვნებენ და მაშინვე დაბრუნდებიან, რათა გაწეწონ, ერთმანეთში დაინაწილონ ეს ბინძური ქვეყანა, როგორც გოდოების განდევნის შემდეგ მოხდა. აი, ნახავთ, დაბრუნდებიან მღვდლები, გრინგოები, მდიდრები, ყველაფერს დაიტაცებენ, ღარიბებს კი ჩემი ფეხები დარჩებათ, ისეთ ვარსკვლავზე არიან დაბადებული, მძღნერს რომ ფასი დაედოს, უტრაკოდ

მოველინებიან ამ ქვეყანას. ზოგჯერ აქილიკებდა კიდევ საკუთარ თავს, რონ მოვკვდები, კი ნუ გადაირევით, მაშინვე კი ნუ გამაქანებთ იერუსალიმში მაცხოვრის გვერდით დასასვენებლად, სამი დღე ვიქნები მკვდარი, მეტი კი არა, და საერთოდ, დრო გვიჩვენებს, რა დავიჯეროთ და რა არ დავიჯეროთ. მე უკვდავი ვარ. მართლაც, არც არავინ დაეჭვებულა მის სახელთან დაკავშირებული ამბების ნამდვილობაში. არც არაფრის მტკიცება შეგვეძლო და არც არაფრის უარყოფა. ჩვენ ხომ ისიც არ ვიცოდით, მართლა ის იყო მკვდარი თუ სხვა. ჩვენ არ ვიცოდით ჩვენივე ქვეყნის არანაირი სხვა ისტორია, გარდა იმ ისტორიისა, რომელიც მისი ისტორია იყო, არ ვიცოდით სხვა სამშობლო გარდა იმ სამშობლოსი, რომელიც მან შექმნა საკუთრივ თავისთვის, ქვეყნის სივრცობრივ განზომილებებს საკუთარი ნება-სურვილით ცვლიდა და თვით დროსაც კი აიძულებდა მის ხუშტურზე ედინა. სამშობლოს ხატი მხოლოდ მაშინ ამოუტივტივდებოდა გაცრეცილ მოგონებებში, როცა უაზროდ დაბორილობდა ხოლმე ვერაგობითა და ფლიდობით პირთამდე სავსე სასახლეში, სადაც არავის არასოდეს ჰქონია თუნდაც ერთი ბედნიერი ღამე. შორეულზე შორეულ წლებს მაშინ იხსენებდა, როცა ჰამაკში ჩაწოლილი ქათმებს სიმიხნდს უყრიდა, ან მოახლეს ქანცს აცვლიდა ჭირვეულობით, ყინულიანი ლიმონათი მომიტანეო, თუმცა ერთი წუთის წინ მორთმეული ყინულიანი ლიმონათით სავსე ჭიქა პირდაუკარებელი ედგა მაგიდაზე. ეს სკამი აქ რატომ დგას, იქით გადადგით. სულ რაღაც ერთი წუთის წინ, იქ რატომ დგას, აქეთ გადმოდგითო, ყვიროდა. ასე ცდილობდა ის თავისი მინავლებული პატივმოყვარეობის ცეცხლის გაღვივებას ფუყე-ფუყე ბრძანებებით. თვლემაში ჩაძირული დარაჯობდა საკუთარი შორეული ბავშვობის ეფემერულ ლანდებს, მაგრამ როგორც კი რომელიმე ლანდი ხორცს ისხამდა და ხილული ნაწილი ხდებოდა იმ უზარმაზარი თავსატეხი სათამაშოსი, როგორიც სამშობლო იყო მის მოსვლამდე, ის ძილის ბურანს თავს აღწევდა და კვლავ შორეულ წარსულს სწვდებოდა ფიქრებში. ეს იყო ტროპიკული მცენარეების, გაუვალი ჭაობების, უძირო უფსკრულების უკიდევანო ქიმერული ქვეყნის წარსული, ქვეყნისა, სადაც კაცები ოდესღაც კაიმა-ნებს შიშველი ხელებით იჭერდნენ, მხოლოდ ერთი უბრალო სარი იყო მათი იარაღი, ისე ჩაჩრიდნენ ხახაში, რომ კაიმანი ხახის დახურვას ვერ ახერხებდა. აი, ასე, აბა მიყურეთ. საჩვენებელ თითს პირში იყოფდა და სასაზე იბჯენდა. ერთ ვნების პარასკევსო, გვიამბო ერთხელ, ქარის უცნაური ხმაური მომესმა, სუნიც კი ვიგრძენი მისი, რაღაცნაირი ფუფხის სუნით, მაგრამ უცებ სახტად დავრჩი, ეს ქარი კი არა, სარანჩების ღრუბელი იყო, შუადღის მზე ხომ გადაეყლაპათ, გზადაგზავ ისე ნთქავდნენ ყველაფერს, რომ პირველყოფილ სამყაროს დაამსგავსეს

პირწმინდად გადატიტვლებული მიწაც და შუქდაძენილი ცაც. ეს ამბავი მართლა კარგად ახსოვდა ბერიკაცს, მაგრამ ახსოვდა სოფლური სახლების წინ ჩარდახებქვეშ გამოკიდული თავწაჭრილი მამლებიც, ახსოვდა როგორ წვეთავდა სისხლი მიწაზე, ერთხელ დედამისმა მეზობელ სოფელში წაიყვანა ერთი ქალის დაკრძალვაზე. ფეხშიშველი ბიჭი დედაზე ხელჩაკიდებული მიჰყვებოდა საკაცეს, რომელზეც ძონძეებში გახვეული მიცვალებული ესვენა. სარანჩა კი ქარივით დაქროდა და მიცვალებულს მტვრიან ფუფხს აყრიდა. აი, ასეთი იყო მაშინ ჩვენი ქვეყანა. მიცვალებულებს უკუბოვოდ დებდნენ მიწაში. მაშინ კუბო კი არა, ლუკმა-პურიც არ ჰქონდა ხალხს, გლახაკი და უქონელი იყო. ერთხელაც შესწრებია, ერთი კაცი როგორ იხრჩობდა თავს სხვის ჩამონახრჩობ თოკზე, რომელიც მოედანზე, ხეზე შერჩენილიყო. როგორც კი ყულფში გაჰყო თავი და ჩამოეკიდა, დამპალი თოკი მაშინვე გაწყდა. ამ დროს სოფლის ქალები ეკლესიაში მიდიოდნენ, მათ თვალწინ მოხდა ეს ამბავი, მიწაზე საცოდავად აფართხალებულ კაცს მისცივიდნენ და ჯოხების ცემით წამოაგდეს. არც უკითხავთ, ვინ იყო ან რატომ იხრჩობდა თავს. მთავარია, ის კაცი უცხო იყო, უცხოებად კი აქაურ მრევლს მიაჩნდა ყველა, ვისაც არ იცნობდა. ჰოდა, ჯოხების ცემით წამოაგდეს, ფეხებზე ჩინური ხუნდები დაადეს და გაუშვეს მცხუნვარე მზესა და ქარში სხვა მასავით უბედურებთან ერთად. აი, რა ხდებოდა ჩვენს ქვეყანაში გოდოების დროს. მაშინ ღმერთს მეტი ძალა ჰქონდა, ვიდრე ხელისუფლებას. მაგრამ როცა ის მოვიდა ხელისუფლების სათავეში, ბრძანა, სოფლის მოედნებზე გადაეჭრათ ხეები, კვირაობით ხალხი არ დააფრთხონ თავის ჩამოხრჩობის მსურველებმალ. აკრძალა ჩინური ხუნდები, აკრძალა უკუბოვოდ დასაფლავება. ერთი სიტყვით, აკრძალა ყველაფერი, რათა სულელი ჯორების გამო კიდევ არ მომხდარიყო ისეთი უბედური შემთხვევა, ერთხელ რომ მოხდა. ოცდაათი როიალით ზურგდამძიმებულ ოცდაათ ჯორს მთები უნდა გადაევილო, რათა როიალები ჩაეტანა ყავის პლანტატორებისთვის, რომლებსაც მეჯლისის მოწყობა ჰქონდათ განზრახული. ამ შემთხვევაზე ბევრს ლაპარაკობდნენ და წერდნენ კიდევ საზღვარგარეთის გაზეთებში. წერით კი წერდნენ, მაგრამ ცოდნით მხოლოდ მან ერთმა იცოდა ზუსტად, როგორ მოხდა ეს ამბავი. სრულიად შემთხვევით სწორედ იმ წამს გაიხედა ფანჯარაში, როდესაც ბოლოში მიმავალ ჯორს ფეხი დაუცურდა ყინულზე, ხრამისკენ გადაეშვა და დანარჩენებიც თან გაიყოლა. მხოლოდ მან დაინახა ეს საშინელება, მხოლოდ მან გაიგონა ჰაერში ბბრიალასავით დატრიალებული ჯორების საზარელი ყროყინი და როიალების უსასრულოდ გაწელილი ჟღრიალი, რომელიც მიაცილებდა ჰაერში მფრინავ ქარავანს და იკარგებოდა სადღაც უძირო სიცარიელეში, ამ ქვეყნის

ქვესკნელში. ეს ქვეყანა კი ისეთი უკიდველურად და, როგორც ყველაფერი მის მოსვლამდე, ისე ამოუცნობი და იდუმალი იყო, რომ ძნელად თუ გაარკვევდა ვინმე, დღე იყო თუ ღამე ახლა იქ, ქვესკნელში, სადაც თერთ ნისლში ჩახერგილიყვნენ ლოდები და ნაფოტებად ქცეული ავსტრიული როიალები. მხოლოდ მან იგრძნო ეს საშინელი კატასტროფა. სხვაც ბევრი ჰქონია ხილვა, მაგრამ დაბეჯითებით ვერ ამბობდა, რა იყო ეს, თავისი მოგონებები თუ ციებცხელების შემოტევისას ნაბოღვარი, იქნებ სულაც პოლიტიკიდან მოცალეობისას მოგზაურობებზე დაწერილ წიგნებში გრავიურებს საათობით რომ ათვალიერებდა, მაშინ ნახა ეს ყველაფერი. თუმცა რა მნიშვნელობა აქვს, ხილვებია ეს თუ სინამდვილე. ბოლოს მაინც სინამდვილე ხდებოდა. იგი თანდათანობით რწმუნდებოდა, რომ მისი ბავშვობა სულაც არ იყო იქ, შორს, მოგონებათა ჭაობში, ძროხის ორთქლადენილ ფუნის დანახვამ რომ წარმოუდგებოდა ხოლმე თვალწინ და მერე სამუდამოდ ეკარგებოდა. ნამდვილი ბავშვობა მან აქ განიცადა, თავისი ერთადერთი და კანონიერი ცოლის ლეტისია ნასარენოს გვერდით. ყოველდღე, ორიდან ოთხ საათამდე დასვამდა ხოლმე ქმარს საკლასო მერხთან ხვართქლებში და წერა-კითხვას ასწავლიდა. ეს იყო ნამდვილი გმირობა ქალის მხრიდან, მონასტრის მორჩილი დის შესაშური სიჯიუტით ამეცადინებდა ქმარს, ისიც გასაოცარი ბებრული მოთმინებითა და სასწაულებრივი ნებისყოფით, მთელი არსებით მისცემოდა სწავლა-განათლებას, კითხულობდა წამლერებით, დამარცვლით, ქოთანში ქატოა, ქუდი ქარმა ააფრიალა. კითხულობდა მონღოლებით, მაგრამ ან გარდაცვლილი დედის ჩიტების ჟივჯივსა და გნიასში არც თვითონ ესმოდა საკუთარი ხმა, არც სხვას. ინდიელმა მალამო ქილაში ჩადო. სესილია ყიდის სოკოს, სტაფილოს, სიმინდს, საზამთროს. სესილია ყიდის ყველაფერს, იცინოდა ის და გატაცებით იმეორებდა ლეტისია ნასარენოს მიერ წამლერებით, მეტრონომის დახმარებით წაკითხულ სავარჯიშოებს. კითხვისას ქალის ხმა ავსებდა ირგვლივ მთელ სივრცეს თავისი სინორჩითა და სიკასკასით და არ იყო ამ უსამანო მოქრუშულ ქვეყანაში სხვა ჭეშმარიტება, გარდა ანბანურისა. იყო მხოლოდ ცაზე მთვარე, ბატკანი და ბანანი, ღონ ხუანის ხარი და ოტილიას ლამაზი მანტილია. ბერიკაცი სავარჯიშოებს ყველგან და ლამის მთელი დღე კითხულობდა ხმამაღლა. სასახლეში ყოველ ნაბიჯზე მიკიდულ-მოკიდულ მის სურათებს ახლა მისი ხმაც მიემატა. ერთხელ ჰოლანდიის ფინანსთა მინისტრსაც კი შეაწყვეტინა საქმიანი საუბარი. მბრძანებლურად ზეაღმართული აბრეშუმის ხელთათმანიანი ხელით ანიშნა, აპყლოდა სიმლერაში, ქალი ქადას ჭამს, კუნძულზე ექვსი დღე ვიძუნძულე. ყოველ მარცვალზე მეტრონომივით აქანქარებდა თითს, მონღოლებით იზუთხავდა მომავალი

სამშაბათისთვის მიცემულ სავარჯიშოებს უნდა ითქვას, საქვეყნო საქმეც მოაგვარა. ბატონო მინისტრო, საქმეზე სხვა დროს ვილაპარაკოთ. სხვა დრო აღარ დამდგარა, ჰოლანდიამ ულაპარაკოდ გადაუვარდა ვექსილები. ბრძენები, ხეიბრები და კეთროვნები ხომ სულ მთლად გააგჟა. ვარდის ბუჩქებში შეყუჟულები დილაუთენია გამოაღვიძა პირქუში ბერიკაცის მოქადაგე ღვთისმსახურივით გაბმულმა სიმღერამ, მე ვარ მეფე, კანონია ჩემი სეფე. ნათელმხილველს ხილვები აქვს წყალში. შუქურა არის მაღალი კოშკი, რომელიც გემებს გზას უნათებს ღამით. ასე მღეროდა იგი თავისი დაგვიანებული ბედნიერებით — ლეტისია ნასარენოს ნაჩუქარი ბედნიერებით მთვრალი. მისთვის თავად დროს ერქვა ლეტისია ნასარენო, ჩემი ცხოვრების ლეტისია ნასარენო, ასე მოიხსენიებდა ცოლს ხშირად. კრევეტის სუნით ჩასქელებულ-გაჯერებულ და იმავდროულად გზებით აღსავსე სიესტის დროს მხოლოდ ერთი სურვილი იპყრობდა ბერიკაცს, ოფლით გაჟღენთილ ჭილოფზე შიშველი წოლილიყო შიშველი ლეტისია ნასარენოს გვერდით, ღამურას ფრთებივით გაშლილი ელექტროგენტილატორის ქვეშ. არ არსებობს სხვა შუქი შენი დუნდულების შუქის გარდა, არ არსებობს არაფერი, შენი ტოტემური ძუძუების, ბრტყელი ტერფის, სამკურნალო ბალახის სუნისა და შორეულ კუნძულ ანტიგუას იანვრის ხორშაკის გარდა, იმ კუნძულისა, სადაც ოდესღაც მოევლინე ამ ქვეყანას მარტოობის ერთ ადრიან დილას და შეისუნთქე ჩამყაყებული ჭაობის სულისშემხუთველი ჰაერი. ორივენი საგულდაგულოდ იკეტებოდნენ საპატივცემულო სტუმრებისთვის განკუთვნილ საძინებელში. ვერავინ ბედავდა ხელი შეეშალა მათთვის. კართან მიახლოებისა ეშინოდათ. არ მცალია კითხვას ვსწავლობ. ქვეყანას რომ ყვითელი ციება დაერია, იმის თქმაც ვერ გაუბედეს მაშინ, რადგან ის კითხულობდა და მისი გულის ძგერა წინ უსწრებდა მეტრონომის დარტყმებს. შენი სუნი, ტყის ნადირის სუნი, სისხლს მიჩქროლებს, ლეტისია. და კვლავ განაგრძობდა წამღერებით კითხვას, ჯუჯა ცალი ფეხით ცეკვავს, ჯორი წისქვილისკენ მიჩაქჩაქებს, ოტილია ქოთანს რეცხავს, ძროხა და ძერა იწერება ძ-თი. ლეტისია კი ამ დროს ჩამოსიებულ თიაქარზე განავალს წმენდდა, სიყვარულობანას დროს რომ ეპარებოდა ბერიკაცს. მერე თბილ წყალში ბანდა სურნელოვანი საპნითა და ღრუბლით. სამკურნალო ბალახების ნახარშით განზავებულ წყალსაც ავლებდა ტანზე, თან მასთან ერთად უკვე მერამდენედ იმეორებდა, ქალი, ქოთანი, ქათამი იწერება ქ-თი. ჩაჟანგულ ფეხებს, სახსრებს, ბანდაჟის ხმარებისგან გაღიზიანებულ კანს კაკაოს ზეთით უბეღდა, მიმტკნარ უკანალში ტალკს აყრიდა, თან დედაშვილურად უტყავუნებდა ხელს, აი, შენ, აი, ესეც შენ, ჰოლანდიელ მინისტრთან გამორჩენილი დაუდევრობისთვის, აი, შენ აი, შენ. მე-

რე ვითომ სასხვათაშორისოდ, თხოვნასაც მიაყოლებდა, თუ გინდა დანაშაული გამოისყიდო, გასაცოდავებული სამონაზვნო ორდენი დააბრუნე ქვეყანაში, უპატრონოდ მიგდებულ უპატრონოთა თავშესაფრებს. საავადმყოფოებს და სხვა საქველმოქმედო დაწესებულებებსაც ისინი მიხედავენ. მაგრამ გულღრძო მოხუცი არა და არაო, ჯიუტად იმეორებდა. მართლაც, ამქვეყნად არ იყო ძალა, ერთხელ და ერთპიროვნულად მიღებული გადაწყვეტილება შეეცვლევინებინა მისთვის. მაგრამ არც ქალი ეშვებოდა, დღის ორ საათზე ასთმური შეტევის სიყვარულობანას დროსაც კი ემუდარებოდა, ამის მეტს აღარაფერს გთხოვ, ჩემო სიცოცხლე, მიეცი უფლება, დაბრუნდნენ ის საცოდავი მისიონერები, ისინი ხომ ქვეყანას არაფერს უშავებენ, თავისთვის საქმიანობენ. სულსწრაფი, ვნებიანი ქმრის როლში შეჭრილი ბერიკაცი მძიმედ ქშინავდა, არა-მეთქი, ჩემო სიყვარულო, მიჯობს მოვკვდე, ვიდრე ის ქვედაკაბიანები დავაბრუნო, ჯორების ნაცვლად ინდიელებზე სხედან და შუშის ჭყეტელა მძივებს ოქროს საცხვირე რგოლებსა და საყურეებზე ცვლიან. არა-მეთქი, ვთქვი და მორჩა. მაშინ ლეტისია ფეხებს ერთმანეთზე ატყუპებდა და ქმარს საწადელის ასრულების საშუალებას არ აძლევდა, თხოვნით კი კვლავ თხოვდა, დაუბრუნე ეკლესიებს წართმეული სკოლები, მოუხსენი ყადაღა საეკლესიო ქონებას, დაუბრუნე შაქრის ქარხანა და ყაზარმებად ქცეული ტაძრები. მაგრამ ქვაკაცი კედლისკენ ბრუნდებოდა და ჯიუტად იმეორებდა, მირჩევნია უარი ვთქვა შენს ტკბილ-მწარე სიყვარულზე, ვიდრე დავაბრუნო ის სულწაწყმედილი ყაჩაღები, საუკუნეების მანძილზე სამშობლოს რომ უკორტნიდნენ ღვიძლს. მაგრამ ისინი დაბრუნდნენ, ჩემო გენერალო, თქვენი კონფიდენციალური განკარგულების თანახმად პატარ-პატარა ჯგუფებად, ვიწრო, უჩინარი ხვრელებით დაბრუნდნენ, უხმაუროდ გადმოსხდნენ ნაპირზე ზღვის უბეში. ბარალი ერთი-ორად აუნაზღაურდა ყველას, ეკლესიებს ჩამორთმეული ქონება დაუბრუნდათ, გაუქმდა კანონი სამოქალაქო ქორწინებისა და განქორწინების შესახებაც, გაუქმდა ის კანონიც, რომლის თანახმადაც სკოლა გამოყოფილი იყო ეკლესიისაგან და ის კანონიც, რომელიც დედამისის ბენდისიონ ალვარადოს გაწმინდანებაზე უარის თქმისას მიიღეს ჯიბრზე. ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული. ლეტისია ნასარენოს კიდევ ჰქონდა ერთი სათხოვარი. აბა, ყური დამადე მუცელზე, ხომ გესმის სიმღერა, აი, აქ, მუცელში რომ იზრდება, ის ბავშვი მღერის. ქალს თვითონაც გვარიანად შეშინებია, შუალამისას დაძინებულს თავისივე მუცლიდან რომ შემოსმია უცნაური ხმა. იქ, დალოცვილ ნაყოფსაფარ წყლების წიაღში, ღვთიურ სამოთხეში, ახალი ხორცი ფაჩუნობდა. შენი ხორცია, უთხრა ლეტისიამ და მანაც ქალს მუცელზე ნაკლებად მოზუზუნე ყური დაადო. გაურკ-

ვეველი თუხთუხი მოესმა. ეს ჩვენი ცოდვილი სიყვარულის ნაყოფია, მე მას ღვთიურ სახელს ემანუელს დავარქმევ, დედისაგან სულის სიმტკიცეს მიიღებს მემკვიდრეობად, მამისაგან ღირებულებას, ყოველთა სულიერთა უჩინარი წარმმართველი იქნება მამასავით, მაგრამ ამავე დროს უკანონოდ შობილის სახელით დაღდასმული ივლის ამქვეყნად მანამ, სანამ მამამისი საკურთხეველთან წერტილს არ დაუსვამს იმას, რასაც გარყვნილება, წლების მანძილზე ცოდვილიანი თანაცხოვრება და ღვთის გმობა ჰქვია. მაშინ იგი საწოლიდან წამოხტა, მოსკიტებისაგან დამცავი მაქმანიანი ფარდა გადასწია და გასვლისას ფარდის ფოჩებში გაბლანდულმა სადღაც სიღრმიდან ამოუშვა რისხვიანი ხავილი, ცოლის თხოვას სიკვდილი მირჩვენია, და გავარდა. უზარმაზარ ტერფებს მიაფლაშუნებდა მისთვის გაუცხოებულ დარბაზებში, რომელთა წარსული დიდებულება კვლავ ამობრწყინდა ბენდისიონ აღვარადოს უსაშველოდ გაგრძელებული სამკლოვიარო დღეების გასვლის შემდეგ. ფანჯრებიდან ჩამოხსნეს თალხი ფარდები და ოთახებსაც ზღვის შუქი მოეფინა, აივნებზე ყვავილებმა გაღვიძება იწყეს, აგრიალდა მუსიკაც და ეს ყველაფერი იმ ბრძანების თანახმად შესრულდა, რომელიც მას არ გაუცია, მაგრამ ნამდვილად მისას ჰგავდა. ჩემო გენერალო, აბა, სხვას ვის ექნებოდა ასეთი მტკიცე, აუღელვებელი და მხოლოდ თქვენთვის დამახასიათებელი ღირსებით აღსავსე მბრძანებლური კილო. რას იზამდა. თანახმა ვარ. არც მეორე ბრძანება გაუცია, მაგრამ სხვა გზა არ ჰქონდა. თანახმა ვარ. ჰოდა, გაიღო აქამდე დამანული ტაძრებიც, ყოფილ კონგრეგაციებს მონასტრები და საძვალეები დაუბრუნდათ, აღდგა რელიგიური დღესასწაულები, დიდმარხვა. თუ წინათ მხოლოდ მის სადიდებელს მღეროდნენ, ახლა მცხუნვარე მზის ქვეშ მუხლმოყრილი იგივე ხალხი საზეიმო ჰიმნებით ხვდებოდა უფლის გამოსახულებას, რომელიც გემით ჩამოასვენეს ქალაქში. ვიცი, შენი ბრძანებით ჩამოასვენეს, ლეტისია. მართლაც, ეს ერთი იმ ბრძანებათაგანი იყო, საწოლში რომ იქმნებოდა, ხოლო შემდეგ ლეტისია თავის ნებაზე, სხვებთან შეუთანხმებლად როგორღაც ფარულად ახერხებდა გავრცელებას, კაცი კი, აქაოდა, ხალხის თვალში ავტორიტეტი არ დამეკარგოსო, თავი ისე ეჭირა, თითქოს პირადად მისი გაცემული ბრძანება ყოფილიყოს. ლეტისია გახლდათ იმ მორწმუნეთა უჩინარი წარმმართველი ძალაც უწყვეტ ნაკადად რომ მოასკდნენ სამშობლოს საზღვრებს. კაცი კი თავისი საძინებლის ფანჯრიდან შესცქეროდა მათ და გაკვირვებას ვერ მალავდა, ახლა მეტი ხალხია, ვიდრე დედაჩემის, ბენდისიონ აღვარადოს დაკრძალვაზე იყო. ვიღას ახსოვდა ბენდისიონ აღვარადო. გაქრა მისი ხსენება, ქარს გაატანეს მისი საქორწინო კაბის ნაკუწები და ძვლების მტვერიც, საფლავის ქვაც კი შეაბრუნეს და

კედელში წარწერიანი მხრიდან ჩაამაგრეს, რათა სამარადისო დავიწყებას მისცემოდა თავისივე გაფერადებული ჩიტებით მოვაჭრე ქალი. ესეც შენი ბრძანებით აღასრულეს, ლეტისია, შენ არ ისურვე სხვა ქალის მოგონების ჩრდილქვეშ ყოფნა, ჩემი უძღურების ლეტისია ნასარენო, შე ბოზის შვილო, გინდა რომ მხოლოდ შენ ცოცხლობდე ჩემს მოგონებებში. ლეტისიამ შეუძლებელი შეძლო, იმ ასაკში შეცვალა კაცი, როცა მხოლოდ სიკვდილს ძალუძს ადამიანის შეცვლა. ლოგინის კანონებით მიაღწია იმას, რომ ბოლოს და ბოლოს მოდრიკა ქმრის სიჯიუტე. აიძულა ახალი ბანდაჟი ჩაეცვა. მიჩამიჩებული ისე გიქანქარებს, როგორც უკუნეთში გზაარეულ ცხვარს ზანზალაკიო. ძალით ჩააცვა ის ლაკის ჩექმები, რითაც სილამაზის დედოფალთან პირველი ვალსის ცეკვისას იწონებდა თავს, მარცხენა ჩექმაზე ადმირალის ნაჩუქარი ოქროს დეგებიც მიაკრა და პირობა დაადებინა, რომ სიკვდილამდე ატარებდა, როგორც უმაღლესი ხელისუფლების სიმბოლოს. ძალით ჩააცვა ოქრომკედით ნაქარგი, ეპოლეტებიანი, ქანდაკებასავით მძიმე მუნდირი, რომელიც აღარც ახსოვს, ბოლოს როდის ეცვა, მგონი, სულაც მაშინ, დიდზე დიდი ხნის წინათ, როცა ამ ქვეყანას ევლინებოდა ბატონ-პატრონად, როცა პრეზიდენტის კარეტის ფარდებს მიღმა წამით გაიელვებდა ხოლმე მისი პროფილი, ფიქრიანი თვალები, აბრეშუმის ხელთათმანიანი მელანქოლიური ხელი. ხმალი ძალით მიაჩენა ხელში, მამაკაცების სუნამო დააპკურა და მკერდიც დაუმშვენა მედლებითა და წმ. მღვდელმთავრის ორდენის კავალერის ბაფთით, რომელიც რომის პაპმა უბოძა ეკლესიებისთვის წართმეული ქონების დაბრუნებისთვის. ცირკის მასხარასავით მორთულ-მოკაზმული დილაადრიან მიმათრიე პირქუშ სხდომათა დარბაზში. სანთლებს, ფანჯრებზე დაკიდულ შემჭკნარი ფორთოხლის ტოტებსა და კედლებზე გაკრულ სამშობლოს სიმბოლოებს სამარის სუნი ასდიოდათ. არც მღვდელი ახლდათ, არც მეფვარე. მორჩილი პატარძალი ორმაგ ქვედა კაბაში მალავდა წამოზრდილ მუსცელს. შიგნითა კაბა თაბაშირივით მაგარი ტილოსი იყო, გემოთა — შრიალა აბრეშუმისა. ქალი მეშვიდე თვეში გადამდგარიყო და საგულდაგულოდ ცდილობდა დაემალა ცოდვილი სიყვარულის ნაყოფი, დაემალა თავისი შერცხვენა. ორივენი ოფლში იწურებოდნენ, უხილავი ხალხის ტალღა შემოჯაროდა სხდომათა დარბაზს. სასახლესთან ყველა მისასვლელი ჩაეკეტათ, ფანჯრებზე სახელმწიფოს ღერბიანი ფარდები ჩაზოფარებინათ. ამ ჯვრისწერის ამბავი კაციშვილს არ უნდა გაეგო. ვიდრე ლეტისიას სიცხისაგან სული ეხუთებოდა და პირმშოც ბნელით მოცულ მეჩენებში ცურვისას გვარიან მუჯღუგუნებს სთავაზობდა დედას, მამა თავისთვის ფიქრობდა, ნამდვილად ბიჭი გაჩნდებაო. ასეც იყო. სწორედ ეს ბიჭი მღეროდა სადღაც

დედის მიწისქვეშეთში. მღეროდა ისეთივე იღუმალ ხმაზე, როგორც საზეიმოდ გამოწყობილი არქიეპისკოპოსი მღეროდა ღვთის სადიდებელს, იღუმალ და ამავედროულად დაგუდულ ხმაზე, რათა მთვლემარე გუშაგის ყურს არ მისწვდენოდა ოდნავი ჩქამიც კი. დედის წიაღში მობორიალუ ბავშვის შიში, გზააბნეული მყვინთავის შიში, ისეთივე უკუნი იყო, როგორც არქიეპისკოპოსისა, რომელმაც კინაღამ სული მიაბარა უფალს, როცა ამ ჯოჯოხეთის მაშხალა ბერიკაცს ჰკითხა, თანახმა ხართ, ცოლად მოიყვანოთ ლეტისია მერსედეს მარია ნასარენო. აქამდე არავის გაუბედავს ასეთი შეკითხვით მიემართა მისთვის, თანახმა თუ ხართო. არასოდეს, სანამ პირში სული მიდგას, არასოდეს. პასუხად კი თვალეზმოჭუტულმა წყნარად წარმოთქვა, თანახმა ვარ. ამ სიტყვებზე მის მკერდზე ასხმული რეგალიები სუსტად აწკარუნდნენ, ეტყობა, მათ პატრონს გული შეუქანდა. ამასობაში კი იმ საშინელმა ბავშვმა დრო იხელთა, სანაყოფო წყლებში გზა გაიკვლია და სინათლისკენ გაუტია. ლეტისია ტკივილისგან დაიკრუნჩხა, აქოშინდა. უფალო, გადმოჰფინე სიკეთე მხევალსა შენსა, რამეთუ ხორციელი ტკბობა ამჯობინა შენს წმინდა მცნებებს, უფალო, ღირსი ვარ შენი რისხვისა. საკუთარი მენჯის ძვლების ჭახატუხი რომ დაეფარა, ხმაურით შემოიფხრინა მაქიმანიანი არშიები, სწრაფად ჩაცუცქდა და ქვედაკაბების ნაოჭებიდან უცბად თავისი უდღეური ნაშიერი გამოაძვრინა — ნაადრევად შობილი ხბოსავით გასლექილი და გალუული. ქალმა ორივე ხელით ზეასწია ახალშობილი და სახელდახელოდ გამართული საკურთხეველის მქრქალ შუქზე შეათვალიერა. ჩემო გენერალო, ბიჭია, თქვენ ხომ ბიჭი გინდოდათ. ეს იყო ძვალტყავა ნამცეცა ბიჭი, რომელსაც დაუმსახურებლად უნდა ეტარებინა ღვთიური სახელი ემანუელი. მამამ ბავშვი სამსხვერპლო ქვაზე დააწვინა, ჭიპლარი ხმლით გადაუჭრა, დივიზიის გენერლის მაღალი წოდება მიანიჭა და ამ წუთიდან აღიარა იგი როგორც ერთადერთი და კანონიერი მემკვიდრე. მამაო, მომინათლეთ ბავშვი. ეს უპრეცედენტო შემთხვევა ახალი ეპოქის პრელუდიას წარმოადგენდა და მძიმე, ძრწოლით აღსავსე ხანის დაწყებას მოასწავებდა. ჯარისკაცები დილაუთენია კეტავდნენ ქუჩებს, მოსახლეობას აიძულებდნენ საგულდაგულოდ ჩაერაზათ აივნები, კარ-ფანჯრები, ბაზრის ხალხს კონდახის ცემით ფანტავდნენ აქეთ-იქით, ეს ყველაფერი კი ხდებოდა მხოლოდ იმიტომ, რომ თვალი არავის მოეკრა სწრაფად ჩავლილი კრიალა დაჯავშნული მანქანისათვის, მაგრამ მიუხედავად გამკაცრებული ზომებისა, ზოგიერთი მაინც ახერხებდა სახურავზე ამძვრალს თვალი მოეკრა პრეზიდენტის მანქანაში მჯდომი ადამიანისათვის. აბრეშუმის ხელთათმანიან ხელზე ნიკაპდაყრდნობილ და ჩაფიქრებულ ათასწლოვანი სამხედრო კაცის ნაცვლად ეროვნული დროშის ფერებად

გადაღებილ მანქანაში ამჟამად ყოფილი მონაზონი იჯდა. ფეტრის ჭრელაჭრულა ყვავილებით მორთული ჭილის ქუდი ეხურა, ყელზე კი, მიუხედავად პაპანაქება სიცხისა, ცისფერი მელიის კუდები შემოეხვია. ოთხშაბათობით დადიოდა ბაზარში. ხშირად გვინახავს, დიდის ამბით გადმოდოდა მანქანიდან, რამდენიმე მცველის თანხლებით შედიოდა ბაზარში, თან მიაჩანჩალებდა ცეროდენა დივიზიის გენერალს, სამი წლის ნაბ ბიჭს, რომელიც ოქრომკედით ნაქარგ საზეიმო სამხედრო მუნდირში გამოწყობილ გოგოს უფრო ჰგავდა, ვიდრე ბიჭს. მუნდირი ისე კობტად ადგა ტანზე, თითქოს ამ მუნდირში დაიბადაო. დაახლოებით ასეც იყო. კბილი ჯერ ამოჭრილიც არ ჰქონდა, რომ დედამისი მუნდირს აცმევდა. ოფიცერთა შეკრებაზე მამამისის მაგივრად ჯერ კიდევ საბავშვო ეტლით რომ უწევდა მისვლა, მაშინაც ეცვა. დედის ხელში ატატებული თავისი ჯარების აღლუმს რომ ესწრებოდა, მაშინაც ეცვა. სტადიონზე დედა თავის პატარას მალლა რომ სწევდა, რათა აღრიანცელებულ ხალხს ოვაცია გაემართა მისთვის, მაშინაც ეცვა და ეცვა მაშინაც, როცა რომელიმე ეროვნული დღესასწაულის აღსანიშნავ პარადზე ღია მანქანაში წოვდა ძუძუს. ლეტისია აინუნშიც არ ავდებდა წარჩინებულთა ქირქილს, ერთი ნახეთ, ეს ჩვენი კუსპარა გენერალი რა ხბოსავით მიჰკვრია დედამისის დატიკნილ ძუძუსო. როგორც კი ფეხი აიდგა და სხვის დაუხმარებლად შეძლო სიარული, იმ დღიდანვე მარტო მუნდირჩაცმული კი არა, საბრძოლო ჩინ-მედლებით მკერდდამშვენებულიც ცხადდებოდა დიპლომატიურ მიღებებზე. ამ მედლებსაც საკუთარი გემოვნებითა და შეხედულებით არჩევდა სათამაშოდ ნაჩუქარი მამამისის რეგალიებიდან. დინჯი და უცნაური ბავშვი იყო, ექვსი წლისას თავი შესანიშნავად ეჭირა ხალხში, უფროსებს თანატოლივით ესაუბრებოდა, ზრდილობით, თავაზიანობით გამოირჩეოდა, მორიდებულად ხრუპავდა ხილის წვეწვს შამპანურის ნაცვლად. მაგრამ ისეც მომხდარა, საზოგადოებაში ყოფნისას ან რომელიმე საზეიმო ცერემონიაზე დარბაზს თითქოს ღრუბელმა გადაუარაო, უმაღლესი ძალაუფლებით მოსილი რულმორეული დოფინი მთქნარებას იწყებდა და ბოლოს იძინებდა კიდევ. თითქოს დრო შეჩერდაო, სტუმრები საუბარს წყვეტდნენ, ერთმანეთს ანიშნებდნენ, ჩუმად, პატარა გენერალს სძინავს. ადიუტანტებს იგი ხელში ატატებული გაჰყავდათ დარბაზიდან, თან მიაცილებდათ საზეიმოდ გამოწყობილი, დაქირავებული მკვლელებისა და უგრძნობელი ქალების მზერა. ქალები ფრინველთა ფრთების მარაოებს მიღმა მალავდნენ დამცინავ ღიმილს, თან გაუბედავად ჩურჩულებდნენ ერთმანეთში, რა საშინელებაა, ეს რომ გენერალმა იცოდეს. გენერალმა მამამ კი რატომღაც თვითონ ჩაიჭვდა თავში, რომ არაფერი იცის და სურდა სხვასაც ასე ეფიქრა. თითქოს მისთვის სულერთი

იყო უბრალო, ყოფითი ამბები, მის დიდებულებას არ ეკადრებოდა ან სულაც სად აქვს იმის დრო, ყურადღება მიაქციოს იმ ბიჭუკვლას გამონდომებს, რომელიც მან თავისსავე მიერ ჩასახულ უამრავ ბავშვთაგან გამოარჩია და აღიარა ერთადერთ შვილად. არ მეკადრება ყურადღება მივაქციო ჩემი ერთადერთი კანონიერი ცოლის ლეტისია ნასარენოს გაუთავებელ პოხონდრიებსაც. ჰოდა, სწორედ ეს ლეტისია ნასარენო ჩვეულებისამებრ ოთხაბათ დღეს დილაუთენია სტუმრობდა ქალაქის ბაზარს თავის სათამაშო გენერალთან, რამდენიმე მოახლე ქალთან და დენშჩიკებივით ჩაცმულ თავგებულადებულ კაცებთან ერთად. ისინი მოჩვენებებს ჰგავდნენ ადრიანი დილის უცნაურ ნათელში. ეს ის წამი იყო, როცა ამომავალი მზის სხივები ჯერ არ დაჰყვნოდა კარიბის ზღვას. ისინი ამყრალბულ ყურეში შედიოდნენ, წელამდე წყალში მიტოპავდნენ პატარა, მოოქროვილი იალქნიანი ხომალდისკენ, რათა პირწმინდად გაეძარცვათ. ნავსადგურში, სადაც ოდესღაც მონებით ვაჭრობდნენ, გემებით ჩამოეტანათ მარტინიკული ყვავილები და პარამარიბული ბარდანხო. ლეტისიას მცველებმა ჩვეულებას არ უღალატეს, რამდენიმე გემი ამოიღეს მიზანში და მათკენ გაეშურნენ. გზადაგზა ყველაფერს იტაცებდნენ. მეთევზეებს ერთ თევზსაც არ უტოვებდნენ. უვარგისსაც კი, გასაყიდად მიდენილი ღორებისთვის საჭმელად რომ გამოდგებოდა მხოლოდ. კონდახის ცემითო მიჰყავდათ ღორები ძველთაძველ, მაგრამ აქამომდე ვარგის სასწორთან, რომელზეც უხსოვარ დროში, სხვა ეპოქაში და სხვა ოთხაბათ დღეს, ე. ი. ქვეყანაში მის მოსვლამდე, სასწორზე იდგა ულამაზესი სენეგალელი მონა ქალი, რომელიც აუქციონზე გაიყიდა მის წონა ოქროდ, შესაძლოა უფრო მეტადაც. ყველაფერი წაიღეს, ჩემო გენერალო, სარანჩაზე უარესები არიან, ციკლონზე უარესებიც. მაგრამ გენერალს ეს ამბავი დიდად არ მიუტანია გულთან, მოახლოებული უბედურების წინათგრძნობას არ შეუწუხებია არც ამ ოთხაბათს და არც იმ ოთხაბათს, როცა გათამამებული ლეტისია ფრინველითა და ბოსტნეულით მოვაჭრეებში გაერია ქუჩის ძაღლებით გარშემორტყმული. ძაღლები გააგებული უყეფდნენ ქალის ყელზე შემოხვეულ შუშისთვალეებიან მელიებს. ლეტისია ყურადღებას არ აქცევდა ძაღლების ყეფას, ამაყად დააბიჯებდა სავაჭრო ცენტრის უზარმაზარ თაღებქვეშ, რკინის სვეტებზე გადებულ რკინის ტოტებით მორთულ ყვითელი შუშის ქვეშ. ტოტებზე ვარდისფერი შუშის ვაშლები და მცენარეული სამყაროს ზღაპრული, ცისფერი შუშის ნობათი ეკიდა. ლეტისია არჩევდა საღსა და მწიფე ხილს, ქორფა ბოსტნეულს, მაგრამ ხელის მიკარებისთანავე ხილიც და ბოსტნეულიც უმაღვე ჭკნებოდნენ და ღპებოდნენ. თვითონ ლეტისიამაც არ უწყოდა, რატომ ჰქონდა ასეთი ხელები, რასაც შეეხებოდა, აფუჭებდა, ახალგამომცხვ-

არ პურს ობი ეკიდებოდა, აღიარებითაც არ სურდა ელიარებინა საკუთარი ნაკლი და მოვაჭრე ქალებს ლანძღვა-გინებით იკლებდა, კარგსა და ახალს მაღავთ, დამპალი და ძველი გინდათ შემომასალოთ, თქვე გათახსირებულეობ, ეს მანგო ღორებს აჭამეთ, უდღეურებო, თქვენა გგონიათ არ მესმის, ეს აიუამა როგორ ბუყბუყებს მუსიკოსის გოგრა თავივით. ამ მძღნერს თქვენ ხორცს ეძახით, ბოზის შვილებო, სინდისი სულ დაკარგეთ, ამას ხომ სულელიც მიხვდება, ძროხისა კი არა, მკვდარი ვირის ფერდები რომ არის. სანამ ლეტისია ხმის ჩახლენამდე გაჰყვიროდა, მოახლებები და დენშჩიკები კალათებს ხილითა და სანოვაგით ავსებდნენ, დახლებიდან ერთიანად ხვეტდნენ ყველაფერს. ლეტისიას ხმა ძაღლების ყეფას ფარავდა. ისინი კვლავ იწევდნენ ყელზე შემოხვეულ მელიებისკენ, რომლებსაც ჯერაც ასდიოდათ პრინც ედვარდის კუნძულზე მელიების სოროებზე დაფენილი ფოთლების სუნი. სწორედ ამ კუნძულიდან გამოიწერა ქალმა ცოცხალი მელიები. ის იქედნური რეპლიკები კი, პატრონები დიდი სიამოვნებით რომ მიახლიდნენ სახეში ამ მატრაკვეცას და თავიანთ თუთიყუშებს ასწავლეს, რა მოსატანი იყო ლეტისიას უწმაწურ, ქუჩურ გინებასთან თუთიყუშები ზედ გუმბათქვეშ რკინის ტოტებსა და დამტვერილი შუშის ფოთლებზე შემომსხდარნი ხმამაღლა ჩხაოდნენ, ლეტისია ქურდო, ბოზო მონაზონო. ისე მაღლა ისხდნენ, ვერაფრით რომ ვერ მისწვდებოდათ ბუკანეროული სამბაპალის ყოვლისწამლეკავი გრიგალიც კი, რომელსაც ყოველ ოთხშაბათ დილას ცეკვავდნენ ცეროდენა გენერლის ბობოქარი ბავშვობის საპატივცემულოდ. რაც უფრო ცდილობდა ბავშვი, მოზრდილ კაცს დამსგავსებოდა, მით უფრო ნაზი და ალერსიანი უხდებოდა ხმა, ხოლო ქცევა – დახვეწილი. ეს მუყაოს გენერალი წკარუნით მიითრევდა მიწაზე ბანქოს მეფის ხმაღს და მეტისმეტად აულელვებელი ჩანდა ამ ბაზრულ ჯგლეთაში. ძარცვაგლეჯის შემყურეს თავი მშვიდად, ქედმაღლურად და ღირსეულად ეჭირა. ეს ჩაუნერგა დედამ, ასე სურდა დედას, მისი შვილი დაბადებიდანვე ელიარებინა ყველას კეთილშობილ პიროვნებად, თვითონ კი ამ დროს მართლაც რომ ბაზრის დედაკაცივით დააბოტებდა ტალახში და უწმაწური ლანძღვა-გინებით იკლებდა ჭრელაჭრულა ტანსაცმელში გამოწყობილ ზანგ დედაბრებს, რომლებიც აინუნშიც არ აგდებდნენ მის გინებას, გულგრილად შესცქეროდნენ უსირცხვილო ძარცვა-გლეჯას. სამუდამო განმარტოებისთვის განწირული კერპებივით ისხდნენ, თვალს არ ახამხამებდნენ, თითქოს არც სუნთქავდნენ, მხოლოდ ეს იყო, მარაოებით ინიაგებდნენ სახეს და ამ უსინდისო ყაჩაღობის შემყურეთ სიმშვიდე რომ არ დაეკარგათ, თამბაქოსა და კოკას ღეჭავდნენ. ამასობაში კი თავისი ხროვით გარემოცული და გაავებული ძაღლებაკიდებული ლეტისია ნასარენო ბაზრ-

ის გასასვლელისკენ მიემართებოდა თავის ვაიგენერლუკასთან ერთად და გაკაპასებული ყვიროდა, ანგარიში მთავრობას გადაუგზავნეთო. დედაბრები ჩუმად ვიშვიშებდნენ, ღმერთო მაღალო, ეს რომ გენერალმა იცოდეს, ნუთუ არავინაა ამბის მიმტანი. სულელი დედაბრები დარწმუნებული იყვნენ, გენერალმა არ იცოდა და ვერც ვერასოდეს გაიგებდა იმას, რაც მისდა დიდად სამარცხვინოდ მთელმა ქვეყანამ იცოდა, მისი ერთადერთი და კანონიერი ცოლი ლეტისია ნასარენო ყაჩაღობაზე რომ იყო გადასული. ინდუსთა ფარდულებიდან შუშის უგვანო გედები, ნიჟარებიან ჩარჩოში ჩასმული სარკვეები, მარჯნის საფერფლები გამოჰქონდა. სირიელების ფარდულებიდან სამგლოვიარო თავთის ქსოვილებს ზიდავდა, იუველირებს ხომ პირდაპირ ყუთიდან ტაცებდა მუჭით ოქროს თევზების ყელსაბამებსა და მუშტის ფორმის ავგარობებს. ოქრომჭედლები აღარ ერიდებოდნენ ამ ყაჩაღ ქალბატონს, შენ უფრო ხარ მელა, ვიდრე შენს ყელზე შემოხვეული ეგ ცისფერი ლეტისიებო. იტაცებდა ყველაფერს, რასაც კი მისი ხარბი თვალი სწვდებოდა. მორჩილობის დროიდან შემორჩენოდა მდარე გემოვნება და მათხოვრობისაკენ სწრაფვა, მაგრამ თუ ადრე ჟანსინის სურნელებით გაჟღენთილ სამეფო უბანში მათხოვრობით გაჰქონდა თავი, ახლა უკვე სამხედროების ფურგონებიც არ ჰყოფნიდა, ნაძარცვით პირთამდე ავსებდა და თან ქედმაღლურად ბრძანებდა, ანგარიში მთავრობას წარუდგინეთო. ეს იგივე იყო, რომ ეთქვა, ანგარიში მამაზეციერს წარუდგინეთო, რადგან არავინ უწყოდა, საერთოდ, ეთქმოდა კი მთავრობა არსებულ აჩრდილს. დე არმას მოედნის მახლობლად, ბორცვზე ჩვენ ვხედავდით ციხე-სიმაგრის კედლებს, ვხედავდით პრეზიდენტის სასახლესა და მის ისტორიულ აივანს, საიდანაც ოდესღაც ისტორიულ სიტყვებს ისმენდა ხალხი. ვხედავდით მაქმანის ფარდებიან ფანჯრებს და რაფაზე შემომდგარ ლარნაკებს. ღამით სასახლე გემს ჰგავდა, ოღონდ ცაზე მცურავს და მართო ქალაქის ყველა მხრიდან კი არა, შუა ზღვიდანაც კარგად ჩანდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ცნობილი პოეტის რუბენ დარიოს ჩამოსვლასთან დაკავშირებით თეთრად შეღებეს და მრგვალი ლამპიონებითაც გააჩახჩახეს. მაგრამ ჩვენ მაინც ვცვკობდით, არ გვჯეროდა, რომ პრეზიდენტი სასახლეში ცხოვრობდა, პირიქით, ყველანაირი საფუძველი გვქონდა გვეფიქრა, რომ ის სასახლეში არ ცხოვრობდა და ეს ყველაფერი — გაჩახჩახებული ლამპიონები, თეთრად შეღებილი სასახლეც და სხვაც ბევრი რამ — სამხედროების მოგონილი იყო მოსაჩვენებლად და ჩვენს დასარწმუნებლად, ვითომდა ამ კედლებს მიღმა ცხოვრება ჩვეულებრივად მიედინებოდა, ბებერი გენერალი მისტიციზმში იყო ჩაძირული ამქვეყნიურ სიკეთესა და პატივზე უარი თქვა და საკუთარ თავს თავადვე მიუსაჯა სული თვისი ეტან-

ჯა და ხორცი თვისი ეგვემა რკინის საგნებით. იმასაც ამბობდნენ, პატარა ნატეხი შავი პურითა და ერთი ჭიქა წყლით უდგას სულიო, საწოლ-ადაც იატაკი ირჩია ბისკაელ ქალთა მონასტრის ერთ განმარტოებულ სენაკში და ვიდრე არ გამოისყიდის ქალის მიმართ ჩადენილ უმძიმეს ცოდვას, იქიდან არ გამოვაო. ერთი ღვთისმოსავი მონაზონი შეუცდენ-ია და დაუორსულეზიო. ლაპარაკია ამ ღვთისგან წყეულ დედაკაცზე, რომელსაც, მადლობა ღმერთს, ჯერ კიდევ არ მიუღია ყველა უმაღლე-სი ორდენი. მაგრამ ხმები ხმებად რჩებოდა, ცხოვრება კი ძველებურად მიედინებოდა ამ მოხუცის ნაღვლიან უკიდევანო სამფლობელოში. მი-სი ძალაუფლების გასაღები ლეტისია ნასარენოს ეპყრა ხელთ და რო-ცა ის ბრძანებდა, ანგარიში მთავრობას წარუდგინეთო, თან იქვე უმატ-ებდა, ასეთია პრეზიდენტის ნებაო. ეს ძველთაძველი ფორმულა პირვ-ელ ხანებში თითქოს დიდად საგანგაშოს არ წარმოადგენდა, მაგრამ დროთა განმავლობაში ისეთ მასშტაბებს მიაღწია, რომ კრედიტორებ-მა იფიქრეს თუ ამ საქმეს დროზე არ მივხედეთ, შეიძლება ფული სულ დავკარგოთო. გამბედაობა მოიკრიბეს და კიდევ მიაღგნენ სასახლეს გაუნაღდებელ ქვითრებით დატენილი ჩემოდნებით ხელში. ჩემოდნები სასახლის საყარაულოში დავტოვეთ. ყველაზე მეტად აქ იმან გაგვაო-ცა, რომ გარკვეული პასუხი ვერავინ გაგვცა, არც ჰო გვითხრეს, არც არაა. მორიგე მოსაცდელი ოთახისკენ წავგიძღვა, იქ მეტისმეტად ზრ-დილი და მეტისმეტად ახალგაზრდა ოფიცერი დაგვხვდა, სტუმართმ-ოყვრულად შემოგვთავაზა ფინჯანი ყავა. პრეზიდენტის პლანტაციები-დანააო, გვითხრა ღიმილით. მერე დაგვათვალთქვინა თეთრი, შესა-ნიშნავად განათებული კაბინეტები ცხურაკრული ფანჯრებითა და ჭე-რზე დაკიდული ვენტილატორებით. ირგვლივ ისეთი სისუფთავე, ისეთი სისადავე და სინათლე მეფობდა, ყველაფერი ისე იყო გაჯერებული ჰუმანურობით, რომ გაკვირვებას ნამდვილად ვერ ვფარავდით. აკი ხელისუფლება სულს ლაფავსო, სასახლეში სუნამომოპკურებული სი-მყრალე დგასო, სიძუნწე, ხელმოჭერილობა იგრძნობაო. რაზე ეტყობ-ათ ან სიძუნწე ან სიმყრალე ამ აბრეშუმის პერანგებში გამოწყობილ ჩინოვნიკებს. ყმაწვილი ოფიცერი მომცრო პატიოში შეგვიძღვა. იქ ლეტისია ნასარენოს ვარდის ბუჩქები ლამაზად შეუკრეტ-შემოეკრიტა, დილის ჰაერი და ცვარ-ნამი კეთროვნების, ბრმებისა და ხეიბრების სიმყრალისაგან გაუწმენდავს, ღვთისგან დავიწყებულ უპატრონო დავ-რდომილთა თავშესაფრებში გაუმწესებია ყველა. ოფიცერმა გვიჩვენა დაფახფახებული ბარაკიც, სადაც პრეზიდენტის ხარჭები ცხოვრობდ-ნენ ოდესღაც, გვიჩვენა დაუანგული საკერავი მანქანები, ყაზარმული საწოლები, რომლებზეც ჰარამხანის ქალები სამ-სამიც კი იწვნენ. ამ სირცხვილის ბარაკს თავის საკნებიანად მალე დავანგრევთ და მის

ადგილზე სამლოცველოს ავაშენებთო, გვამცნო ოფიცერმა და წაგვიძღვა სასახლის ყველაზე წმიდათაწმიდა ადგილისკენ, სადაც ნაშუადღევის მზებზე ოქროსფრად აელვარებულ ყვავილებსა და მწვანე მოაჯირს მიღმა იდგა მაგიდა. პრეზიდენტმა სულ ახლახან ისაძლია აქ ლეტისია ნასარენოსა და შვილთან ერთადო. მერე ლეგენდარული სეიბის ხეც გვიჩვენა, რომლის ჩრდილში გაკიდულ ეროვნულ დროშასავით ორფერი ქსოვილის ჰამაკში უყვარდა ხოლმე ბერიკაცს მცხუნვარე სიესტის დროს განცხრომით წოლა. ვნახეთ ფერმაც და ფუტკრის სკებიც, მერე კი როცა იმ გზით ვბრუნდებოდით უკან, რა გზითაც პრეზიდენტი ყოველ დილით დადიოდა ფერმაში, რათა ძროხების წველისთვის ედევნებინა თვალი, ყმაწვილი ოფიცერი უცებ შედგა და გახარებულმა გვანიშნა ტალახში ჩექმის ნაკვალევზე, ნახეთ, ეს მისი კვალია. ჩვენც მონუსხულივით დავაჩერდით უზარმაზარ ნაფეხურს, რომლისგანაც მოედინებოდა დიდებულება, ძლიერება, სიმშვიდე და მარტოობას შეჩვეული იაგუარის სუნი. ამ ნაფეხურის ცქერისას ჩვენ უფრო მეტად შევიგრძენით ძალაუფლების იდუმალება, ვიდრე ერთ-ერთმა ჩვენთაგანმა, ვისაც ნება დართეს პრეზიდენტთან პირისპირ შეხვედრისა. შეახვედრეს კი მაღალჩინოსანმა სამხედროებმა, რომლებსაც ყელში ამოსვლოდათ ამ მატრაკვეცა დიაცის თავნებობა. ლეტისია ნასარენოს მეტი ძალაუფლება ეპყრა ხელთ, ვიდრე მთელ მთავრობასა და უმაღლეს მთავარსარდლობას, ვიდრე თვით პრეზიდენტს. ამ დედაკაცმა ისე შორს შეტოპა, რომ თავი დედოფლად წარმოიდგინა, გაიფუყა და გაიბერა. გენერალურ შტაბსაც მოთმინების ფიალა აევსო, აბუნტდა, ველარ მოვითმენთ მის თავხედობასო და გვთხოვეს, პრეზიდენტთან შეხვედრაში ჩვენ დაგეხმარებით, ოღონდ იქნებ სიტყვა გადაუკრათ მოხუცს, ჩემო გენერალო, რომ იცოდეთ, რა ხდება თქვენს ბურგს უკან-თქო. ჰოდა, მოხდა ისე, რომ მე მომიწია პრეზიდენტთან შესვლა. მარტო იყო თავის ქათქათა კაბინეტში, კედლებზე ინგლისური ჯიშის ცხენების სურათები ეკიდა. სავარძელში იჯდა ოდნავ უკან გადაწეული, უზარმაზარი ვენტილატორის ქვეშ. ლითონის დილებიანი თეთრი, უბრალო, დაკუჭული, უნიშნო მუნდირი ეცვა, ხელთათმანიანი მარჯვენა ხელი მაგიდაზე დაესვენებია. მაგიდაზე სამი ოქროსჩარჩოიანი სათვალე იდო, სხვა არაფერი, მის ბურგს უკან თაროებზე ჩარიგებული ტომეულები კაცის ტყავში ჩასმულ საბუღალტრო დავთრებს ჰგავდნენ. მარჯვნივ რკინის გისოსიან ღია ფანჯარაში მთელი ქალაქი და კრიალა, ჰორიზონტამდე გადაჭიმული ზღვის გაღმა ნაპირს შეერთებული უჩიტო ბეცა მოჩანდა. გულზე მომეშვა, პრეზიდენტი ძალზე უბრალო მომეჩვენა თავის გარშემომყოფებთან შედარებით, შინაურული და სრულიად სხვა, ვიდრე სურათებზე იყო. შემეცოდა, ძალიან ბებერი იყო, ყველაფე-

რი ბებრული ჰქონდა, თითქოს უკურნებელმა სენმა გამოფიტა და დაასუსტაო, იმის ძალაც არ შესწევდა, ჩემთვის ეთქვა, დაჯექიო, მხოლოდ აბრეშუმის ხელთათმანიანი ხელით მანიშნა სკამზე. ისე მისმენდა, არ მიყურებდა, მძიმედ, სტვენა-სტვენით სუნთქავდა და კაბინეტიც ამიაკის სუნით იჟლინებოდა. ანგარიშები რომ წარუდგინე, გამოფხიზლდა. რაკი მისთვის აბსტრაქტული კატეგორიები მიუწვდომელი იყო, შეძლებისდაგვარად ავუსხენი ყველაფერი, რაც იქ ეწერა. აქედან სანტა მარია დე ალტარამდე რომ მანძილია, იმაზე ორჯერ მეტი სიგრძის თავის ქსოვილი აქვს ფარდულიდან გატანილი ლეტისია ნასარენოს-მეთქი, ე. ი. ას ოთხმოცდაათი მილი-მეთქი. აჰა, თითქოს საკუთარ თავს უთხრა მან. ბოლოს ერთხელ კიდევ ავუსხენი, მთელი ვალი, თუ მხედველობაში მივიღებთ თქვენი უდიდებულესობისათვის დაწესებულ საგანგებო შეღავათს, უტოლდება ათი წლის მანძილზე ლატარიაში ექვსჯერ მოგებულ თანხას-მეთქი. მან ერთხელაც უთხრა საკუთარ თავს აჰა და მხოლოდ ახლავდა შემომხედდა სახეში, უსათვალოდ. შევამჩნიე, მზერა მორიდებული და მოწყალე ჰქონდა, ხოლო როცა ალაპარაკდა, ხმაც უცნაური აღმოაჩნდა, თითქოს მკერდში დანჯღრეული ფისგარმონია ედგა. მჯერა, რაც მომახსენეთ ყველაფერი მართალია, რაც შეეხება დანახარჯის ანგარიშებს, იგი მთავრობას უნდა წარუდგინოთ. დიახ, სწორედ ასეთი იყო იგი მაშინ, როცა ლეტისია ნასარენო ცდილობდა დაეხსნა ქმარი დედამისის, ლამის ქვის ხანის ველური ქალის ბენდისიონ ალვარადოს აღმზრდელობითი ჩარჩოებიდან, ლეტისიამ გადააჩვია იგი ზემეულად, სიარულის დროს ჭამას, ახლა უკვე სამივენი ერთად უსხდნენ მაგიდას პლაჟზე, სამფერა იებით მორთულ ჩარდახს-ქვეშ. კაცი ბიჭის პირდაპირ იჯდა, ლეტისია მაგიდის თავში და ორივეს ასწავლიდა მაგიდასთან ქცევის წესებს. ჭამისას პირი არ აწკლავუნოთ, მხრებში გაიმართეთ, სკამის საზურგეს უნდა ეხებოდეთ, ჩანგალი მარცხენა ხელში დაიკავეთ, დანა მარჯვენაში, ლუკმა კარგად დაღეჭეთ, ყბის ერთ მხარეს თხუთმეტჯერ, მეორე მხარეს თხუთმეტჯერ, თანაც პირმოკუმულმა და თავაწეულმა. ქალი ყურადღებას არ აქცევდა ქმრის ბუზღუნს, ყაზარმაში ხომ არ ვართო. მიაჩვია გაბეთის კითხვას ნასადილევს. სამთავრობო გაბეთში წერდნენ, რომ ის იყო ამ გაბეთის პატრონი და საპატიო რედაქტორი, როგორც კი გიგანტური სეიბის ჩრდილქვეშ გაკიდული ჰამაკისკენ გასწევდა თვალის მოსატყუებლად, ლეტისია პირდაპირ ხელში სჩრიდა გაბეთს, სახელმწიფოს მეთაური ვალდებულია იცოდეს რა ხდება მსოფლიოშიო. ცხვირზე ოქროსჩარჩოიან სათვალეს დააკოსებდა და ისიც დაცურავდა და დაცურავდა საკუთრივ მასზე შეკოწიწებულ წყალწყალა ამბებში. ამ დროს კი ლეტისია სპორტში ავარჯიშებდა შვილს, ბურთის თამაშს ასწავლიდა, მონა-

სტერში მორჩილი დები თამაშობდნენ ხოლმე, კაუჩუკის ბურთს ერთ-მანეთს ესროდნენ და უბრუნებდნენ. ამ დროს კი ის გაბნეუბებში დიდი ხნის წინათ გადაღებულ საკუთარ სურათებს ნახულობდა. უმეტესობაზე მის მაგივრად მისი ორეული იყო გამოსახული, რომელიც დიდი ხნის წინათ მოკვდა ასევე მის მაგივრად, ისე დიდი ხნის წინათ, რომ აღარც ახსოვს ამ კაცის სახელი. ერთ სურათზე იგი გასულ სამშაბათს მინისტრთა საბჭოს სხდომას თავმჯდომარეობდა, არადა, კომეტის ჩავლის მერე ის არავითარ სხდომას არ დასწრებია. კითხულობდა ისტორიულ გამონათქვამებს, რომლებსაც მას მიაწერდნენ ქვეყნის განათლებული მინისტრები. კითხულობდა და თან ეყვინთებოდა. აგვისტოს საღამოხანს ჩამოხუთული ჰაერით მოთენთილი ნელ-ნელა იძირებოდა სიესტის ჭაობში და თან ბუტბუტებდა, გაბნეტი კი არა, მძღნერია, ვერ გამიგია, რატომ უნდა კითხულობდე ამ სისულელეებს. მაგრამ რაღაც სარგებელი მაინც მოჰქონდა გაბნეუბების კითხვას, ხანმოკლე ძილისაგან თავდაღწეულს ახალ-ახალი აზრები ებადებოდა და ლეტისია ნასარენოს პირით თავის მინისტრებს სხვადასხვა დავალებებს აძლევდა, ისინიც ვიდრე ლეტისიას პირითვე შეუთვლიდნენ პასუხს, ცდილობდნენ პრეზიდენტის სურვილი და განზრახვა ამოეცნოთ ლეტისიას ქცევისა და ლაპარაკის მიხედვით. შენ იყავი ჩემი ხმა, ჩემი ტვინი და ჩემი ძლიერება, შენ იყავი ჩემი ერთგული ყური, უშეცდომოდ ისრუტავდი და შემდეგ მაწვდიდი ყველაფერს, რაც სჭირდებოდა ჩემს მარად მოგუგუნე და ლავასავით ცეცხლოვან სამყაროს. ასე ამბობდა ის, მაგრამ სინამდვილეში ყველაზე სარწმუნო საინფორმაციო წყარო, რომლის მიხედვითაც წარმართავდა ხოლმე ის თავის საქმიანობას, გახლდათ სასახლის საერთო ფეხსალაგების კედლებზე გაკეთებული ანონიმური წარწერები. სწორედ ამ წარწერებით იგებდა ის სიმართლეს, რის პირში თქმასაც ვერავინ გაუბედავდა, ლეტისიაც კი. დილაუთენია ძროხების მოწველის შემდეგ, ვიდრე ჯარისკაცები წაშლიდნენ წარწერებს, ჩამოივლიდა ფეხსალაგებს, წაიკითხავდა და მერე ჯარისკაცებს ავალებდა შეეთეთრებინათ კედლები, რათა გულის მოფხანის და სუფთა კედელზე თავისი ბოღმის გადმონთხევის საშუალება მისცემოდა ყველას, ვინც კი ამას მოისურვებდა. ამ ანონიმური წარწერების მეშვეობით გაიგო მან საკუთარი ოფიცრების ჭირ-ვარამი, გაიგო იმ ადამიანთა ფიქრებიც, ვინც მისი სიკეთით ბევრს სარგებლობდა, მაგრამ სულის სიღრმეში სძულდათ იგი. ვითარების სრულ ბატონ-პატრონად მაშინ გრძნობდა თავს, როცა ადამიანის გულის იდუმალ სიღრმეებში ახერხებდა შეჭრას, როცა თითქოს სარკეში ხედავდა იმას, რაც ფეხსალაგის კედლებზე წაეწერა ათას ძაღლსა და მამაძაღლს. გრძნობებმოჭარბებულს კვლავ ეძალებოდა სიმღერის სურვილი, რამდენი ხანია,

მსგავსი რამ არ განუცდია. შესცქეროდა მოსკიტების თხელი ფარდის მიღმა მეჩეჩზე გამორიყულ ვეშაპს, თავის ერთადერთ და კანონიერ მეუღლეს, მძინარე ლეტისია ნასარენოს და მღეროდა, გაიღვიძე, ლეტისია, ჩემს გულში უკვე რიჟრაჟია, ზღვაც აქ არის, ცხოვრება გრძელდება, ლეტისია, და მართლაც გრძელდებოდა ლეტისიას საოცარი ცხოვრება. მრავალთა შორის ის იყო ერთადერთი ქალი, ვინც პრეზიდენტს თავის დაკრულზე აცეკვებდა, ვინც თითქმის ყველაფერი მიიღო ქმრისგან ერთი სულ უბრალო რამის გარდა, ვერა და ვერ მიაღწია იმას, რომ დილით გაღვიძებულს ქმარი ეხილა თავის გვერდით ლოგინში. ყოველი ტკბილ-მწარე სიყვარულობანას ზემდეგ კაცი მიდიოდა თავის საძინებელში – მართახელა მოხუცის საძინებელში, კართან ანთებულ ლამპას ჰკიდებდა, იქნებ გაქცევამ მოუწიოს. სამ გასაღებზე, სამ ურდულზე და სამ ჯაჭვზე იკეტებოდა, გაუხდელი პირქვე წვებოდა იატაკზე. ასე იყო შენამდე და ასე იქნება შენს მერეც, ლეტისია. მაგრამ დილით კვლავ ბრუნდებოდა ლეტისიას საძინებელში, სადაც რომელიღაც ღამის ნადირის სუნი იდგა, ბრუნდებოდა, რათა ცოლის სურვილი შეესრულებინა, ცოლის სიხარბე დაეცხრო. დედაშენზე, ბენდისიონ ალვარადოზე მდიდარი მინდა ვიყო. და მართლაც, ზღაპრულად მდიდარი იყო, თანაც მართლ ლეტისია კი არა, მთელი მისი მრავალრიცხოვანი ნათესაობა. ღამის მთელი ჯარი ჩამოდიოდა ანტილის კუნძულების მივარდნილი კუთხეებიდან, არაფერი ებადათ საკუთარი ტყავის გარდა, არც არავითარი ტიტული გააჩნდათ გარდა იმისა, რომ ნასარენოების, ხეპრე კაცებისა და ხარბი დედაკაცების გვარისანი იყვნენ. მათ იერიშით აიღეს მარილის, თამბაქოს, სასმელი წყლის სავაჭროები, უკითხავად დაეპატრონენ სამხედროებისთვის კარგა ხნის წინათ შესასყიდად გადაცემულ მიწებს, რათა მათი ამბიციები დაეცხროთ. ნასარენოები იტაცებდნენ ყველაფერს, ისაკუთრებდნენ სხვის უფლებებს, ვითომდა პრეზიდენტის სურვილით. სინამდვილეში სურვილს ლეტისია გამოთქვამდა. პრეზიდენტი კი ეთანხმებოდა. იმ ხანებში ლეტისიას დაჟინებული თხოვნით მან გააუქმა ბარბაროსული წესი დასჯისა, როცა კაცს ცხენის კუდზე გამოაბამდნენ და ნაფლეთებად აქცევდნენ. სამაგიეროდ ცხენი უცხო დესანტის მეთაურის მიერ ნაჩუქარი ელექტრონული სკამით შეცვალა. აბა, როგორ, რატომ უნდა ჩამოვრჩეთ ცხოვრებას, ჩვენც ხომ უნდა შევითვისოთ თუნდაც მკვლელობის ცივილიზებული მეთოდი. მან მოინახულა პორტის ციხესიმაგრე, საშინელებათა ლაბორატორია, სადაც საგანგებოდ შერჩეულ გამხდარ-გამოფიტულ პოლიტპატიმრებზე ცდიდნენ სიკვდილის ტახტს, სწავლობდნენ მის მართვას. ჩვენ ვიცოდით სიკვდილმისჯილებზე ცდების ჩატარების ზუსტი დრო. ამ დროს მთელ ქალაქში ქრებოდა შუქი, სიკვდილის ტახტი უზომო ელე-

ქტროენერგიას ნთქავდა. საშინელებისგან სუნთქვაშეკრულნი ვისხედ-
ით ჩაბნელებულ საროსკიპოებში, წუთიერი დუმილით მივაგებდით პა-
ტივს წამებულთა ხსოვნას, მერე ერთ ჭიქა არაყსაც ვხუხავდით ტანჯ-
ულთა სულის მოსახსენიებლად, თანაც ერთხელ დასჯილისას კი არა,
რამდენჯერმე დასჯილისას. ვიცოდით, ზოგიერთები მაშინვე არ კვდე-
ბოდნენ, ცოცხალმკვდარნი ეკიდნენ ღვედებზე, კვამლი ისე ასდიოდ-
ათ, როგორც მაყალზე მწვადს. ჯოჯოხეთური ტკივილებისგან მანამდე
ხრიალებდნენ, სანამ ჯალათი კიდევ ორ-სამჯერ დენზე უშედევო ჩარ-
თვის შემდეგ ტყვიით არ მოუსწრაფებდა დატანჯულ სიცოცხლეს. ეს
ყველაფერი შენთვის კეთდებოდა ლეტისია, შენ გამო დაცარიელდა
ციხის საკნები, შენ გამო შევუნდე საკუთარ მტრებს და სამშობლოში
დავაბრუნე. აღდგომის წინადღეს გამოაქვეყნა ბრძანება, რის თანახმა-
დაც ამიერიდან აღარავინ დაისჯებოდა განსხვავებული აზრისთვის,
გამოაცხადა სინდისის თავისუფლება, თავის შუაგულ შემოდგომის ხა-
ნს მან ირწმუნა, რომ მის ყველაზე თავგადაკლულ მტერსაც ჰქონდა
უფლება დამტკბარიყო ისეთივე ბედნიერი წუთებით, როგორითაც თა-
ვად ტკბებოდა იანვრის საუცხოო ღამეებში ლეტისია ნასარენოსთან
ერთად, ამქვეყნად ერთადერთ ქალთან ერთად, ვისაც წილად ხვდა
უდიდესი პატივი, საკუთარი თვალით ეხილა ტერასაზე მჯდარი ნიფხვი-
სამარა პრეზიდენტი, ეხილა მთვარის შუქზე ოქროსფრად შეფერადე-
ბული მისი უზარმაზარი თიაქარი. ლეტისიასთან ერთად ტკბებოდა
ბაბილონელ მმართველთა მიერ საშობაოდ გამოგზავნილი და წვიმებ-
ის ბაღში დარგული იდუმალი ვერცხლისფერი ტირიფების სილამაზით.
შესცქეროდა მზის სხივებში გადატეხილ ბროლივით გამჭვირვალე
შხაპუნა წვიმას, ხის ტოტებში გახლართულ პოლარულ ვარსკვლავს,
ლეტისიასთან ერთად ჯდებოდა მთელი მსოფლიოს დამტევ, მეგაჰერც-
ებით, ხაზებითა და ციფრებით აჭრელებულ რადიომიმღებთან და რადი-
ოტალღების გამაყრუებელ დამცინავ სტვენა-ხრიალში, პლანეტები
რომ გზავნიდნენ თავიანთი ორბიტებიდან, უსმენდა რადიო-პიესას,
რომელსაც ყოველდღე გადმოსცემდნენ გაგრძელებებით სანტიაგო დე
კუბადან. ყოველი გადაცემის შემდეგ გულაჩქოროლებული ფიქრობდა,
ნეტავ ხვალამდე არ მოვკვდებოდე, სული მიმდის გავიგო, ბოლოს და
ბოლოს რით დამთავრდება მთელი ეს ამბავიო. ძილის წინ რამდენიმე
წუთს შვილთან ატარებდა, უყვებოდა საბრძოლო იარაღებზე, როდის,
სად, როგორ გამოიყენებოდნენ ისინი. მან ხომ ეს საქმე ზედმიწევნით
კარგად იცოდა. ერთადერთი რჩევა, რაც მან შვილს მისცა, შეეხებოდა
ბრძანების გაცემის ცოდნას, არასოდეს გასცე ბრძანება, თუ დარწმუნე-
ბული არ ხარ, რომ შეასრულებენ. იმდენჯერ გაამეორებინა ეს სიტყვე-
ბი, ვიდრე თავში არ ჩაუჭედდა, როცა სახელმწიფოს მეთაური ყოყმანო-

ბს ბრძანების გაცემისას, ვაითუ არ შეასრულონო, ეს არის მისი ყველაზე დიდი და უპატიებელი შეცდომა. ეს რჩევა ცხელი რძით პირდათუთქული მოხუცი ბაბუის რჩევას უფრო ჰგავდა, ვიდრე გამოცდილებით დაბრძენებული მამისას. ბიჭს დიდხანს რომ ეცოცხლა, ალბათ ეს რჩევა მართლაც დაამახსოვრდებოდა მთელი ცხოვრება, რადგან სწორედ იმ დღეს, რა დღესაც მამამ თავის ექვსი წლის ბიჭს ეს რჩევა მისცა, ჰაუბიციდანაც გაასროლინა პირველად. ჰაუბიცის გამაყრუებელი ქუხილი და მამის რჩევაც ძალაუწებურად ერთად შემორჩებოდა მის მეხსიერებას. ჩვენ კი ჰაუბიციდან გასროლა იმ კატაკლიზმის წინამორბედად მივიჩნიეთ, შემდეგ რომ მოხდა, ატყდა საშინელი ჭექა-ქუხილი, ელვა წამდაუწუმ კვეთდა ცას, თითქოს სადაცაა ვულკანი ამოხეთქავსო, ირგვლივ ყოველივე გუგუნებდა, მიწა ზანზარებდა, კომოდორო რივადავიას მხრიდან მოვარდნილმა ქარმა, რომ იტყვიან, მთელი გულ-ღვიძლი ამოუტრიალა ზღვას, გადაევილო პორტის მოედანს, სადაც ოდესღაც მონებით ვაჭრობდნენ და სადაც ახლა ცირკი იყო დაბანაკებული. მერე ბადეებით გამოგვყავდა ნაპირზე სპილოები და დამხრჩვალნი ჯამბაზები. ქარის პირველივე დარტყმამ ჟირაფები ტრაპეციაზე შეაგდო და შემდეგ ზღვაში გადაისროლა. ჩაძირვას ბეწვზე გადაურჩა ბანანის სატვირთო გემი, რომელზეც იმყოფებოდა ფელიქს რუბენ გარსია სარმიენტო, შემდგომში რუბენ დარიოს გვარ-სახელით ცნობილი პოეტი. ქარიშხალი ჩაწყნარდა თუ არა, სულ რაღაც ერთ საათში ეს გემიც შემოვიდა პორტში. ნაავდრალზე ქინქლა აბორიალდა გაკანკალეზულ ჰაერში. ზღვა მშვიდად ფშვინავდა, ბერიკაცმა საძინებლის ფანჯრიდან დაინახა ქარიშხლის მიერ გვარიანად გადაფერდებული პატარა გემი, რომელიც ნელა მიცურავდა ოქროსფრად მოლივლივე ზღვის უბეში. ბოგირზე კაპიტანი იდგა და პირადად ხელმძღვანელობდა გემის სვლას ნავსადგომისკენ. კაპიტნის გვერდით შავი მაუდის ქურთუკსა და ჟილეტში გამოწყობილი მგზავრი იდგა. პრეზიდენტს არაფერი სმენია და არც არაფერი იცოდა ამ კაცის შესახებ მომავალ კვირა დღემდე. კვირას კი ლეტისიამ საოცარი რამ სთხოვა, ძალიან მინდა დღეს პოეტიის საღამოს დავესწროთ ეროვნულ თეატრშიო. ისიც უყოყმანოდ დათანხმდა. მთელი სამი საათი ვუცადეთ პრეზიდენტს, დახუთულ დარბაზში ოფლად ვიღვრებოდით. გაგვაფრთხილეს, კარგად ჩაიცვითო და ჩვენც სათეატროდ გამოწყობილები სულს ძლივს ვითქვამდით, როგორც იქნა, გაისმა ეროვნული ჰიმნი და ჩვენც ტაშისცემით მივბრუნდით მთავრობის ლოჯისაკენ. ლოჯაში ჩასუქებული ყოფილი მონაზონი გამოჩნდა, თავზე ბუმბულებით გაწყობილი ქუდი ეხურა. თავთის კაბა ეცვა, ყელზე მელიის კუდები შემოეხვია. მისალმებაზე არც უპასუხნია, მუნდირში საზეიმოდ გამოწყობილი ბიჭის გვერდით

მოკალათდა. ბიჭმა აბრეშუმის ხელთათმანი გაიძრო და ხალხს მისა-
ლმების ნიშნად დაუქნია. ოდესღაც ასე ესაღმებოდნენ ხალხს მეფისწ-
ულებიო, უთხრა ერთხელ დედამ. ლოჯაში სხვა არავინ ჩანდა, მაგრამ
დარწმუნებული ვიყავით, ის იქ იყო. მთელი ორი საათი, რაც თეატრში
დავყავით, ვგრძნობდით მის უხილავ ყოფნას, ვგრძნობდით, როგორ
დარაჯობდა ის ჩვენს სულიერ სიმშვიდეს, რათა ბობოქარი პოეზიის
ტალღებს არ ჩავეყლაპეთ. ჩვენს გრძნობებს, ჩვენს სიყვარულს და ჩე-
ვენს სიკვდილსაც ხომ ის განაგებდა. ჩაბნელებული ლოჯის კუთხეში
მიყუჟულს ვერავინ ხედავდა და ისიც ვერავის ხედავდა, ესმოდა მხოლო-
დ ზღვასავით მშფოთვარე ხმა, რომელმაც იგი მოსწყვიტა ადგილსა
და მიწიერ დროჟამს, ასწია მაღლა და მისი ნების საწინააღმდეგოდ
ფრენა-ფრენით წაიყვანა იქით, სადაც ოქროს საყვირების კრიალა ხმ-
ებში ამოიზიდებოდნენ მარსისა და მინერვას ტრიუმფალური თაღები,
მათი სადიდებელი თაღები და არა თქვენი, ჩემო გენერალო. მან დაი-
ნახა გმირი გოლიათი მედროშეები, ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოც-
ხლოდ ჩაფრენილი შავი ძაღლები, რკინის ჩლიქებიანი დიდი საომარი
ცხენები, დაშნები, შუბები, დაინახა, რკინის პლუმაჟ-შუმარადიანმა
რაინდებმა როგორ დაითრიეს უცხოთა დროშა თავიანთი იარაღის და
არა თქვენი იარაღის სადიდებლად, ჩემო გენერალო. დაინახა ჭაბუკი
მეომრები, რომლებიც სამშობლოს სამარადისო დიდებისა და უკვდავ-
ების სახელით არ ეპუებოდნენ წითელი ზაფხულის მშეებს, მსუსხავი
ზამთრის ქარებს, ღამის უკუნს, ცინვას, სიძულვილს და სიკვდილს, არ
ეპუებოდნენ იმ ქვეყნის სახელით, რომელიც უფრო დიდებული და ღი-
რსეული იყო, ვიდრე ის ქვეყანა, რომელიც მას – სამოქალაქო ომის
ფეხშიშველ ჯარისკაცს – წარმოედგინა სიცხიან ბოდვებში. და მან უც-
ბად იგრძნო საკუთარი არარაობა, ხოლო როცა ქუხილივით მოვარდა
ტაში, ისიც შეუერთდა ხალხის აღტაცებას. აი, ეს არის ნამდვილი ტრი-
უმფი, დედაჩემო ბენდისიონ ალვარადო, აი, ეს არის ნაღდი შეხვედრა
და არა ის მძღნერი შეხვედრები, მე რომ მიწყობენ. დამცირებულს და
მარტოსულს ჰყერი არ ჰყოფნიდა ჩამოხუთულ დარბაზში, გულს უწვრ-
ილებდა აბეზარი კოლოები, მოოქროვილი სვეტები და მთავრობის
ლოჯის ფერგადასული ფარდა. ეშმაკმა დალახვროს, ნუთუ შესაძლებ-
ელია, ასეთი მშვენიერი რამ კაცმა იმ ხელით დაწეროს, რომელი ხელ-
ითაც ტრაკს იწმენდს, ყოჩაღ, ინდიელო. აქამდე მისთვის უცნობმა პო-
ეტურმა ენამ სულით ხორცამდე შეძრა, აგზნებული დააბოტებდა შებ-
ორკილი სპილოსავით და ცდილობდა ფეხი აეყოლებინა დიდებული,
ამაღლებული სტრიქონების რიტმისათვის, ხოლო როცა პატიოში, საკ-
უთარ ტრიუმფალურ თაღქვეშ – უზარმაზარი სეიბას ტოტებქვეშ –
ლეთისია უკითხავდა ლექსებს, ქორალის ზარბეიმურ, მგზნებარე რი-

ტმით მონუსხულს ძილი ერეოდა. რამდენჯერ ააჭრელა ფეხსალაგების კედლები სულისამაფორიარქებელი ლექსებით. ერთხელაც ახლად დატყეპილ ფუნით გამთბარ თავის ოლიმპზე — ფერმაში ყოფნისას — ის იყო ზეპირად უნდა ეთქვა მთელი პოემა, რომ უეცრად ძლიერმა აფეთქებამ მიწა შეაზანზარა. პრეზიდენტის მანქანის საბარგულში ჩადებული ნაღმი ნაადრევად აფეთქდა. ძლიერმა ცეცხლოვანმა ტალღამ ჯავშნიანი მანქანის ნაწილები ისე მიფანტ-მოფანტა, რომ მერე კარგა ხანს ქალაქის ლამის ყველა უბანში ვპოულობდით. ლეტისია ნასარენო ოთხშაბათ დღეს სწორედ ამ მანქანით უნდა წასულიყო ბაბრის გასაფცქვნელად შვილთან ერთად. ჩემო გენერალო, პირადად მისი მოკვლა ჰქონდათ განზრახული, სხვა არავისი. გენერალმა შუბლში შემოირტყა ხელი, ნამდვილად ასეა, აქამდე როგორ ვერ მივხვდი, სად გაქრა მისი ლეგენდარული მიხვედრილობა. ამ ბოლო ხანებში ფეხსალაგების კედლებზე ახალი წარწერები რომ გაჩნდა, როგორ არ მიაქცია ყურადღება. თუ აქამდე კედლებზე პირადად მასზე და მის სამოქალაქო მინისტრებზე წერდნენ აუგს, ახლა ლაფს ასხამდნენ სამხედროთა შეღავათიან პრივილეგიებზე კბილდასობილ, გათავხედებულ ნასარენოებს და ხელისუფლების მიერ გალაღებულ ამბიციურ ეკლესიის მამებს. მისი აზრით, მართალია, დიდად სასიამოვნო არ იყო შეურაცხმყოფელი სიტყვების მოსმენა, როგორც ოდესღაც დედამისის, ბენდისიონ ალვარადოს გაწმინდანებისას სეტყვასავით წამოსული დიატრიბები გახლდათ, მაგრამ სიტყვა მაინც სიტყვაა და დიდ საშიშროებას არ წარმოადგენს, დროთა განმავლობაში თუთიყუშის უაზროდ დაზეპირებულ სიტყვად იქცევა, მით უმეტეს ის სიტყვა, განაწყენებული კაცი ფეხსალაგის სიტბოში კედელზე რომ წაჩხაპნის რალაცას. მაგრამ ეს განაწყენება ზოგჯერ ფეხსალაგიდან ქუჩაშიც გამოდიოდა, რაშიც თავად ხელისუფალსაც მიუძღოდა ბრალი — მუქართა და ყვირილით ახშობდა არეულობას. მაგრამ ისე გაბოროტდე და გაავდე, რომ ამოდენა დინამიტი ააფეთქო, თანაც სად, ზედ მთავრობის სახლთან, ღმერთმანი, მეტისმეტია. კი მაგრამ, როგორ მოხდა, როგორ მიენდო პოეზიის საყვირებს ისე, რომ მგრძნობიარე ყნოსვამ, კაციჭამია ვეფხვის ყნოსვამ უღალატა, როგორ ვერ ამოიცნო ნაცნობი სუნი მოახლოებული საფრთხისა, რა ჯანდაბა დაემართა ასეთი. სასწრაფოდ მოიწვია უმაღლესი სამხედრო პირები, თოთხმეტი აკანკალებული ოფიცერი. წლების მანძილზე ისინი ერთი კაცის ნების შემსრულებლად მსახურობდნენ და მის დავალებებსაც შუაკაცის მეშვეობით იღებდნენ. ახლა კი, როგორც იქნა, პირისპირ შევხვდით მას, ამ მიუწვდომელ ბერიკაცს, რომელიც სინამდვილეში ძალზე მისახვდომი და ჩვეულებრივი აღმოჩნდა იმ იდუმალებით მოცული ამბების ფონზე, რაც კი ოდესმე გვსმენია მასზე.

სააუდიენციო დარბაზში მიგვიღო, იჯდა თავის ტახტსავარძელში, ჯარისკაცის ფორმა ეცვა და შარდის სუნად ყარდა. უწვრილესი ოქროს ჩარჩოიანი სათვალე დაედო ცხვირზე. სულ ახლახან გამოქვეყნებულ სურათზე უსათვალოდ გადაეღოთ. წარმოუდგენლად ბებერი და წარმოუდგენლად შორს იყო ჩვენგან. აბრეშუმის ხელთათმანი რომ გაიძრო, შევამჩნიეთ, ხელები სულაც არ უგავდა მეომრისას, პირიქით, გულმოწყალე ყმაწვილი კაცის ხელები ჰქონდა, სხვა დანარჩენი კი უხეში და ავად შესახედი. რაც უფრო ვაკვირდებოდით, მით უფრო ცხადად ვხედავდით, მის ხრწნად სხეულს მალე სულიც მიატოვებდა, მაგრამ ეს სული იყო დაუმორჩილებელი კაცის, ძალაუფლების მოყვარული კაცის სული, სული მხოლოდ საკუთარი, არავისთან გაზიარებულ-გაყოფილი ძალაუფლებისა. თვითონაც უჭირდა მისი მოთოკვა. ერთი სიტყვაც არ დასცდენია, თავიც არ დაუქნევია ჩვენს მხედრულ მისაღმებაზე. როცა ყველანი მის წინ ნახევარწრედ ჩარიგებულ სავარძლებში მოვკალათდით, მან სათვალე მოიხსნა და სათითაოდ შეგვათვალა თავისი მბურღავი თვალებით. ის შესანიშნავად გრძნობდა ჩვენს ქვენა ზრახვებს, რომლებიც სინდიოფალას სიფრთხილით მისუნსულებდნენ ბნელ-ბნელ კუნჭულებისკენ, მაგრამ ბერიკაცს მაინც ვერ უსხლტებოდნენ ხელიდან. თითოეულ ჩვენგანზე იგი იმდენ დროს ხარჯავდა, რამდენიც საჭირო იყო ჩვენი ავკარგიანობის გასარკვევად, ვინ როგორ და რამდენად შევიცვალეთ დავიწყების ბურუსში მიკარგულ იმ საღამოს მერე, როცა მან უბრალოდ, თითის მოშვერით ჩამოგვირიგა უმაღლესი ჩინები. თავის მხრივ, რაც უფრო მეტად აკვირდებოდა მოსულებს, მით უფრო რწმუნდებოდა, რომ თავდასხმის მოთავე სწორედ ამათში ერია, მაგრამ მათ წინაშე რატომღაც უსუსურობას გრძნობდა. ბოლოს თავი ასწია, თვალები იგუანასავით დაახამხამა და ოფიცრებს მიმართა, ახლა ყველაზე მეტად გვჭირდება ერთიანობა, ერთმანეთის მხარში დგომა, საქმე ეხება სამშობლოს ბედს და არმიის ღირსებას, მოუხმეთ გონიერებას, პირნათლად შეასრულეთ თქვენზე დაკისრებული მოვალეობა, იპოვეთ თავდასხმის მოთავეები და გადაეცით სამხედრო ტრიბუნალს. ამის სათქმელად გიხმეთ, სენიორებო, დაასრულა მან სხდომა. დარწმუნებით იცოდა, თავდასხმის მოთავე თუ ყველა არა, ერთ-ერთი ამათგანი მაინც იყო. შიგ გულში დაჭრილი იმასაც ხვდებოდა, ლეტისია ნასარენოს სიცოცხლე ღმერთის კი არა, მის ხელში იყო, მის გონიერებაზე იყო დამოკიდებული. როგორმე უნდა ააცილოს ცოლს საფრთხე, თუმცა წინათგრძნობაც ჰქონდა, ადრე თუ გვიან ეს მოხდებოდა. წყეულიმც იყვნენ ყველანი. ლეტისიას აუკრძალა საქველმოქმედო ღონისძიებებზე მონაწილეობა, მისი ხარბი ნათესავები აიძულა დროზე გასცლოდნენ აქაურობას, ეს კი სამხედროებისთვის შეღ-

ავათიანი დახმარებების აღდგენას ნიშნავდა. ნათესავებიდან ვინც ცოტა საზრიანობით გამოირჩეოდა, კონსულებად გაამწესა. ყველაზე თავგასულები და სინდისგარეცხილები ბაზრობის ტერიტორიაზე ველურ ბუჩქებში გაჭრილ არხებში ტივტივებდნენ. დიდი ხნის არყოფნის შემდეგ იგი მოულოდნელად გამოცხადდა მინისტრთა საბჭოს სხდომაზე და თავისი აქამდე ცარიელი სავარძელი დაიკავა. მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, სასულიერო პირებს ცხვირი არ ჩაეყოთ სახელმწიფო საქმეებში. ამას შენთვის ვაკეთებ, ლეტისია, მტრებისგან მინდა გიხსნა. მერე კვლავ შევკრიბა ოფიცრები, კვლავ ჩაუტარა ზონდირება და საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ამათგან შვიდი ოფიცერი მის მიმართ ლოიალურად იყო განწყობილი, რაც შეეხება თავდაცვის მინისტრს, ის ძველი მეგობარია და სიავეს არ ჩაიდენს. საეჭვო რჩებოდა ექვსი სამხედრო მეთაური, უსასრულო ღამეების ექვსი გამოცანა. კომმარული წინათგრძნობით შეპყრობილი ცხადად ხედავდა, ლეტისიას სიკვდილის ბეჭედი აჯდა. ეჩვენებოდა, მიუხედავად სიფრთხილისა, ვითომ თვალწინ უკლავდნენ. მის საჭმელს პირველად სხვას ასინჯვინებდნენ, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც პურში თევზის ფხა ნახეს. ყოველდღე ამოწმებდნენ ჰაერს ლეტისიას ოთახში, მწერების საწინააღმდეგო აეროზოლს სხვა სასიკვდილო შხამიც ხომ არ აქვს შერეულიო. ბებერი ქმარი შიშით იზაფრებოდა, სადილობისას ცოლს ფერმკრთალს რომ ხედავდა, შიშით იზაფრებოდა, როცა სასიყვარულო სარეცელზე ლეტისიას ხმა უწყდებოდა. როცა წყალს სვამდა, მაშინაც სულ იმის ფიქრში იყო, ვაითუ ყვითელი ციებ-ცხელების მიკრობებია შერეულიო, ან ვაითუ თვალის წვეთებში ნამალევად აჯასპია დამატებულიო. ასეთი შავბნელი ფიქრებით თავგასიებულს დღეცა და ღამეც გამწარებული ჰქონდა. ღამით რამდენჯერ წამოუგდია ფეხზე კომმარულ მოჩვენებებს, აგერ სულ ახლა ინდიელი ჯადოქრების მიერ გათვალული ლეტისია სისხლისაგან იცლებოდა. კაცი ღამის ჭკუაზე შეშალა ამდენმა წარმოსახვითმა თუ რეალურმა საფრთხემ, რომელიც ლეტისიას ემოქრებოდა. სასახლიდან ფეხი არ გაადგა გარეთ და თუ გაადგამ, ღონიერი, მხეცი გვარდიელები იახლეო, უჩინინებდა ცოლს. გვარდიელებს უფლება მისცა, გაუფრთხილებლად ესროლათ ყველასთვის, ვინც კი ოდნავ მაინც საეჭვოდ მოეჩვენებოდათ. ქალბატონი მაინც გადიოდა, ჩემო გენერალო. ბერიკაცი კი ამ დროს იდგა ფანჯარასთან და ხედავდა, როგორ ჯდებოდა მისი ცოლ-შვილი ახალ ჯავშნიან მანქანაში. ყველანაირად ცდილობდა განეგდო აკვიატებული წინათგრძნობა, ემშვიდობებოდა მათ ხელის უცნაური მოძრაობით, ბუტბუტებდა, დედაჩემო, ბენდისიონ აღვარადო, შენ უშველე მათ, შენ ააშორე ტყვია მის მკერდს, შენ დაიცავი იგი საწამლავისაგან. აფორიაქებული ელოდა ბაზრ-

იდან ცოლ-შვილის დაბრუნებას. მხოლოდ მაშინ მშვიდდებოდა, როცა დე არმას მოედნიდან მის ყურთასმენას სწვდებოდა ლეტისიას ესკორტის გაბმული სირენები. ვიდრე ლეტისია და ბავშვი არ გამოჩნდებოდნენ პატიოში შუქურის შუქით განათებულნი, ალელვებული სცემდა ბოლთას. ლეტისია ბრუნდებოდა ბედნიერი და ავზნებული, ხმაზეც ეტყობოდა კმაყოფილება, დროგამოშვებით ეხმიანებოდა ჯარისკაცებს, რომლებსაც ინდაურები, ენვიგადლოური ორქიდეები და საშობაო ფერადი ნათურები გადმოჰქონდათ მანქანებიდან. ქუჩები უკვე მოერთოთ ტრანსპარანტებითა და ფერადი ნათურებით. ბებერმა პრეზიდენტმა ბრძანა, ადრე დაეწყოთ ქალაქის საშობაოდ მორთვა. ამ გზით ცდილობდა სულში ჩაბუდებული ფორიაქის შენიღბვას. ლეტისიას კიბეზე ხვდებოდა, უხაროდა, ცოცხალს რომ ხედავდა. უხაროდა, ნაფტალინიდან ახლად ამოღებული მელიის კუდების სუნს, ცოლის ოფლის მჟავე სუნსა და მისი გათხელებული თმის სუნს რომ ისუნთქავდა. ხელს აშველებდა, საძინებელში შეჰქონდა მორიგი ნადავლი, მაგრამ აკვიატებული შავბნელი ფიქრი ერთი წამითაც არ ტოვებდა, გრძობდა, მის ბედნიერებას დიდი დღე არ ეწერა, გრძობდა, განწირული იყო. ნეტავ სულაც არ ეგემნა ბედნიერება. რაც უფრო ცდილობდა უბედურების აცილებას, მით უფრო ძლიერ იპყრობდა სასოწარკვეთილება, დღითი დღე ემატებოდა იმის რწმენა, რომ ამაო იყო მისი ლოცვები, ყოველი დღე აახლოვებდა იმ საბედისწერო ოთხშაბათ დღესთან, როცა ლეტისიას გამო ამდენი შიშისა და ძრწოლის შემდეგ ბოლოს და ბოლოს დაეუფლებოდა უცნაური სიმშვიდე. ჯანდაბას, მოხდეს რაც მოსახდენია, რაც უფრო ჩქარა მოხდება, მით უკეთესია. ვერც მოასწრო სრულად გაეცნობიერებინა ამ სიტყვების მნიშვნელობა, რომ იგი მაშინვე აუხდა. თითქოს ებრძანებინოს, კაბინეტში ორი ადიუტანტი შევარდა. ლეტისია ნასარენო და ბიჭი გაავებულმა ძაღლებმა დაგლიჯეს ბაზარში, ცოცხლად შეჭამეს, ჩემო გენერალო, უბრალო ქუჩის ძაღლები არ გეგონოთ, ყვითელთვალება, მგელიჭამია, დაბალბეწვიანი ძაღლები იყვნენ. ვიღაცამ მიუსია ლეტისიას მელიის საყელოზე. სამოცი ძაღლი მაინც იქნებოდა, ჩემო გენერალო, ყველა ერთნაირი, აზრზე მოსვლა ვერც კი მოვასწარით, ისე გადმოახტნენ ბოსტნეულის დახლებს და ეცნენ დედა-შვილს. სროლა ვერ მოვახერხეთ. ჩემო გენერალო, გვეშინოდა, ქალსა და ბავშვს არ მოხვედროდა. საშინელი სანახავი იყო ეს სისხლიანი შეტაკება, ძაღლების გორგალში წამით გაიფლავებდა ხოლმე ხან ლეტისიას, ხანაც ბიჭის მავედრებელი ხელი. სულ მალე კი ხორცის ნაფლეთებად ქცეულებს ხარბად სასსლავდნენ ძაღლები. ეს საზარელი სურათი აუარება ხალხის თვალწინ მოხდა. ზოგი სახეს ხელებში მალავდა საშინელების დანახვაზე. ზოგი სიხარულს ვერ

მაღავდა, ვილაც ღვთისნიერი ტიროდა, ხოლო როცა ყველაფერი დამთავრდა, დავინახეთ ლეტისია ნასარენოს ფეტრის იეზით მორთული ქუდი. სისხლით მოთხვრილი მემწვანილები კერპებივით გაქვავებულები ისხდნენ და უხმოდ ბუტბუტებდნენ, ღმერთო მაღალო, ეს არ მოხდებოდა, გენერალს რომ არ ნდომოდა ან სულაც, არ სცოდნოდაო. სირცხვილი პრეზიდენტის გვარდიას, ძვლების გადარჩენა შეძლო მხოლოდ. ჩემო გენერალო, აი, კიდევ ეს ვნახეთ, ბიჭის მედლები უფორჩებო ხმალიც. ლეტისია ნასარენოს ცალი ფეხსაცმელი ვაცმა არ იცის, როგორ აღმოჩნდა ბაზრიდან მთელი მილის დაშორებით, ზღვის უბეში ტივტივებდა. ვიპოვეთ ფერადი შუშის მძივები და მაქმანიანი ქისა. ეს ყველაფერი მოგიტანეთ, ჩემო გენერალო, აი, კიდევ სამი გასაღები, გაშავებული ოქროს საქორწილო ბეჭედი და ორმოცდაათი სენტავო, თუ არ შეწუხდებით, დაითვალეთ, სხვა არაფერი დარჩენილა მათგან, ჩემო გენერალო. მისთვის მართლაც სულერთი იქნებოდა, რა დარჩებოდა მათგან, წინასწარ რომ სცოდნოდა, რომ სულ რაღაც ერთ-ორ წელიწადში სრულიად გადაივიწყებდა ამ საბედისწერო ოთხშაბათ დღეს მომხდარ საზარელ ამბავს მაგრამ ახლა რისხვისაგან ტიროდა, მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს, ეზოში ჯაჭვებზე დაბმული ვაციჭამია ძაღლების ყეფა არ აძინებდა. ვერ გადაეწყვიტა, როგორ დაესაჯა ისინი. რომ დახოცოს, ეს უკვე ლეტისიას და ბიჭის მეორე სიკვდილი იქნებოდა, რადგან ისინი ამ ძაღლების მუცელში განისვენებდნენ ჯერაც. ბრძანა, ბაზარი სხვაგან გადაეტანათ და მის ადგილას მაგნოლიების ბალი გაეშენებინათ, შუაგულში შუქურაზე მაღალი და შუქურაზე უფრო მანათობელი მარმარილოს ჯვარი აღემართათ, რათა მომავალ თაობებსაც სცოდნოდათ, ვინ იყო ეს ისტორიული ქალი, მაგრამ ეს ისტორიული ქალი მან უფრო ადრე დაივიწყა, ვიდრე ძეგლს დაანგრევდნენ. ღამით ააფეთქეს და გულთან არც არავის მიუტანია ეს ამბავი. მაგნოლიები ღორებმა გადაჭამეს, ბალის ადგილას მყრალი გუბე გაჩნდა. მას აღარასოდეს უნახავს ეს ადგილი არა იმიტომ რომ პირად მძლოლს მუდამ ახსენებდა, ძველ ბაზარს გვერდი აუარე, თუნდაც დედამიწის შემოვლა დაგვჭირდესო, არამედ იმიტომაც, რომ ქალაქში აღარ გამოჩენილა მას შემდეგ, რაც მთელი სამინისტროები მზიანი მინის შენობაში გადააბარგა. თვითონ სასახლეში დარჩა ორიოდ მოახლესთან ერთად, სასახლე სასახლეს აღარ ჰგავდა, მისი ბრძანებით ყველაფერი გაანადგურეს, თუკი სადმე იყო დარჩენილი ლეტისია ნასარენოს დედოფლური მოთხოვნილებების სულ მცირე ნაკვალევიც კი. უაზროდ დაბორიანობდა მარტოობაში, ცარიელ დერეფნებსა და ოთახებში, დროდადრო უმნიშვნელო დავალებებს აძლევდა სამხედრო ჩინოსნებს, დროდადრო მინისტრთა საბჭოს სხდომებსაც ესწრებოდა, განსაკუთრ-

ებით მაშინ, როცა რაიმე მნიშვნელოვანი საკითხი წყდებოდა და პრეზიდენტის აზრს დიდი უპირატესობა ენიჭებოდა. დროდადრო მასპინძლობაც უწევდა არასასურველი სტუმრისა, ელჩ უილსონისა. მოკალათდებოდა ეს უცხოელი ელჩი სეიბას ჩრდილში სავარძელში და ფეხს არ იცვლიდა გვიანობამდე, ბალტიმორული კანფერენტებით უქონავდა თავს, შიშველი ქალების სურათებიან ჟურნალებს სჩრიდა ხელში. თან ცდილობდა დაეყოლიებინა, საგარეო ვალების შემცირების სანაცვლოდ დაეთმო ტერიტორიული წყლები. ბებერი მასპინძელი ლაპარაკში არ ერეოდა, მოსმენითაც მხოლოდ იმას ისმენდა, რაც სარფიანი იყო მისთვის. როცა ელჩი მეტისმეტად გაუტევედა, საერთოდ ტოვებდა ყურს მიღმა მის რატრატს და სამაგიეროდ სიამოვნებით უსმენდა გოგონების სიმღერას მწვანე ლიმონზე შემომჯდარ ფერად სამოთხის ჩიტუნიანზე, რომელიც მახლობელი ქალთა სკოლიდან აღწევდა მის ყურთასმენამდე. კარგა მოსალამოვებულზე ელჩი როგორღაც მოიფიქრებდა ხოლმე წასვლას, ისიც ალაცყამდე აცილებდა და როგორც ყოველ სტუმრობაზე, ახლაც არწმუნებდა, პატივცემულო ელჩო, რაც გინდათ მთხოვეთ, ოღონდ ზღვას თავი დაანებეთ. თქვენ რომ ზღვა მოგცეთ, მერე მე რა ვქნა, ფანჯრიდან რაღას ვუყურო, ამოდენა სახლში რა ვაკეთო. ხომ გავვიჟდი, ხვალ რომ ვერ ვიხილო ჩამავალ მზის შუქზე აღმოდებული ჭაობივით ზღვა. როგორ ვიცხოვრო დამსხვრეულ ფანჯრებში ღმუილით შემოჭრილი დეკემბრის ქარების გარეშე, შუქურას მწვანე ციალის გარეშე, მე ხომ ჩემი ნისლიანი ზეგანი იმიტომ დავტოვე და ციებაშეყრილი და სიცხიანი იმიტომ გადავეშვი სამოქალაქო ომის ქარცეცხლში, რომ ზღვა მენახა. ტყუილებს წერენ ჩემი ბიოგრაფები, პატრიოტული გრძნობები ჰქონდა მოჭარბებულადო, არც ავანტიურის გამო ვიბრძოდი, როგორც ირწმუნებიან ზოგ-ზოგნი და მით უმეტეს, არც ფედერაციის იდეები მაწუხებდა, ნათელი დაადგეთ დალუპულებს იქ, სადაც არიან — ზღვა მინდოდა მენახა, მორჩა და გათავდა, სხვა ყველაფერი ფეხებზე მკიდია, ასე რომ, ჩემო ძვირფასო უილსონ, სჯობს სხვა რამე მთხოვოთ. სტუმრის წასვლის შემდეგ კარგა ხანს დაბორილობდა თავის საბრძანებელში, შუქს ანთებდა გამოცარიელებულ ოდინდელ კაბინეტებში. ერთხელაც გზააბნეულ ძროხას წააწყდა დერეფანში, კიბისკენ უბიძგა, ძროხასაც ფეხები გაებლანდა დაძონძილ ფარდაგში და მთელი სიმძიმით დაასკდა ქვემო სართულზე იატაკს. თავგაჩეხილი პირუტყვის დანახვამდე დამშეული კეთროვნები აუწერელი სიხარულის ყიჟინით წამოცვივდნენ, ეძგერნენ, დაუწყეს ძიძგნა და თქვლეფა. ლეტისია ნასარენოს იმქვეყნად წაბრძანების შემდეგ სასახლეში კვლავ დაბრუნდნენ კეთროვნები, უსინათლოები, ხეიბრები, კვლავ გაველურებულ ვარდის ბუჩქებში დასახლდნენ, კვლავ მისი ხელით ნაწყა-

ლობევი მარილით მკურნალობდნენ. ვარსკვლავიან ღამეებში მათთან ერთად მღეროდა ძველ, კეთილმოსაგონარ დროინდელ სიმღერას, სუსანა, მოდი ჩემთან, სუსანა. საღამოს ხუთ საათზე ბელლის სარკმელთან მოკალათებული შესცქეროდა სკოლიდან დაბრუნებულ თეთრ წინსაფრებსა და ლურჯ გოლფებში გამოწყობილ ნაწნავიან გოგონებს. ავხორცულად ჟინმორეული უხმობდა თავისთან. გისოსიდან ხელთათმანს გვიქნევდა, გვეძახდა, გოგონი, გოგონი, მოდი აქ, ხელი შეგახო, ვნახო, რა გაქვს. გოგონები შეშინებული გარბოდნენ, ის კი გულდაწყვეტილი ფიქრობდა, ო, დედაჩემო, ბენდისიონ ალვარადო, რომ იცოდე, რა ნორჩები არიან ახლანდელი გოგონები. საკუთარ თავს დასცინოდა, ნეტავ რისი მაქნისი შენა ხარო, მაგრამ როცა პირადმა ექიმმა, ჯანდაცვის მინისტრმა — ვისაც თითქმის ყოველდღე იწვევდა სადილზე — გადაწყვიტა მხოლოდ თვალების ბადურაში ჩახედვასა და პულისის დათვლას აღარ დასჯერებოდა და მოხუცისათვის გულმავიწყობის საწინააღმდეგო წამალი გამოეწერა, გაუბრაზდა, გინდათ მესხიერების სადინარები ამომიქოლოთ, ვერ მოგართვით ექიმო, ხომ არ გინდათ, იქით გიკრათ თავი, საიდანაც გამოძვერით. ვის უნახავს მე და კოვზით დასალევი წამალი, ცხოვრებაში ერთხელ გავხდი ავად ციებით და ისიც ომის დროს. ამ შემთხვევის მერე მარტო სადილობდა ხოლმე ქვეყნიერებისგან განდგომილი და ბურგმექცეული. დიდად განათლებულმა ელჩმა მეირილენდმა ერთხელ შეჰბედა მისთვის მიენიშნებინა, როგორ სადილობდნენ მაროკოელი მეფეები და ისიც მათსავით ცდილობდა თავაწეული და მხრებში გამართული მჯდარიყო სუფრასთან და დანა-ჩანგლით მიერთმია სადილი. ნასადილევს გადამალული თაფლის ძებნას იწყებდა. ერთ-ორ სამალავს რომ იპოვიდა, მალე ავიწყდებოდა და ისევ ეძებდა. თაფლის ძებნაში კედლის ხვრელებში შეჩურთულ სიგარეტივით დახვეულ ქაღალდებს პოულობდა. ოდესღაც, ძალიან დიდი ხნის წინათ, სხვა ეპოქაში, საკანცელარიო დავთრის ფურცლებს ბოლებად აჭრიდა კიდეებს და წერდა იმას, რის გახსენებაც დღეს, ამდენი უსასრულო წლის მერე, უსათუოდ გაუჭირდებოდა. ხვალ სამშაბათია, ეწერა ერთ ქაღალდზე. შენს თეთრ ცხვირსახოცზე წითელი ძაფით არის ამოქარგული ინიციალი, მაგრამ ის შენი არ არის, ჩემო მბრძანებელო, ამოიკითხა მეორეზე. ვერც ეს ჩანაწერები ახსენებდა რამეს, გაკვირვებული კითხულობდა სხვა ჩანაწერებს. ჩემი სულის ლეტისია ნასარენო, ნეტავ განახა უშენოდ რა დღეში ვარ. ეს სახელი თითქმის ყველა წერილში ხვდებოდა, მაგრამ ვერაფრით გაეხსენებია ვინ უნდა ყოფილიყო ის უბედური კაცი, ამდენი დაწერილი ნაღველი რომ დაეტოვებინა ქაღალდზე. კი მაგრამ, ეს ხომ ჩემს ნაწერსა ჰგავს, ეშმაკმა დალახვროს, ნამდვილად ჩემი დაწერილია, ცაცია კაცის ნაწ-

ერია, იმ შორეულ ხანაში საკუთარი თავის დასამშვიდებლად საკუთარივე წარწერებით რომ ამშვენებდა ფეხსალაგის კედლებს. გაუმარჯოს გენერალს. აღარაფრად მიაჩნდა, რომ გამოეყენდა, რომ სახმელეთო, საზღვაო თუ საავიაციო ჯარების უჩინო სამხედრო პირებიც კი მასხრად იგდებდნენ, რომ ცრემლად იღვრებოდა ვიღაც მონაზვნის გამო, ვისიც მხოლოდ ფანქრით ნაწერი სახელი დარჩა ქალაქის ზოლზე. აღარ ახსოვდა, რა იყო იმ საბედისწერო ოთხშაბათამდე და შემდეგაც, როცა ადიუტანტებმა მაგიდაზე დაულაგეს ლეტისიასა და ბიჭის ნივთები. ხელი არაფრისთვის უხლია, ცდილობდა თვალი აერიდებინა მაგიდაზე დაყრილი ნივთებისათვის. ეს ფეხსაცმელი წაიღეთ, ეს მედლებიც, არაფერი დატოვოთ, მომაშორეთ ყველაფერი, რაც მიცვალებულებს მომაგონებს. მაშინვე გააქანეს ლეტისიას საძინებელში, სადაც ოდესღაც ჭკუისშემშლელი ვნებიანი სიესტები მეფობდა. დაგმანეთ ყველა კარი და ფანჯარა, ფეხი არავინ შედგას იქ ჩემი ბრძანებითაც კი. ამის მერე კარგა ხანს ითმენდა ეზოში ჯაჭვებით დაბმული ქოფაკების ყეფას. ლამის კრუნჩხვა ემართებოდა, მაგრამ წამებით მაინც ვერ აწამა თავისი გამაუბედურებლები, ჩემს მიცვალებულებს უფრო მეტ ტკივილს მივაყენებო. ჰამაკში პოულობდა სიმშვიდეს, ცდილობდა ჩაეხშორისხვა, იცოდა, ის ძაღლები მისი სისხლისა და ხორცის პირდაპირი მკვლელები იყვნენ, მაგრამ მოთმინებით იტანდა მათ ყოფნას ეზოში. ბოლმა ახრჩობდა, შეურაცხყოფილად და დამცირებულად გრძნობდა თავს, ძველებური ძალაუფლება აღარ ეპყრა ხელთ, კისერი მოეგრინა თავისი დამაქცევრებისთვის. დაკრძალვის ცერემონიალი არ მოუწყვია, სამძიმარზე მოსვლა ყველას აუკრძალა, საყოველთაო გლოვის დღე არ გამოუცხადებია, იწვა ჰამაკში უზარმაზარი სეიბის ჩრდილში და ელოდა რაღაცას, ელოდა თავის საათს. სწორედ სეიბის ჩრდილში მოინახულა იგი ერთადერთმა შემორჩენილმა მეგობარმა და გადასცა სამხედრო ჩინოსანთა დანაბარები, ჩვენმა ხალხმა ღირსეულად გადაიტანა ეს ტრაგედია, ვამაყობთ მათი თავდაჭერილობით, ქვეყანაში სიმშვიდე და წესრიგიაო. ბერიკაცმა ჩაიღიმა, სისულელეს ლაპარაკობ, მეგობარო, ხალხი ოდნავადაც არ აუღელვებია ამ საშინელებას, გულთან არავის მიუტანია ეს ამბავი, სწორედ ამიტომ არის წესრიგი და სიმშვიდე. გაზეთებს ჩაკირკიტებით კითხულობდა მარცხნიდან მარჯვნივ და პირიქითაც, იქნებ მთავრობის პრესცენტრის ოფიციალური განცხადებების გარდა რაღაც უფრო მნიშვნელოვანს წავაწყდეთ. ბრძანა, რადიომიმღებები ახლოს დამიდგით, არაფერი გამომეპაროსო და მართლაც, როგორც იქნა, დადგა მისი საათიც. ყველა რადიოსადგური ვერაკრუსიდან მოყოლებული ვიდრე რიობამბამდე გადასცემდნენ უახლეს ცნობებს, ეროვნული უშიშროების სამსახურებმა ლეტისია

ნასარენოზე განხორციელებული თავდასხმის ორგანიზატორების კვალს მიაგნესო. აბა, რა გეგონათ, ტარანტულას ნაშიერებო, ბუტბუტებდა ძალამოცემული მოხუცი. რადიოში ქაქანებდნენ, ეს ორგანიზატორები გარეუბანში ერთ-ერთ საროსკიპოში ამოხოცეს ნაღმტყორცნებითო. აი, ასე, ამოიხვნეშა მან. საბრალო ხალხი. და მაინც ჰამაკვი იწვა სრულიად უგრძობელი, ძნელი ამოსაცნობი იყო, რა ჰქონდა ჩაფიქრებული. დედაჩემო, ბენდისიონ აღვარადო, მაცოცხლე კიდევ ცოტა ხანს, რათა შური ვიძიო, შემომამშველე ხელი, დედა, მომეცი ძალა. ისე იყო დარწმუნებული, რომ დედამისმა გაიგონა, შეისმინა მისი მუდარა, რომ როდესაც საზოგადოებრივი წესრიგისა და ეროვნული უშიშროების ოფიცრები ეახლნენ და მოახსენეს, თავდასხმის სამი მოთავე მოკლულია შეტაკების დროს და ორიც შევიპყართ და სან ხერონიმოს ციხეში არიანო, ყველამ დაინახა, რა ღირსეული თავდაჭერილობით შეხვდა იგი ამ ამბავს, როგორ ცდილობდა თავისი ტკივილი დაეფარა, თავისი უბედურებით არავინ შეეწუხებინა, მხოლოდ აჰა თქვა, ჰამაკვიდან წამოდგა, იქვე მდგარ სურას დასწვდა და მარჯვე მშვილდოსნის ხელით ჭიქებში ჩამოგვისხა ხილის წვენი. ასეთი ბრძენი, ასეთი გულთბილი და ყურადღებიანი ის არასოდეს ყოფილა. თითქოს ჩემს გულში იჯდა, სიგარეტის მოწვეის უფლება მომცა. წარმოუდგენელი ამბავი იყო, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს სიგარეტის მოწვეის უფლება ჯერ არავისთვის მიუცია. ამ ხის ძირში ყველანი ერთნი ვართო, თქვა მან და გასაოცარი სიმშვიდით მოისმინა ყველაფერი ბაზარში მომხდარი საზარელი დანაშაულის თაობაზე. შოტლანდიიდან ჩამოუყვანიათ ოთხმოცდაორი მონადირე ძაღლი, ოცდაორი დახოცილა, დანარჩენი სამოცი საგანგებოდ გაუწვრთნია ასევე საგანგებოდ ჩამოყვანილ შოტლანდიელ მწვრთნელს, მართო ლეტისიას მელიის საყელოზე კი არ დაუგეშავს, ლეტისიაზეც და, თქვენ წარმოიდგინეთ, ჩემო გენერალო, ბიჭზეც. ძაღლებს აყნოსვინებდა სასახლის სამრეცხაოდან მოპარულ ლეტისიას საცვლებს, აი, ამ კორსეტს, ცხვირსახოცს, წინდებს, აგერ კიდევ ბიჭის მუნდირს. პრეზიდენტს წინ დაგულაგეთ ეს ნივთები ამოსაცნობად. მან არც კი დახედა, თქვა აჰა და კვლავ სმენად იქცა. ჩვენც გავუტიეთ, ეს ძაღლები ისე იყვნენ გაწვრთნილები, უდროოდ დროსა და უადგილო ადგილას ერთს არ დაყეფავდნენ. მიაჩვიეს ადამიანის ხორცის ჭამას, ჩაკეტილი ჰყავდათ სიბნელეში, ერთიორი წელი დაჰყავდათ ქალაქგარეთ მიგდებულ ჩინურ ფერმაში, სადაც ლეტისია ნასარენოსა და ბიჭის ფიტულები ჰქონიათ მათივე ტანსაცმლით შემოსილი. ასწავლიდნენ, როგორ ეცნოთ დედა-შვილი სახეზე. პირდაპირ ცხვირ-პირში სჩრიდნენ მათ ფოტოებსა და საგაზეთო სურათებს. პრეზიდენტს საგანგებოდ შედგენილი ალბომი გადავუშალეთ,

რათა თავად დარწმუნებულიყო და შეეფასებინა კიდევ ჩვენი მონდომებული მუშაობა და იმ ნაძირალების გველადუობაც. ჩემო გენერალო, ყველა თავის საქმეს აკეთებს. პრეზიდენტს ალბომისთვის არც შეუხედავს, მხოლოდ აჰა თქვა. ჩვენ ისევ გავუტიეთ, შეთქმულები, რასაკვირველია, დამოუკიდებლად არ მოქმედებდნენ, ისინი საიდუმლო ორგანიზაციის აგენტები აღმოჩნდნენ, მათი ცენტრი საზღვარგარეთაა. აი, მათი ემბლემა, ბატის ფრთა და ხანჯალი. პრეზიდენტმა კვლავ აჰა თქვა. ჩვენ ვუთხარით, ეჭვი არ არის, შეთქმულები დიდი ხანია ემალებიან მართლმსაჯულებას, მათ ადრეც აქვთ ჩადენილი არაერთი ანტისახელმწიფოებრივი დანაშაული. ამის დასტურად წინ დავუდეთ პოლიციიდან წამოღებული ალბომი, რომელშიც ყელზე ნომერჩამოკიდებული სამი მოკლული კაცის სურათი იყო ჩაკრული. აი, ეს ორი კი ცოცხლად შევიპყარით და საკნებში ელოდებიან ჩემი გენერლის საბოლოო სიტყვას. ესენი არიან ძმები მაურისიო და გუმარო პონსე დე ლეონები, ოცდარვა და ოცდასამი წლის ახალგაზრდები. პირველი დემერტირია, ჯარი მიუტოვებია, უსაქმურია და უსახლკარო. მეორე ძმა კერამიკის საქმეს ასწავლიდა ხელოვნების სკოლაში. ამ კაცს ძაღლები მუდამ კუდის ქიციანით ებლანდებოდნენ ფეხებში, თითქოს ეუბნებოდნენ, შენი ერთგულნი ვართო. ეს კი მის მიერ ჩადენილი დანაშაულის მამხილებელ საბუთს წარმოადგენს. გენერალმა ისევ აჰა თქვა, მაგრამ შემდეგ ქებით მოიხსენია ის სამი ოფიცერი, ვინც ამ საქმეს იძიებდა და სამშობლოს წინაშე მხედრული მოვალეობის პირნათლად შესრულებისთვის მედლებითაც დააჯილდოვა. საკუთრივ გადასცა მათ ეს ჯილდო და დაჯილდოვების საზეიმო ცერემონიალზევე მოაწყო სამხედრო-საველე სასამართლო, რომელმაც ძმებს მაურისიო და გუმარო პონსო დე ლეონებს სასიკვდილო განაჩენი, დახვრეტა გამოუტანა. განაჩენი მოყვანილ უნდა იქნეს სისრულეში გამოცხადებიდან ორმოცდარვა საათის განმავლობაში, თუ, რა თქმა უნდა, თქვენი უდიდებულესობა არ შეიწყალებს სიკვდილმისჯილებს. მთელი ეს ორმოცდარვა საათი სრულიად მარტომ გაატარა თავის ჰამაკში. თუმცა ქვეყნის ყველა კუთხიდან თხოვდნენ ძმების შეწყალებას, მას არაფრის გაგონება არ სურდა. რადიოში უსმენდა უაზრო ლაყობას ერთიანობაზე, უსმენდა მეზობელ ქვეყნებში როგორ ლანძღავდნენ და აგინებდნენ მას, ზოგან კი მხარს უჭერდნენ. ყურადღებით მოუსმინა იმ მინისტრებს, რომლებიც დიდი მოკრძალებით თხოვდნენ დამნაშავეთა შეწყალებას და იმათაც, ვინც ხმამაღლა მოითხოვდა გადამჭრელი ზომების მიღებას დამნაშავეობის აღსაკვეთად. მან პაპის ნუნცს უარი უთხრა მიღებაზე. ნუნცს პაპის წერილი უნდა გადაეცა მისთვის. წერილში მისი უწმინდესობა შეშფოთებას გამოთქვამდა ორი გზარეული ცხვრის ბედის გამო. პრეზიდენტმა

მდუმარედ მოისმინა ცნობა იმის თაობაზე, რომ მთელი ქვეყანა გაოგნებული და აღელვებულია მისი დუმილით. ასევე მდუმარედ უსმენდა იგი შორეულ სროლებს, ხმა არც მაშინ ამოუღია, როცა აფეთქების ტალღამ მიწა შეაზანზარა. გაურკვეველ ვითარებაში აფეთქდა პორტში რეიდზე მდგარი სამხედრო გემი. ჩემო გენერალო, თერთმეტი ვაცია დაღუპული, ოთხმოცდაორიც დაშავებული. გემიც აღარ არის. გასაგებია, თქვა მან და საძინებლის ფანჯრიდან გახედა ზღვის უბეში აგიბგიბებულ ღამეულ კოცონს. სან ხერონიმოს ბაზაზე უკანასკნელად ღამდებოდა განაჩენის აღსრულების მომლოდინე ორი სიკვდილმისჯილი ძმისთვის. პრეზიდენტს ძმების სურათი აჩვენეს. ძალიან ჰგავდნენ ერთმანეთს, განსაკუთრებით წარბებით. ზუსტად ასეთნი წარმოუდგნენ თვალწინ. წარმოიდგინა სიკვდილმისჯილთა განათებული საკანი, შეშინებული, მარტოსული, განწირული ძმები მკერდზე დაკიდებული ნომრიანი დაფებით. გრძნობდა, მათი იმედიანი ფიქრები მისკენ იყო მიმართული, შესთხოვდნენ პატიებას, მაგრამ არავინ იცოდა, თავად პრეზიდენტი რას გადაწყვეტდა. სამუშაო დღე ჩვეულებრივად ჩაათავა, გამოემშვიდობა ოფიცერს, რომელიც მისი საძინებლის კართან ყოველი შემთხვევისთვის მორიგეობდა. ხომ შეიძლება პრეზიდენტმა რაიმე გადაწყვეტილება მიიღოს, ვილაცამ ხომ უნდა შეატყობინოს სადაც ჯერ არს თუნდაც მამლის ყივილამდე. ღამე მშვიდობისა, ვაპიტანო. კედელზე განუყრელი ლამპა დაკიდა, კარი სამ გასაღებზე, სამ ჯაჭვზე, სამ ურდულზე ჩაკეტა და იატაკზე პირქვე დაეგდო. ძილ-ღვიძილში გაცრეცილი ფარდის მიღმა სადღაც შორიდან ესმოდა აფორიაქებული ძაღლების ყეფა, სანიტარული მანქანების სირენები და რომელიღაც საეჭვო დღესასწაულზე პეტარდების ტკაცატკუცში არეული მუსიკის ხმები. სქელ ნისლში ჩაძირული ქალაქი კი მკაცრი განაჩენის აღსრულების მოლოდინში შეძრწუნებული გაყუჩულიყო. შუაღამისას ბარების რეკვამ გამოაღვიძა. ერთ საათში ისევ გამოეღვიძა. ღამის სამ საათზეც ფანჯრის მინებსა და ცხაურებზე უცნაურმა ფხაჭუნმა ისევ გამოაღვიძა. ტანში ჟრუანტელმა დაუარა, იატაკიდან მძიმედ წამოდგა ხარივით, ზუსტად ისე, დრუნჩზე დორბლდაკიდულ ჯერ გავას რომ აზიდავს მალლა, მერე წინა ფეხებს დაეყრდნობა და ზღაბვნით წამოიძარათება. მორიგე ოფიცერს უბრძანა, ეს ძაღლები მოაშორეთ აქაურობას, სადაც გინდათ წაიყვანეთ, ოღონდ მათი ყეფა აღარ გავიგონო. არ დახოცოთ, მთავრობის ხარჯზე ამყოფეთ მანამდე, სანამ თავიანთი სიკვდილით არ მოკვდებიან. ეს ერთი. ახლა მეორე. გაათავისუფლეთ ის გვარდიელები, ლეტისიასა და ბიჭს რომ ახლდნენ ბაზარში იმ საბედისწერო დღეს. და ბოლოს, ძმები მაურისიო და გუმარო პონსე დე ლეონები ჩემი უმაღლესი გადაწყვეტილებითა და შეუვალობით ახლავე დაისაჯონ, მა-

გრამ არა დახვრეტით, როგორც აქამდე იყო განაჩენი გამოტანილი, არამედ გამოაბით ოთხ ცხენს და ტყავის გაძრობამდე ათრიეთ. მართლაც, ცხენებმა ძმები ნაკუწებად აქციეს, მერე ეს ნაკუწები გამოფინეს ამ უკიდევანო ნალვლიანი სამეფოს ყველა კუთხეში საყოველთაო დაშინების მიზნით. საბრალო ბიჭები, ბუტბუტებდა ის და დაჭრილი სპილოსავით დაათრევდა უზარმაზარ ფეხებს. დედაჩემო, ბენდისიონ ალვარადო, მაპოვნივე კაცი, ვინც მომეხმარება შური ვიძიო უდანაშაულო სისხლის დაღვრისათვის. სხვა საფიქრალი აღარაფერი ჰქონდა, დილიდან დილამდე ფიქრობდა ისეთ კაცზე, ვისაც ადამიანთა ამოცნობის ზებუნებრივი უნარი ექნებოდა. შურისძიებით შეპყრობილი მალულად ეძებდა ასეთ პიროვნებას, ცდილობდა ამოეცნო იგი, თვალეში დაჟინებით აშტერდებოდა მოსაუბრეს, ხმის ჟღერადობას აყურადებდა, გულის კარნახსაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, ეძებდა, ეძებდა და ის იყო მისი პოვნის ყოველგვარი იმედი გადაეწურა, რომ მოულოდნელად თავად გამოეცხადა ეს კაცი. რაღაც საოცარი ხიბლი ჰქონდა მოსულს. დედა, ასეთი დახვეწილი პიროვნება ჯერ არ უხილავთ ჩემს თვალებს. გოდოები რომ იცვამდნენ ძველად, ისე ეცვა. ჰენრი პულის დროინდელ ფრაკის ღილკილოში გარდენია ჰქონდა ჩამაგრებული, ვერცხლისფრად მოლივლივე ფარჩის ჟილეტი ეცვა. ევროპის გამორჩეულ არისტოკრატულ სალონებში სტუმრობდა თურმე თავის ხბოსტოლა, ბრაზიან დობერმანთან ერთად, რომელსაც ადამიანის თვალეში ჰქონდა. ჰოდა, სწორედ ეს კაცი გამოეცხადა პრეზიდენტს. თქვენი მონა-მორჩილი ხოსე იგნასიო საენს დე ლა ბარა გახლავართ, თქვენო უდიდებულესობავ. ის იყო უკანასკნელი შთამომავალი ჩვენი არისტოკრატიისა, რომელიც მშობლიურ მიწას მოსწყვიტა ფედერალისტ კაუდილიოების მიერ დატრიალებულმა ქარბორბალამ თავისი ამბიციურ დიდებულებიანად, მელანქოლიურ მამულებიანად და ფრანგულ აქცენტეიანად. ის იყო თავისი რასის დიდებული წარმომადგენელი, რომელსაც არაფერი ებადა საკუთარი ასაკის — ოცდაათორმეტი წლისა გახლდათ — შვიდი ენის ცოდნისა და სროლაში შეჯიბრისას დოვილში მიღებული ოთხი პრიზისა. საშუალო სიმაღლის კარგი აღნაგობის ყმაწვილკაცს ფოლადისფერი კანი და მეტისის შუაზე გადაყოფილი შავი თმა ჰქონდა. თმაზე ლამაზად აჩნდა ფერფლისფრად შეღებილი ვიწრო ბოლი. ტუჩ-პირზე მტკიცე ნებისყოფა ეხატა, თვალეში გამჭოლი ჰქონდა, უყვარდა ფერადი ფოტოსურათის გადაღება, ფოტოაპარატის წინ პოზირება სალონურ გობელენებზე აღბეჭდილი გაზაფხულის პეიზაჟის იდილიურ ფონზე. განსაკუთრებით თავისი ალუბლის ხის ხელჯოხიო უყვარდა პოზირება, თითქოს კრიკეტს თამაშობსო. პრეზიდენტმა შვებით ამოისუნთქა, ეს არის, სწორედ ამას ვეძებდი. ახალმოსულმა თავი-

სი პირობები მოახსენა, გადმომირიცხავთ რვაას ორმოცდაათ პესოს, მხოლოდ თქვენი უდიდებულესობის განკარგულებაში ვიქნები და შესაბამისად, ვალდებულებას ვიღებ, მხოლოდ თქვენ ჩაგაბაროთ ანგარიში. პირობას გაძლევთ, ორ წელიწადში მოგართმევთ ლეტისია ნასარენოსა და თქვენი შვილის მკვლელთა თავებს. თანახმა ვარ. ამ კაცს რომ ნამდვილად გააჩნდა უყოყმანო, სწრაფი მოქმედების უნარი, ბებერი გენერალი არაერთხელ დარწმუნდა, გამოსაცდელად რაღაც რაღაცებს ავალებდა, სურდა მისი სულის ლაბირინთებში შეეღწია, ბოლომდე დარწმუნებულიყო მისი ნების, ხასიათის სიმტკიცეში. ბოლო გამოცდა დომინოს სამკვდრო-სასიცოცხლო თამაშისას ჩაუტარა. მისდა გასაოცრად, ხოსე იგნასიო საენს დე ლა ბარამ წინასწარ შეუთანხმებლად მოუგო რამდენიმე პარტია. ასეთი გულადი კაცი ჯერ არ შემხვედრია, დედა, საოცარი ვინმეა, მომთმენი, ბევრი რამ ეხერხება, ყავის მოდუღების სამოცდათორმეტი წესი იცის, მოლუსკებს სქესით ცნობს, შეუძლია დიდხანს გაგისწოროს თვალი და სიტყვა არ დაცდეს. ასეთ დროს არ ვიცი ხოლმე სად წავიდე, როგორ ავარიდო თავი მის აუღელვებელ მზერას. ისეთი ნატიფი მოძრაობით ხმარობს თავის ხელჯოხს, ვიბნევი. ნეკზე ნამდვილი ალმასი უბრწყინავს, ვიბნევი მაშინაც, როცა პატრონის ფერხითთ გაწოლილ უზარმაზარ ავ ქოფაკს ვხედავ. ეს ცოცხალი ხავერდის საბურველი დროდადრო თრთის და ხტის. ამ საოცრად ლამაზ და ამავდროულად მაღალი სულის კაცის წინაშე უხერხულად ვგრძნობ თავს. ათასნაირი ნელსაცხებლის სურნელი ასდის, მისი სხეული არც ალერსს უფრთხის და არც სიკვდილს. ერთხელ მან კრძალვით შემომბედა, სულ არ ჰგავხართ სამხედრო პირს, უმაღლესმა იდეალებმა გიკარნახეს თქვენ ეს პროფესია. რა გესაქმებათ სამხედროებთან, ისინი ძალზე მარტივნი და ამბიციურნი არიან, მათთვის მთავარია მბრძანებლობა და არა ძალაუფლება, გენერალო, ისინი ემსახურებიან არა რაღაცას, არამედ ვიღაცას, ამიტომაც იმართებიან ადვილად, განსაკუთრებით მაშინ, თუ ერთმანეთს მიუსევთ. გამელიმა, გუნებაში კი გავივლე, ალბათ გამიძნელდება, ამ თვალისმომჭრელ ახალგაზრდა კაცს — ვისაც იმდენი უფლება მივანიჭე, რამდენიც არავისთვის მიმინიჭებია მთელი ჩემი მმართველობის მანძილზე, თუ არ ჩავთვლით ჩემს ძვირფას მეგობარს როდრიგო დე აგილარს, ღმერთმა გაანათლოს მისი სული — დავეუმალო საკუთარი აზრები. და ხოსე იგნასიო საენს დე ლა ბარაც გახდა ბატონ-პატრონი საიდუმლო იმპერიისა მის იმპერიაში. ეს იყო რეპრესიებისა და განადგურების უხილავი სამსახური, არც ოფიციალური სახელწოდება გააჩნდა და არც განსაზღვრული ადგილმდებარეობა, ის იყო ყველგან და არსად, ის ჰგავდა რაღაც ირეალურს, მის ნამოქმედარზე არავინ აგებდა პასუხს, მაგრამ

არსებობით ნამდვილად არსებობდა, ჯოჯოხეთური ქიმიკა რეალობას წარმოადგენდა, ტერორით მანამდე დაიმორჩილა ქვეყნის სხვა სარეპრესიო ორგანოები, სანამ უმაღლესი სამხედრო ჩინოსნები ყურებს გამოიფხეკდნენ, იგრძნობოდა მისი გავლენა და უხილავი ყველგანყოფნა. ჩემო გენერალო, ვერც თქვენ განჭვრიტეთ, რა შეიძლებოდა მოჰყოლოდა ყოველივე ამას, თავს დაგვატყდა საშინელებათა მანქანა. მართლაც, ეჭვადაც არ გამივლია, რა განსაცდელში ვიგდებდი თავს, როცა ამ უფლისწულივით გამოპრანჭულ ვაციჭამიას გარეგნულ ხიბლს ვენდე და უყოყმანოდ დავეთანხმე მის მიერ შემოთავაზებულ ყველა პირობას. ერთხელაც ამ კონტაპრუქამ სასახლეში მოათრია რაღაცით სავსე ჯვალოს ტომარა, ქოქოსია და სადმე მოფარებულში მიავდეთ, ვინმე არ წამოედოს, თუნდაც იმ კედლის კარადაში შეინახეთ, სადაც მოძველებული გამოუსადეგარი არქივი ინახებაო. ტომარა კარადაში შეჩურთეს და არც აღარავის გახსენებია. სამი-ოთხი დღის მერე ისეთი სუნი დადგა, სუნთქვა გაძნელდა, გახრწნილი გვამის სიმყრალით გაიჟღინთა კედლები, სარკვეებზეც კი დაილექა. დავიწყეთ ძებნა, საიდან მოდიოდა ეს სუნი, სამზარეულოშიც შევედით, პირუტყვის სადგომშიც, კაბინეტებში კვამლიც კი ავახრჩოლეთ, სუნი კი გვიბიძგებდა სხდომათა დარბაზისკენ. ირგვლივ ყველაფერს ჩაკირვოდა დამპალი სუნი, ისეთ ხვრელებშიც შემძვრალიყო, აქამდე არავითარი სუნი რომ არ მიჰკარებია საერთოდ. სუნი კი არა, ქოლერის წლებში პატარა ნიავიც კი არ შეპარულა. სუნი საარქივო კარადიდან გამოდიოდა. ყარდა ჯვალოს ტომარა, რომელიც ხოსე იგნასიო საენს დე ლა ბარას თქმით, თითქოს ქოქოსით იყო სავსე, სინამდვილეში ეს იყო პრეზიდენტთან დადებული შეთანხმების პირველი შესრულებული პირობა, ექვსი მოკვეთილი თავი. თითოეულ თავზე მიემაგრებინა საბუთი მისი სულ ახლანდელი მფლობელის სიკვდილის მიზეზის თაობაზე. ტომარაში იდო ლამის ქვის ხანის თვალდაშრეტილი პატრიციუსის, დიდი ომის უკანასკნელი ვეტერანისა და რადიკალების პარტიის დამაარსებლის ოთხმოცდაათოთხმეტი წლის დონ ნეპომუსენო ესტრადას თავი. როგორც საბუთში იყო აღნიშნული, იგი გარდაცვლილა თოთხმეტ მაისს გულის უკმარისობით. აქვე იდო მისი შვილის ორმოცდაჩვიდმეტი წლის ექიმ-ჰომეოპათის ნეპომუსენო ესტრადა დე ლა ფუენტეს თავი. თუ საბუთს დავუჯერებთ, გულის შეტევით გარდაცვლილა იმ დღეს, რა დღესაც მამამისი. ოცდაერთი წლის სტუდენტი-ფიზიოლოგი ელიესერ ვასტორი გარდაცვლილია წვეტიანი საგნით თავში მიყენებული ჭრილობით სიმთვრალეში ჩხუბისას. ოცდათორმეტი წლის აქტიური იატაკქვეშელი ქალი ლიდისე სანტიაგო გარდაცვლილა კრიმინალური აბორტის შედეგად. საჰაერო ფერადი ბუშტების მწარმოებელი ოცდათვრამეტი წლის

როკე პინსონი, იგივე ხასინტო-უჩინმაჩინი, გარდაიცვალა ალკოჰოლური მოწამვლის შედეგად იმ დღეს, რა დღესაც ზემოთ ჩამოთვლილები. ოცდაათი წლის არალეგალური მოძრაობის – ჩვიდმეტი ოქტომბრის – ლიდერი, უილბლო სიყვარულის გამო მოიკლა თავი, პირში დაიხალა ტყვია. სულ ექვსი თავია, თქვენო აღმატებულებავ, ხელი მომიწერეთ ამ ქვითარზე. მანაც სიმყრალისა და საშინელების ხილვისაგან გულღვიძლამოტრიალებულმა სასწრაფოდ დაამოწმა საბუთი. ო, დედაჩემო, ბენდისიონ ალვარადო, ვინ იფიქრებდა, რომ ასეთი დახვეწილი გარეგნობისა და ღილკილოში ყვავილგაჩრილი კაცი ნამდვილი მხეცი იქნებოდა. ხმამაღლა კი წარმოთქვა, ნაჩო, მეტს ნულარ მოიტანთ ტასახოს, შემდეგში შეგიძლიათ მხოლოდ სიტყვიერად მომახსენოთ. მაგრამ საენს დე ლა ბარამ ფიცხლად იუარა, მე და თქვენ, გენერალო, კაცური პირობა მივეცით ერთმანეთს, თუკი თქვენ არ გყოფნით გულადობა, სიმართლეს შეხედოთ თვალებში, მაშინ დაიბრუნეთ თქვენი ოქრო და, რაზეა ლაპარაკი, მეგობრულად დაგშორდეთ ერთმანეთს. რა საშინელებაა, ამ კაცს შეუძლია საკუთარი დედაც მოკლას. ბებერმა გენერალმა ენას კბილი დააჭირა, მხოლოდ ეს უთხრა, კარგით, ნაჩო, ნუ ცხარობთ, აღასრულეთ თქვენი მოვალეობა. აღასრულეთო და, იმრავლა ქოქოსის კაკლით, ანუ მოკვეთილი თავებით სავსე ჯვალოს ტომრებმა. გულღვიძლამოტრიალებული პრეზიდენტიც სიკვდილის გამომწვევ მიზეზებზე შედგენილ საბუთებს ხელს აწერდა და მაშინვე ბრძანებასაც მიაყოლებდა ხოლმე, გაიტანეთ, მოაშორეთ ეს თავები აქაურობასო. ასე მოაწერა მან ხელი ცხრაას თვრამეტი მოკვეთილი თავის მიღება-ჩაბარების საბუთს. აბა, რა ეგონათ მის დაუძინებელ მტრებს. და სწორედ იმ ღამეს, როცა მოკვეთილი თავების რაოდენობამ ზემოხსენებულ რიცხვს მიაღწია, სიზმარი ნახა, ვითომ რომელიღაც ერთთითიანი საზარელი ცხოველი იყო და ცერა თითის ნაკვალევის კარგა გრძელ ხაზს ტოვებდა ახლად ცემენტმოსხმულ ვაკე ადგილზე. აფორიაქებულს გამოეღვიძა, პირში ნალველას მწარე გემოს გრძნობდა. იმ დღიდან ალიონის დადგომას შიშით დაზაფრული ხვდებოდა ფერმაში, თავისი მინავლებული მოგონებების ნეხვით ამოვსებული ორმოს პირას გულგასიებული ითვლიდა მოჭრილ თავებს. ბებრული განცდებით შეპყრობილი ვეღარ არჩევდა, ყურებში აბეზარი ციცინათელა ფაჩუნობდა თუ დამპალ ბალახში ჭიანჭველების ფუთფუთი ესმოდა. დედაჩემო, ბენდისიონ ალვარადო, რამდენი მტერი მყოლია, არადა, ნამდვილ დამნაშავეებს ჯერაც არ მივწვდომივარ. ხოსე იგნასიო საენს დე ლა ბარამ ბებერ გენერალს დაწვრილებით აუხსნა, რატომაც ჰყავდა ამდენი მტერი. ყოველი ექვსი მოჭრილი თავი სამოც მტერს გძენთ, სამოცი თავი ექვსასს, ექვსასი ათასს, ექვს მილიონს. კი

მაგრამ, ეშმაკმა დალახვროს, ეს ხომ მთელი ქვეყანაა, ასე ხომ ვერას-
ოდეს დავამთავრებთ. დამშვიდდით, გენერალო, დავამთავრებთ, რო-
ცა ისინი დამთავრდებიან. ღმერთო ჩემო, ნამდვილი ბარბაროსია.
ყოყმანი არ სჩვევია, ერთი მისხალითაც არ დაიხევს უკან, რასაც იტყვ-
ის, კიდევ შეასრულებს, ალტერნატივისთვის პატარა ხვრელსაც არ
ტოვებს, თვითონაც, თავის დობერმანთან ერთად, რაღაც მთლიანსა
და შეკრულს ჰგავს. ძალლი თავის პატრონს მუდამ თან ახლავს და მეტ
თავდაჯერებულობასაც ჰმატებს. მიუხედავად ბეხრეკი გენერლის სას-
ტიკი წინააღმდეგობისა, ძალლი ერთადერთი მოწმე იყო მათი საუბრ-
ების. ხოსე იგნასიო პირველად რომ გამოეცხადა კაბინეტში, რა თქმა
უნდა, ძალლიც თან ახლდა. ბეწვევებში ვერცხლისწყალივით უხტოდა
ყოველი ნერვი და კუნთი. გენერალმა უცხო სტუმარს ანიშნა, ძალლი
გარეთ დატოვეთო, მაგრამ საენს დე ლა ბარამ უპასუხა, არა, გენერა-
ლო, ექს შეუძლებელია. ამქვეყნად ჯერ არ მეგულება ისეთი ადგილი,
მე შევიდე, ლორდი კიოხელი კი არა. და შეიყვანა კიდევ ძალლი. ამის
მერეც ძალლი მუდამ თან ახლდა კაბინეტში შესვლისას და ვიდრე ის-
ინი მოკვეთილ თავებს ითვლიდნენ, ძალლი მშვიდად თვლემდა პატრ-
ონის ფერხით, მაგრამ საკმარისი იყო გენერალს ოდნავ აემძლეები-
ნა ხმა, რომ მაშინვე წამოიძარტებოდა მთელი სხეულით ზამბარასავ-
ით დაჭიმული. ძალლს საოცრად ქალური თვალები ჰქონდა, ადამიან-
ივით სუნთქავდა. მის გვერდით ფიქრის უნარს ვკარგავდი, ადგილს
ვერ ვპოულობდი. ერთხელ, როცა ტომარაში ჩემი ერთი ძველი ადიუ-
ტანტის თავს წავაწყდი, აღმოვთვებულმა მუშტი დავკარი მაგიდაზე, ძა-
ლლი დაიძაგრა, პირიდან ორთქლი გამოუშვა, საზარლად დაკრიჭა
კბილები და ჯარისკაცის კარდალასავით ათუხთუხდა. ეს ადიუტანტი
მისი ძველი და გამობრძმედილი პარტნიორი, შეიძლება ითქვას, მე-
გობარი იყო დომინოს თამაშისას და განა შეეძლო არ განრისხებული-
ყო. კმარა, ეშმაკმა დალახვროს, ყველაფერს თავისი საზღვარი აქვს,
მაგრამ საენს დე ლა ბარამ როგორც ყოველთვის ახლაც მოთოკა მისი
რისხვა მაგალითების მოშველიებით კი არა, უფრო ველური ძაღლების
მომთვინიერებლის ტკბილ-ტკბილი სიტყვებით. ძილი აღარ ჰქონდა და
მოსვენება, ლამის გულზე გამსკდარიყო. ნეტა რას ავიკიდე ეს საენს
დე ლა ბარა, თუ ვიღაც ოხერია, როგორ დამიმორჩილა. ამქვეყნად
ერთადერთი მოკვდავია, ვინც ბედავს და ხელისუფალს ვასალივით ექ-
ცევა. საკუთარ თავთან მარტო დარჩენილი ბებერი გენერალი ამ კაცის
საიდუმლო იმპერიას აუჯანყდა, როგორმე უნდა განთავისუფლდეს მო-
ნური მორჩილებისაგან, თორემ მერე გვიან იქნება, თავის ავტორიტე-
ტიანად ჩაუვარდება ხელში ამ ალქაჯს. ბენდისიონ ალვარადომ იმიტ-
ომ კი არ გამაჩინა ამქვეყნად, რომ მე მეუფროსებოდეს ვინმე, არამედ

იმიტომ, რომ მე ვუფროსობდე. მაგრამ საკმარისი იყო ხოსე იგნასიო საენს დე ლა ბარა კაბინეტში ხლებოდა ძალღოთან ერთად, რომ საცოდავი ბერიკაცის ღამინდელი გაწიწმამებაც და გულადობაც მაშინვე უკვალოდ გამქრალიყო. კვლავ მისი ნადავლი ხდებოდა, კვლავ ხიბლავდა მისი დახვეწილი ქცევა, ღილაკილოში გარტობილი ცოცხალი ყვავილი, მჟღერი ხმა, ლოსიონის სურნელი, გახამებული პერანგი, ზურმუხტის სამაჯურები და შთამბეჭდავი ხის ჯოხი. ასეთი საჭირო, მაგრამ ამავე დროს ასეთი საზიზღარი, კუშტი სილამაზის კაცი ჯერ არ შემხვედრია, გაიფიქრა მან, თქმით კი ხმამაღლა თქვა, კარგით, ნაჩო, განაგრძეთ თქვენი მოვალეობის შესრულება, და კვლავ მოჰქონდათ მოჭრილი თავებით სავსე ტომრები, კვლავაც ხელისმოწერით უდასტურებდა მიღება-ჩაბარების საბუთს. გრძნობდა, როგორ ითრევდა თავისკენ ძალაუფლების ქვიშა, როგორ ჩხვლეთდა იგი. უფსკრულში გადაჩეხილივით გრძნობდა სიცარიელეს ფეხქვეშ. დილაობით ზღვისკენ გაჭრილ ყოველ ფანჯარასთან დგებოდა და ერთსა და იგივეს ეკითხებოდა საკუთარ თავს, ნეტავ რა ხდება, უკვე თერთმეტი საათია და ამ ჩამკვდარებულ სახლში კაცის ჭაჭანება არ არის. არავინ ხართ მანდ, ყვიროდა იგი, მაგრამ ამოდ, მარტო იყო, სულ მარტო. სად ვარ, ვერ გამიგია, ის ფეხშიშველი დენშჩიკები მაინც რა იქნენ, დერეფნებში ბოსტნეულით, ქათმებითა და ხილით დატვირთულ კალათებს რომ ხსნიდნენ ვირებს ზურგიდან. სად არიან ჩემი ენაჭარტალა ქალები, ყოველ დილით რომ ცვლიდნენ ყვავილებს ლარნაკებში, ჩიტების გალიებს რომ ასუფთავებდნენ, აივნებზე ხალიჩებს ბერტყავდნენ და საბერტყის რიტმს აყოლილნი მღეროდნენ, სუსანა, მოდი ჩემთან, სუსანა, შენი სიყვარული მწყურიაო. სად არიან ჩემი უდღეური ნაშიერები, ლამის ყველა კარს უკან რომ ითავისუფლებდნენ კუჭს ან პირდაპირ სხდომათა დარბაზში შედიოდნენ მოსაშარდავად, მოიმარჯვებდნენ თავიანთ შლანგებს და შარდით კუზიან აქლემებს ხატავდნენ კედლებზე. სად გადაცვივდნენ ჩემი მყვირალა მოხელეები, საწერი მაგიდის უჯრებიდან კვერცხისმდებელ კრუხებს რომ უქმევდნენ წარამარა. ფეხსალაგებიდან რატომ აღარ ისმის ჩემი კახპებისა და ჯარისკაცების ხორხოცი, სად გაქრნენ ჩემი უჯიშო ძაღლები, ყეფა-ღრენით რომ ხვდებოდნენ დიპლომატებს, კიბიდან ვინ დააგორა ჩემი ისედაც დაფეხვილი ხეიბრები, ვარდის ბუჩქებიდან ვინ აჰყარა ჩემი კეთროვნები, ვინ გამიგდო გარეთ ერთგული მლიქვნელები. ძველი სამხედრო ჩინოსნებიდან აქამდე შემორჩენილ ერთ-ორ ოფიცერს ძლივს ცნობდა ყრუ კედელივით შემორტყმული თავისი ახლა უკვე ახალი დაცვის გვარდიელების მიღმა. ათასში ერთხელ მოწყალეობასავით გადმოუგდებდნენ სიტყვით გამოსვლის უფლებას ახალი მინისტრთა საბჭოს წინაშე, რომლის დანიშვნა-

დამტკიცება მისთვის არავის უკითხავს. ექვსივე მინისტრი მეცნიერება-
თა დოქტორი იყო. სამგლოვიარო სერთუკები და ქათქათა, გახამებუ-
ლი პერანგები ეცვათ. აზრის გამოთქმას არ აცლიდნენ, სახელმწიფოს
მართვას შენი რჩევა-დარიგების გარეშეც მოვახერხებთო. ბოლოს და
ბოლოს, მთავრობა მე ვარო, სცადა ათუხთუხება, მაგრამ საენს დე ლა
ბარამ შეაჩერა, მშვიდად აუხსნა, გენერალო, მთავრობა კი არა, ხელი-
სუფალი ხართო. სალამოობით დომინოს თამაშიც მოსწყინდა, რა ძლ-
იერი მოწინააღმდეგეც არ უნდა ჰყოლოდა, სულერთია, მაინც არ ეწ-
ერა თუნდაც ერთი პარტიის წაგება, სადილსაც საათობით ელოდებო-
და, ვიდრე მის საჭმელს სხვა არ გასინჯავდა და არ შეამოწმებდა, სუ-
ფრას ვერ მიუჯდებოდა. მისი სამალავებიდან ერთმანეთის მიყოლებით
ქრებოდა თათლიანი ქილები. საენს დე ლა ბარას შესჩიოდა, რა ხელი-
სუფალი მე ვარ, შევარცხვინე ასეთი ხელისუფალიო. ის კი პასუხობდა,
როცა სხვა არ არის, გენერალო, მაშინ რაც არის, ის არისო. ცხოვრება
იმ სასახლეში, რომელიც ოდესღაც საკვირაო ბაზარივით აყაყანებულ
სამოთხეს ჰგავდა, რა ხანია ლეთარგიულ ძილს მისცემოდა და, რაც
მთავარია, თავად მას, ბებერ გენერალს, აქ აღარაფერი ესაქმებოდა,
მხოლოდ ეს იყო, მოუთმენლად ელოდებოდა ოთხშაბათ დღეს, რათა
მოკალათებულიყო რადიომიმღებთან და უიღბლო სიყვარულზე დაწე-
რილი რადიოპიესის გაგრძელება მოესმინა. იწვა ჰამაკში, ხელში ჩა-
ებღუჯა ჯერაც პირდაუკარებელი ხილის წვენით სავსე ჭიქა და სმენა-
დქცეულსა და თვალცრემლიანს მხოლოდ ერთი ფიქრი აწვალებდა,
კვდება თუ არ კვდება პიესის მთავარი გმირი ყმაწვილი ქალიო. ხოსე
იგნასიომ გაიკითხ-გამოიკითხა პიესის შინაარსის თაობაზე და ამბავი
მოუტანა, კვდებო. არ მოკვდესო, ბრძანა მან, იცოცხლოს, გათხოვდ-
ეს, შვილები გააჩინოს, სიბერემდე მიაღწიოსო. ხოსე იგნასიომაც ბრ-
ძანა, გადაეკეთებინათ პიესა, რათა გენერალი საკუთარი ძალაუფლ-
ების ილუზიით დამტკბარიყო. ამის მერე არც ერთი რადიოგმირი არ
მომკვდარა მისი ნებართვის გარეშე. ქალ-ვაჟები, რომელთაც არ უყვა-
რდათ ერთმანეთი, მისი ნება-სურვილით ქორწინდებოდნენ. პიესის
წინა თავებში გარდაცვლილები მომდევნო თავებში ცოცხლდებოდნენ,
უარყოფითი გმირები დროულად ისჯებოდნენ, დადებითი გმირები კი
ბერიკატის განკარგულებით ბედნიერები იყვნენ სიკვდილამდე. ერთი
სიტყვით, მისი აზრით, საქმეს აკეთებდა ვითომ, ცხოვრებას რალაციით
ივსებდა, კარგა ხანი იყო, საქმე აღარაფერი ჰქონდა, სალამოობით, სა-
ათის ფოლადივით ბარი რვაჯერ რომ ჩამოჰკრავდა და ისიც ანთებული
ლამპით ხელში თავის სამფლობელოს შემოივლიდა, მისდა გასაოცრ-
ად, ძროხები დაბინავებული ხვდებოდა და გვარდიელთა ოთახი ჩაბნე-
ლებული. მოახლეებს ეძინათ, სამზარეულო წკრიალებდა, იატაკი

მორეცხილი იყო, ხორცის დასაჭრელი მაგიდაც ისე საგულდაგულოდ გაეწმინდათ, სისხლის კვალი არსად აჩნდა. ვიღაცამ, ეტყობა, კარგად იცოდა მისი ხასიათი, დარაბებიც მიეხურა და კაბინეტებიც ჩაეკეტა, თუმცა როგორ და რა გზით, საკვირველია, გასაღებები ხომ მას ჰქონდა, მხოლოდ მას და სხვას არავის. ვესტიბულიდან საძინებელი ოთახისკენ მიმავალი ხელის გაწვდენას ვერ ასწრებდა ჩამრთველისკენ, რომ შუქი მანამდე ქრებოდა. მონარქის მძიმე ფეხებით მიფლატუნობდა საძინებელში, თავის ორეულს ვეღარ ხედავდა ჩალუსკუმებულ სარკეებში. უკან მიითრევდა შავხავერდგადაკრულ ოქროს დეზებს, რათა არავის შეემჩნია მისი ვარსკვლავური ბრჭყვიალა კვალი. ფანჯრებთან გავლისას ოცდასამჯერ შეავლო თვალი კარიბის ზღვას და ოცდასამჯერვე ზღვა იყო ისეთი, როგორიც უნდა ყოფილიყო იანვარში — გადამწვანებული ჭაობი. თავის საძინებელამდე გზად ბენდისიონ ალვარადოს ოთახშიც შედიოდა ხოლმე. ოთახში მიყრილ-მოყრილი მკვდარი ჩიტების გალიებს თვლა არ ჰქონდა, იქ ისევ იდგა ქოთნის მარამბო, ისევ იდგა ტკივილიანი საწოლი, რომელზეც სამშობლოს დედა ცოცხლად ლპებოდა და რომელზეც დალია კიდეც სული. ღამე მშვიდობისა, დედა, წაიხურჩულა მან, მაგრამ უკვე რამდენი წელია აღარავინ პასუხობს, ღამე მშვიდობისა, შვილო, ღმერთი ფარავდეს შენს ძილს. თავის საძინებლისკენ გასწია, დერეფანში გზას იმ ღამპით ინათებდა, კართან რომ კიდებდა ხოლმე ყოველი შემთხვევისთვის. უცებ მთელს ტანში ჟრუანტელმა დაუარა, სიბნელეში ნაკვერჩხლებივით გიზგიზებდნენ ლორდ კიოხელის თვალები, მამაკაცის სუნამოს კეთილსურნელებაც ეცა ცხვირში, იგრძნო მისი დამთრგუნველი ძლიერება, სიძულვილიც. ვინ არის აქ, იკითხა მან, თუმცა მშვენივრად იცოდა ვინც იყო. საზეიმოდ გამოწყობილი ხოსე იგნასიო საენს დე ლა ბარა სასახლეში მობრძანებულიყო, რათა ბებერი პრეზიდენტისთვის შეეხსენებინა უბრწყინვალესი ისტორიული თარიღი — თორმეტი აგვისტოს ღამე. ჩემო გენერალო, ზუსტად ასი წელი შესრულდა, რაც თქვენ მობრძანდით ქვეყნის სათავეში. თითქმის ყველა კუთხიდან გვეწვივნენ სტუმრები, დიდებული დღესასწაული გველოდება, მთელი ქვეყანა ბეიმობს ამ თარიღს, თქვენ რაღას უცდით. მაგრამ ბებერმა გენერალმა ცივი წყალი გადაასხა ხოსე იგნასიოს, სულაც არ მიზიდავს, ეს ღირსშესანიშნავი ღამე ტაშის გრიალსა და ჩემიანების მგზნებარე სიყვარულით გარემოცულმა გავატარო. ჩვეულებრივზე ადრე ჩაიკეტა სამ გასაღებზე, სამ ურდულზე და სამ ჯაჭვზე მისთვის განკუთვნილ საკანივით ოთახში. ტანგაუხდელად დაეგდო ქვის იატაკზე. ტილოს უნიშნო უნიფორმა ეცვა, მარცხენა ფეხზე, ქუსლთან, ოქროს დეზი ჰქონდა მიმაგრებული. ხელისგულები ბალიშივით დაიდო, შიგ სახე ჩარგო და გაიყინა

კიდევ ამ თავის მარადიულ პოზაში. სწორედ ასე წავაწყდით მაშინ ორბების მიერ დაკორტნილსა და მწერებითა და ზღვის მცენარეებით დაფარულს. თვალეებზე აკრული უძილობის ბინდს მიღმა ესმოდა სადღესასწაულო სალუტის შორეული ქუხილი, მხიარული მუსიკა, ზარების გუგუნე, ესმოდა, უსასრულო ნაკადად მომსკდარ ადამიანთა ნაბიჯების ხმა, ესმოდა ლამის ცამდე აწვდილი სადიდებელი სიმღერა, რომელიც მას არ ეკუთვნოდა, ეს ყველაფერი ესმოდა და არაფერს ნაღვლობდა, უფრო უკვირდა, დედაჩემო, ჩემი ცხოვრების ბენდისიონ ალვარადო, ასე წელიწადი გასულა მას შემდეგ, ეშმაკმა დალახვროს, რა სწრაფად გადის დრო.

*

ამგვარად, ის იქ იყო, ნამდვილად ის იყო და არა მისი ორეული. იწვა სასტუმრო დარბაზში, საბანკეტო მაგიდაზე, გარდაცვლილი პაპივით მორთულ-მოკაბმული და დიდებული. დანახვა რომ შეძლებოდა, ალბათ თვითონაც ვერ იცნობდა ყვავილებში ჩაფლულ საკუთარ თავს, ე. ი. იმას, ერთხელ რომ მოკვდა უკვე და ისიც მაგიდაზე რომ ესვენა. მკვდარი უფრო მრისხანე ჩანდა, ვიდრე სიცოცხლეში იყო. ხელზე ბამბით გამოტენილი აბრეშუმის ხელთათმანი წამოეცვათ, მკერდზე შოკოლადის ომებში ვითომდა გამარჯვებისთვის მიღებული — ასე ეუბნებოდნენ მას თავისი უსირცხვილო ლაქიები — უამრავი ჩინ-მედალი დაეხვავებინათ. ჭყეტელა მუნდირი და პრიალა კრაგები ეცვა, ცალ ფეხზე ოქროს დები ჰქონდა მიმაგრებული, სამყაროს გენერლის სამხრეებზე მწუხარებას დაებინდა ათი მზე. ეს სახელი სასწრაფოდ მიანიჭეს უკანასკნელ წამს, რათა თვით სიკვდილიც კი ვერ მიწვდენოდა მის სიმაღლეს. არადა, მიცვალებული რომ ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი იყო, ამას ყველა ხედავდა და დაჯერებითაც ყველამ დაიჯერა უკვე, რომ ის სინამდვილეში არსებობდა, თუმცა სანთლის შუქზე ლოყებშევარდისფერებული ეს ქვეყნის დასანახად გამოდგმული მიცვალებული ნაკლებად ჰგავდა ხალხის წარმოსახვაში არსებულ ხელისუფალს. ამასობაში მთავრობის სხდომაზე გაუთავებლად ვკამათობდით ოფიციალურად გამოსაცხადებელი ბიულეტენების თაობაზე, ჩავკირკიტებდით, ვწონიდით თითოეულ სიტყვას, რა გვეთქვა, როგორ გვეთქვა ის, რაც თვითონაც არ გვჯეროდა. ვიდრე მთავრობა ასეთ დღეში იყო, ქალაქი სამხედრო მანქანების გუგუნმა გამოაღვიძა. მანქანები იარაღით იყო სავსე, ყვებოდა ერთი ქალი, ჯარისკაცებმა სამთავრობო დაწესებულებები დილაადრიაწვე მოაქციეს ალყაში. ავტომატმომარჯვე-

ბულები ზოგი სავაჭრო ქუჩის თაღქვეშ აეკრა კედელს, ზოგი მიწაზე გაწვა. ჩემი თვალით დავინახე ვიცე-მეფეთა კვარტლის შენობების სახურავებზე დადგმული ქვემეხები. აივნის კარი გამოვადე, მინდოდა ჩემს პატიოში ახლად მოწყვეტილი, ჯერ კიდევ ნამიანი მიხაკები სადმე დამეწყო, რომ გარკვევით მომესმა შეძახილები და ჩექმების ბრაგაბრუგი. პატრული ლეიტენანტის მეთაურობით ხან ერთ სახლს მიადგებოდა და კარზე აკაკუნებდა, ხან მეორე სახლს, მაღაზიის მეპატრონეებსაც აფრთხილებდნენ, დღეს ეროვნული დღესასწაულია და მაღაზიებს ნუ გააღებთ, ბრძანება გვაქვს ზემოდან მიღებულიო. ლეიტენანტს მიხაკი გადავუგდე და ვკითხე, რა ხდება, ამდენი ჯარისკაცი და ასეთი ხმაური რატომაა-მეთქი ქუჩებში. ლეიტენანტმა ყვავილი ჰაერშივე დაიჭირა და მხრები აიჩჩა, ჩვენც არ ვიცით, ქალიშვილოო. მერე თვალი ჩამიკრა და გაიცინა, იქნებ სულაც მიცვალებული აღსდგა მკვდრეთით. ჩვენთვის ამ სიტყვებში არც არაფერი იყო გასაკვირი, პირიქით, გასაკვირი ის იქნებოდა, რომ გამოეცხადებინათ, მისი მიწიერი ცხოვრება დამთავრდაო. ჩვენ ხომ გულუბრყვილოდ გვჯეროდა მისი უკვდავება, ჩვენ ხომ არაერთხელ დავიჯერეთ მისი მკვდრეთით აღდგომა. ჰოდა, ახლაც დავიჯერეთ, რომ საქვეყნო საქმეებისგან ამდენი წლის განდგომის შემდეგ მან კვლავ აიღო ხელში სახელმწიფოს მართვის სადავეები. ამბობდნენ, წინანდელზე მეტად გამოცოცხლებული ჩანს და ყოჩაღდაც დადის თავისი უზარმაზარი ცრუ მონარქის ფეხებითო. სასახლეში კვლავინდებურად ანათებდნენ ნაცნობი მრგვალი ბურთები. ჩვენი ვარაუდით, თუ არა მას, მაშ, ვის უნდა გამოედევნა სასახლიდან ის ძროხები, ახლა რომ დე არმას მოედანზე ზანტად წიწკნიდნენ ფილებშორის ამოწვერილ ბალახს. თუნდაც აი, აგერ, მოედანზევე, მომაკვდავი პალმის ჩრდილში მოკალათებული უსინათლო კაცი რატომ წაიკითხავდა ლექსს სიკვდილის დამმარცხებელ რაინდზე, რომელიც შორეთიდან დაბრუნებულიყო შინ. საცოდავ ბრმა კაცს პირუტყვის ფლოქვების ხათქახუთქი ჯარისკაცების ჩექმებისა ეგონა და ძროხებისკენ ხელგამვერილი მთელ ხმაზე გაჰყვიროდა ლექსს, ძროხები კი ამ დროს არხეინად მიირთმევდნენ ბალზამინის ფოთოლებს, გირლანდებად რომ შემოხვეოდნენ სასახლის ფლიგელს – დამსხვრეულ, ქვაში ნაკვეთ მუზების საუფლოს. საჭმლის ძებნაში სასახლის კიბებზე ასვლა-ჩასვლას მიჩვეულ ძროხებს, ეტყობა, მოეწონათ აქაურობა და დაიდეს კიდევ სადგომი კამელიების გვირგვინით თავშემკობილი ქვის მუზებისა და მაიმუნებჩამოკონწიალებული ქვის ლირების გვერდით, ოდესღაც ასე რიგად რომ ამშვენებდნენ ან დანგრეულ ეროვნული თეატრის შენობას. წყურვილისაგან ხახვამომშრალი პირუტყვი ვიცე-მეფეთა კვარტალის სახლებში თავხედურად შედიოდნენ, სადარბაზოების გრილი სი-

ბნელიდან პატიოში გადიოდნენ და ხარბად ეწაფებოდნენ გუბეებს. ებოდან მათი გამგდები არავინ იყო. ვინ გაბედავდა. პრეზიდენტის დამლაძროხებს გავაგზე ედოთ, ხარებს — ქედზე. ვაგლახად ხელს ვერავინ დააკარებდა მათ, ჯარისკაცებიც კი ერიდებოდნენ და გზას უთმობდნენ არცთუ ისე ვიწრო სავაჭრო ქუჩაზე, რომელმაც კარგა ხანია დაკარგა თავისი ოდინდელი ზეიმურობა და დროთა განმავლობაში გადაიქცა გატეხილი მალევივით გამოშვერილი რანჰოუტების, ქანდარებისა და ანძების გროვად. სწორედ აქ, სადაც ოდესღაც ჯერ კიდევ გვექონდა ზღვა და ნავეებიც ისე ახლოს მოდიოდნენ ნაპირთან, რომ ლამის ბოსტნეულით დახვავებულ დახლებს შორის მიიკვლევდნენ გზას, ახლა მყრალი გუბელა დარჩენილიყო. ყარდა ცარიელი ფარდულებიც, სადაც მისი პრეზიდენტობის ადრეულ ხანაში ინდუსთა სახელგანთქმული ბაზარი ფუთფუთებდა. მაგრამ ინდუსები წავიდნენ და წავიდნენ ისე, მადლობაც კი არ უთქვამთ თქვენთვის, ჩემო გენერალო. მანაც ბებრული სიფიცხით დაადევნა მიმავლებს, ჯანდაბაში წასულხართ, ოხრებო, მიდით, შეუძვერით ინგლისელებს, გამოწმინდეთ ტრაკი. მაგრამ ამოდ დაშვრა, ინდუსებს ეს სიტყვები არ გაუგონიათ. მათ ნაცვლად ბაზარში გამოჩნდნენ ინდიელთა ნახელავით მოვაჭრეები. ყიდდნენ თილისმებს, გველის ნაკბენზე წასასმელ მალამოს. აზიზიმებული დუქნების თხელი ტხრებით ერთმანეთისგან გამოყოფილ პატარ-პატარა ოთახებში ხრინწიანი პატეფონის თანხლებით დილიდან დილამდე ჭრიალებდნენ საწოლები. როგორც კი ტაძრის ზარებმა ქვეყანას ამცნეს გლოვის დაწყება, ჯარისკაცებმა მაშინვე თოფის კონდახებით დალეწეს იქაურობა. უნდა ითქვას, ეს იყო ნამდვილი გლოვა, მისმა სიკვდილმა, ასე დიდხანს და მოუთმენლად რომ ველოდით, ბევრ რამეზე აგვიხილა თვალი, უპირველეს ყოვლისა საკუთარი თავი დაგვანახა. იმდენჯერ დაირხა ხმა, მოკვდაო, იმდენჯერ ვიყავით ჩასაფრებული, ან ახლა ამოხდის სულს თავისი რომელიმე სნება ან ახლა-თქო, იმდენჯერ გადავიტანეთ მისი სიკვდილი, რომ ბოლოს და ბოლოს აღმოვაჩინეთ, რომ ამ უიმედოდ გაწელილ მოლოდინში თავად დავილიეთ. ახლაც არ დავვიჯერებია მისი სიკვდილი, იმიტომ კი არა, რომ უკვდავი გვეგონა, არამედ იმიტომ, რომ ისე შევეჩვიეთ ამ ყოფას, აღარც გვინდოდა მომკვდარიყო, ვერც წარმოგვედგინა, როგორ ვიქნებოდით უმისოდ. პირადად მე ცხოვრება ვერ წარმომედგინა იმ კაცის გარეშე, ვინც თორმეტი წლის გოგოს ისეთი ბედნიერება მომანიჭა, არც ერთ მამაკაცს რომ არ მოუნეტებია მერე და მერე. იგი მე ჯერ კიდევ იმ შორეული წლებიდან მახსოვს, როცა ფერმის სარკმლიდან ხარბად გვიცქეროდა სკოლიდან ზუსტად ხუთ საათზე გამოსულ მეზღვაურულ ცისფერ კაბებში გამოწყობილ ნაწნავიან გოგონებს და ჩურჩულებდა, დედაჩემო, ბენდი-

სიონ ალვარადო, ნეტავ განახა, რა ლამაზები არიან ეს უშობლებიო, თან თავისთან გვიხმობდა. ჩვენც ვხედავდით მის მშიერ თვალებს და დახეული ხელთათმანიდან გამოჩრილ თითებში მოქცეულ ლამაზ კოლოფს, რომელიც ელჩმა ბელდრიჩმა მოუტანა საჩუქრად და რომელსაც ახლა დროგამოშვებით ანჯღრევდა, შაქარყინულს აჩხაკუნებდა ჩვენ გასაგონად და მისაზიდად, ჩვენ კი შეშინებული გავრბოდით, მაგრამ ერთხელ, როცა ყველანი გაიქცნენ და მარტო დავრჩი ქუჩაში, როცა დავრწმუნდი არაავინ მიცქერდა, სარკმელს მივუახლოვდი და ის იყო ხელი გავიშვირე ჭყეტელა კოლოფისკენ, — ვერ დავმალავ, შაქარყინულის მაცდუნებელი ჩხაკუნი ჭერაც ყურში მედგა, — რომ მან თავისი ვეფხვივით ტორი ღონივრად და იმავდროულად ნაზად ჩამავლო ხელში და ფრთხილად, ისე რომ არაფერი დამშავებოდა, მსუბუქად ამწია მალლა და სარკმელში ისე გადამაძვრინა, ჩემი ფორმის კაბა არც დაკუჭულა. შარდის სუნად აქოთებულ თივაზე დამაწვინა, რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ ისე ცახცახებდა, ენას ვერ ძრავდა, გული ისე უცემდა, პერანგი აუღ-ჩაუდიოდა მკერდზე შეშინებულსა და ფერდაკარგულს თვალებში ცრემლი ედგა. ასეთი ცრემლი არც ერთი ჩემი მამაკაცის თვალებზე არ მინახავს, არც არაავინ შემხებია ასე ნაზად, აუჩქარებლად და მღუმარედ. ვგრძნობდი მის აცახცახებულ თითებში მოქცეული ძუძუს კერტები დასკდომაზე მქონდა, კოკრებივით მეფურჩქნებოდა. ხელს ნიფხვის ქვეშ ნაზად მიყოფდა, თითებს ყნოსავდა, მეც მაყნოსვინებდა, ეს შენი სუნიო, მეუბნებოდა. მერე და მერე ელჩ ბელდრიჩის კანფეტები აღარ დასჭირვებია ჩემს მისატყუებლად. უკანფეტოდაც კარგად გავრბოდი ფერმისკენ, პატარა სარკმელში თვითონ ვძვრებოდი, რათა კვლავ განმეცადა მომწიფებული ქალობის ბედნიერი წუთები ამ კეთილ, ღონიერ, ნაღვლიან ვაცთან. იგი თივაში მელოდებოდა ნაირ-ნაირი ნუგბარით სავსე თოფრაკით ხელში. სიგიჟემდე უყვარდა ჩემი სხეულის სუნი, საჭმელს იქ მტენიდა, მერე ჭამდა და მეც მაჭმევდა. გემრიელი ხარ, პორტის სუნი აგდის, ნეტავ შენი თირკმელები მაჭამა თავის ამონიაკიანად მოხარშული, შენივე თბილი შარდითა და ილღიების მარილიანი ოფლით შეზავებულიო. თავით ფეხებამდე ანაწილებდა ჩემს სხეულს, მკაზმავდა მარილით, წიწაკითა და დაფნის ფოთლით და მხარშავდა ვნების ნელ ცეცხლზე ყოველ საღამოს ჩვენი ეფემერული უმომავლო სიყვარულობანას თამაშისას. თავით ფეხებამდე მჭამდა ბერიკაცის მაღიანობით და სიხარბით. არ მახსოვს ჩემი სიყვარულის მაძიებელი რომელიმე მამაკაცი ასე მომქცეოდა. ყველანი სულსწრაფები და უგრძნობლები იყვნენ. ცოტა ხნით სულს რომ მოითქვამდა, ბერიკაცი ან საკუთარ თავზე მიაძობდა, ან აბეზარ ძროხებს ვიგერიებდით, ხაოიანი ენით გვლოკავდნენ ხოლმე. მეუბნებოდა, თვითონაც

არ ვიცი, ვინ ვარო, ყელში მაქვს ამოსული ჩემო გენერალო, ჩემო გენერალოო. ლაპარაკობდა მშვიდად, არ წუწუნებდა, არც თავს მაცოდებდა, თითქოს საკუთარ თავს ესაუბრებოდა სადღაც შიგნით ჩაბუდებულ მდუმარებაში. ერთი განწირული ყვირილი და ეს მდუმარება დაირღვეოდა, მაგრამ ხმა კვლავ გაუბზარავი ჰქონდა, თავშეკავებული ჩანდა. ჯერ არ შემხვედრია ასეთი ალერსიანი, ჭკვიანი და დატანჯული კაცი. სწორედ მაშინ, როცა იგი ჩემი ოცნების მამაკაცი, თოთხმეტი წლის გოგოს ოცნების მამაკაცი გახდა, ოჯახში ორი სამხედრო მაღალჩინოსანი გვესტუმრა ოქროს დუბლონებით გაძეძგილი ჩემოდნით ხელში. შუალამისას მთელი ოჯახი დაგვსხეს უცხოურ გემზე და გაგვამგზავრეს უკან დაუბრუნებლად. ასე იყო ნაბრძანები ზემოდან. რამდენიმე წელიწადი გავატარე უცხოეთში. ვიდრე მისი სიკვდილის ამბავმა არ მოაღწია ჩემამდე, ფეხი არ დამიდგამს მშობლიურ მიწაზე. ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, ვერც კი გაიგო რა უღიმღამო ცხოვრებით ვცხოვრობდი უმისოდ, როგორ ვიტანჯებოდი უმისოდ, მის ალერსს დანატრებული როგორ ვუწევებოდი პირველსავე შემხვედრ მამაკაცს, რათა შემედარებია მისთვის და ვრწმუნდებოდი კიდევ, რომ იგი უკეთესი იყო უკეთესთა შორის. ამიტომ ყველას ბურგს ვაქცევდი, მასთან შედარებით ყველანი საცოდავები მეჩვენებოდნენ. დაბერებული და ბევრი მშობიარობისაგან ჯანგატეხილი დავბრუნდი სამშობლოში. შვილი ბევრი მყავს, სხვადასხვა კაცებისგან. თავს ვიტყუებდი, მისი შვილები არიან-მეთქი. სინამდვილეში კი, რაც შეეხება ბერიკაცს, მან ეს გოგო, რაკი ფერმის სარკმელში აღარ შემძვრალა, მეორე დღესვე დაივიწყა. ახლა სხვა გოგოს დაადგა თვალი, და საერთოდაც, ყოველ საღამოს ახალ-ახალი გოგოები სტუმრობდნენ მასთან. იმ ხანებში მისთვის უკვე სულერთი იყო ყველა, ისედაც, ერთნაირ სასკოლო ფორმებში გამოწყობილ გოგონებს ხომ სულ ვერ არჩევდა ერთმანეთისგან. ენას უყოფდნენ და ბებერ ჩერჩეტს ეძახდნენ, როცა იგი ელჩ რიმპელმაიერის კანფეტებით ცდილობდა მათ მიტყუებას. სარკმლიდან რომ გადააძვრენდა, არც ეკითხებოდა, გუშინ შენ იყავი თუ სხვაო, მისთვის ყველა ერთი იყო. ჰამაკში ჩაწოლილს საამო მოთენთილობას ჰგვრიდა მოსწავლე გოგონების გახსენება. ფირფიტაზე ჩაწერილ ელჩ შტრიმბერგის გაუთავებელ ლაქლაქს კი ერთი ყურიდან მეორეში უშვებდა. ეს უზარმაზარი ელექტრული ხმის გამაძლიერებელი თავის ფირფიტიანად ელჩმა აჩუქა, რათა, სურდა თუ არ სურდა, გენერლისთვის ყოველ წამს შეეხსენებინა თავისი მთავრობის დაჟინებული მოთხოვნა, გადაუდებელი ვალების სანაცვლოდ დაეთმო ტერიტორიული წყლები. ისიც ჯიუტად პასუხობდა, მაგას ვერ ეღირსებით ძვირფასო სტივენსონ, ყველაფერს მოგცემთ, ზღვას კი მოეშვით, ტყუილად მთხოვთ. და სასწრაფოდ თიშავდა

გამაძლიერებელს. ყურები ატკინა ამ უსიამო რკინასავით მჟღერმა მონოტონურმა ხმამ, რომელიც მომაბეზრებელი სიჯიუტით ცდილობდა აეხსნა ბებერი გენერლისთვის ის, რაც მას კარგა ხნის წინ ძალზე გასაგებად და მიუკიბ-მოუკიბავად მოახსენეს საკუთარმა ექსპერტებმა. ჩემო გენერალო, ყველა რესურსი ამოწურულია. მან იცოდა, ხაზინა რომ ცარიელი იყო. იცოდა, ქვეყანა რომ ვალეებით ცხოვრობდა. კარგად ახსოვდა, პირველი პროცენტის სესხი დამოუკიდებლობისათვის ომების დროინდელი ვალის გასასტუმრებლად რომ აიღო. პროცენტს პროცენტი დაემატა და რაკი ფული არ ჰქონდა, რაღაცით მაინც ხომ უნდა გადაეხადა ვალი, როგორმე ხომ უნდა ჩაეწუმებინა მოძალეებულ კრედიტორები. ჩემო გენერალო, ჩვენ ბევრი რამ დავთმეთ ვალების სანაცვლოდ. ვაუჩუკისა და კაკაოს მონოპოლია ჰოლანდიელებს მივართვით, ზეგანელებისთვის რკინიგზის მშენებლობისა და საწყლოსნო გზების ექსპლუატაციის კონცესია გერმანელებს გადავაბარეთ, ყველაფერი უცხოელებს, გრინგოებს, ჩავუგდეთ ხელში, და თანაც ისე ფარულად, რომ კარგა ხანს მანაც არაფერი იცოდა ამის თაობაზე. მხოლოდ ხმაურიანი სკანდალისა და ხოსე იგნასიო საენს დე ლა ბარას საჯაროდ დასჯის შემდეგ გაიგო ყველაფერი. ჯოჯობეთის ცეცხლი და გენია ამ არაკაცს. სხვა გზა არ გვაქვს, გენერალო, უჩინებდა მას თითქმის ყველა ფინანსთა მინისტრი, დაწყებული იმ უმძიმესი წლებიდან, როცა სულთამხუთავ ჰამბურგელ ბანკირებს კომპრომისული მორატორიუმი წარუდგინა ვალის გადავადების თაობაზე, დამთავრებული დღევანდელ მინისტრამდე. გერმანელთა ესკადრონმაც არ დაახანა და ალყაში მოაქცია პორტი და, რაც მთავარია, ინგლისელთა ჯავშნოსანიც გამოჩნდა მოულოდნელად და გამაფრთხილებელი გასროლით ტაძრის გუმბათი დააზიანა. მაგრამ ბებერი გენერალი სულაც არ შეუშინებია ინგლისელების ქვემეხს. თავზე არ დავაჯვი ინგლისის მეფეს, სიკვდილი მიჩვენია ვიღაცის მორჩილებას. სიკვდილი კაიბერს, დაიღრიალა მან და ბოლო წუთში, როცა თითქოს დაღუპული იყო ქვეყნის საქმე, დახმარების ხელი გამოგვიწოდა მასავით დომინოს დიდმა მოყვარულმა ელჩმა ჩარლზ უ. თრეიქსლერმა. ჩემი მთავრობაო, მიმართა მან ჩვენს გენერალს, თქვენ მიერ აღებული ევროპული ვალდებულებების გარანტად დადგება, თუ ამის სანაცვლოდ მისცემთ თქვენი წიაღისეულით უვადო სარგებლობის უფლებასო. მათხოვრები გავხდით, ჩემო გენერალო, ნიფხავ-პერანგიც კი მაგათი გვაცვია, მაგრამ ამ სიტყვებს სულაც არ აუღელვებია ბერიკაცი. კიბემდე გააცილა ერთ-ერთი იმ ელჩთაგანი, დილის ხუთი საათიდან ლამის შუადღემდე სასახლის დერეფნებშიც კი ჯიუტად რომ არ ეშვებოდა. გამომშვიდობებისას მხარზე ხელი მოუთათუნა, არც გაიფიქრო, ჩემო ძვირფასო ბაქ-

სტერ, სიკვდილი მიჯობს უზღვობას. ბერიკაცს ყველაზე მეტად თრგუნა-
ავდა სასახლეში გამეფებული სამარისებური დუმილი, თითქოს წყალ-
ქვეშ ცხოვრობსო, კაცი არ ჭაჭანებდა ირგვლივ. ეს კი ოდესღაც მისი
რჩეულის წყეული ხოსე იგნასიო საენს დე ლა ბარას ბრალი იყო, ყვ-
ელას წააჭრა თავი გარდა იმ გარეწრებისა, ვისთვისაც მართლა უნდა
წაეჭრა — ვინც სიცოცხლე მოუსწრაფა ლეტისია ნასარენოსა და მის შვი-
ილს. ჩიტებიც აღარ მღეროდნენ, თუმცა ბალახეულის ნაყენს ასხამდა
ნისკარტში, სკოლიდანაც აღარ ისმოდა გოგონების სიმღერა მწვანე
ლიმონზე შემომჯდარ ჩიტუნაზე. ცხოვრება მდორედ მიიზღაზნება, ჩე-
მო გოგონი, თივაში გელი, შენს წვეტიან ძუძუებს ველი და შენს ნიჟარ-
ას. ბერიკაცი ხის ჩრდილქვეშ განმარტოებული მიირთმევდა საჭმელს,
სიესტის პაპანაქებაშიც განმარტოებული დაცურავდა, ტკბილი თვლემი-
იდან დროდადრო ამოყვინთავდა, რათა კვლავ მიედევნებინა თვალი
სატელევიზიო ფილმისთვის, სადაც ყველაფერი მისი მითითებითა და
სურვილით ხდებოდა და არაფერი ჰქონდა საერთო ცხოვრებისეულ
სინამდვილესთან. მას სჯეროდა, რომ რეალურ ცხოვრებას უყურებდა
ან სულაც ისეთს, როგორიც წარმოედგინა. ეგონა, ყველაფერი იცოდა,
სინამდვილეში კი არ იცოდა, რომ ჯერ კიდევ ხოსე იგნასიო საენს დე
ლა ბარას დროიდან მოყოლებული დავიწყეთ საგანგებო გადაცემების
მომზადება პირადად მისი რადიომიმღებისათვის, მერე და მერე დახუ-
რული სატელევიზიო არხიც გამოვიყენეთ, რათა მხოლოდ მისი ტელ-
ევიზორის ეკრანზე მხოლოდ მისი მოსაწონი ან მასთან შეთანხმებით
გადაკეთებულ-გადმოკეთებული ის ფილმები ეჩვენებინათ, სადაც მხ-
ოლოდ არამზადები კვდებიან, სადაც სიყვარული ამარცხებს სიკვდი-
ლს, სადაც ცხოვრება ზღვიდან მონაბერი ნიავივით საამოა. ჩვენ ვცხ-
ოვრობდით, ვთვალთმაქცობდით, რათა ის ყოფილიყო ბედნიერი და
მართლაც იქნებოდა ბედნიერი თავისი უსასრულო სიბერის მიმწუხრს
სასკოლო მატროსულ ფორმიან გოგონებთან ერთად, რომ ერთხელ
სრულიად შემთხვევით არ ეკითხა ერთ-ერთი გოგონასათვის, სკოლა-
ში რას გასწავლიანო. მეც ავდექი და სიმართლე ვუთხარი, არაფერსაც
არ გვასწავლიან-მეთქი, მე ხომ პორტის კახპა ვარ-მეთქი. რამდენჯერ-
მე გამამეორებინა ეს სიტყვები, ეტყობა, ვერ გაიგო, რა ვუთხარი. მეც
დამარცვლით გავუმეორე, მოსწავლე კი არა, პორტის კახპა ვარ-მე-
თქი. მართალს ამბობდა. ჯანდაცვის მუშაკებს ეს გოგო სურნელოვანი
საპნით კარგად დაუბანიათ, მატროსული ცისფერი კაბა და — ვითომ
ერთი ვინმე წარჩინებული ოჯახის შვილი ყოფილიყოს, — გოლფები ჩა-
უცმევიათ და უბრძანებიათ, ყოველ საღამოს ხუთ საათზე ფერმის წინ
გაერბინა ქუჩაში. მარტო მე როდი დავრბოდი მის ფანჯარასთან, ჩემთ-
ან ერთად სხვა ჩემი ტოლი კახპებიც იყვნენ, ისინიც სანიტარული პო-

ლიციის მიერ დაბანილ-დავარცხნილები. ყველას ერთნაირი მატრო-სული ვაბა და ერთნაირი ბიჭური ფეხსაცმელი გვეცვა. ცხენის კუდისგან ნაწნავები გაგვიკეთეს, ნახეთ, აქამდე შემომრჩა, ჩვეულებრივი სარჭით მაგრდება. გვითხრეს, არ შეგეშინდეთ, საწყალი, სულელი მოხუცია, არაფერი შეუძლია, მხოლოდ სამედიცინო დაკვირვებას ჩაგიტარებთ თითოთ, შეიძლება ძუძუც მოგწოვოთ, პირშიც ჩაგჩართო რამე. გასაგებია, ვთქვი მე, თქვენც ხომ ასე მიკეთებთ-მეთქი. თქვენ მხოლოდ ის გვეალებათ, ვნებიანად იჩურჩულოთ, ჩემო სიყვარულო, ჩემო სიყვარულო, ვითომ აღფრთოვანებული ხართ მისი მამაკაცური ძლიერებით. ვიდრე იმ ბეხრეკთან გაგვიშვებდნენ, თვითონ გამოგვცადეს რამდენჯერმე. გროშებს გვიხდიდნენ ბეხრეკის გართობაში. ეს სანიტარული სამსახურის გადასახადიო, ეს სერჟანტის საკომისიოო, ჩვენ კი გასაცოდავებული ოთხი პესოლა გვრჩებოდა ბოლოს. უსამართლობა იყო აბა რა იყო, როგორია, წინაც და უკანაც ამდენ საჭმელს რომ გტენიან. სწორედ ასეც მივახალე პირში იმ ბეხრეკ ყეყეჩს, თვალდაუხამხამებლად რომ მომშტერებოდა. ო, დედაჩემო, ბენდისიონ ალვარადო, რატომ ვისჯები ასე მწარედ. თუმცა ამ დროს არც სიმწარე ეხატა სახეზე და არც სასოწარკვეთილება. საქმე გაიჩინა, სხვა გზებითა და არხებით დაიწყო იმის გამოძიება და დაბუსტება, რაც „გოგონამ“ უთხრა. ყველაფერი ძალიან მალე გაიგო. ჩემო გენერალო, სასახლესთან ახლოს ქალთა სასწავლებელი რომ იყო, დიდი ხნის წინათ დახურეს. ეპისკოპოსის ლოცვა-კურთხევით, განათლების მინისტრისა და მდიდარი ოჯახების ძალისხმევით ახალი სამსართულიანი სკოლა ააშენეს ზღვის ნაპირას. ბლენძია მშობლებმა თავიანთი ქალიშვილები პირქუში ბერიკაცის ხარბ თვალებს მოაშორეს. ეს მოხუცი კი, რომელსაც მტაცებლის გრძელი ხელები ჰქონდა, ახლა ჩვენ წინ იწვა საბანკეტო მაგიდაზე ნიგვზის წვენში ჩადებული თევზივით და ზედ დაჰნათოდა დამტკნარი ბალბისა და უდაბნოს მთვარის კრატერების მკვდარი შუქი, მის გარეშე შემობრძანებული ჩვენი პირველი ალიონის შუქი. თეთრ ყვავილებში ჩაფლულმა ბერიკაცმა როგორც იქნა დაიხსნა თავი თავისივე ერთპიროვნული ძალაუფლების ტყვეობიდან, თუმცა ვინ ვისი ტყვე იყო ამ სახელისუფლო სახლში, ცოცხალი პრეზიდენტების ამ სულისშემხუთველ სამარეში, ჯერ კიდევ გასარკვევი იყო. ოდესღაც, როცა ამ სასახლისა თუ აკლდამის გადაკეთებას მოჰკიდეს ხელი, როდესაც შიგნიდანაც და გარედანაც ჩამკვდარს მოთეთრო ფერად ღებავდნენ, თავად მას არავინ არაფერს ეკითხებოდა, ვერც ცნობდნენ ოთახებსა და დერეფნებში მობორიალეს, უყვიროდნენ, ნეტავ რას დადიხართ აქეთ-იქით, გათეთრებული კედლები არ გაგვიჭუჭყიანო. ისიც სწრაფად შორდებოდა იქაურობას, თან ცდილობდა მართლა არ გაკარებოდა

ახლად შეფეთილ კედლებს. მანდ იყავით, სენიორ, არ ჩამოხვიდეთ, ფიცარი არ დაგეცეთ თავზე. ისიც არ იცვლიდა ფეხს. მაგრამ ქვისმთლელების ჩაქუჩების კაკუნსა და შეძახილებზე ლამის ყურთასმენადაკარგულს იქიდანაც აგდებდნენ, ბებერო ჩერჩეტო, ხელს გვიშლიო. უბოდიშოდ ელაპარაკებოდნენ, არ წაგვიბილწო საღებავით. ისიც რიგითი ჯარისკაცივით ემორჩილებოდა ამ ბრძანებას, მოთმინებით იტანდა ამ სულელურ რეკონსტრუქციას, ზღვის ქარების სათარეშოდ ახლად გაჭრილ ფანჯრებს. ასეთი მარტოსული არასოდეს ყოფილა, ყოველ წამს გრძნობდა თავისი მცველების ფხიზელ თვალს. ისე მკაცრად და დაჟინებით შესცქეროდნენ, თითქოს დაცვა კი არა, მოგზავნილები ყოფილიყვნენ. შესცქეროდნენ და თან საჭმელს თქვლევდნენ, თაფლიანი ქილებიც აღარ ხვდებოდა სამალავში. ოქროს დეგებზე ნაჭერი შემოახვიეს, გული გაგვიწვრილა მაგის წკრიალმალ, ან ნეტავ კი რაში გჭირდება, მოჩხუბარი მამალი ხომ არ ხარო. ჯანდაბას მაგათი თავი, იხუმრონ რამდენიც უნდათ. მათ მწყემსურ ხუმრობებზე ალბათ ბევრს იცინებდა ჩემი ძველი მეგობარი სატურნო სანტოსი. იაპონელი მუშაითებივით, დილიდან დაღამებამდე რომ გადი-გამოდიან გაჭიმულ თოკზე, ეს თერთმეტი პიჯაკებსა და ჰალსტუხებში გამოწყობილი კაცისმკვლელებიც დილიდან დიღამდე მას დასდევს და თუკი ორმოცდაათი მეტრის რადიუსში ვინმე გაივლიდა იარაღიანი, მაშინვე მწვანე და წითელნათურებიანი აპარატი აინთებოდა. ყოველთვის თან ახლდა შვიდი ერთნაირი მანქანის კორტეჟი, ისე მიქროდნენ, თითქოს ვიღაც მისდევთო უკან. ისე უსწრაფესად უსწრებდნენ ერთმანეთს, ისე უსწრაფესად უცვლიდნენ ერთმანეთს ადგილს, რომ ზოგჯერ თვითონაც უჭირდა გარკვევა, რომელ მანქანაში იჯდა. არადა, სულაც არ იყო საჭირო ასეთი სიფრთხილე. ჯერ ერთი იმიტომ, რომ გინდა ამ მანქანებისთვის გისროლია და გინდა გაფრენილი ორბებისთვის, და მეორეც, მანქანის სარკმლის ფარდა ოდნავ გადასწია თუ არა და ამდენი ხნის კარჩაკეტილი ცხოვრების შემდეგ გაიხედა გარეთ, დიდი მიხვედრა არ სჭირდებოდა იმას, რომ ქუჩაში კაციშვილი არ აქცევდა ყურადღებას სამგლოვიარო ლიმუზინების კორტეჟის ეშმაკურ მანევრებს. სამაგიეროდ მან მიაქცია ყურადღება შუშის კლდესავით აღმართულ სამინისტროთა შენობებს, რომლებიც ტაძრების გუმბათებსაც აღემატებოდნენ სიმაღლეში და პორტისპირა ბორცვებზე შეფენილ ბანგების ტრელაჭრულა ქობმახებსაც ფარავდნენ. დაინახა, ჯარისკაცთა პატრული რა გულმოდგინედ შლიდა კედელზე გადღაბნილ წარწერებს. როცა იკითხა, კედელზე რა ეწერაო, უპასუხეს, დიდება ახალ სამშობლოს შემოქმედსო. მან თავი დააქნია, თუმცა მიხვდა, ტყუილი უთხრეს. თუ ეს ეწერა, მაშინ რატომღა წაშალეს. მან დაინახა ფართოზე ფართო ბულვარი, რომელ-

იც მიემართებოდა ზღვის სანაპირომდე, სადაც ოდესღაც ჭაობი ბუყბუყებდა, ახლა კი პალმებითა და უმშვენიერესი ყვავილებით მოეხატათ იქაურობა. დაინახა ახალი გარეუბანი ქუჩის გასწვრივ ჩამწკრივებული ანტიკურტიშკრებიანი ქალაქგარეთა სახლებით, ხოლო იქ, სადაც ოდესღაც ნაგავსაყრელი ყარდა, ახლა ლამაზ-ლამაზი სასტუმროები ჩაფლულიყვნენ თვალწარმტაცი ბაღების ამაზონურ სიმწვანეში. მიხვეულ-მოხვეულ ქუჩებში დაინახა კუსავით მბობლავი მანქანების უსასრულო რიგი. ქუჩის მზიან მხარეს დაინახა შუადღის სიცხით გათანგული ადამიანები, მოპირდაპირე ჩრდილიან მხარეს კი — რაკილა ფასიანი იყო — მხოლოდ საგადასახადო სამსახურის ჩინოვნიკები ჩანდნენ. ქუჩის მეორე მხარეს ამიტომაც იხრუკებოდა ამდენი ხალხი. ყველაზე მეტად იმან გააოცა, რომ არავინ დაფეთებულა პრეზიდენტის ლიმუზინების დანახვაზე. ამ კონდიცირებულ კუბოდან თითქოს ტალღებით მოიწვევდა ძალაუფლება, მაგრამ მაინც ვერავინ იცნო მისი ჩამქრალი თვალები, გოცებისა და შიშისაგან დამანჯული ტუჩები, ყურადღება არავის მიუქცევია მისი ცნობილი ხელისთვის, რომელსაც უქნევდა მოფუთფუთე, დაბრმავებულ ბრბოს. ესმოდა გაზეთებისა და თილისმების გამყიდველთა გამყივანი ხმები, ნაყინის ურიკების ჭრიალი და ლატარიის სამფერი ბილეთების გამსაღებელთა სუსტი შეძახილები. ამ სამყაროს საერთო არაფერი ჰქონდა ბეხრეკ პრეზიდენტთან, ამ სამყაროს ფეხებზე ეკიდა ვიღაც მარტოსული, ნოსტალგიაში გადავარდნილი სამხედრო კაცის პირადი ტრაგედია. დედაჩემო, ბენდისიონ ალვარადო, რა დაემართა ჩემს ქალაქს, სად გაქრა ის პატარა ქუჩა უკაცო ქალებისა, საღამოობით, ვიდრე მათი ტანსაცმელი აივნებზე შრებოდა, შიშვლები რომ გამოდიოდნენ ერთი-ორი ნაჭერი თევზის საყიდლად და მემწვანილე ქალებთან სალაყბოდ. სად წავიდნენ ინდუსები, თავიანთ დუქნებთან ჩაცუცქულები რომ იცარიელებდნენ კუჭს, სად არიან მათი ფერგამკრთალი ცოლები, ნალვლიანი სიმღერებით რომ იგერიებდნენ სიკვდილს. სად არის ის ყმაწვილი ქალი, მორიელად რომ იქცა მშობლებთან ურჩობის გამო. სად არის დაქირავებული ჯარისკაცებით ავსებული და შარდის სუნად ამჟავებულ-ამყაყებელი ღვინის სარდაფები. მანქანამ რომელიღაც ქუჩაზე შეუხვია და ცხვირში ვარხვების ნაცნობი სუნიც ეცა. ჰო, მართლა, სად არის პორტი, აქ ხომ პორტი იყო, კონტრაბანდისტთა ხომალდებიც აღარსად ჩანან, ქვეითთა მიერ მიტოვებული ჯავშნოსანი ვიღამ გააქრო, ან სულაც მშობლიური მძღნერის სუნი სად დაიკარგა, დედა. არა, ნამდვილად რაღაც ხდება ქვეყანაში, თორემ რატომ ვერავინ იცნო ამჯერად ვაგონის ფანჯრიდან გამოშვერილი მისი ხელი, რომელსაც იქნევდა დამშვიდობების ნიშნად, თუმცა არავინ ჩანდა დასამშვიდობებელი. მატარებელი მიქროდა სუ-

რნელოვან მინდვრებში, სადაც ოდესღაც ჭაობი იყო, მიქროდა ბრინჯის ყანების გასწვრივ, აქაც ოდესღაც ჭაობის ფრინველები ყრანტალით იკლებდნენ არემარეს. მიქროდა და აფრთხობდა პრეზიდენტის დამლიან ძროხებს, მიქროდა საოცარი ფერებით აჭრელებულ წარმტაც ხეობაში. ის კი კუპეში მიყუყულიყო სამგლოვიარო ხავერდგადაკრულ სავარძელში, რომელიც საკუთარ მწარე ხვედრს უფრო აგონებდა, ვიდრე მოგზაურობისას საჭირო მოხერხებულ ადგილს. ეშმაკმა დალაზვროს, სად არის ჩემი ძველი ოთხფეხა მატარებელი, სად არიან ტოტეებში ჩახლართული ჩემი ანაკონდები და შხამიანი ყვავილები, რატომ აღარ ისმის მაიმუნების ჩვეული ყვირილი, სამოთხის ჩიტების ჟივილხივილი, სად არის-მეთქი, დედა, ჩემი სამშობლო თავისი დრავონით, სად წავიდა, სად გაქრა ეს ყველაფერი, დედაჩემო. მხოლოდ პატარა სადგურებილა შემორჩენილა და ინგლისურშლაპებიანი ინდიელი ქალებიც, რომლებიც შაქრის ჩასქელებული სიროფისგან გაკეთებულ ნაირ-ნაირი ცხოველების ფიგურებს ყიდდნენ. ყიდდნენ შემწვარ კარტოფილსა და ქათმის ტაბაკასაც. ყვავილებით გამოყვანათ გამორჩეული ვაცის სადიდებელი სიტყვები. მართალია, ცოდნით არავინ იცოდა, სად იმყოფებოდა იგი ამჟამად, მაგრამ ის კვლავინდებურად უძლეველი იყო და შიშის ზარს სცემდა ყველას, რადგან თუკი რამ ხდებოდა ქვეყანაში, მისი სახელით ხდებოდა. თავად მას კი მუდამ რაღაცის ეშინოდა და დევნილადაც მიიჩნევდა თავს. ასეთ სიცოცხლეს სიკვდილი მიჯობსო, ჩიოდა იგი, მაგრამ პასუხი მუდამ ერთი და იგივე იყო, არა, ჩემო გენერალო, მთავარია ქვეყანაში სიმშვიდეაო. ბოლოს ისიც იძულებული ხდებოდა დანებებულიყო, კარგი, კარგი. ერთადერთი,ვისაც ვერაფერს უხერხებდა, წყეული ხოსე იგნასიო საენს დე ლა ბარა იყო. მისი შემპარავი, ლამაზი სიტყვები ძალას ართმევდა. გრძნობდა, უმისოდ სრული სიმართოვე ელოდა და ამიტომაც ბოლო-ბოლო ყველაფერში ეთანხმებოდა ფიქრებსა და უძილო ღამეებში ათასგზის შეგინებულ, ჩამოქვეითებულ, მაგრამ დღისით კვლავ აღზევებულ, ყოვლისშემძლე და საჭირო ამ არამზადას. საკმარისი იყო დილის მზის შუქში გახვეული, მომღიმარე ხოსე იგნასიო გამოჩენილიყო თავის განუყრელ მხლებელთან ლორდ კიოხელთან ერთად — რომელსაც თვალებიც და სახელიც ადამიანისა ჰქონდა და თავის პატრონს ფეხსალაგშიც კი დაჰყვებოდა — რომ ბებერ გენერალს მაშინვე უნელდებოდა გაბრაზება და აბრეშუმით დარბილებული ყველაფერზე ეთანხმებოდა ამ არაკაცს. ისიც ისე სწრაფად და გულმოდგინედ ასრულებდა ხელიდან ძალით გამოგლეჯილ ბრძანებას, რომ სადღაც გულის სიღრმეში ბებერი პრეზიდენტი ბრანობდა კიდევ საკუთარ თავზე, მაგრამ ეს გაბრაზება ხანმოკლე იყო. ნუ დელავთ, ნაჩო, ამშვიდებდა აბებარ თანაშემწეს,

შეასრულეთ თქვენი მოვალეობა. ისიც პრეზიდენტის უფლებებით აღჭურვილი და ყოვლისშემძლე კვლავ განაგრძობდა საშინელ საქმიანობას თავის საწამებელ ფაბრიკაში, კოლონიისდროინდელი ჰოლანდიელების საგიჟეთის აგურის შენობაში, პრეზიდენტის სასახლიდან სულ რაღაც ხუთას მეტრში. თქვენი სასახლესავით დიდია, ჩემო გენერალო, ნუშის ხეებშია ჩაფლული; შენობის წინ მთლი მწვანედ ხასხასებს. პირველი სართული სამძებრო სამსახურსა და მოქალაქობრივ მდგომარეობის აქტების ჩამწერ ბიუროს აქვს დასაკუთრებული, შემდეგ სართულებზე ოთახებში ადამიანის გონებისთვის იმდენად მიუწვდომელი ბარბაროსული საწამებელი იარაღი ეწყობ, რომ მან არ ისურვა ამ საშინელებათა ხილვა, მხოლოდ ეს უთხრა საენს დე ლა ბარას, კვლავაც ისე მოიქცით, როგორც სამშობლოს სჭირდება, ოღონდ დაიმასხოვრეთ, ნაჩო, პირადად მე არაფერი ვიცი, არაფერი მინახავს, არასოდეს ვყოფილვარ აქ. საენს დე ლა ბარამაც პატიოსანი სიტყვა მისცა, მიგულეთ თქვენს სამსახურში, გენერალო. მართლაც არავისთან არაფერი დასცდენია, უსიტყვოდ შეასრულა ბებერი გენერლის ერთი განსაკუთრებული ბრძანებაც, ხუთ წლამდე ბავშვები არ ეწამებინათ სასქესო ორგანოებში ელექტროდენის გატარებით. მშობლების მღელვარებისა ეშინოდა მის უდიდებულესობას, ლატარიასთან დაკავშირებული ძველისძველი ამბებიც ახსენდებოდა და მტანჯველ უძილო ღამეებს ნამდვილად ვეღარ გაუძლებდა. მართალია, მისი ეს ბრძანება შესრულდა, მაგრამ ძილი მაინც დამფრთხალი ჰქონდა. ჯერ ერთი, საშინელებათა ფაბრიკა მისი სასახლიდან ერთი ხელის გაწვდენაზე იყო და მეორეც, მატარებლების დაგადუგი და უსასრულო ჭექა-ქუხილი არ აძინებდა. ბრუკნერის ფირფიტაზე ჩაწერილ ამ ხმებს ღამღამობით ატრიალებდნენ, რათა წამებულთა კვნესა-გოდება გადაეფარათ. ჯოჯოხეთური ჭექა-ქუხილის შემდეგ განთიადისას ნუშის ხეებზე ფრიალებდა ნაწამებ საპატარძლოთა დანაკუწებული ფატები. ცოდვის კითხვა ტრიალებდა იმ აგურის შენობაში, სადაც ოდესღაც ჰოლანდიელი მთვარეულები დაბორილობდნენ. მის უდიდებულესობას ძალიან ეშინოდა უძილობისა, ეშინოდა წამებით სიკვდილისპირას მისულ ადამიანთა ყვირილისა, რომელიც ხანდახან თუ სწვდებოდა მის ყურთასმენას. აოცებდა საენს დე ლა ბარას საქციელი, საქმის შესრულებაში ერთ სენტავოსაც არ ითხოვდა ზედმეტად. ერთი სისუსტე მაინც გააჩნდა ამ გარეწარს, ჩაცმა-დახურვა უყვარდა გამორჩეულად. თავისი ხელფასით ყიდულობდა გულზე მონოგრამაამოქარგულ აბრეშუმის პერანგებს, თხის ტყავის ფეხსაცმელს, ლამაზ კოლოფებში ჩალაგებულ საღილკილოვე ყვავილებს, ფრანგულ ლოსიონებს, რომელთა ეტიკეტებზე საგვარეულო ღერბები იყო გამოსახული. მაგრამ რა საოცარიც არ უნდა

იყოს, არ ჰყავდა ქალი, არც კაცი, არ ჰყავდა მეგობარი, არც სახლი ჰქონდა საკუთარი და, საერთოდ, არც არაფერი გააჩნდა. ჩემო გენერალო, წმინდანივით ცხოვრობდა. თავის წამების ფაბრიკაში მანამდე მუშაობდა, სანამ ძალაგამოცლილი არ დაეცემოდა დივანზე თავისსავე სამუშაო ოთახში. ღამით არასოდეს ეძინა, დღისით სამი საათი ან ცოტა მეტი ეძინა. კართან ყარაული არ ედგა, არც იარაღი ჰქონდა. ეძინა თავისი ერთგული, ფხიბელი ლორდი კიოხელის იმედით, რომელსაც, როგორც ამბობდნენ, საკუთარი ტყავიდანაც კი შეეძლო გამომხტარიყო, თუ დროზე არ მიართმევდნენ მის საყვარელ საჭმელს – სულ ახლახან თავმოკვეთილი კაცის ჯერ კიდევ თბილ, მოთიმთიმე ნაწლავებს. ქვაბში რომ წყალი ათუხთუხდება, ასე ათუხთუხებული აღვიძებდა თავის პატრონს, როგორც კი კედლის მიღმა დაინახავდა ვინმეს კაბინეტისკენ მომავალს. სულერთია, ვინც არ უნდა ყოფილიყო, მნიშვნელობა არ ჰქონდა, ჩემო გენერალო ეს კაცი სარკვეში თავის ორეულსაც არ ენდობოდა, ერთპიროვნულად მოქმედებდა, არავის არაფერს უთანხმებდა, მხოლოდ აგენტების მოტანილი ამბებით ხელმძღვანელობდა. სულ პატარა რაღაცაც რომ მომხდარიყო ქვეყანაში, სულ პატარა ოხვრაც რომ დასცდენოდა რომელიმე განდევნილს დედამიწის ნებისმიერ წერტილში, საენს დე ლა ბარასთვის მაშინვე ხდებოდა ცნობილი იმ უხილავი აბლაბუდას წყალობით, რაშიც შანტაჟითა და ქრთამით გახვეული და მოსყიდული ჰყავდა ლამის მთელი დედამიწა. ამ შემთხვევაში გულუხვი ნამდვილად იყო, მაგრამ არა სახელმწიფოს ხარჯზე. ისეთი ერთგულებით ეკიდებოდა თავის საქმეს, რომ ძალიან ხშირად მსტოვრებს საკუთარი ჯიბიდან აძლევდა ფულს, მაგრამ მარტო ის როდი იყო თავისი საქმის ერთგული, ჩემო გენერალო. მხოლოდ უძვლო ენის პატრონი ადამიანები ავრცელებდნენ ჭორს, ხალხი ჰყავს დაქირავებული, დიდძალ ფულს აძლევს და ამიტომაც შეუძლიათ ყველაფერზე მოაწერონ ხელი. არ დაიჯეროთ, ჩემო გენერალო, პირიქით, ფულს არ ითხოვდნენ, ოღონდ კი თავიანთი შეფისთვის დაემტკიცებინათ, რომ ჯალათებიც იყვნენ და მაძებრებიც და საკუთარ დედასაც კი დაკლავდნენ, გაატყავებდნენ და ღორებს მიუგდებდნენ საჯიჯგნად. სარეკომენდაციო წერილებისა და სანიმუშო ყოფაქცევის დამადასტურებელი საბუთების ნაცვლად თავიანთი ჩადენილი ავი საქმეების ჩამონათვალი მიჰქონდათ მხოლოდ, რათა სამსახურში დროებით მაინც მოწყობილიყვნენ უკიდურესი შეუბრალებლობით გამორჩეულ ფრანგ მწვალაბელ-რაციონალისტებთან. სწორედ ამ თვისების წყალობით მიაღწიეს მათ პროგრესს წესრიგის დამყარებაში, სწორედ ისინი ააშკარავებდნენ ყოველგვარ შეთქმულებას მანამდე, სანამ ეს შეთქმულება ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული ფიქრებშიც კი. სწორედ ისინი

დადიოდნენ სანაყინეებში, წისქვილის ფრთებივით გამართულ საგრი-
ლობლებით ითქვამდნენ სულს, ჩინურ რესტორნებში კითხულობდნენ
გაზეთებს, კინოთეატრებში თვლემდნენ, საქალაქო ტრანსპორტში ფე-
ხმძიმე ქალებს ადგილს უთმობდნენ, ელექტრიკოსობა და სანტექნი-
კოსობა შეისწავლეს და ლამის ნახევარი ცხოვრება ლამის ქურდებისა
და პროვინციელი ყაჩაღების გვერდით გაატარეს. სწორედ ისინი იყვნენ
გემებზე და უცხოელთა ბარებში მომუშავე კახა მოახლეების ვი-
თომ შემთხვევითი საქმროები. სწორედ ისინი იყვნენ მაიამის ტურის-
ტული სააგენტოების ვითომ თანამშრომლები, რომლებიც ექსკურსიე-
ბს აწყობდნენ კარიბის სამოთხეში. ერთი იმათგანი ბელგიის საგარეო
საქმეთა მინისტრის პირადი მდივანი იყო. იყო კიდევ მოსკოვის სასტ-
უმრო ინტერნაციონალის მეოთხე სართულის პირქუში დერეფნის თვ-
ალი და ყური — ადმინისტრატორი და ვინ იცის კიდევ რომელ კუთხე-
კუნჭულს არ სწვდებოდა მათი მსახვრალი ხელი. მაგრამ თქვენ შეგიძ-
ლიათ მშვიდად იძინოთ, ჩემო გენერალო. ჩვენი ქვეყნის ჭეშმარიტი
პატრიოტები ამბობენ, რომ თქვენ არაფერი იცით, რომ ეს ყველაფერი
თქვენთან შეუთანხმებლად ხდება. ჩემო გენერალო, თქვენ რომ ეს
გცოდნოდათ, საენს დე ლა ბარას საფლავი კარგა ხნის წინ უნდა ყოფი-
ლიყო ბალახით დაფარული პორტის ციხესიმაგრის მოღალატეთა სა-
საფლაოზე. ყოველთვის, როცა კი პატრიოტები ჯალათის მორიგ ბარ-
ბაროსობაზე ამბის მისატანად მიდიოდნენ სასახლეში, ჩუმად ოხრავ-
დნენ, ეს რომ გენერალმა იცოდეს, გენერლისთვის ხომ არ გვეთქვა
ყველაფერი, ეს რომ გენერალს საკუთარი თვალით ეხილა. ბოლოს
ვეღარ მოითმინა და ერთ მოენეს დაუცაცხანა, დაიმახსოვრეთ ერთხ-
ელ და სამუდამოდ, მე არაფერი ვიცი, არაფერი მინახავს და არც არა-
ფერი მსმენია. ასე ცდილობდა თავის დამშვიდებას, მაგრამ მოჭრილი
თავებით სავსე ტომრები რომ დახვავდა, ეჭვი გაუჩნდა, ხოსე იგნასიოს
იმდენი ადამიანის სისხლში აქვს ხელები გასვრილი, ნამდვილად რა-
ღაც პირადულთან არის დაკავშირებული. იგი ერთმა გარემოებამ
დააეჭვა, სამივე სახეობის ჯარების მეთაურები რატომღაც მეტისმეტად
იოლად შეეგუენ თავიანთ დამამცირებელ ყოფას. ხელფასის მომატებ-
ის თხოვნაც კი არ უცდიათ. საერთოდ, არაფერი უთხოვიათ. გადაწყვი-
ტა სამხედროებში ზონდირების დახმარებით გაეგო მათი უცნაური მო-
რჩილების ნამდვილი მიზეზი. რა ხდება, რატომ არ მიწყობენ ბუნტს,
რატომ არ მთხოვენ უსაზღვრო ძალაუფლებამინიჭებული ამ სამოქა-
ლაქო პირის მოსპობას. ერთხელ ჰკითხა კიდევ ერთ-ორ ოფიცერს,
როგორ ფიქრობთ, ხომ არ დადგა დრო, ამ სისხლისმსმელ მამლაცი-
წას, ვინც ქვეყნის შეიარაღებული ძალების ღირსება ფეხქვეშ გათე-
ლა, თავი წავაცალოთო, მაგრამ მისდა გასაოცრად ასეთი პასუხი მი-

ილო, რას ბრძანებთ, გენერალო, მთლად მასეც არ არის საქმეო. დაიბნა გენერალი, აღარ იცოდა, ვისთვის დაეჯერებინა, ვინ ვის მხარეზე იყო ამ ვითომდა პროგრესული წესრიგის დამყარების საქმეში, რომელსაც გვამების სუნი ასდიოდა და რომელიც მას იმ ავად სახსენებელ ლატარიას და საბრალო ბავშვებს აგონებდა. ხოსე იგნასიო ძაღლების მომთვინიერებლის მოთმინებითა და დათაფლული ენით ცდილობდა ჩაექრო თავისი პატრონის აალებული შიში. მშვიდად იძინეთ, გენერალო, ქვეყანა თქვენია, არც ისე რთულადაა საქმეო. ისიც ბორიალს იწყებდა საფლავივით ჩაწყვდიადებულ ამ არავის სახლში და სასოწარკვეთილი ხმამაღლა ეკითხებოდა საკუთარ თავს, ეშმაკმა დალახვროს, მითხარი, ვინ ვარ მე, ჩვეულებრივი ადამიანი თუ მისი ორეული სარკეში, სად ვარ მე. დილის თერთმეტი საათია და ერთი ქათამი რა არის, ერთი ქათამიც კი არ კრიახობს ამ უდაბურ სასახლეში. ხმას აუწია, ის დრო გაიხსენა, კეთროვნები და ხეიბრები დილიდანვე ყურისწამლები ლანძღვა-გინებით ძაღლებს რომ გლეჯდნენ საჭმელს პირიდან. გახსოვთ კიბებზე დატყეპილი საქონლის ფუნა, გახსოვთ, მუხლებზე ჩოქვით რომ დაგდევენ პატრიოტები, ხან რას გთხოვდნენ და ხან რას, ჩემო გენერალო, ეს მკურნავი მარილიო, ის ბავშვი მომინათლეთო, ფალარათი მაწუხებს, ბალახეულზე მეტად თქვენ შეგიძლიათ ყაბზობა მოგვირჩინოთო. გენერალო, ხელი დამადეთ მკერდზე, მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ შეაჩეროთ ჩემს გულში ატორტმანებული მიწისძვრა. ზღვას შეხედეთ, გენერალო, მხოლოდ თქვენ ძაღვიძთ ჩააცხროთ გრიგალი. ახედეთ ცას, მხოლოდ თქვენ ხელგეწიფებათ მუდამ მოწმენდილი იყოს იგი. დახედეთ მიწას, მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ აგვაშოროთ ქოლერა. ერთი სიტყვით, რაღას არ მეუბნებოდნენ. მეც მათ ვაძლევდი იმას, რასაც მთხოვდნენ, ვყიდულობდი იმას, რასაც მთავაზობდნენ, და ამას ვაკეთებდი არა იმიტომ რომ, როგორც დედაჩემი ბენდისიონ ალვარადო ამბობდა, გულკეთილი ვიყავი, არამედ იმიტომ, რომ რკინის ღვიძლი უნდა გქონდეს ვაცს, პატარა სიხარული არ აჩუქო იმას, ვისაც ასე სჯერა შენი, ვინც სადიდებელ ჰიმნებს გიმღერის, ახლა კი რა ხდება, მარტო ვარ, თხოვნითაც აღარავინ არაფერს მთხოვს, თხოვნა კი არაა, მომსალმებელიც არავინაა. დილა მშვიდობისა, ჩემო გენერალო, ხომ კარგად გეძინათ წუხელ. ის ნუგეშიც მოესპო, წინათ ღამის აფეთქებებს რომ მოჰქონდა მისთვის. ღამის თავზე ემსხვრეოდა ფანჯრის მინები, მთელი სასახლე ზანზარებდა, ჯარსაც პანიკა იპყრობდა. მაგრამ ეს აფეთქებები სხვა თუ არაფერი, იმედს მაინც უნერგავდა, ამხნევებდა, ახსენებდა, ჯერ კიდევ ცოცხალი ხარო. ის ხმაური სჯობდა ამ სიჩუმეს. სიჩუმე თავს მტკენს, არ მაძინებს. რას წარმოვადგენ, რა ვარ ახლა მე, რა ვარ და, ამ საშინელი სახლის კედლებზე დახატული

საკუთარი ჩრდილი ვარ მხოლოდ. ამ სახლში პირის გაღებას ვერ ასწრებდა ბრძანების გასაცემად, რომ ბრძანება უკვე შესრულებული იყო. ყველაზე ინტიმური სურვილები და ფიქრები ჯერ კიდევ თავში უტრიალებდა, რომ ვილაცის ნებით ელვისუსწრაფესად სრულდებოდა, მეტიც, სამთავრობო გაზეთებიც კი უკვე იუწყებოდნენ ამის თაობაზე. გაზეთს სიესტის საათებში კითხულობდა ჰამაკში ჩაწოლილი. თითქმის ყველა გვერდზე მსხვილი შრიფტით იყო გაცხადებული ყველა მისი ნაბიჯი, სურვილი, საქმიანობა, სუნთქვაც კი. სურათებსაც მრავლად აქვეყნებდნენ. ერთ სურათზე რომ ხიდი იყო აღბეჭდილი, რომლის აშენებასაც აპირებდა, მაგრამ ბრძანების გაცემა დავიწყებოდა, მეორეზე ის სკოლა იყო გადაღებული, სადაც მხოლოდ ქუჩების ხვეტას ასწავლიდნენ ბავშვებს, მესამეზე თვითონ იყო გამოსახული იმ მომენტში, როცა ლენტს ჭრიდა რალაცის საბეიმო გახსნაზე, თუმცა ვერაფრით გაიხსენა, როდის იყო ეს. სული აფორიაქებული ჰქონდა, ბებერი სპილოს ფეხებით დააბოტებდა თავის მარტოობის სახლში და ეძებდა იმას, რაც არ დაუკარგავს. ხედავდა, ვილაცას დაესწრო მისთვის და ჩიტების გაღივებზე შავი ნაჭერი გადაეფარებინა. ფანჯრებთანაც ჩერდებოდა, ზღვა რომ დაენახა. ფერმაშიც მიდიოდა ძროხების დასათვლელად. ფერმაც დალაგებულ-დასუფთავებული ხვდებოდა ამ ბოლო დროს. ერთხელ ანთებული ჩირაღდნით ხელში საძინებელში რომ ბრუნდებოდა, სასახლის საყარაულოს მოღებული ფანჯრიდან საკუთარი ხმა შემოესმა. ჩუმად შეიხედა ოთახში. სადაც ტელეეკრანის ნალვლიან შუქზე ოფიცრები თვლემდნენ. ეკრანზე საკუთარი თავი დაინახა, ოღონდ უფრო გამხდარი და ყოჩაღი. ნამდვილად მე ვიყავი, დედა. იმ კაბინეტში იჯდა, სადაც სიკვდილი ესტუმრა. კაბინეტის სიღრმეში სახელმწიფო ღერბი მოჩანდა. მაგიდაზე სამი ოქროსჩარჩოიანი სათვალე იდო. იგი სახელმწიფო საქმეებზე საუბრობდა, ისეთ ბრძნულ სიტყვებს აფრქვევდა, რომელთაც, ეშმაკმა დალახვროს, ალბათ ვერც ვერასოდეს გაიმეორებდა. ტელეეკრანზე საკუთარი თავის დანახვამ უფრო აღაშფოთა, ვიდრე ოდესღაც ყვავილებში ჩაფლული საკუთარი ნეშტის დანახვამ. ეს მართლა მე ვიყავი, დედა, მე თვითონ ვლაპარაკობდი. ხომ გახსოვს, დედა, აივანზე ხალხის წინაშე არამცთუ სიტყვით გამოსვლა, უბრალოდ გამოჩენაც კი მეშინოდა. ჰოდა, ეს მე ვიყავი, ისეთი ნამდვილი, ისეთი ჩვეულებრივი მოკვდავი, რომ დაბნეული და გაშტერებული ფეხს ვერ ვიცვლიდი ადგილიდან. დედაჩემო, ბენდისიონ აღვარადო, ნუთუ შესაძლებელია ასეთი მისტიკა. ამ ტელეგადაცემამ გუნება მოუშხამა, ასე არასოდეს განრისხებულა, მაგრამ ხოსე იგნასიო საენს დე ლა ბარამ მშვიდად, ენადათაფლულმა აუხსნა, ისეთი არაფერი მომხდარა, გენერალო, სხვა გზა არ გვქონდა, წესრიგის პროგრესის გემი გვეძირებო-

და, მართალია, უკანონობა ჩავიდინეთ, მაგრამ სამაგიეროდ წმიდათაწმიდა საქმე გავაკეთეთ, ურწმუნოები დავარწმუნეთ, რომ ხელისუფლება არსებობს. აქამდე ხომ ეს არავის სჯეროდა. ჩვენ მთელ ქვეყანას დავანახეთ, რომ ხელისუფალი გვყავს, რომ მას სისხლიც აქვს და ხორციც. ისიც გამოვაცხადეთ, რომ ყოველი თვის ბოლო ოთხშაბათ დღეს რადიოსა და ტელევიზიაში გადაიცემოდა მთავრობის საქმიანობის სრული ანგარიში. მე ვაგებ პასუხს ყველაფერზე, გენერალო, ეს ექვსი მიკროფონი, მზესუმზირებს რომ ჰგვანან, მე ჩავაწყვე ლარნაკში, მე ვიწერდი თქვენს ყველა ხმამაღლა გამოთქმულ ფიქრს, ვიწერდი ყველა თქვენს პასუხს ჩემს შევითხვებზე პარასკევობით ჩვენი შეხვედრისას. თქვენ ეჭვადაც არ გაგივლიათ, რომ თქვენი უშუალო, გულახდილი პასუხები გამოყენებული იქნებოდა ერისადმი მიმართვისას, რომელიც თვეში ერთხელ გადიოდა ეთერში. უნდა მოგახსენოთ, რომ არასოდეს გამოგვიყენებია სხვისი გამოსახულებიანი კადრები, არც სხვისი ხმა. შეგიძლიათ თავად დარწმუნდეთ გენერალო. საენს დე ლა ბარამ მაგიდაზე დაალაგა კინოლენტებიც და ფირფიტებიც, აგრეთვე ქალაქებზე ჩამოწერილი თავის მიერ ჩატარებული საქმიანობის ნუსხა. ამ ქალაქს თქვენი თანდასწრებით ვაწერ ხელს, გენერალო, შეგიძლიათ ჩემი ბედი თქვენი სურვილისამებრ გადაწყვიტოთ. გენერალი გაკვირვებული შეაცქერდა საენს დე ლა ბარას და უცებ იაზრა, მიცვალებულივით სახედატეტკილი ხოსე იგნასიო მთელი ამ ხნის მანძილზე პირველად ეახლა უძაღლოდ და უიარაღოდ. დამშვიდდით, ნაჩო, შეასრულეთ თქვენი მოვალეობა. დაღლილი კაცივით გადაწვა სავარძელში, უფრო ბებერი ჩანდა, ვიდრე სინამდვილეში იყო. კედლებზე დაკიდულ სურათებს შეხედა, თავისუფლებისათვის მებრძოლ გმირებს მოღალატურ თვალებში ჩააცქერდა. თავად მას არასოდეს ჰქონია ასეთი ნაღვლიანი და ამავდროულად კუშტი გამოხედვა. სახეზე იმდაგვარი გამომეტყველება შეჰყინვოდა, მყისიერად მიღებული გადაწყვეტილების დროს რომ სჩვეოდა. ეტყობოდა, რაღაც ჩაიფიქრა, რაღაცას დაუსვა საბოლოო წერტილი. ამ ორიოდე კვირის წინ ხოსე იგნასიომ ზუსტად ასეთივე გაქვავებული გამომეტყველება დაიჭირა პრეზიდენტის სახეზე. კაბინეტში გაუფრთხილებლად ეახლა მაშინ, თანაც თავისი დობერმანი მოათრია საბელშებმული. სასწრაფო, გადაუდებელმა საქმემ მომიყვანა თქვენთან, გენერალო, შეიარაღებული ამბოხება მზადდება. მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ აგვაცილოთ იგი თავიდან. გენერალმა ბზარი შეამჩნია მოსულის ხმაში. ამ ბზარს წლების მანძილზე ელოდა იგი ხოსე იგნასიოს კლდესავით შეუვალ, ბედისწერასავით ამოუცნობ სულში. ჩემი შურისძიების დედავ, ბენდისიონ ალვარადო, ამას რას მოვესწარი, ამ ბეჩავმა ლამის ჩაისვაროს შიშით. მაგრამ გენე-

რალს არაფერი დასტყობია, ნაკვთიც არ შერხევია სახეზე, მამაშვილურად, ტკბილად მიმართა, ნუ აზვიადებთ, ნაჩო, დამშვიდდით, დრო საკმარისი გვაქვს და სიმართლეს უსათუოდ დავადგენთ, უსათუოდ ამოვატივტივებთ ჭორების ჭაობიდან. საენს დე ლა ბარამ თავის ჯიბის საათს დახედა. მალე შვიდი შესრულდება, გენერალო, სამი სახეობის ჯარების მეთაურები ოჯახთან ერთად მაგიდას უსხედან და სადაცაა ვახშამს დაამთავრებენ. ოჯახის წევრებმა რომ არაფერი იეჭვონ, სახლებიდან გამოსვლისას სამოქალაქო ტანსაცმელი ეცმევათ, დაცვა არ ეყოლებათ. სამარქაფო კართან სამსახურის მანქანა დაელოდებოდა, ჩვენი მოთვალთვალეების კვალის ასარევად ტელეფონით გამოიძახეს. მაგ უტვინოებმა არ იციან, ჩვენი მოთვალთვალეები მათივე მძღოლები რომ არიან. აჰა, თქვა გენერალმა ღიმილით, დამშვიდდით, ნაჩო, მითხარით, თუ შეიძლება, აქამდე როგორ შეინარჩუნეთ ტყავი. თუ მოკვეთილი თავების სიმრავლით ვიმსჯელებთ, მტერი მეტი გვყოლია, ვიდრე ჯარისკაცი. მაგრამ დე ლა ბარას მთელი ყურადღება ჯიბის საათის სუსტი წიკწიკისკენ იყო მიპყრობილი, რადგან ამ წიკწიკზე ეკიდა მისი სიცოცხლე. სამ საათზე ნაკლები დრო დარჩა, გენერალო, სახმელეთო ჯარების მეთაური ამ წუთებში კონდეს ყაზარმისკენ მიემართება, საზღვაო ძალებისა — პორტისაკენ, საჰაერო ძალებისა კი სან ხერონიმოს ბაზისაკენ. ჯერ კიდევ შეიძლება მათი დაპატიმრება, ბოსტნეულით დატვირთული უშიშროების სამსახურის ფურგონი უკვე მზად არის, შორიახლოს გამომყვება. მაგრამ გენერალს აღელვებისა არაფერი ეტყობოდა, ხოსე იგნასიოს მოძალებული მშფოთვარება და შიში ხომ მის თავისუფლებას ნიშნავდა, თავის დახსნას ნიშნავდა იმ კაცის სამსახურისგან, რომელიც ათასჯერ უფრო უღმობელი და სისხლიანი იყო, ვიდრე ბებერი პრეზიდენტის სიყვარული სრული ძალაუფლებისადმი. დამშვიდდით, ნაჩო, და თუ შეიძლება ამიხსენით, რატომ არ გაქვთ სახლი, თქვენ ხომ შეგეძლოთ გეყიდათ ორთქლის გემივით დიდი სახლი, რატომ მუშაობთ ვირივით, თუ ფული არ გიზიდავთ. რატომ ცხოვრობთ ყაზარმაში ახალწვეულივით, მაშინ როცა თქვენს დანახვაზე უკეთილშობილეს ქალებსაც კი ლამის ნიფხვები ჩაძვრეთ თქვენთან ლოგინში ჩაგორების სურვილით შეპყრობილებს. დავიჯერო, ბერივით უცოდველი ხართ, ნაჩო. მაგრამ ხოსე იგნასიოს ჰაერი აღარ ჰყოფნიდა, იხრჩობოდა, ცივი ოფლით ეცვარებოდა მოგონილი სიმშვიდის ნიღაბი. საკრემაციო ღუმელივით გახურებულ კაბინეტში სუნთქვა ჭირდა. თერთმეტი საათია, თქვა მან, დავაგვიანეთ. აჯანყების დაწყების ნიშანს უკვე ტელეგრაფით გადასცემენ ქვეყნის ყველა გარნიზონს. ამბოხებული გენერლები ორდენებით დახუნძლულ საპარადო მუნდირებში ეწყობოდნენ, ახალი სახელისუფლო ხუნტის ოფიციალური ჯგუ-

ფური სურათის გადასაღებად ემზადებოდნენ, თან თავ-თავიანთი ადი-უტანტებისკენ ჰქონდათ ცალი ყური, ისინი თავ-თავიანთ გენერლებს გადასცემდნენ ახალ-ახალ ბრძანებებს ბრძოლის წარსამართავად, ოღონდ გაურკვეველი იყო, ვის წინააღმდეგ აპირებდნენ ბრძოლას, რადგან ეს იყო ბრძოლა მოწინააღმდეგის გარეშე. ერთი სიტყვით, საომარი მოქმედების შედეგად სამხედროებმა სრულიად დაიკავეს სა-მთავრობო შენობები და რადიოკავშირის ცენტრი. იქ კი კაბინეტში ბე-ბერი გენერალი არც შეტოკებულა. ავი წინათგრძნობით დაძაგრული ხავერდოვანი ლორდი კიოხელი კუნთებათრთოლებული წამოიზღაზ-ნა იატაკიდან, მოფლაშული პირიდან გადმოკიდებული დორბლი თა-თებისკენ გაიწელა და უსასრულო ცრემლს დაემსგავსა. დამშვიდდით, ნაჩო, იქნებ ამისხნათ, ასე რატომ გეშინიათ სიკვდილისა. ხოსე იგნა-სიომ ოფლით დაცვარული ცელულოიდის საყელო მოიგლიჯა, სახე მომღერალ-ბარიტონივით გაუქვავდა. ეს ბუნებრივიცაა, თქვა მან, სიკ-ვდილის შიში ცხოვრებისეული ბედნიერების ნაღვერდალია. ამას თქ-ვენ ვერ გაიგებთ, გენერალო, ვერც იგრძნობთ. ამასობაში ტაძრის ბა-რი აგუგუნდა, საენს დე ლა ბარამ ჩვეულებისამებრ დაითვალა და წამ-ოდგა. თორმეტია, ყველაფერი დამთავრდა, არც ერთი სულიერი აღარ დაგრჩათ გვერდში მდგომი, მე ბოლო ვარ, გენერალო. მაგრამ ბერი-კაცი არც ახლა შეტოკებულა თავის სავარძელში, ხოლო როცა ტანკებ-ის გრუხუნმა მოკირწყლეული დე არმას მოედანი შეაზანზარა, ღიმილ-ით თქვა, ცდებით, ნაჩო, მე ხალხი დამრჩა. მართლაც ასე იყო. ტელეე-კრანზე ბერიკაცის გამოჩენა ისეთი მოულოდნელი იყო, რომ ხალხი გათენებამდე გამოცვივდა ქუჩებში. მან მღელვარედ მიმართა თავის ერს, ყველა პატრიოტს განურჩევლად შეხედულებისა, მიმართა სამი სახეობის ჯარების მეთაურებს. რეჟიმის წმიდათაწმიდა იდეალების და-მცველები როგორც ყოველთვის ახლაც გამოხატავენ ხალხის ნებას, ისინი მზად არიან ამ ისტორიულ ღამეს წერტილი დაუსვან სისხლისმს-მელი სამოქალაქო პირის ტერორისტულ სამსახურს. ამ კაცს თავად ხალხი გამოუტანს განაჩენს. ხოსე იგნასიო საენს დე ლა ბარა ფეხებით ჩამოკიდეს დე არმას მოედნის ერთ-ერთ ლამპიონზე, პირში თავისივე საოხრე ჩაჩარეს. ჩემო გენერალო, თქვენი ბრძანებისამებრ ის ქუჩები გადავკეტეთ, სადაც უცხოეთის საელჩოებია განლაგებული. იმ ჯალა-თს საელჩოებში ვერ უნდა შეეღწია პოლიტიკური თავშესაფრის სათ-ხოვნელად. ვიდრე ჩამოვკიდებდით, ქვებით ჩავქოლეთ, მანამდე კი მისი გამხეცებული ძაღლი, რომელმაც ოთხ მოქალაქეს წელები გად-მოაყრევინა, შვიდი ჯარისკაცი კი საშინლად დაკბინა, ტყვიებით დავც-ხრილეთ. ხალხმა კაციჭამიას სამყოფელი იერიშით აიღო. ფანჯრებიდ-ან ქუჩაში ერთი მეორის მიყოლებით გადმოყარეს ორასზე მეტი ახალ-

თახალი ჟილეთი, ჯერაც ჩაუცმელი სამი ათასი წყვილი იტალიური ფეხსაცმელი. ჩემო გენერალო, აი თურმე რაში ხარჯავდა სახელმწიფო ფულს. ასევე გარდენიების კოლოფები, მას ხომ მუდამ ცოცხალი გარდენია ჰქონდა გარჯობილი ღილკილოში, საკუთარი ხელით დაწერილი შესაბამისი სამოქმედო პარტიტურა. სარდაფებიდან პატიმრები გამოყარეს და ცეცხლს მისცეს ჰოლანდიელთა ყოფილი საგიჟეთის წამების საკნები, თან ყვიროდნენ, გაუმარჯოს გენერალს, გაუმარჯოს მაჩოს, მან აგვიხილა თვალი, მან გვითხრა სიმართლე. აქამდე ყველა ირწმუნებოდა, ჩემო გენერალო, რომ თქვენ არაფერი იცოდით, რომ თქვენი მიმნდობი ხასიათით უშიშროების სამსახურის ბევრმა მუშაკმა ისარგებლა. მაგრამ ხალხის რისხვას ვერსად გაექცნენ. თქვენი ბრძანების თანახმად მწვალებლებს მოეხსნათ ყოველგვარი დაცვა, რათა ხალხს მისცემოდა საშუალება ვირთხებივით დაეჭირათ და ამდენი სისხლისა და ტერორისთვის ჯავრი ეყარა მათზე. გენერალსაც ეს უნდოდა. იგი ძალზე ააღელვა ბარების საბეიმო გუგუნმა, ააღელვა სიმღერებმა თავისუფლებამ და დე არმას მოედანზე შეკრებილი მაღლიერი ხალხის სიხარულით აღსავსე შეძახილებმა — ღმერთი ფარავდეს უდიდესს უდიდესთა შორის, მან გვიხსნა ტერორის საშინელებისგან. ეს შეძახილები და ტრანსპარანტები გადაღძუებულმა გენერალმა წარსული დიდების ეფემერულ გამოძახილად აღიქვა, სასწრაფოდ შეკრიბა ის ოფიცრები, რომლებიც დაეხმარნენ, კატორღელის ბორკილებიდან გამოეხსნა თავისი უფლებები და მკერდზე თითის დადებით ჩამოურიგა ყველას მაღალი წოდებები. სამხედროების სათავეში მისი მოთამაშლებული რეჟიმისთვის ახალი და ალბათ უკანასკნელი მთავარსარდლები მოიყვანა. მათ შეცვალეს ლეტისია ნასარენოსა და მისი შვილის მკვლელი სამხედრო ჩინოსნები, რომლებიც ის იყო საცვლებისამარა აპირებდნენ ერთ-ერთ საელჩოში შეღწევას პოლიტიკური თავშესაფრის სათხოვნელად, რომ ზედ ჭიშკართან შეიპყრეს ყველანი. ბებერმა ვერც ერთი ვერ იცნო, ვერც გვარ-სახელები გაიხსენა მათი, რაც მთავარია, საკუთარ გულში ვერ მოიძია მათ მიმართ თუნდაც იოტისოდენა ღვარძლი და სიძულვილი. არადა, ეგონა, სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვებოდა ეს გრძნობა. ერთადერთი, რაც შემორჩენოდა, ეს იყო ფერფლწაყრილი შეურაცხყოფილი პატივმოყვარეობა, რომლის გაღვივება აღარც ღირდა. ამიტომაც ბრძანა, აქედან წაეთრიონ. ისინი პირველსავე გემზე დასვეს და გაუშვეს მოუსავლეთსა და დავიწყებაში. ახალი მთავრობის პირველ სხდომას რომ ატარებდა, გრძნობდა, ახალი საუკუნის ახალი თაობის ეს ვითომდა შერჩეული ეგზემპლარები იგივე ძველი დროის სამოქალაქო მინისტრები იყვნენ, მტვრიან სერთუკებში მათსავით ჰქონდათ ჩამალული დამპალი შიგნეული. განსხვავება მხო-

ოლოდ ის იყო, რომ ახლები უფრო პატივმოყვარენი, უფრო მორჩილნი, უფრო მხდალნი და უმაქნისნი იყვნენ, ვიდრე მათი წინაპრები. ყელამდე საგარეო ვალებში ჩაფლულ ქვეყანას მართლაც რომ ვალი უფრო მეტი ჰქონდა, ვიდრე ერთად აღებული ეს მწუხარების სამეფო იყო თავის უძრავ-მოძრავი, გასაყიდ თუ გაუყიდავ ქონებიანად. ჩემო გენერალო, ერთადერთი მატარებელი ზეგანზე რკინიგზის ლიანდაგს აცდა და ბუჩქებით ამოვსებულ ხრამში ჩაიჩეხა. მის რბილ სავარძლებზე იაგუარები თვლემენ, ჩემო გენერალო, ძველთაძველ ბორბლებიანი გემის ნამსხვრევებს დაჭაობებულ ბრინჯის ყანებში აქა-იქ ამოუშვერიათ თავი, ხოლო წერილები, ამ გემს რომ მოჰქონდა, ფოსტის ტომრებში ჩამპალან. პრეზიდენტის კაიუტის მთვარის სარკვეებში ორი ზღვის ძროხა ამოდ ჯახირობს მშვენიერი სირინოზის ჩასასახავად. თქვენს გარდა ყველამ ყველაფერი ვიცოდით, ჩემო გენერალო. რა თქმა უნდა, თქვენ დაიჯერეთ ე. წ. პროგრესი წესრიგის დამყარების საქმეში, მაგრამ რა თქვენი ბრალია, თუ რეალურ სამყაროსთან მხოლოდ ერთი სამთავრობო გაზეთი გაკავშირებდათ. ის გაზეთი პირადად თქვენთვის იბეჭდებოდა ერთ ეგზემპლარად. იბეჭდებოდა თქვენთვის სასიამოვნო ამბები, ფოტოები და მაცდუნებელი სარეკლამო განცხადებები, რომელთა მეშვეობითაც თავს აღწევდით ყოველდღიურ მოსაწყენ, მომთენთავ სიესტებს. რა ვქნა, მჯეროდა, ნამდვილად მჯეროდა მანამ, სანამ ერთ მშვენიერ დღეს საკუთარი თვალით არ ვიხილე ის, რაც ვიხილე. მრავალსართულიან შუშის სამინისტროებს ბორცვებზე შეფენილი ბანგთა უბადრუკი ჭყეტელა ქოხმახები მიემალა. ლამის ზღვამდე გადაჭიმულ პალმების ხეივანსა და რომანული სტილის სახლებს უკან ჩვენში გავრცელებული ერთ-ერთი გრიგალის მიერ იავარქმნილი კვარტალები მიკუჭულიყვნენ. რკინიგზის ლიანდაგის გაყოლებაზე ქოთნებიანი ყვავილები ჩაემწკრივებინათ, რათა ვაგონის ფანჯრიდან პრეზიდენტს თავისი ქვეყანა აკვარელით დახატული და თვალწარმტაცი მოჩვენებოდა. უხსოვარ დროში დედამისი, ბენდისიონ ალვარადოც ხომ აკვარელის საღებავით აფერადებდა უსახურ ჩიტებს. მხოლოდ მისი გულის მოსაგებად როდი ატყუებდნენ ბერიკაცს, როგორც ოდესღაც კეთილი გენერალი როდრიგო დე ავილარი ატყუებდა, არც ზედმეტი უსიამოვნების თავიდან ასაცილებლად ატყუებდნენ მას ლეტისია ნასარენოსავით, ვისაც უფრო სიბრალული ამოძრავებდა, ვიდრე სიყვარული. ატყუებდნენ, რათა საკუთარი ძალაუფლების მარადიული ტყვე გამხდარიყო. მართლაც ასე მოხდა, ბებრულ მარამში ღრმად ჩაფლული თავის ეზოში სეიბის ჩრდილქვეშ ჰამაკში ატარებდა მთელ დროს. ირგვლივ მხოლოდ სიცრუე და ილუზია მეფობდა. სიცრუე იყო მოსწავლე გოგონათა სიმღერა ლიმონის მწვანე ხეზე შემომჯდარ ჩიტუნაზე. ეშმ-

აკმა დალახვროს, ირგვლივ ყველაფერი არარეალური ყოფილა თურმე. იგი შეეცადა აღარაფერზე ეფიქრა, შეგუებოდა სინამდვილეს. სასწრაფოდ გასცა ბრძანება ქინაქინისა და სხვა წამლების სამამულო წარმოების აღდგენის შესახებ, მაგრამ სწორედ რომ სინამდვილემ გააოცა, არ ელოდა, ასე თუ შეიცვლებოდა ქვეყანა, თანაც მის დაუკითხავად. გენერალო, სადღაა ქინაქინის ხეები, სადღაა კაკაო, სადღაა ინდიგო, არსად აღარაფერია, მხოლოდ თქვენი ქონება, აურაცხელი სიმდიდრეა შემორჩენილი და იმასაც უმაქნისობა ელოდება. ის არ დაბნეულა, მაშინვე შეუთვალა ბებერ ელჩს რაუქსბერის მობრძანდით ჩემთან, იქნებ დომინოს თამაშის დროს გამოვძებნოთ ქვეყნის გადარჩენის გზაო, მაგრამ მობრძანებულმა ელჩმა მისივე სტილში უპასუხა, არაფერი გამოგივათ, თქვენო კეთილშობილებავ, თქვენი ქვეყანა გახვრეტილ გროშადაც არ ღირს, რა თქმა უნდა, ზღვის გამოკლებით თქვენი ზღვა ისეთი სუფთა და მადისაღმძვრელია, შეგიძლია ცეცხლი შეუნთო და თავისივე კრატერში მოხარშო ზღვის ნიჟარების უგემრიელესი წვნიანი, რომელიც მთელს დედამიწას ეყოფა. ასე რომ, დაფიქრდით, თქვენო უდიდებულესობავ, ჩვენ მზად ვართ ზღვა მივიღოთ იმ ვალის სანაცვლოდ, რის გადახდასაც ვერ შესძლებს თუნდაც თქვენაირ საქმიან ადამიანთა ასი თაობაც კი. მაგრამ გენერალს ელჩის სიტყვები ვითომც არ გაეგოს, თავაზიანად მიაცილა კიბემდე. დედაჩემო, ბენდისონ ალვარადო, ნეტავ იცოდე, რა ველურები არიან ეს გრინგოები, ლამის გადაყლაპონ მთელი ზღვა, სხვა არაფრის გაგონება არ სურთ. გამომშვიდობებისას ჩვეულებისამებრ მხარზე დაუტყაპუნა ხელი და კვლავ მარტო დარჩა საკუთარ თავთან, კვლავ გზააბნეული აფარფატდა ზეგანის ილუმბორულ ღრუბლებში. დე არმას მოედანი დაცარიელებულიყო, ხალხი აღარსად ჩანდა, თან წაეღოთ სამთავრობო ჩინოვნიკების მიერ შეჩენიებული სამომავლოდ და საერთოდ, ყოველთვის გამოსადეგი პლაკატები და ლოზუნგები. როგორც კი ჯარისკაცებმა ოვაციიდან ოვაციამდე უფასო საჭმელ-სასმელის დარიგება შეწყვიტეს, ხალხი მაშინვე დაიშალა. დაცარიელდა მოედანიც და სასახლეც, თუმცა მან ბრძანა, ალაყაფის კარი არ ჩაეკეტათ, რათა ყველა მსურველს წინანდელივით შეძლებოდა იქ შესვლა. წინათ კი ეს სახლი მართლაც რომ ცოცხლებისა იყო და არა მკვდრების, მაგრამ მთლად მარტოსულიც არ ეთქმოდა ახლა გენერალს. დაბრუნდნენ მისი კეთროვნები, ხეიბრები, უსინათლონი, რომლებიც წლობით ცხოვრობდნენ სასახლის კედლებთან და რომლებსაც იერუსალიმის კარიბჭესთან მზეს მიფიცხებული დემეტრიო აღდღოუსი ცხადად ხედავდა, როგორ ბრუნდებოდნენ ისინი გატანჯულები, მაგრამ გადარჩენილები და იმედით აღსავსენი, რომ ადრე თუ გვიან კვლავ მოვიდოდნენ აქ, კვლავ მიიღებდნენ

მკურნავ მარილს იმ კაცის ხელიდან, ვინც ბევრი გაჭირვება ნახა ცხოვრებაში, ვინც უთვალავჯერ აიცდინა ვერაგულად დაგებული დავიწყების მახე, ვინც სულით გაუტეხელი დარჩა, რადგან უკვდავი იყო. მან კვლავ ერთად იხილა მთელი ეს საძმო. ის იყო ჩვეულებისამებრ დაესწრო დილის წველას და სასახლეში დაბრუნდა, რომ ეზო გადაჭედილი დახვდა სნეული ადამიანებით, აქა-იქ ცეცხლიც გაეჩაღებინათ აგურებშემოწყობილ სახელდახელოდ გამართულ კერიაზე და თუნუქის კოლოფებში საჭმლის ნარჩენებს ხარშავდნენ. ზოგიც სურნელოვანი ვარდის ძირას გულზე ხელებგადაჯვარედინებული მიწოლილიყო თავისივე წყლულების შხამიანი სიბინძურით ალაგ-ალაგ ამოჭმულ ჭილოფებზე. ბრძანა, ნამდვილი კერია გაემართათ მათთვის, ჭილოფებიც ეყიდათ და პატიოს განაპირას დაედგათ პალმის ტოტებისგან შეკრული ქოხები, რათა სასახლეში აღარ შეედგათ ფეხი, მაგრამ დღე არ იყო, სასტუმრო დარბაზში სპარსულ ნოხზე დაგდებული ერთი-ორი კეთროვანი არ ენახათ, ან რომელიმე უსინათლო არ შებორიალებულიყო მეფურ საძინებელში, ან რომელიმე ხეიბარი არ დაგორებულიყო სასახლის კიბებზე. ბრძანა, ყველა კარი საგულდაგულოდ ჩაეკეტათ, რათა სასახლის დარბაზებში შემოპარულ კეთროვნებს კედლებზე არ დაეტოვებინათ თავიანთი ჩირქიანი კვალი. კარბიტის სუნმა ხომ დაახრჩო, სანიტარული სამსახურის თანამშრომლები ლამის ყოველდღე აფრქვევდნენ მთელს სასახლეში. ისინი მაინც ახერხებდნენ შენობაში შეპარვას, რადგან სულში ჰქონდათ გამჯდარი უძველესი ველური რწმენა ყოვლისმკურნავი სასწაულმოქმედი ძალისა, რომელსაც ეს ბერიკაცი ფლობდა. თავად ბერიკაცი კი მთვარეულივით დაბორიალობდა საკუთარი მეხსიერების ჩასქელებულ ბურუსში, ხელისცეცებით ეძებდა კედლის ხვრელებში ჩაჩურთულ ჩანაწერებს. ჰამაკი არასოდეს ავიწყდებოდა, ჩაწვებოდა თუ არა, მაშინვე ახალ ელჩ ფიშერზე აეკვიატებოდა ფიქრი, ნამდვილად გულს მიწყალებს, როგორმე უნდა მოვიშორო, ჩამცივებია, გინდა თუ არა გამოაცხადე, ვითომ ქვეყანაში ყვითელი ციებ-ცხელების ეპიდემიაა მოსალოდნელი. სინამდვილეში მაგას საკუთარი სადარდებელი აწუხებს, თავისი საზღვაო ქვეითების გადმოსხმა სურს ჩვენს მიწაზე ვითომდა ურთიერთდახმარების ხელშეკრულების პირობისამებრ, თანაც განსაზღვრული ვადით, იმ ვადით, რამდენიც დასჭირდება ჩვენი სულთმობრძავი ქვეყნის წელში გამართვას. ბერიკაცი თავს იტეხდა ფიქრით, რით ვუშველო საქმესო და გაახსენდა, თავისი რეჟიმის ის პირველი წლები, როცა ვითომ ეპიდემია ემუქრებოდა ქვეყანას. მაშინ მან საკუთარ თავზე აიღო პასუხისმგებლობა, საგანგებო უფლებებით აღიჭურვა და სინამდვილეში სახალხო მღელვარების სერიოზული საფრთხის თავიდან ასაცილებლად ქვეყანაში სამხედრო

წესები შემოიღო, ოღონდ ციებ-ცხელების ეპიდემიის ნაცვლად ჭირის ეპიდემია გამოაცხადა. შუქურაზე ყვითელი ალაში აღმართეს, პორტი ჩაკეტეს, კვირა დღეები გააუქმეს, მიცვალებულთა საჯარო პანაშვიდები და სამგლოვიარო მარშები აკრძალეს. შეიარაღებულ ძალებს პრეზიდენტისგან მინიჭებული ჰქონდათ უფლება საკუთარი შეხედულებისამებრ მოქცეოდნენ ავადმყოფებს. სანიტრის სამკლავურიანი ჯარისკაცები საჯაროდ სჯიდნენ სხვადასხვა მდგომარეობის ხალხს, წითელ წრეს იმ სახლის კარს ახატავდნენ, რომლის პატრონიც შემჩნეული იყო როგორც რეჟიმის მიმართ უკმაყოფილო პირი. წვრილ-წვრილ დამნაშავეებს, ლესბიანელ ქალებსა და ნარკომანებს შუბლზე ნიშანს ადებდნენ პირუტყვივით. ელჩი მიტჩელი თავის სანიტარულ სამსახურთან ერთად სასწრაფოდ შეუდგა სასახლის ბინადართა ჭირის საწინააღმდეგო გამოკვლევა-მკურნალობას. მისიის წევრები უდღეურების განავალს იღებდნენ იატაკიდან და ლუპით ჩაკირკიტებდნენ, თავიანთი ჭკუით ანალიზს აკეთებდნენ, წყლიან ჭურჭელში სადებინფექციო აბებს ყრიდნენ, სამეცნიერო ლაბორატორიის ცხოველებს რაღაც საშინელ სალაფავს აჭმევდნენ, ბებერი გენერალი კი ამ დროს სიცილით კვდებოდა და თარჯიმნის დახმარებით მიმართავდა მათ, მისტერებო, თავს ნუ ისულელებთ, თქვენს გარდა აქ სხვა ჭირი ნამდვილად არ არის. ისინი კი პასუხობდნენ, გემოდან გვაქვს ნაბრძანები, რომ არის და თუ არ არის, უნდა იყოსო. რაღაც თაფლისმაგვარი მალამო მოამზადეს, სქელი და მწვანე. თავით ფეხებამდე თითხნიდნენ ამ სისაძაგლით სასახლის ყველა ბინადარს, ვინც არ უნდა ყოფილიყო. სახებზე არც უყურებდნენ, მდაბიო იქნებოდა თუ დიდებული, პრეზიდენტთან მიღებისას განსაზღვრული მანძილის დაცვა ევალებოდა. ის იჯდა დარბაზის შორეულ კუთხეში, სადაც მოსულის მხოლოდ ხმა აღწევდა და არამც და არამც სუნთქვა, ამიტომაც ლამის ხმის ჩახლეჩამდე იხილავდა საქმეებს ტიტლიკანა უმაღლეს ჩინოსნებთან, რომლებიც ზღურბლთან იდგნენ და ერთ ხელს რომ მისკენ იწვდიდნენ, თქვენო უდიდებულესობავო, მეორეთი ცდილობდნენ დაეფარათ თავიანთი უსასოოდ დაკიდული, საძაგელი მალამოთი გათხიპნილი მტრედები. აი, ასე ფრთხილობდნენ, ჭირი არ შეჰყროდა იმ ადამიანს, ვინც უძილობის ჟამს მოიგონა ეს ავადმყოფობა. მოიგონა და გათვალა კიდევ ძირისძირობამდე, რა უნდა მოჰყოლოდა ამ მოგონილს. ისეთი ხმები დაყარა, რომ ხალხმა დაიჯერა აპოკალიფსური წინასწარმეტყველება. მან მშვენივრად იცოდა, რაც უფრო უვიცი და ბნელია ხალხი, მით უფრო მშვიშარაა. წარბი არ შეურხევია, როცა ერთ-ერთმა ადიუტანტმა მოახსენა, ჩემო გენერალო, ჭირისგან გამოწვეული სიკვდილიანობა მოქალაქეებში ძალზე დიდიაო. კარეტის დაბინდული შუშიდან დაინახა უკაცრიელ ქუჩებში

მისი ბრძანებით შეჩერებული დრო, უსიცოცხლოდ გაკიდული ყვითელი ალმები, დაინახა იმ სახლების დაგმანული კარებიც, წითელი წრეებით რომ არ იყო აღნიშნული. დაინახა აივნებზე მობობლიაღე გამძლარი ორბები და უთვალავზე უთვალავი დახოცილი ადამიანი. ისინი მორებივით ეყარნენ ბინძურ გუბებში, მზით განახინახებულ ტერასებზე, ბოსტნეულთან ერთად ლპებოდნენ ბაზრის დახლებზე. არავინ იცის, რამდენი იყო, ყოველ შემთხვევაში, უფრო მეტი, ვიდრე მას სურდა ენახა თავისი მტრების ურდოში. ძაღლებივით ყრიდნენ სანაგვეებში, ქუჩებში ცხადად იგრძნობოდა ჭლექისა და მართლა შავი ჭირის მძაფრი სუნი, მაგრამ არც შეტოკებულა, არავის მუდარა არ შეუსმენია, შეჩერებინა ეს უბედურება მანამ, სანამ ქვეყანაში გამეფებული ვითარებისა და ძალაუფლების სრულ ბატონ-პატრონად არ იგრძნო თავი. სწორედ მაშინ, როცა თითქოს ადამიანი კი არა, მამაბეციერიც ვეღარ შეაჩერებდა ამ დაუსრულებელ სიკვდილიანობას, ქუჩებში უცხო კარეტა შევამჩნიეთ. ვერავინ იგრძნო ამ ხავერდგამოკრული კარეტიდან წამოსული უმაღლესი ძალაუფლების სუსხი. პატარა სარკმლის მიღმა დავინახეთ უსიცოცხლო თვალები, გაცრეცილი ტუჩები და თეთრხელთათმანიანი ხელი, რომელიც გზადაგზა მარილს აპნევდა. ეროვნული დროშის ფერებად გადაღებილი მატარებელი გზას მიიკვლევდა გარდენიების ბუჩქებში, ლეოპარდებს აფრთხობდა და თითქოს კლანჭებივით ჩაჭიდებიაო, გაჭირვებით მიბობლავდა ზეგანის მიფარებულ პროვინციების ლავგარდანებზე. აქაც, ერთადერთი ვაგონის ფანჯარაში დავინახეთ უსიცოცხლო თვალები, ტანჯული სახე და იგივე ხელი, რომელიც მარილს აპნევდა თავისი ბავშვობის უსიცოცხლო უდაბნოში. ხისბორბლიანი ორთქლის გემი ქიმერულ პიანოლაზე აჟღერებულ მაზურკის რიტმზე მოხერხებულად მიიკვლევდა გზას რიფებში, ქვიშიან მეჩეჩებსა და ტროპიკულ ტყეში, სადაც გაზაფხულის წყალმოვარდნის დრაკონს ულმობლად მიელეწ-მოელეწა ხეები. კაიუტის ილუმინატორში დავინახეთ დაისივით მიმქრალი თვალები, უფერული ტუჩები და ხელი, რომელიც მარილს აპნევდა გვალვისგან გადაძმარ სოფლებში. ვინც ამ მარილს იგემებდა ან ალოკავდა მარილმოპნეულ მიწას, წამსვე იკურნებოდა ყოველგვარი სნებისგან და თავისუფლდებოდა ავი თვალისგანაც. ახლა, როცა იგი უკვე თავისი ცხოვრების შემოდგომისაკენ მიექანებოდა, არც გაჰკვირვებია, პოლიტიკური ციებ-ცხელების ძველი ნაცადი საბაბით ახალი ოკუპაციის წამოწყებას რომ ურჩევდნენ ზოგიერთები. საზღვაო ქვეითები დავაბრუნოთ, გენერალო, მოგვაშველონ პესტიციდების მფრქვევი მანქანები, მოვიდნენ და მოგვიტანონ თეთრი საავადმყოფოები, ახასხასებული მოლითა და მბრუნავი შადრევნებით. დაე ამ საავადმყოფოებში უმკურნალონ. გამოაჯანმრთელ-

ონ და ას წლამდე გაუხანგრძლივონ სიცოცხლე ადამიანებს, სამაგიეროდ წაიღონ რაც მოესურვებათ, უჩიჩინებდნენ უტვინო მინისტრები, ის კი მანამდე იდგა უარზე და მანამდე ურახუნებდა მუშტს მაგიდაზე, სანამ ელჩმა მაკ-კუინმა არ შეუტია, ნეტავ რა თავს იფასებთ, თქვენო უდიდებულესობავ, მორჩა, რეჟიმს საყრდენს უმაგრებს არა დაპირებები, არა კონფორმიზმი და, მით უმეტეს, არა ტერორი, არამედ ძველი ინერცია. გადით ქუჩაში და შეხედეთ სიმართლეს თვალებში, სხვა გზა არ გაქვთ, ან თქვენ დააბრუნებთ საზღვაო ქვეითებს ან ჩვენ წავიღებთ ზღვას. სხვა გზა არ გაქვთო, დედა, აპრილში წაგვგლიჯეს კარიბის ზღვა, ელჩ ევინგის ინჟინრებმა ზღვა ნაწილებად დაჰყვეს და თითოეული ნაწილი დანომრეს, რათა ჩვენი გრიგალებიდან შორს, არიზონას ცის ქვეშ არ გასჭირვებოდათ მისი აწყობა. წაიღეს ზღვა, ჩემო გენერალო, წაიღეს თავისი სიმდიდრიანად, ჩვენი ქალაქების ანარეკლებიანად, ჩვენი შერევილი წყალდიდობებიანად და დამხრჩვალეებიანად. ამ გაუგონარი ძარცვის წინააღმდეგ ხალხის ასამხედრებლად თავისი დახვეწილი ეშმაკობის უმდიდრესი რეგისტრის რომელ კლავიშზეც არ უნდა დააჭიროს ახლა ხელი, სულერთია, ჩვენ უკვე ისე ვისწავლეთ ჭკუა, რომ, მორჩა, აღარასოდეს ავყვებით ხელისუფლების ხუშტურს, მორიგი მანევრის ჩატარების კიდევ ერთ მცდელობას. მაპატიეთ, ჩემო გენერალო, თქვენი არც მუქარისა შეშინებია ვინმეს, არც ძალისა, ქუჩაში არავინ გამოსულა. მოხდეს რაც მოსახდენია, წაიღონ ეს ოხერი ზღვა, ჯანდაბას მაგათი თავი, წაიღონ ეს სამშობლოც თავის სამფეროვანდროშიან-დრაკონიანად, ბოლოს და ბოლოს ასე გადავწყვიტეთ ჩვენ. როგორ არ გვიჩიჩინებდნენ სამხედროები, რას არ გვპირდებოდნენ, სამოქალაქო ტანსაცმელში გადაცმულები სახლებში გვაკითხავდნენ, ლამის გვემუდარებოდნენ, სამშობლოს სახელით გამოდით ქუჩაში, იყვირეთ, ძირს გრინგო, იქნებ ბოლო მოეღოს დღისით-მზისით ჩვენი ქვეყნის ძარცვასო, მაგრამ ჩვენ ვითომ არაფერი გვესმოდა. დაავიწყდათ, რომ მოგვიწოდებდნენ, უცხოელთა სახლები და მალაზიები დაარბიეთ, ცეცხლს მიეცითო, ფულსაც გვაჩეჩებდნენ, ნუ გეშინიათ, ჯარი თქვენს მხარეზეა, საპროტესტო აქცია მოაწყვეთ თავხედური აგრესიის წინააღმდეგო, მაგრამ არავინ გამოვიდა, ჩემო გენერალო, რადგან ყველას კარგად ახსოვს, სამხედროების ვითომ პატიოსან სიტყვას მერე რა მოსდევს. ბრბოში მიმოფანტული პროვოკატორები სროლას იწყებდნენ, სამხედროებს იღებდნენ მიზანში, დასჯით კი უდანაშაულო ხალხი ისჯებოდა. ასე რომ, ჩემო გენერალო, ამჯერად ხალხის იმედი ნულარ გექნებათ. ამის მერე რა უნდა მექნა, დედა, მე მარტოს დამედო ტვირთად ამ საქმის გადაწყვეტა, მეც ავდექი და ხელი მოვაწერე ზღვის გაყიდვის ხელშეკრულებას. ო, დედაჩემო, ბენდისიონ ალვარადო, შე-

ნზე უკეთ ვინ იცის, რომ სჯობს უზღვოდ დარჩე, ვიდრე დესანტის გადმოსხმას დაეთანხმო. ეგ ოხრები ათასნაირ უაზრო ბრძანებებს იგონებდნენ, მაიძულებდნენ ხელი მომეწერა ამ ბრძანებებზე. მათ გააპყდერასტეს მსახიობები, მოგვიტანეს ბიბლია და სიფილისი. ხალხს თავგზას უბნევდნენ, დედა, ცხოვრება იოლიაო, ფულს ყველაფერი შეუძლიაო, ზანგებს მყრალი სუნი ასდითო, ჩვენს ჯარისკაცებსაც ტვინს უხვრეტდნენ, სამშობლო იქ არის, სადაც ფული გაქვსო, ჯარისკაცის ღირსება ხელისუფლების გამოგონილია, ფულის მოცემა არ უნდათ თქვენთვის და იმიტომო. ჰოდა, ეს ყველაფერი კვლავ რომ აღარ განმეორებულიყო, უცხოელებს მე დავრთე ნება საკუთარი სურვილისამებრ ესარგებლათ ჩვენი ტერიტორიული წყლებით კაცობრიობის საკეთილდღოდ და ხალხთა შორის მშვიდობისათვის. მან ჰაიჰარად გაასხვისა არა მარტო ფიზიკური წყალი, რომელიც მისი საძინებლის ფანჯრიდან ჰორიზონტამდე იყო გადჭიმული, არამედ მისი ფლორაც და ფაუნაც, მისი ქარების განრიგიც, ცვალებადი ამინდიც და მთელი ატმოსფერო უკანასკნელ მილიბარამდე. მაგრამ ამას თუ გააკეთებდნენ, ვერასოდეს წარმოვიდგენდი. უზარმაზარი დგუშებით ამოხაპეს რაბებით წინასწარ დატიხრული და ჭადრაკის დაფასავით დაყოფილ-დანომრილი ჩემი ბებერი ზღვა, გააშიშვლეს ფსკერზე მიმოფანტული ჩამქრალი ვულკანები, გამოაჩინეს ერთ-ერთის კრატერში ჩაძირული უძველესი ქალაქის სანტა მარია დელ დარიენის ნანგრევები და ყველა ზღვისა და ოკეანის უდიდესი ადმირალის საფლაგმანო ხომალდიც, ზუსტად ისეთი, ჩემი ფანჯრიდან რომ ვხედავდი მარჯნებში გახლართულს. დედა, ჭურვებმა მარჯნები მანამდე ამოყარეს ძირფესვიანად, სანამ ისტორიული ჩაძირვისათვის სათანადო პატივის მიგების ბრძანება გაიცემოდა. წაიღეს ყველაფერი, რაც მისი ომების აზრსა და მისივე ძალაუფლების საფუძველს წარმოადგენდა, დატოვეს მხოლოდ მტვრიანი უდაბნო, რომელიც მთვარის ზედაპირს უფრო ჰგავდა, ვიდრე ზღვის ფსკერს, რამდენჯერ შეუვლია თვალი მისთვის ფანჯრებთან გავლისას, რამდენჯერ ამოუკვნესია გულდამძიმებულს, დედაჩემო, ბენდისიონ ალვარადო, მომეხმარე, გამინათე გონება შენი სიბრძნის შუქით. რამდენჯერ გაღვიძებია შიშით დაზაფრულს, სამშობლოსათვის დაღუპული მებრძოლები საფლავებიდან წამოდგებიან და პასუხს მომთხოვენ გაყიდული ზღვისათვის. ცხადად ესმოდა, როგორ მოცოცავდნენ სამარის კედლებზე, მათი დაგუდული ხმებიც ესმოდა. ეჩვენებოდა, გასაღების ჭურჭრუტანიდან უთვალთვალებდნენ, გაოცებულები აყოლებდნენ თვალს მის უზარმაზარ ფეხებს, პირქუში სასახლის ჭაობში რომ ეფლობოდნენ. ოთახში ბოლთას სცემდა და თან დასდევდა ქარის მანქანიდან მონაბერი პასატები და მისტრალები. ეს მანქანა ელჩმა ებერჰარტმა აჩ-

უქა გამქრალი ზღვის ქარების სანაცვლოდ. იგი ხედავდა კლდის თავზე გადმოფენილ ობოლ შუქს, რომელიც დამსობილ დიქტატორთა თავშესაფრიდან გამოდიოდა. მაგათ რა უჭირთ, ღორებივით დასკდნენ და დაიძინეს, მე ვიკითხო, რომ ვიტანჯები აქ. რატომღაც დედამისი, ბენდისიონ ალვარადო გაახსენდა, მომაკვდავიც კი ჯანმრთელი ადამიანივით ხვრინავდა, გაახსენდა, რა მშვიდად ეძინა საბრალო ჩიტების გამყიდველს განათებულ ოთახში სიკვდილის წინაც კი. რა ბედნიერი იყო მძინარე დედა, რომელსაც არასოდეს შეშინებია ჭირისა, არ შეშინებია სიყვარულისა, არ შეშინებია სიკვდილისა. სამაგიეროდ თვითონ ისე იყო ძალაგამოცლილი და დაზაფრული, რომ უზღვო შუქურას ციმციმმა გონება აუშლვრია, მოეჩვენა, მიცვალებულები მოიჩვენდნენ საფლავებიდან. შუქურას მოძრავ შუქზე ხედავდა ფანტასტიკურ ციცინათელებს — მოციმციმე მტვერს, ეგონა, მიცვალებულთა ძვლების მანათობელ მტვერს ვხედავო და შიშით ატანილმა იღრიალა, შუქურა გამორთეთო. შუქურაც წამსვე ჩაქრა. ბრძანა, ყველა კარ-ფანჯარა საგულდაგულოდ დაეგმანათ, პატარა ნასვრეტიც კი არ დაეტოვებინათ ამოუქოლავი, რათა სიკვდილით გაჯერებული ღამეული ჰაერის თუნდაც პაწაწკინტელა ატომსაც კი არ შეეღწია შენობაში. იჯდა წყვდიადში მარტო, სული ეხუთებოდა უჰაერობით, ცდილობდა სარკვეებისკენ არ გაეხედა, მართალია, მათ ვერ ხედავდა, მაგრამ გრძნობდა, ოთახში მარტო არ იყო. შეშინებული აბორიალდა ოთახში, ზღვის კრატერზე ფლოქვების თქარათქური მოესმა. ეს — მთვარე ამოდიოდა ცაზე გაცრეცილი და საშინელი. მოაშორეთ აქაურობას, დაიყვირა მან, ვარსკვლავებიც ჩააქრეთ, ეშმაკმა წაგიღოთ, ღმერთის სახელით გიბრძანებთ, მაგრამ მის ძახილს არავინ გამოჰასუხებია, არც არავის გაუგონია გარდა ძველ კაბინეტებში მძინარე ხეიბრებისა, კიბეებზე მთვლემარე უსინათლოებისა და ცვარნამში დასველებული კეთროვნებისა, რომლებიც სულ ცოტა ხნის წინ თავიანთ პატრონს პირდაპირ ფეხებში უვარდებოდნენ, შენი ხელშენავლები მარილი გვიწყალობეო. ეი, თქვენ, ურწმუნონო, მძღნერო კერპთაყვანისმცემლებო, იყო დრო, ის რომ თავსა და წყლულებზე შეგვახებდა თავის გონიერსა და ყოვლისშემძლე ხელს, მაშინვე ვიკურნებოდით სულითაც და ხორციტაც, სიცოცხლის წყურვილი გვემატებოდა. რამდენ უსინათლოს აუხილა თვალი, მართალია, ისევ დაბრმავებულან, მაგრამ ამჯერად ვარდების შუქით. რამდენ ხეიბარს აადგმევინა ფეხი, თუნდაც აი, ჩემი კანი ნახეთ, ჩვილის კანივით სუფთაა და გლუვი, სულ ცოტა ხნის წინ კი წყლულებით იყო დაფარული. ნახეთ, დილის ლილიების სურნელი ასდის. მთელი ქვეყნის ბაზრები მოვიარე, მინდოდა ყველასათვის მეჩვენებინა ჩემი კანი, მინდოდა, ურწმუნოებს ენა ჩავარდნოდათ, გარყვნილები გაფრხილებულიყვნენ.

აი ასე დადიოდნენ ეს ადამიანები ქალაქიდან სოფელში, სოფლიდან ქალაქში, დღესასწაულებზე თუ სამგლოვიარო პროცესიებზე, რათა ყველასათვის ემცნოთ ეს სასწაული, და არა მარტო ემცნოთ, ერწმუნათ და შიშიც ჰქონოდათ მისი. მაგრამ აღარავის სჯეროდა ამ ადამიანებისა, ვფიქრობდით, ალბათ ეს ის ხალხია, წინათ სასახლის ბრძანებებს სოფელ-ქალაქებში რომ ავრცელებდნენ-თქო. ახლაც წელებზე ფეხებს იდგამდნენ ჩვენს გასაცურებლად, იქნებ ამ ერთხელაც დავაჯეროთ ეს რეგვენი ხალხი ჩვენი ბებერი გენერლის ყოვლისშემძლეობაში, ის ხომ კეთროვნებს ჰკურნავს, ბრძმებს თვალის ჩინს უბრუნებს, ხეიბრებს ფეხს ადგმევინებს და საერთოდ, ის რომ რეალურად არსებობსო. მისი პირადი ბრძანებით სამთავრობო დაცვა შეიცვალა ახალწვეულთა პატრულით, თუმცა სახელმწიფო საბჭოს წევრები სხვა აზრისა გახლდნენ. პირიქით, გენერალო, დაცვა უსათუოდ უნდა გავაძლიეროთ სულ ცოტა ერთი მსროლელთა რაზმით მაინც. ის კი ჯიუტად გაიძახოდა, ნეტავ ვის რაში სჭირდება ჩემი მოკვლა, ალბათ ისევ თქვენ, უმაქნისო მინისტრებო, და კიდევ თქვენ, ჩემო უსაქმურო მეთაურებო, მაგრამ სწორედ თქვენ ვერ გაბედავთ ჩემს მოკვლას, ძალიან კარგად იცით, მერე ერთმანეთს დაერევით, ერთმანეთს ამოხოცავთ. ერთი სიტყვით, მან თავისი გაიტანა და მხოლოდ ახალწვეულთა პატრული დაიტოვა ჩაწყვდიადებულ სახლში, სადაც ძროხები უბოდიშოდ მიდიოდნენ ვესტიბულიდან სახელმწიფო საბჭოს სხდომათა დარბაზამდე. ჩემო გენერალო, ყვავილნარიანი გობელენი და არქივი შემოეჭამათ. მაგრამ გენერალს არაფერი ესმოდა. ოქტომბრის ერთ საღამოს კოკისპირულად წვიმდა და ძროხამაც სასახლეს შეაფარა თავი. სწორედ მაშინ ნახა პირველად სასახლეში შემობოტებული ძროხა და ჯიკავჯიკავით ცდილობდა მის გაგდებას გარეთ, თან გულმოდგინედ იმეორებდა, ძროხა იწერება ძ-თი, იწერება ძ-თი. მეორეჯერაც წააწყდა ამ ძროხას, მაგიდის ლამპის ნაჭრის თაღფაქს გემრიელად ღეჭავდა. არადა, ოდესღაც, იმ კეთილმოსაგონარ დღეებში ამ ლამპის შუქი ლამაზად ეფინა აქაურობას. მან ხელი ჩაიქნია, ძროხის გამო არ ღირს ამდენი ჩასვლა-ამოსვლაო, და როცა დარბაზში ერთდროულად ორი ძროხა დაინახა, რომლებსაც ბურგზე ქათმები შესკუპებოდნენ და გულმოდგინედ აცლიდნენ ტკიპებს, ყურადღება არც მიუქცევია. იმ ხანებში ლამლამობით დროდადრო გემის ილუმინატორივით ფანჯრებში შუქი კრთებოდა და სასახლის კედელს მიღმა გვესმოდა რომელიღაც დიდი ცხოველის მძიმე ნაბიჯების ხმა. ეს ბებერი გენერალი დააბოტებდა გემის ფარნით ხელში, რათა ძროხებისთვის ლამის სათევი ადგილი მიეჩინა. ამასობაში საზოგადოებრივი ცხოვრება უმისოდ მიედინებოდა. რეჟიმის გაბეთებში თითქმის ყოველდღე იბეჭდებოდა სხვადასხვა საზ-

ეიმო მიღებებზე გადაღებული მისი ცრუ სურათები. მიღებების დონისა და მნიშვნელობის შესაბამისად მასაც სხვადასხვა დონისა და მნიშვნელობის მუნდირი ეცვა. რადიოში დაუსრულებლად გადმოსცემდნენ მის გამოსვლებს, რომლებსაც ეროვნულ დღესასწაულებზე წლების მანძილზე ვისმენდით ხოლმე. ის კვლავ ჩვენ გვერდით იყო, სასახლიდან გამოდიოდა, ეკლესიაში შედიოდა, ეძინა, სვამდა, ჭამდა, ყოველ შემთხვევაში ასე გვარწმუნებდნენ ფოტოსურათები, თუმცა მშვენივრად ვიცოდით, რომ იგი გვარიანად იყო მოთამაფალებული, ძლივს დაათრევდა თავის უცვეთელჩემებიან ფეხებს ასევე გვარიანად მოთამაფალებულ სასახლეში. მსახურებად სამი-ოთხი დენშიჩიკილა შემორჩენოდა. ისინი აჭმევდნენ და თაფლით ამარაგებდნენ. დენშიჩიკებმა ძროხები ძალისძალად გაყარეს სასახლიდან. პირუტყვმა თავდაყირა დააყენა გენერალური შტაბი, ფაიფურის მარშლები ნამსხვრევებად აქციეს იმ იდუმალ კაბინეტში, სადაც ნათელმხილველმა უწინასწარმეტყველა სიკვდილი, თუმცა რომელმა, მას აღარ ახსოვდა. დენშიჩიკები კართან ატუბულიყვნენ, ძილის წინ იქნებ რამე მოისურვოს ბატონმაო, თან მოუთმენლად ელოდებოდნენ იმ წამს, როცა ბერიკაცი ბოლოს და ბოლოს ფარანს დაკიდებდა საძინებლის კართან, გააჩხაკუნებდა სამ გასაღებს, სამ ბოქლომს, სამ ურდულს და უზღვოუჭაერო ოთახის იატაკზე მოადენდა ზღართანს დასაძინებლად. დენშიჩიკები მხოლოდ ამის შემდეგ მიდიოდნენ სამორიგეო ოთახში პირველ სართულზე, დარწმუნებული იყვნენ ბებერი გენერალი დილაამდე იძინებდა, მაგრამ ის მალე იღვიძებდა და საკუთარ უძილობას თავად დარაჯობდა, უზარმაზარი ფეხებით დაალაჯებდა პირქუშ სასახლეში, არც ძროხების ცოხნა ესმოდა და არც ვიცე-მეფეთა ტანსაცმლის საკიდებზე შემომსხდარი ქათმების ქოთქოთი, ესმოდა მხოლოდ ღამეული ქარების სისინი წყვილიადში, გრძნობდა დროის სრბოლას წყვილიადში და ხედავდა დედას, ბენდისიონ ალვარადოს, კონად შეკრული მწვანე ტოტებით წყვილიადში მტვერს როგორ აცლიდა კორნელიუს ნეპოტის კიდებშერუჯულ ხელნაწერებს, ლივიუს ანდრონიკუსისა და სესილიო ესტატოს რიტორიკულ თხზულებებს, რომლებიც კინალამ ნაგავს გადააყოლეს ერთ იმ სისხლიან ღამეს, როცა ის შებრძანდა სახელისუფლო სახლში. ქუჩებში მაშინ ჯერ კიდევ უწევდნენ წინააღმდეგობას ცნობილი ლათინისტის გენერალ ლაუტარო მუნოსის, ღმერთმა აცხონოს, თავგებულად ულთა შეთხელებულ ბარიკადებზე. დედაშვილმა პატიოში ხანძრების შუქზე გაიკვლია გზა. ციებისაგან აძაგძაგებულმა შვილმა და ილლიაში ცოცხამოჩრილმა ქალმა, ვისაც მწვანე ტოტებისგან შეკრული ამ ცოცხის გარდა სხვა იარაღი არ გააჩნდა, განსწავლული პრეზიდენტის ლაუტარო მუნოსის პირადი დაცვის გვარდიელთა გვამებს გადააბიჯა

და რის ვაივავლახით შეაღწია სასახლეში. სიბნელეში აუყვანენ კიბეს, რომელიც ვესტიბულიდან სხდომათა დარბაზამდე მკვდარი ცხენებით იყო მოფენილი. პრეზიდენტის საჯინიბოს რჩეული ცხენები ვილაცას უღმობლად დაეხოცა. ირგვლივ დენთისა და ცხენების სისხლის ჩასქელებული სუნი იდგა. ჩვენ ვნახეთ შიშველი ფეხის სისხლიანი კვალი იატაკზე. კედლებიც ცხენების სისხლით იყო მოთხვრილი. ოდნავ მოშორებით სხდომათა დარბაზში ვნახეთ, სისხლისგან როგორ იცლებოდა გულში ხმალგარტობილი ფლორენციელი მზეთუნახავი. ეს იყო პრეზიდენტ მუნიოსის მეუღლე. იქვე ვნახეთ ტყვიით შუბლგანგმირული, მოსამართ თოჯინასავით გოგონა. ეს იყო პრეზიდენტ მუნიოსის ცხრა წლის შვილი. ვნახეთ გარიბალდელი კეისრის, თავად პრეზიდენტ ლაუტარო მუნიოსის გვამიც. ის იყო ყველაზე მოხერხებული და გონიერი იმ თოთხმეტ ფედერალისტ გენერალს შორის, მთელი თერთმეტი წელი სამკვდრო-სასიცოცხლოდ რომ ებრძოდნენ ერთმანეთს ხელისუფლებისათვის. ის იყო ერთადერთი გენერალი, ვინც გაბედა და ინგლისელ კონსულს საკუთარ ენაზე უთხრა არა. სწორედ ეს გახდა მიზეზი მისი თვითმკვლელობისა, ფეხშიშველი და თავგასისხლიანებული ეგდო იატაკზე, ხოლო სანამ თვითონ დაიხლიდა პირში ტყვიას, მანამდე ცოლს ხმლით მოუსწრაფა სიცოცხლე, შვილს კი ტყვია ესროლა შუბლში. შემდეგ ერთიმეორის მიყოლებით დახოცა ორმოცდაორი ანდალუზიური ცხენი, რათა ბრიტანელ ჯალათებს ცოცხალი არც ისინი ჩავარდნოდათ ხელში. მაშინ ინგლისელმა მაღალჩინოსანმა მუნიოსის გვამზე მანიშნა, ხედავ, გენერალო, რა ელოდება მას, ვინც ხელს აღმართავს თავის მამაზე. კარგად დაიმახსოვრე და გაიხსენე მაშინ, როცა ქვეყნის მმართველი გახდები. მაგრამ სანამ გავხდებოდი, ბევრი უძილო ღამე გადავიტანე, ლოდინით დავილიე, დედა. მერე როგორც იქნა, გამომაცხადეს სამი სახეობის ჯარის მთავარსარდლად და რესპუბლიკის პრეზიდენტად, თანაც იმდენი ხნით, რამდენიც დასჭირდებოდა ქვეყანაში წესრიგის აღდგენას და ეკონომიკის აღორძინებას. ერთი სიტყვით, სენატისა და დეპუტატთა პალატის თანხმობით აქა-იქ შემორჩენილმა ფედერალისტმა კაუდილიოებმა ინგლისელთა ესკადრონთან ერთად იმსჯელეს ამ საკითხზე, მოისმინეს, მიიღეს და დომინოს ქვებითაც დაამოწმეს, სწორედ იმ ქვებით, სადამოლობით კარგა ხანი რომ ერკინებოდა გენერალი კონსულ მაკ-დონეილს. პირველ ხანებში არც მე და არც არავის გვქონდა წარმატების იმედი. მართლაც, ვინ დაიჯერებდა, განსაკუთრებით იმ საშინელ ღამეს, რომ ის ქვეყანას გაუძღვებოდა. სხვა კი არა, დედამისი, ბენდისიონ ალვარადოც ისე მოკვდა, არც დაუჯერებია, მის შვილს თუ რაიმე სასიკეთოს გაკეთება შეეძლო, თანაც ამ ქაოსში სრულად ვერც გარკვეულიყო საიდან დაეწყო

საქმის კეთება ანუ ქვეყნის მართვა. დედა-შვილი ამაოდ ეძებდა ციების სამკურნალო ბალახის ერთ ღეროს მაინც ამ უავეჯო, გამოცარიელებულ სახლში. ფასეული აქ აღარაფერი დარჩენილიყო, კედლებზე მხოლოდ ბუზებისგან გაოხრებული ვიცე-მეფეთა და ან უკვე წარსულის მკვიდრ ესპანელ დამპყრობთა დროინდელი არქიებისკოპოსთა პორტრეტები დაეტოვებინათ, სხვა დანარჩენი ნელ-ნელა გაეზიდათ წინამორბედ პრეზიდენტებს. ის ადგილები, ოდესღაც გმირული ბრძოლების ამსახველი სურათებამოქარგული ხალიჩები რომ ეკიდა, კარგა ხანია მთელი კედელივით გამოხუნებულიყო. საძინებლები ყაზარმებივით აევსო ნაგავს. ყველაფერს ეტყობოდა მივიწყებული ისტორიული სასტიკი ბრძოლის კვალი და ერთი ღამის ილუზორული პრეზიდენტების მიერ სისხლიანი თითებით გაკეთებული წარწერები კედლებზე. ჭილოფის პატარა ნაგლეჯი რა არის, ისიც კი ვერსად ვიპოვეთ, რომ დავწოლილიყავი და ოფლი მომედინა. დედაჩემმა, ბენდისიონ ალგარადომ, ფანჯარას მტვრიანი ფარდა ჩამოგლიჯა, შიგ კარგად გამახვია და მთავარ კიბესთან კუთხეში მიმაწვინა, თვითონ კი მწვანე ტოტებისგან შეკრული ცოცხით იმ ოთახების დაგვას მოჰყვა, პრეზიდენტისთვის რომ იყო განკუთვნილი და ინგლისელებისთვის აღარაფერი დარჩენილიყო საკბილო. ოთახებს ჰგვიდა და თან ცოცხით იგერიებდა აბეზარ კაცებს, რომლებიც მის გაუპატიურებას ლამობდნენ ლამის ყოველ კარს უკან. ალიონამდე ალაგებდა იქაურობას, ალიონზე კი სულის მოსათქმელად ჩამოჯდა კიბეზე ხავერდის ფარდაგში გახვეული, ოფლში გაწუწული შვილის გვერდით ციებ-ცხელების შემოტევა ოდნავ მაინც რომ შეემსუბუქებინა, შვილს მშვიდად ებაასებოდა, ამ უწესრიგობას ყურადღებას ნუ მიაქცევ, იაფფასიანი ტყავგადაკრული სკამები ვიყიდოთ, ზედ ყვავილები და ცხოველები დავახატოთ, მე თვითონ დავხატავ, სტუმრებისთვის ჰამაკები შევიძინოთ. ასეთ სახლებში დიდი სტუმრიანობაა ყოველთვის, ვიყიდოთ დიდი სასადილო მაგიდა, რკინის დანაჩანგალი, ალუმინის მათლაფები, ჯარისკაცებს მეტი არც უნდათ, ვიყიდოთ ლამაზი სურა წყლისთვის, ნახშირის ღუმელი, რა თქმა უნდა, სახელმწიფოს ხარჯზე, დაამშვიდა ბოლოს შვილი, რომელიც არც უსმენდა. იღვიძებდა განთიადის თეთრ-წითელი ბალბა, თეთრი სხეული და წითელი სისხლი, რომელიც ამ სხეულს სულ ახლახან სდიოდა და ამ ორფეროვნებაში ცხადდებოდა სიმართლის იღუმალი არსი, იგი ერთი საცოდავი უსიყვარულო ბერიკაცია და მეტი არაფერი, კიბეზე მიწოლილა და აძაგძაგებულს ათასი ფიქრი უტრიალებს თავში. დედაჩემო, ბენდისიონ ალგარადო, ნუთუ ეს არის ძალაუფლება, ჩაძირული გემივით სახლი, დამწვარი ცხენის ხორცის სუნი, სულიერი სიცარიელე, ეს განთიადი, მსგავსი თორმეტი აგვისტოს განთიადისა, სახ-

ელისუფლო თარიღისა. ეს სად ოხრობაში ამოვყავით თავი, დედა. ეს იყო ატავური შიში იმ წყვილიადის წინაშე, მის დაუკითხავად რომ უახლოვდებოდა ქვეყნიერებას. მაგრამ მამლები კვლავინდებურად ხალისიანი ყოვილით ხვდებოდნენ განთიადს ზღვასთან, ინგლისელებიც ინგლისურად მღეროდნენ მხიარულ სიმღერებს, თუმცა გვამებს ერთ ადგილას აგროვებდნენ პატიოში. ამასობაში კი დედამისმა, ბენდისიონ ალვარადომ, საყიდლების ჩამოთვლის შემდეგ მშვიდად უთხრა, არაფერი ისე არ მადარდება, შვილო, არც საყიდლები და არც სამსახური, როგორც ეს აუარება ზეწარი. რა გარეცხავს ამდენ ზეწარს. უიმედობის ფსკერზე დაშვებულმა კაცმა თითქოს ფეხქვეშ მყარი მიწა იგრძნო, იქით დაუწყო დამშვიდება, ეგ ნუ გაფიქრებს, დედა, მშვიდად იძინე, ამ ქვეყანაში პრეზიდენტობა არავის უწერია დიდხანს, აგერ ნახავ, ორ კვირაში მეც მისვრიან აქედან. მარტო მაშინ როდი ფიქრობდა ასე, მთელი თავისი უხანგრძლივესი დესპოტური ცხოვრების მანძილზე თან სდევდა ეს შფოთიანი ფიქრი და რაც მეტს ფიქრობდა, მით მეტად რწმუნდებოდა, რომ ხელისუფალთ ორი დღეც კი არ ჰქონიათ ერთნაირი. ოთხშაბათობით სამუშაო ანგარიშით წარმდგარი პრემიერ-მინისტრი თავის რუტინულ მოხსენებაში, ალაგ-ალაგ რომ გამოურევდა სიმართლეს, პრეზიდენტს ეჭვის ჭია უღრღნიდა გულს, რაღაც მზაკვრული აქვს ჩაფიქრებული ჩემს ხელქვეითსო და ოდნავ გაღიმებული აწყვეტინებდა რატრატს, სიმართლეს ნუ მეუბნებით, ლიცენციატო, რისკსა სწევთ, ხომ შეიძლება დაგიჯეროთ. ამ ერთი ფრაზით იგი ცდილობდა გაეცამტვერებინა სახელმწიფო საბჭოს სტრატეგია, რომელიც მიზნად ისახავდა პრეზიდენტის თანხმობა და ხელმოწერა მიეღო უკლებლივ ყველაფერზე ყოველგვარი კითხვებისა და ჩაძიების გარეშე. არასოდეს მომჩვენებია იგი ასეთი გონიერი. ტყუილად ამბობდნენ, ოფიციალურ მიღებებზე უნებლიედ იფსამსო. ჩემი აზრით, რაც უფრო ექცეოდა სიბერის კლანჭებში, მით უფრო სასტიკი ხდებოდა იგი. ფლოსტებში ფეხებწაყოფილს, ცალ ყურზე ძაფმიმაგრებულ სათვალისანს, თითქოს ძალაც მომატებოდა, ალლოც გამძაფრებოდა და სწორედ ამიტომაც შეეძლო ქალაქების დასტიდან უშეცდომოდ ამოეღო ხელმოსაწერად საჭირო საბუთი. არც კითხულობდა, ჯანდაბას თქვენი თავი, ღიმილით ამბობდა ის, მაინც არაფრად აგდებთ ჩემს სიტყვას, მაგრამ, თქვენ წარმოიდგინეთ იმის ბრძანება მაინც გასცა, ხის დიდი ურდულით ჩაეკეტათ ვესტიბიულის კარები, რათა ძროხებს არ ებოღიალათ კიბეებზე. ერთხელაც ერთმა ძროხამ — ძროხა, ძროხა — მისი კაბინეტის ფანჯარაში შეჰყო თავი და საწერი მაგიდიდან, სამშობლოს ამ წმინდა საკურთხევლიდან ქალაქის ყვავილები დაითრია. ხომ გეუბნებოდით, ლიცენციატო, თქვა მან ღიმილით, ამ ქვეყანაში ამდენი უბედურება

იმიტომ ხდება, რომ მე არავინ მიჯერებს, ჩემს სიტყვას წონა აღარ აქვს-მეთქი. საოცარია პირდაპირ, ამ ხნის კაცს როგორ შემორჩა ასეთი ნათელი გონება. ელჩი კიპლინგი კი თავის აკრძალულ მემუარებში ირწმუნებოდა, საკუთარი თვალით ვნახე მთლად გაბავშვებული გენერალი, დამოუკიდებლად ვერაფერს აკეთებდა, წყალში დამხრჩვალისვით კანის ფორებიდან მარილიანი სითხე უჟონავდა და ისე ნელა მოძრაობდა, თითქოს მართლა ტალღები ანანავებენო. ერთი-ორჯერ ხალათი აიწია და მაჩვენა ხმელეთზე გამორიყული დამხრჩვალის კაცის მანათობელი, წყლით გაჟიჟინებული სხეული, რომლის მომჩვარულ ნაოჭებში ზღვის პარაზიტები დაბორიალობდნენ. თვითონ ირწმუნებოდა, რემორები მაქვს მიკრული, ხოლო ილღიებში პოლიპები და ნამცეცა კიბორჩხალებიო. ეს კი მისი აზრით ზღვის სპონტანური დაბრუნების უტყუარ ნიშანს წარმოადგენდა, იმ ზღვისა, ჩემო ძვირფასო ჯონსონ, თქვენ რომ წაგვართვით, მაგრამ, იცოდეთ, ზღვა კატასავითაა, ყოველთვის ბრუნდება უკან. გენერალს სჯეროდა, მის სტომაქში მოქცეული კიბორჩხალების ქარავანი იმ ბედნიერი განთიადის დადგომას მოასწავებდა, როცა თავისი საძინებლის ფანჯარას გამოაღებდა და დაინახავდა ზღვებისა და ოკეანეების ადმირალის სამ კარაველას. რა ხანია ადმირალს ეძებს ლამის მთელს დედამიწაზე და ლამის მთელი სიცოცხლე, რა ხანია სურვილი კლავს დარწმუნდეს, მართალია თუ არა რასაც ეუბნებიან, ადმირალისა და სხვა ცნობილი ისტორიული პიროვნებებივით თქვენც უხაზო ხელის გული გაქვთო. ზღვაოსნებმა ისიც უთხრეს, მახლობელ ზღვებში მიმოფანტული კუნძულების აღწერისას და სახელების გადარქმევისას — კონკისტადორების გვარ-სახელების ნაცვლად მეფეებისა და წმინდანებისას არქმევდნენ — შემთხვევით გადავაწყდით ადმირალს, რომელიც ადგილობრივ მკვიდრთა მეცნიერულ წყაროებში მისთვის საჭირო და სასურველ სიქაჩლის საწინააღმდეგო წამალს ეძებდაო. გენერალმა მაშინვე ბრძანა, გინდათ ძალით, გინდათ ნებით, ადმირალი აქ მომგვარეთო. ის იყო ადმირალის კვლავ ნახვის იმედი დაგვარგეთ, რომ თავად პრეზიდენტმა მოჰკრა მას თვალი ლიუმინიდან. თუმცა ბერივით წელზე თოკშემოჭერილი ყავისფერ ანაფორაში იყო გადაცმული და ჭრიალათი ხელში დადიოდა საკვირაო ბაზრობაზე მომწყდარ მიღეთის ხალხში. ბებერმა გენერალმა იგი მაინც იცნო. ნუთუ ეს უბადრუკი ბერი ის კაცია, ვინც სააუდიენციო დარბაზში გვინახავს ოქროსფერ სამხრეებიან წითელ ხიფთანში გამოწყობილი, გვინახავს მხნედ მოსიარულე სანაპიროზე, მაგრამ როგორც კი ბრძანება გაიცა, ბერი ლიუმინში ჩასვითო, ჩემო გენერალო, ისე გაქრა, ვერც გავიგეთ, მიწამ უყო პირი თუ ცამ. რაღას არ ამბობდნენ მასზე, მაჰმადიანობა მიიღოო, პელაგრამ მოკლა სენეგალში-

იო, ერთდროულად სამ ქალაქში, სამ საფლავშია დამარხულიო. ზოგი იმასაც ირწმუნებოდა, მკვდარია, მაგრამ არ დაუსაფლავებიათ, არც ერთმა საფლავმა არ მიიღო და მეორედ მოსვლამდე საფლავიდან საფლავამდე მოუწევს ხეტიალიო. ასე დასაჯა იგი ღმერთმა თავისი მრუდე საქმეების გამო. გაიძვერა და ოქროზე მეტად მაცდური იყო, ჩემო გენერალო. მაგრამ გენერალი ასე როდი ფიქრობდა, მის დაბრუნებას ელოდებოდა, ამ მოლოდინით სულდგმულობდა ღრმა სიბერეშიც. ჯანდაცვის მინისტრი კანში ჩამჯდარ ტკიპებს პინცეტით რომ აშორებდა, ბებერი გენერალი მერამდენედ ეუბნებოდა, გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, ეს ტკიპები ზღვის დაბრუნების ნიშანიაო. თან ისე ჭკვიანურად და დალაგებულად უსაბუთებდა, რომ მინისტრი ბოლოს და ბოლოს დარწმუნდა, არც ისე ყრუა, როგორაც თავს აჩვენებს ხალხშიო და არც ისე გულუბრყვილო, როგორც ჩინოსანთა მიღებებზე ჩანსო. მაგრამ ერთადერთი რეალობა, რასაც მართლა არ გაუვიდოდა წყალი, მისი დაუმთავრებელი, უსასრულო სიბერე იყო. საექიმო გამოკვლევებით დადასტურდა, რომ მას შუშის არტერიები ჰქონდა, ორივე თირკმელიც ისე ამოვსებოდა ქვიშით, თითქოს პლაჟზე ყოფნისას ეყლაპოს. გულიც უსიყვარულობისგან დაბზარვოდა. ბებერმა ექიმმა, მისმა უახლოესმა თანამდგომმა ადამიანმა მოკრძალებულად შეჰბედა, ჩემო გენერალო, იქნებ გეფიქრათ თქვენს შემცვლელზე, დროა გადაწყვიტოთ, ვის ხელში გვტოვებთ, ბედის ანაბარა ხომ არ უნდა დაგვყაროთო. გენერალმა გაიკვირვა, კი მაგრამ, ვინ გითხრათ რომ ვკვდები, ჩემო ძველო ექიმო, სჯობს სხვები ესტუმრონ საიქიოს, მერე ხუმრობით დაუმატა, ერთი-ორი წლის წინათ ტელევიზორში ვნახე საკუთარი თავი, მშვენივრად გამოვიყურებოდი, ნამდვილად კორიდის ხარვივითო, და გადაიხარხარა. გაახსენდა, იმ საღამოს როგორ იჯდა ხმაჩაწეულ ტელევიზორთან თავწაკრული და თავაკანტურებული, როგორ უდნებოდა ხელში მართლობის უკანასკნელი საღამოები. შესცქეროდა საკუთარ თავს ტელევიზორის ეკრანზე და უკვირდა თავისი სიმხნევე. მართლაც რომ კორიდის ხარია. უკვირდა თავისი მანერები ფრანგი ქალბატონი ელჩის წინაშე, ან სულაც შესაძლოა თურქის, ან შვედისა. ჯანდაბას მაგათი თავი, ისე ჰგავდნენ ერთმანეთს, ძნელად გაარჩევდა კაცი, თანაც იმდენი დრო გავიდა ამ კადრების გადაღებიდან, რომ აღარც ახსოვდა, სინამდვილეში თვითონ იყო თუ სხვა ამ მშვენიერი ფრანგი — იქნებ თურქის ან სულაც შვედი — ქალბატონის გვერდით. ნეტავ ის საზეიმო მუნდირში გამოწყობილი კაცი, შამპანურით სავსე ჭიქა რომ უჭირავს ხელში, თორმეტი აგვისტოს რომელიღაც წლისთავის აღსანიშნავ ბეიმზე, მართლა თვითონ იყო თუ სხვა. იქნებ თოთხმეტი იანვრისა იყო — გამარჯვების დღის ბეიმი ან იქნებ სულაც ცამეტი მარტისა — მისი დაბ-

ადების დღის. კაცი კი არა, ეშმაკიც ვერაფერს გაიგებდა, მისი რეჟიმის დროს იმდენ თარიღს ზეიმობდნენ. წესიერად მაშინ ვერ ერკვეოდა და ახლა ხომ სულ აებნა თავგზა. დახმარებითაც არავინ ეხმარებოდა ამ მოზღვავებული ისტორიული თარიღების გარკვევაში. დროთა განმავლობაში ის დახვეულდაგრაგნილი ქალღმერთებს დაავიწყდა, ხვრელეებში რომ ჩურთავდა იმ იმედით, როდისმე გამომადგება წარსულის გასახსენებლად. ერთიორჯერ შემთხვევით წააწყდა. მაგრამ ამოდ, ვერაფერი გაიხსენა. ერთხელაც თავლის სამალავში აღმოაჩინა ქალღმერთის ნაგლეჯი და დამარცვლით ამოიკითხა ნაწერი. შვიდ აპრილს დოქტორ მარკოს დე ლეონის დაბადების დღეა, საჩუქრად ვეფხვი უნდა გავუგზავნო. ნაწერი ნამდვილად მისი იყო, მაგრამ ეს დოქტორი მარკოსი ვინ იყო, ვერაფრით გაიხსენა. როცა საკუთარი სხეული გიმუხთლებს და გაგწირავს, ამაზე უფრო დამამცირებელი და იმავდროულად სამართლიანი არავითარი სხვა სასჯელი არ არსებობს ადამიანისათვის. ეს მან ჯერ კიდევ მაშინ გაიგო, კარგა ხნით ადრე, ვიდრე ხოსე იგნასიო საენს დე ლა ბარას დაუვიწყარი ხანა დადგებოდა, როცა ერთ-ერთ ხალხმრავალ მიტინგზე უცებ აღმოჩნდა, რომ თითქმის არავის იცნობს, არადა, იყო დრო, თავისი მწუხარების სამეფოს სოფლისა თუ ქალაქის მოსახლეს არათუ სახელითა და გვარით, სახეზეც ცნობდა. ახლა კი რა დღეში ჩავარდა. კარეტიდან ჭაბუკს მოჰკრა თვალი ქუჩაში, ეცნო, მაგრამ ვერაფრით გაიხსენა ვინ იყო. პირად მცველებს უბრძანა, შეიპყარით და ციხეში მანამდე ამყოფეთ, სანამ არ გამახსენდება, საიდან მეცნობათ. საცოდავმა სოფლელმა ბიჭმა ოცდაორი წელიწადი გაატარა ციხეში და მთელი ეს ხანი იმ სიტყვებს იმეორებდა, რაც შეპყრობის დღესვე მოახსენა სასამართლოს და რაც სრულად ესადაგებოდა ჭეშმარიტებას. ჩემი გვარი და სახელია ბრაულიო ლინარეს მოსკოტე. მამაჩემი მარკოს ლინარესი სამდინარო გემის მეზღვაურია, დედაჩემი დელფინა მოსკოტე ვეფხვებზე დაგეშილი ძაღლების მომშენებელია. როსალი დელ ვირეიში ცხოვრობენ. დედაჩემმა გამომგზავნა დედაქალაქში მარტის სახალხო ზეიმზე ორი ლეკვის გასაყიდად. ნაქირავები ვირით ჩამოვედი. რაც მაცვია, სხვა ტანსაცმელი არცა მქონია და არცა მაქვს. ოთხშაბათ დღეს ბაზრის სასაუბრეში იაფფასიან ყავას ვსვამდი და თან ყველას ვეკითხებოდი, ვეფხვებზე დაგეშილი ლეკვები ხომ არ გინდათ-მეთქი, სწორედ ამ დროს ატყდა ერთი ამბავი, დოღების ბრაგუნი, საყვირების ჭყვიტინი, ცაში ფერად-ფერადი შუშხუნები გაუშვეს, აჩოჩლოლებული ხალხი აყვირდა, მოდის, კაცი მოდისო. მე ვიკითხე, ვინ კაცი მოდის-მეთქი, ვინაო და, ხელისუფალიო, მიპასუხეს. ბიჭმა ლეკვები მუყაოს ყუთში ჩასვა და ქალებს სთხოვა, ჩემ მოსვლამდე მიმიხედეთო. ვიღაცის ფანჯარაზე აძვრა, იქიდან კარგად ჩანდა

კარეტაც და მდიდრულად მორთულ-მოკაზმული ცხენოსანთა ესკორტ-იც. კარეტის კარზე დრაკონი ეხატა, ფანჯრიდან გამოყოფილი ხელთათმანიანი ხელი ხალხს ესალმებოდა. ბიჭმა უფერული, უღიმილო, ბებრული ტუჩპირიც დაინახა და ნაღვლიანი თვალებიც, რომლებმაც ბიჭი წამში გამოარჩიეს ამ ბრბოში. თითქოს თივაში ნემსი დაინახა და სწრაფად დასწვდა ასაღებადო, კარეტის ფანჯრიდან გამოყოფილი ხელის თითი მიაშვირა ბიჭისკენ. აი, ის ბიჭი, ფანჯარაზე რომ ამძვრალა, დაიჭირეთ და ციხეში ამყოფეთ მანამდე, სანამ არ გავიხსენებ, საიდან მეცნობაო. ერთი სიტყვით, ასე დამიჭირეს, დამიწყეს წამება, ხმლით მადრობდნენ ტყავს, ნაკვერცხლებით მწვავდნენ, გამოტყედი ვინ ხარ, ჩვენს ხელისუფალს საიდან ეცნობიო, მაგრამ პორტის ციხესიმაგრის კოშმარულ საკანშიც ვერ გატეხეს ბიჭი, ვერ ათქმევინეს ტყუილი, ისეთი სიცხარით, ისეთი სიჯიუტით, ისეთი გამბედაობით იმეორებდა ერთი და იგივეს, ანუ სიმართლეს, რომ უმაღლესი ხელისუფალი ბოლოს და ბოლოს იძულებული გახდა ეღიარებინა შეცდომა. ეღიარებინა, რომ საერთოდ არასოდეს ენახა ბრაულოო ლინარეს მოსკოტე, მაგრამ უკვე გვიან იყო. სხვა გზა არ არის, დატოვეთ საკანში, ის უკვე ჩვენი მტერია. მესხიერებადაკარგული გენერალი აჩრდილთა საუფლოში დაბორიანლობდა. ჩემი საუკეთესო წლების დედავ, ბენდისიონ ალვარადო, ისმინე მარტოსული ვაცის ყვირილი, მიშველე რამე, კვლავ გადამაფარე შენი კალთა. ნეტავ რაში მჭირდებოდა ამდენი გამარჯვება, ამდენი საზეიმო თარიღი, ამდენი ღიდება, თუ ვერ გავიხსენებდი თუნდაც ერთს მაინც გულის გასახარად და საამებლად, თუ ვერ მომგვრიდა სიმშვიდეს, თუ ვერ მომცემდა ძალას სიბერის ჭაობში ჩაფლულს. მისი ბეობის დროინდელი ცხოვრების ყველაზე უმწარესი თუ უბედნიერესი წუთები დავიწყების ჩანწყვდიადებულ ხვრელებში ჩანთქმულიყო, თუმცა ოდესღაც გულუბრყვილოდ სჯეროდა, რომ დაგრაგნილი ქალაქდები შემოუნახავდა მას ამ წუთებს. განაჩენივით ჰქონდა გამოტანილი სამუდამოდ დავიწყებოდა, მაგალითად, ვინ იყო ფრანსისკა ლინერო, რომელიც ოთხმოცდათექვსმეტი წლისა მეფურად დაკრძალეს მისი ბრძანებით ერთ-ერთ ხვრელში შემთხვევით ნაპოვნი საკუთარი ხელით დაწერილი ქალაქდის თანახმად. მას თვალის ჩინი აკლდებოდა და იძულებული იყო ბრმად ემართა ქვეყანა. თერთმეტი წყვილი სათვალე ოდნავადაც ვერ შველოდა, მაგრამ მოსაჩვენებლად მაინც ხმარობდა. უჯრიდან ამოიღებდა რომელიმეს, ცხვირზე დაიდებდა და თანამოსაუბრესთან ისე ეჭირა თავი, თითქოს კარგად ხედავდა, სინამდვილეში ყველა მოსაუბრე მისთვის ლაქა იყო, ხმა ხომ არ ესმოდა და არ ესმოდა, კარგადაც ვერ ხედავდა და მხოლოდ გუმანით ხვდებოდა, ვინ იდგა მის წინ. დაუძლურებულსა და დაჩაჩანაკებულს სული სადაცაა

ამოუვიდოდა. ერთხელ თავდაცვის მინისტრი ეახლა საქმეზე და მის დამნაშავეს კინაღამ გული გაუსკდა შიშით. არადა, ისეთი არაფერი მომხდარა. მხოლოდ დააცემინა და მინისტრმაც სიცოცხლე, ჩემო გენერალო, უთხრა. კიდევ დააცემინა, მინისტრმაც სიცოცხლეო, კიდევ უთხრა. მეცხრეჯერ რომ დააცემინა, ისე შემაშინა მისმა გამოთაყვანებულმა სახემ, გადმოკარკლულმა, აცრემლიანებულმა თვალებმა, რომლებიც შეუბრალებლად შემომცქეროდნენ აგონიის გაღმა ნაპირიდან, რომ აღარ ვუთხარი სიცოცხლე-მეთქი. დავინახე, როგორ გადმოაგდო ენა გადაღძუებული ნადირივით. მაშინვე გამიელვა თავში, დროზე თუ არ გავასწარი აქედან, შეიძლება ხელში ჩამაკვდეს, მართლვარ, მოწმე არავინა მყავს და ვინ დამიჯერებს რომ უდანაშაულო ვარ ამ საქმეში-მეთქი. ის იყო შურდულივით უნდა გავვარდნილიყავი ოთახიდან, რომ უცებ, ვიდრე კიდევ დააცემინებდა, დაიყვირა, ნუ გეშინიათ, ბრიგადის გენერალო როსენდო საკრისტან, დამშვიდდით, ეშმაკმა წაგიღოთ, არც ისე ბრიყვი ვარ, თქვენი თანდასწრებით მოვკვდე. თავდაცვის მინისტრი გაშეშდა. მან კი იმდენი აცემინა ამის მერეც, რომ ცოტაც და მართლა გააფრთხოვდა სულს. ნაპერწკლები შუადღის ცივინათელებივით უხტოდნენ თვალწინ. მაგრამ თქვენ წარმოიდგინეთ, გაუძლო. დედამისმა, ბენდისიონ ალვარადომ გააძლებინა, დედა ნებას არ დართავდა შვილს, სამარცხვინოდ მომკვდარიყო ცემინებისაგან, თანაც ხელქვეითის თანდასწრებით. ეგლა აკლია. ასეთ სირცხვილს სიკვდილი ურჩევნია. სწორედ ამ შემთხვევის მერე განაცხადა, მიჯობს ძროხებში ვიცხოვრო, ვინემ ისეთ ხალხში, ვისაც დიდ უბედურებად სულაც არ მიაჩნია უღირსი სიკვდილიო. შეწყვიტა პაპის ნუნცის მიპატიჟება სასახლეში და მასთან დაუსრულებელი კამათი ღმერთზე. ასეთი შეხვედრებისას იძულებული იყო ცხელი შოკოლადი კოვზით დაეღია ბავშვივით, ეს კი ნუნცის თვალს ნამდვილად არ გამოეპარებოდა. აღარც დომინოს თამაშობდა, არ მინდა სიბრალეულის გამო გამამარჯვებინოს ვინმემო, აღარც არავის ნახვა სურდა, აქაოდა, არავის დაენახა, მიუხედავად დიდი მონდომებისა, როგორ დაათრევდა თავის ბრტყელტერფა ფეხებს. თუმცა ასე დადიოდა იგი მთელი ცხოვრება და დასამალიც არაფერი ჰქონდა. აი, წლებს კი ვერაფერს უხერხებდა, რცხვენოდა, ამ ხნისა რომ იყო. გრძნობდა, ყოფილი დიქტატორების დარად ადრე თუ გვიან მასაც არ ასცდებოდა უფსკრულივით პირდაღებული გარდუვალობა — თავშესაფარი კლდეზე. გასაცოდავებული დიქტატორები კლდის თავზე გამომწყვდეულ ტყვეებს უფრო ჰგავდნენ, ვიდრე იმ ადამიანებს, ვისაც პოლიტიკური თავშესაფარი მისცეს. კლდეზე იმიტომ გამოამწყვდიეს, ქვეყანას არ მოსდებოდა უღირსობის ჭირი. საკუთარი უძღურების ეს ამბარზენი შეგრძნება მას იმ ავად მოსაგონარ

დილას დაეუფლა, როცა მარტოდ დარჩენილს ჩაეძინა სამკურნალო წყლით სავსე აუზში. შენ დამესიზმრე, დედა, ვითომ შენ ჩაუდგი სული იმ ჭრიჭინობელებს, ზედ თავზე რომ დამჭრიტინებდნენ აყვავებული ნუშის ტოტებიდან. ვითომ შენი ფუნჯით შეაფერადე მოლალურების ჭიკჭიკიც, მაგრამ უცებ უძლური რისხვით შეპყრობილი გამომალვოდა საკუთარი ნაწლავებიდან გადმომსკდარმა სიბინძურემ ჩემი სირცხვილისა და თავისმოჭრის წყალში, რომლის ზედაპირზეც ტივტივებდნენ ლოტოსისა და ბაღბის სურნელოვანი ფურცლები და ფორთოხლის ხიდან ჩამოცვენილი ნორჩი კვირტები. ეტყობა, რაღაც უჩვეულო იგრძნეს, რამდენიმე ზღვის კუ ცოცხლად გაცურდა გენერლის ოქროსფერი კურკლებისაკენ. რა საშინელებაა, დედა. მაგრამ მას ეყო ძალა, გადაეტანა თავისი სხეულის არა მარტო ეს სამარცხვინო გამოხდომა, არამედ სხვაც ბევრი უსიამო წუთი. ბეხრეკი კაცის შერცხვენას ზედმეტი მოწმე რომ არ ჰყოლოდა, მსახურები შეამცირა. ამიერიდან ველარავინ დაინახავს მას სველი პირსახოცით თავწაკრულსა და უაზროდ მობორიალეს. ველარავინ დაინახავს ლამის ყველა კედელთან სასოწარკვეთისგან აკვნესებულს, ძროხის კრაზანების შემოსევით გულგაწყალეებულს, აუტანელი თავის ტკივილისგან ლამის გაგიჟებამდე მისულს. თავის გასაჭირზე ერთხელაც არ დაუჩივლია ექიმთან, რადგან მშვენივრად იცოდა, ყველა უსიამოვნება სიბერისგან სჭირდა. ნამდვილ ატკივებამდე ჯერ ტკივილის წინათგრძნობა იპყრობდა. საავდრო ღრუბლის გამოჩენამდე ცას რომ ჭექა-ქუხილი გადაუვლის კიდი-კიდემდე, ელვაც გაკვესავს და მხოლოდ ამის მერე გავარდება მეხი, ზუსტად ასეთივე თანმიმდევრობით უახლოვდებოდა მას ტკივილი უზარმაზარი ქვების გრუხუნით და მაშინ ისღა რჩებოდა, ბრძანება გაეცა, არავინ შემაწუხოსო. ტკივილი საფეთქლებს უტევდა და ისიც ყვირილს იწყებდა, სასახლეში არავინ შემოუშვათ, ვინც არ უნდა იყოს, რაც არ უნდა მოხდესო, ხოლო როცა თავში რკინის ტურნიკეტი იწყებდა ტრიალს, ყვირილით იკლებდა იქაურობას, მამაზეციერიც რომ ჩამოვიდეს თავის ფეხით, ისიც არ შემოუშვათ, რომც მოვკვდე, არავინ შემოუშვათო. ტკივილი უღმობლად უტევდა, წამითაც არ აძლევდა სულის მოთქმის საშუალებას, ძალა აღარ შესწევდა საკუთარ უსაზღვრო სასოწარკვეთილებას შებრძოლებოდა. მაგრამ როგორც კი დალოცვილი წვიმა წამოვიდოდა, ტკივილი მაშინვე უყურდებოდა და ჩვენც თავისთან გვეძახდა. საოცრად გარდაქმნილი გვხვდებოდა, თითქოს ხელმეორედ დაიბადაო. იჯდა ხოლმე ხმაწაწეული ტელევიზორის წინ პატარა მაგიდასთან და ფილმს უყურებდა. ჩვენც მიგვექონდა შემწვარი ხორცი ლობიოთი, გახეხილი ქოქოსი, შემწვარი ბანანი. მეტისმეტად შეუფერებელი იყო ამ ასაკის კაცისთვის ასეთი ვახშამი, მაგრამ მერე და მერე გაირკვა,

ვახშამს თურმე პირს არ აკარებდა. ერთ ლამის წარღვნამდელ ფილმს უჩვენებდნენ ტელევიზორში, თანაც ხელახლა და თანაც საგანგებოდ მისთვის გამოყოფილ არხზე. ჰოდა, ეტყობა, სიჩქარეში ფირი ვერ დაახვიეს წესიერად თუ რა იყო, თავდაყირა დატრიალდა, ამით კი თითქოს ვილაცამ საგანგებოდ მიანიშნა, სახელმწიფოში ყველაფერი რიგზე ვერ არისო. მთავრობა ამჟამად უმაღავდა რაღაცას. ნეტავ რა ოხრობა ჭირთ, ბუტბუტებდა ის და მაშინვე თვითონ იმშვიდებდა თავს, არაფერსაც არ მიმალავენ, ცუდ ამბავს მალე შევიტყობდიო. საათმა რვაჯერ რომ ჩამოჰკრა, ადგა და როგორც ყოველთვის ახლაც ჩაუშვა უნიტაბში გაქონილი საჭმელი. კაციშვილმა არ უნდა იცოდეს, თავისმოსაჭრელად კუჭი რომ უკან უბრუნებს საჭმელს. დაე ხალხს ისეთი ვახსოვდე, იმ ბედნიერ დღეთა ლეგენდაში რომ მხატავდნენ და მადიდებდნენო. მხოლოდ ეს ფიქრებილა უმსუბუქებდა ცხოვრებას, ეხმარებოდა განეგდო ზიზღი საკუთარი თავის მიმართ. ყოველთვის, როცა კი მისი მომჩვენარული შიგნეული კვლავ და კვლავ ანთხევდა სიბინძურეს, იგი ვერ ეგუებოდა იმ მტანჯველს აზრს, რომ დაძაბუნდა და არაფრის თავი აღარ ჰქონდა. მისდა სამარცხვინოდ, ფეხსალაგის კედლებზე თვითონ ჩხაპნიდა, გაუმარჯოს გენერალს, გაუმარჯოს მაჩოს. ექიმბაშის წამალი მალულად რომ დალია, ერთბაშად სამ ქალთან, თითოეულთან სამ-სამჯერ მოუნდა სიყვარულობანა, მაგრამ მწარედ ინანა, ამ ხნის კაცი რამ ამაცუნდრუკა, ექიმბაშს როგორ დაუჯერეო. რა გულუბრყვილოა, თავი მოეჭრა, იჯდა ფეხსალაგში წყლის ჩამრეცხ ზონარს ჩაჭიდებული და ტიროდა, ჩემო დედიკო, ბენდისიონ აღვარადლო, ზიზღის ღირსი ვარ, განმბანე შენს ცეცხლოვან წყალში. მხოლოდ ბერიკაცმა იცოდა, რატომ დაშვრა ამდენჯერ ამაოდ, რატომ ვერ მიიყვანა ბოლომდე საქმე, რატომ შეირცხვინა ქალებთან თავი. მშვენივრად იცოდა, რომ ასეთ წუთებში, ლოგინში, მამაკაცური ძლიერება კი არა, სიყვარული აკლდა მუდამ. მაინც სად პოულობდა მისი მეგობარი პრემიერ-მინისტრი ასეთ უგრძობელ, ცივ ქალებს. ძალით მაჩეჩებდა, ხომ არ უნდა დაივიწყოთ ეს სასიამოვნო საქმე მხოლოდ იმიტომ, რომ ქალთა სასწავლებელი დახურესო. აი, ეს ხორციანი, უძვლო დიაცები თქვენთვის შევარჩიეთ, ჩემო გენერალო, თვითმფრინავით ჩამოვიყვანეთ პირდაპირ ამსტერდამული ვიტრინებიდან, ბუდაპეშტის კინოფესტივალიდან, იტალიის ზღვისპირეთიდან. ნახეთ, ჩემო გენერალო, თქვენ მხოლოდ ნახეთ, რა საოცრები არიან, რა ლამაზები. ჰოდა, ეს ლამაზი ქალებიც მორცხვი სიმღერის მასწავლებლებივით ხვდებოდნენ ნახევრად ჩაბნელებულ კაბინეტში, მსახიობებივით შიშვლდებოდნენ, ტანზე აჩნდათ საბანაო კოსტუმების ხაზები, ასდიოდათ მენტოლის კბილის პასტისა და ყვავილოვანი ლოსიონების სუნი. ხავერდგადაკრულ

დივანზე გვერდით უწევდნენ რკინა-ბეტონის უზარმაზარ ხარს, რომელსაც არა და არ სურდა სამხედრო ტანსაცმლის გაძრობა. რა არ ვიღონე, რა არ ვეცადე, მაგრამ ვერაფრით ვერ ავამოძრავე, ჩიოდა ერთი ქალი. ამ ლამაზმა, მაგრამ თევზივით უსისხლო ქალმა გული გამიჩქალა, ვუთხარი, წადი, შვილო, თავი დამანებე, შენი ადგილი მონასტერშია-მეთქი. ბერიკაცს ტანჯავდა თავისი უმაქნისობა, მაგრამ ერთ საღამოს, საათმა რვაჯერ რომ ჩამოჰკრა, სამრეცხაოში სრულიად შემოხვევით გადააწყდა ჯარისკაცების საცვლების მრეცხავ ჟალს და თავის ერთი დაკვრით დასცა კიდევ ვარცლზე, ქალი გაუძალიანდა, კაცის ხელებიდან დასხლტომას ლამობდა, დღეს არ შემიძლია, გენერალო, ვამპირი მყავს სტუმრადო, მაგრამ მან აინუნშიც არ ჩაავდო ქალის სიტყვები, წაკუმბა, სარეცხ დაფაზე დაამხო პირქვე და უკნიდან ისეთი ბიბლიური ძალით ატაკა, რომ საბრალო ქალმა სული კინაღამ გააცხო, ცხადად იგრძნო სიკვდილმა როგორ აუტკაცუნა ძვლები. ნამდვილი მხეცი ხართ, გენერალო, ეტყობა, ვირთან გაქვთ ნასწავლი ეს საქმე, ძლივს ამოიკვნესა მან. ბერიკაცის გულს ეს კვნესა უფრო მოეფონა, ვიდრე თავისი გაიძვერა მლიქვნელების დითირამბები, მაღლიერებით აღსავსე ბერიკაცმა მრეცხავ ქალს სამუდამო პენსია დაუნიშნა შვილების აღსაზრდელად. რა ხანია არ უძღერია, კვლავ აუძღერდა გული. ძროხებს თივას უყრიდა ბაგაში და მღეროდა, იანვრის სავსე მთვარევე. სიკვდილზე არ ფიქრობდა. დარწმუნებით იცოდა, სიცოცხლის უკანასკნელ ღამესაც კი არ მისცემდა თავს უფლებას შეშინებულს მაინცდამაინც ცუდზე ეფიქრა. ძროხები ორჯერ გადათვალა სიმღერ-სიმღერით, უკუნეთში ბილიკს მინათებ, შენ ვარსკვლავი ხარ ჩემი. ოთხი ძროხა აკლდა. სასახლისკენ გასწია. ახლა იქ გადათვალა ვიცე-მეფეთა ტანსაცმლის საკიდებზე მთვლემარე ქათმები, გადათვალა გალიები, შავი ნაჭერი გადაათვარა ორმოცდარვავე გალიას და დერეფნიდან მოყოლებული სააუდიენციო დარბაზამდე ცეცხლი წაუკიდა იატაკზე ახლად დატყეპილსა თუ უკვე გამხმარ ნაკელს. დამწვრის სუნმა და კვამლმა კვლავ ბავშვობა გაახსენა, გაახსენა პატარა ბიჭი. ზეგანის ყინულივით ქარი ძვალსა და რბილში ატანდა, ბიჭი ძაგძაგებდა. დედამისმა ბენდისიონ აღვარადომ სანაგვეზე სვავებს პირდაპირ ნისკარტიდან აართვა ცხვრის შიგნეული და მშიერსა და გაყინულ შვილს მიურბენინა. საათმა თერთმეტჯერ რომ ჩამოჰკრა, ოთახები ჩამოიარა და შუქი ყველგან ჩააქრო. კიდევ ერთხელ შემოიარა ოთახები ახლა უკვე ანთებული ლამპით ხელში. სასტუმრო დარბაზის თოთხმეტ დაბურულ სარკეში გათოთხმეტებული ერთი გენერალი დაინახა ანთებული ფარნით ხელში, სამაგიეროდ, საკონცერტო დარბაზის დიდი სარკის სიღრმეში იატაკზე დაგდებულ ძროხას აეშვირა ფეხები და დაუძახა, ძრ-

ობა, ძროხა, ძროხა. ძროხა მკვდარი იყო. ჯანდაბას მაგისი თავი. დაცვის ბიჭების სამორიგეოსკენ გაფლატუნდა, გავაფრთხილებ, სარკეში მკვდარი ძროხა დავინახე და დილამდე თუ არ გაათრევთ აქედან, იცოდეთ, სვავები დაგვესევიანთქო. გასცა კიდეც ეს ბრძანება და ლამპით ხელში პირველ სართულზე ჩავიდა დანარჩენი სამი ძროხის საძებნელად. ეძებდა ყველგან, ფეხსალაგებში, მაგიდების ქვეშ, სარკეების უკან, მეორე სართულის ოთახებშიც, მაგრამ ამაოდ, მხოლოდ ერთ კრუსს წააწყდა, არხეინად იჯდა ვარდისფერი მაქმანით გაწყობილ ბალდახინის ქვეშ, უხსოვარი დროის ვიღაც ყოფილი მონაზონი ქალის საწოლზე. სახელი აღარ ახსოვს ამ ქალისა. ძილის წინ ერთი კოვზი თაფლი გადაყლაპა და როცა ქილას კვლავ სამალავში დგამდა, მაშინდა წააწყდა დაგრაგნილ ქალალდს. ჩანაწერი იუწყებოდა სახელგანთქმული პოეტის რუბენ დარიოს – ვისაც ღმერთმა გამორჩეული ადგილი დაუმკვიდრა სასუფეველსა თვისსა შინა – რომელიღაც წლისთავის თაობაზე. ბერიკაცმა ვერაფერი გაუგო ნაწერს, ქალალდი დაგრაგნა და კვლავ თავის ადგილზე შეჩურთა. მერე ლოცვა წამოიწყო, სასწაულმოქმედო მეუფეო ცისა, შენ, ვისაც ხელგეწიფება შეაჩერო ცაში აეროპლანები, ზღვაში ხომალდები... და ასე ლოცვა-ლოცვით გააბოტა გზაბნეული, უძილობით გატანჯული სპილოს ვეება ფეხებით, დროდადრო მოძრავი შუქურას მწვანე სხივი ეცემოდა სახეზე. ესმოდა ქარის ტირილი გაყიდულ ზღვაზე, საქორწილო მუსიკის ხმები დაბინდული შორეთიდან. მგონი, ამ ქორწილზე გადავურჩი სიკვდილს ბეწვზე, ბურგში დანის ჩაცემას მიპირებდნენ. ფიქრებში გართული კვლავ ძროხას გადააწყდა, ძროხა, ძროხა, წადი აქედან. თავის საძინებელი ოთახისკენ გაეშურა, გზად ფანჯრებიდან შემოჭრილმა უზღვო ქალაქის სინათლეებმა მოჭრა თვალი. მის ყნოსვას მისწვდა ქალაქის შიგნეულის იდუმალი ცხელი ოხშივარი, თანაბარი სუნთქვა, ქალაქს ოცდასამჯერ ისე გადახედა, ფანჯრებთან არ შეჩერებულა. როგორც ყოველთვის, არც ახლა ჩაუგდია რამედ ამ უკიდევანო და მისთვის ამოუცნობი ოკეანის ანუ ხალხის სული, ხალხისა, რომელსაც ალბათ მკერდზე ხელდადებულს ეძინა ახლა, და უცებ მიხვდა, პირველად მიხვდა, როგორ სძულდა იგი ხალხს. არადა, ვითომ უყვარდათ, წმინდანივით უნთებდნენ სანთლებს, მისტიკური რწმენით შეპყრობილნი წარმოთქვამდნენ მის სახელს მშობიარე ქალებიც და მომაკვდავნიც. სამაგიეროდ, წყევლით იხსენიებდნენ დედამისს, ვინც კარგა ხანია მტვრად ქცეულიყო აკლდამაში. წყევლიდნენ თავიანთი გენერლის ნაღვლიანი თვალებისა და ქალურად ნაზი ხელების გამო. ეს ხელი შორეულ წარსულში ბევრჯერ დაუნახავთ სომნამბულური ლიმუზინის ტყვიაგაუმტარი მინის მიღმა. მისი ჩექმის ნაკვალევს ვკოცნიდით ტალახში, თან წყევლა-კრულვასაც მი-

ვაყოლებდით. არავის ვუყვარვართ, დედა, ამოიხვნეშა მან, როცა ჩიტების გაფერადებაში დახელოვნებული ქალის, დედამისის, ბენდისიონ ალვარადოს, — ვინც კარგა ხანია მტვრად ქცეულიყო აკლდამაში, — საძინებელ ოთახში შეიხედა. მშვიდ სიკვდილს გისურვებ, დედა, თქვა მან. მშვიდ სიკვდილს გისურვებ, შვილო, აკლდამიდან გამოსძახა დედამ. ზუსტად თორმეტ საათზე. როცა ფარანს ჰკიდებდა კაუჭზე თავის საძინებლის კართან, თიაქარის ტკივილმა ისეთი ძალით შეუტია, რომ თავად თიაქარმა ამოუშვა სასიკვდილო სტვენა. მთელ ქვეყანაზე ალბათ არაფერი იყო ამ ტკივილზე უფრო ყოვლისმომცველი. უკანასკნელად ჩაკეტა კარი სამ გასაღებზე, სამ ურდულზე და სამ ჯაჭვზე. უკანასკნელად გააწევინა სამსახური პორტატიულ უნიტაბს, მერე კი ტანგაუხდელი დაასკდა შიშველ იატაკს. ეს უხეში ქსოვილის შარვალი მას შემდეგ არ გაუხდია, რაც უარი თქვა საზეიმო მიღებებზე. ბოლიანი უსაყელო პერანგი და სამკურნალო ფლოსტები ეცვა, ხელის გულები ბალიშივით მოიმარჯვა, სახე შიგ ჩარგო და მაშინვე ჩაეძინა. სამის ათ წუთზე თავდამძიმებულსა და მთლად ოფლად გაღვრილს გამოეღვიძა, ტანსაცმელი გასაწური ჰქონდა. ასე სჩვეოდა ციკლონის მოვარდნამდე რამდენიმე დღით ადრე. ვინ არის, იკითხა შემკრთალმა, რადგან ძილში აშკარად ჩაესმა, ვიღაც ეძახდა სახელით, რომელიც მისი არ იყო. ნიკანორ, მეორედაც, ნიკანორ. ამ ვიღაცას, ეტყობა, შეუძლია მის ოთახში ისე შევიდეს და გამოვიდეს, საკეტებს ხელი არ ახლოს, პირდაპირ კედლიდან, ბერიკაცმა სიკვდილი დაინახა. ეს თქვენი სიკვდილი იყო, ჩემო გენერალო, მონანიე ცოდვილი ვაცის მოსასხამში გახვეული და თავმოკაუჭებული კომბლით ხელში. თავის ქალაზე საფლავის ბალახი შემოვლებოდა, ძვლებს შორის მიწისქვეშა ყვავილებს ამოეყოთ თავი, უძველესი თვალების ფოსოებში გაოცება ჩაჰბუდებოდა, ცხვირის ადგილას ორი პატარა ხვრელი ჩანდა შავად. როცა გენერალმა თავის წინ მთელი ტანით აღმართული სიკვდილი იხილა, მხოლოდ მაშინლა მიხვდა, რატომ ეძახდა ნიკანორ, ნიკანორ! — ამ სახელით ხომ სიკვდილი იმას უხმობს, ვისი სულის წარტაცება აქვს ჩაფიქრებული. მაგრამ ბებერი გენერალი არ გატყდა, ჩემი დრო ჯერ არ დამდგარა, სიკვდილო, მე ძილში მოვკვდები ჩემს ჩამრუმებულ კაბინეტში. ოდესღაც, უხსოვარ დროში, ასე მიწინასწარმეტყველა ერთმა უსინათლო მკითხავმა ქალმა, რომელმაც პირველქმნილ წყალში დაინახა ჩემი სიკვდილი. არა, გენერალო, უპასუხა სიკვდილმა, თქვენ ახლა მოკვდებით, სწორედ აქ მოკვდებით ფეხშიშველი, აი, ასე, ბოგანოსავით ჩაცმული, თუმცა ვინც თქვენს გვამს პირველი იპოვის, ის უსათუოდ ეცდება ყველა დაარწმუნოს, რომ სწორედ კაბინეტში გიპოვათ მკვდარი, რომ სამხედრო უნიშნო უნიფორმა გეცვათ და მარცხენა ჩექმაზე ოქროს დები გიბრჭყვია-

ლებდათ. ხალხის ამბავი ხომ იცით, ყველაფერს მოიგონებს, ოღონდ კი ლეგენდა არ გაქრეს, ოღონდ ადამიანებმა წინასწარჭვრეტის მიმართ რწმენა არ დაკარგონ. ის მართლა ისე მოკვდა, როგორც სიკვდილმა მიახალა პირში, მოკვდა მაშინ, როცა ყველაზე ნაკლებად სურდა სიკვდილი, როცა ამდენი წლის უნაყოფო ილუზიებისა და თავის მოტყუების შემდეგ ნელ-ნელა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ადამიანი კი არ ცხოვრობს, არამედ არსებობს, შეიძლება დიდხანს იცოცხლო, მაგრამ მხოლოდ ბოლოში მიხვდე ცხოვრების არსს და შეიძლება ვერც მიხვდე მიუხედავად წელთა სიმრავლისა. ის მოკვდა მაშინ, როცა მიხვდა თავისი ცხოვრების უნაყოფობის მიზეზს. ოდესღაც, გზის დასაწყისში მან დაიჯერა, რომ სიყვარული არ შეუძლია, აკი უხაზო ხელის გულის ენიგმა და მკითხავის კარტი ამას ადასტურებდა. მან ხორციელი სიყვარული ძალაუფლების სიყვარულზე გაცვალა. ძალაუფლების სიყვარულის დემონს თავს ევლებოდა; ყველაფერს მას სწირავდა, თავის ნებით გახდა ძალაუფლების მსხვერპლი და მთელი ცხოვრება ნელ ცეცხლზე იწვოდა შეწირული ზვარაკივით. სისასტიკესა და უზნეობაზე აღმოცნებულმა საკუთარი თავი სიცრუითა და დანაშაულით გამოკვება. მან სძლია თავის უჩვეულო სიხარბესა და თანდაყოლილ სიმხდალეს, რათა ქვეყნიერების აღსასრულამდე მუშტად შეკრული ხელიდან არ გაგარდნოდა თავისი შუშის ბურთულა. ვერ ხვდებოდა, რომ ძალაუფლების წყურვილი უფრო მეტად უღვიძებდა ძალაუფლების წყურვილს, რომ ძალაუფლებით ბოლომდე ტკბობა შეუძლებელია არა მარტო ჩვენი ქვეყნიერების აღსასრულამდე, არამედ სხვა სამყაროთა აღსასრულამდეც. ერთი რამ კი ნამდვილად იცოდა, სწორედ ისინი ატყუებდნენ, ვისაც მისი გულის მოგება სურდა. იცოდა, კუდის ქიცინში ფულს რომ იღებდნენ ფარისევლები, იცოდა, ხალხს იარაღის მუქართით რომ ერეკებოდნენ ქუჩებში, რათა მას ბარ-ზეიმითა და სასურველი შეძახილებით შეხვედროდნენ. ეს ყველაფერი იცოდა, მაგრამ ვერ შეებრძოლა, არჩია, ამ სიცრუით, ამ ყალბი დიდებით ეცხოვრა. აკი არაერთხელ დარწმუნდა, რომ სიცრუე უფრო ხელსაყრელია, ვიდრე ეჭვი, უფრო სახეირო, ვიდრე სიყვარული და უფრო ხანგამძლე, ვიდრე სიმართლე. ამქვეყნად სხვა რა უნდა გაჰკვირვებოდა ამაზე მეტად, თავისი ძალაუფლების ფიქციას მოესწრო. ბრძანებებს იძლეოდა, მორჩილებით კი აღარავინ ემორჩილებოდა, ადიდებდნენ, დიდება კი თვალსა და ხელს შუა გაქრობოდა, ერთიორიღა ქვეშევრდომი შემორჩენოდა და ისინიც არაფრად აგდებდნენ. ძალიან გვიან, მხოლოდ თავისი შემოდგომის ფოთოლცვენისას მიხვდა, რომ აღარასოდეს იქნებოდა თავისი ძალაუფლების სრული მპყრობელი, და მიუხედავად წელთა სიმრავლისა, ცხოვრება მაინც შეუცნობელი რჩებოდა ბოლომდე, რამეთუ ბედად ეწ-

ერა მისთვის მხოლოდ უკუღმა პირიდან, ნაკერების მხრიდან ეცქირა, მხოლოდ ილუზორული, მოჩვენებითი რეალობის გობელენის ძაფების დარღვევასა და კვანძების გახსნაზე ეფიქრა. ეჭვადაც არასოდეს გაუვლია და არც სიცოცხლის მიმწუხრს მიმხვდარა, რომ ნამდვილი ცხოვრება ის არის, რომელსაც ყველა ხედავს, ის არის, რომელსაც ჩვენ ვხედავდით სხვა მხრიდან, ეს მხარე თქვენი არ იყო, ჩემო გენერალო, ეს მხარე უპოვართა მხარე იყო. ჩვენ ცხოვრებას ვხედავდით მრავალთა წელთა ტანჯვა-ვაების სიღრმიდან, ვხედავდით თქვენს უსასრულოდ გაგრძელებულ შემოდგომის ფოთოლცვენას, რომლის მიუხედავადაც ჩვენ მაინც ცოცხლები გვეთქმოდა. ჩვენი უბედურება უბედურება იყო, ბედნიერების წამიერი გაელვება კი ბედნიერება. ჩვენ ვიცოდით, რომ ჩვენი სიყვარული სიკვდილის ვირუსით იყო დასნეულებული, მაგრამ სამაგიეროდ ნაღდი იყო, ჩემო გენერალო. ის სინათლეს ჰმატებდა იმ ცხოვრებას, რომელშიც თქვენ ვაგონის მტვრიან ფანჯარაში წამიერად გაელვებულ მოჩვენებას წარმოადგენდით თქვენი საცოდავად მზირალი თვალებით, მოცახცახე უფერული ტუჩებით. და გამომშვიდობების ნიშნად აფარფატებული აბრეშუმის ხელთათმანიანი ხელით. ამ ხელისგულს ბედის ხაზი არ აჩნდა, და ისედაც, ალბათ ვერც ვერასოდეს გავიგებთ, ბოლოს და ბოლოს ვინ იყო იგი სინამდვილეში. იქნებ სულაც ჩვენი წარმოსახვის ნაყოფი იყო ეს უსულგულო ტირანი, რომელმაც ვერა და ვერ გაიგო, სად იყო წაღმა და სად უკუღმა პირი იმ ცხოვრებისა, რომელიც ისე ძალიან გვიყვარს, ისე გვეძვირფასება, რომ მას ალბათ გაუჭირდება ამის გაგება. მას ხომ ზაფრავდა ის, რაც ჩვენ მშვენივრად ვიცოდით — მართალია, ცხოვრება რთული და ხანმოკლეა მაგრამ სხვაგვარი არც არსებობს, ჩემო გენერალო. ჩვენ არ გვეშინოდა ამ ერთადერთი ნამდვილი ცხოვრებისა, ჩვენ ვიცოდით, ვინც ვიყავით, მან კი ვერც ის გაიგო, თავად ვინ იყო და ვერც ის, ჩვენ ვინ ვიყავით. ეს უბადრუკი ბერიკაცი, მთელი ცხოვრება რომ თავის მსტვენავ თიაქარს დაათრევდა, საბედისწერო, დაუპატიჟებელმა სტუმარმა ერთი დარტყმით მოცვლა და ძირიან-ფესვიანად გამოგლიჯა ხელიდან სიცოცხლეს. თავისი შემოდგომის უკანასკნელი დამტკნარი ფოთლების შრიალით გაემართა იგი მოუსავლეთისკენ, ჩალუსკუმებული დავიწყებისკენ. შეშინებული ჩაბლაუჭებოდა სიკვდილის ნავის დაძონძილ იალქანს, სიცოცხლის ნიშატი აღარ ეტყობოდა, მის ყურთასმენასაც აღარ სწვდებოდა ქუჩებში გამოფენილი ხალხის აუწერელი სიხარულის ჟრიამული, საბეიმო დაფდაფების ხმა, ფერად-ფერადი ფეიერვერკის ტკაცატკუცი. აღარ ესმოდა ზარების ამაღლებული, ზარბეიმური გუგუნე, რომელიც ხალხსა და მთელ ქვეყანას ამცნობდა, რომ უსასრულო დრო, როგორც იქნა, დასრულდა.